

ქართული  
წყაროთმცოდნეობა  
XXV



2023

ედგნება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის რევაზ კიკნაძის დაბადებიდან  
100 წლისთავს

Dedicated to the Centenary of the Birth of the Outstanding Georgian  
Historian Revaz Kiknadze



ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

# **Georgian Source-Studies**

**XXV**

**2023**

**ქართული  
წყაროთმცოდნეობა**

**XXV**

**2023**

UDC (უაკ) 930.2 (051.2)  
ქ – 279

### **რედაქტორები**

გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი,  
ზურაბ თარგამაძე

### **სარედაქციო კოლეგია**

გონელი არახამია  
ეკა კვაჭანტირაძე  
დავით მერკვილაძე  
ნატო სონლულაშვილი  
სოფიო ქადაგიშვილი  
ქეთევან ქუთათელაძე  
გიორგი ჭეიშვილი

### **Editors**

Giuli Alasania, Mariam Chkhartishvili,  
Zurab Targamadze

### **Editorial Board**

Goneli Arakhamia  
Sopio Kadagishvili  
Ketevan Kutateladze  
Eka Kvachantiradze  
David Merkviladze  
Nato Songulashvili  
George Tcheishvili

რედაქციის საკონტაქტო მონაცემები:

ელფოსტა: [source-studies@tsu.ge](mailto:source-studies@tsu.ge)

მობ.: 577 62 21 34

Editorial office contact details:

email: [source-studies@tsu.ge](mailto:source-studies@tsu.ge)

Mob.: +995 577 62 21 34

© ტექსტი – ავტორები, 2023

© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე, 2023

© Text – authors, 2023

© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze, 2023

ISSN 1987 – 9563

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

**შინაარსი**  
**CONTENTS**

<b>რედაქტორებისაგან .....</b>	<b>10</b>
<b>EDITORIAL</b>	
<b>ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი კვლევები .....</b>	<b>11</b>
<b>RESEARCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES</b>	
ქართული ფეოდალური სოფლის ტერიტორიული აღნაგობის გენეზისი.....	13
<b>ტარასი ახალაია</b> Territorial Structure of the Village in Feudal Georgia <b>Tarasi Akhalaiia</b>	
ქსნის ხეობის სოფელ საძეგურის ისტორიიდან .....	31
<b>დავით ახლოური</b> From the History of Sadzeguri Village of Ksani Gorge <b>Davit Akhlouri</b>	
ადგილობრივთა აღქმა ევროპელი კათოლიკე მისიონერების მიერ საქართველოში (XVII-XVIII საუკუნეები).....	44
<b>დავით თინიკაშვილი</b> The Perception of the Local Population of Georgia by the European Catholic Missionaries (17 <sup>th</sup> -18 <sup>th</sup> Centuries) <b>David Tinikashvili</b>	
მცენარეთა სახელწოდებები ბულეფიდან: გერმანელი ბოტანიკოსის წვლილი ლაზურის დოკუმენტირების საქმეში .....	54
<b>ზაალ კიკვიძე</b> Plant Names From Bulepi: a German Botanist's Contribution to Documentation of Laz <b>Zaal Kikvidze</b>	
კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში დაცული XIX საუკუნის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ .....	64
<b>გოჩა კუჭუხიძე</b> On Some Unknown Materials of 1970s and Early 1980s Preserved in the Archive of Caucasian Censorship Committee <b>Gocha Kuchukhidze</b>	
ლაზური/ჭანური ქორწილი და საქორწინო რიტუალები (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით).....	80
<b>ნუგზარ მგელაძე</b> Laz/Chan Wedding and Wedding Rituals (according to Folklore-Ethnographic and Literary Sources) <b>Nugzar Mgeladze</b>	
თეატელი მისიონერები საქართველოში ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ .....	103
<b>დავით მერკვილაძე</b> Theatine Missionaries Against the Slave Trade in Georgia <b>Davit Merkviladze</b>	
ლევან II დადიანის საფასით მოჭედილ ხატებზე შესრულებული ტექსტები, როგორც შენიშვნების გალების გზით აღაპის გაჩენის უზრუნველმყოფელი იურიდიული დოკუმენტები .....	103
<b>ლადო მირიანაშვილი</b> Text Inscribed on the Icons Commissioned by Levan II Dadiani as Legal Documents Providing Grant Support for Holding Agape Services and Agape Meals <b>Lado Mirianashvili</b>	

ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტები (სამონეტო დიზაინის გადახალისება).....	122
<b>ირაკლი ფაღავა</b> Coins of Bagrat IV the Nobelissimos (Modifying the Coin Design) <b>Irakli Paghava</b>	
ელია იბნ 'უბაიდის „არაბული ნომოკანონის“ ერთი ცნობის განმარტებისთვის.....	134
<b>დავით ჩიქოვანი</b> The Explanation of One Reference to Eliya Ibn 'Uбайд's "Nomocanon Arabicum" <b>Davit Chikovani</b>	
მესხეთის პოლიტიკური გეოგრაფია ახ.წ. I საუკუნეში .....	140
<b>გიორგი ჭეიშვილი</b> The Political Geography of Meskheti (the Moschian Country) in the 1 <sup>st</sup> Century A.D. <b>Giorgi Tcheishvili</b>	
<b>ისტორიოგრაფია.....</b>	<b>151</b>
<b>HISTORIOGRAPHY</b>	
წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლის ისტორიიდან .....	153
<b>ქეთევან მანია</b> The Life and Legacy of of Grigol Peradze <b>Ketevan Mania</b>	
ციხე-საპყრობილები იმპერიულ რუსეთში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა) .....	160
<b>ნიკოლოზ სარაჯიშვილი</b> Prisons in Imperial Russia (at the turn of the 19 <sup>th</sup> -20 <sup>th</sup> Centuries) <b>Nikoloz Sarajishvili</b>	
<b>საარქივო მასალების პუბლიკაცია .....</b>	<b>167</b>
<b>PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS</b>	
მარიამ პრიტვიცის უცნობი წერილები მაქარაშვილების ოჯახისადმი.....	169
<b>გიორგი სოსიაშვილი</b> The Unknown Letters of Marie Prittwitz to the Makarashvili Family <b>Giorgi Sosiashvili</b>	
<b>წყაროთა თარგმანი და წარდგინება.....</b>	<b>185</b>
<b>TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES</b>	
პეტრე ბუტკოვი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შესახებ.....	187
<b>დავით მერკვილაძე</b> <b>ერეკლე ხუციშვილი</b> Petr Butkov on the Conclusion of the Georgievsky Treaty <b>Davit Merkviladze</b> <b>Erekle Khutsishvili</b>	
გრაფი ლუი-ფრანსუა დე ფერიე სოვებეფის მისია აღმოსავლეთის ქვეყნებში 1782-1789 წლებში და მისი ცნობები საქართველოს შესახებ .....	195
<b>ირინე ნაჭყებია</b> Mission of Count Louis-Francois de Ferrières Sauvebeuf to the Eastern Countries In 1782-1789 and his reports about Georgia <b>Irine Natchkebia</b>	

**კომენტარები.....203**  
**COMMENTS**

Tekur/Takawwur: სიტყვებით თამაში *Hašt Bihišt*-ის მეექვსე წიგნში .....205  
**მუსტაფა დეჰჰანი**  
Tekur/Takawwur: A Case of Word Game in *Hašt Bihišt VI*  
**Mustafa Dehqan**

საჭიროა კი *Hašt Bihišt*-ის მეექვსე წიგნში სიტყვა *pānǧdahum* ჩავასწოროთ  
სიტყვით *pānzdahum*?.....208  
**მუსტაფა დეჰჰანი**  
Is the Emendation of *pānǧdahum* to *pānzdahum* Necessary in *Hašt Bihišt VI*?\*  
**Mustafa Dehqan**

**წიგნების მიმოხილვა.....211**  
**BOOK REVIEWS**

ახალი მონოგრაფია „ნიცშე და ქრისტიანობა“.....213  
**კონსტანტინე ბრეგაძე**  
New monograph “Nietzsche and Christianity”  
**Konstantine Bregadze**

„კავკასიის ისტორია“.....216  
**ალექსანდრე დაუშვილი**  
“History of the Caucasus”  
**Aleksandre Daushvili**

„ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
ჟურნალი“ (3, 2022) .....219  
**ალექსანდრე თვარაძე**  
“Chronos: Journal of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology” (3,2022)  
**Aleksandre Tvaradze**

თემო ჯოჯუას წიგნი „კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების  
ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ (ორი ტომი) .....222  
**ლადო მირიანაშვილი**  
A Two-Volume Work by Temo Jojua “The Georgian Manuscripts From the Princes  
Czartoryski Library of the National Museum of Krakow”  
**Lado Mirianashvili**

ალექსანდრე უბირიას წიგნი „დემოგრაფიული ციკლები და გლობალური  
უსაფრთხოება“ .....227  
**მიხეილ ქართველიშვილი**  
A Book by Aleksandre Ubiria: “Demographic cycles in history and Global Security”  
**Mikheil Kartvelishvili**

„სტუდენტური საისტორიო ძიებანი“ (2022, II).....230  
**მიხეილ ქართველიშვილი**  
**ნიკოლოზ სარაჯიშვილი**  
**ზაზა ქარჩავა**  
“Student Historical Researches” (2022, II)  
**Mikheil Kartvelishvili**  
**Nikoloz Sarajishvili**  
**Zaza Karchava**



**ქრონიკა .....235**  
**CHRONICLE**

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIV ნომრის წარდგინება .....237

**მარიამ ჩხარტიშვილი**  
**ზურაბ თარგამაძე**

Presentation of the 24th Volume of the Scientific Journal “Georgian Source-Studies”

**Mariam Chkhartishvili**  
**Zurab Targamadze**

პროფესორ პაველ ჩობანიანის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო  
კონფერენცია: „კავკასიის ისტორიის პრობლემები“ .....243

**სოფიო ქადაგიშვილი**  
**ზურაბ თარგამაძე**

International Scientific Conference: "Problems of the History of the Caucasus", Dedicated  
to the 75<sup>th</sup> anniversary of Prof. Pavel Chobanyan

**Sopio Kadagishvili**  
**Zurab Targamadze**

ევროპის სოციალური მეცნიერების ისტორიის კონფერენცია (2023) .....247

**სოფიო ქადაგიშვილი**

European Social Science History Conference (2023)

**Sopio Kadagishvili**

წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენცია: „საქართველო და  
ქრისტიანული ცივილიზაცია III, ქრისტიანული აღმოსავლეთი და კავკასია“ .....250

**სოფიო ქადაგიშვილი**

Saint Grigol Peradze International Conference: "Georgia and Christian Civilization III,  
the Christian East and the Caucasus"

**Sopio Kadagishvili**

მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე .....253

**ცირა ჯანაშია**

An Important Publication on Georgian-Polish Relations

**Tsira Janashia**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:  
„არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ .....257

**ქეთევან მანია**

International Scientific Conference: “Archival Studies, Source Studies – Trends and Challenges”

**Ketevan Mania**

საერთაშორისო კონფერენცია „ისტორიული მოღვაწეების როლი  
ისტორიაში და კოლექტიური მეხსიერება“ (სკოპიე, 6–8 ნოემბერი 2023) .....259

**სოფიო ქადაგიშვილი**

International Conference “The Role of Historical Figures in History and  
Collective Memory” (Skopje, November 6-8, 2023)

**Sopio Kadagishvili**

**ინფორმაცია.....261**  
**INFORMATION**

კაბენის მონასტრის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)  
ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის შესახებ .....263

**ვასილ ჭიჭაღუა**  
**ანზორ მჭედლიშვილი**

On the Temple of the Assumption of the Virgin Mary of Kabeny Monastery  
(Tetrtskaro Municipality)

**Vasil Tchitchagua**  
**Anzor Mtchedlishvili**

**IN MEMORIAM ..... 267**  
**ხსოვნა**

ზაზა ალექსიძე გახსენება .....269

**ნათია ჩანტლაძე**

Remembering Zaza Aleksidze

**Natia Chantladze**

**GUIDELAINS FOR AUTHORS..... 274**  
**გზამკვლევი ავტორთათვის**

## რედაქტორებისაგან

მკითხველებს ვთავაზობთ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალ, XXV ტომს.

ჩვენი ჟურნალი კვლავაც მრავალფეროვან მასალას წარმოუდგენს სამეცნიერო საზოგადოებას. სტატიები განაწილებულია რამდენიმე სექციაში. ესენია: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები; ისტორიოგრაფია; საარქივო მასალების პუბლიკაცია; წყაროთა თარგმანი და წარდგინება; კომენტარები; წიგნების მიმოხილვა; ქრონიკა; ინფორმაცია; ხსოვნა. ჭამში სამ ათეულამდე მეტი წერილი ქვეყნდება ჟურნალის ამ ნომერში. როგორც კვლევითი, ასევე სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი საინფორმაციო სტატიები გამდიდრებულია ფოტომასალით. ავტორები არიან ჰუმანიტარიის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, როგორც დამოუკიდებელი მკვლევრები, ისე სხვადასხვა უნივერსიტეტისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ვიმედოვნებთ, რომ სამეცნიერო საზოგადოება ინტერესით გაეცნობა ჟურნალის ამ ნომერს.

**გიული აღასანია**

**მარიამ ჩხაჩიშვილი**

**ზურაბ თაგამაძე**

თბილისი, 2023 წელი, 6 ნოემბერი

## EDITORIAL

It is our pleasure to introduce the new N25 issue of „Georgian Source-Studies“. As always, the journal presents a variety of materials. The articles are distributed in the following sections: Researches in Field of History and Source-studies; Historiography; Publication of Archival Materials; Translation and Presentation of Sources; Comments; Book Reviews; Chronicle; Information, In Memoriam. In total there are about three dozen papers published in the present issue. All publications are enriched with photos. The authors work in various field of humanities. Part of them are independent researchers, another part are representatives a dozen research centers and universities.

We are convinced that this issue of the journal, like all the previous ones, will inspire great interest of the scientific public.

**Giuli Alasania**

**Mariam Chkhartishvili**

**Zurab Targamagze**

Tbilisi, November 6, 2023

**ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი  
კვლევები**  
**RESEARCHES IN FIELD OF HISTORY  
AND SOURCE-STUDIES**



## ქართული ფეოდალური სოფლის ტერიტორიული აღნაგობის გენეზისი

**ტარასი ახალაია**

დამოუკიდებელი მკვლევარი  
akhalaia\_taras@yahoo.com

კახა თორელი 1260 წელს რკონის ღმრთისმშობლისადმი მიცემულ „დანერილში“ წერდა: „მოგუიწსენებია სოფელი ხოვლე ზურიტა, ხოდაბუნითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღურიტა: საჯმრითა და უჯმრითა, და სოფელი სამსახურიტა და ბეგრიტა“ (ენუქიძე და სხვები 1984: 148).

ამ ცნობის განხილვისას ნ. ბერძენიშვილი ასკვნის:

აქ ორგვარი გაგებითაა სოფელი: სოფელი – საბატონო კუთვნილება საბატონო მეურნეობით (ზუარი, ხოდაბუნი, ტყე-ველი, წყალი, წისქვილი) და სოფელი საგლეხო ფუძეებად დაყოფილი და გლეხებით დასახლებული მათი სამსახურით და ბეგრით ბატონისა და მისი სახლისათვის. ესაა ტიპური სოფელი XII–XIII სს. ამის შემდეგ ქართულ სოფელს აღნაგობის მხრით არსებითი ცვლილება არ განუცდია. ... სოფელი ორად იყო გაყოფილი – სასახლე (ხოდაბუნი და ზვარი) და მებეგრენი (წვრილი გლეხური მეურნეობა) (ბერძენიშვილი 1974: 124-125).

ფეოდალური სოფლის აღნაგობის ანალოგიური სურათი აისახა მელქისედეკ კათალიკოსის „დანერილში“ (1031–1033 წწ.). მელქისედეკმა საკურთხეველზე ჟამისმწირველი დაადგინა: „და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და ჟამისმწირველსა და მივსცენ: თეძს: გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა და ვენაჯი ა, მიწა ა, წისქვილნი ა და ქალაჲ. და ოტათლოანს – გლეხნი ა, ციხედიდს – გლეხნი ა, ბ – ნივე ფუძითა სრულითა და ვენაჯი ა“ (ენუქიძე და სხვები 1984: 27). ამ ცნობის თანახმად, კათალიკოსმა ჟამისმწირველს „სრულ ფუძეზე“ მსხდომი გლეხების გარდა ვენახი, მიწა, წისქვილი და ქალა უჩინა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ თუ „სრული ფუძე“ გლეხის პირად საკარმიდამო მეურნეობას ქმნიდა, „სრული ფუძის“ გვერდით ჩამოთვლილი ვენახი, მიწა, წისქვილი და ქალა საგლეხო მეურნეობის გარეთ შექმნილ სამეურნეო ერთეულებად წარმოიდგინებოდა.

1200 წლის ახლოს შიომღვიმის მონასტრის კრებული „დანერილს“ აძლევს კვირიკე კახთა მეფის მწირველ-მეაღაპეს ზოსიმეს და მის გამზრდელ იოვანეს, სადაც წერია: „რუეთს საკურთხეველისა საგლეხოსა ვენაჯსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არ მამულენი, მიწაი ვენაჯად აეშენა და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. [...] და კულა მასვე ვენაჯსა საგლეხოსა ზედა იოვანეს [...] ნაკალოები მჭედლურა ეყიდა და ზედავე მოეკიდა“ (ენუქიძე და სხვები 1984: 89). მოყვანილი ცნობა მიგვითითებს, რომ საგლეხო მეურნეობაში არსებულ ვენახს „საგლეხო ვენახი“ ერქვა.

თუ როგორ იქმნებოდა „ფუძედ“ წოდებული საგლეხო მეურნეობა, კარგად ჩანს ნიკორწმინდის „დანერილიდან“ (XI ს.). აღნიშნულ საბუთში ნიკორწმინდელი წინამძღვარი წერს: „ეფრემ შემოსწირა ყანაჲ ბ ხოტეველისა სულისათვს. იგი და ნასყიდი ერთგან შევკრიბე და გლეხნი დავასახლე [...] ბეგარასა გარდაიწდიდის. [...] ჴივშს, ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაჯი [...] და მივეც გლეხსა საბეგროდ“ (ენუქიძე და სხვები 1984: 42). ამრიგად, ნიკორწმინდელი „საგლეხო ვენახსა“ თუ „საგლეხო ყანას“ ქმნის, მასზე გლეხებს ასახლებს და ბეგარის გადახდას აკისრებს (ბერძენიშვილი 1979ა: 81-82). ეს ნიშნავს, რომ

„საგლეხო ვენახი“ თუ „საგლეხო ყანა“ „სრულ ფუძეში“ შემავალ სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ და სრული ფუძე ამ და სხვა სამეურნეო ერთეულებისგან შედგებოდა.

მელქისედეკ კათალიკოსი თავის „დაწერილში“ გვამცნობს, რომ ჩოჩეთს მოუგია „უბანი ა, მიწა და ვენაჯი სასეფოდ“ (ენუქიძე და სხვები 1984: 26). ამრიგად, თუ შიომღვიმის „დაწერილში“ „საგლეხო ვენახი“ იხსენიება, მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილი“ „სასეფო ვენახს“ იცნობს, რის გამოც „სასეფო ვენახი“ „საგლეხო ვენახისგან“ განსხვავებული სამეურნეო ერთეული უნდა იყოს.

ატენის სიონის წარწერაში (1060-1068 წწ.) კი „სასეფო ვენახის“ ნაცვლად „სეფე-ზვარი“ გვხვდება:

მე გ'რგნლმან, მირიანის ყმაძან, თარხოონის ძისამან, ატენის ციხის თავმან ავაგენ სახლნი და ქოლბაქი მას ჟამსა, ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ ობრძანეს მიწასა მათსა მირიანსა, პატრონსა ჩემსა, სეფესა ზოჯარსა შიდა ქალაქისა შენებად (ჯავახიშვილი 1912: 289-290).

ამრიგად, „სეფე-ზვარი“ ვრცელი სამეურნეო ერთეულია და მასზე ქალაქის გაშენება იყო შესაძლებელი.

„სეფესთან“ დაკავშირებულ სოციალურ ტერმინთა შორის ცნობები „სეფე-ყანის“ შესახებ ნიკორწმინდის „დაწერილში“ შემოინახა. ნიკორწმინდის წინამძღვარი წერს: „ძირგეულს ვიყიდე სეფესა ყანასა თანა ჭარტლისძისაგან ყანად“ (ენუქიძე და სხვები 1984: 42). ამ ცნობიდან ჩანს, რომ ძირგეულში ყოფილა „სეფე ყანა“, რომლის მეზობლად ჭარტლისძის საკუთრებაში არსებული ყანა მდებარეობდა, რაც ნიშნავს, რომ ჭარტლისძის „ყანა“ განსხვავდებოდა „სეფე-ყანისაგან“. „სეფე-ყანა“ სამეფო საკუთრებაში არსებულ ყანას რომ არ ნიშნავდა, იმავე საბუთის სხვა ცნობიდან დასტურდება: „შქმერს ვიყიდე შქვლოდსგან გლეხი ა და სასეფონი ყანანი“ (ენუქიძე და სხვები 1984: 42). შქვილოისძე გლეხების მფლობელია და იგი აზნაური ჩანს. აქ მოხსენიებული „სასეფო ყანა“ სამეფო ქონების აღმნიშვნელი არ არის, რადგან მისი მესაკუთრე შქვილოისძეა. ამ ცნობასთან დაკავშირებით მ. ბერძნიშვილი შენიშნავს:

გამოდის, რომ სასეფო ყანათა მფლობელი კერძო პირი შქვლოის ძეა [...] მის მიერ ყანისა და გლეხის სანაცვლოდ აღებული საფასური შედარებით მცირეა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თავისთავად შქვლოის ძის „სასეფონი ყანანი“ მაინცა და მაინც ვრცელი ფართობისა არ იქნებოდა. და თუ ნიკორწმინდელი მათ სასეფო ყანებს უწოდებს, ეს არა მათი სიდიდის გამო, არამედ იმიტომ, რომ „სასეფო ყანებად“ წოდებული მიწის ეს მონაკვეთი გლეხებზე არ იქნებოდა დანაწილებული და შქვლოის ძის უშუალო დამუშავების საგანი იქნებოდა (ბერძნიშვილი 1979ა: 72).

1170 წელს შიომღვიმისათვის გიორგი III მიერ გაცემულ საბუთში ვკითხულობთ:

ნუცა რუეთსა და სხალტბასა და ნუ რომელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის: ნუ რაი სამუშაოი ჩუენი სასეფოი, თუინიერ საჯნავი გუმსახურონ ორი დღე რუეთელთა, შიოსუბნელთა და ჩიქუნურელთა, ამან სამმან სოფელმან, და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა: რუეთმა, შიოსუბანმა და ჩიქუნურთა (ენუქიძე და სხვები 1984: 69).

მეფე დემეტრე I-ს მუხრანის შენებისას შიომღვიმის ოთხი სოფლისათვის „სამუშაოი სასეფოი“ დაუკისრებია. გიორგი III-მ კი შეუვალობის განახლებისას სამივე სოფელს ყოველგვარი „სამუშაოი სასეფოი“ გააუქმა და მხოლოდ ორი დღე სახნავი და ორი დღე სამკალი დაუტოვა მათ. „სამუშაოი სასეფოიდ“ წოდებული ხვნა და მკა ამ სოფლების გლეხებს, რა თქმა უნდა, „სეფე-ყანაზე“ („ხოდაბუნი“) ეკისრებოდათ.

თუ რას ეფუძნებოდა გლეხის ვალდებულებანი, ზურაბ გელოვანის მიერ გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელისადმი მიცემული საბუთიდანაც (1660-1685 წწ.) დასტურდება: „თუ

თქვენი ყმა ფორიანი ჩვენს ალაგზედ დაასახლოთ [...] მუშაობა, მგზავრობა და სამსახური ყველა თქვენი იყოს და ბეგარას ჩვენ მოგვცემდეს“ (კაკაბაძე 1921: 81). მიწა, რომელზეც ცაგერელის გლეხს სვამენ, ზურაბ გელოვანს ეკუთვნის. ამიტომ ცაგერელის ყმა მიწაზე ჯდომის სანაცვლოდ გელოვანს „ბეგარას“ უხდის, ხოლო პატრონისაგან პირადი დამოკიდებულების გამო, ვალდებულია ცაგერელს „სამსახური“ და „მუშაობა“ „სეფე-ყანაზე“ შეუსრულოს.

ამ საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით მივუბრუნდეთ კახა თორელის 1260 წლის „დაწერილს“. ამ საბუთით კახა თორელმა სოფელი ხოვლე მასში მცხოვრები გლეხებითურთ რკონის მონასტერს შესწირა და ამ გლეხებს მონასტრის სასარგებლოდ ბეგარა და სამსახური დააკისრა. მაგრამ ამ სოფლის რამდენიმე მიწა სხვა მონასტერზე ყოფილა შეწირული, რის შესახებაც კახა თორელი წერს:

მორბედის ძის მიწაი ვარძიის ღმრთისმშობლისა იყო შეწირული და მასვე მოვაწსენე. ხობალაისძე და აბესაისძე კავთას შეწირულნი იყუნეს და მასვე შევსწირენ. ესენი ბეგარას, რაითაც შეწირულნი არიან, მუნ მიიღებდენ; და სამართალი და მამითადი განალამცა თქუენივე (ე. ი. რკონის, – ტ. ა.) იყო (ენუქიძე და სხვები 1984: 148).

როგორც მოყვანილი ცნობიდან ჩანს, თუ გლეხები ბეგარას „სრულ ფუძეზე“ სხდომის სანაცვლოდ იხდიან, ბატონისგან პირადი დამოკიდებულების გამო, პირადი შრომა – „სამართალი“ და „მამითადი“ საბატონო მეურნეობაზე ეკისრებოდათ (ბერძენიშვილი 1979ბ: 129). ეს კი კარგად წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ სოფელში შემავალი მიწა ორ ნაწილად იყოფოდა – ერთი მხრივ, „სრულ ფუძედ“ წოდებული საგლეხო მეურნეობა და, მეორე მხრივ, სოფლის მფლობელი სენიორის საკუთრებაში არსებული საბატონო მეურნეობა, რომლის დამუშავებაც ამ სენიორის გლეხებს კოლექტიურად ევალებოდათ.

ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი დაკვირვების თანახმად, ფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში დამოწმებული ტერმინები – „სეფე-ყანა“, „სეფე-ზვარი“ და „სეფე-ვენახი“ იმ ხანაში ჩანან აღმოცენებული, როდესაც „სეფე“ ჯერ კიდევ ცოცხალი სოციალური ტერმინი იყო, ფეოდალური ხანის წყაროებს კი მხოლოდ გაქვავებული ფორმით შერჩნენ კერძო ბატონების კუთვნილი ნაკვეთების აღსანიშნავად (ნ. ბერძენიშვილის აზრი მოყვანილია ნიგინიდან – ბოგვერაძე 1979: 116-117).

რაკი ზემოჩამოთვლილი ტერმინები „სეფესთან“ დაკავშირებულ სოციალურ ტერმინთა რიგს განეკუთვნებიან, ამჯერად ტერმინ „სეფეს“ სოციალურ ისტორიას გავადევნოთ თვალი.

ძველი ქართული სოციალური ტერმინი „სეფე“ „ოჩე“ ტერმინის ნაანდერძევი ყალიბიდან მომდინარე სიტყვად უნდა ჩაითვალოს. დიაქრონული თვალსაზრისით „ო-ჩე-ე“-ს ფუძე შეიცავს მეგრულ-ჭანურში ფართოდ გავრცელებულ ო-ე პრეფიქს-სუფიქსსა და -ჩე- ძირულ მორფემას. თუკი მეგრულ-ჭანური ო-ე-ს ქართულ ეკვივალენტს სა-ე-ს ცირკუმფიქსი წარმოადგენს, მეგრულ-ჭანური -ჩე- ძირის შესატყვისი ქართული -ც-, სვანური -შ- და საერთო-ქართველური \*-ც<sub>1</sub>- ძირი ეტიმოლოგიურად „დიდის“, „დიდობის“ გაგებას შეიცავდა. ეს ძირი დასტურდება შედარებითი ხარისხის ფორმებში – ქართული ხ-უ-ც-ე-ს-ი, მეგრულ-ჭანური უ-ჩე-ა-შ-ი (უფროსი), სვანური ხ-ო-შ-ა (დიდი, უფროსი, წინაპარი). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კი მივიღებთ „ოჩეს“ ზუსტ ტერმინოლოგიურ ინტერპრეტაციას: „ოჩე“ არის ის, რაც „დიდისთვის“, უფროსისათვის არის განკუთვნილი, ანუ „საუფროსო“, „საუხუცესო“ (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968: 382-383, 388-390).

ზ. ალექსიძე და გ. მაჭავარიანი მეგრულ -ოჩე-ს („საუხუცესო“) საერთო-ქართველურ არქეტიპად \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე-ს („სადიდო“, „საუფროსო“) ვარაუდობენ. მართალია, \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე „საუხუცესოს“ მნიშვნელობით ძველქართულ წყაროებში არ დასტურდება, მაგრამ მეგრული „ოჩე“ და ძველი ქართული „სეფე“ \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე-ს ნაანდერძევი ყალიბიდან მომდინარეობენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე-სა და ო-ჩე-ე-ში „დიდობის“ აღმნიშვნელი საერთო-ქართველური \*-ც<sub>1</sub>- და მეგრულ-ჭანური -ჩე- ძირი გამოიყოფა, სეფე-ში ქართულ-მეგრულ-ჭანურ -ფ- ძირს გამოყოფენ, რომელიც „უფროსს“ გამოხატავდა „მფლობელობის“



მნიშვნელობით (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968 : 381 – 402). იგივე -ფ- ძირი გამოიყოფა ძველქართულ სოციალურ ტერმინებში „მეუფე“, „მეფე“, „უფალი“, „სოფელი“, „სამეუფო“, „სუფევა“ და ა. შ. (ჯანაშია 1949: 159-162); (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968: 396); (მამულია 1979: 55-58).

როგორც ცნობილია, ძვ. წ. III-II ათასწლეულის ძველქართულ ტომებში სოციალურად პატრიარქალურ-გვაროვნული საზოგადოება ჩამოყალიბდა. აღნიშნული საზოგადოების ძირითად სოციალურ უჯრედს ძველი ქართული „სახლი“ წარმოადგენდა, რომელსაც თავში „მამასახლის“ – „ხუცესად“ (მეგრულ-ჭანურად „უჩაში“) წოდებული ასაკით უხუცესი პირი ედგა (ჯავახიშვილი 1905: 16); (მამულია 1979: 44 - 45). თუ „მამასახლისი“ სახლის, ანუ გვარის „მამას“ (უფროსს, მმართველს) აღნიშნავდა, „ხუცესი“ თავის თავში ასაკით და, შესაბამისად, სოციალურად უფროსის ცნებას იტევდა. როდესაც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს ისტორიული ქართლის მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში სოციალური განშრევების შეუქცევადი პროცესი დაიწყო, საერთო-ქართველური -ც<sub>1</sub>- („დიდი“, უფროსი) ძირიდან ნაწარმოები „ხუცესი“ და „უჩაში“ უკვე ვეღარ გამოხატავდნენ იმ სხვაობას, რაც სოციალური თვალსაზრისით აღზევებული „სახლის“ „ხუცეს“-„უჩაშსა“ და და დამცრობილი „სახლის“ „ხუცეს“ – „უჩაშს“ შორის სუფევდა და სოციალური განშრევების შედეგად წარმოქმნილმა სოციალური ურთიერთობების ახალმა ფორმებმა -ფ- („ფლობა“, ბატონობა) ძირიდან ნაწარმოებ სოციალურ ტერმინებში ჰპოვა ასახვა, რის გამოც „ხუცესი“ („მამასახლის“ – „უფლად“, „მეუფედ“ და „მეფედ“ გარდაიქმნა, „უფალის“ ფლობის ობიექტს (მიწა-წყალს) „სოფელი“, „სამეუფ(ლ)ო“ და „სასუფეველი“ შეერქვა, ხოლო „უფალის“ ბატონობას „სუფევა“ ეწოდა (მამულია 1979: 55-58). ასე გარდაიქმნა „ხუცესი“ სოციალურად უფროსიდან (-ც<sub>1</sub>- „უფროსი“) „უფლად“, „მეუფედ“ და „მეფედ“ (-ფ- „ფლობა“, ბატონობა) წოდებულ „მფლობელ“, მესაკუთრე, გაბატონებულ „ხუცესად“.

„სეფე“ „მეფე“-ს (მეგრულ-ჭანური „მაფა“) საპირისპირო ცნებაა. ზ. ალექსიძისა და გ. მაჭავარიანის მოსაზრებით, თუ -ფ- ძირის ზოგადი მნიშვნელობიდან ამოსვლით „მე-ფ-ე“ შეიძლება განიმარტოს, როგორც აქტიური შინაარსის მქონე ნაზმნარი სახელი (მიმღეობა) „მფლობელის“, „მქონებელის“ მნიშვნელობით, ცხადია, ამგვარ შემთხვევაში სე-ფ-ე უნდა გავიგოთ, როგორც სათანადო პასიური მიმღეობა – „ის, ვინც ვილაცას (მე-ფ-ე-ს) აქვს, ერგება, ეკუთვნის“ (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968: 396-402).

ამრიგად, საერთო-ქართველურ -\*ც<sub>1</sub>- ძირსა და -ფ- მორფემას შორის სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ -\*ც<sub>1</sub>- ძირი, ზოგადად, „დიდის“, უფროსის მნიშვნელობით ძველქართულ ტომთა პატრიარქალურ-გვაროვნული საზოგადოების პირმშოა, -ფ- ძირი „მფლობელის“ (ბატონის) მნიშვნელობით სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას შემოჰყვავს, რის შედეგადაც „საუხუცესოს“ აღმნიშვნელ საერთო-ქართველური \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე ძირიდან -სეფე- ტერმინი აღმოცენდა (მამულია 1987: 80-81).

ძველქართულ წყაროებში დამონშებული „საუხუცესო“ (გვიანფეოდალური ხანის „საუფროსო“), ჩვეულებრივ, გვარის გაყოფისას „მამის“, როგორც უფროსი თაობის ძმებს შორის უხუცესი ძმის წილს აღნიშნავდა. ამის გამო, ადვილი შესაცნობია, თუ რატომ მიემართა „ოჩე“-„საუხუცესო“ – („\*საცე“) ტერმინები მიწა-წყალს. „ოჩე“-„საუხუცესო“ – (\*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე) ის მიწა-წყალი არის, რომელიც გვარის მეთაურს ეკუთვნოდა (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968: 383-388). ანუ ვინც „საუხუცესოს“ ფლობდა, გვარის მმართველიც ის იყო. და რადგან პატრიარქალური თემი თუ ტომი ძველი ქართული „სახლის“ სოციალურ სტრუქტურას იმეორებდა, ძნელი მისახვედრი აღარ არის, რომ ძვ. წ. III-II ათასწლეულის კოლხურ-იბერიული თემის უხუცესებსა თუ ტომის ბელადებს პატრიარქალური „სახლის“ მეთაურის დარად \*ს<sub>1</sub>ა-ც<sub>1</sub>-ე-„ოჩედ“ წოდებული „საუხუცესო“ მიწები უნდა ჰქონოდათ (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968 : 383-388).

ძვ. წ. II-I ათასწლეულის ძველი ქართული პატრიარქალური თემის სოციალური აღნაგობის სურათი ხევსურეთის ეთნოგრაფიამ შემოგვინახა „ჯვარისყმობის“ ინსტიტუტის სახით, რის გამოც ხევსურული სატაძრო თემის აღწერაზე დანვრილებით შევჩერდებით. როგორც ცნობილია, ხევსურეთში ეთნოგრაფიულად დადასტურებული სატაძრო თემის ცენტრში ჯვარ-ხატად წოდებული საერთო-სათემო სალოცავი იდგა ღვთაების საკულტო და

სამეურნეო ნაგებობებით. რადგან მიწის უზენაეს მესაკუთრედ თემის მფარველი ღვთაება – „ჯვარიონად“ ჯვარი (ხატი) გამოდიოდა, მეთემენიც ჯვარისადმი „ყმობის“ პირობით ჯვარ//ხატის კუთვნილ მიწას ფლობდნენ, რის გამოც მეთემე „ჯვარისყმად“ იწოდებოდა (ბარდაველიძე 1952: 624-629).

ხევსურეთის ყველა თემური ორგანიზაცია ორ ძირითად საზოგადოებრივ ჯგუფად – „ჯვარიონად“ (//„ხატიონად“) და „ერისაგანად“ იყოფოდა. „ერისაგანნი“ სრულუფლებიან მეთემეებს (persone sui iuris) წარმოადგენდნენ, ხოლო „ჯვარიონნი“//„ხატიონნი“ – ჯვარ-ხატის მუდმივი ან დროებითი მსახურები – „ჯვარიონად“ იმავე რიგითი მეთემეებიდან დგებოდნენ და თემის თეოკრატიულ ხელისუფლებას განასახიერებდნენ. ხევსურული სატაძრო თემის საკუთრებაში არსებული მიწა ორ ნაწილად – „ჯვარიონად“ სათემო და ჯვარ-ხატის/(ტაძრის) მიწებად იყო დაყოფილი. სათემო მიწები ჯვარისყმათა აგრარული მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა და მათი გვარების მფლობელობაში იყო, ჯვარ-ხატის მიწებს კი მეთემენი კოლექტიურად ამუშავებდნენ. ჯვარ-ხატის მიწაზე მოწეული მოსავალი ხატში მიდიოდა და თუმცა ხევსურთა რელიგიური წარმოდგენებით აღნიშნული ბეგარა თემის მფარველ ღვთაებებს მორიგე ღმერთთან ზეცაში აჰქონდათ, ვ. ბარდაველიძის დაკვირვებით, ჯვარის მიწაზე მოწეული მოსავალს უშუალოდ ჯვარიონი (ხატიონი) ითვისებდა (ბარდაველიძე 1952: 624-629); (ბარდაველიძე 1959:159-166); (ერიაშვილი 1982: 6-7).

შეიძლება ითქვას, რომ თემის „ჯვარიონად“ წოდებული თეოკრატიული ხელისუფლება, რომელსაც თავში „ჯევისბერი“ ედგა, ძვ. წ. III-II ათასწლეულის ძველი ქართული სატაძრო თემის მმართველ „ხუცესთა“ სოციალური მემკვიდრეები არიან, რის გამოც ხევსურეთის ეთნოგრაფიაში დამონშებული „ჯევისბერი“ ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე „მამასახლის“-„ხუცეს“-„უხუცეს“ (//მეგრულ-ჭანურ „უჩაშად“) შეიძლება განიმარტოს მხოლოდ. ამის გამო, ძნელი მისახვედრი აღარ არის, რომ ის „ჯვარის მიწები“, რომლის რეალურ მფლობელსაც ხევსურეთში „ჯვარიონად“ წოდებული „ხუცესები“ წარმოადგენდნენ, გენეტურად „საუხუცესოს“ უკავშირდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯვარიონად“ წოდებული „ხუცესები“ ჯვარის მიწებს „საუხუცესოს“ უფლებით ფლობდნენ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III-II ათასწლეულის ძველი ქართული სატაძრო თემის საკუთრებაში არსებული მიწა-წყალი ორ ნაწილად იყოფოდა – „შვილების“ (სრულუფლებიან მეთემეთა) კუთვნილ წილად და „\*საცე“ – წოდებულ „საუხუცესოდ“, რომელსაც თემის მმართველი „მამასახლისი“ – „ხუცესი“ – „უჩაში“ ფლობდა.

როდესაც სოციალური აღზევების შედეგად „ხუცეს“-„უჩაშის“ სახლი „სეფე“ (გაბატონებულ „სახლად“) გარდაიქმნა და „ხუცეს“-„უჩაშის“ (უფროსის) ადგილი „უფალმა“-„მეუფ(ლ) ე“-„მეფემ“ („მფლობელმა“, ბატონმა) დაიკავა, „საუხუცესო“-„ოჩე“-„\*საცეს“ „უფალის“//„მეუფის“ კუთვნილი – „სეფე“ და „სასეფო“ ეწოდა (მამულია 1987: 80-85). ამის გამოც, „სეფე ყანა“ („სასეფონი ყანანი“), „სეფე-ვენაჯი“ („ვენაჯი სასეფო“) და „სეფე-ზვარი“, რომელიც „სეფეში“ (სასახლეში) მჯდომი „მეუფის“ („უფალის“, ბატონის) კუთვნილ ყანას, ვენახსა თუ ზვარს ნიშნავს, წარმოშობით იმ „უჩაშის“ კუთვნილი ოჩე-ყანა, ოჩე-ვენახი და ოჩე-ზვარი არის, რომლის სოციალურ მემკვიდრესაც „სეფეს“ თავში მჯდომი „უფალი“ წარმოადგენდა. ყოველივე ზემოთქმული კი თავისთავად გამორიცხავს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც „სასეფო“ მიწებს მხოლოდ სამეფო დომენად, სამეფო სახლის საკუთრებად მიიჩნევენ.

ძველი ქართული წყაროების შესწავლის შედეგად ი. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ძველ ქართულ ტომებში ყველა სოციალურ ორგანიზაციას უხუცესობის პრინციპი მსჭვალავდა, რის გამოც გვარის მეთაურად ასაკით უხუცეს პირს ირჩევდნენ (ჯავახიშვილი 1905: 16) და მამის ძალაუფლება (patria potestat) უხუცესობის პრინციპის საფუძველზე, ასაკით უფროს შვილზე – „პირმშობე“ გადადიოდა. სწორედ უხუცესობის პრინციპს უკავშირდება ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებული „პირმშოს“ – უფროსი შვილის ინსტიტუტი. II ნეშტას 21. 3-ში ვკითხულობთ, რომ ისრაელის მეფე იოსაფატმა თავის შვილებს გაუნაწილა ქონება, ხოლო „მეფობად მისცა იორამს, რამეთუ ესე იყო ძე მისი პირმშო“. ეს ცნობა ადასტურებს, რომ მეფის ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველს „პირმშობა“ წარმოადგენდა.

„პირმშოს“, როგორც ძველი ქართული სამართლიდან მომდინარე უძველესი სოციალური ინსტიტუტის შესასწავლად საინტერესო ცნობები ბიბლიის წიგნების ძველქართულ თარგმანებში შემოინახა. მკვლევრები დიდი ხანია, ყურადღებას აქცევენ II რჯულის 21. 15-17-ში ასახულ ცნობას ძველ ებრაულ ტომებში მოქმედი წესის შესახებ, რომლის თანახმად, კაცს, რომელსაც რამდენიმე ცოლი ჰყავდა, არ შეეძლო პირმშოობის უფლება წაერთმია უფროსი შვილისათვის, რომელიც საძულველი ცოლისგან ჰყავდა და სხვა შვილისთვის გადაეცა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი საყვარელი ცოლის ვაჟია. გელათური ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ვერ უძლოს გაპირმშოება ძესა პირმშოსა მას შეყუარებულისასა“ (II რჯული, 21. 16). ამ ცნობის თანახმად, მამა საყვარელი ცოლის შვილს ვერ „გააპირმშოებს“, თუკი უფროსი შვილი ჰყავს. უმცროსი შვილის „გაპირმშოება“ კი იმაზე მიუთითებს, რომ „პირმშოება“ სოციალური სტატუსია.

მცხეთურ ბიბლიაში იგივე მონაკვეთი ასეა თარგმნილი: „ნუ ახუცებნ შვილსა მას საყუარელისასა უხუცესსა მას შვილსა საძულელისასა, ნუცა შეურაცხ-ჰყოფნ პირმშოებასა მისსა. არამედ უხუცესი იგი ნაწილი მის საძულელისასა მიეცენ შენდობით, [...] რამეთუ [...] მისდა წეს არს პირმშოება იგი“ (II რჯული 21. 16-17). ძველი ქართული სოციალური ტერმინებით მოაზროვნე მთარგმნელისათვის „ნუ ახუცებნ შვილსა მას“ ნიშნავს, რომ მამას არ შეუძლია უმცროსი შვილი გააუფროსოს („ახუცოს“) და ამით უფროსი შვილის „პირმშოება“ შეურაცხყოს, ანუ უფროს შვილს გარკვეული უფლებები და ამ უფლებებზე მიბმული სტატუსი ჩამოართვას.

მცხეთური ბიბლიის მთარგმნელის სიტყვები: „რამეთუ [...] მისდა წეს არს პირმშოება იგი“, იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ წესს „წესი პირმშოებისა“ ეწოდებოდა. „წესი პირმშოებისა“ კი მიუთითებს, რომ „პირმშოება“ სოციალური ინსტიტუტია და რომ გვარის მმართველის წელის (პოტესტას) მიღებაც მასთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, მამასახლისის წელის (ძალაუფლების) ლეგიტიმაციას „წესი პირმშოებისა“ ახდენდა, რომლის სიმბოლურ გამოხატულებას „საუხუცესო“ წილი წარმოადგენდა. „პირმშო“ მამასახლისის წელის (პოტესტას) მემკვიდრე იყო და მემკვიდრეობის გაყოფისას მას დამატებით ერგებოდა „საუხუცესო“ წილი. ეს ნიშნავს, რომ პირმშო ფლობს „საუხუცესოს“ და ვინც „საუხუცესოს“ ფლობს, გვარის მმართველიც ის არის.

„პირმშოს“ ინსტიტუტის შესასწავლად საინტერესო ცნობები „ქართლის ცხოვრებამაც“ შემოგვინახა. ლეონტი მროველთან შემონახული გადმოცემის თანახმად, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი (IV საუკუნის I ნახევარი) სპარსთა მეფე ქასრეს (ხოსროს) უფროსი შვილია. როდესაც სპარსეთში ქასრე გარდაიცვალა, მირიანი ამ დროს ქართლის მეფეა, ხოლო სპარსეთის სამეფო ტახტს მისი უმცროსი ძმა – ბარტამი დაეუფლა. მირიანმა ლაშქარი შეკრიბა და ტახტის საძიებლად სპარსეთს გაემართა. ლეონტის მიხედვით, იგი ასე ასაბუთებდა თავის ლეგიტიმურ უფლებებს სპარსთა მეფობაზე:

პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოძნეს ქუეყანანი უცხონი, მკლავითა წახმულნი და მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთვის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა (ყაუხჩიშვილი 1955: 67).

ამ ცნობის თანახმად, მირიანი თავის პრეტენზიას ტახტზე პირმშოობის (უფროსი ვაჟი) უფლებით აცხადებდა. ამასთანავე, მას, როგორც პირმშოსა და ტახტის მემკვიდრეს, „საუფლისწულო“ გააჩნდა. სწორედ „საუფლისწულოა“ ტახტის მემკვიდრეობის ნიშანი (ალექსიძე, მაჭავარიანი 1968: 387-388), ანუ ვინც „საუფლისწულოს“ ფლობს, ტახტის მემკვიდრეც ის არის. ამ შემთხვევაში „საუფლისწულო“ „საუხუცესოს“ განვითარებას წარმოადგენს.

ტახტის მემკვიდრეობის საფუძველს „პირმშოება“ რომ წარმოადგენდა, ჯუანშერის ერთი ცნობაც გვიდასტურებს. ვახტანგი და სპარსთა მეფე შერიგდნენ. ვახტანგი ასე მიმართავს სპარსთა მეფეს: „უკეთუ აღასრულო სიტყუა შენი [...] მამად და უფლად გხადო შენ. დაღაცათუ ჩუენ პირმშონი ვართ, არამედ თქუენ სხდეთ საყდართა ზედა მამისა

ჩუენისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 181). ვახტანგი სპარსთა მეფეს სიუზერენად აღიარებს და მას „მამას“ და „უფალს“ უწოდებს, რომელიც, როგორც „მამას“ შეშვენის, ვახტანგის მამის ტახტზე ზის. ვახტანგი კი თავს ვასალად აღიარებს, მაგრამ თავს არა „შვილად“, არამედ შვილთა შორის გამორჩეულ, უფროს შვილად – „პირმშოდ“ მოიაზრებს, რადგან სწორედ „პირმშოა“ ტახტის მემკვიდრე.

„საუხუცესო“-ს, აც, ე-ს განვითარება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: პატრიარქალურ სახლის ქონებაში „მამის“ ჯელის სიმბოლოდ „საუხუცესოდ“ (\*ს, აც, ე-დ) წოდებული წილი გამოიყო. რადგან „მამის“ გარდაცვალების შემდეგ უფროსი „შვილი“ („პირმშო“) ხდებოდა „მამა“, მამასახლისის ძალაუფლების ნიშნად „საუხუცესოსაც“ იგი ეუფლებოდა. შემდგომ ეტაპზე „საუხუცესო“ ძმების გაყოფისას უფროსი ძმის დამატებით წილს შეერქვა. მონარქიის ხანაში კი ტახტის მემკვიდრე პირმშოსათვის (უფლისწულისათვის) განკუთვნილ „საუხუცესოს“ „საუფლისწულო“ ეწოდა. ჩვენი ძიების მიზნებისათვის კი საყურადღებო ის არის, რომ „პირმშობის“ ინსტიტუტი კიდევ ერთხელ ადასტურებს „საუხუცესოს“ ინსტიტუტის არსებობას ძველ ქართულ ტომებში.

\* \* \*

ჩვენი მიზნებისათვის ერთობ საყურადღებოა ძველქართულ სამამულო ურთიერთობის იურიდიულ საბუთებში ასახული ტერმინი – „სამართლიანი სამძღუარი“.

1297/1298 წლებში დავით VIII გრიგოლ ჭაჭნიაშვილს სიგლით უბოძებს სოფელ ლაუშაის სამამულოდ. დავით VIII წერს:

ჰქონდეს ჭარმაულსა ჭაჭნიაშვილსა გრიგოლს [...] სოფელი ლაუშაი, მისითა მიმდგომითა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სანადიროითა, და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საჯმართითა და უჯმართითა (ენუქიძე და სხვები 1984: 183-184).

ამრიგად, მთა, ბარი, ტყე, ველი, ვენახი, წყალი, წისქვილი, ჭალა და სანადირო სოფელ ლაუშაის „მიმდგომსა“ და „სამართლიან ზღვარს“ წარმოადგენდა, ანუ ტერიტორიული თვალსაზრისით, სოფელი მთლიანობაში ამ ერთეულებისაგან შედგებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოფელი ისეთი ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც საკუთრივ საგლეხო ფუძეებად დაყოფილი სოფლის გარდა სოფლის „მიმდგომ“ მიწა-წყალსაც მოიცავდა და ეს უკანასკნელი ამ სოფლის „სამართლიან ზღვარს“ ქმნიდა.

ეს ნიშნავს, რომ თითოეულ დასახლებულ პუნქტს – სოფელს, ქალაქს თუ ციხეს თავისი „სამართლიანი სამძღუარი“ ჰქონდა. დასახლებული პუნქტის „სამართლიანი სამძღუარი“ იმას ნიშნავდა, რომ ესა თუ ის სოფელი, ქალაქი თუ ციხე ტერიტორიული თვალსაზრისით ამ საზღვრებში წარმოიდგინებოდა და რომ ამ საზღვრებს შიგნით მოქცეული მიწა-წყალი ამ დასახლებული პუნქტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ანუ მისი „შესავალი“ იყო.

ფეოდალური ხანის ქართული წყაროების ანალიზის შედეგად ნ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ „სამართლიანი საზღვრის“ დადგენა მატერიალური სასაზღვრო ნიშნების შექმნაში – „საზღვრის“, „სამანის“, „მიჯნის“ თუ „ქვის“ ჩაყრა-ჩასმა-ამართვაში, „ჯვრისა“ და „წელის“ „დასმაში“, „თარჯის კვრასა“ თუ „ჯვრის შეჭრაში“ – გამოიხატებოდა. შესაბამისად, „სამართლიან სამძღუარში“ მოქცეულ ყოველ დასახლებულ პუნქტს მიჯნებზე სასაზღვრო ნიშანი – „წელი“, „ჯვარი“, „სამანი“, „მიჯნა“, „თარჯი“, „ქვა“ და ა. შ. ესვა. ტერმინი „სამართლიანი სამძღუარი“ ნიშნავდა, რომ მამული ამ საზღვრებს შიგნით „წელდადებული“ იყო და რომ ამ მამულის მფლობელობის ერთადერთ „სამართლიან“ (ლეგიტიმურ) ნიშანს ეს საზღვარი (ან სასაზღვრო ნიშანი) წარმოადგენდა (ბერძენიშვილი 1966: 154-156).

„სამართლიან სამძღუარს“ ხელისუფლება მტკიცედ იცავდა. საზღვრის „მოშლისას“ ან საზღვრის „გატეხისას“, სასაზღვრო ნიშნის (ქვის, სამნის) „მოგლეჯისას“ მოსამართლე – მეფე, კათალიკოსი, მთავარი, თავადი, ხევი, თემი – აღადგენდა „სამართლიან სამძღუარს“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოგლეჯილ სასაზღვრო ნიშანს (სამანს, ქვას) ისევ „ჩასვამდა“ ან „ამართავდა“ (ბერძენიშვილი 1966: 154-155).

საცილო მინა-წყლის გამიჯვნა, ანუ „სამართლიანი საზღვრის“ დადგენა მატერიალური სასაზღვრო ნიშნის (სამანის, ჭვარის, ქვის, ქვა კაცის) ამართვით რომ ხდებოდა, „დასტურლამალის“ ცნობითაც დასტურდება:

სამადლოველნი და ქუემო ბეშკენაშელნი ცილობდნენ: ტახტის გორა და გზამდისინ სწორეთ გარდმოუჭერით და ქუა ჩაუსვით; იმის შესწორ მალლა რომ სამი ქუა კაცი ზის, პირზე იქიმდი. გზას ზეით სამადლოველთა და გზას ქუეით ბეშკენაშელთა, ქუა კაცს ზეით მეთრევანას სამძღვრამდინ, გორას გარდაღმა ქუა კაცს ჩასწორ ჭევის პირამდი, ეძნის გზა მისდევს, კიდევ სამადლოველი ვაკე და სათიბი – ბეშკენაშელთა (დოლიძე 1965: 324).

ამ ცნობის თანახმად, ხელისუფლება ორი მოცილე სოფლის „სამართლიანი საზღვრის“ დადგენას როგორც მატერიალური სასაზღვრო ნიშნის (ქვა, ქვა კაცის) ჩასმით, ისე ბუნებრივი საზღვრის (გორა, გზა, ხევი, ტბა, ვაკე, სათიბი) გამოყენებით ახდენს.

როდესაც საბუთის გამცემი სოფლის „სამართლიან საზღვარში“ სოფლის „მიმდგომ“ მთას, ბარს, გორას, ტყეს, ველს, ვენახს, ყანას, წყალს, ჭალას, სათიბს, ვაკეს, ტბას, გზას, სანადიროს და ა. შ. ჩამოთვლიდა, აღნიშნული იურიდიული კლაუზულა ქართულ საბუთებში მიღებულ რაიმე გაქვავებულ იურიდიულ ფორმულირებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იმ კონკრეტული სამეურნეო-ტერიტორიული ერთეულების კადასტრირებას ახდენდა, რომელიც ამ სოფლის „სამართლიანი საზღვრის“ შიგნით იყო მოქცეული და ამ სოფლის მიერ იყო „ჯელდადებული“.

დავასკვნით: ტერიტორიული თვალსაზრისით სოფელი ორი ძირითადი ნაწილისგან შემდგარ კომპლექსურ სამეურნეო-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის შუაში საგლეხო ფუძეებად დაყოფილი სოფელი მდებარეობდა და რომელიც თავის პატრონს ემსახურებოდა „სამსახურითა და ბეგრითა“. ირგვლივ კი სოფელს მისი „მიმდგომი“ მთა, ბარი, ტყე, ველი, კლდე, გორა, გზა, ხევი, ვაკე, ღელე, ბორცი, ჭალა, სანადირო, სახნავი, სათიბი, მინდორი, ჭურ-მარანი, ტბა, წყარო, წყალი, რუ, წყალი სანისქვილე, წისქვილი, ზვარი (სეფე-ზვარი), ყანა (სეფე-ყანა), ხოდაბუნი, სავმარი თუ უვმარი (ენუქიძე და სხვები 1984: 36, 78, 108, 115, 119, 138, 143, 174, 184); (დოლიძე 1965: 324-327, 373-374) და ა. შ. ეკრა, რომელიც სოფლის „სამართლიან საზღვარს“ ქმნიდა და საბატონო მეურნეობას შეადგენდა. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ სოფლის „მიმდგომში“ შემავალი სამეურნეო-ტერიტორიული ერთეულები ცალ-ცალკე.

1477 წლით დათარიღებულ მინის ნასყიდობის სიგელში ნათქვამია: „მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული, კრწანისის ვენაჯი [...] მისითა წყლითა“ (ბერძენიშვილი 1940: 3-4). 1727 წლის ნასყიდობის წიგნში კი ჭავახიშვილები საგანგებოდ აღნიშნავენ: „უნყალოთ მოგყიდოთ, შენის წყლით უნდა მორწყვიდე“ (თაყაიშვილი 1909: 339). მაშასადამე, მინა იყიდებოდა როგორც წყლით, ისე უწყლოდ და დოკუმენტში ამის აღნიშვნა კეთდებოდა (ნადარეიშვილი 1973: 143-145). ამიტომაც არის, რომ 1713 წლის სიგელში საგანგებოდ არის მითითებული, რომ პატრონი მინას ყიდდა „თავისისა წყლითა, რაც მოუნდებოდეს“ (თაყაიშვილი 1910: 246).

წყლისაგან განსხვავებით „რუ“ სარწყავი წყლის არხს რომ აღნიშნავდა, ვახტანგის სამართალიც გვიდასტურებს: „რუს სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადად გაიყოფის“ (დოლიძე 1981: 216, მუხლი 114). 1727 წელს პაატა რევიშვილმა მდივანბეგ ერასტი ორბელიანს მიჰყიდა თავისი სახასო ვენახი, ხოდაბუნები, მიწები და „წისქვილი თავისის რუთი“ (თაყაიშვილი 1909: 336). ამ ცნობაში რუ წისქვილის ქვის დაბრუნებისთვის საჭირო არხია, რაც ნიშნავს, რომ რუ ხელოვნურად გაჭრილ არხს აღნიშნავდა ზოგადად.

1467 წლის შეწირულების წიგნში კათალიკოსი აბრამი წერს: „ძუელითგან, თამარის ჟამისათ დაქცეული სანისქვილო მოვიძიე და მე ახლად რუ გამოვილე და ორი წისქვილი აღვაშენე“ (დოლიძე 1970: 212). წისქვილსა და სანისქვილოს უკავშირდება საბუთებში დამოწმებული „წისქვილის ადგილები“ და „წყალი სანისქვილო“ (დოლიძე 1970: 529); (ენუქიძე და სხვები 1984: 138).

1789 წლის ერთ-ერთ სასარჩლო წიგნში ზაალ ყაფლანიშვილი და გოსტაშაბიშვილები წისქვილსა და სანისქვილოზე დაობდნენ. გოსტაშაბიშვილებს ყაფლანიშვილებისათვის „ორი სანისქვილო უნდა ეჩვენებინათ ღოლოვნის მიწაში“ (ბერძენიშვილი 1953: 147-148) და თუ ვერ უჩვენებდნენ, ტეტია გოსტაშაბიშვილის მიერ გაკეთებულ წისქვილს ყაფლანიშვილებს გადასცემდნენ. გოსტაშაბიშვილებმა ღოლოვნას ორი ნანისქვილარი უჩვენეს სასამართლოს, მაგრამ ყაფლანიშვილი ამტკიცებდა, ეს ნანისქვილარი კი არა, ნაგომურალიაო და სასამართლო განაგრძობს: „ზაალმა თუ ორი კაცი შეაფიცა, რომ ეს ნანისქვილარი არ იყოს [...] ტეტიას წისქვილზე ჯელს ავმართავთ და ზაალს მივაბარებთ“ (ბერძენიშვილი 1953: 148).

ამრიგად, წისქვილი და მასთან დაკავშირებული „სანისქვილო“, „წყალი სანისქვილე“, „წისქვილის ადგილები“, „წისქვილი თავისის რუთი“, „დაქცეული სანისქვილო“ თუ „ნანისქვილარი“ საბატონო მეურნეობაზე არსებული სამეურნეო ერთეულებია, ისინი ნასწყიდობის ობიექტს წარმოადგენდნენ და ისევე როგორც საკუთრების სხვა ფორმებზე – „მამულზე“, „მიწა-მამულზე“, „ვენაჯზე“, „ტყეზე“ თუ „სოფელზე“ – სასამართლოს შეეძლო მათზე „ჯელი აემართა“, ანუ მეპატრონისათვის მათზე ფლობის უფლება ჩამოერთმია და მეორე პირისათვის ეს უფლება დაემტკიცებინა (ბერძენიშვილი 1966: 135-141).

წყალთან არა მხოლოდ წისქვილი იყო დაკავშირებული, არამედ „საწყლისპიროც“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „საწყლისპირო“ სათევზაო ადგილს ნიშნავს (აბულაძე 1993: 72). 1691 წელს პაატა აბაშიძე აზნაურ მამუკა ორჯონიკიძეს უბოძებს საწყლისპიროს: „საწყლისპიროს წყალობას შემოგვეხვეწნით, და გიყავით წყალობა და გიბოძეთ ქალისთავს წყალი საოჩხე და საფუჩხულე, თავს სავანლის მიდგამადი, ბოლოს შარა რომ ჩამოვა, იმის სწორათ“ (თაყაიშვილი 1909: 160). ამრიგად, პაატა აბაშიძემ მიტნებიც კი დაუდგინა, თუ წყლის რომელი ნაწილი ებოძა „საწყლისპიროდ“, ანუ წყლის რომელ ნაწილში ჰქონდა ოჩხისა და ფუჩხულის გამართვის უფლება. ეს ნიშნავს, რომ „საწყლისპირო“ თევზის ქერასთან ყოფილა დაკავშირებული (ნადარეიშვილი 1973: 153-154).

„საწყლისპიროს“ „წყლის სანაპირო“ ენაცვლება „ღმრთაების გუჯარში“, სადაც წერია: „ესე მინდორნი ამა საზღვართა შუა ვანკოდისანი არიან და წყლის სანაპირო სათევზეთ ბადეთა სასმელად და ოჩხთა სათხრელად“ (დოლიძე 1965: 374). „საწყლისპიროს“ გულისხმობდა „სათევზაოში“ გიორგი მეფე, როდესაც 1568 წელს გელათის ღმრთისმშობელს სწირავდა გლეხებს „მისითა [...] ეკლესიითა, სასაფლაოთა, ქალითა [...] და მისითა სათევზაოთი“ (ჟორდანიას 1897: 409).

დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მდინარის პირზე მდებარე ტყე – „ჭალა“. ზაქარია ქვარიანის შეწირულების წიგნში (1644 წ.) ვკითხულობთ: „და გავაკეთეთ ტუფურიშის ჭალა ზურათ“ (დოლიძე 1970: 509). ეს ნიშნავს, რომ ზაქარია ქვარიანს „ჭალაზე“ ვენახი გაუშენებია და ამ გზით ახალი სამეურნეო ერთეული – ზვარი შეუქმნია.

პატრონის დასტურის გარეშე საბატონო მეურნეობაზე არსებულ ტყეში, ჭალასა თუ მდინარეში ნადირობა იკრძალებოდა, რადგან საბატონო მიწაზე არსებული სამეურნეო ერთეულები მისი მფლობელი ფეოდალის საკუთრებას შეადგენდა. 1491 წლის შეწირულების სიგელში ბაგრატ მეფე აღნიშნავს: „თუ არა მეფემან და მეპატრონემან, ვერავინ იკადროს ნადირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა [...] და ვერცა წყლის და თევზთა ნადირობა“ (ჟორდანიას 1897: 308). ანალოგიური ვითარება დასტურება მანუელ ნიკორწმინდელის 1548 წლის „დანეროში“:

თუ ვისმეს შერისხავს ღმერთი და ცილება იკადროს, ან ნადირობა, ტყის ქრა, ან ქვს თლა, ან თვზაობა, ან თიბა ნიკორწმინდის უდასტუროთ, ჯელმწიფეთა ბრძანება არის და განაჩენი, ჯელის მოკვეთით განიპატიჯოს. თუ ჯელის მოკუეთას არჩიეს, ოცი ათასი თეთრი დაურვოს (კაკაბაძე 1912: 6).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ნიკორწმინდელის საბატონო მიწებზე ნადირობა, ტყის ქრა, ქვს თლა, თევზაობა თუ თიბვა ნიკორწმინდელის პრივილეგიას შეადგენდა და მის დამრღვევს „ჯელის მოკვეთით განიპატიჯება“ ან, უკეთეს შემთხვევაში, ამ სასჯელის დიდი

ფულადი ჯარიმით შეცვლა ემუქრებოდა (ანთელავა 1983: 212-213).

„სასეფოდ“ წოდებული საბატონო მეურნეობის შესასწავლად უაღრესად საყურადღებო ცნობები XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებშიც შემოინახა.

მალაქია კათალიკოსის შეწირულების წიგნში „ბიჭვინტისადმი“ (1616-1639 წწ.) ვკითხულობთ: „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან [...] მოსასახლეები დამისახლებია“ (დოლიძე 1970: 501). აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით მ. სანაძე სამართლიანად ასკვნის, რომ „სასახლე ადგილი“ არა მხოლოდ საკარმიდამო, არამედ იმ მიწასაც ნიშნავს, რომელზედაც საბატონო მეურნეობა იყო მოწყობილი, ხოლო „მოსასახლეები“ ისეთი გლეხები არიან, რომლებიც „სრულ ფუძეზე“ მსხდომი გლეხებისგან განსხვავებით „სასახლედ წოდებულ“ საბატონო მეურნეობაზე სხედან (სანაძე 1979: 95). მალაქია კათალიკოსის სიტყვები, „ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო“, იმაზე მიგვითითებს, რომ „სასახლე“, ანუ ფეოდალის პირადი მამული მასზე „მოსასახლე“ გლეხებითურთ ცალკე სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა და ამით განსხვავდებოდა სოფლისა და მასში მოსახლე გლეხებისგან (სანაძე 1979: 96).

მალაქია კათალიკოსის ცნობა, რომ ხოირს მხოლოდ სოფელი იყო და „სასახლე“ მას გაუკეთებია, სხვა ცნობებითაც დასტურდება. „ბიჭვინტის იადგარში“ (1525-1550 წწ.) წერია: „კუალადცა გკადრეთ და მოგაჯსენეთ ჩუენ, დადიანმან პატრონმან მამიამან [...] ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაცითა“ (დოლიძე 1965: 179). XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ „ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ნუსხის“ ცნობით კი, „არის ხოირს საკათალიკოზო გლეხი ოცდარვა კვამლი“ (დოლიძე 1970: 386). ამ სამი დოკუმენტის ცნობას ერთმანეთს თუ შევაჯერებთ, ნათლად დავინახავთ, რომ 1616 წლამდე ხოირს მართო სოფელი იყო, ვიდრე მალაქია კათალიკოსმა აქ „სასახლე“ (საბატონო მეურნეობა) არ გააკეთა. უფრო მოგვიანებით, 1621 წელს შედგენილ „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში“ კი ვკითხულობთ: „არის ხოირს სასახლე და მართებული გამოსავალი მოსაკრებლობაი“ (დოლიძე 1970: 423). ამრიგად, როდესაც ეს ნუსხა შედგა, ხოირს უკვე შექმნილი ყოფილა „სასახლე“ კათალიკოს მალაქიას მიერ. ნუსხაში ჩამოწერილია 30 გლეხი, რომელთა საბეგრო ვალდებულებები ზუსტად იმეორებს XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ ნაჟანეულის ნუსხაში დაცულ ვალდებულებებს (სანაძე 1979: 114).

ზემომოყვანილ ცნობებს ურთიერთს თუ შევაჯერებთ, შემდეგი სურათი გამოიკვეთება: XVI საუკუნის შუა ხანებში ხოირს მხოლოდ სოფელი იყო და მასში 25 კომლი გლეხი სახლობდა. XVI საუკუნის მიწურულს მათი რაოდენობა 3 კომლით გაზრდილა. 1621 წელს კი ხოირში უკვე 30 კომლი გლეხი ცხოვრობს. 1616-1621 წლებში მალაქია კათალიკოსი ხოირს „სასახლეს“ აშენებს, რაც ნიშნავს, რომ ხოირის „სასახლე“ ხოირის სოფლისაგან განსხვავებულ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა (სანაძე 1979: 113-114).

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთრის“ (1621 წ.) სუბვის საგადასახადო ნუსხის ცნობები. ეს ნუსხა შემდეგნაირად არის დასათურებული: „არის სუბვის სასახლე და მისი მიმდგამი სოფელი მუხურის გამოსავალი“ (დოლიძე 1970: 426). სხვა საგადასახადო ნუსხები „სოფელს“ ცალკე არ მოიხსენიებენ, რადგან „სასახლის“, ანუ საბატონო მეურნეობისა და გლეხებით დასახლებული სოფლის სახელი ერთმანეთს ემთხვეოდა. შესაბამისად, როდესაც აღნიშნული „დავთრის“ შემდგენელი წერს: „არის ხოირს სასახლე და მართებული გამოსავალი მოსაკრებლობაი“ (დოლიძე 1970: 423), იგულისხმება, რომ არის ხოირის სასახლე და მისი „მიმდგამი“ სოფელი ხოირი. სუბვის საგადასახადო ნუსხა კი ის შემთხვევაა, როდესაც „სასახლის“, ანუ საბატონო მეურნეობის სახელი არ ემთხვეოდა სოფლის სახელს. ამიტომაც არის, რომ ნუსხაში ცალკეა დასახლებული სუბვის სასახლე, ანუ ადგილი, სადაც საბატონო მეურნეობა იყო გაშლილი და მისი „მიმდგამი“ სოფელი მუხური (სანაძე 1979: 114).

„სასახლე“ მხოლოდ ფეოდალის კარ-მიდამოს რომ არ მოიცავდა და რთული სამეურნეო კომპლექსი რომ იყო, კარგად აისახა ისტორიულ საბუთებში. 1656 წელს გაბრიელ ცაგერელი შეწირულების წიგნში წერდა: „შემოგწირე [...] ოყურეშს: სასახლე განყობილი საჯვართა, სახლკართა, ქურმარნითა, ზურითა“ (დოლიძე 1970: 521), სადაც „სახლკარი“

(ფოლკლორის კარ-მიდამო) საჯვარის, ჭურმარნისა თუ ზვრისაგან განსხვავებულ ერთეულად წარმოგვიდგება და ყველაფერი ეს სოფლის „მიმდგომში“ შემავალ საბატონო მიწებზე („სასახლე“) მდებარეობდა.

აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია ასე აღწერს მის მიერ გაწეულ სამეურნეო საქმიანობას:

ხიბულას გამოღმა სასახლისათვის გამიმატებია დიდი დარბაზი და ჭიხური დამიდგამს ... მოსასახლენი დამისახლებია, კამბეშისა, ზროხისა, თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, საღობი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია, ხარდანი გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიდალმან მომიყვანია და დამისახლებია (დოლიძე 1970: 502).

როგორც მოყვანილი ცნობიდან ჩანს, „სასახლეს“ (საბატონო მეურნეობა) „ხარდანად“ და „საღობად“ წოდებული სამეურნეო ერთეულები გააჩნდა. „ხარდანი“ დაბლარ ვენახს ერქვა და „მეხარდნეც“ ამგვარი ვენახის მომვლელი გლეხი იყო. „საღობში“ „სასახლის“ კუთვნილი კამეჩის, ძროხის, თხისა და ღორის ჯოგი იდგა და ბატონის მიერ „საღობში“ დასახლებულ „მოსასახლესაც“ ამ საღობისა და ჯოგის მოვლა-პატრონობა ევალებოდა. ამრიგად, „მესაღობე“ და „მეხარდნე“ საბატონო მეურნეობაზე მსხდომი გლეხები იყვნენ და მათ კონკრეტულ მოვალეობას ბატონის ვენახისა და ჯოგის მოვლა შეადგენდა (სანაძე 1979: 91, 97-101).

„მოსასახლე“ გლეხთა კატეგორიაში შედიოდა „მეახორეც“, რომელსაც „ახორის“, ანუ საჯინიბოს მოვლა-პატრონობა ეკითხებოდა (სანაძე 1979:98). ბაგრატ მეფის შეწირულების სიგელში (1545 წ.) ვკითხულობთ: „არის [...] საბას მოძღვრისეული სენაკი, მისითა ჭურ-მარნითა, ვენახითა, სახარდნითა, საბოსტნითა; კიდევუ მას ქვეშეთ ერთი მეახორე მისითა სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, ვენახითა, მისითა დანარჩომითა“ (დოლიძე 1965: 186). ამ ცნობაში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ საბატონო მეურნეობაზე დასმულ მეახორეს თავისი „დანარჩომი“ სახლ-კარი, ჭურ-მარანი და ვენახი ჰქონებია. იგი თავს თავისი საკუთარი მამულით ირჩენს და სამაგიეროდ ბატონის „ახორს“ – საჯინიბოს ემსახურება (სანაძე 1979:98-99).

ზემომოყვანილ ცნობაში დამონშებულ საბოსტნის მომვლელად მიჩენილ მოსასახლეს „მებოსტნე“ რომ ერქვა, მალაქია კათალიკოსი გვიდასტურებს: „თილითს სასახლე გამიკეთებია [...] ერთი კუამლი კაცი ჭიქია გურიიდალმან მომიყვანია, მებოსტნეთ დამისახლებია“ (დოლიძე 1970: 500). ხოლო 1656 წელს გაბრიელ ცაგერელი წერდა: „შემოგწირეთ ოყურეშს: ერთი სასახლე გაკეთებული ყოვლისფერითა: საჯვარითა, საჯალაბოთა, ზვრითა, მისის ყანითა და სათიბითა [...] ერთი გლეხი ლომინა მამარდაშვილი მეთევზე და ტბა ბაბუშერი“ (დოლიძე 1970: 519). ამ შემთხვევაში „სასახლეზე“ დასმული მეთევზე ისეთი „მოსასახლე“ გლეხი იყო, რომელსაც მისი პატრონის კუთვნილი ტბისა და თევზის მოვლა-პატრონობა ეკისრებოდა.

ბოსტნის, ხარდნის, ახორის, სათევზოსა და საღობის გვერდით მარანიც საბატონო მეურნეობის ერთ-ერთ კომპონენტს რომ წარმოადგენდა, „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთრის“ ერთი მინაწერიტაც დასტურდება: „დაგვსახლებია 1 მოსახლე სურბლი კაცი პაათაი გიორგაძე და მისი შვილი მმუკაი სახასო მარანზედ. მას მართებს 40 საწყავი ღვინო“ (დოლიძე 1970: 434\*). ამ ცნობიდან ჩანს, რომ პაათა და მისი შვილი დასახლებულია არა საგლეხოსაკომლეზე, არამედ „სასახლის“ ტერიტორიაზე გამართულ „სახასო მარანზე“. ისიც საყურადღებოა, რომ მისი ბეგარა უშუალოდ უკავშირდება მის საქმიანობას – მემარნეობას და ღვინის გარდა სხვას არაფერს იხდის. ეს ნიშნავს, რომ მოსასახლეს საბატონო მიწაზე გამოეყოფოდა მინის ნაკვეთი, რომლიტაც იგი არა მხოლოდ ემსახურებოდა თავისი ბატონის მეურნეობის კონკრეტულ დარგს, არამედ თავის თავსაც ირჩენდა (სანაძე 1979: 99-100).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „სასახლედ“ წოდებულ საბატონო მეურნეობაზე დასმულ „მოსასახლე“ გლეხებს ცალკეულ სამეურნეო ერთეულებად ჩამოყალიბებული დარგების – სახასო მარნების, ჭურების, ჭურ-მარნების,



ბელღების, საღაროების, სახარდნების, ბალ-ბოსტნების, ახორ-საჯინიბოების, წისქვილების, ჯოგების, საღობების, სათევზაო წყლებისა და ტბების მოვლა-პატრონობა ევალებოდათ, რის გამოც „მოსასახლე“ თავისი საქმიანობისდა მიხედვით შეიძლება ყოფილიყო მემარნე, მეხარდნე, მებოსტნე, მეახორე, მოღარე, მეწისქვილე, მეთევზე, მერუვე და ა. შ. (სანაძე 1979: 96)

მოსასახლე მეურნეობის გაჩენა ინტენსიური ტიპის მეურნეობის არსებობით იყო განპირობებული. თუ „სეფე-ზვარსა“ და „სეფე-ყანაზე“ „ყურძნის კრება“, „ყანის შველა“, „პურის მკა“, „იფელის მკა“, „ქერის მუშაობა“, „თივის თიბვა“, „ისლის აღება“, „ხის კრება“, „თოხნა“, „მარგვლა“ (დოლიძე 1970: 111, 311, 414-415, 423, 427, 436) და ა. შ. შეიძლებოდა სოფლიდან გამოყვანილ მონადეებს შეესრულებინათ, არსებობდა მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებიც ინტენსიურ მუშაობას და ყოველდღიურ შრომას საჭიროებდა (სანაძე 1979: 100-101). ძველ ქართლში ამგვარი მეურნეობის განვითარებას მოჰყვა შედეგად „აგარაკის“, როგორც დასახლებული პუნქტის აღმოცენება. განვიხილოთ ძველქართულ წყაროებში შემონახული ცნობები „აგარაკის“ შესახებ.

მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილში“ ვკითხულობთ: „კოლას მოვიგე და ავაშენე სოფელი დიდი ოროტანი აგარაათა“ (ენუქიძე და სხვები 1984: 26). მოყვანილი ცნობა მიგვითითებს, რომ აგარაკი სოფელს ახლდა. სოფელს რამდენიმე აგარაკი რომ შესაძლოა ჰქონოდა, იგივე „დაწერილი“ გვიდასტურებს: „ტაოს ვიყიდე სოფელი ზადკარეკი ხუთითა აგარაათა. და ძაღლის ჯეფს ვიყიდე სოფელი ორთაჲ სამითა აგარაათა. ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაათა ძმათა ჩემთა განძითა ვიყიდენ“ (ენუქიძე და სხვები 1984: 26). თუ სოფლების – დიდი ოროტანის, ზადკარეკისა და ორთას აგარაკთა სახელი ჩვენთვის უცნობი დარჩა, სამაგიეროდ მელქისედეკ კათალიკოსი ასახელებს სოფელ დიდი სხლობანის აგარაკის სახელს: „შავშეთს მოვიგე სოფელი დიდი სხლობანი, აგარაჲ მისი – ნალუარევი“ (ენუქიძე და სხვები 1984: 26). ის გარემოება, რომ აგარაკი საკუთარი სახელითაც შეიცნობოდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ აგარაკი სოფლისაგან განსხვავებულ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. მელქისედეკ კათალიკოსის სიტყვები: „აგარაჲ მისი ნალუარევი“ ნათლად წარმოაჩენს, რომ აღნიშნული აგარაკი სოფელ დიდი სხლობანის „სამართლიან საზღვარში“ იყო მოქცეული.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა 1685 წელს გიორგი XI-ის მიერ გაცემულ წყალობის წიგნში შემოინახა. ამ წიგნით გიორგი XI-მ ბეგთაბეგ შანშეან მარტეროზის შვილს მიუბოძა მისივე

მკვდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი ნორაშნითა, კვეორცხობითა, კლდის წყაროთა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სათიბითა, უთიბითა, ჭალითა, სასაფლაოთა, ეკლესიითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, შენითა და ოხერიითა და ყოვლისა მისის სამართლიანის მზღურითა (დოლიძე 1965: 228-229).

მოყვანილი ცნობა ნორაშენს, კვერცხობსა და კლდისწყაროს სოფელ ნაბახტევის „სამართლიან მზღურში“ არსებულ დასახლებულ პუნქტებად წარმოგვიდგენს, რაც ნიშნავს, რომ ნორაშენი, კვერცხობი და კლდისწყარო სოფელ ნაბახტევის აგარაკებს წარმოადგენდნენ. და როდესაც გიორგი XI წერს, რომ „ფარული შურიითა მრავალგზის გამოაქანდაკეს ენოანება და მცირეთ განაწყრომეს გული ჩვენი თქვენზედა, და თქვენი მკვდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი წაგართვით და გაგიეცით“ (დოლიძე 1965: 228), იგულისხმება, რომ განრისხებულ პატრონს ბეგთაბეგისთვის სოფელი ნაბახტევი მის „სამართლიან მზღურში“ შემავალ ნორაშენთან, კვერცხობსა და კლდისწყაროსთან ერთად წაურთმევია.

„აგარაკი“ ძველქართულ წყაროებში რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება. იგი აღნიშნავდა მიწას, ველს, ყანას, ვენახსა და დაბას (ბოგვერაძე 1979: 126-127). ძველი ქართული სოციალური ტერმინი „აგარაკი“ იმავე ძირის სიტყვაა, რაც სომხური ագարակ და ბერძნული ἀγοικία და წარმოშობით შუმერულ-აქადურ აგარ//აკარ-ს (ნათესი, სახნავ-სათესი მიწა, მინდორი) უკავშირდება (ერემიანი 1950: 13). ძველი ქართული „აგარაკი“

მინას, ყანასა თუ დაბას იმიტომ აღნიშნავდა, რომ „აგარაკი“ ძველქართულში „სეფე“-მინის აღსანიშნავად შემოვიდა. შემდეგ იგი ასევე მიემართა „სასეფო“-მინაზე, ანუ „აგარაკზე“ არსებულ დამუშავებულ მინას – ყანასა თუ ვენახს და საბოლოოდ იმავე „სეფე“-მინაზე აღმოცენებულ დასახლებულ პუნქტსაც შეერქვა.

იბერიის სტრატონისეული აღწერილობის მეოთხე გენოსის („მდაბურები“) „სიუნგენეია“ წარმოშობით იბერიის პირველი გენოსის (ქართლის არისტოკრატიის) მიერ დაპყრობილი თემი იყო, რომელიც „უფალად“ ქცეულ „მთავარ“-„აზნაურ“-„წარჩინებულ“-„სეფენულებს“ ხარკს უხდიდა (მამულია 1987: 1010). დაპყრობის შედეგად მეოთხე გენოსის „სიუნგენეის“ (სატაძრო თემის) \*საცე-ოჩე-საუხუცესო მიწები „სეფე“-მინებად გარდაიქმნა, რომლებზეც დაპყრობილ მეთემეებს – „მდაბურებს“ თავიანთი „უფალის“ სასარგებლოდ კოლექტიური შრომა მართებდათ. ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების გამო, ამავე „სეფე“-მინებზე იბერიელი მთავარ-აზნაურები ბრძოლაში მოპოვებულ ტყვე-მონებს – „კირთებს“ სხამდნენ (მამულია 1979: 89-92) და ამ გზით დასახლებულ პუნქტებს – „აგარაკებსა“ და „ქარდაგებს“ ქმნიდნენ. დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში მოხსენიებული „მოსასახლე“ გლეხები „აგარაკზე“ სხედან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ძველ ქართლში „აგარაკზე“ „უფალი“ ბრძოლაში მოპოვებულ ტყვეებს – „კირთებს“ სხამდა, ფეოდალურ ხანაში „აგარაკ“-„სასახლეზე“ გლეხებს ასახლებენ. გვიანფეოდალური ხანის „მოსასახლის“ შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ქართლში „უფალი“ აგარაკსა და ქარდაგებს იმიტომ ქმნიდა, რომ მათზე დასმულ „კირთებს“ მეურნეობის კონკრეტული დარგის განვითარებას აკისრებდა, ხოლო დაპყრობილ თემში მცხოვრებ „მდაბურებს“ (მეოთხე გენოსი) თავიანთი „უფალის“ კუთვნილ „სეფე-ყანასა“ თუ „სეფე-ზვარზე“ (აგარაკზე) „სეფობად“ წოდებული სამინდვრე სამუშაოები კოლექტიურად მართებდათ.

ამრიგად, ძველ ქართლში დაპყრობილი თემის აღნაგობის ასეთი სურათი წარმოგვიდგება – ერთი მხრივ, „დაბა“ მასში მოსახლე „მდაბურებით“ და, მეორე მხრივ, ამ დაბის „სამართლიან სამძღუარში“ შემავალი აგარაკ-ქარდაგი მასზე მოსახლე კირთებით.

\* \* \*

აგარაკი არა მხოლოდ სოფელს, არამედ ქალაქსაც ახლდა და იმ კომპლექსურ სამეურნეო-ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა, რომელიც ქალაქს გარშემო ეკრა და რომელიც ამ ქალაქის „სამართლიან სამძღუარს“ ქმნიდა.

ქალაქის „სამართლიან სამძღუარს“ ქართული წყაროები „სანახებს“ უწოდებენ. ლეონტი მროველის მიხედვით, წმინდა ნინოს შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს: „განავლინებით კაცნი ვიდრე სანახებამდე ამის ქალაქისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 120). დავითის ისტორიკოსის ცნობით კი გრიგოლ ბაკურიანის ძემ „მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 318). ეს ცნობა ადასტურებს, რომ ციხე-ქალაქის „სანახებს“ „მიმდგომი ქუეყანაც“ ერქვა და რომ ციხე-ქალაქი მისი „მიმდგომი ქუეყანის“ გარეშე არ წარმოიდგინებოდა. ლაშა-გიორგის მემკვიდრე წერს, რომ „მეფემან (ლაშა) აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 370). ამ ცნობის განხილვისას ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა, რომ „ეს „მიმდგომნი მისნი“ იქამდე ჩვეულებრივია, იქამდე აუცილებელი ციხისა თუ ქალაქისათვის, რომ ტექნიკურ გამოთქმად არის ქცეული. ციხის თუ ქალაქის აღება ნიშნავს მისი მიმდგომის აღებასაც, რადგან ამ მიმდგომის გარეშე არც ციხე წარმოიდგინებოდა და არც ქალაქი“ (ბერძენიშვილი 1975: 133). სუმბატ დავითის ძის ცნობით კი ბასილი კვისარი „ითხოვდა [...] გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 384). ნ. ბერძენიშვილის აზრით, ციხე იქამდე იყო დაკავშირებული მის „მიმდგომ ქუეყანასთან“, რომ კომპოზიციური ცნებაც შექმნილა – „ციხე-ქუეყანა“ ( ბერძენიშვილი 1975: 133).

დიდგორის ომის ამბების თხრობისას დავითის ისტორიკოსი გვამცნობს, რომ თურქთა კოალიცია „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 341). ამ ცნობის მიმართ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ „აქ მანგლისი ისეთივე „ადგილია“, ისეთივე ქვეყანაა, როგორც თრიალეთი. ასე რომ ქალაქის თუ ციხის [...] სახელით

აღინიშნება თვით მისი მიმდგომი თუ მასში შემავალი ქუეყანა“ (ბერძენიშვილი 1975: 132-133). ამრიგად, დავითის ისტორიკოსისეული მანგლისი, ზემომოტანილ ცნობათა სიტყვებით რომ ვთქვათ, მანგლისის „ციხე-ქუეყანა“, მანგლისის „ციხე და მიმდგომი მისი“ და მანგლისის „ციხე-ქალაქი და მიმდგომი მისი“ არის, რაც ნიშნავს, რომ ქალაქის „სანახებს“ ციხე-ქალაქის „მიმდგომი ქუეყანა“ შეადგენდა.

ქალაქის „სანახების“ სოციალურ შინაარსს ყველაზე რელიეფურად ქუთაისის „მიმდგომი ქუეყანის“ სახელი – „სამოქალაქო“ წარმოაჩენს (ბერძენიშვილი 1975: 133, 522-537). „სამოქალაქო“ ადმინისტრაციული თვალსაზრისით ის მიწა-წყალია, რომელზედაც ქალაქის მმართველს ხელი მიუწვდება, ანუ რომელიც ადმინისტრაციულად ქალაქის (კონკრეტულად, ქალაქ ქუთაისის) შემადგენლობაში შედის. „სამოქალაქო“ საკუთარ სახელად მხოლოდ ქუთაისის „მიმდგომ ქუეყანას“ შერჩა და „სამოქალაქოც“ ქალაქ ქუთაისის ფარგლებში შემავალ მიწა-წყალს მოიცავდა თავისი სასოფლო-სამეურნეო უბნებით, აგარაკებითა და ციხეებით. ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით ქალაქი (ცენტრი მისი „სამოქალაქოთი“) იქამდე ვრცელდებოდა, სადამდეც მისი „მისი მიდგომი ქუეყანის“ „სამართლიანი საზღვარი“, ანუ „სანახები“ წვდებოდა. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად ვარაუდობდა, რომ ქუთაისის დარად თბილისსაც უნდა ჰქონოდა თავისი „სამოქალაქო“ (ბერძენიშვილი 1974: 116), ოღონდ თბილისის „სამოქალაქოს“ სახელი ზოგადად „სანახები“ ან „მიმდგომი ქუეყანა“ იყო.

ქალაქის ტერიტორიულ ფარგლებში აგარაკები და დაბები რომ წარმოიდგინებოდა, ბიბლიისწიგნების ძველქართულთარგმანებშიცაისახა. რიცხვთა 35.2-ის თანახმად, ქალაქს აკრავს აგარაკები: „ქალაქნი სამკვდრებელად და აგარაკები ქალაქთა გარემოქს მათსა მისცნენ ლევიტელთა“. რიცხვთა 35.7-ში კი წერია: „ყოველნი ქალაქნი, რომელნი მისცნეთ ლევიტელთა, ორმეოცდარვანი ქალაქნი, იგინი და დაბნები მათნი“. ამ ცნობის თანახმად კი ქალაქს თან ახლავს დაბები. რიცხვთა 35.4-ში ვკითხულობთ: „და საბრძანებელი ქალაქთა, რომელ მისცეთ ლევიტელთა, ზღუდითგან ქალაქისათა გამართ, ორ ათასი წყრთა“. ეს ცნობა კი მიუთითებს, რომ ქალაქის „საბრძანებელი“ ქალაქის „ზღუდის“ გარეთ მდებარე მიწა-წყალსაც მოიცავდა, სადაც დაბები, ანუ აგარაკები მდებარეობდნენ. რიცხვთა 35.5-ის თანახმად, „ესე იყავნ თქუნდა და საზღვარნი ქალაქთანი“. მოყვანილი ცნობები მიუთითებენ, რომ „საზღვარნი ქალაქისა“ მოიცავდა ქალაქს „ზღუდით“ და მის გარშემო მდებარე „დაბებს“// „აგარაკებს“// „საბრძანებელს“.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, თბილისის გარშემოც მრავალი „აგარა“ („აგარაკი“) იყო და თბილისის გარშემო მდებარე სოფლები – ზოგი წარმოშობით და ზოგი შემდეგ დაქვემდებარებით – თბილისის „აგარაკებს“ წარმოადგენდნენ. ნ. ბერძენიშვილს ასეთ სოფლებად მიაჩნდა კრწანისი, შინდისი, წავკისი, ტაბახმელა, კოჭორი, კალოუბანი, ვერა, ვაკე, საბურთალო, დიდუბე, კუკი, ავლაბარი, ჩუღურეთი და სხვა, რომლებიც თბილისის გარეუბნებს წარმოადგენდნენ და გვიანფეოდალურ ხანაში მათ „ქალაქის პირა სოფლები“ ეწოდებოდა (ბერძენიშვილი 1951: 45-55).

ცნობა თბილისის „გარემო სოფლებზე“ იოვანე საბანის ძემ შემოგვინახა, რომლის თანახმად, აბო ტფილელი „სამისა წლისა ჟამთაი იქცეოდა ქალაქსა (იგულისხმება თბილისი, – ტ. ა.) მას შინა და გარემოქსა ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ“ (აბულაძე 1963: 62).

თბილისის გარეუბანში არსებული ყველა დაბა (ავლაბარი, კუკი, ვერა, ვაკე, საბურთალო, ჩუღურეთი და ა. შ.) წარმოშობით თბილისის „აგარაკი“ იყო და თბილისის „გარემო სოფლებს“ წარმოადგენდნენ. თბილისის „სანახებში“ შემავალი დაბებიდან კი „აგარანი“ სახელად მხოლოდ იმ დაბებს შერჩათ, რომლებიც დანარჩენ აგარაკთაგან განსხვავებით („ადგილი საყანური, გინა სავენაჯე, გინა დაბა“ – აბულაძე 1991: 38) ჯერ არაბი ამირას, შემდეგ კი საქართველოს მეფეთა „საზაფხულო სადგური“ (აბულაძე 1991: 38) იყო (ბერძენიშვილი 1951: 55-56).

თბილისის გარშემო მდებარე „აგარაკებიდან“ იმ „აგარაზე“, რომელზედაც დიდი საქარავნო გზა გადიოდა და იქ, სადაც გზასაყარი კეთდებოდა, ციხე იდგა, რომელსაც წყაროები „აგარათა ციხეს“ უწოდებენ. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „აგარა“ დაბაა,

რომელიც საკუთარი სახელითაც შეიცნობა (შინდისი, წავკისი, კოჭორი, ტაბა-ხმელა და ა. შ.), აგარაზე აგებული ციხეც, რასაკვირველია, ამ აგარის სახელს ატარებს. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „აგარათა ციხე“ კოჭორის ციხე იყო, ხოლო ამ საციხისთაოში შემავალი დაბები (კრწანისი, შინდისი, წავკისი, ტაბახმელა, სახატე (თელეთი), კოჭორი, კაბენი, ბეთანია) აგარაკებს („საზაფხულო სადგური“) წარმოადგენდნენ. და როდესაც ქართული წყაროები კოჭორის ციხეს „აგარათა ციხეს“ უწოდებენ, „აგარანიში“ ყველა ეს დაბა იგულისხმებოდა (ბერძენიშვილი 1951: 45-60).

„აგარათა ციხე“ გზის ყელზე იდგა, თბილისისკენ მიმავალ გზას კეტავდა და თბილისს იცავდა. კოჭორის ციხე შენობა-ნაგებობათა რთული კომპლექსი იყო, აქვე იდგა სამეფო პალატი, სადაც მეფე თავისი მრავალრიცხოვანი კარით ზაფხულსა და შემოდგომას ატარებდა (ბერძენიშვილი 1951: 45-60).<sup>1</sup> ფეოდალებს სასახლეები ქალაქის კედლებს შიგნით კი არა, ქალაქის გარეუბნებსა და აგარაკებში რომ ედგათ, ისიც მოწმობს, რომ ერთიანობის ხანის საქართველოს მეფეებს თბილისში სასახლეები ისანს, დიდუბეს, კოჭორს, ტაბახმელას, სახატეს ჰქონდათ (ბერძენიშვილი 1974: 116, 120).

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, თბილისის ანალოგიურად მცხეთა-არმაზსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი აგარაები – ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, კარსანი, ქართლი, ციხე-დიდი, კოდმანი, წინამური, ჭაჭვი, ჰავჭალა, მუხრანი და სხვა (ბერძენიშვილი 1951: 50).

ჩვენი ძიების მიზნებისათვის არსებითი ის არის, რომ ანტიკური თუ ფეოდალური ხანის ქალაქი აღნაგობის თვალსაზრისით სოფლის სტრუქტურას იმეორებდა – ეს იყო ცენტრი მისი სამეურნეო გარემოთი („აგარაკები“, „დაბები“, „ქალაქის პირის სოფლები“, ანუ გარეუბნები). ზღუდის შიგნით მოქცეულ ქალაქს ირგვლივ „სეფე“-მიწები ეკრა და ქალაქის არისტოკრატის სასახლეები, აგარაკები, აგარათა ციხეები, სანადირო ტყეები და ა. შ. ამ მიწებზე ჰქონდა. „სეფე“-მიწებზე მდებარეობდა ქალაქის თავზე აგებული დედა-ციხეც (აკროპოლისი), რომელშიც ამ ქალაქის მფლობელი იჯდა.

გენეტურად კი ეს სტრუქტურა პატრიარქალური გვარის შიგნით აღმოცენებულ „საცე“ – „ოჩე“ – „საუხუცესოს“ უკავშირდება, ხოლო როდესაც საზოგადოების სოციალური განშრეების შედეგად ქართულ ენაში -ფ- (ფლობა) ძირიდან ნაწარმოები ახალი სოციალური და ეკონომიკური კატეგორიები შემოვიდა, „საუხუცესოს“ „სეფე“, ანუ „უფლის“, მესაკუთრის, ბატონის კუთვნილი ეწოდა. თავის მხრივ, ეს სტრუქტურა ფეოდალური ხანის ევროპული სენიორიის აღნაგობის მსგავსია. ფეოდალურ ევროპაში „ვილლად“ წოდებულ სოფელში მიწები ორ ნაწილად იყოფოდა – ერთი მხრივ, საგლეხო მეურნეობა – „მანსი“ და მეორე მხრივ, სენიორის საკუთრებაში არსებული მიწები – „დომენი“.

## შენიშვნები

<sup>1</sup> საქართველოს მეფე დამისი კარიზაფხულის პირს „ჩვეულებისაებრ“ „ისწრაფდეს“ მთაში სააგარაკო ადგილას გასვლას და კოჭორის ციხე და ამ საციხისთაოში შემავალი აგარაკები (კრწანისი-შინდისი-წავკისი-ტაბახმელა-სახატე(თელეთი)-კაბენი-ბეთანია) მეფეთა საზაფხულო სადგური იყო. აქვე, კაბენს იყო „დასო“ – ხშირი ტყე-მალნარი და „აგარათა ჭალა“, სადაც მეფე თავისი მრავალრიცხოვანი კარით ზაფხულსა და შემოდგომას ატარებდა. ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ ქართველ მეფეთა თბილისის აგარაებში დგომის ტრადიცია ქართული ფეოდალური ცხოვრების წესს ეფუძნებოდა. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, თამარი გაზაფხულზე ნადირობით იორსა და მტკვრის პირებს მოივლიდა, ხოლო ზაფხულსა და შემოდგომაზე „დასოს“ იდგა ხანგრძლივად ზამთრამდე, „ვიდრე თოვლმა არ დაამძიმის კარავი“. ზამთარში კი „სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 131). თამარი ხშირად იყო ტაბახმელას. აქ იშვა ლაშა-გიორგი, აქვე, ტაბახმელას გარდაიცვალა თამარი. აქვეა კაბენის მონასტერი და ბეთანია, თამარის აღშენებული. გიორგი რუსის აჯანყების დამარცხების შემდეგ „აგარათა ჭალას“ დადგა თამარი, „მონადირე და მონადიმე, მხიარული და შემწყალებული ერთგულთა და საკუთართა მისთა“ (ყაუხჩიშვილი 1959: 54); (ბერძენიშვილი 1951: 53-60).

**დამონშებანი**

- აბულაძე 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული დიგეჩაგუხის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წ. I, თბილისი.
- აბულაძე 1991:** სურხან საბა ოხბედიანი, დექსიკონი ქართული, ავტოგრაფულის ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა დ და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
- აბულაძე 1993:** სურხან საბა ოხბედიანი, დექსიკონი ქართული, ავტოგრაფულის ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა დ და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
- ალექსიძე, მაჭავარიანი 1968:** ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი. უძველესი ქართული სოციალური ტერმინები – ოჩე (საუხუცესო || საუფროსო), თსუ შიომები, ტ. 127, თბილისი.
- ანთელავა 1983:** ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი.
- ბარდაველიძე 1952:** ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, 10, თბილისი.
- ბარდაველიძე 1959:** ვ. ბარდაველიძე. ქართველი ტომების ასტრალურ ღვთებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X თბილისი.
- ბერძენიშვილი 1940:** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, ტ. I, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1953:** დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი, ტ. II, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1951:** ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), მიმომხივრედი, II, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1966:** ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1974:** ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1975:** ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1979ა:** მ. ბერძენიშვილი. მეთეხთმეგე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ, თბილისი.
- ბერძენიშვილი 1979ბ:** მ. ბერძენიშვილი. საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა, საქართველოს ისტორიის ნახკვევები, ტ. III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ბოგვერაძე 1979:** ა. ბოგვერაძე. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბილისი.
- გაბაშვილი 1966:** ვ. გაბაშვილი. ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური ტერმინები ქართულ წყაროებში, კავკასიის ხაზთა ისტორიის საკითხები, თბილისი.
- დოლიძე 1965:** ქართული სამაჩთის ძეგლები, ტ. II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- დოლიძე 1970:** ქართული სამაჩთის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- დოლიძე 1981:** სამაჩთარი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ენუქიძე და სხვები 1984:** ქართული ისტორიული საბუთების კოჩპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ერემიანი 1950:** С. Эремян. Рабство и рабовладение в Армении, ВДИ, №1.
- ერიაშვილი 1982:** ჟ. ერიაშვილი. უძველესი ქართული სოციალურ-ეტიმოლოგიური ინსტიტუტები, თბილისი

- თაყაიშვილი 1909:** *საქათვედოს სიძვედენი*, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტფილისი.
- თაყაიშვილი 1910:** *საქათვედოს სიძვედენი*, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტფილისი.
- კაკაბაძე 1912:** ს. კაკაბაძე. *სჯუღმდებელი ბაგჩაგ კუჩაპადაგი*, სტამბა „ნადეჟდა“, ტფილისი.
- კაკაბაძე 1921:** ს. კაკაბაძე. *დასავლეთ საქათვედოს საეკლესიო საბუთები*, წიგნი I, ტფილისი.
- მამულია 1979:** გ. მამულია. *კდასობივი საზოგადოებისა და სახედმწიფოს ჩამოყადიბება ძვედ ქაიხთდში*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მამულია 1987:** გ. მამულია. *პატიონყმობა*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ნადარეიშვილი 1973:** გ. ნადარეიშვილი. *სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, ქაიხთუდი სამაიხთდის ისტოიიის საკითხები*, ტ. I, თბილისი.
- ჟორდანიია 1897:** თ. ჟორდანიია. *ქიონიკები და სხვა მასადა საქათვედოს ისტოიიისა და მწეიხდობისა, შეკეიბიდი, ქიონდოგოიუხად დაწყობიდი და ახსნიდი თ. ჟოიხდანიიას მიეი, წიგნი II (1213 წლიდამ 1700 წლამდე)*, ტფილისი.
- სანაძე 1979:** მ. სანაძე. *გდებობა დასავლეთ საქათვედოში XV-XVIII საუკუნეებში*, თბილისი.
- სოსელია 1966:** ო. სოსელია. *ფეოდალუი ხანის დასავლეთ საქათვედოს ისტოიიიდან*, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1955:** *ქაიხთდის ცბოვხება*, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1959:** *ქაიხთდის ცბოვხება*, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი.
- ჩხატარაიშვილი 1979:** ქ. ჩხატარაიშვილი. *ნაიკვევები სამხედო საქმის ისტოიიიდან ფეოდალუი საქათვედოში*, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1982:** ი. ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია, თხზუდებანი*, ტ. VI, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1905:** И. А. Джавахов. *Государственный строй древней Грузии и древней Армении*, С.Пб.
- ჯავახიშვილი 1912:** И. А. Джавахов. *К вопросу о построения грузинского храма в Атене*, ХВ, т. I, вып. III.
- ჯანაშია 1949:** ს. ჯანაშია. *შიომები*, I, თბილისი.

## TERRITORIAL STRUCTURE OF THE VILLAGE IN FEUDAL GEORGIA

Tarasi Akhalaia

Independent researcher  
akhalaia\_taras@yahoo.com

The aim of the research paper is to explore the territorial structure of the village of medieval Georgia. In accordance with Old Georgian sources, the village was divided into two parts: village containing the plots of farmers and the lands named „სეფე“ (*“Sepe”* – that belongs to master), which belonged to signore. *Sepe-lands* surrounded the village and were within “the legal boundaries” of the village, consisting of plots of lands for wheat, vineyard, mill, mountain, forest, hunting area, field, hill, hillside, route, tillage, fishery, lake, pond, springs etc.

By its origin, this structure comes from the social institution of „საუხუცესო“ (*saukhutseso* – that belongs to the elder, father). The origin of the social institution of *saukhutseso* traces back to the old patriarchal house, where for the symbolic designation of Household Father’s („მამასახლისი“//*mamasakhlisi*) power (Lat. patria potestas), the extra share for the Father was singled out and allotted out of brothers’ equal share. It meant that he who possessed *saukhutseso* share in the estate was the ruler and master of the Household.

Considering that after the death of a Father, the firstborn son („პირმშო“-*pirmsho* – primogenitor) was to become *mamasakhlisi* (Master of House) on the basis of primogeniture, he would own *Saukhutseso*,

being a symbol of authority (*patria potestas*) of Household Father. In the wake of time, *saukhutseso* was named the share of extra portion of the elder brother (*pirmsho*).

In old Georgian patriarchal temple communities (circa the II-I millennia B.C.), still ethnographically preserved in highland regions of Eastern Georgia (Pshavi and Khevsureti regions), the land in a village was divided into two parts: the land possessed by community members and the land of temple, that belonged to theocratic authorities (“Fathers”// “Elderly”) of the community. After social stratification in old Georgian tribes, socially advanced “*mamasakhli*” (father of household) was named as “*upali*” (master), from the Old Georgian root –pl- (master, owner, dominant), subsequently, “*saukhutseso*” land was named as “*sepe*”-land (that belongs to *upali*- master). That is how “*sepe*” was developed from the institution of “*saukhutseso*”. Similar territorial structure is characteristic to medieval towns in Georgia – town and *sepe*-lands with small villages and summer houses around the town belonging to aristocracy. This find itself parallel to the medieval village in Europe, where the lands of a village (Lat. *Villa*) were divided into two parts: one that belonged to farmers (Lat. *Mansi*) and the other that belonged to the Lord of the manor (Lat. *Domain*).

## ქსნის ხეობის სოფელ საძეგურის ისტორიიდან

დავით ახლოური

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
datoakhlouri@gmail.com

საძეგური ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის კორინთის თემის სოფელია, მდებარეობს ქსნის მარჯვენა მხარეს, დაბის ცენტრიდან 12 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1050 მეტრზე (ქსე 1985: 217). როგორც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდანაც ჩანს, სოფელი ცნობილი იყო საძეგური პირველის სახელწოდებით, რითაც განარჩევდნენ „მეორე საძეგურისგან“. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის თბილისის გუბერნიის დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საძეგური პირველი მაშინდელი მონასტრის (ლარგვისის) სასოფლო თემში შედიოდა, საძეგური მეორე კი – გეზევრეთის სასოფლო თემში. ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე სოფელს ხშირად ვხვდებით ქსნის ხეობაში, დემოგრაფიული ხასიათის წყაროებში აღნუსხულია: 3 ციხისოფელი, 3 მონასტერი, 2 წინუბანი და ა.შ.

ვახუშტის აღწერით საძეგურის სამხრეთით ზებეყურის: „კლდეს ქუეთ მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 359).

საძეგურს ქსნის ხეობაში მოგზაურობისას ესტუმრა გერმანელი მეცნიერი გიულდენშტადტი: კორინთიდან „ერთ საათში მივედით ადგილამდე, სადაც ადრე გადმოდიოდა მთის კუპრი და შემდეგ – ქსანზე სოფელ საძეგურამდე მდინარე საძეგურის შესართავამდე მას ქსნის ორივე ნაპირზე აქვს სახლები“ (გელაშვილი 1962: 95). მოგზაურის მინიშნებით: „საძეგურთან ზემოთ ქსანზე, ძველად გადმოდიოდა მთის ფისი (ქართულად კუპრი), რისგანაც კირქვას აქვს მოლურჯო-მოშავო ფერი“ (გელაშვილი 1964: 29).

როგორც ა. სონღულაშვილი აღნიშნავს: „ნავთობის პროდუქტების გამოსავალი შავი ოზოკერიტის სახით გვხვდება ქსნის ხეობის სოფელ საძეგურთან, სადაც იგი წარმოდგენილია ეოცენური ფიქლების ნაპრალებში“ (სონღულაშვილი 2009: 29-30).

მეოცე საუკუნის დასაწყისში აქ აღმოჩნდა ანტიკური ხანის უნიკალური ძეგლი, რომელიც ახალგორის განძის სახელითაა ცნობილი. ადიდებული მდინარისაგან ჩამორეცხილ სამაროვანზე, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილ განძს საქართველოში მიკვლევულ ყველაზე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლად მიიჩნევენ იულონ გაგოშიძე. „მიეცით რომელ უწარსულო ერსაც გნებავთ ახალგორის განძი და ამ ერს ისტორია ექნებაო“ – ბრძანებდა ნიკო კეცხოველი.

ფერდობიდან, სადაც განძი იქნა მიკვლევული, ნახევარი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი გედესკარი, სადაც შემორჩენილია კლდის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების კვალი, ასეთივე ნანგრევების ნაშთებია შემორჩენილი გედესკარის ზემოთ, რამდენიმე მეტრში. ს. მაკალათიას დასკვნით, მალლობზე მდებარე ნასოფლარ გედესკარში უნდა ეცხოვრა ხეობის უძველეს მოსახლეობას, „რომელსაც სალოცავი ხატი ჰქონდა ქვემოთ, სადაც საძეგურის განძი აღმოჩნდა. ეს ძვირფასი განძიც ამ ხატის (სალოცავის) საკუთრებას შეადგენდა, შესაწირის სახით დაგროვილი“ (მაკალათია 1968: 73).

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ, ს. მაკალათიასაგან განსხვავებით, ახალგორის განძს სამარხულ ინვენტარად მიიჩნევენ ი. გაგოშიძე: „ახალგორის განძი არის ქალის მდიდრული სამარხის ინვენტარიო“ – წერს იგი (გაგოშიძე 1964: 71).

მეოცე საუკუნეში მოღვაწე ცნობილი საძეგურელი მჭედლის ისაკ ნავროზაშვილის მოგონების მიხედვით:



ლექსო, იაკობა და სოსიკა ნავროზაშვილებს ხვნის დროს უპოვნიათ გედესკარში ოქროს ნივთები: ფაიტონი, ზედადგარი, ჭედოლა, ტევანი, საყურეები და სხვა წვრილმანი ნივთები. შიშით საბძელში შეუნახიათ, პატრონი არ ყავდესო (იგულისხმება „მცველი“, არარეალური პატრონი). ჩაუტანიათ ახალგორში და ჩუმად მიუყიდიათ იგი ვაჭრებისთვის. ამათ თბილისში ჩაუტანიათ და იქ დიდ ფასად გაუყიდიათ (რეხვიაშვილი 1975: 204); (ახლოური 2021: 248).

განძი შედგება ხუთასზე მეტი ნივთისაგან და აქედან სამასი – ოქროსია. მათგან აღსანიშნავია სასაფეთქელები შეწყვილებული ცხენების გამოსახულებით, სხვადასხვა ფორმის საყურეები, რკალგახსნილი საბეჭდავები ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით, ოქროს ბალთები, ყელსაბამი გომბეშოს გამოსახულებიანი საკიდებით, საკიდი ჩიტისა და შვლის გამოსახულებით, ოქროს საკისრე რკალები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ბრინჯაოს შტანდარტი ჭიხვის თავების გამოსახულებით, შტანდარტი ჭიხვის თავებისა და ადამიანის გამოსახულებით, დოქისა და სფერულტანიანი ქურჭლის ფრაგმენტები, მთის ბროლის, ძვლის, მინის მძივები, სამაჯურები, ფარაკიანი ბეჭდები, ოქროსა და სარდიონის მძივ-საკიდები, ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბრინჯაოს სარკე და ა. შ.

ვერცხლის ნივთებიდან აღსანიშნავია იმდროინდელ კულტურულ სამყაროში გავრცელებული ომფალოსიანი ფიალები. ცხენის აღკაზმულობას მიეკუთვნება რახტის შესამკობი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვანაირი ფირფიტა, ბრინჯაოს რგოლები, ლაგმები. ახალგორის განძის ტიპის ლაგმები ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოშია აღმოჩენილი (გაგოშიძე 1997: 278).

სრულიად მართებულად შენიშნავდა ახალგორის განძზე ჩვენთან საუბრისას ქსნის ხეობის მკვიდრი ჯემალ ჩიტიშვილი:

ყველაფერთან ერთად, საძეგურში აღმოჩენილია აღვირის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომლის მსგავსიც საქართველოს არცერთ კუთხეში და არც სხვაგან არ დაფიქსირებულა, იმაზე მიუთითებს, რომ ცხენოსნობა საკმაოდ ძირძველი და კარგად განვითარებული სფერო იყო ქსნის ხეობაში...

ახალგორის განძი სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად, ძვ. წ. VI-IV საუკუნეებითაა დათარიღებული (სმირნოვი 1934); (გობეჯიშვილი 1952: 112); (აფაქიძე 1959: 267) თუმცა განძის ისტორიის მკვლევრებს შორის დათარიღებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: შ. ამირანაშვილის მოსაზრებით ძვ. წ. V საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ (ამირანაშვილი 1961: 71); ი. გაგოშიძე ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულით ათარიღებს (გაგოშიძე 1997: 278-279), ა. ტალგრენი – ძვ. წ. VII საუკუნით (გაგოშიძე 1964: 71).

ვ. ხოცუაშვილის მიხედვით, საძეგურში აღმოჩენილ ნივთებს ახალგორის განძის სახელწოდება „იმითომ შემორჩა, რომ იგი ძირითადად ახალგორში იქნა შეგროვილი“ (ხოცუაშვილი 1987). ს. მაკალათიას მოსაზრებით კი,

საძეგურის განძს შეცდომით ეწოდა ახალგორის განძი, რაც გაუგებრობას იწვევს. საძეგური ახალგორიდან დაშორებულია საკმაო მანძილით – 6-7 კილომეტრით. ეს ალბათ იმ მოსაზრებით უნოდეს, რომ მაშინ (1907 წ.) საძეგური შედიოდა ახალგორის საბოქაულოში (მაკალათია 1968: 85, სქოლიო).

როგორც ცნობილია, საძეგურში აღმოჩენილი ნივთების მოძიებასა და გადარჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს. ნ. კეცხოველის მონათხრობით:

1907-1908 წლებში ექვთიმეს გაუგია, რომ ოქრომჭედლობის ვაჭარი ბერუჩევი (ბერუჩაშვილი)

ყიდიდა იშვიათ ოქროს ნივთებს, რომლებიც ახალგორელებისგან ჰქონდა ნაყიდი. ექვთიმემ ბერუჩაშვილისგან ნივთები კავკასიის მუზეუმს შეაძენინა, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს დიდი განძეულის მხოლოდ მცირე ნაწილი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც, დუშეთსა და ახალგორში თავის მოსწავლეებს გაუგზავნა ბარათები – ახალგორში რაიმე განძი ხომ არ არის ნაპოვნო. გაირკვა, რომ საძეგურელ გლეხებს განძი ახალგორელი ვაჭრის – მზარეულოვისათვის მიუყიდათ.

ამ დროს დუშეთის ბოქაული განუწყვეტლივ ეძებდა 15 წლის წინ გაძარცული ოქროსკარიანის ნივთებს (საუბარია ალექსის სამებაზე – დ. ა.) და ვინაიდან ეგონა, რომ ნივთები გაძარცული ტაძრის საკუთრება იყო, ისინი ჩამოართვა მზარეულოვს და ჩააბარა შესანახად დუშეთის მაზრის სამმართველოს. ე. თაყაიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა დუშეთში და თან ფოტოგრაფიც წაიყვანა. მისდა გასაკვირად, მაზრის უფროსი შეეცადა, დაემაღლა ნივთები, მაგრამ ბოლოს იძულებული იყო, ეჩვენებინა. აღმოჩნდა, რომ ოქროს ნივთები ერთი გირვანქა და 79 მისხალია, ვერცხლისა კი ორი გირვანქა და 37 მისხალი (საქართველოში გირვანქა უდრიდა 0,4267 კილოგრამს – დ. ა.). გამოირკვა, რომ ნივთები ტაძრის კუთვნილება არ იყო. გადაწყდა მზარეულოვისაგან შეეძინათ ეს განძეული, მაგრამ მაზრის უფროსი ფეხს ითრევდა, ხუთი-ექვსი დღე ალოდინა დუშეთში და ახალგორში არ გაგზავნა. ბოლოს ე. თაყაიშვილი თვითონ ავიდა ახალგორში, ნახა მზარეულოვი და შეიძინა მისგან ეს ნივთები, მიუხედავად იმისა, რომ საძეგურელმა გლეხებმა სარჩელი წამოაყენეს, ნივთებში ფული ჯერ არ მოუცია და ფული ჩვენ უნდა ავიღოთო. ბოლოს ეს საკითხიც მოგვარდა. ისიც გამოირკვა, რომ საძეგურში და ახალგორში გაყიდულია ამ განძის ნაწილი. ვ. მზარეულოვის დახმარებით ე. თაყაიშვილმა ადგილობრივ მოსახლეობაში მოაგროვა ეს დაქსაქსული ნივთები და შეიძინა. ე. თაყაიშვილი ახალგორში 1909 წელსაც იყო და კიდევ დაბვერა; მაშინაც შეიძინა მან რამდენიმე ძვირფასი ნივთი (კეცხოველი 1971: 28).

ექვთიმე ბოლომდე დიდი რუდუნებით უფრთხილდებოდა ახალგორის განძს საქართველოშიც და საფრანგეთშიც. „დავალებული მაქვს განძის დაცვა და კიდევაც ვიცავ, რამდენადაც შემიძლიაო“ – ბრძანებდა იგი და მოთმინებით ელოდა იმ დღეს, როცა კუთვნილ საგანძურს ისევ საქართველოს ჩააბარებდა. 1945 წელს საქართველოში ჩამობრძანებული ჩვენი ეროვნული განძი და მათ შორის საძეგურში ნაპოვნი უნიკალური ნივთები, დღეს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ახალგორის განძის თანადროული სამარხი აღმოჩნდა სოფელ ყანჩავეთშიც, ადრეანტიკური ხანის სამარხიდან 38 დასახელების 79 ნივთმა მოაღწია ჩვენამდე. „საძეგურში და ყანჩავეთში დაკრძალულებს შეიძლება უკვე ერისთავებიც კი ერქვათო – ამ დასკვნამდე მიიყვანა ი. გაგოშიძე ორი სოფლის განძეულობაზე დაკვირვებამ (გაგოშიძე 1964: 84). „სოფელს ამ საგანძურის შემდეგ ზუსტად მასე – საგანძური ერქვა, დრომ საძეგური მოგვიტანაო“ – გაგვაცნო საძეგურში მცხოვრებთა შორის გავრცელებული მოსაზრება ამ სოფლის მკვიდრმა ალექო ნაროზაშვილმა. მართალია, საგანძური მეოცე საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა, საძეგური კი გაცილებით ბევრად ადრე იხსენიება წყაროებში, მაგრამ მაინც საყურადღებო ცნობაა, არ უნდა გამოვრიცხოთ, ტოპონიმი „საძეგური“ უძველესი დროიდან მართლაც საგანძურთან ყოფილიყო კავშირში, ეს მხარე ხომ განძეულით მდიდარი იყო. ი. გაგოშიძე მიიჩნევს, რომ ქსნის საერისთავო ადრეანტიკურ ხანაში ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფორპოსტთაგანი იყო შიდა ქართლში და მას მჭიდრო კავშირურთიერთობა ექნებოდა IV-III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებულ ქართლის სამეფოს ცენტრთან, რასაც ქსნის ხეობისა და მცხეთის მიდამოების ტოპონიმიკური თანხვედრებიც უნდა გვიდასტურებდეს, გავიხსენოთ ქსნის ხევის ბაგინი, არმაზი, საძეგური, ძეგლუვი და მცხეთის ბაგინეთი, არმაზციხე, არმაზისხევი, ძეგვი. მკვლევარის აზრით, „ამ დამთხვევებში შესაძლებელია მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილებაც დავინახოთ ქსნის ხეობიდან ბარში“ (გაგოშიძე 1964: 85).

როგორც ვხედავთ, იულონ გაგოშიძე თანხვედრას ხედავს ქსნის ხევის სა-ძეგ-ურ-სა და მცხეთის ძეგვ-ს შორის.

ჯონდო გვასალია ტოპონიმ „საძეგურს“ უკავშირებს მეგრულ ძეგირს, მისი მოსაზრებით „საძეგურში“ – ქართული „სა“ პრეფიქსით გაფორმებულია მეგრული „ძეგირი“, რაც ქართულად ეკალ-ღიქს ნიშნავს (გვასალია 1983: 164).

სოფლის ძეგლებიდან აღსანიშნავია გვიანი შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ეკლესია, ამავე პერიოდის დარბაზული ეკლესია, სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე კობათის (კობაურების) წმინდა გიორგის სალოცავი, გარშემო გალავნით, ასევე ნასოფლარ „კობაურის“ ტერიტორიაზეა შუა საუკუნეების ეკლესიის შემორჩენილი კედლები, სადაც ძველი საფლავებია და სოფლიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით, მთაში, ნასოფლარ „ულდაში“ სწორკუთხა მოხაზულობის დარბაზული ეკლესია გალავნის ფრაგმენტებით (დადიანიძე 2008: 157-160).

\* \* \*

რაც შეეხება გვიან შუა საუკუნეებს, 1774 წლის ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ამ დროს საძეგურში 19 მკვიდრი კომლი და 2 ბოგანო ცხოვრობდა, ძირითადად, ნავროზაშვილები – 7 კომლი, აქედან 1 ბოგანო, წითურაულები – 2 კომლი (ამ გვარიდან იყო მოურავი შიო), სულაშვილები – 2 კომლი, კობაურები – 2 კომლი, ჭალისური – 2 კომლი, რომელიც წყაროში მითითებულია როგორც ჭალის ურია. ასევე თითო კომლია – კაიშაური, შერმადინი, ილურიძე, მილაძე, ჭოჭალი და ბოგანო ცექვაძე დათუნას შვილი ბერი. როგორც ლამისყანის შესაბამისი პერიოდის აღწერიდან ვიცით, ცექვაძეები ზურაბ კორინთელს ეკუთვნოდნენ და ლამისყანაში ილტობიდან იყვნენ ხიზნად მოსულები, იქიდან კი ერთი ოჯახი 1774 წლამდე გადმოსახლებულა საძეგურში. აი, რას ვკითხულობთ წყაროში:

**საძეგურს ქსნის ერისთვის ყმა**

- ქ: წითურაული გოგის შვილი კომლი. ა. თავი. გ. მოურავი შიო ივანე და პეტრე
- აქავ წითურაული პატარკაცის შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და ბერი
- აქავ კაიშაური მუხის გულის შვილი კომლი ა თავი ა ხადო
- აქავ შერმადინი ქიტის შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და გოგია
- აქავ ჭოჭალი ხოსროს შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და დათუნა
- აქავ ნავროზანთ გაბრიელას შვილი კომლი ა თავი ბ გოგია და შიო
- აქავ ილურიძე ბერის შვილი კომლი ა თავი გ გივი ხიზანა და ივანე
- აქავ კობაური ბასილის შვილი კომლი ა თავი ბ მახარებელი და დემეტრე
- აქავ კობაური სანანის შვილი კომლი ა თავი ა კაცია
- აქავ სულანთ ვაჟიკას შვილი კომლი ა თავი ბ შუშანა და ბერი
- აქავ ჭალის ურია შერმაზანის შვილი კომლი ა თავი ბ მახარებელი და ივანე
- აქავ ჭალის ურია დათოს შვილი კომლი ა თავი ბ დათუნა და ოთარა.
- აქავ სულანთ ნადირას შვილი კომლი ა თავი ა ნიკოლა მეცხვარე
- აქავ ნავროზანთ შიუკას შვილი კომლი ა თავი გ ბერი ბერუა და ოტია
- აქავ ნავროზანთ გამახარას შვილი კომლი ა თავი გ ბერი გოგია და გამახარე
- აქავ ნავროზანთ მახარებლის შვილი კომლი ა თავი გ ივანე ბერი და ივანე
- აქავ ნავროზანთ ომანას შვილი კომლი ა თავი ბ გვიანა და დემეტრე
- აქავ ნავროზანთ შალვას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და პატარკაცი
- აქავ მილაძე ნადირას შვილი ნადირას ობოლი თავი ბ ბერუკა და ნინია
- აქავ ბოგანო ნავროზანთ ნარიმანის შვილი კომლი. ა. თავი ა. ქიტესა
- აქავ ბოგანო ლამისყანელი ცექვაძე დათუნას შვილი კომლი. ა თავი ა ბერი
- იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი იჰ თავი ლჰ
- იქნა მემკვიდრის ობლის ჯამი თავი ბ
- იქნა ბოგანოს ჯამი კომლი ბ თავი ბ. (თაყაიშვილი 1951: 48).

1774 წლის აღწერაში საძეგურს მოსდევს მეზობელი სოფლის – გეზევრეთის მოსახლეობის შესახებ ცნობები, ხოლო მომდევნო აღწერებში, გეზევრეთის მოსახლეობას ცალკე აღარ აღწერენ. გეზევრეთი ახალგორის მუნიციპალიტეტის კორინთის თემის

სოფელია, მდებარეობს ნახიდურის ხეობაში, ხარულის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ახალგორიდან 17 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1320 მეტრზე (ქსე 1978: 35). ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობაში და სხვაგანაც, ძველ წყაროებში, იგი მოხსენიებულია, როგორც გეზერეთი, თუმცა ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მისი სწორი ფორმა გეზერეთია (ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987: 29). გეზერეთის სახელწოდებითაა მითითებული 1914 წლის პაგირევის საძიებელშიც (თაყაიშვილი 1951: 67); (ჯავახიშვილი 1967: 194-195).

მივყვეთ აღწერას:

### **გეზერეთს ქსნის ერისთვის ყმა ამავე მოურავის სახელო**

ქ: წითურაული ხადილას შვილი კომლი ა თავი გ. გლახა მახარა და ქიტესა  
 აქავ წითურაული საბუჯურის შვილი კომლი ა თავი ბ სეხნია და გაბიდაური  
 აქავ შულლიანთ გიორგის შვილი კომლი ა თავი გ პეტრე გელია და შიო  
 აქავ შულლიანთ ქიტის შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და ზურაბა  
 აქავ წმინდა გიორგის ეკლესიისსათვის შეწირული ჭოჭალი ბერის შვილი კომლი ა თავი ბ ხარება  
 და გოგია

აქავ წმინდა გიორგის ეკლესიისსათვის შეწირული ჭოჭალი დათოს შვილი კომლი ა თავი ა ბერუა  
 იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი ვ. თავი იგ“ (თაყაიშვილი 1951: 49); (ჯავახიშვილი 1967: 195).

XVIII საუკუნის 70-იან წლებში გეზერეთში 6 კომლს უცხოვრია: 2-2 კომლს წითურაულები, შულლიაშვილები და ჭოჭალების (შემდგომში ჭოჭელები).

როგორც აღვნიშნეთ, 1783 წელს საძვეურისა და გეზერეთის მოსახლეობა ერთადაა აღწერილი. ამიტომაც შესამჩნევადაა გაზრდილი კომლთა რაოდენობა და 38-ს აღწევს: შულლიაშვილები – 3 კომლი, წითურაულები – 6 კომლი, კობაურები – 6 კომლი, ჭოჭალები – 2 კომლი, კაიშაურები – 2 კომლი, ჭალისურები – 2 კომლი, სულაშვილები – 2 კომლი, ოსიშვილები – 2 კომლი, ილურიძე – 2 კომლი, ნავროზაშვილები – 6 კომლი. ნავროზაშვილები არიან აგრეთვე მამიშვილობის მიხედვით მითითებული ომანას შვილი გოგია და გაბრიელას შვილი გოგია, თითო კომლია შალვაშვილი, შერმადინი, მილაძე.

### **საძვეურიდან ამისივე სახელო**

ქ. შულლიას შვილი კომლი ა თავი ბ მგელია და იოსებ  
 აქავ შულლიას შვილი კომლი ა თავი ბ სეხნია და გაბიდაური  
 აქავ შულლიას შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და ზურაბა  
 აქავ წითურაული კომლი ა თავი ბ ქიტესა და აბრამ  
 აქავ წითურაული კომლი ა თავი ა გლახა  
 აქავ წითურაული შიოს შვილი კომლი ა თავი გ პეტრე მახარე და გივი  
 აქავ წითურაული კომლი ა თავი ა სანაგო  
 აქავ წითურაული კომლი ა თავი ა დემეტრე  
 აქავ კობაური ბეჟუას შვილი კომლი ა თავი ა დათუნა  
 აქავ ჭოჭალი ხარებას შვილი კომლი ა თავი ბ გრიგოლ და იოსებ  
 აქავ კაიშაური კომლი ა თავი დ ზაქარია შალვა მგელია და კაიშაური  
 აქავ კაიშაური კომლი ა თავი ა ხადო  
 აქავ შერმადინი კომლი ა თავი გ ბერი გოგია და პეტრე  
 აქავ მოლაძე (მილაძე ჯავახ., 1967: 216 – დ.ა.) კომლი ა თავი ბ ნადირა და ბერუკა  
 აქავ ნავროზას შვილი კომლი ა თავი ბ ბერი და გოგია  
 აქავ ნავროზას შვილი კომლი ა თავი ბ მჭედელი ბერი  
 აქავ ნავროზას შვილი შიუკას შვილი კომლი ა თავი გ ბერი მახარებელი და ოტია.  
 აქავ ნავროზას შვილი მახარებლის შვილი კომლი ა თავი გ ბერი ივანე და პაპუნა  
 აქავ ნავროზას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და პეტრე  
 აქავ ომანას შვილი კომლი ა თავი ა გვიანა  
 აქავ შალვას შვილი კომლი ა თავი გ გიორგი თევდორე და ელისბარ.

აქავ ჭალისურა (ჭალის უ რ ი ა – ჭავახიშვილი 1967: 216 – დ. ა.) კომლი ა თავი გ ივანე ბერი და შერმაზან.

აქავ ჭალისურის გიორგის შვილი კომლი ა თავი ა ოთარა

აქავ სულას შვილი კომლი ა თავი გ გოგია ივანე და ბასილა

აქავ სულას შვილი კომლი ა თავი ა ბერი

აქავ კობაური კომლი ა თავი ბ ბერი და ოთარა

აქავ კობაური ბასილის შვილი კომლი ა თავი ა ბერი

აქავ კობაური კომლი ა თავი გ მახარებელი დემეტრე და გიორგი.

აქავ კობაური კომლი ა თავი ბ სეხნია და გიორგი

აქავ ილურიძე კომლი ა თავი ბ გივი და გულბაათ

აქავ ილურიძე კომლი ა თავი ა გიორგი

აქავ გაბრიელას შვილი კომლი ა თავი ა გოგია

აქავ ოსის შვილი კომლი ა თავი ა პეტრე

აქავ ოსის შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და ღვთისავარ

აქავ ჭოჭალი ხოსროს შვილი კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი დათუნა

აქავ ნავროზას შვილი კომლი ა თავი (ა) შეუძლებელი გამახარე

აქავ კობაური კომლი ა თავი (ა) კაცია შეუძლებელი

აქავ წითურაულის თევდორეს ობოლი (კომლი) ა (თავი) გ ნინია მამუკა და ბერი.

იქნა ჭამი მემკვიდრისა. კომლი ლჰ. თავი. იზ.

იქნა ჭამი მემკვიდრის ობლისა ა: (თაყაიშვილი 1951: 19-20); (ჭავახიშვილი 1967: 216).

ქსნის საერისთავოს მესამე მოსახლეობის აღწერაში კომლების რაოდენობა 39-ია. დამატებულია ერთი კომლი: „ქ. წითურაული გამიხარდის შვილი კომლი ა თავი ა ბერი“. იქვე სქოლიოში მინიშნებაა, რომ სტრიქონი მარცხენა გვერდით წერია (ჭავახიშვილი 1967: 238).

აღწერებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფაქტი: შუღლიაშვილებში ფშაური წარმომავლობის გვარი გაბიდაური საკუთარ სახელადაა ქცეული. ეს სახელი ქსნის ხეობაში ამ დროისათვის უკვე გავრცელებული იყო და ძირითად, იმ გვარებში გვხვდება, რომლებიც გაბიდაურებიდან მომდინარეობს. თუმცა ამ შემთხვევაში სახელს გვარის ძირთან ვერ დავაკავშირებთ. ერთ-ერთ მეკომურად მითითებულია ნავროზას შვილი მჭედელი ბერი. საძეგურელი ნავროზაშვილები მჭედლობის ტრადიციას შემდგომშიც აგრძელებდნენ. ამის დასტურია ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ისაკ ზაქარას ძე ნავროზაშვილის საქმიანობა, რომელსაც სამჭედლო საკუთარ სახლში ჰქონდა მოწყობილი. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ქსნელი მჭედლების ნახელავი გამორჩეული იყო ფორმითაც და თვისებებითაც, სიდიდესთან ერთად ახასიათებდა „ტანის სიმტკიცე, ფხა-ალმასი და მკვეთელობა“ (რეხვიაშვილი 1954). ხელოსნობასთან ერთად მეცხვარეობა რომ უძველესი დროიდან სოფლის ერთ-ერთი ძირითადი დარგი იყო, ამას ადგილობრივ მოსახლეობაში დაცული გადმოცემებიც ადასტურებენ. კერძოდ, ქსნისხეობელი ქალბატონის – თინა ქუტაშვილი იხსენებს შემდეგ ფაქტს: „მე მახსოვს საძეგურში ასევე იყო ნაპოვნნი ოქროთი ჩამოსხმული ვერძი და მალევე მიჩქმალეს, ვინ დაეპატრონა უცნობიაო“.

ასევე, 1774 წლის ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერის მიხედვით სულაშვილების ორი კომლიდან, ერთ-ერთ კომლს წარმოადგენს „სულანთ ნადირას შვილი თავი ა კომლი ა ნიკოლა მეცხვარე“. ზესახელი მის საქმიანობაზე მიგვანიშნებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1783 წლის მონაცემებში საძეგურის მკვიდრთა შორის ბოგანოდ მითითებულ კომლებს ვეღარ ვხვდებით. უფრო მეტიც, ლამისყანელი ცექვაძე დათუნას შვილი ბერი ახალ აღწერაში საერთოდ აღარ ჩანს, ისევე, როგორც აღარაა გამოკვეთილი მოურავის სახელო.

1783 წლის აღწერისგან განსხვავებით, იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაში „გებურეთი“ და საძეგური ცალ-ცალკე არიან მითითებულნი (ენუქიძე, ბედოშვილი 1986: 36).

1803 წლის საუფლისწულოს აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით საძეგურში 41 ოჯახს უცხოვრია, 168 მამაკაცსა და 116 ქალს. უნდა ითქვას, რომ, ამ შემთხვევაშიც

გებევრეთის მოსახლეობა საძვეურის მოსახლეობის რიგშია მითვლილი, რადგან გებევრეთზე ცალკე ცნობები არ გვაქვს (აქტები 1868: 82).

საძვეურისა და გებევრეთის მოსახლეობა ასევე გაერთიანებული ჩანს 1804 წლის საძვეურის მოსახლეობის აღწერაში; პირველი რუსული კამერალური აღწერის ბეჭდური პირი, საიდანაც ჩვენ ვსარგებლობთ, დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. აღნიშნული ისტორიული დოკუმენტი მუზეუმისთვის 1956 წელს შენიშვნებითა და კომენტარებით გადაუცია ცნობილ მეცნიერს სარგის კაკაბაძეს. როგორც იგი წერს: „აღწერა იძლევა ძვირფას ცნობებს სათანადო სოფლებისა და მხარეების მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების შესახებ, არკვევს აგრეთვე ამ მოსახლეობის სოციალურ რაობას, საკომლო კერძო მფლობელობის შეხამებას სათემო მფლობელობასთან და სხვა“ (გსიემ 1956: 5). აღსანიშნავია ისიც, რომ ნაბეჭდ ტექსტში მითითებულ სახელებსა და გვარებს შეძლებისდაგვარად ვაზუსტებთ.

როგორც ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში საძვეურში 39 კომლი ცხოვრობდა:

- 1) იასე ნაოზაშვილი (ნაროზაშვილი – დ. ა), 4 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, 1 წისქვილი, მოჰყავს 12 კოდი პური. გადასახადი არ გადაუხდია.
- 2) გოგია მელაძე შვილი (მილაძე? – დ. ა), 6 მამაკაცი, 6 ქალი, 20 დღის სახნავი მიწა, 20 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 1 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 6 კოდი, 2 ბატკანი, სულ 6 მანეთი და 40 კაპიკი.
- 3) მახარაბელი ნიოზიშვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 4 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 7 ლიტრა, ფული – 15 კაპიკი, სულ: 71 კაპიკი.
- 4) ივანე ილურიძე შვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 12 ლიტრა, ფული – 50 კაპიკი, სულ: 1 მანეთი და 46 კაპიკი.
- 5) რამაზან კობაიძე შვილი, 3 მამაკაცი, 11 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 6 ლიტრა, ფული – 25 კაპიკი, სულ: 73 კაპიკი.
- 6) ბერი კობაიძე შვილი, 2 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 6 ლიტრა, ფული – 25 კაპიკი, სულ: 73 კაპიკი.
- 7) პეტრე ოსიპა შვილი (ოსი შვილი – დ. ა.), 4 მამაკაცი, 3 ქალი, საკუთარი მიწა არა აქვს, სარგებლობს ეკლესიის მიწებით და მიწის მფლობელს უხდის მიწის საფასურს... გადახდილი აქვს 2 კოდი ხორბალი, 1 ბატკანი, ფული – 1 მანეთი, სულ: 3 მანეთი და 40 კაპიკი.
- 8) გოგია ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 2 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, გადახდილი აქვს ხორბალი 3 ლიტრა... სულ: 24 კაპიკი.
- 9) ხთისია ნაოზა შვილი (ღვთისია ნაროზაშვილი – დ. ა), 2 მამაკაცი, 4 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, გადასახდი გადახდილი არ აქვს.
- 10) ვასილ სულაშვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, გადახდილი აქვს ხორბალი 2 კოდი, ფული - 50 კაპიკი, სულ: 2 მანეთი და 10 კაპიკი.
- 11) ომა ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 5 მამაკაცი, 5 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ხორბალი 3 ლიტრა, ფული – 10 კაპიკი, სულ: 34 კაპიკი.
- 12) გლახა ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 3 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ასევე 34 კაპიკი.
- 13) მახარაბელი ურიაშვილი, 6 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ხორბალი 12 ლიტრა, ფული – 50 კაპიკი, სულ: 1 მანეთი და 46 კაპიკი.
- 14) დათუა ურიაშვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 46 კაპიკი.
- 15) ბერი ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 4 მამაკაცი, 5 ქალი, გადახდილი აქვს ხორბალი 6 ლიტრა, ფული – 25 კაპიკი, სულ: 73 კაპიკი.
- 16) შალვა ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 5 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ასევე 73 კაპიკი.
- 17) პარუნა ნაოზა შვილი (პაპუნა ნაროზაშვილი – დ. ა.), 5 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 4

- დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს ასევე 73 კაპიკი.
- 18) პაპუა ნაოზა შვილი (პაპუნა ნაროზაშვილი – დ. ა.), 6 მამაკაცი, 5 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 2 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ხორბალი 3 ლიტრა, ფული – 10 კაპიკი, სულ: 34 კაპიკი.
- 19) სიხარულა ნაოზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 5 მამაკაცი, 2 ქალი... გადახდილი აქვს ასევე 34 კაპიკი.
- 20) მახარა წითერაულა შვილი (წითურაული – დ. ა.), 5 მამაკაცი, 3 ქალი, 1,5 სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, გადახდილი აქვს 3 ლიტრა ხორბალი და 3 ლიტრა ქერი, ფული – 25 კაპიკი, სულ: 67 კაპიკი.
- 21) ღვთისივარ მწითრაული შვილი (წითურაული – დ. ა.), 9 მამაკაცი, 8 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 3 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, გადახდილი აქვს ასევე 67 კაპიკი.
- 22) ელიზბარ შარმადინა შვილი (შერმადინი – დ. ა.), 2 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა, 1 წისქვილი საკუთარი პურის დასაფქავად. გადახდილი აქვს 1 მანეთი და 34 კაპიკი.
- 23) გიორგი ქოჭოლაშვილი (ქოჭალი – დ. ა.), 3 მამაკაცი, 3 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 15 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადახდილი აქვს 1,5 კოდი ხორბალი და 1,5 კოდი ქერი, ფული – 1 მანეთი, სულ: 3 მანეთი და 10 კაპიკი.
- 24) ოსიპ (ოსია – დ. ა.) ქინჭარაულიშვილი, 6 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 14 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა, გადახდილი აქვს ასევე 3 მანეთი და 10 კაპიკი.
- 25) იოვ შულლიაშვილი, 5 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს ფული – 25 კაპიკი, ასევე პური, სულ: 2 მანეთი და 35 კაპიკი.
- 26) იოსებ შულლიაშვილი, 5 მამაკაცი, 7 ქალი, გადახდილი აქვს ასევე სულ: 2 მანეთი და 35 კაპიკი.
- 27) ბერი შულლიაშვილი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 1,5 კოდი ხორბალი და 1,5 კოდი ქერი, ფული – 25 კაპიკი, სულ: 2 მანეთი და 35 კაპიკი.
- 28) აბრამ იროტუ რაულიშვილი (ქინჭარაული? – დ. ა.), 5 მამაკაცი, 7 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს ასევე პური, ფული – 50 კაპიკი, სულ: 2 მანეთი და 60 კაპიკი.
- 29) ოსიპ (ოსია – დ. ა.) სულაშვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 4 თივა, გადახდილი აქვს 1 კოდი ხორბალი და 1 კოდი ქერი, ფული – 1 მანეთი, სულ: 2 მანეთი და 40 კაპიკი.
- 30) დიმიტრი კობაური შვილი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ხორბალი და 2 ლიტრა ქერი, ფული – 15 კაპიკი, სულ: 43 კაპიკი.
- 31) იაკობ კობაური შვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 5 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 1 თივა, გადახდილი აქვს 1 ლიტრა ხორბალი და 1 ლიტრა ქერი, ფული – 8 1/2 კაპიკი, სულ: 22 1/2 კაპიკი.
- 32) ბერი წითარაულიშვილი (წითურაული – დ. ა.), 5 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 3 ლიტრა ხორბალი და 3 ლიტრა ქერი, ფული – 50 კაპიკი, სულ: 92 კაპიკი.
- 33) მგელია ქალისურაშვილი (ქალისური – დ. ა.), 6 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს ასევე 92 კაპიკი.
- 34) ოტია ნაუროზა შვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 6 მამაკაცი, 4 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა, გადახდილი აქვს 2 ლიტრა ხორბალი და 2 ლიტრა ქერი, ფული – 15 კაპიკი, სულ: 43 კაპიკი.
- 35) გიორგი კაშაურა შვილი (კაიშაური – დ. ა.), 4 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადახდილი აქვს 6 ლიტრა ხორბალი და 6 ლიტრა ქერი, ფული – 25 კაპიკი, სულ: 1 მანეთი და 9 კაპიკი.
- 36) პეტრე ნაუროზაშვილი (ნაროზაშვილი – დ. ა.), 5 მამაკაცი, 3 ქალი, 1,5 დღის სახნავი მიწა, 4 დღის – სახნავად გამოუყენებელი, გადახდილი აქვს 1 ლიტრა ხორბალი და 1 ლიტრა ქერი, ფული – 8 1/2 კაპიკი, სულ: 22 1/2 კაპიკი.

37) სიხარული შარმადინა შვილი (შერმადინი – დ. ა.), 6 მამაკაცი, 4 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 6 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 12 თივა, გადახდილი აქვს 3 ლიტრა ხორბალი და 3 ლიტრა ქერი, ფული – 50 კაპიკი, სულ: 92 კაპიკი.

38) ბერი კობაური შვილი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 7 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს 6 ლიტრა ხორბალი და 6 ლიტრა ქერი, ფული – 50 კაპიკი, სულ: 1 მანეთი და 34 კაპიკი.

39) ბერი ქიტესა შვილი, 3 მამაკაცი, 1 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 8 დღის – სახნავად გამოუყენებელი, 3 თივა, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი და 34 კაპიკი.

39 ოჯახში 170 მამრობითი და 152 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, მათ მფლობელობაშია 122 დღის სახნავი მიწა, 246 დღის სახნავად გამოუყენებელი, 106 თივა, 2 წისქვილი, გადახდილი აქვთ 52 მანეთი და 1 კაპიკი. გადასახადს მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით იხდიან. ყმები თავად ერისთავს ეკუთვნიან (გსიემ 1956: 56-61).

საძვეური მიეკუთვნება ქსნის ხეობის იმ სოფლების სიას, სადაც სახნავად გამოუყენებელი მიწები დამუშავებულ მიწებს ორჯერ აღემატება, გადასახადს იხდიან როგორც ფულის სახით, ისე ნატურით: მეცხოველეობით, ასევე პურით, ხორბლით, ქერით.

როგორც ვხედავთ, საძვეურში ყველაზე მეტი ნარობაშვილები ყოფილან, თუმცა ტექსტში გვარი ხან ნარობაშვილად, ხან ნიოზიშვილად და ხანაც ნაურობაშვილადაა მითითებული. მეთვრამეტე საუკუნის აღწერებში კი ნავრობაშვილებად არიან მოხსენიებული. მეცხრამეტე საუკუნიდან ქსნის ხეობელი ნავრობაშვილები უკვე ნარობაშვილებად აღირიცხებიან (აღმწერთა „გავლენით“ ხმოვანი ვ დაიკარგა), თუმცა ქართლის ბარის სოფლებში მცხოვრებნი, მაგალითად, ოკამში, ლამისყანაში ნავრობაშვილებად იწერებიან. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში ნავრობაშვილები სულ 1095 ადამიანია, უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს – 516, კასპში – 177, რუსთავში – 54, დუშეთში – 53, ახალგორში – 5 და ასე შემდეგ (კვაჭანტირაძე 2017: 367). ნარობაშვილები 244 ადამიანია, უმრავლესობა ცხოვრობს კასპში – 84, ახალგორში – 51, რუსთავში – 35. საქართველოში ასევე ცხოვრობენ ნარობაულები – 214 ადამიანი, უმრავლესობა დედოფლისწყაროში – 89 და თბილისში – 50 (კვაჭანტირაძე 2017: 373).

ქსნის ხეობის მოსახლეობის აღწერებისაგან განსხვავებით 1804 წლის აღწერაში ვხვდებით, რამდენიმე ახალ მოსახლეს, მაგალითად: ქიტესაშვილს, ჭინჭარაულს, რაულიშვილს, რომელიც რეალურად ჭინჭარაული უნდა იყოს. საყურადღებოა კიდევ ერთი გვარი – უჩიაშვილი, ამ გვარის ორი ოჯახია მეცხრამეტე საუკუნის აღწერაში. მართალია, რუსულ წყაროში ცალკეა მითითებული მგელია ჭალისურის ოჯახი, მაგრამ თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ 1804 წელს ნახსენები ურიაშვილები, ჭალისურების შთამომავლები არიან, რომლებიც ადრე ჭალის ურიად იყვნენ ცნობილები. ჩნდება კითხვა, ხომ არ გვაქვს საქმე საქართველოში ურიად წოდებულ ებრაელებთან? – მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ რუსულ აღწერაში „ჭალის ურიის“ შთამომავალთა ერთი შტო სულაც ურიაშვილებად იწოდებიან. ს. მაკალათიას მინიშნებით: „წინათ ლარგვისში (საძვეურთან ახლოს – დ. ა.) სავაჭრო ჰქონიათ ურიასა და სომეხს. იმ ადგილს, სადაც ურიას სავაჭრო იყო, უწოდებენ ურიათ უბანს, სადაც სომხის სავაჭრო იყო – სომხის უბანს“ (მაკალათია 1968: 81).

ცხადია, ზემოთ თქმული მიაწინებს იმას, რომ ურიათ უბანში ებრაელები, ხოლო სომხის უბანში სომხები ცხოვრობდნენ. შესაძლებელია, რომ ებრაელ მოვაჭრეთაგან ამ მხარეში ვინმე დამკვიდრებულიყო. თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ წყაროში საუბარი იყოს ჭალისურზე და არა ჭალაში დამკვიდრებულ ურიაზე. ჭალისურები, თავის მხრივ, ანატორელი სისაურების განაყარი შტოა (თოფჩიშვილი 2002: 18); (ნაზლაძე 2008); (ბეჭაური 2017) თუ გავითვალისწინებთ, როგორ ხშირი იყო არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში მოსახლეობის მიგრაცია და, მით უფრო, სისაურთა განშტოებების, არაა გასაკვირი ჭალისურთა საძვეურში დამკვიდრება. ჭალის ურიაზე თუ ურიაშვილებად მოხსენიებული პირების სახელებიც ქართულია: მახარებელი, დათუნა, ოთარა, ბერი, გიორგი, მგელია. დღესდღეობით ჭალისურები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში, 2016



წლის მონაცემებით სულ 57 ადამიანი, აქედან თბილისში 23 მოსახლეა, კასპში – 25, ხოლო ახალგორში – 9 (კვაჭანტირაძე 2017: 597).

არაგვის ხეობიდან არიან გადმოსულები აღწერაში ნახსენები კობაიძე-კობაურები და კაიშაურები. კობაურების,

მთიულეთიდან გადმოსახლების მიზეზი ბატონის მკვლელობა ყოფილა. ორ ძმა კობაიძეს ბატონი მოუკლავს. სულ ოთხი ძმანი ყოფილან. ოთხივე გადმოსულა და დასახლებულან საძეგურის ხეობაში. „ისინი შამახიზნულები ყოფილან და კაცი რომ მოკლეს, იმიტომ შეიცვალეს გვარი კობაიძე კობაურად“. კობაურების ნაწილი საძეგურიდან უფრო დაბლობში (მაგალითად, სოფელ ახმაჯში) გადასულა საცხოვრებლად. მთხრობელისავე სიტყვით, „სალოცავად წინ-წინ დადიოდნენ კობაურები ჩირიკში“. ძირად კობაიძეები არიან სოფ. კობიანთკარში (დუშეთის მახლობლად) მოსახლე გორმაზაშვილები. საძეგურში მოსახლეობენ აგრეთვე მთიულეთიდან გადმოსახლებული კაიშაურები (თოფჩიშვილი 2002: 18-19).

ხევსურეთიდან არიან მოსული წინქარაულები, ხოლო ქსნის ხეობის სოფლებიდან შერმადინები, ილურიძეები და მილაძეები. რაც შეეხება ოსიშვილებს, მათი ძირი გვარი რაზმაძეა და ქსნის ხეობაში რაჭიდან არიან მიგრირებულნი. საძეგურიდან ოსიშვილები გადასახლებულან ლამისყანაში, კასპში, გორში, ერედაში, წილკანში და სხვაგან. 2016 წლის მონაცემებით საქართველოში 212 ოსიშვილი ცხოვრობს, უმეტესობა თბილისში – 77, მცხეთაში – 62, კასპში – 29, ახალგორში – 22 და ასე შემდეგ (კვაჭანტირაძე, 2017: 392). ბევრად მეტნი არიან რაზმაძეები – 5608.

1873 წლის აღწერაში საძეგური წარმოდგენილია 2 ცალკე სოფლად: საძეგური პირველი და საძეგური მეორე.

საძეგური პირველი თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მონასტრის საზოგადოებაში შედიოდა. „დროებით ვალდებულნი გლეხნი“ თავად გიორგი ერისთავის (ერისთავის) და კნენა ნინო ორბელიანოვის (ორბელიანის) მიწაზე იყვნენ დასახლებულნი. გიორგი ერისთავს 12 კომლი ეკუთვნოდა: ნავროზაშვილები (5 კომლი), რომლებიც ხან ნავროზაშვილებად და ხან ნაროზაშვილებად არიან მითითებულნი, ჭალისურები (3 კომლი), კობაურები (3 კომლი) და ოსიშვილები (1 კომლი). ნინო ორბელიანის მიწაზე 20 კომლი ცხოვრობდა: ოსიშვილები (3 კომლი), ილურიძეები (1 კომლი), კაჭიურები (1 კომლი), კობაურები (2 კომლი), სულაშვილები (5 კომლი), ნაროზაშვილები (8 კომლი). სულ 32 კომლი, 110 მამრობითი, 82 მდედრობითი სქესის (192 სული). სულ ქართველნი. მართლმადიდებელი ქრისტიანები. აღწერაზე პასუხისმგებელი პირები ყოფილან მონასტრის საზოგადოებიდან „აღმორჩეულნი“ თევდორე გოგიჩაშვილი და ზაქარა ნაროზაშვილი. დამონმებულია ბეჭდით მამასახლისის - პეტრე ზარიძის მიერ (არქივი № 296: ფურცელი 151-166).

საძეგური მეორე თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის გეზვერეთის საზოგადოებას ეკუთვნოდა. თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის (ერისთავის) მიწაზე 5 კომლი ცხოვრობდა: მილაძეები (3 კომლი), გიგაური (2 კომლი), კნენა ნინო ორბელიანოვის (ორბელიანის) კუთვნილი გლეხები 7 კომლი იყო: წითურაულები (4 კომლი), კაიშაურები (2 კომლი), ნაროზაშვილები (1 კომლი). სრულებით დროებით ვალდებულნი გლეხები 12 კომლს შეადგენდა, 53 სული მამრობითი და 45 მდედრობითი სქესის (98 სული). სულ ქართველნი. მართლმადიდებელი ქრისტიანები. აღწერაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ გეზვერეთის საზოგადოებიდან „აღმორჩეულნი პირნი“: ზაქარა ჭოჭალი, შალვა კუდუხაშვილი, ზაქარა ფსუტური და მოსე ჩარაშვილი. დამონმებულია მამასახლისის ზურაბ კაიშაურის ბეჭდით (არქივი № 297: ფურცელი 167-175).

1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით საძეგური პირველის მოსახლეობა 35 კომლია, 118 მამრობითი სქესის, 80 მდედრობითი (სულ 198 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (მონაცემები 1893: 77). საძეგური მეორეს კომლების რაოდენობა 14 კომლს შეადგენს, 56 მამრობითი სქესის, 31 მდედრობითი (სულ 87 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (სტატისტიკური მონაცემები 1893: 75).

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით,

საძვეურში, რომელიც მონასტრის თემს მიეკუთვნებოდა 32 კომლს უცხოვრია, 61 მამაკაცსა და 86 ქალს, სულ 147 სული (აღწერის ჯამები 1926: 168).

2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის მონაცემებით, კორინთის თემის საკრებულოში შემავალი საძვეური პირველის (საძვეური მეორე ცალკე სოფლად აღარ იხსენიება) მოსახლეობა 161-ია, 81 მამაკაცი და 80 ქალი, მოსახლეობის 99% ქართველია (აღწერა 2003: 118).

2008 წლის აგვისტოს ომამდე საძვეურში, ძირძველი მკვიდრი მოსახლეობიდან, ძირითადად, ცხოვრობდნენ ნარობაშვილები, კობაურები, რაზმაძეები, კაიშაურები, მილაძეები, სულაშვილები, ასევე ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გადმოსახლებული ბუთხუზები, ბუნტურები, ჩიტიშვილები, გიგაურები, ბერიძეები და სხვები.

## დამონბებანი:

**ამირანაშვილი 1961:** შ. ამირანაშვილი. *ქართული ხელოვნების ისტორია*, თბილისი.

**არქივი № 296:** საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 261, დოკუმენტი № 296, ფურცელი 151-166.

**არქივი № 297:** საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254 ანაწერი 3, საქმე 261. დოკუმენტის ნომერი 297. ფურცელი 167-175.

**აფაქიძე 1959:** ა.აფაქიძე. *საქართველოს არქეოლოგია*, თბილისი.

**აქტები 1868:** *Акты, собранные Кавказской археографической комиссией*, Том II. Тифлис.

**აღწერა 2003:** საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბილისი.

**აღწერის ჯამები 1926:** *სხუდიან საქართველოს 1923 წლის სასოფრო-სამეურნეო აღწერის ჯამები*, ნაწილი II, დემოგრაფია, ნაკვეთი I, სოფლობრივი ჯამები, ტფილისი.

**ახლოური 2021:** დ. ახლოური. *ქსნის ხეობის ისტორია*, ტ. II, თბილისი.

**ახუაშვილი 2005:** ი. ახუაშვილი. *ქართული გვახ-სახელები, მასალები ქართული გვახების ისტორიისათვის*, ტ. I, თბილისი.

**გაგოშიძე 1964:** ი. გაგოშიძე. *აღმოსავლური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან*, თბილისი.

**გაგოშიძე 1997:** ი. გაგოშიძე. *ახალგორის განძი, საქართველო ენციკლოპედია*, ტ., I, თბილისი.

**გელაშვილი 1962:** *გიუდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., I, თბილისი.

**გელაშვილი 1964:** *გიუდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., II, თბილისი.

**გვასალია 1983:** ჯ. გვასალია. *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნაჩვენებები (შიდა ქართლი)*, თბილისი.

**გობეჯიშვილი 1952:** გ. გობეჯიშვილი. *არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში*, თბილისი.

**გსიემ 1956:** გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საეხისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486.

**დადიანიძე 2008:** შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები, რედ. ცირა დადიანიძე, ტ. IV, თბილისი.

**ენუქიძე, ბედოშვილი 1986:** *იოანე ბაგვატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი.

**თაყაიშვილი 1951:** ე. თაყაიშვილი. *ქსნის საეხისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსნა)*, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბილისი.

**თოფჩიშვილი 2002:** რ. თოფჩიშვილი. *საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიისათვის (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგვაყის ეთნოისტორიული საკითხები)*, თბილისი.

**კეცხოველი 1971:** ნ. კეცხოველი. *მოხბის ახაგვი, ახაგვიანი*, თბილისი.

**კვაჭანტირაძე 2017:** კ. კვაჭანტირაძე. *ქართული და ქართულ-ებრაული გვახ-სახელები*, თბილისი.

**მაისურაძე 1990:** ი. მაისურაძე. *ქართული გვახსახელები (სადრეწიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები)*, თბილისი.

- მაკალათია 1968** : ს. მაკალათია. *ქსნის ხეობა, ისგოხიუდ-ეთნოგრაფიული ნაჩკვევი*, თბილისი.
- რეხვიაშვილი 1954**: ნ. რეხვიაშვილი. *ქსნური ქარჩი, საქართველოს მუზეუმის მოამბე*, ტ., XVIII-B, თბილისი.
- რეხვიაშვილი 1975**: ნ. რეხვიაშვილი. *მჭედლობა ქსნის ხეობაში, წიგნში: ქსნის ხეობა*, თბილისი.
- სონღულაშვილი 2009**: ა. სონღულაშვილი. „*სამხეთ ოსეთი საქართველოში?!*“, თბილისი.
- სმირნოვი 1934**: Я. Смирнов. *Ахалгорский клад*, Тифлис.
- სტატისტიკური მონაცემები 1893**: *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уезд, Ксанский участок*, Тифлис.
- ქსე 1985**: საძეგური პირველი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ., 9, თბილისი.
- ქსე 1978**: გებუვრეთი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ., 3, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1973**: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
- ხოცუაშვილი 1987**: ვ. ხოცუაშვილი. ახალგორის განძის თავგადასავალი, *დენინედი*, 24.X.1987, ახალგორი.
- ჯავახიშვილი 1967**: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს ეკონომიუხი ისგოხიის ძეგლები*, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, თბილისი.



ნივთები ახალგორის განძიდან (საქართველოს ეროვნული მუზეუმი).

## FROM THE HISTORY OF SADZEGURI VILLAGE OF KSANI GORGE

**Davit Akhlouri**

Gori State University  
datoakhlouri@gmail.com

The paper talks about the historic village monument of Ksani valley, which is located in the occupied Akhalgori municipality. It begins with survey of ancient period based on archaeological data. In the second part of the is paper the modern period and current situation are represented.

According to the XVIII-XXI centuries' census data one can elaborate on the political, economic, social and demographic situation in Sadzeguri (which was divided into two parts - Sadzeguri first and Sadzeguri second), categories of peasants and taxes. It can be seen that the majority of the rural population lived on the land of the landowner gentry.

When talking about the demographic situation of the village, censuses of different periods were compared. It is shown how the demographic picture of the village changed over the years, what path this or that family took before settling in Sadzeguri and in the subsequent period, what was the situation here before the August 2008 war and what is the situation today, after the occupation of the Akhalgori side.-

# ადგილობრივთა აღქმა ევროპელი კათოლიკე მისიონერების მიერ საქართველოში (XVII-XVIII საუკუნეები)<sup>1</sup>

**დავით თინიკაშვილი**  
კავკასიის უნივერსიტეტი  
dtinikashvili@cu.edu.ge

ევროპიდან საქართველოში ჩამოსული მისიონერების აღქმა ქართველებისა და ამ უკანასკნელთა მიერ გამოვლენილი დამოკიდებულების ზოგიერთი მაგალითი პირველთა მიმართ ერთობ საინტერესო ანალიზის საშუალებას იძლევა. ცხადია, აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება არ იქნებოდა ერთგვაროვანი და ერთმნიშვნელოვანი დადებითი თუ უარყოფითი შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ის უფრო მეტად დადებითი ნიშნით იყო აღბეჭდილი.

საქართველოში კათოლიკე მისიონერების განსაკუთრებული აქტიურობა XVII-XVIII საუკუნეებში ჩანს. შესაბამისად, მათი საქმიანობის შესახებ ყველაზე ვრცელი წერილობითი წყაროები სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება, რაც საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შევიქმნათ დასმულ საკითხზე. მისიონერები საკმაოდ ვრცელ ანგარიშებს წერდნენ საქართველოს, ქართველებისა და მათი რელიგიური თუ საერო ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამიტომ, საანალიზო მასალად ამ წყაროების არგამოყენება დიდი შეცდომა იქნებოდა.

ლათინ მისიონერებს, როგორც წესი, შესწავლილი ჰქონდათ ქართული და ქართველური ენები (მაგ., მეგრულიც). შესაბამისად, მათ შეეძლოთ უშუალო ვერბალური ურთიერთობაც ჰქონოდათ ადგილობრივებთან. ამიტომ, ქართველებსა და ევროპელ ბერებს შორის ენობრივი ბარიერის არ არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებდა ერთმანეთის შესახებ ადეკვატური წარმოდგენის შექმნას.

ცხადია, უცხო ქვეყანაში მოსულ მისიონერებს სიფრთხილე და ერთგვარი დიპლომატიის გამოჩენა მოეთხოვებოდათ იმისათვის, რომ მათ მოღვაწეობას ადგილობრივ მოსახლეობაში საწინააღმდეგო რეაქციები არ გამოეწვია. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ზოგჯერ თავის უარყოფით დამოკიდებულებასაც პირდაპირ გამოხატავდნენ ქართველების წინაშე ამ უკანასკნელთა „სქიზმატური“ სარწმუნოებისა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგ., ქრისტეფორე დე კასტელი შემდეგს წერდა:

ზოგჯერ ლევან დადიანთან მისი სარწმუნოების, სქიზმატიკოსების საწინააღმდეგო სიტყვებიც მითქვამს. მისთვის ასეთი რამის თქმას სხვა ვერავინ გაბედავდა და, რადგან თავისუფლებით ვსარგებლობდი, უშიშრად ვლაპარაკობდი პატრიარქებთან, მთავარებთან და მეფეებთან. ისინი ხალხით მისმენდნენ და სიყვარულით მეკიდებოდნენ მაშინაც კი, თუ მე მათი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყვოდი (პაპაშვილი 2009: 66).

სხვა ადგილას წერს, თუ როგორ აცხადებდა ცრურწმენად იერუსალიმში გადმოსული ცეცხლის სასწაულებრიობას მართლმადიდებელი პატრიარქის წინაშე<sup>2</sup> და დასძინს: „ყველა გაოცებული დარჩა, რადგან მას ვესაუბრე გამომეტყველებითა და ენერგიულად. ჩემი ბუნებრივი ნაკლია ასეთი სახით საუბარი“ (პაპაშვილი 2009: 76).

წარმატებული მისიონერობა, როგორც წესი, არ გულისხმობდა ადგილობრივთა რწმენის პირდაპირ და სისტემატურ გმობას, რაც ყოველთვის ბუნებრივ და გარანტირებულ წინააღმდეგობას იწვევს. ამ ელემენტარული წესის შესახებ შესანიშნავად ეცოდინებოდათ ლათინ მისიონერებს, რადგან ის არ იყო სიახლე ქრისტიანულ მისიოლოგიურ ტრადიციაში. „დიპლომატიური“ მისიონერული ტაქტიკა ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა გამოავლინა,

როდესაც არეოპაგში აღმართული კერპები (სამსხვერპლოები) და მათი თაყვანისმცემლები კი არ დაგმო და გაკიცხა, არამედ ათენელების რელიგიურ ლანდშაფტში სათანადო ღიობის პოვნას ეცადა და მისი მეშვეობით ერთგვარი პოზიტიური ხიდი გადო წარმართი მსმენელების გულებად (ვრცლად, იხ. საქმე 17:22-23). მიუხედავად ამისა, ცხადია ყოველი მისიონერი როდი იქნებოდა გამორჩეული თავისი მოზომილობით, სიფრთხილითა და თავაზიანობით.

ზოგადად, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე ბერები, როგორც წესი, შეფასებითი კომენტარების გარეშე ცდილობდნენ ობიექტურად აღწერათ ის ვითარება, რომელშიც უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ ნაწერებში, ფაქტების კონსტატირებისას, ძალიან იშვიათად შეიძლება ვლინდებოდეს ქედმაღლობა თუ სიძულვილი სხვადასხვა სახის წესის დამრღვევების მიმართ, რაც ლოგიკურად დამაზიანებელი იქნებოდა მათი მისიისთვის. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ ევროპელი მისიონერები ქვეყნის ცხოვრებაში დადებითი წვლილის შეტანას გულწრფელად ცდილობდნენ. ქართველების მიმართ თანაგრძნობა, პატივისცემა და მათთვის დახმარების ხელის განწდენა მისიონერთა საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებაში ჩანს, იქნებოდა ეს პედაგოგობა (კათოლიკე სასულიერო პირები ავტორიტეტულ აღმზრდელებად ითვლებოდნენ დიდგვაროვანთა ოჯახებში, რასაც აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიაც მოწმობს), ქვეყნის ინფრასტრუქტურის გამართვა (აგებდნენ ხიდებს, შენობებს), ავადმყოფთა მკურნალობა (ქართველთა შორის ექიმების დიდი დეფიციტი იყო), დიპლომატია (ქართველი მონარქების მრჩეველობა) თუ ქართველოლოგიური მნიშვნელობის განვითარება (პირველი ქართული ლექსიკონი სწორედ იტალიელმა ბერებმა დასტამბეს).

დაკვირვებული მისიონერები თავის რელაციებში აფიქსირებდნენ ყველაფერს, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. მათი მოხსენებითი ბარათები, უწინარეს ყოვლისა, რომისთვის იყო განკუთვნილი ანუ უმეტესად იწერებოდა ქართველებისთვის უცხო ენაზე. ავიღოთ XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე ცნობილი იტალიელი მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს რელაციები (ანგარიშები), რომლებიც 1626-1638 წლებში შექმნილ მდგომარეობას ასახავს. აღნიშნული მისიონერი ნამყოფია ასევე გურიასა და სამეგრელოში (გიორგაძე 1977: 76).<sup>3</sup> რელაციებიდან ჩანს, რომ ავიტაბილეს ახლო კავშირი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში მოღვაწე სხვა ლათინ მისიონერებთანაც, მაგ., დონ ქრისტოფორო დე კასტელთან და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელთან (გიორგაძე 1977: 68).

ავიტაბილე იმონებებს ერთ შემთხვევას, რაც კარგად ასახავს გორში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი მართლმადიდებელი მღვდლის ზნეობრივ მდგომარეობას. როცა ამ მღვდელმა მორწმუნეები აზიარა, გაბრაზებულმა „ყველას თავიდან ქუდები მოგლიჯა, რადგან არაფერი გადაუხადეს“ (გიორგაძე 1977: 34). სამეგრელოში მოღვაწე სხვა მისიონერი, დონ ჯუზეპე დამპი გაგებით ეკიდება ზოგი ქართველი მღვდლის ამგვარ ზნეობრივ გადაცდომებს და 1662 წელს შემდეგს წერდა: „სიმართლე რომ ვთქვათ, ამ მღვდლების უნიგნურობა გასაგებია და პატიებაც შეიძლება, რადგან ძალიან ღარიბები არიან. იძულებული ხდებიან მოატყუონ ადამიანები და მიმართავენ სხვადასხვა ხრიკებს, რათა საზრდო მოიპოვონ“ (პაპაშვილი და სხვები 2018: 24). მისიონერის მიზანი არ ყოფილა ამგვარი მანკიერი მხარეების მხოლოდ წარმოჩენა და იმის თქმა, რომ ეს ნორმალურია ქართველთა შორის ან რომ ეს უკანასკნელნი არ ცდილობენ მათგან თავდაღწევას, რადგან იქვე აღნიშნავს, რომ ქართველი ეპისკოპოსები „ძალიან ადევნებენ თვალს, რომ უღირსი საქციელი არავინ ჩაიდინოს“ (პაპაშვილი და სხვები 2018: 25). მსგავსი დაკვირვებანი მათ ნაწერებში ობიექტურობის შენარჩუნებისთვის განუღო ძალისხმევაზე მიუთითებს.

ავიტაბილე აგრეთვე ახსენებს სხვა „გულისმტანჯველ“ ამბავს: ერთი ქართველი სპარსეთში მიემგზავრებოდა ელჩობის წოდების მისაღებად და გადაწყვიტა შაჰისთვის საჩუქრად საკუთარი ქალიშვილი მიეგვარა, რომელიც მანამდე თავად ჰყავდა დანიშნული ერთ სასიძოზე ქალაქ გორში. მაგრამ ფიქრობდა, რომ სპარსეთის ხელმწიფის წინაშე „ხელცარიელი წარდგომა“ უხერხული იქნებოდა (გიორგაძე 1977: 34) იქვე აღნიშნება სხვა ფაქტიც: თუ როგორ მიჰყიდა ერთმა ქართველმა თურქებს საკუთარი ძმის ცოლი. ზოგადად, დამოუკიდებელი წყაროებითაც, საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი ფართოდ

გავრცელებული სენი იყო ქართველების მიერ საკუთარი თანამემამულეების ტყვეებად გაყიდვა. ამის გამო, მისიონერები, პირველ რიგში, დიდ წუხილს გამოხატავენ. მაგ., ქრისტოფორო დე კასტელი წერდა: „არაერთხელ დამსველებია თვალები ცრემლებით, როდესაც ვხედავდი, თუ როგორ ჰყიდდნენ ბატკნებივით ხელშეკრულ ყმანვილებს თურქებზე“ (გიორგაძე 1976: 54).

დასავლეთ საქართველოში დაფუძნებული მისიონერებიც არ ხუჭავდნენ თვალს იქ გავრცელებულ სხვადასხვა სახის უკულმართობაზე. მაგ., ამავე საუკუნეში მოღვაწე ჯუდიჩე წერს, რომ სამეგრელოში „ეპისკოპოსების დიდი ნაწილი ჩაფლულია ყოველდღიურ მანკიერებებში, სვამენ ღვინოს, ეწევიან თავაშვებულობას, თავიანთ ყმებს ყიდნიან თურქებზე“ (პაპაშვილი, გამეზარდაშვილი 2014: 22).

საინტერესოა, რომ მისიონერის თვითმიზანი არაა ამ ყველაფრის ჩამდენთა გმობა და კიცხვა. ფაქტები თავის თავზე მეტყველებენ. მათ შეფასებითი კომენტარი არ სჭირდებათ. უცხოელი სტუმარი სწავლობს ვითარებას იმ ქვეყანაში, რომელშიც გაგზავნეს და აღრიცხავს მისთვის საყურადღებო ფაქტებს. შემდეგ ამ ინფორმაციას თავის თანამორწმუნეებს ანუ კათოლიკეებს უზიარებს, რათა მათ სცოდნოდათ ადგილობრივთა ზნე-ჩვეულებები და მათი სხვადასხვა უარყოფითი თუ დადებითი თვისებები.

მისიონერები არა მხოლოდ გულისტკივილს გამოხატავენ სხვა ხალხების ამორალურობის, ზნეობრივი დეგრადაციის გამო, არამედ ისინი იმავდროულად თვითკრიტიკულნიც არიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როცა ამა თუ იმ მანკიერებას აწყდებიან საქართველოში, ზოგჯერ იქვე პირუთვნელად მიუთითებენ, რომ მსგავსი რამ საკუთარ ქვეყანაშიც უნახავთ. მაგ., ავითაბილე წერს: „ეს ხალხი სხვის ქონებაზე ხარბია, ისე ქურდობენ მარჯვენა ხელით, როგორც ჩვენს იტალიაში“ (გიორგაძე 1977: 53).

კაპუჩინი მისიონერი, ბერნარდე ნეაპოლელი XVII საუკუნის ქართველების შესახებ წერდა:

კარგი ბუნების წყალობით, ქართველებს რომ კარგი მასწავლებლები ჰყავდეთ, ძალიან მეცადინენი იქნებოდნენ ყველა მეცნიერებაში. მაგრამ საზოგადოების ცუდი აღზრდა და მექრთამეობა განაპირობებს იმას, რომ შორდებიან თავიანთ ბუნებრივ ხასიათს. ეშმაკი, წვრილმანი, პედანტი, წყენია, მატყუარა ადამიანები არიან... (წითლანაძე და სხვები 2009: 63).

თუმცა აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან შედარებით, მისიონერი ქართველებზე მაინც დადებითი აზრისა იყო.

მაგრამ იყო იმგვარი შემთხვევებიც, როცა შეუძლებელი გახლდათ შეფასების არგამოთქმა და მოცემული დანაშაულის ჩამდენთა არდაგმობა. მაგალითად, ლამბერტი წერს სამეგრელოში არსებულ ერთ „გულის გამაპობელ“ ჩვეულებაზე, როდესაც მშობლები საკუთარ ცოცხალ ბავშვებს მიწაში მარხავდნენ: „უამრავი მრავალშვილიანი მამა, რომლებსაც ამდენი შვილის გამოკვების თავი არ აქვთ, ცოცხლად მარხავს საკუთარ ახალშობილებს“ (მერკვილაძე 2020: 300). მისიონერი იქვე გულისწყრომით დასძენს, რომ ამის გამკეთებელი „ასგზის სიკვდილის ღირსია“. ობიექტურობისთვის აღსანიშნავია, რომ მსგავსი ჩვეულება არ დასტურდება სხვა დამოუკიდებელ წყაროებში. სხვათა შორის, ამის შესახებ არც სხვა მისიონერი, ძამპი აღნიშნავს, რომელმაც 25 წელი იმსახურა საქართველოში.

ბუნებრივია, ლათინი ბერები რელიგიური რიტუალების არასწორად შესრულების ფაქტებსაც აფიქსირებდნენ. ამ მხრივ, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაცდომა ქართველი მღვდლების მიერ ნათლობის რიტუალის აღსრულებისას ვლინდებოდა, რის გამოც პირდაპირ აღინიშნება, რომ „არცერთი ქართველი მონათლული არაა, ან მათი ნათლობა არასრულყოფილია“ (გიორგაძე 1977: 35). აქ იგულისხმება ნათლობის ფორმულის არასრულად წარმოთქმა, როდესაც წმინდა სამების მესამე პირი არ იხსენიებოდა. ავითაბილე წერს, რომ ეს ხარვეზი კახეთში მოღვაწე ერთ ქართველ სწავლულ არქიეპისკოპოსს აღმოუჩენია, რომლის თაობაზეც ერთსულოვანი ყოფილა ლათინ ბერებთან: „ეს შეცდომა ალავერდელმა აღმოაჩინა, რომელიც ქართველთა შორის პირველი მწიგნობარია, ნეტარი ცხოვრებითა და სხვა რამით ჩვენი მოწინააღმდეგეა, თუმცა კი

ძალიან აფასებს ჩვენს სარწმუნოებას, როგორც ბრძენი“ (გიორგაძე 1977: 73). ნათლობის რიტუალის ამგვარი არასწორი ფორმით აღსრულებას აფიქსირებენ ასევე სამეგრელოში მოღვაწე მისიონერებიც, მაგალითად, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელიც აღნიშნავს, რომ მეგრული მღვდლები „მონათვლის ნამდვილ ფორმულას არ წარმოთქვამენ“ (პაპაშვილი, გამეზარდაშვილი 2014: 37). სხვათა შორის, მისიონერი არქანჯელო ლამბერტი წერს, რომ საქართველოში სწორედ ამ უმთავრესი რიტუალის (ნათლობის) სწორი წესით აღსრულებაში

განუღმა დახმარებამ ალავერდელი ჩვენდამი ისე კეთილად განეწყო, რომ ძველი სიძულვილი სიყვარულად ექცა – ხშირად გვპატიჟებდა თავის სახლში, სადაც კარგა ხნით გვაცხოვრებდა და წამოსვლისას უხვდაც გვასაჩუქრებდა... ბერძნებმა მას ჩვენზე ძალზე უკუდი წარმოდგენა შეუქმნეს (მერკვილაძე 2020: 310).

ეს ვითარება დამოუკიდებელი წყაროთიც დასტურდება, კერძოდ, მეგრულ მღვდლებთან დაკავშირებით. მაგალითად, XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური და ცნობილი კულტურული ანთროპოლოგი, ჟან ბატისტ ტავერნიე (გარდაიცვალა 1689 წ.) შემდეგს წერს:

მეგრელთა უმრავლესობამ არ იცის, რა არის ბავშვის მონათვლა. ქალის მოლოგინებიდან ორი-სამი დღის შემდეგ მოვა მღვდელი, მოიტანს ზეთს, შეასრულებს რამდენიმე ლოცვას, მირონს ცხებს როგორც ბავშვს, ისე დედას და ჰგონია ბავშვის მონათვლისთვის საკმარისია ეს (გურული 1974: 204).

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ ეპოქის ქართველი სამღვდლოების გაუნათლებლობა საყოველთაოდ ცნობილი იყო. მის შესახებ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ მიხედვით, რომელიც მართალია მეცხრამეტე საუკუნის ვითარებას აღგვიწერს, მაგრამ არც წინა ორ საუკუნეში იყო სწავლულება მაღალ დონეზე. თბილისში და თელავში მეფე ერეკლე მეორეს მიერ დაარსებული სასწავლებლები ელემენტარულ ცოდნას იძლეოდნენ და ისიც კი ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

ამრიგად, შეუძლებელი იყო მისიონერებს მსგავს დარღვევებზე არ გაემახვილებინათ ყურადღება, რომლებიც როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ. მაგალითად, ჯერ გორში, შემდეგ კი გურიაში მოღვაწე მისიონერის, დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით, მისიონერებთან კავშირს ერიდებოდნენ ქართველი „თავადები და საეკლესიო წარჩინებულები, რადგან პატრები მათ, უმთავრესად, შეცდომებზე მიუთითებდნენ, სცხებდნენ ზეთს და მათებურად ნათლავდნენ მრავალს“ (გიორგაძე 1976: 62). მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე თავადები და გლეხები ლათინ ბერებს, როგორც მკურნალებს დიდად ენდობოდნენ, ისე, რომ კასტელი ამ კონტექსტში შემდეგსაც კი აღნიშნავს: „ჩვენი პატრების ლოცვების ძალის იმედი უფრო აქვთ, ვიდრე მართლმადიდებელი მღვდლებისა“ (გიორგაძე 1976: 111).

კასტელი ერთგან წერს, რომ ქართველთა შორის ცრუმორწმუნეობა და ბიწიერება იმდენად გავრცელებულა, რომ „ძლივს შეიძლება მათ ქრისტიანის სახელი მივაკუთვნოთ“ (გიორგაძე 1976: 220). წესით, ამგვარი შეფასება არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და შოკისმომგვრელი ქართველი სამღვდლოებისთვის, რადგან თავადაც შესანიშნავად უნდა სცოდნოდნენ ამ ვითარების შესახებ. როგორც ჩანს, მათი ნაწილი ამას აცნობიერებდა კიდევ, რადგან სხვა ღონისძიებებთან ერთად სწორედ მისიონერთა მოღვაწეობა მიაჩნდათ ფრიად სასარგებლოდ ამ ბიწიერებისა და ცრურწმენების ამოსაძირკვად. ამ მხრივ, არსებობს მაგალითი, თუ როგორ წაიყვანა გორიდან 1634 წელს კათოლიკე მისიონერები ეპისკოპოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ გურიის მოსახლეობაში ფესვგადგმული „გახრწნილი ზნე-ჩვეულებების გამოსასწორებლად“ (პაპაშვილი 2009: 6).

სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოდან კასტელის განდევნას ბერძენი ბერები ცდილობდნენ. არსებობს ცნობები, რომ ქუთაისში ჩამოსული ალექსანდრიის ბერძენი პატრიარქიც კი ითხოვდა კასტელის გაძევებას, მაგრამ „მის ამგვარ მცდელობას შედეგი



არ მოჰყოლია. ბერძნების მარცხის შედეგად ხალხის თვალში მამათა (იგულისხმება კათოლიკე სამღვდელთა) პრესტიჟი საგრძნობლად გაიზარდა“ (მგალობლიშვილი 1996: 79).

მისიონერთა მხრიდან განსხვავებულთაღმი არარიგორისტული დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა კასტელის სიტყვები ქეთევან დედოფლის შესახებ:

თუმცა თეოლოგიის თვალსაზრისით სქიზმატიკოსების ხსნა ძნელია, მაგრამ, როცა გარდაიკვალა ეს ბატონიშვილი ქალი, რომელიც იცავდა სარწმუნოებას, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მან თავისი სული იხსნა. პაპმა ურბანო მერვემ თეიმურაზს, ქეთევანის შვილს მოსწერა წერილი, რომელშიაც ქალბატონს უწოდა წამებული (გიორგაძე 1976: 189).

ამრიგად, კასტელის აზრით, განხეთქილებაში (სქიზმაში) მყოფი აღმოსავლელი ქრისტიანები, მათ შორის ქართველები, ოდენ თავისი სარწმუნოებრივი მოძღვრებითა და რომისგან გამოყოფილნი ვერ ცხონდებიან. მაგრამ გამონაკლისები შეიძლება არსებობდეს და ამის მაგალითია პაპის მიერ დადასტურებული ქეთევან დედოფლის პიროვნება, რომელიც თავისი გაბედულებისა და სიმამაცის გამო, წამებულად, მოწამედ ანუ წმინდანად იქნა მიჩნეული.

სხვა მისიონერი, დონ ჯუზეპე ძამპი აღნიშნავდა, რომ ისინი ქართველთა ქრისტიანობაში ფესვგადგმული „მხოლოდ ზოგიერთი შეცდომის“ აღმოფხვრას ცდილობენ და რომ მათი მიზანია ამ ქვეყანაში იმ ავთენტური სამოციქულო რწმენის აღდგენა, რომელიც ქართველებმა ბერძნებისგან მიიღეს. ძამპი იქვე მიუთითებს, რომ ქართველთა შორის „კარგი მღვდლების“ ნაკლებობის გამო დამახინჯდა ქრისტიანული წესები. მისიონერი ამ ნაკლებობის ობიექტურ გარემოებებსაც ასახელებს: „ამის მიზეზი ბევრია: ომები, შინა არეულობები, ასევე თურქების მიერ კონსტანტინეპოლისა და მისი მეზობელი ქვეყნების დაპყრობა“ (პაპაშვილი და სხვები 2018: 15).

აღმოსავლეთში რომის მიერ წარგზავნილი მისიონერები, როგორც წესი, დიდი ინტელექტუალური და სულიერი მზაობით გამოირჩეოდნენ. განსხვავებული ვითარება არც საქართველოში იყო. ლათინი ბერები თავისი თეოლოგიური განათლებით ბევრად აღემატებოდნენ ქართველ სამღვდელთ და ამის გამო ხშირად ორმხრივი დისკუსიების შედეგად მათ ლათინური სარწმუნოებრივი იდეების აღიარება უწევდათ. მაგალითად, ჯუდიჩე ახსენებს ალავერდელ არქიეპისკოპოსს, რომელსაც განსწავლულ ადამიანსა და პატრიარქის შემდეგ „მეორე კაცს“ უწოდებს.<sup>4</sup> აღნიშნული ქართველი იერარქი თავიდან ლათინი მისიონერების მოწინააღმდეგე ყოფილა და, შესაბამისად, ფილიოკვესაც უარყოფდა, მაგრამ ჯუდიჩეს სიტყვით, ამ კათოლიკურ დოგმაზე

ბევრჯერ საუბრის შემდეგ, რომელიც მას ჩვენთან ჰქონდა, მან ამ საგანზე დაიწყო ძებნა და ქეშმარიტების ახსნა საკუთარ წიგნებში და როცა საქმე აქამდე მივიდა, ის ჩვენი მამების მიმართ ისეთი პატივისცემითა და სიმპათიით განიმსჭვალა, რომ ახლა მხოლოდ მათ აქებდა. რაც შეეხება ჩვენი დავის საგანს, თუ ის ვერ გადავარწმუნეთ, ყოველ შემთხვევაში, თავს ისე აჩვენებდა, რომ კმაყოფილი დარჩა... (პაპაშვილი, გამეზარდაშვილი 2014: 47-48).

ალავერდელ არქიეპისკოპოსს სხვა მისიონერი, არქანჯელო ლამბერტიც ახსენებს, რომელზეც წერს, რომ ის

ხალისით გვესაუბრებოდა ბერძნებსა და ლათინებს შორის არსებულ დავაზე... და ხშირად, როცა დავარწმუნებდით, ამბობდა – სულიწმინდის წარმომავლობის (ფილიოკვეს – დ. თ.) საკითხი რომ არა, ბერძნები და ლათინები ყველა საკითხზე იოლად გამონახავდნენ საერთო ენას, სულიწმინდის საკითხში კი ვერასდროს შევთანხმდებითო. თუმცა ამ საკითხზეც საკმაოდ ხშირად გვეთანხმებოდა (მერკვილაძე 2020: 307-8).

როგორც ვხედავთ, მისიონერი არ ამტკიცებს, რომ ქართველმა იერარქმა ფილიოკვე საჭაროდ აღიარა. მხოლოდ აღნიშნავს, რომ მისი ანტილათინური პოზიცია უწინდებურად მტკიცე აღარ იყო. შესაძლოა, ალავერდელი მთავარეპისკოპოსი დარწმუნდა კიდეც ამ უწინაშენლოვანეს საკითხზე ლათინ ბერთა პოზიციის სიმართლეში, რადგან დისკუსიების შემდეგ მისიონერებისადმი მისი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უმჯობესდება და მათ მიმართ აშკარა კეთილგანწყობა უყალიბდება. ძნელი არაა იმის მიხედვით, რომ ფილიოკვეს საჭაროდ აღიარებას მისთვის დიდი უსიამოვნებები შეეძლო მოეთანა.

კასტელიც იმავეს წერს ამ მნიშვნელოვან საეკლესიო მოღვაწეზე, რომელსაც „პატრიარქის მოადგილეს“ უწოდებს. მისი მითითებით, ლათინ ბერებთან მრავალჯერადი დისკუსიის შედეგად ალავერდელი ეპისკოპოსის „გონება მთლიანად შეიპყრო ახალმა განათლებამ და იგი მთელი მონდომებით ჩაეჭიდა ქრისტიანობას“ იმგვარად, რომ შემდეგ სხვებთან პაექრობისას ხსენებული ქართველი იერარქი ლათინების მხარეს იჭერდა (გიორგაძე 1976: 62). სავარაუდოდ, მიხეილ თამარაშვილი აღნიშნულ მისიონერთა ცნობებსაც ეყრდნობოდა, როდესაც წერდა: „დიდად განათლებული ალავერდელი მთავარეპისკოპოსი ექვთიმე“ კათოლიკე იყო (თამარაშვილი, 2011: 297). მაგრამ ხსენებული იერარქის კათოლიკობაზე გადასვლის შესახებ სხვა მოწმობა ჯერ არ მოიპოვება.

შესაძლოა, ვინმემ ტენდენციურობაშიც დაადასტურა მისიონერები და აღნიშნოს, რომ სიტუაციის ამგვარი წარმოჩენით მათ საქართველოში კათოლიკური მისიის ნაყოფიერების ჩვენება სურთ, რომ არ უნდა დავიჯეროთ მისიონერების მიერ „განსწავლული“ ალავერდელი ეპისკოპოსის ასე ადვილად გადარწმუნება. სანამ ამ კონკრეტული შემთხვევის შესახებ დამატებითი წყაროები გამოჩნდება, მანამდე თავისუფლად შეიძლება ითქვას (დაესადაო არავისთვისაა), რომ მისიონერები, რომლებიც რომიდან შორეულ ქვეყნებში იგზავნებოდნენ, ადგილობრივებს ბევრად აღემატებოდნენ ინტელექტუალური მონაცემებით, ზოგადი ერუდირებულობითა და, რასაკვირველია, თეოლოგიური განათლებით.<sup>5</sup> როგორც წესი, რომი ამგვარი საპასუხისმგებლო მისიებით მოუშვებდნენ კადრებს არ გზავნიდა. ამ წესს, ალბათ, იშვიათად შეიძლება დაჰყონოდა გამონაკლისი სხვადასხვა გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო.

ამრიგად, მისიონერები ცდილობდნენ აეხსნათ ქართველი სამღვდლოებისთვის, თუ რატომ იყო მათ მიერ გამოთქმული ზოგიერთი თეოლოგიური იდეა ან აღსრულებული რელიგიური წესი არასწორი, თუ რატომ არ ეთავსებოდა ქრისტიანობას მათ შორის გავრცელებული ცრუმორწმუნეობის სხვადასხვა ფორმა. მაგალითად, ჯუდიჩე ქართველთა ერთ-ერთ ასეთ ცრუმორწმუნეობაზე მიუთითებს, რომლის მიხედვითაც საკმევლს შეეძლო ადამიანის ცოდვებისგან განწმენდა (პაპაშვილი, გამეზარდაშვილი 2014: 23). ამგვარი შეგონებების ნაყოფიერებასთან დაკავშირებით პიეტრო ავიტაბილე წერს: „თვით ეს მღვდლები და ეპისკოპოსები აღიარებენ, რომ ჩვენი ნათქვამი სწორია, მაგრამ ამის შემდეგ კი არაფერს აკეთებენ“ (გიორგაძე 1977: 58).

საქართველოში ევროპელ მისიონერებსა და ადგილობრივებს შორის არსებული ურთიერთობის განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ასევე ის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ ლათინი ბერები. ვერ ვიტყვით, რომ კათოლიკე მისიონერები მატერიალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ და რომისგან ყოველთვის ფინანსურად მხარდაჭერილნი მოქმედებდნენ. მაგ., წინამდებარე კვლევისთვის საინტერესო რეგიონში (აღმოსავლეთ საქართველო) და პერიოდში (1663-1845 წლები) კაპუჩინ ბერებს კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“ რეგულარულად უგვიანებდა ჯამაგირის გამოგზავნას. ამ მისიის ხელმძღვანელი თბილისიდან რომში იწერებოდა, რომ მთელი ოთხი წლის მანძილზე არ მიეღოთ კუთვნილი ყოველწლიური გასამრჯელო.<sup>7</sup>

მისიის წარმატებას ისიც აძნელებდა, რომ ამგვარი ხელმოკლეობის გამო ლათინ ბერებს არ შეეძლოთ კარდაკარ სიარული სურსათ-სანოვანის სათხოვნელად. ეს არ შეეძლოთ არა იმიტომ, რომ ეთაკილებოდათ, არამედ კაპუჩინთა მათხოვრული ცხოვრების წესი ქართველებს შეიძლება არასწორად აღეჭვათ. ეს ევროპელ მისიონერებს ავტორიტეტსა და რეპუტაციას შეუღალავდა. ასე ფიქრობდნენ ლათინები და, როგორც

ჩანს, ამის საფუძველიც ჰქონდათ (პაპაშვილი და სხვები 2018: 8).

საინტერესოა, რომ მონაზონთა მიერ სარჩოს მოპოვების მიზნით კარდაკარ სიარულის პრაქტიკა საქართველოში ნამდვილად არსებობდა, რასაც „კალმასობა“ ეწოდებოდა.<sup>8</sup> მაგრამ, ჩანს, ევროპელი ბერებისადმი სხვა მოთხოვნები ჰქონდათ რიგით ქართველებს, რომელთა შეგნებაში პრობლემურად აღიქმებოდა ცივილიზებული და განვითარებული კულტურის მქონე ევროპიდან მოვლენილი განმანათლებლების „მათხოვრობა“. ალბათ, ამიტომაც ერიდებოდნენ მისიონერები ამგვარი გზით საარსებო საშუალებების გამონახვას.

ყოველივე ამის გამო მათ უბრალო საკვების მოძიებაც კი უჭირდათ. ბართოლომეო მოგვითხრობს, თუ ზოგჯერ რა სიდუხჭირეში უწევდათ მისიონერებს საქართველოში მოღვაწეობა, რის გამოც მათ ერთხელ კუს ხორცის ქამაც კი მოუწიათ (პაპაშვილი და სხვები 2018: 15, შენიშვნა 2).<sup>9</sup> ლათინი ბერებისთვის ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან მათ არ ახასიათებდათ ე. წ. „უნმინდური“ ცხოველების ხორცის ქამა. ეს შემთხვევა ერთ-ერთმა ქართველმა მღვდელმა ლათინ მისიონერთა დისკრედიტაციისთვის წარმატებით გამოიყენა კიდევ. სხვათა შორის, მისიონერის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ სწორედ ბერძენები ჩააგონებდნენ ქართველებს, რომ თითქოს კათოლიკეებისთვის მისაღები იყო ბაყაყების, ლოკოკინების, ზღარბების ქამა (პაპაშვილი და სხვები 2018: 14-15).

სხვათა შორის, მსგავსი ცხოველების (ზღარბი, ჭილყვაკი და სხვა) ხორცის ქამის ჩვევა ბერძენთა შორისაც მკვიდრობდა. ამაზეა საუბარი XII საუკუნეში ევსტრათი ნიკიელის სახელით გავრცელებულ ანტილათინურ ტრაქტატში, რომელიც ლათინთა ამ ჩვევის შესახებ გავრცელებულ ბრალდებას ახსენებს და იქვე აღნიშნავს, რომ ამის გამო არ უნდა ვგმობდეთ მათ, რადგან ასეთი ჩვევა ბერძენთა შორისაც არსებობსო (რაფაეა 2014: 100).

სხვაგან მისიონერი წერდა: „ჩვენ არაფერი გაგვაჩნია შეშის შესაძენად და მხოლოდ იშვიათად გვაქვს საშუალება ღვინო დავლიოთ. გარდა ამისა, თითქმის შიშველი ვართ. მე იძულებული ვიყავი ჩემი სამოსელისათვის ნაჭრები დამეკერებინა“ (ტაბალუა 1987: 112).

როდესაც მისიონერებმა ასეთი გაჭირვების გამო ქართველების სამედიცინო მომსახურებაში გასამრჯელოს აღება გადაწყვიტეს (თუმცა ღარიბებისგან თანხას არ იღებდნენ), ამან კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედა მისიონერებისადმი ქართველების დამოკიდებულებაზე (პაპაშვილი და სხვები 2018: 8). რომმა მისიონერებს მკურნალობაში გასამრჯელოს აღება აუკრძალა, რაზეც მწუხარებით წერს 1717 წლის შემდგომ კაპუჩინი ანტონიო და რომანო (პაპაშვილი და სხვები 2020: 30, შენიშვნა 1). მისიონერებს არც ვაჭრობა შეეძლოთ, რადგან დამოუკიდებელი წყაროებით დასტურდება, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში წარგზავნილ მისიონერებს ვაჭრობა აკრძალული ჰქონდათ რომისგან (კერძოდ, 1633 წლიდან). ამიტომ, აგრეთვე საქართველოში მისიონერების ვაჭრობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება (პაპაშვილი და სხვები 2020: 109).

აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირად ქართველი მეფე-მთავრები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არა მხოლოდ სიტყვიერად და მორალურად, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდნენ კათოლიკე მისიონერებს და ამას თვით მისიონერებიც აღნიშნავდნენ (გიორგაძე 1977: 23, 51, 57). მაგალითად, როდესაც ჟან შარდენი დასავლეთ საქართველოში თეატინელი მისიონერებისთვის გადაცემულ სახლებზე წერს, იქვე აღნიშნავს არა ოდენ ფინანსურ, არამედ სხვა სახის სირთულეებზე, რის გამოც მისიონერები კოლხეთის დატოვებასაც კი ფიქრობდნენ, მაგრამ „რჩებიან რომის ეკლესიის პატივისცემიდან გამომდინარე (მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018: 220). შარდენი წერს, რომ აღნიშნულ მისიონერებს ძარცვავენ, ცუდად ეპყრობიან, არც პატივს სცემენ, არც ანგარიშს უწვენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავადმყოფი ან დაჭრილი საჭიროებს მათ დახმარებას“ (მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018: 221).

## შენიშვნები

- <sup>1</sup> წინამდებარე სტატია მოხსენებად იყო წაკითხული 2022 წლის 3-5 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კავკასიოლოგიურ კონგრესზე.
- <sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ცეცხლის „ღვთაებრიობის“ შესახებ კასტელის კრიტიკამ ქართველი პატრიარქი დააფიქრა, რის შედეგადაც ის მზად იყო ამ კათოლიკე მისიონერთან ერთად წასულიყო იერუსალიმში, რომ დარწმუნებულიყო ამ ცეცხლის არაზებუნებრივ წარმოშობაში. მართალია, კასტელს იტალიაში დაბრუნება მოუწია, მაგრამ პატრიარქი მის გარეშე წასულა იერუსალიმში. კასტელი დიდ სიმპათიას გამოხატავს მის მიმართ, რომელზეც აღნიშნავს, რომ მას ქეშმარიტების ძიების სურვილი ჰქონდა (პაპაშვილი 2009: 78-79).
- <sup>3</sup> ეს რელაციები პირველად XX საუკუნეში გადმოითარგმნა ქართულ ენაზე. აღნიშნულ 1977 წლის გამოცემაში წარმოდგენილია როგორც ორიგინალი, ისე ქართული თარგმანი.
- <sup>4</sup> ცნობისთვის: 1633 წელს ირანელთა მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ ეს ალავრდელი არქიეპისკოპოსი მეფე თეიმურაზს მიჰყვება დასავლეთ საქართველოში.
- <sup>5</sup> ბერძენთა შორის მოღვაწე ლათინი მისიონერების სწორედ ამგვარი ინტელექტუალური უპირატესობით გამოწვეულ გახშირებულ მოქცევებზე (მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაზე), იხ.: (ვეირი 2013: 21); (ფრეზი 1983: 39).
- <sup>6</sup> სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ საქართველოში კაპუჩინი მისიონერები. იხ.: (პაპაშვილი და სხვები 2018: 3).
- <sup>7</sup> „საქართველოში კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას მიერ თბილისიდან 1674 წლის 29 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია ‘დე პროპაგანდა ფიდეს’ კარდინალ პრეფექტისადმი მიწერილი წერილი“ (პაპაშვილი და სხვები 2018: 49).
- <sup>8</sup> სწორედ ამ გამოცდილების ამსახველია 1813-1828 წლებში შექმნილი ნაშრომი „ხუმარსნავლა“, რომელსაც „კალმასობაც“ ეწოდება, რადგან მისი მთავარი პერსონაჟი (რეალური ისტორიული პირი) ბერი იონა ხელაშვილი ამგვარი მოგზაურობისას დიალოგების ფორმით გამოთქვამს თავის შეხედულებებს სხვადასხვა სამეცნიერო საკითხზე (კახაბრიშვილი, კიკვიძე 1990: 9).
- <sup>9</sup> მისიონერთაგან კუს ჭამის აღნიშნული ფაქტი ბართოლომეო ფეროზე დაყრდნობით გადმოცემულია ასევე შემდეგ ნაშრომში: (ტაბალუა, 1987: 99-100).

## დამონმებანი

- გიორგაძე 1976:** ქიხიგოფოხო დე. კასტედი, ცნობები და ადომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- გიორგაძე 1977:** დონ პიეგხო ავიგაბიდე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- გურული 1974:** ტავეხნიე, ჟან ბაგისგ, დიდი სენიოხის სამეფო კახის ახადი აღწეხა, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. გურულმა, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ვეირი 2013:** K. Ware. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Reprint with a new introduction. Eugene, OR: Wipf & Stock.
- თამარაშვილი 2011:** მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შოხის*, თბილისი, გამომცემლობა „სიესტა“.
- კახაბრიშვილი, კიკვიძე 1990:** იოანე ბაგონიშვიდი, ხუმახსწავდა (კადმასობა), ოთხ წიგნად, წიგნი პიხვედი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“.
- მგალობლიშვილი 1996:** ჟანენი ხემონ, „საქართველო“ (სტატია ამოღებული კათოლიკური ღვთისმეტყველების ფრანგულენოვანი ენციკლოპედიიდან, ტ. 6, ნაწ. 1. პარიზი, 1924). ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“.

- მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018:** შახდენი, ჟან, მოგზაურობა სპახსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქაჩთვედოს შესახებ), მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს მ. მგალობლიშვილმა და გ. სანიკიძემ, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მერკვილაძე 2020:** აჩკანჯედო დამბეჩგი, წმინდა კობხეთი. იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძე, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.
- პაპაშვილი 2009:** დიჩინი, პაგჩიცია ანა, კხისტოფოხო კასტელი და მისი მისია საქაჩთვედოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“.
- პაპაშვილი 2020ა:** მ. პაპაშვილი. საქაჩთვედო ევხოპუდ სამყაჩოში, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
- პაპაშვილი, გამეზარდაშვილი 2014:** ჯედიჩე, დონ ჯუბეპე მიდანედი, ხედაცია საქაჩთვედოზე (XVII საუკუნე), იტალიურიდან ტექსტი თარგმნეს შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
- პაპაშვილი და სხვები 2018:** მ. პაპაშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ზურაბ გამეზარდაშვილი. ევხოპუდი წყაჩოები საქაჩთვედოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“.
- პაპაშვილი და სხვები 2020:** მ. პაპაშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ზ. გამეზარდაშვილი. ევხოპუდი წყაჩოები საქაჩთვედოს შესახებ (XVIII საუკუნე), იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“.
- რაფავა 2014:** მ. რაფავა. „წმ. არსენ იყალთოელისეული თარგმანი ევსტრატი ნიკიელის ანტიკათოლიკური ნაშრომისა: ‘მოსახსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაი მათი და რაისათვის საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს’ (გამოკვლევა და ტექსტი)“, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები: თბილისის სასულიერო აკადემია 5.
- ტაბალუა 1987:** ი. ტაბალუა. საქაჩთვედო ევხოპის აჩქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX საუკუნის პიხვედი მეოთხედი), ტომი III, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ფრეზი 1983:** Ch. Frazee. *Catholics and Sultans: The Church and the Ottoman Empire 1453-1923*. Cambridge: Cambridge University Press.
- წითლანაძე და სხვები 2009:** თ. წითლანაძე, თ. ქარჩავა, გ. ქავთარაძე. „ბეხნახდე ნეაპოდედის მოღვაწეობა“, ჰაინხის თეოდოხ ვედეს მოგზაურობა საქაჩთვედოში (საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი 2008). რედაქტორი დ. კანდელაკი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

## **THE PERCEPTION OF THE LOCAL POPULATION OF GEORGIA BY THE EUROPEAN CATHOLIC MISSIONARIES (XVII-XVIII CENTURIES)**

**David Tinikashvili**  
Caucasus University  
dtinikashvili@cu.edu.ge

The Catholic missionaries in Georgia were especially active in the XVII-XVIII centuries. They used to write an extensive reports about the religious and secular life of Georgians. These sources are analysed in the article. As a rule, the missionaries had a good command of Georgian. Hence, the absence of a language barrier between Georgians and European monks greatly facilitated the formation of adequate impressions about each other.

In the article, on the one hand, the Catholic missionaries' perception of Georgians and, on the other hand, Georgians' attitude towards them are discussed. These relationships were heterogeneous and could vary time to time, but it can be said that their interactions had a more positive content, which can be confirmed by appropriate examples.

Catholic monks in Georgia often simply described the local situation in which they had to live. They tried not to show arrogance or hatred towards the various kind of violators, wrongdoers and sinners, because it would naturally be damaging and hindering their mission. Therefore, it is not surprising that European missionaries tried to make a positive contribution to the life of the country. Compassion, respect and helping hand for the Georgians can be seen in almost all directions of the missionaries' activities: maintenance of the country's infrastructure (they built bridges and buildings), treatment of the sick, educational activity (as it is known the first Georgian-language book has been printed in Rome by Italian monks).

The missionaries described the situation in political, social, cultural and religious spheres in Georgia. It was not surprise that they used to notice various types of errors and mistakes in the secular or religious spheres, which they tried to eliminate or correct. Their efforts were appreciated even by the Georgian Orthodox clergy, examples of which are cited in the article.

The missionaries also had a good theological as well as secular education, which was clearly evident during theological discussions with Georgian clergymen.

# მცენარეთა სახელწოდებები ბულეფიდან: გერმანელი ბოტანიკოსის წვლილი ლაზურის დოკუმენტირების საქმეში

**ზაალ კიკვიძე**

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
zaal.kikvidze@tsu.ge

სხვა ქართველური ენებისაგან ლაზური სამი ღირსსაცნობი ნიშნით განსხვავდება. პირველი ის გახლავთ, რომ იგი მათ შორის ერთადერთი იდიომია, რომელიც უმეტესწილად საქართველოს ფარგლებს გარეთაა გავრცელებული; მეორე ნიშანი შემდეგში მდგომარეობს: მიუხედავად იმისა, რომ იუნესკოს ატლასი (იუნესკო 2022) სამივე უმწერლობო ქართველურ ენას „აშკარად საფრთხის ქვეშ მყოფის“ სტატუსს ანიჭებს, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორებიცაა ენობრივი კომპეტენცია, თაობიდან თაობაზე გადაცემა და ოფიციალური სტატუსი სახელმწიფოში, ლაზურის საფრთხეში ყოფნის ხარისხი მათ შორის ყველაზე მაღალია. ნიშანდობლივია მესამე განმასხვავებელი ნიშანიც: ქართველურ ენებს შორის ლაზური ყველაზე მწირრესურსიანია. თვალშისაცემია ის პარადოქსული გარემოება, რომ ლაზების ისტორიის, განსახლების, ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებ უძველესი წყაროები გვანვდიან არცთუ მწირ ცნობებს ანტიკური დროიდან, რასაც ვერ ვიტყვით ენობრივი მასალის შესახებ; ისინი უფრო გვიან ჩნდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაზურის უმწერლობო სტატუსმა, რის გამოც იგი ოდენ ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას, განაპირობა მისი ნაკლებად წარმომადგენლობითობა; თუმცა ეს ვარაუდი ძლიერ არგუმენტად ვერ გამოდგება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, როგორ ჭარბადაა წარმოდგენილი კიდევ ერთი უმწერლობო ქართველური ენის, მეგრულის ენობრივი მასალა ევლია ჩელების მოგზაურობათა წიგნში (ჯიქია 1936). ნიშანდობლივია, რომ ზოგჯერ სწორედ ჩელების „სეიაჰათნამეს“ მიიჩნევენ პირველი ლაზური გაბმული ტექსტის წყაროდ, რომელიც გვიან XVII საუკუნეს მიეკუთვნება (ჯიქია 1954), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ენობრივი მასალის ლაზურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა (გიპერტი 1992), რის გამოც მას მხედველობაში ვეღარ მივიღებთ ლაზურის დოკუმენტირების ისტორიაზე საუბრისას. სამაგიეროდ, ამ მხრივ ეჭვგარეშეა XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული კომპენდიუმები, რომელთაგან ერთის ავტორი ლორენსო ერვას ი პანდუროა (ერვას ი პანდურო 1787), მეორისა კი – ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთი (კლაპროთი 1823), თუმცა მათ მიერ მოწოდებული მასალის სანდოობა აშკარად სათუთა.

ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით მომდევნო წყაროს წარმოადგენს გეორგ როზენის ნაშრომი „ლაზთა ენის შესახებ“ (როზენი 1844ა), რომელიც, მიუხედავად რიგი უზუსტობისა, ჭეშმარიტი ნიშანსვეტია ლაზურის შესწავლის ისტორიაში; ამ მომცრო წიგნში ზოგად მიმოხილვასა და გრამატიკულ ნარკვევს მოსდევს ლექსიკონი, რომლის თითოეული სიტყვა-სტატია შემდეგნაირადაა აგებული: არაბული და ლათინური გრაფიკებით ჩაწერილი ლაზური სიტყვა და მისი გერმანული თარგმანი (როზენი 1844ა: 29-37). ისიც ღირსსაცნობია, რომ ახალგაზრდა როზენი თავად იმყოფებოდა ლაზეთში 1843 წელს და, რაც არსებითად მნიშვნელოვანია წინამდებარე სტატიაში განსახილველი საკითხის თვალსაზრისით, ამ ექსპედიციაში მას გამოცდილი თანამგზავრი ჰყავდა; ეს გახლდათ ცნობილი გერმანელი ბოტანიკოსი კარლ კოხი. რატომ არის კოხის ფაქტორი არსებითი

მნიშვნელობისა? სწორედ ხსენებული მოგზაურობის აღწერის მიზნით დაწერილ წიგნში, ბოტანიკოსი წარმოგვიდგენს ლაზურ სოფელში – ბულეფში გამოვლენილ მცენარეთა სახელწოდებებს, რაც აქამდე არასოდეს განხილულა სამეცნიერო ლიტერატურაში (თუ არ ჩავთვლით ჩვენ მიერ გასულ წელს ამ საკითხზე წაკითხულ მოხსენებას (კიკვიძე 2022)). თხრობის ლოგიკური თანამიმდევრობის დასაცავად მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავდაპირველად კ. კოხის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვისაუბროთ.

კარლ ჰაინრიხ ემილ კოხი დაიბადა 1809 წლის 6 ივნისს ეტერსბურგში,<sup>2</sup> ვაიმართან ახლოს. კოხების ოჯახი მალევე გადავიდა საცხოვრებლად ვაიმარში, სადაც

ახალგაზრდული წლებიდანვე იგი დაუკავშირდა გოეთეს და სწორედ მისი გავლენისა და რჩევის წყალობით იყო, რომ კოხი ესტუმრა კავკასიასა და მცირე აზიის სხვადასხვა ნაწილს. იენასა და ვიურცბურგში მედიცინისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის დასრულებიდან მალევე იგი გაემართა სამოგზაუროდ, რომლის დროსაც მისი ინტერესის განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენდა მცენარეები და ჩვენი კულტურული ხეხილის თავდაპირველი წყაროების ძიება. ორწლიანი კვლევის შემდეგ მან ისეთი მზის დარტყმა მიიღო არარატის მთაზე, რომ იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო იენაში (ანონიმი 1879: 173).

კ. კოხი გახლდათ იენის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი და აქვე გააგრძელა თავისი აკადემიური საქმიანობა. რამდენიმე წლის შემდეგ აღექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის, კარლ რიტერისა და გუსტავ როზეს მხარდაჭერამ გადაწყვეტინა მას, ეფიქრა ახალი ექსპედიციის დაგეგმვაზე აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში. ამჯერად მას თანამგზავრიც ეყოლებოდა; ეს გახლდათ ზემოხსენებული გეორგ როზენი, რომელსაც იმ დროს ახალი დაცული ჰქონდა დისერტაცია ლაიფციგის უნივერსიტეტში.

კარლ კოხი იენიდან გამოემგზავრა 1843 წლის 16 მაისს. თავის თანამგზავართან ერთად იგი თავდაპირველად ეწვია ვენას, სადაც ისინი მიიღო ავსტრიის კანცლერმა კლემენს ფონ მეტერნიხმა. 1843 წლის 12 ივნისი, დღე, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ვენაში იმყოფებოდნენ, შეიძლება ჩაითვალოს კ. კოხისა და გ. როზენის მოგზაურობის დასაწყის თარიღად. მათს მარშრუტში მომდევნო მსხვილი პუნქტები იყო ბელგრადი, კონსტანტინოპოლი და ტრაპიზონი. ხანგრძლივი და არცთუ ადვილი მოგზაურობის შედეგად მიაღწიეს თბილისამდე, სადაც მათი გზები გაიყო. მოგვიანებით კოხმა მოინახულა განჯა, ბაქო და დერბენტი, უშედეგოდ სცადა მყინვარწვერის დალაშქვრა, რის შემდეგაც სამშობლოში დაბრუნდა. 1846 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა ბერლინში, სადაც მან მთელი დარჩენილი სიცოცხლე გაატარა და სადაც გარდაიცვალა 1879 წლის 25 მაისს.

წინამდებარე სტატიაში განსახილველ საკითხებთან მიმართებაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოხმა თავისი მეორე, 1843-1844 წლების ექსპედიციის ჩანაწერები სამ ტომად გამოსცა (კოხი 1846ა); (კოხი 1846ბ); (კოხი 1847). უნდა შევნიშნოთ, რომ, XIX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული მოგზაურობის ჩანაწერებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ სამტომეულს არ მიუპყრია სათანადო ყურადღება ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების თუ მთარგმნელების მხრიდან (არსებობს რამდენიმე გამონაკლისი; მაგალითად, (თაყაიშვილი 1938); (ბროისტე 1983); (კუში, კირჯა 2020), მიუხედავად იმისა, რომ კოხი ცნობილი გახლდათ თავისი ფართო ინტერესებით სხვადასხვა დარგის, მათ შორის, ისტორიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, გეოგრაფიისა და ა. შ. საკითხების მიმართ. შესაძლოა, რომ სწორედ ამ უგულებელყოფის ლოგიკური შედეგია ის ფაქტი, რომ აქამდე ვერავინ შეამჩნია ლაზური ლექსიკური მასალა მის ნაშრომში.<sup>3</sup>

რახან წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ, მის მიერ ლაზეთში ჩაწერილი ლექსიკური მასალის განხილვა გვაქვს განზრახული, ყურადღებას გავამახვილებთ ზემოხსენებული სამოგზაურო წიგნის მეორე ტომზე (კოხი 1846ბ). ეს ტომი ცამეტი თავისაგან შედგება, რომელთაგან მეოთხე ეძღვნება ლაზეთს (კოხი 1846ბ: 119-157). თავისთავად ცხადია, რომ თავი ძირითადად მცენარეული საფარის აღწერას მოიცავს. ასევე ხდება, როდესაც ავტორი მოგვითხრობს თავისი სტუმრობის შესახებ სოფელ ბულეფში,<sup>4</sup> რომლის დასასრულს იგი წერს:



სანამ მეგობრული ბულეფიდან გავემგზავრები, წარმოგიდგენთ ყველა იმ ხილისა და მცენარეულის სიას, რომელთაც ადგილობრივი მაცხოვრებლები საკვებად მიირთმევენ ან მოიხმარენ სხვადასხვა მიზნით მათი ადგილობრივი, ძირითადად, ლაზური სახელწოდებებით ისე, როგორც მათ საერთოდ იყენებენ აქ (კოხი 1846ბ: 131).

ამას მოჰყვება ფიტონიმების (მცენარეთა სახელწოდებების) სია, რომლის შემადგენელი ერთეულები ორენოვანი ლექსიკონის სიტყვა-სტატიის დარადაა წარმოდგენილი: ადგილზე ჩაწერილი სიტყვა და მისი გერმანული თარგმანი (კოხი 1846ბ: 131-132). სრული სიცხადისათვის აღნიშნულ მასალას წარმოვადგენთ ცხრილის სახით, რომელსაც დამატებით, მესამე სვეტს დავურთავთ ქართული შესატყვისებისათვის:

**ცხრილი 1. კოხის მიერ ბულეფში ჩაწერილი მცენარეთა სახელწოდებები**

ლაზური	გერმანული	ქართული
Oschkuri	Apfel	ვამლი
S'chuli	Birn	მსხალი
Buli	Kirsche	ბალი
Ombri	Zwetsche	ტყემალი
Atampa	Pfirsiche	ატამი
Sertali	Aprikose	გარგარი
Nedsi	Walnuß	ნიგოზი
Ncheri	Haselnuß	თხილი
Dzuh	Kirschlorbeerfrucht	წყავი
Defneh	Lorbeer	დაფნა
Portagal	Apfelsine	ფორთოხალი
Araransi	Orange	ნარინჯი
Limon	Citrone	ლიმონი
Lughi	Feige	ლეღვი
Kisiltschick	Korneliuskirsche	ალუბალი
Tut	Maulbeere	თუთა
Urseni	Weinbeere	ყურძენი
Binachi	Weinstock	ვაზი
Tschubri	Kastanie	ნაბლი
Turguni-Kanto	Brombeere	მაყვალი
Kantru	Erdbeere	მარწყვი
Kastaneh	Kürbis	გოგრა
Schuka	Gurke	კიტრი
Asli-Patlischan	Eierfrucht	ბადრიჯანი
Frenk-Patlischan	Liebesapfel	პომიდორი
Lobia (Hatschi)	Bohnen	ლობიო
Sudolia	Runkel	ჭარხალი
Merosgjah	Petersilie	თხრახუში
Mintha	Minze	პიტნა
Luh	Kopfkohl und überhaupt Kohl	კომბოსტო
Pathi	Hirse	ფეტვი
Dika	Waizen	ხორბალი
Tscha'wdali	Roggen	ჭვავი
Arpa	Gerste	ქერი
Alaf	Hafer	მვრია
Lasuth	Mais	სიმინდი
Kinsi	Koriander	ქინძი
Broskia	Porree	პრასი
Chromi	Zwiebel	ხახვი
Kinatschiburk	Balsamine	უკადრისა
Liwora	Attich (Sambucus Ebulus L.)	ანწლი
Boia	Kermesbeere (Phytolacca decandra L.)	ჭიაფერა

ზემომოყვანილ ცხრილში უმაღლესი თვალშისაცემია რამდენიმე საინტერესო ასპექტი: 1. ავტორი კი ჩამოწერს მათ 42 სალექსიკონო სიტყვა-სტატიის სახით, თუმცა გამოვლენილი ლექსიკური ერთეულების რაოდენობა 43-ია, რადგან ლობიოს აღსანიშნავად ორი სხვადასხვა სიტყვაა წარმოდგენილი: Lobia და Hatschi; 2. ბულეფში ჩაწერილი ერთეულების გერმანულ

თარგმანებში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა აღარ იხმარება დღეს ან ორთოგრაფიის უწინდელი ნორმების მიხედვითაა წარმოდგენილი (მაგალითად, Liebesapfel, Waizen), რაც სულაც არ გახლავთ გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ განსახილველი ნაშრომის შექმნის თარიღს; 3. წარმოდგენილი ფიტონიმებიდან მხოლოდ ორს ახლავს ლათინური ნომენკლატურა: Liwora – Attich (*Sambucus Embulus L.*) და Boia – Kermesbeere (*Phylotacca decandra L.*); ეს სავსებით მოულოდნელიც კია იმის შემხედვარე, რომ სია ბოტანიკოსის შედგენილია. და მაინც, მთავარი ისაა, რომ ჩვენს წინაშეა ლაზურის შესწავლის ისტორიის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე გამოვლენილი და ჩაწერილი ლექსიკური მასალა, რომელიც ჯერ არავის გამოუკვლევია. ბუნებრივია, რომ ჩვენთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა იმის გარკვევა, რამდენად ორიგინალური, წარმომადგენლობითი და სანდოა კოხის მიერ მოწოდებული რესურსი.

აღნიშნული მისიის შესასრულებლად ფართომასშტაბიანი და მრავალეტაპიანი სამუშაოა ჩასატარებელი; ამ სამუშაოს ერთ-ერთ პირველ საფეხურად მივიჩნევთ კ. კოხის სიაში შემავალი ერთეულების შედარებას მასზე ადრეული და მისი თანამედროვე ავტორების მიერ მოწოდებულ ლაზურ მასალებთან. ასეთი, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მხოლოდ სამია. ლაზურის ყველაზე ადრეულ, ლ. ერვას ი პანდუროს (ერვას ი პანდურო 1787: 69) მასალებში მხოლოდ ორი ისეთი სიტყვა გვხვდება, რომლებიც მნიშვნელობით ემთხვევა კოხისას; ესენია: Pomo (frutto) czkuri ('ვაშლი') და Pero [frutto] zukuli, czkuli ('მსხალი'). მეტიც რომ იყოს, ესპანელმა იეზუიტმა არ იცოდა ლაზური, არც ეს მასალაა მის მიერ მოკვლეული და ჩაწერილი, რის გამოც აღნიშნული წყარო სანდოდ ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება კიდევ ერთ მრავალენოვან კომპენდიუმს, რომელშიც წარმოდგენილია რამდენიმე ათეული გერმანული სიტყვა ლაზური შესატყვისებითურთ და რომლის ავტორია სახელგანთქმული გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთი (კლაპროთი 1823), მასში ჩვენთვის ღირსსაცნობი მასალა არ დასტურდება.

მესამე ნაშრომის ავტორია ზემოხსენებული გეორგ როზენი, რომელიც, როგორც აღინიშნა კ. კოხის თანამგზავრი გახლდათ აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში მისი მეორე ექსპედიციის დროს. აღნიშნული გარემოების გამო კანონზომიერად ჩნდება შემდეგი შეკითხვა? რატომ უნდა ჩაითვალოს როზენის მასალები კოხისაზე უფრო ადრეულად, თუკი ისინი ერთად მოგზაურობდნენ? მართლაც, მათ მხარდამხარ განვლეს უზარმაზარი გზა ვენიდან თბილისამდე; შესაბამისად, მათი მასალები თანადროულად უნდა ჩაითვალოს. მეორე მხრივ, როზენი სამშობლოში თავის უფროს თანამგზავრზე უფრო ადრე დაბრუნდა და მაშინვე წარსდგა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მოხსენებით ლაზური ენის შესახებ; მოგვიანებით სწორედ ეს მოხსენება დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად, რომელშიც შედიოდა ლაზურის გრამატიკის მიმოხილვა და მოკლე ლაზურ-გერმანული ლექსიკონი (როზენი 1844ბ). მაშასადამე, მათი მასალები, მართლაც, ერთსა და იმავე დროსაა მოპოვებული და ჩაწერილი, თუმცა ეს უკანასკნელი ნაშრომი ორიოდ ნლით ადრე გამოიცა.

ღირსსაცნობ გარემოებად მიგვაჩნია კიდევ ერთი ფაქტი, რომლის შესახებაც წერს როზენი: „ჩემი პატივცემული თანამგზავრის პროფ. კოხის თხოვნით, ტრაპიზონის ფაშამ დაგვინიშნა გამყოლი იბრაჰიმ-ეფენდი, მედრესეში განათლებამიღებული ლაზი“ (როზენი 1844ბ: 3). აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც კოხი, ასევე როზენი ფართოდ სარგებლობდნენ ათინელი იბრაჰიმ-ეფენდის მომსახურებით. შესაბამისად, ხსენებულ ავტორთა ლექსიკური მასალების შედარება ფასეული მიგნებების მიღების კარგ საშუალებად მიგვაჩნია იმის გარკვევის საქმეში, რამდენად ორიგინალური, წარმომადგენლობითი და სანდოა ზემოხსენებული სია და მასში შეტანილი ერთეულები. საკითხისათვის მეტი სიცხადის მისანიჭებლად, ცხრილის სახით წარმოვადგენთ კოხისა და როზენის მასალებში დადასტურებულ საზიარო ლექსიკურ ერთეულებს.

**ცხრილი 2. საზიარო ერთეულები კ. კობისა და გ. როზენის წყაროებში**

<b>კარლ კობი</b>		<b>გეორგ როზენი</b>	
Oschkuri	Apfel	oškúri	Apfel
S'chuli	Birn	s-chuli	Birn
Buli	Kirsche	buli	Kirsche
Ombri	Zwetsche	ombri	Pflaume
Nedsi	Walnuß	nezi	Nuss
Dzuh	Kirschlorbeerfruct	dzu	Kirschlorbeer
Araransi	Orange	araranzi	Orange
Lughi	Feige	loghi	Feige
Urseni	Weinbeere	urzëni	Traube
Binachi	Weinstock	binechi	Weinstock
Kantru	Erdbeere	kandghu	Erdbeere
Lobia (Hatschi)	Bohnen	lobia	Bohne
Mintha	Minze	minta	Münze
Luh	Kopfkohl und überhaupt Kohl	lu	Kohl
Pathi	Hirse	pati	Hirse
Dika	Waizen	dika	Waizen
Alaf	Hafer	alaf	Hafer
Lasuth	Mais	lazud	Mais
Chromi	Zwiebel	kromi	Zwiebel

როგორც ვხედავთ, სულ გვაქვს 19 საზიარო ფიტონიმი ორივე ავტორის ლექსიკური კოლექციებიდან (ამასთან, სავალდებულოდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ როზენტან ლობიოს აღსანიშნავად მოცემულია მხოლოდ lobia, ხოლო კობთან – Lobia და Hatschi). ამას გარდა ისიც უნდა ითქვას, რომ ორთავეს მასალები განეკუთვნება ერთსა და იმავე ნაირსახეობას – ათინურ ლაზურს; არც ის ფაქტია უმნიშვნელო, რომ მათი გამყოლი, იბრაჰიმ-ეფენდი ათინელი ლაზი გახლდათ. მათ შორის არსებული პრინციპული განსხვავება მასალის ჩანერის წესში მდგომარეობს: ლაზური სიტყვების ჟღერადობის გადმოსაცემად კობს უპირატესობა მიუნიჭებია ტრანსლიტერაციის პრინციპისათვის, ხოლო როზენი, როგორც პროფესიონალი ენათმეცნიერი, ტრანსკრიფციას იყენებს (მდრ. *Oschkuri – oškúri; Lasuth – lazud...*).

ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება კიდევ ერთი საკითხის გარკვევა: ხომ არ მოიპოვება ისეთი ფიტონიმები როზენის ლექსიკონში, რომლებიც არ არის წარმოდგენილი კობთან? პასუხი დადებითია: 15 ასეთი ფიტონიმი (ან ფიტონიმური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეული) დასტურდება ლექსიკონის უკანასკნელ გვერდზე (როზენი 1844ა: 35).

**ცხრილი 3. გ. როზენის ფიტონიმები, რომლებიც არ გვხვდება კ. კობის სიაში**

<b>Laz</b>	<b>German</b>
c'aer	Kraut, Gras
danzi	Distel, Dorn
ssapu	Moos
kibri c'aer	Salbei (Zahnkraut)
wilári	Flachs
purki	Blume
éla	Rose
uwa	Dattel
g'oni	Fiche
sipri	Buche
chlamur	Linde
pawri	Blatt
tebi	Rinde
tási	Saamen
pipili	Kern

აქვე უნდა დაისვას მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და უთუროდ კანონზომიერი კითხვა: გვხვდება თუ არა კ. კობის სიაში ისეთი ფიტონიმები, რომლებიც არ არის

წარმოდგენილი გ. როზენტან? პასუხი ამ შემთხვევაშიც დადებითია: ასეთები ნამდვილად არის და მათი რაოდენობა აღემატება მე-3 ცხრილში წარმოდგენილს.

**ცხრილი 4. კ. კოხის ფიტონიმები, რომლებიც არ გვხვდება გ. როზენის ლექსიკონში**

Laz	German
Atampa	Pfirsiche
Sertali	Aprikose
Ncheri	Haselnuß
Defneh	Lorbeer
Portagal	Apfelsine
Limon	Citrone
Kisiltschick	Korneliuskirsche
Tut	Maulbeere
Tschubri	Kastanie
Turguni-Kanto	Brombeere
Kastaneh	Kürbis
Schuka	Gurke
Asli-Patlischan	Eierfrucht
Frenk-Patlischan	Liebesapfel
Sudolia	Runkel
Merosgjah	Petersilie
Tscha'wdali	Roggen
Arpa	Gerste
Kinsi	Koriander
Broskia	Porree
Kinatschiburk	Balsamine
Liwora	Attich (Sambucus Ebulus L.)
Boia	Kermesbeere (Phytolacca decandra L.)

როგორც ვხედავთ, ასეთი 23 ერთეულია და ეს ძალიან მნიშვნელოვანი რაოდენობრივი მონაცემია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი (კ. კოხი და გ. როზენი) ერთად ესტუმრნენ ათინასა და მის შემოგარენს, თუმცა თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები და ამოცანები ჰქონდა და, როგორც ჩანს, ერთმანეთს არ უზიარებდნენ საკუთარ მასალებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ბუღეფი ნახსენები არ არის არც გ. როზენის გრამატიკულ ნარკვევში და არც მის სამოგზაურო ჩანაწერებში (როზენი 1844ბ).

ამრიგად, საკმაოდ ბევრი ნიშანი არსებობს საიმისოდ, რომ კარლ კოხის აღნიშნული სია ჩაითვალოს დამოუკიდებელ ლექსიკოგრაფიულ წყაროდ, რომელიც მცენარეთა სახელწოდებების დაფიქსირების თვალსაზრისით აღემატება კიდევ თავისი თანამგზავრისას. თუ იმ ისტორიულ პერიოდსაც მივიღებთ მხედველობაში, რომლის დროსაც ეს რესურსი შეიქმნა, მაშინ აღნიშნული რაოდენობრივი მონაცემები დამატებითი მახასიათებელი იქნება მისი წარმომადგენლობითობის სასარგებლოდ.

ზემოაღწერილი წყაროს სხვადასხვა ასპექტის განხილვის შესაჯამებლად აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ რამდენიმე კითხვის დასმა და კვლევის სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთა.

ერთ-ერთ ასეთი კითხვა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს შემდეგი: აქამდე რატომ ვერავინ შეამჩნია კ. კოხის ლაზური ლექსიკური ნიმუშები? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოხის სამტომეული (კოხი 1846ა); (კოხი 1846ბ); (კოხი 1847), სადაც იგი აღწერს თავის მეორე ექსპედიციას, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა შეუმჩნეველი, თუმცა მან ვერ დაიმსახურა ჯეროვანი ყურადღება ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, მთარგმნელების მხრიდან, რომ არაფერი ვთქვათ ენათმეცნიერებზე. მართლაც, ძნელად ასახსნელია, რატომ უგულებელჰყოფდნენ არაბოტანიკოსები იმგვარ სამოგზაურო წიგნს, რომელიც მდიდარ და ფასეულ ინფორმაციას გვანვდის ისეთი ადგილების შესახებ, სადაც უცხოელ მოგზაურს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძნელად თუ დაუდგამს ფეხი, თუ არა ჩავთვლით კასტილიის მეფის ელჩის რუი გონსალეს დე კლავიხოს, რომელიც იქ XV საუკუნის

დასაწყისში იმყოფებოდა (მამისთვალშიშვილი 1971), ან კიდევ ფრანგ იეზუიტ მისიონერს ლუი გრანჟეს, რომელიც ლაზეთს 1614 წელს ეწვია (თამარაშვილი 1902: 135-138); (იამანიძე 2006: 96-109). ძნელად ასახსნელია თუ არა, ეს უგულებელყოფა სინამდვილეს შეესაბამება და აღნიშნულის უარყოფით ეფექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო ნაშრომი კვლავაც გამოუყენებელი წყაროა არაბოტანიკოსების მიერ, ენათმეცნიერთა ჩათვლით.

ბუნებრივია, რომ თავდაპირველად ჩვენც ძირითადად მხოლოდ ის ვიცოდით კ. კოხის შესახებ, რომ იგი ახლდა გ. როზენს ლაზეთში (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელს ნაშრომში ნახსენებიც ჰყავს თავისი გავლენიანი თანამგზავრი (როზენი 1844: 3))<sup>5</sup> და რომ მანამდე, 1836-1837 წლებში ერთხელ უკვე სტუმრობდა რეგიონს. სხვათა შორის, მისი სხვა სამოგზაურო წიგნის ფრაგმენტები თავის დროზე ითარგმნა და გამოიცა ქართულად (მამაცაშვილი 1981). ჩვენ უფრო გულდასმით გავეცანით მის ზემოხსენებულ ტექსტს სწორედ იმის გასარკვევად, ხომ არ იყო მეორე, უფრო გვიანდელი ექსპედიციის ჩანაწერებში რაიმე ხელშესახები მასალა პირველისაგან განსხვავებით. შედეგი აშკარად აღემატებოდა მოლოდინს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს ერთ-ერთ ამოცანას ისიც წარმოადგენდა, რომ გაგვერკვია, რამდენად ორიგინალური, სანდო და წარმომადგენლობითია კ. კოხის ლექსიკური მასალა. როგორც უკვე ვნახეთ, ეს მასალა ნამდვილად ორიგინალურია, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს არსებული რესურსების გათვალისწინებით. რაც შეეხება წარმომადგენლობითობას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ეს სია მცენარეთა სახელწოდებებისაგან (ფიტონიმებისაგან) შედგება, მაშინ იგი ამ პარამეტრსაც სავსებით აკმაყოფილებს: კოხის ფიტონიმები რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატება როზენისას.

ჩვენ მიერ განხილული მასალა საკმაოდ სანდოდ მიგვაჩნია, თუმცა საბოლოოდ დასკვნის მისაღებად ფართომასშტაბიანი და სიღრმისეული საენათმეცნიერო კვლევაა აუცილებელი. აშკარაა, რომ, რადგანაც კ. კოხის მასალა შეუმჩნეველი დარჩა და, შესაბამისად, არც ვინმეს გამოუკვლევია აქამდე, იგი არც გაუთვალისწინებიათ და არც გამოუყენებიათ მის შემდგომ შედგენილ ლაზურის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში. და მაინც, სწორედ ზემოაღნიშნული ფართომასშტაბიანი კვლევის ფარგლებში უდავოდ ფასეულად მიგვაჩნია ამ მასალის შედარება მომდევნო პერიოდის სხვადასხვა ფორმატის, მოცულობისა თუ დანიშნულების ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან, დაწყებული XIX საუკუნეში გამოცემული ისეთი ნაშრომებით, როგორებიცაა, მაგალითად, დ. რ. პიკოკი (პიკოკი 1887), რ. ერკერტი (ერკერტი 1895), ჰ. აჭარიანი (აჭარიანი 1898), და ისეთით დამთავრებული, რომელთაც ამ ორიოდ წლის წინათ იხილეს დღის სინათლე, როგორებიცაა, მ. ბუკიასა (ბუკია 2018) და ი. ალექსივას (ალექსივა 2020) ლექსიკონები. რადგანაც ამ სახის შედარებითი კვლევა უკვე ჩავატარეთ (თუმცა მის ბოლომდე მისაყვანად კიდევაა გადასადგმელი რამდენიმე ნაბიჯი, რის გამოც ჯერ არ ვაქვეყნებთ მის შედეგებს), აქედანვე შეიძლება განვაცხადოთ, რომ კარლ კოხის მიერ XIX საუკუნეში გამოვლენილი და ჩაწერილი მცენარეთა ლაზური სახელწოდებების სიაში ისეთი სიტყვები და მნიშვნელობებიც გვხვდება, რომლებიც არცერთ სხვა წყაროში არ არის დადასტურებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ფასეულ რესურსს წარმოადგენს არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, რომლის შესწავლა სხვადასხვა თვალსაზრისიდან ნამდვილად ფასეული შედეგების მომტანი იქნება.

## შენიშვნები

- 1 წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში აღმოჩენილი დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ნანა სიმონიას, ქალბატონ მანანა ბუკიას, ქალბატონ ნინო ციხიშვილსა და ბატონ ელგუჯა დადუნაშვილს.
- 2 ზოგიერთი ავტორი კ. კოხის დაბადების ადგილად ვაიმარს უთითებს (მაღალაშვილი-ყანჩაველი 1969: 160), რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

- <sup>3</sup> შეიძლება ითქვას, რომ სხვა გამონაკლის ავტორებთან ერთად გიორგი ყაზბეგიც (ყაზბეგი 1876) უნდა დაგვესახელებინა, რომელიც არცთუ ურიგოდ იცნობს კ. კოხის აღნიშნულ ნაშრომს; იგი რამდენჯერმე იმონმებს მას ლაზების გეოგრაფიული განსახლებისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებ თხრობისას, მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველ ენობრივ მასალას არც კი ახსენებს.
- <sup>4</sup> ნიკო მარი (მარი 1910: xvii) მიუთითებს, რომ არსებობს სოფელი ბულეფი, რომელიც მდებარეობს ათინასთან ახლოს მდინარე ბულეფისწყალზე, და შესაბამის თქმასაც კი გამოყოფს („Так существует булепский подговор (б) в селений Вулеп на речке того же имени, на востоке от р. Атины“). იოსებ ყიფშიძის სიაში (ყიფშიძე 1937: 169) ჩანს „29. თუდენი ბულეფი“ და „30. ჟინი ბ[ულეფი].“ „ლაზური ტოპონიმების ლექსიკონშიც“ დადასტურებულია ეს სახელწოდება (ალექსივა, ბუჯაქლიში 2009: 7). იგი მომდინარეობს ლაზური სიტყვის (მ)ბუღ-ი 'ბალი' მრავლობითი რიცხვის ფორმიდან ბუღეფე; დღეს მის ბადლად შესაბამისი მნიშვნელობის მქონე თურქული სიტყვა გამოიყენება: Kirazlık.
- <sup>5</sup> ამ ფაქტს საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიიჩნევს არნოლდ ჩიქობავა (ჩიქობავა 1965: 143).

## დამონმებანი

**ალექსივა 2020:** I. Aleksiva. *Dictionary of Laz Plant Names*, München, LINCOM.

**ალექსივა, ბუჯაქლიში 2009:** I. Aleksiva, I. A. Bucaklışı. *SVACOXO – Laz yer adlar sözlüğü*, İstanbul, Kolkhis Laz Kültür Derneği.

**ანონიმი 1879:** Karl Koch. *Nature* 20.

**აქარიანი 1898:** H. Adjarian. *Étude sur la langue laze. Mémoires de la Société Linguistique de Paris* X.

**ბროისტე 1883:** J. Breuste. Karl Kochs Forschungsreisen nach Kaukasien 1836-1838 und 1842-1844. *Georgica: Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens* 6.

**ბუკია 2018:** მ. ბუკია. *ღაზუხი დექსიკონი*. Wojnowice: KEW.

**გიპერტი 1992:** J. Gippert. The Caucasian language material in Evliya Çelebi's travel book: A revision. *Caucasian Perspectives*, ed by G. Hewitt, Unterschleissheim/München, LINCOM.

**ერვას ი პანდურო 1787:** L. Hervás y Panduro. *Vocabolario poligloto con prolegomeni sopra più di cl. Lingue: dove sono delle scoperte nuove, ed utili all'antica storia dell'uman genere, ed alla cognizione del meccanismo delle parole*, Cesena, G. Biasini.

**ერკერტი 1895:** R. Erckert. *Die Sprachen des kaukasischen Stammes*, Hölder, Wien.

**თამარაშვილი 1902:** მ. თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქახთვედთა შოხის ნამდვიდის საბუთების შემოგანითა და განმახვებით XIII საუკუნიდგან ვიდჲე XX საუკუნემდე*, ტფილისი.

**თაყაიშვილი 1938:** ე. თაყაიშვილი. *ახქეორდოგუხი ექსპედიცია კოდა-ოდთისში და ჩანგდში 1907 წედს, პარიზი*.

**იამანიძე 2006:** მ. იამანიძე. *საქახთვედო ფხანგუდ მოგზაუხუდ დიგეხატუხაში (XIII-XVII სს.)*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**იუნესკო 2022:** UNESCO. *Atlas of the World's Languages in Danger*. <http://www.unesco.org/languages-atlas/en/atlasmap.html> (ნანახია 18.11.2023)

**კიკვიძე 2022:** Z. Kikvidze. Laz Lexical Specimina from K. H. E. Koch's Travelogue. *Annual Conference of the Italian Association for the Study of Central Asia and the Caucasus (ASIAC)* (December 1-3, 2022; Bergamo, Italy).

**კლაპროთი 1823:** H. J. Klaproth. *Asia Polyglotta*, J. M. Eberhart, Paris.

**კოხი 1846ა:** K. Koch. *Wanderungen im Oriente, während der Jahre 1843 und 1844: Reise Längs der Donau nach Konstantinopel und nach Trebisond*, Band 1, Weimar, Druck und Verlag des Landes-Industrie-Comptoirs.

**კოხი 1846ბ:** K. Koch. *Wanderungen im Oriente, während der Jahre 1843 und 1844: Reise im pontischen Gebirge und türkischen Armenien*, Band 2, Weimar, Druck und Verlag des Landes-Industrie-Comptoirs.

**კოხი 1847:** K. Koch. *Wanderungen im Oriente, während der Jahre 1843 und 1844: Reise in Grusien, am Kaspischen Meere und im Kaukasus*, Band 3, Weimar, Druck und Verlag des Landes-Industrie-Comptoirs.

- კუში, კირჯა 2020:** A. Kuş, Ç. Kirca. Alman doktor Koch'un kayıtları ışığında Trabzon ve yakın çevresi. *Karadeniz İncelemeleri Dergisi* 29.
- მამაცაშვილი 1981:** კ. კობისა და ო. სპენსეის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მამისთვალისძვილი 1971:** ე. მამისთვალისძვილი. რუიგონსალეს დეკლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. *მნათობი* 8.
- მარი 1910:** Н. Марр. *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*, Типография Императорской Академии Наук, Санкт-Петербург.
- მაღალაშვილი-ყანჩაველი 1969:** თ. მაღალაშვილი-ყანჩაველი. მასალები საქართველოში ცნობილი გერმანელი ბოტანიკოსის კარლ კობის მოგზაურობის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXII-XXIII A.
- პიკოკი 1887:** D. R. Peacock. Original Vocabularies of Five West Caucasian Languages (Georgian, Mingrelian, Lazian, Swanetian, and Abkhazian). *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland* 19/1.
- როზენი 1844ა:** G. Rosen. *Über die Sprache der Lazen*, Lemgo, Meyersche Hofbuchhandlung.
- როზენი 1844ბ:** G. Rosen. *Notizen von einer Reise durch Serbien, Anatolien und Transkaukasien in den Jahren 1843 und 1844*, ed. by A. Stache-Weiske & F. Meier-Barthel, Berlin, EB-Verlag.
- ყაზბეგი 1876:** Г. Н. Казбек. Три месяца в Турецкой Грузии. *Записки Кавказского отделения Императорского русского географического общества* кн. X, ч. 1.
- ყიფშიძე 1937:** ი. ყიფშიძე. საანგარიშო მოხსენება ქანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს. II. მივლინების დღიური. აკად. ნ. მაჩის სახელობის ენის, ისტორიისა და მაგეჩიადუხი კულტურის ინსტიტუტის მოამბე 1.
- ჩიქობავა 1965:** ა. ჩიქობავა. *იბეჩიურ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
- ჯიქია 1936:** С. Джикия. Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках, *Советское языкознание* 2.
- ჯიქია 1954:** ს. ჯიქია. ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, *იბეჩიურ-კავკასიური ენათმეცნიერება* 6.

## PLANT NAMES FROM BULEPI: A GERMAN BOTANIST'S CONTRIBUTION TO DOCUMENTATION OF LAZ

Zaal Kikvidze

Arnold Chikobava Institute of Linguistics  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
zaal.kikvidze@tsu.ge

In the present paper I discuss the list of phytonyms (plant names) elicited and recorded in the Laz village of Bulepi and published by the German botanist Karl Heinrich Emil Koch in his travelogue in 1846. The list is arranged as a set of dictionary entries: a Laz phytonym accompanied with a German translation. There are 42 entries; however, the total number of Laz phytonyms is actually 43 because the entry for 'beans' evidences two elicited items: *Lobia* and *Hatschi*.

Koch's data should be compared with those of contained in preceding and contemporaneous sources. The preceding sources of Laz lexical specimens are two multilingual compendia, one of the published in the later half of the 18<sup>th</sup> century and another in the early 19<sup>th</sup> century; they can hardly be considered for comparison for their deficiency and unreliability. As for a glossary of Laz words included in the grammatical sketch of Laz by G. Rosen, Koch's travel companion, there are a number of coincidences; however, with respect to the occurrence of plant names, Koch's list is clearly more representative than Rosen's glossary.


Further studies of the list in point should include comparisons with lexicographic sources having appeared later. It is obvious that, owing to the fact that Koch's specimina have not been noticed, none of the sources has considered its data; however, such comparisons can demonstrate how reliable individual items are and whether the list includes any specimina not occurring elsewhere. Based on the already conducted comparisons and my preliminary observations of the overwhelming majority of the available lexicographic sources of Laz, it can be stated that Karl Koch's list of phytonyms, elicited and recorded in the Laz village of Bulepi, is an original, reliable and representative resource and a valuable contribution to documentation of Laz.



# კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში დაცული XIX საუკუნის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ

**გორა კუჭუხიძე**

შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
gochakuch@yahoo.com



1. ჟურნალ „გუსლიში“ დასაბეჭდად მომზადებული და ცენზურის მიერ აკრძალული ერთ-ერთი ილუსტრაცია

ნახატი, რომელიც წინამდებარე სტატიას წავუ-  
მძღვარე, ტფილისში 1881-1882 წლებში გამომავალ  
და შემდეგ გაუქმებულ სატირულ ჟურნალ „გუსლიში“  
უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ საცენზურო კომიტეტს  
სხვა მასალებთან ერთად აუკრძალავს; სურათზე  
გამოხატულ კაცს გაზეთის პუბლიკაციები არ მოს-  
წონს, მერე ხვდება დაწუნების მიზეზს და ამბობს:  
– ა, გასაგებია, „ნებადართულია ცენზურის მიერ“.  
ხსენებული ჟურნალი კავკასიის საცენზურო კომიტეტმა  
აკრძალა; წარმოდგენილ სტატიას ამ კომიტეტის  
მუშაობის რამდენსამე ტენდენციას შევხებით.

ნაშრომში, რომელიც XIX ს-ის 70-იანი წლების  
კავკასიის საცენზურო კომიტეტს შეეხებოდა (კუჭუ-  
ხიძე 2022-2023: 75-112), აღნიშნული გვექონდა, რომ  
რუსეთის იმპერიის ეროვნული პოლიტიკა სხვადასხვა  
რეგიონში ერთმანეთისგან განსხვავებული იყო: პო-  
ლონეთის 1863 წლის აჯანყებამ, რომელმაც პოლო-  
ნეთი, ლიტვა, უკრაინა, ბელორუსია მოიცვა, რუსეთის  
ხელისუფლების პოლიტიკის გამკაცრება გამოიწვია.  
პოლონეთის სამეფო გაუქმდა და 1875 წელს კი გუ-  
ბერნია გახდა; უკრაინაში 1863 და 1875 წლების გან-  
კარგულებებით „მალარასიულ დიალექტზე“ სწავლა

აიკრძალა, მასზე მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურის („изящная литература“) წერა იქნა  
ნებადართული და უცხო ენებიდან თარგმნა – არა; ეროვნულ ენებზე სწავლა ბელორუსიაში  
და ლიტვაშიც აკრძალეს. ებრაელებს ამ დროს ნება მიეცათ, იქ დასახლებულიყვნენ,  
სადაც მოისურვებდნენ, თუმც ებრაული სკოლები დახურეს; ფინეთის მიმართ შედარებით  
რბილი დამოკიდებულება იყო, ამ ქვეყანას ჰყავდა საკუთარი ჯარი და განათლებასაც  
ფინურ ენაზე ღებულობდნენ.


ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პოლიტიკა ასევე  
არ ჰქონდათ, – ტრადიციათა შენარჩუნებაში არ უშლიდნენ ხელს, მაგრამ დაპყრობის  
შემდეგ ჯარს უყენებდნენ; ხდებოდა ხალხთა გასახლებები (ამ საკითხებზე იხ. (მაკუშინი  
2010: 94-104); (პატრუშევა 1990: 27-34); (როზენბერგი, იაკუშკინი 1905); (ჩერნუხა 1988)).

იმპერია ქართულ კულტურას ისე არ უყურებდა როგორც განსაკუთრებული ადათ-  
წესების მქონე მთის ხალხთა სამშობლოს და, ამ კულტურას, მით უმეტეს, ვერ  
აკრძალავდა; ხელისუფლებამ აქ გამოუშვა პიროვნება, რომელიც თავისი ხასიათის გამო  
სიმპათიას დაიმსახურებდა და იმასაც მიაღვენებდა თვალს, საშიში ფორმები არ მიეღო  
კულტურაზე ქართველთა ზრუნვას და, რაც ძალიან აფრთხობდათ, რევოლუციური იდეები

არ გავრცელებულიყო ხალხში. მსგავსი ვითარება იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში. იმპერატორი ალექსანდრე II, როგორც ცნობილია, ლიბერალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, იმპერიისათვის ისიც გასაგები იყო, მრავალსაუკუნოვან ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულსა თუ სხვა კულტურებს წმიდად სლავურად რომ ვერ გადააქცევდა (თან ამ დროს თავად რუსული კულტურა ევროპულზე იყო ორიენტირებული) და, როგორც ამას კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო მასალათა შესწავლაც ცხადჰყოფს, 70-იან წლებში ეროვნულ კულტურას გარკვეულწილი თავისუფლება ეძლევა, ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე II-ის მკვლელობამდე (1881 წ.) ასეთი სურათი ჩანს. მასალების გაცნობა იმ აზრსაც ბადებს, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტში იკრიბება წრე იმ მოღვაწეებისა, რომლებიც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით სარგებლობენ და კომიტეტის თავმჯდომარის – დიმიტრი ფურცელაძის შემწეობით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ეროვნული კულტურის აღორძინებაში (ხსენებულ საკითხებზე ვრცლად ვმსჯელობ წერილში, რომელიც ქვემოთ არის დასახელებული და ამჯერად სიტყვას ძალიან არ განვავრცობ).

ცხადია, იმპერიაში სრული თავისუფლება არაა შექმნილი, – შესაძლოა, ისეთი იდეები შეიპაროს ჟურნალ-გაზეთებსა თუ წიგნებში, ამა თუ იმ ეროვნული კულტურის აღორძინების იდეას სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მოსაპოვებლად აჯანყების საჭიროებასთან რომ დააკავშირებს; აღმოსავლური და ადგილობრივი, ე. ი. კავკასიის, ხალხთა ენების (“туземные языки”) სპეციალისტთაგან განსაკუთრებულ ყურადღებიანობას მოითხოვენ (ამ ენათა სპეციალისტის, როგორც ხელმოწერიდან ირკვევა, უფროსი ცენზორის, მელიქ-მეგრატოვის, ერთ-ერთი ხელნაწერი წარმოდგენილია ჩვენს სტატიაში) და კომიტეტში მომუშავე ყველა ეროვნულ ადამიანს დიდი სიფრთხილე ესაჭიროება, რათა მსგავსი იდეები არ მოხვდეს გამოცემებში, რაც ეროვნული კულტურის საქმეს დააზარალებს და კომიტეტიდან ამ პიროვნებათა გაძევებას და პასუხისმგებებაში მიცემას გამოიწვევს (კუჭუხიძე 2022-2023); კომიტეტში განსაკუთრებულ სიფრთხილეს, ცხადია, ისეთი მასალების მიმართ იჩენენ, სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის კრიტიკასთან და, მით უმეტეს, რევოლუციასთან რომ არის დაკავშირებული.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებს შორის ვხვდებით ცნობას (480, 1, 221), რომლიდანაც ირკვევა, რომ 1874 წელს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დიმიტრი ფურცელაძე ინიშნება. უნდა ითქვას, რომ ეს პიროვნება დღეს ფართო საზოგადოებისთვის ერთგვარად მივიწყებულია,<sup>1</sup> მაშინ როცა ეკუთვნის ნაშრომები: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“,



2. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთი ცენზორის ხელნაწერის ფურცლები (ორი გვერდი)

„ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინარიის პროფესორი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი. იყო ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი. მართალია, ჩინოვნიკი გახლავთ იმპერიისა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ისტორიკოსი, ქრისტიანობის გავრცელებისათვის მზრუნველი ადამიანია, სრულიად უეჭველია, რომ ჩვენ წინაშეა თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი. ამავე საქალაქო დედაში ვხვდებით ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტასკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე 1875 წელს უმცროს ცენზორად დანიშნულა (480, 1, 226).

არც ამ გვარის ხსენებამ უნდა შეაშინოს მკითხველი; – ეს არის ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე; ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ცნობა, რომლიდანაც დავინახავდით, რომ ეროვნულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე უარყოფითი მოემოქმედოს მას, – პირიქით, ვხედავთ, ყოველნაირად ხელშემწყობი რომ არის ეროვნული საქმეებისა და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დიმიტრი ფურცელაძეს სპეციალურად მიუყვანია იგი კომიტეტში სამუშაოდ, რათა რამდენიმე სხვა ადამიანთან ერთად ქართველ მწერალთა გამოქვეყნება გაეადვილებინა. საინტერესოა ერთი ფაქტი: 1881 წლის საბუთიდან (480, 1, 499) ვხედავთ, რომ თავად ბაქრაძის ნაშრომს, დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტს, ქართულად (ცენზურირების შემდეგ ქართულ ენაზე განკარგულების გაცემა, როგორც წესი, არ ხდებოდა) აწერია: „*ბაქრაძის ისტორიის ბოლო ამოაწყეთ*“; მისი რომელიღაც საისტორიო ნაშრომის დაბეჭდვა შეუჩერებიათ; მიზეზი ჯერ უცნობია.

კავკასიის მთავარმართებლის მთავარ სამმართველოში გაგზავნილ ერთ-ერთ სარეკომენდაციო წერილში წერია, – ბაქრაძე კარგად იცნობს ქართულ მწერლობას და მზად არის, უხელფასოდ გასწიოს ცენზორობა, ამ საქმეში ადრეც მიხმარებია ცნობილ ცენზორ კაიტმაზოვსო (480, 1, 160); მთავარ სამმართველოში რეკომენდაციის გაცემა კომიტეტის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე ვერ მოხდებოდა; ჩანს, თავმჯდომარე განსაკუთრებულად ზრუნავს დიმიტრი ბაქრაძეზე, – 1876 წელს მთავარმართებლის შუამდგომლობითა და საცენზურო კომიტეტის მოწმობით იმპერატორს („Государь Император по ходатайству Великого Князя Наместника Кавказского и удастоверению Кавказского Цензурного Комитета“...) სხვასთან ერთად 300 მანეთით დაუჯილდოვებია ბაქრაძე (480, 1, 281). ცხადია, ასეთი პირისგან დაჯილდოება ფურცელაძის სურვილის გარეშე ვერ მოხდებოდა; ფუხცეაძე, კაიტმაზოვი (*ყაითმაზაშვიდი*), ბაქრაძე და ადბათ სხვებიც ის პიროვნებები არიან, ეხოვნური საქმის წინსვლას რომ უწყობენ ხელს და, ხოგოხც ითქვა, ზოგი მათგანი ეგებ სპეციალურად ამ საქმისათვისაა საცენზურო კომიტეტში მიყვანილი; თუმც სოციალისტურ-ხევოლუციურ იდეათა მიმართ მეგად უახყოფითი დამოკიდებულება რომ აქვს დიმიტრი ფუხცეაძეს, ეს აშკარაა; ცხადია, ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად რაიმე სახის დაუმორჩილებლობის იდეასაც მკაცრად შეეწინააღმდეგება; შესაძლოა, ამ ეტაპზე კულტურის აღორძინება და სხვა ეროვნულ საქმეთა ჩუმად კეთება მიაჩნია საქართველოს გადარჩენის გზად.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დოკუმენტებში დაცულია ცნობები, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ ფაქტობრივად მთელი ეროვნული ლიტერატურა ცენზორთა ხელში გადის; საცენზურო კომიტეტის ნებართვით გამოდის: „ცისკარი“, „დროება“. პირველად იბეჭდება გურამიშვილის „დავითიანი“ (480, 1, 75); ნიკოლოზ ბარათაშვილის კრებულის დაბეჭდვაზე პირადად დიმიტრი ბაქრაძე ღებულობს პასუხისმგებლობას, – ერთ-ერთ საბუთში (480, 1, 265) ვხედავთ, რომ მისი რეცენზირებით, ანუ პასუხისმგებლობით, მისულა ეს კრებული მკითხველთან; საერთოდ, ცენზორთა გვარები იშვიათად ჩანს (გაურკვეველ ხელმოწერებს არ ვგულისხმობ), შემონახულ საბუთში კი კომიტეტის მიერ ხაზგასმითაა აღნიშნული, ბაქრაძის უშუალო ნებართვით რომ იბეჭდება ბარათაშვილი; ალბათ არაერთი ისეთი კითხვა გააჩინა დიდი პოეტის შემოქმედებამ, რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხს რომ შეეხებოდა და ესეც იქნება მიზეზი, აღნიშნული რომ არის, ვინ იყო პოეტისთვის „მწვანე შუქის ამნთები“. მასალები, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და ფოლკლორს ეხება, კომიტეტში მოწმდება და 70-იანი წლების მასალათა გაცნობისას ჯერ არ შეგვხვედრია ცნობა, რომლიდანაც გაირკვევა, რომ ეროვნული

სულიკვეთების გამო შეეჩერებინოთ რომელიმე, რაც, ცხადია, დიმიტრი ფურცელაძისა და მის თანამოაზრეთა დამსახურებაცაა; სამაგიეროდ უხვად გვხვდება ცენზორთა დასკვნები, რომლებითაც იკრძალება ისეთი ნაშრომები, რომლებიც, ქვეყანაში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რევოლუციურ განწყობას ბადებს; საცენზურო კომიტეტში განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ნიკო ნიკოლაძის მიმართ: ჟანდარმერიიდან იწერებიან, რომ ამ პიროვნებაზე, როგორც რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულზე, ზედამხედველობაა დაწესებული და კომიტეტისგან ითხოვენ, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ და არ გაეპაროთ მისი სტატიები (480, 1, 142; 480, 1, 232...); იციან, რომ, ხშირად თუ გაცხადებულად მოითხოვს საგამომცემლო მუშაობის უფლებას (480, 1, 232...), არაერთ შემთხვევაში თავისი პიროვნების შეფარვას ცდილობს ნიკოლაძე; 1877 წელს ეროვნული მოღვაწეობით ცნობილ პედაგოგს – არისტო ქუთათელაძეს (ავტორს ნაშრომებისა: „პირველდანიყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია...“) უთხოვია კომიტეტისთვის ნებართვა, გამოეცა პერიოდული კრებული – „Физиономия войны“ („ომის ფიზიონომია“), რომელშიც მხოლოდ ერთ ავტორს უნდა ებეჭდა წერილები; „თუ საქიროა, ავტორსაც შეგატყობინებთ“, – ამასაც დასძენს ქუთათელაძე; ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ არ იკითხავდნენ ავტორის ვინაობას, მაგრამ უკითხავთ და ქუთათელაძე ასეთ პასუხს იძლევა: „Имя автора сочинении [...] никто иной, как Н. Я. Николадзе“; არც მეტი, არც ნაკლები, ნ. ი. ნიკოლაძეა ავტორი, – ისე „თამამად“ წერს, იგრძნობა, იმგვარი შთაბეჭდილების მოხდენა უნდა, თითქოს დარწმუნდა, რომ „გამოსწორდა“ ნიკოლაძე, რომ სახელმწიფოსათვის მოსაწონი სტატიების დაბეჭდვას აპირებს „Физиономия Войны“-ში, ვითარების იმგვარად წარმოჩენას ცდილობს ქუთათელაძე, ვითომც, უბრალოდ, ვერ გაითვალისწინა, ავტორის ხსენებაც აუცილებელი რომ იყო განცხადებაში და პირობას დებს, რომ მომავალში მოიხსენიებს ხოლმე ავტორს; მეგობრული ტონით წერს, მაგრამ კრებულის გამოცემის უფლებას მაინც ვერ ღებულობს (480, 1, 300).

ხსენებული ფაქტისა და იმის შესახებ, ფურცელაძეს უარყოფითი დამოკიდებულება რომ ჰქონდა ნიკოლაძის მიმართ, ადრეც ვწერდი (კუჭუხიძე 2022-2023: 99-102), დოკუმენტზე დაყრდნობით იყო ნაჩვენები, თუ როგორ ითხოვს ნიკო ნიკოლაძე, გამოსცეს კრებული სახელად „Капризы Пера“ („კალმის ახირებანი“), რაზეც ფურცელაძე მთავარ სამმართველოს, რომელიც ბეჭდვით საქმეებთან დაკავშირებით უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილება, უგზავნის წერილს და აღნიშნავს, რომ ნიკოლაძე სტუდენტობის დროიდანაა შემჩნეული რევოლუციური იდეებით გატაცებში, რომ ჟენევაშიც რევოლუციური ბროშურებისა და ფურცლების გამოცემით იყო დაკავებული; წერს, რომ მეფისნაცვალმა დაუშვებლად მიიჩნია საგამომცემლო საქმიანობასთან მისი დაშვება და რომ ადრე მთავარი სამმართველოს უფროსმაც მოითხოვა, ფხიზლად იყოს კომიტეტი, რათა ზეგავლენა არ მოახდინოს ნიკოლაძემ ჟურნალ-გაზეთებზე; იქვე ვკითხულობთ, რომ, თუ დიდი თავადი (მეფისნაცვალის იგულისხმება) ნებას დართავს, იმ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს ნიკოლაძეს ისეთი კრებულის გამოცემის უფლება, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დაემორჩილება და „Капризы Пера“ კი არა, – „Наблюдатель“ („მეთვალყურე“) დაერქმევა; 1876 წლის უწყებაში, რომელიც მთავარი სამმართველოდან გაუგზავნიათ კომიტეტში, ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალეობამ“ (მეფისნაცვალმა) „არ ინება“ ნიკოლაძის თხოვნის დაკმაყოფილება (480, 1, 232).

მასალებს შორის აღმოჩნდა ნიკოლაძისა და ფურცელაძის ურთიერთობის ამსახველი ერთი საინტერესო საბუთი, რომლიდანაც ირკვევა, რომ 1878 წელს ნიკო ნიკოლაძეს დუელში გამოუწვევია დიმიტრი ფურცელაძე. ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე უკმაყოფილებას გამოთქვამს ნიკოლაძე, რომ მუშაობისათვის ცოტა დროს აძლევს კომიტეტი (480, 1, 333); ჩანს, ამ და სხვა ფაქტების, საერთოდ, მისდამი უარყოფითი დამოკიდებულების გამო მალე მოხდა შემთხვევა, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო, – ხსენებული წლის 21 ივლისს ნიკოლაძეს სეკუნდანტები გაუგზავნია ფურცელაძისთვის; შემონახულია

ამ უკანასკნელის მიერ მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა და ტფილისის გუბერნატორის სახელზე იმავე დღეს დაწერილ განცხადებათა ასლები (480, 1, 235); ავტორი იტყობინება, რომ გაზეთ „დროების“ რედაქტორმა – ნიკოლაძემ დილით 11 საათსა და 30 წუთზე ბინაში გაუგზავნა სეკუნდანტები: თავისი რედაქციის თანამშრომელი და ერევნის პოლკის („Эриванский полк“) პოდპორუჩიკი (ხელნაწერი გაკრული ხელითაა შესრულებული და გვარები ძნელად იკითხება; შესაძლოა, აქ ნახსენები არიან: სლიდორსკი და პოდპორუჩიკი მალოვი); რედაქციის თანამშრომლად მოხსენიებული პიროვნების გვარის დაბოლოება გადაუშლია ფურცელაძეს და ასოები ჩაუმატებია (ორ ადგილასაა ასე გაკეთებული), – ჩანს, კარგად არ ახსოვდა ამ სეკუნდანტის გვარი და მერე დააბუსტა: „მე არ მივიღე დუელში გამოძახებაო“ („вызова я не принял“) – წერს იგი და დასძენს, რომ „ნიკოლაძე კომიტეტის სხვა წევრებსაც არაერთხელ სახალხოდ დამუქრებია მოკვლით“ (ერთ-ერთ ტექსტში, იქნებ, უპატივცემულობის ხაზგასასმელად პატარა ასოთი დაუნერია გვარი, – “николадзе неоднократно и публично угрожал смертельно и другим членам Комитета”); თუმც, ყოველთვის არ იქცევა ასე; კომიტეტის რომელიღაც სხვა თანამშრომელი ერთ-ერთ საბუთში ასე იხსენიებს ნიკო ნიკოლაძეს – “бывший студент [...] Николадзе”/ „ყოფილი სტუდენტი [...] ნიკოლაძე“), – „გთხოვთ, ზომები მიიღოთ და შემატყობინოთ ამ საქმის შესახებო“ – წერს ფურცელაძე.

იმპერიის სამსახურშია დიმიტრი ფურცელაძე, დიდი თანამდებობა უკავია და ვერ ვიტყვი, რომ სასარგებლოს არაფერს უკეთებს ამ იმპერიას; *ჩვევად იღებენ წინააღმდეგი რომ აჩის და ნიკორაძე რომ მაჩთვია აჩ უყვარს, ეს ფაქტიც უეჭველი ჩანს; ამასთან, ეხოვნური სულისკვეთება რომ ძლიერია მასში და დიდი დიპლომატიც რომ აჩის, ვფიქრობ, აჩც ამის უაჩყოფა შეიძლება*; ადრეც ვწერდი (კუჭუხიძე 2022-2023: 103-105) და ახლა მოკლედ გავიმეორებ: საქალაქო 480, 1, 232-ში აღნიშნულია, რომ სომხური გაზეთი – „Мшак“ („Работник“), ჟურნალი „Апарат“. კავკასიაში ვაჭრობის საქმეთა მიმოხილვისას ძირითადად სომხური მოსახლეობის როლზე ამახვილებენ ყურადღებას და ამაში მთავარ დამნაშავედ ფურცელაძეს გამოჰყავს გაზეთები – „ტიფლისკი ვესტნიკი“ და „კავკაზი“, რომლებსაც, მისი სიტყვით, მენინავე სტატიები არ აქვს, არ შეუძლია, რუსული სიტყვა და რუსული აზრი წამოსწიოს ამ მხარეში („поднять в крае русское слово и русскую мысль“), მხოლოდ სკანდალურ წერილებს ბეჭდავს და სომხურ გაზეთებსაც ცუდ მაგალითას აძლევს; ტფილისური გაზეთების შესახებ წერს, რომ, მაგალითად, ერთხელ იმაზე მეტი ვერაფერი დაუნახავთ აღსანიშნავი, რომ ალექსანდროვის ბაღში სლავიანთა სარგებლობისათვის სეირნობა გაიმართა და მაზრიდან შემოწირულობები გამოიგზავნა („было гуляние в пользу славян и из уезда прислали пожертвования“) და სომხურ გაზეთებში კი რუსეთ-თურქეთის ომის დროს მხოლოდ ოსმალეთის სომხეთზე დაწერეს წერილები; ასე რომ, თითქმის ძირითადად იმპერიის ინტერესებით ხელმძღვანელობს დიმიტრი ფურცელაძე, მაგრამ სინამდვილეში ის უფრო აინტერესებს, ქართული ცხოვრების შესახებ გაცილებით სერიოზულ პრობლემებზე რომ იწერებოდეს (თან სხვათათვის მაგალითის მთავარ მიმცემად „ტიფლისკი ვესტნიკს“ წარმოაჩენს, რითაც ტფილისური გაზეთის განსაკუთრებულ ღირსებასაც უსვამს ხაზს), ცდილობს, რომ გაზეთებს ქართული ეკონომიკაც არ დარჩეთ მხედველობის მიღმა, არაერთმა კი მეტი სერიოზულობა გამოიჩინოს; სიტყვა *სღავების* ხსენებაც მრავალგვარი განზოგადების საშუალებას იძლევა, – რუსეთიდან კავკასიაში ევროპული კულტურა უფრო ვრცელდება, ვიდრე – სლავური და ფურცელაძეც, როგორც კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, ეტყობა, სწორედ ამ პოლიტიკას უწყობს ხელს.

ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესოა 1876 წლის შემდეგი ცნობები (480, 1, 201): მეფისნაცვალს ატყობინებენ, რომ „კავკაზმა“ ფინანსური პრობლემებით ახსნა, უპირველესად არასერიოზული თემებით რომ იყო დაკავებული და გამოსწორების პირობა დადო. ჩანს, პირველად მაინც მთავარი სამმართველოდან მივიდა კომიტეტში საყვედური გაზეთის გამო, კომიტეტმა გააფრთხილა გაზეთი, თანაც ეროვნული მიზნებისათვის გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და შემდეგ ანგარიში ჩააბარა მთავარ სამმართველოს, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ გამოსწორების გზაზეა და ახლა აუცილებელია,


გაზეთი „კავკაზიც“ გამოსწორდეს, – კანონებში მომხდარი ცვლილებები, ოფიციალური ბრძანებები და ვაჭრობის ამბები მანაც სრულყოფილად უნდა ასახოს; იქვე, თითქოს სასხვათაშორისოდ, თან როგორც სავსებით ბუნებრივი საჭიროება, ისიცაა ნათქვამი, რომ გაზეთს ევალეა გააშუქოს კავკასიის ისტორია, რომლებიც მოგონებებსა და არქივებშია შემონახული. აქ გვხვდება „დმიტრი პეტროვიჩის“ (ფურცელადის) სახელზე რუსეთიდან გამოგზავნილი მითითებები, რჩევები. ჩანს, ამ და სხვა მითითებათა საფუძველზე კომიტეტში თავადვე შეუდგენიათ სახელმძღვანელო გეგმა, რომლის თანახმად, „კავკაზს“ ევალეა ასახოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები; გეგმის ავტორი სწორედ აქ დასძენს, რომ გაზეთის მოვადეობაში შედის შეეხოს ეთნოგრაფიას, კუდგუხას, კავკასიის ისტორიას, ეკონომიკას, დაეყიდნოს აჩქივების მონაცემებს, ხანში შესუდთა მოგონებებს... არქივში შემორჩენილია კომიტეტში დაწერილი სახელმძღვანელოს ის ხელნაწერი, რომელიც შემდგომში ალბათ დაზუსტდა; ფურცელი გადასათეთრებელია, რამდენიმე ადგილი წითელი ფანქრითაა გადახაზული; მაგალითად, წაშრილია სიტყვები – „Русское обозрение, Хроника русской жизни... корреспонденции из Петербурга“, ერთგან კი წითელი ფანქრით ჩამატებულია: „сочинения преимущественно о Кавказе“ (480, 1, 258); შესწორება კომიტეტის მაღალი თანამდებობის პიხის მიერ იქნება გაკეთებული, სრულიად ნათელია, რომ, იმპერიისაზე მეტად, ეხოვნური პიობდებები აინგეხებს ამ საბუთის დამწეხს (აჩა მახტო ქაითური, აჩამედ ზოგადად – კავკასიუხი; უნდა, ხომ კავკასიის ხადბთა ისტორია აისახოს, ოლონდ – ობიექტუხი), ფაქტობიხვად აჩაა საეჭვო, დიმიტრი ფუხცედადის მიერ ხომ იქნება გეგმაში ცვლილებები შეტანილი და, საეხთოდ, ის უნდა იყოს გეგმის ავტორი (მთავაჩ სამმახთვედროში საცენზუხო კომიტეტიდან გაგზავნიდ ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს თავმჯდომაჩე დამტკიცებდა); გავიმეორებ ზემოთქმულს, – იმპერიის სამსახურში დგას დიმიტრი ფურცელადე, „ხარკის გადასახდელად“ და დიპლომატიის საჭიროებიდან გამომდინარე კარგ სიტყვებს არ დაიშურებს იმპერიისთვის, მაგრამ ეროვნულ საქმეებსაც რომ ემსახურებიან ისიცა და მისი თანამდგომებიც, ეს უეჭველია და მათი დამსახურების დავინწყება არ ეგების.

მასალების გაცნობა ცხადჰყოფს, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და მანამდე განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ამ დროს უფრო აქტიურობენ საბაჟოები, რომლებიც წიგნების, ბროშურების, წერილების სიებს უგზავნიან კომიტეტს და სთხოვენ მას, გაარკვიოს, რა არის მისაღები და რა – ასაკრძალავი. სიები იმდენად დიდია, რომ მისი რაობის სწრაფად გარკვევა შეუძლებელია და კომიტეტიდან, ჩანს, დროის მოსაგებად საბაჟოებს პასუხობენ, რომ მიიღეს ეს სიები. ცენზორები დასაბეჭდად გამიზნული მასალის რეცენზირებისას გაცრული და ძნელად წასაკითხი ხელით წერენ (შესაძლოა, – იმიტომ, რათა მომჩივანი ვერ გაერკვეს, რა არ მოსწონს მასალაში ცენზორს); ჩანს, ბევრი რამ ფორმალურად მოწმდება, მაგრამ რევოლუციური ლიტერატურის მიმართ კი განსაკუთრებული სიმკაცრეა გამოჩენილი; ხაზგასმით უნდა ითქვას: აჯანყების, დაუმორჩილებლობის შიში ძლიერი რომ არის ქვეყანაში, საცენზურო კომიტეტის დოკუმენტებიდან კარგად ჩანს.

ხსენებული წლების მასალა ძალიან დიდია, დასახელებულ სტატიაში (კუჭუხიძე 2022-2023) არაერთ საკითხზე მქონდა მსჯელობა, ქვემოთ 70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის კიდევ ზოგიერთ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას და უფრო სრულყოფილად კი სხვა დროს ვეცდებით საუბარს.

კომიტეტში ამ ხანების დოკუმენტთა შორის გვხვდება მთავარი სამმართველოს ბრძანება, რომლის თანახმად, მაღაზიებში გასაყიდად შეპარებული ლიტერატურა უნდა ამოიღონ (480, 1, 322); იტყობინებიან, რომ იგზავნება სია დრამატული ნაწარმოებებისა (სია არაა შემონახული); ამოსაღებადაა მიჩნეული გერმანულიდან თარგმნილი წიგნი – „Очерки и картины Иоганна Шерра, Типография Родзевича; Москва, 1877), მავნე („вредная“) წიგნადაა იგი სახელდებული; ამავე საქალაქში არის საბუთი, რომლითაც გუბერნატორს ატყობინებენ (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, – „შეახსენებენ“), რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1877 წლის ნოემბრის განკარგულებით ჯარისკაცთა დისლოკაციის შესახებ რაიმე ცნობის დაბეჭდვა აკრძალულია და რომ ეს ბრძანება ისეთ

გამოცემებსაც ეხება, როგორებიცაა “Правительственный Вестник” და “Русский Инвалид” (480, 1, 322); აქვე დაცულია ცნობა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ კომიტეტში საგანგებო მსჯელობა გაუმართავთ გაზეთ “Голос”-ის 96-ე ნომერში გამოქვეყნებული იმ განცხადების გამო, რომელიც „ანა მიხაილოვნას“ გამოუქვეყნებია და რომელშიც გამოუთქვამს მზადყოფნა, ბინაზე მიეღო მხატვრები (დასახელებულია მისამართიც; ჩანს, სხდომის დროს დაინტერესდნენ მისამართით) და „ნატურშიცობა“ გაენია ხელოვანთათვის (მიუჩნევიათ, რომ შიშვლად პოზირება იგულისხმა ანა მიხალოვნამ და ხელოვნების მსახურება ნაკლებად აინტერესებდა); გადაუწყვეტიათ, რომ დისციპლინისა და ზნეობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე (“в интересах дисциплины и нравственности”) მსგავსი განცხადებების გამოქვეყნება აკრძალათ. კომიტეტიდან გუბერნატორს სწერენ, რომ გაზეთმა “Вестник Народной Помощи”-მ დიდი როლი უნდა შეასრულოს ჯარისა და ხალხის დაახლოებაში, დაჭრილთა დახმარებისაკენ უნდა მოუწოდოს ხალხს და მცდარი ინფორმაცია არ გამოაქვეყნოს; გუბერნატორს ატყობინებენ, რომ საჭიროა დაიბეჭდოს გაზეთი „Летучий Военный Листок“, რომელშიც დაჭრილთა საჭიროებებზე მოთავსდება ცნობები. საზღვარგარეთის პრესიდან მასალის გადაბეჭდვის დროს განსაკუთრებული სიმკაცრეა სახელმწიფოში დაწესებული (დოლიძე 2022-2023).



3. ხელნაწერი ალალო თუთაევის პიესიდან

არქივში არის მასალა, რომელშიც კავკასიის საცენზურო კომიტეტს 1875 წელს მთავარი სამმართველოდან ატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით იქ არსებული ერთ-ერთი სტამბის დახურვა გადაწყდა, რომ სტამბის მეპატრონე იაკობ როზენბერგი მუშაობის უფლების გაგრძელებას ითხოვს (წერია ასე: „по просьбе еврея Якова Розенберга“) და მთავარი სამმართველო არ მიიჩნევს საჭიროდ ამ საკითხში ჩარევას (რადგან ეროვნებაზეა ყურადღება გამახვილებული, ჩანს, ნაციონალურ საკითხთან ყოფილა რომელიღაც პრობლემა დაკავშირებული; – 480, 1, 289); როგორც 1877 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, ფოთი-ტფილისის რკინიგზის სამმართველო იტყობინება, რომ ამიერიდან შეასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1877 წლის 3 მაისის განკარგულებას და სამსახურებრივ კორესპონდენციას გადაუგზავნის ხოლმე კავკასიის საცენზურო კომიტეტს (480, 1, 299); სხვა დოკუმენტში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ კონსტანტინეპოლში 1876 წელს

ერთ სპარსულენოვან გაზეთში დაწერილა, საბერძნეთში რუსეთის გემის გამოჩენას სიხარულით რომ შეხვდა მოსახლეობა (480, 1, 380); 1879 წელს მირზა მუსტაფა ახუნდოვი, რომელიც, ჩანს, არაა კომიტეტის ოფიციალური თანამშრომელი და აზრის გამოთქმას კი სთხოვენ მას, იწონებს ფაქტს, რომ ტფილისის ერთ-ერთ გაზეთში (მოხსენიებულია როგორც – татарская газета “Зия”, თურქულენოვანი გაზეთი იგულისხმება) სპარსი უპოვარი მოსახლეობისთვის საავადმყოფოს გახსნის შესახებ იტყობინებიან, მაგრამ უარყოფითადაა შეფასებული სტატია, რომელშიც ავტორი ცუდად ახასიათებს ერთ-ერთი ხალხის წარმომადგენლებს, – წერს, რომ ალკოჰოლს ეტანებიან ისინი და მთვრალ მდგომარეობაში მყოფნი სხვადასხვა დანაშაულს სჩადიან (480, 1, 388).

არქივში დაცული მხატვრული ლიტერატურული ძეგლებიდან ფართო საზოგადოებისათვის უამრავი რამ არის უცნობი, ესენია: გამოუქვეყნებელი პოემა, – წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი, ქართული და რუსულენოვანი პიესების ხელნაწერები (უმეტესი მათგანის გამოსაქვეყნებლად დაწყებულია მუშაობა); აქ არის: ა. ყაზბეგის, დ. ერისთავის,

აღალო თუთაევის (თუთაშვილი), კ. ყიფიანის, დ. მესხის, გ. კალანტაროვის, გ. კლიმოვსკის, ნ. აშენოვის, ზ. ოსეტროვის, ა. სტაპენიანის და სხვათა პიესები, თარგმანები (480, 1, 412; 480, 1, 439; 480, 1, 441; 480, 1, 442; 480, 1, 443; 480, 1, 444, 480, 1, 538; 480, 1, 539; 480, 1, 540; 480, 1, 542; 480, 1, 542, 480, 1, 543; 480, 1, 480, 1, 545; 480; 1, 546), რომელთაგან ზოგი აუკრძალავთ, ან დაბეჭდვისათვის გაუმზადებიათ, გაუგზავნიათ კომიტეტისთვის, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დაბეჭდილა ისინი; ზოგი მხოლოდ დადგმის ნებართვისთვისაა გაგზავნილი. ვეცდებით, ცალკე წერილებში შევხებით ხსენებულ საკითხებს, ამჯერად კი მხოლოდ ერთს დავძენ:

გავრცელებულია აზრი, რომ ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც დრამატურგი, არ იყო ძლიერი მწერალი; ვფიქრობ, ამ შეხედულებას გადახედვას აქვს აწიროება; მაგალითად, არქივში მივაგენით უცნობ პიესებს, რომელთა შორის ვოდევილებიცაა (იმხანად კომედიას და, კერძოდ, ვოდევილს უფრო აქვს თავისუფლება მინიჭებული, თუმცა ტრაგედიებიც იგზავნება კომიტეტში), ერთ-ერთი პიესა, რომელიც აკია (და არა აკაკია, როგორც ჩვეულებრივ წერდა ხოლმე ყაზბეგი) მოჩუბაჰიძის ფსევდონიმითაა დაწერილი და რომელსაც „ყველაფერი ბედზედ არის“ ჰქვია (ამ პიესასაც მალე იხილავს მკითხველი), ჩვეულებრივი ვოდევილია და, თუ მას ისე წავიკითხავთ, რომ ხსენებული ჟანრის სპეციფიკას არ გავითვალისწინებთ, გაუგებარი დარჩება ნაწარმოების ღირსება და – ისიც, რომ ამ ჟანრის სპეციფიკას კარგად იცნობს ყაზბეგი და ნიჭიერი დრამატურგიც არის; პიესის დასაწყისში ვხედავთ კაცს, რომელიც რაღაცას წერს, შემდეგ მონოლოგს იწყებს იგი: „უნდა გითხრათ, რომ მე ახალი შეხედულების კაცი ვარ... დიახ, ნამდვილად! ამის მიზეზით მე ჩემს ცოლს ნებას ვაძლევ, რაც უნდა, ისა ქნას და სადაც უნდა, იქ იაროს... მე არა ვარ ეჭვიანი!“

როცა პერსონაჟის მეტყველებაში შეიმჩნევა თუნდ ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც წინადადებაში ბუნებრივ სახეს ვერ ღებულობს, რადგან კარგად ჩანს, რომ მხოლოდ იმისთვისაა დაწერილი, რათა მკითხველსა თუ მაყურებელს პერსონაჟის ხასიათის ან პიესის ამ ეპიზოდის შინაარსის გაგება გაუადვილოს, თუ სიტყვა ან წინადადება პერსონაჟის მეტყველებას ხელოვნურ სახეს აძლევს და შესამჩნევი ხდება, მხოლოდ მაყურებლის გასაგონად რომ იწერება (ზოგჯერ ყოვედგვაჰი მხატვრული დაგვიჩთვის გაჩეშე ხმამაღლა რომ დააწყებინებენ ხოლმე პიესის ავტორები ფიქრებს პერსონაჟს, რათა ადვილად გააგებინონ მაყურებელს ამ პერსონაჟის ჩანაფიქრი და შინაგანი განწყობილება, მსგავს მოვლენას ვგულისხმობ), ცხადია, ეს მწერლის უნიჭობაზე მეტყველებს; მაგრამ ვოდევილში დასაშვებია ამგვარი სტილი; იქ პერსონაჟს თავისუფლად შეუძლია, არ დამალოს, მხოლოდ მაყურებლისთვის გასაგონად რომ ლაპარაკობს, შეუძლია უშალოდ მაყურებელს მიმართოს ისეთი სტილით, რაც, ვთქვათ, დრამაში დრამატურგის უნიჭობად წარმოდგება; ყაზბეგი ამ და სხვა შემთხვევებში სწორედ ვოდევილის სპეციფიკას ითვალისწინებს და ასე აშარჟებს იმდროინდელ „თანამედროვე“ ადამიანებს, რომლებისთვისაც ზნეობას ფასი დაუკარგავს.

მასალების შესწავლა ცხადჰყოფს, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კომიტეტში სულ უფრო აქტიურდება და მრავალმხრივ მკაცრდება მუშაობა, ეროვნული და რევოლუციური იდეები ხშირად ერთმანეთს უახლოვდება და ესეც უნდა იყოს ამ სიმკაცრის გაძლიერებისა და ეროვნული სულისკვეთების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესუსტების მიზეზი. 80-იანი წლების საცენზურო კომიტეტის მუშაობის შესახებ ცალკე ნაშრომების დაწერაა საჭირო, ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას:

კომიტეტში 1881 წელს გაგზავნილ დოკუმენტებს შორის ინახება საქალაქო (480, 1, 489), რომლის გარეკანზეც ვკითხულობთ: „Литературные лекции о Борсовой коже Ш. Пуставели“, შემდეგ ასეა აღნიშნული: „автор не указан“ (ნახულია 2023 წლის 15 მაისს); ეს აკაკი წერეთლის ხელნაწერია; ერთ-ერთ ფურცელზე, როგორც ჩანს, მოგვიანებით გაკეთებული მინაწერიცაა – „აკაკი წიქეთლის ავტოგრაფია“.


არქივში ლექციის პირველი ნაწილია შემონახული. ლექცია 1881 წლის მარტში დაიწერა და „აკაკის კრებულის“ 1898 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში გამოქვეყნდა; აკაკიმ იგი ტფილისში, არწრუნის თეატრში, 1881 წლის 19 მარტს წაიკითხა და ლექციების ანგარიში



„დროებაში“ დაბეჭდა (1881, № 10); ეკატერინე გაბაშვილი იხსენებს, რომ ეს ლექციები 1887 წელს ასევე ტფილისში რუსულ ენაზეც წაიკითხა აკაკიმ („ლიტერატურული საქართველო“, 1938, №10), რასაც საქვეყნოდ ცნობილი პოლემიკა მოჰყვა; ლექციები გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ წერილში – „აკაკი წერეთელი და ვეფხის-ტყაოსანი“ („ივერია“, 1887, №1275, 76, 77), – არ დაეთანხმა ავტორს, რომლის თანახმად, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქართველ ტომთა წარმომადგენელი არიან, რასაც აკაკის პოლემიკური პასუხები მოჰყვა ჯერ ცალკე ბროშურაში – „რამდენიმე სიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხის-ტყაოსნის გამო“ (1887, ზ. ქიქინაძის გამოცემა), შემდეგ – ზემოხსენებულ ჟურნალ „აკაკის კრებულში“ (1898, №5, 6) (წერეთელი 1960: 411-412).

აკაკის ტექსტს ამჯერად უმთავრესად დავუკვირდებით როგორც საცენზურო გაგზავნილ ვაჩიანგს: საინტერესოა, რა თავისებურებით გამოირჩევა იგი, მოჩანს თუ არა სადმე ცენზორის მიერ წითელი ხაზები გასმული, რაც იმის აღსანიშნავად კეთდებოდა, რომ მიუღებელია წინადადებაში რაღაც, არის თუ არა ცენზორის მინაწერი; საერთოდ, როგორი განწყობილებით დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს ფურცელი (წარმოდგენილ სტატიას ქვემოთ ავტორის ხელნაწერთა ფრაგმენტებსაც ვურთავ).

ხელნაწერი სამუშაო ფურცლების შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორს არ გადაუთეთრებია იგი. შესაძლოა, ლექციის წაკითხვის შემდეგ, მით უმეტეს, რომ დაბეჭდვას აპირებდა და ევალდებოდა, კომიტეტიდან მოითხოვეს ამ გახმაურებული ლექციის გაგზავნა და შეასრულა აკაკიმ ეს მოვალეობა, თუმც დიდი მონდომება რომ არ გამოუჩენია, ამაზე ავტორისეული გადახაზულობებითა და ჩამატებებით სავსე ფურცლის გაგზავნის ფაქტი მიაჩნებოდა. ცენზორის მიერ ფურცელზე წითელი ხაზი არსად ჩანს. ეტყობა, მკაცრად არ განუხილავთ ლექცია. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ იმ თვალსაზრისით არც შეუმომნებიათ იგი, რისი დაბეჭდვა შეიძლებოდა და რისი – არა, იქნებ ძირითადად იმით დაინტერესდნენ, რამ გამოიწვია აჟიოტაჟი, რატომ აკრიტიკებდა ქართველებს (ცხადია, – სიყვარულით) მათი დიდი პოეტი, რატომ დაესხნენ მას თანამემამულეები თავს. საუბარმა ქართველთა უარყოფით თვისებებზე, რაც დრო-ჟამის მიერ მოტანილად მიაჩნია აკაკის, შესაძლოა, ინტერესი გამოიწვია კომიტეტში. ეს ლექცია ერის ხასიათის შესწავლაშიც მიეხმარებოდა იმპერიის მესვეურებს (სხვა საკითხია, რამდენად სწორია აკაკისეული ანალიზი).



4. აკაკი წერეთლის ხელნაწერი

აკაკი წერეთლის მუშაობის პროცესი შეიძლება გაცოცხლდეს ჩვენ თვალწინ ამ ხელნაწერზე დაკვირვებისას და საცენზურო კომიტეტის მიმართ მისი დამოკიდებულების რაგვარობაც გამოჩნდეს კიდევ ერთხელ; მრავალმხრივია აკაკის ეს ტექსტი საყურადღებო და არაერთ შემთხვევაში სხვადასხვა კუთხიდანაც შევხედავ მას.

ცნობილია, რომ ლექციას აკაკი წერეთელი იწყებს „იგავ-არაკით“, რომელშიც ყვება ამბავს ერთი „ისპანიელი“ მონადირისა, რომელმაც ტყის მცველს ღამის გათევა სთხოვა და, როცა ამ მცველმა სახელი ჰკითხა, იმდენი

სახელი წარმოთქვა მონადირემ, ტყის მცველს ეგონა, ბევრი სტუმარი ეწვია და ამდენი ადგილი კი არ ჰქონდა ქოხში; ეს ამბავი საქართველოს ბედს აგონებს აკაკის, – მის სამშობლოსაც, ამ მონადირის მსგავსად, ბევრი სახელი ჰქვია, – ხან იბერიას ეძახიან მას, ხან გეორგიასა და სხვასა და სხვას და ამიტომ არ იცნობს მსოფლიო; ტექსტის კითხვისას,

მის დასაწყის ნაწილში, აკაკი წერეთლის ის სერიოზული და, ამავდროულად, კვიმატი განწყობილებაც იგრძნობა, წერის დროს რომ ჰქონია დაუფლებული; დაბეჭდილ ტექსტში ვკითხულობთ: „*გყის მცვედმა ჰკითხა – ვინ ხაიო? და მონადიხემ უპასუხა: მე ვაი... ღონ-ხო-სე-მახია-დე-გხავანოს-დე-ცესპოდოს დე-კოხდოვა-მაჰკიზ-დი-გხოს-მონგეს და სხვა. ეთი სიგყვით ოხმოც სახედამდი ჩამოუთვარა*“ (წერეთელი 1960: 66).

ხელნაწერში შემდეგი იკითხება: „*მონადიხემ უპასუხა: მე ვაი პეგხე – პავდე – სვიმეონ – იზანე – ადოიზ დომინიკო – უხსანცისკი (? – გ.კ.) და სხვ. და სხვა*“. სახელები გამოუგონია აკაკის, შემდეგ შავი მელნით, როგორც ჩანს, – უკვე დაწერილ ტექსტში, წაუშლია ეს სახელები და მათ ზემოთ დაუწერია: „*მე ვაი... ღონ ხოსე – მახია – დე დოპეზ – დე გხავანოს – დე ცესპოდოს – დე კოხდოვა – მაჰკიზ დი გხოს – მონგეს და სხვ. ეთის სიგყვით ოხმოც სახედამდი ჩამოუთვარა*“. ალბათ გაიაზრა, რომ მოციქულთა სახელების ხსენება სახუმარო კონტექსტისთვის არ იქნებოდა შესაფერისი და სხვა სახელები ჩამოუწერია მონადირისა.

ხელნაწერისა და დაბეჭდილი ტექსტების მონაცემთა შესახებ ამა თუ იმ ასპექტიდან მსჯელობა ცალკე ნაშრომებშია საჭირო, ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას: „*თუჰქ-სედჟუკნი ახა ეთ გზის მოზვიხთებუდან საქაჩთვედო-ზედ ჩინგის ყაენების, დანგ თემუხების და მათის მძვინვახე ნოინების წინამძღობდობით*“.

დაბეჭდილ ტექსტშია – „წინამძღობდობით“ და არა – „წინამძღობლობით“; სიტყვა „თურქნის“ შემდეგ დაწერილი მძიმე წაუშლია და ტირე (არა – დეფისი) დაუწერია აკაკის; ძნელია დაზუსტებით თქმა, „ჩინგის ყაენების“ წერია თუ – „ჩინგისყაენების“; სიტყვა „თემურ“ ასევე წაუშლია და დაუწერია: „ლანგ თემურ“; პრომეთეს ახსენებს, – წერს, რომ ის იყო „ისეთივე ზვიადი და შუპოვარი, როგორც თვით კავკასიის ქედი“ და ვხედავთ, რომ სიტყვა „ზვიადი“ შემდეგაა ჩამატებული; ერთგან დაუწერია „პრომეთეოსს გვიხატავს საქართველო“, შემდეგ „საქართველო“ წაუშლია, დაუმატებია: „კავკასიის ქედს ფეხთით გაშლილი, ტანჯული მრავალ გვარად და წამებული“ და ამის შემდეგ თავიდან დაუწერია სიტყვა – „საქართველო“; ერთგან თუ „პრომეთეოსს“ წერს, სხვა შემთხვევაში „პრომეთეოსისთვის“ იკითხება („არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც როგორც შავ ყორანს პრომეთეოსისთვის, საქართველოსთვის არ ჩაევლოს გულ-ღვიძლში ხელი“); ტექსტი ასეთი სახით დაუბეჭდავს აკაკის: „იმ ისპანიელი მონადირისა არ იყოს, ერთი სახელწოდება თავის დღეში არა ჰქონია. ეძახდნენ: მოსოხი, მესხი, იმერი, ამერი, ივერია, კოლხიდა, ალბანია, გეორგია, გრუზია, კარდოანი, თობალი, ხალიბი, მაკრონი, ქართლი და სხვ. და სხვ.“ (წერეთელი 1960: 68);

ხელნაწერში ვკითხულობთ:

ერთი წოდება თავის დღეში არა ჰქონია... ამას ეძახდნენ: გოგი (ეს სიტყვა გადაშლილია; – გ. კ.), მოსოხი, მესხი, იმერი, ამერი, ივერია (სიტყვა „ივერია“ წინადადების ზემოთ არის ჩამატებული; წინადადების თავზე სიტყვა „იბერიაც“ ჩაუმატებია და მერე ორი ხაზით გადაუშლია იგი; – გ. კ.), კოლხიდა, ალბანია, გეორგია, გრუზია, ქართლი (სიტყვა „ქართლი“ წაუშლია; – გ. კ.), კარდანი, თობალი, ხალიბი, მაკრონი (ეს ბოლოხსენებული ოთხი სიტყვა წინადადების ზემოთ არის ჩამატებული; – გ. კ.) და სხვ. და სხვ.


ამჯერად „ქართლთან“ და „ალბანიასთან“ დაკავშირებული საკითხები იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს; „ქართლი“, შესაძლოა, იმიტომ წაშალა, რომ ეს საკუთრივ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ლექსემაა და უცხოელები ნაკლებად იცნობდნენ ამ სახელით აღმოსავლეთ საქართველოს; „ალბანია“ რომ ქართლი არ იყო, ეს, ცხადია, იცოდა აკაკი წერეთელმა, – საფიქრებელია, რომ, როგორც მას მიაჩნია, უცხოურ წყაროებში ქართლი და ალბანეთი ზოგჯერ ერთმანეთშია არეული და ამიტომ ახსენა ეს სიტყვა.

ისევე, როგორც ლექსში – „ჩანგური“, საქართველოს „ჩანგურის“ სიმებს უდარებს აკაკი („ჩანგურთან“ ერთად „ჩონგურსაც“ ახსენებს, ასეა დაბეჭდილ ტექსტშიც): „როდესაც ეს სიმები ცალ-ცალკე, თავ-თავის საკუთარ ხმებითა ჟღერენ ერთსა და იმავე დროს შეერთებულად, შეთანხმებულად, მაშინ მოისმის სასიამო გარმონიული სამუსიკო ძლიერი რამ ხმა“ (დაბეჭდილ ტექსტშია: „საკუთარი ხმითა ჟღერენ ერთსა და იმევე დროს,

შეერთებულათ, შეთანხმებულათ“; – წერეთელი 1960: 71).

ხელნაწერში ვკითხულობთ: „როგორც ჩონგურს სიმები, ისე საქართველოს სხვა და სხვა მხარეები, სხვა და სხვა კუთხეები აქვს მიბმული: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, ლაზისტანი“. ამის შემდეგ დაუწერია „და სხვა და სხვ.“, მაგრამ, ეტყობა, უფრო მეტი მხარის ხსენების სურვილი მოეძალა დუტუ მეგრელთან დაცული თანამიმდევრობით სახელთა ჩამოთვლისას, წაუშლია სიტყვები: „და სხვა და სხვ.“ და საქართველოს ორი კუთხეც უხსენებია: „ფშავი, ხევსური და სხვ. და სხვ.“; შემდეგ ასე განაგრძობს აკაკი: „თვითეულს ამ მხარეთაგანს სხვა და სხვა ბუნების გავლენით, თავის საკუთარი ჩვეულება, ზნე და საკუთარი ცხოვრების პირობაები აქვს. კერძოთ, ცალ-ცალკე ძალასა და მნიშვნელობას მოკლებული“ (ჯერ დაუწერია სიტყვა „მოკლებულად“, რომელიც წაუშლია; „მოკლებული“-ს ნაცვლად წერებულა „მოკლებულია“ და ბოლოკიდური „ა“ წაუშლია; დაბეჭდილ ტექსტშია „მოკლებულნი“; წერია „პირობები“ (წერეთელი 1960: 71).

ხელნაწერში, როგორც ვნახეთ, – „პირობაები“ იკითხება. ხელნაწერის ავტორს სხვაც,



5. აკაკი წერეთლის ხელნაწერი

არაერთი, შესწორება აქვს გაკეთებული: „არ შემიძლია გაკვრით არ მოვიხსენიო, რომ საქართველოს ძველად ჭირში გამაგრება და სრულიად აღმოუფხვრელობა ამ სხვადასხვა ფერობის ბრალი იყო“. სიტყვები: „ძველად ჭირში გამაგრება“ შემდეგ არის მიწერილი იმ სიტყვების თავზე, რომლებიც გადაუშლია აკაკის: – „ძველი ძლიერება“. შემდეგ ვკითხულობთ: „დაბლა ბარში სიცხე უდგათ, მალლა მთაშიდ ყინვა იყო“. სიტყვა „ბარში“ ჩამატებულია; ეწერა „ზამთარი ჰქონდათ“, რაც წაუშლია აკაკის; დაბეჭდილ ტექსტშია: „მალლა, მთაში ყინვა იყო“ (წერეთელი 1960:72).

როგორც ითქვა, მუშაობის

პროცესი ცოცხლდება ჩვენ თვალწინ აკაკი წერეთლისა და ამითაც არის საინტერესო ხელნაწერების მონაცემთა დეტალური გაცნობა; ხსენებულ საკითხებზე ამჯერად ვრცლად აღარ ვისაუბრებ, ერთ გარემოებაზე კი, ვფიქრობ, საჭიროა ყურადღების გამოკვეთა:

აკაკი, ისევე, როგორც ლექსში – „ავადმყოფი“, წერს, რომ საქართველოს სძინავს, რომ არ მომკვდარა და მხოლოდ ისვენებს; როგორც ჩანს, ზეპირად ახსოვს და ოდნავი სახეცვლილებით მოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები ლექსიდან – „არ უკიჟინო სატრფოო“ („მინდა, რომ მზე ვიყო – ქვეყნის მნათობი და ქვეყნის განმაცხოვრებელი, საღამოს მითომ ჩავიდეო, რომ შევისვენო, შევასვენო ბუნება და მეორე დღეს უფრო ძლიერად ამოვიდე და უკეთ გავანათლო ქვეყანა“ (დაბეჭდილ ტექსტშია – „გავანათო ქვეყანაო“); ამ ადგილებში ყურადღებას იპყრობს ლექციის ეს ადგილი, რომელიც ამგვარად არის გამოქვეყნებული: „ამ უკანასკნელი საუკუნის დასაწყისს დაიძინა საქართველომ, მაგრამ ეს ძილი არის სამკურნალო, დროებითი შესვენება“ (წერეთელი 1960: 72). ხელნაწერიდან ვხედავთ, რომ სიტყვები – „ამ უკანასკნელი საუკუნის დასაწყისს“ მერე ჩაუმატებია აკაკის, ისინი მის მიერ წაშლილი ამ გადახაზული სიტყვების თავზეა დაწერილი: „ეს ოთხმოცი წელიწადია რაც რუსეთის წყალობით დაიძინა საქართველომ, მაგრამ ეს ძილი არის სამკურნალო, დროებითი შესვენება“ (გვ. 3ა).

ეს შესწორება, განსხვავებით ესპანელი მონადირის სახელთა ჩამოთვლისას გაკეთებულისა, შავი მელნით არაა შეტანილი, წერის პროცესში, ან დაწერიდან ძალზე ახლო პერიოდში, გაკეთებულს ჰგავს; აქ გამოკვეთილად უნდა ითქვას: – ვეხ ვიგყვი, რომ ცენზურის შიშით ასწოხებს ამ ადგილას ჩაიმეს აკაკი, – ცენზურითა შიში რომ ჰქონდეს, ადრე ისე დაწეხდა, რომ ახც წახმოჩენიდიყო შესწოხებები. შიში რომ ძალიან არ აწუხებს, ეს, როგორც ზემოთაც ითქვა, იქიდანაც ჩანს, გადაუთეთრებელი, სამუშაო ფურცლები რომ არის გაგზავნილი კომიტეტში.

საინტერესოა ისიც, ძილის შესახებ სხვა ცვლილებებიც რომ გაუკეთებია პოეტს: „დღემდის ეძინა“ („ეძინა“ შემდეგაა ჩამატებული), „მოსვენებაში იყო, ეძინა“ (აქ წაუშლია ბოლოსხენებული სიტყვა – „ეძინა“), ზოგიერთებმა ეს ძიდი სიკვდილად მიიღეს, ხედი აიღეს იმისგან, უახს ყვეს ახა თუ მისი წახსუდი და მომავადი, – მისი ენაც კი დაივიწყეს. მაგჩამ დღეს დროთა ვითაჩების შემწეობის ვშ (ძნელი სათქმელია, რად წერია „ვშ“, – რა სიტყვის დაწერას აპირებდა აკაკი; – გ. კ.) ახლად იღვიძებს საქართველოს ყოველი კუთხე“ (ამ ადგილას, შესაძლოა, სიტყვაა გამორჩენილი და უნდა ეწეროს „შემწეობის ძალით“, ან – „შემწეობით“, ან – რაიმე სხვა... დაბეჭდილ ტექსტშია „შემწეობით ახლად იღვიძებს“ (წერეთელი 1960: 72); – ენათმეცნიერების კუთხითაც არის საინტერესო აკაკის ხელნაწერისა და დაბეჭდილი ვარიანტის შედარება, – საყურადღებოა, რომ, როგორც ეტყობა, „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნების დროს შეიცვალა სიტყვა ასეთი სახით („ახლად“), ხელნაწერში კი (არა – ყველგან) ვითაჩებითი ბუნვის იმ ნიშანს ხმაიხობს აკაკი, დღეს ნოხმად რომ ახის მიჩნეული.


რაც შეეხება ამ წლების ზოგიერთ სხვა დოკუმენტებს:

აკაკასიის საცენზურო კომიტეტის არქივში ინახება დოკუმენტები, რომელიც ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონეა; ეს არის სატირული ჟურნალი „გუსლის“ აკრძალული მასალები (480, 1, 498). როგორც ზემოთ ითქვა, „გუსლი“ ტფილისში 1881-1882 წლებში გამოდიოდა, რედაქტორი იყო რუსი პოეტი და მთარგმნელი ივან თხორჟევსკი (1843-1910). XIX საუკუნის 70-იან წლებში იგი მეულლესთან ერთად ტფილისში დასახლდა და გამოსცემდა სატირულ ჟურნალს – „ფალანგა“, რომელიც 1881 წელს აკრძალეს და თხორჟევსკიმ იმავე წელს დააარსა რუსულენოვანი ჟურნალი – „გუსლი“, რომლის აკრძალვის შემდეგ რედაქტორობდა სხვა ჟურნალს – „Аргонавт“; არქივში შემონახულია „გუსლის“ რედაქციის მიერ გამოსაცემად უკვე გამზადებული ამონაბეჭდები (ეტყობა, რომ კიდევ ერთხელ შესატანი კორექტურული შესწორებებილა სჭირდებოდა მას), რომელიც აუკრძალავთ. რედაქციასთან თანამშრომლებდნენ: ნიკო ნიკოლაძე, დავით ერისთავი.

ჟურნალში გაშარჟებულია განათლების სისტემა, ჩინოვნიკურ სამყაროში გამეფებული ცხოვრების წესი, სიღარიბე; რევოლუციის მიმართ სიმპათიაშიც დებენ ჟურნალს ბრალს; ხალასი იუმორია მასში და სერიოზული განწყობაც გაილევებს ხოლმე. როგორც ვამჩნევთ, იმპერია აღმოსავლური დესპოტური ტიპის სახელმწიფოდაა წარმოჩენილი და ძლიერი ევროპეიზმის მოსურნეა რედაქცია (ეს უძრაობა აქ წარმოდგენილ იმ აკრძალულ მრავალფიგურიან



6. ილუსტრაცია ჟურნალ „გუსლიში“ დასაბეჭდად გამზადებული და ცენზურის მიერ აკრძალული ერთ-ერთი ილუსტრაცია



7. „გუსლიში“ დასაბეჭდად გამზადებული და აკრძალული ლექსი

ნახატშიცაა წარმოჩენილი, რომელსაც ახლავს წარწერები: “Замедление свободного движения” / „თავისუფალი მოძრაობის შენელება“, “Величественный покой / Начало движения” – „დიდებული სიმშვიდე / მოძრაობის დასაწყისი“); საქალაქო ინახება ერთი გვერდი ფელეტონისა, რომელშიც იწყება თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ინატრა ერთმა „მგრძობიარე ჩინოვნიკმა“, ახალი უფროსის მიღება და ძველის გაცილება ერთდროულად რომ ხდებოდა და ამ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, „ღრაბროვან შეხედულებას“ იმით ხსნის, რომ გაცილების გამო „ცრემლთა ღვრა“ და შეხვედრისგან გამონვეული „ალტაცება“ ერთდროულად იქნება გამოხატული და დროცა და ენერჯიაც ნაკლები დაიხარჯება; თან, ახალი უფროსი გაიგებს, ტირილი კარგად რომ ეხერხებათ თანამშრომლებს და სამსახურის მომავალი დატოვების შიში იმდენად არ დატანჯავს... სატირულ პიესაში „რუსლანის შეხვედრა თავთან“, რომელიც, ცხადია, პუშკინის „რუსლან და ლუდმილახე“ რემინისცენციითაა დაწერილი, დახატულია მთვარით განათებული მინდორი, რომელზეც აღმოსავლეთისაკენ გადახრილი ფოთლები მოჩანს (“листы растущие в восточном направлении”, ომონიმური მნიშვნელობა მიუციათ აქ სიტყვისთვის “листы”, – მცენარის ფოთლებსაც გულისხმობს ამ წინადადებაში სიტყვის ასეთი ფორმა და – ქალაქის ფურცლებსაც) და შემდეგ ვხედავთ, რომ ლაპარაკია გაზეთებზე: “Московские Ведомости”, “Рус. Киевлянин”, “Минута” და სხვ.); მინდორში ადამიანის უზარმაზარი თავიანთამართული (ფრჩხილებში ახსნილია, რომ ეს გახლავთ „ლიტერატურული თავი“), რომელზედაც ბუები, ზარნაშორები, ვამპირები და სხვანი, მსგავსნი, დაბუდებულან; მალე შემოდის გმირი რუსლანი და უეცრად სიმღერას იწყებს იგი და სიმღერის სიტყვებიდან ცხადი ხდება, აღმოსავლური უმოქმედობა (“нега”), არაფრის კეთების სურვილი და უდაბნოსეული სიზანტე რომ გამეფებულა ამ მიძინებულ გარემოში: “Я внимаю больше восточной неги верный раб” (აქვე უნდა ითქვას, – რუსული არქაიზმები, სასაუბრო მეტყველება და სიტყვათქმნადობანიც გვხვდება ამ ტექსტებში); მერე მგზნებარედ ამას შესძახებს გმირი რუსლანი: “О, поле, поле!” (ისევ პუშკინის სიტყვათა ნაწილის გამეორებაა: “О поле, поле, кто тебя усеял мертвыми костями”; პუშკინისეული რუსლანი ბოროტი ჩერნომორის მიერ დახოცილ ადამიანთა ჩონჩხებს შეჰყურებდა, – მინდვრად მიმობნეულთ, „გუსლისეული“ რუსლანი კი, როგორც შემდეგ ვნახავთ, სახელმწიფო სისტემის მიერ განადგურებულ მეცნიერებას ხედავს); მთვლემარე თავი, ჩერნომორის მიერ მოკვებითი და მაინც ცოცხლად დარჩენილი, თვალთ წამოახელს, – „ვინ ხარო“, – ეკითხება გმირს, რომელიც თავყანსა სცემს ბრძენ თავს და მიუგებს, რომ ლუდმილასთან ერთად ეახლა და მისგან რჩევის მიღებაზე ოცნებობს; და მაშინ დამოძღვრავს მას თავი, – ურჩევს, ნოტა „დო“ ცხვირში იმღეროს გმირმა რუსლანმა (მეტი „სიბრძნის“ გაღება უკვე აღარ ძალუძს)...

აკრძალულ მასალათა შორის ლექსებიცაა:

Не одобряя наши темы  
 Нам предложили ряд реформ,  
 “Давайте вы без лиц поэмы,  
 Давайте образа без форм”.  
 \*\*\*  
 Гусляры это исполняют;  
 Но вряд-ли толку много в том;  
 “В тумане то предполагают,  
 что каждый хочет видеть в нем”.

ამ ლექსიდან ირკვევა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ, „გუსლიართა“ თქმით, მათ მიმართ.

აქ გვხვდება ლექსი, რომელშიც სატირაზე მეტად სევდაა გამოხატული (“как струны, натянуты нервы больные”), მასში ასევე მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთის სახელმწიფოს ჰგავს რუსეთი და უდაბნოს ქვიშაში აქვს თავი ჩარგული (“и взор свой с тревогой вперив на восток / старается глубже зарыться в песок”); ერთ-ერთ ლექსში (მისი ფოტოცაა ამ

სტატიაში წარმოდგენილი) ირონია ქარბობს; გვხვდება ლექსი (“Песня Узника”), რომელსაც ბოლოში ა. დნეპროვსკი აწერია და ფრჩხილებში კი აღნიშნულია – “С Волгарского”; მასში თავისუფლებაზე პატიმრის ოცნებაა გამოხატული და იუმორი არ ჩანს: “Но на воле, как божия птица, / Я-б запел песню чуждую” (“чуждую”-ს გვერდით ცენზორს რატომღაც სიტყვა “мухи” მიუწერია); ლექსებს შორის გვხვდება ერთი, რომელშიც ტფილისის მიმართ პატივისცემა იგრძნობა (ჟურნალის შემოქმედებს ცოტა ხანს მაინც მიეცათ აქ მუშაობის საშუალება...), მაგრამ აღნიშნულია, რომ „გუსლის“ შესახებ ჭორები მოდის და ტფილისიც მღელვარებით უსმენს ამ ჭორებს (“Тифлис внимает волнующь”).

ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ ოდესის სახელგანთქმულ, ძველი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტში სამსახური დაატოვებინეს ისეთ დიდ მეცნიერებს, როგორებიც არიან: მეჩნიკოვი, პრეობრაჟენსკი, პოსნიხოვი, გამბაროვი, კოვალევსკი, რომლებიც სულის შემხუთველ გარემოს (ენის მითანა, დაბეზლება) ვერ შეეგუვნენ და, ნამდვილ მეცნიერთა ნაცვლად, „საცოდავი კომპილატორები“ (“жалкие компилаторы”) და „გამოცდილი საქმოსნები“ (“опытные дельцы”) გააბატონეს იქ; ჩამოთვლილია მათი



8. მ. ჩემოდანოვის ილუსტრაცია

გვარები. აღნიშნულია, რომ ხუთი სტუდენტი დაბრუნების ნებართვის გარეშე გააძვეს უნივერსიტეტიდან და თორმეტს კი სწავლის უფლება შეუჩერეს; არც ამ სტატიას ახლავს იუმორი და ისიც, ისევე, როგორც მთელი მასალა, აკრძალულია; როგორც ჩანს, სწორედ ამ კონკრეტულ მასალათა განხილვის შემდეგ დაუხურავთ „გუსლი“.

ტალანტით სავსე ადამიანთა მიერ არის მომზადებული ეს ჟურნალი და დიდი ნიჭი ჩაუხშვიათ მისი აკრძალვით.

ჟურნალის თანამშრომელთა შორის არაერთია ნიჭიერი ილუსტრატორი; ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას:

იმხანად რუსეთისა და მთელი ევროპული მასშტაბით ძალზე ცნობილი იყო დიდი ტალანტის მქონე მხატვარი – მიხაილ ჩემოდანოვი (1856-1908), რომელიც ასევე ჩამოსულა ტფილისში, „გუსლიში“ ილუსტრაციებს ბეჭდავდა და განათლების დონეს, სოციალურ მდგომარეობას, საერთოდ, სახელმწიფოს ჩამორჩენილობას აშარჟებდა (წინამდებარე სტატიისთვის დართულ ერთ-ერთ ილუსტრაციაში, რომელიც ჩემოდანოვს ეკუთვნის, სწორედ სიღარიბის და ასეთი ყოფისაგან გაქცევის სურვილით აღსავსე ის ადამიანები არიან დახატულნი, გამხდარ ცხენებმულ ურემზე რომ ცდილობენ მოთავსებას და ყველანი კი ვერ ეტევიან. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პერსონაჟის მიბაძვით რომ ვთქვათ, ასეთი ურმებითა და „პოვოსტკეებით“ სიარულის გამოა, შორს რომ „არის წასული“ სახელმწიფო).

მხოლოდ მხატვარი არ ყოფილა მიხაილ ჩემოდანოვი, – ექიმი იყო, რუსეთში სამეცნიერო სტომატოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლადაა ცნობილი; შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის მქონეა მისი სამეცნიერო ნაშრომები; სამედიცინო წიგნებს ასურათებდა კიდევ.

რევოლუციურ იდეათა მხარდამჭერადაა მიჩნეული ეს პიროვნებაც.

ტფილისიდან წასვლის შემდეგ პოლიტიკური ხასიათის ილუსტრაციების ხატვის გამო რუსეთში დააპატიმრეს, საკანში პლევრით დაავადდა და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გამართვამდე გაათავისუფლეს, მალე გარდაიცვალა.

როგორც ილუსტრატორს, ჩემოდანოვს, ჰქონდა ფსევდონიმები: დობრომისლოვი, მ.



ლილინი, ლილინი, ემჩე, იქსი, იგრეკი, ი. გრეკი, სტრუნა, ჩერვი...

ძალზე შთამბეჭდავია, მაგალითად, ერთ-ერთი ნახატი, რომელიც, აშკარაა, რომ, „გუსლიში“ დასაბეჭდად გამზადებული „რუსლანის“ ილუსტრაციაა (საქართველოს ეროვნულ არქივში შემონახული, აქ გადარჩენილი, ეს ნახატიცაა წარმოდგენილი წინამდებარე სტატიასთან ერთად), – ვხედავთ: მინაზე მდებარე უზარმაზარ თავს, – მოკვეთილს, რომელსაც ქუდზე აწერია „Alma Mater“, მის წინ გაშოტილ მოკლულ კაცს (იგულისხმება, რომ უნივერსიტეტში და, საერთოდ, ქვეყანაში დამყარებულმა მძიმე სულიერმა ატმოსფერომ მოკლა იგი სულიერად, ან იქნებ – სიტყვა „მოკვლის“ პირდაპირი მნიშვნელობით), გაღვიძებული თავიდან აფრენილ ყვავებსა თუ ყორნებს, მინაზე მიმოყრილ წიგნებს (ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა სახელმძღვანელოებს) და სამ კაცს, რომელთაგან ერთს ხელები

მინდვრისაკენ გაუშვებია და, როგორც პუშკინზე ალუზიით გაკეთებული წარწერა გვამცნობს, ამბობს: „О, поле, поле, кто тебя усеял?“; ანუ იგულისხმება, რომ კლავენ მეცნიერებას ისეთი „კომპილატორები“ და „საქმოსნები“, როგორც ბედაც ზემოთ ითქვა. ჟურნალ „გუსლიზე“ საუბრით დავიწყე სტატია და მისითვე დავასრულე: კავკასიის საცენზურო კომიტეტის დოკუმენტებს შორის სხვაც უამრავი ფასდაუდებელი მასალა შეგვხვდა; ამჯერად სტატიის მოცულობის გამო შეზღუდული ვართ და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; მასალების შესწავლა და დამუშავება გრძელდება და იმედია, მკითხველამდე მალე მოაღწევს ისინი.

## შენიშვნები

<sup>1</sup> ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XV/XVI გაერთიანებულ ნომერში დიმიტრი ფურცელაძის მოღვაწეობის შესახებ სტატია აქვს გამოქვეყნებული შ. მათითაშვილს (მათითაშვილი 2013/2014: 81-87).

## დამონებანი

**დოლიძე 2022-2023:** ა. დოლიძე, კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის ზოგიერთ საკითხზე, კონფერენცია „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“; ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24. 12; 2022; სამეცნიერო კრებული „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №3, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ვერნადსკი 2006:** Г. Вернадский, „Считаю себя украинцем и русским одновременно“ (Ab Imperio, 2006, №4).

<https://muse.jhu.edu/pub/178/article/561011/pdf> (ნანახია 01.07. 2023)

**კუჭუხიძე 2022-2023:** გ. კუჭუხიძე, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ (XIX ს-ის 70-იანი წლები); კონფერენცია „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“; ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 24. 12; 2022; სამეცნიერო კრებული „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა“, №3, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**მათითაშვილი 2013/2014:** შ. მათითაშვილი. დიმიტრი ფურცელაძე ახალი ქართული საეკლესიო

ისტორიოგრაფიის სათავეებთან, ქართული წყახომცოდნობა, ტ., XV-XVI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**მაკუშინი 2010:** Л. Макушин, Закон о печати 6 апреля 1865 г.; Известия Уральского государственного университета. № 1 (71).

**პატრუშევა 1990:** Н. Патрушева, Цензурная Реформа в России 1865 г. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ленинградский Государственный Университет. [https://viewer.rusneb.ru/ru/000199\\_000009\\_000135902?page=1&rotate=0&theme=white](https://viewer.rusneb.ru/ru/000199_000009_000135902?page=1&rotate=0&theme=white) (ნანახია 01.07. 2023)

**როზენბერგი, იაკუშკინი 1905:** В. Розенберг, В. Якушкин, Русская печать и цензура в прошлом и настоящем. Москва. [https://archive.org/details/libgen\\_00296992/page/n1/mode/2up](https://archive.org/details/libgen_00296992/page/n1/mode/2up) (ნანახია 01.07. 2023)

**ფირსოვი 2000:** В. Фирсов, Государственное законодательное регулирование деятельности библиотек. Глава 2. Санкт-Петербург.

**ჩერნუხა 1989:** В. Чернуха, Правительственная политика в отношении печати, 60-е – 70-е годы XIX века, Наука; Ленинград.

**წერეთელი 1960:** ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, XII, სარედაქციო კოლეგია: გიორგი აბზიანიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ასათიანი, იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა რადიანი; „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

## ON SOME UNKNOWN MATERIALS OF 1870s AND EARLY 1880s OF CAUCASIAN CENSORSHIP COMMITTEE

**Gocha Kuchukhidze**

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
gochakuch@yahoo.com

The article studies the materials that are kept at the National Archive of Georgia in the collection of Caucasian Censorship Committee.

The Committee's archive includes various materials, for example, the plays, unknown for wide circles of the society of Georgian writers: Alexander Kazbegi, David Dadiani, Kote Kipiani, Aghalo Tutaev (Tutashvili) and others; some of these plays were banned by the Committee, as they found in them the contents unacceptable for the Russian state.

In the Committee's archive there is the manuscript written by famous Georgian poet – Akaki Tsereteli. This is his lecture, discussing Rustaveli's "Knight in the Panther's Skin". We have compared the text of manuscript with the published one and found that there are significant differences between them.

Archive materials have revealed the fact unknown to the wide society: in 1878 famous Georgian public figure Niko Nikoladze has challenged to a duel Dimitri Purtseladze, the chairman of the Censorship Committee; the latter has refused.

In the article, we publish the photos of several Georgian manuscripts.

In the archive there were also found the paintings unknown to the society by Mikhail Chemodanov, the illustrator, widely known in 19<sup>th</sup> century Europe and later, unfortunately, forgotten; we publish few of his paintings and intend to publish whole set of the discovered illustrations.

We intend to discuss the work of Caucasian Censorship Committee of the later period in the further articles.



# ლაზური/ჭანური ქორწილი და საქორწინო რიტუალები (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით)

## ნუგზარ მგელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

მსოფლიოს ყველა ხალხში, განსაკუთრებით კი იმ ხალხებში, სადაც ტრადიციული კულტურა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, ქორწილი სახლელის, ოჯახის, ლოკალურ-ნათესაური ჯგუფისა და მთელი თემის ფარგლებში ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნეოდა, რადგან სამყაროს ისტორია და მთლიანი ეთნოგრაფიული კალენდოსკოპი ადამიანის ცხოვრებისეული ციკლის სამი უმთავრესი საფეხურით განისაზღვრებოდა. ეს იყო: დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება. ქორწინების საფუძველზე სხვადასხვა ფორმის ოჯახი იქმნებოდა, რომლებიც საქორწინო წყვილთა გაერთიანებებს და იმ სოციალურ უჯრედებს წარმოადგენდნენ, სადაც ინტიმურ სფეროში, სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში და, საერთოდ, ქვეყნის მოდელირებულ ნორმებში მეუღლეთა ინტერესების თანხვედრა ხდებოდა (მგელაძე, მასანოვი 1996: 16). ამა თუ იმ ხალხში ქორწინებასა და საქორწინო ტრადიციების სხვადასხვაობას კულტურული ფასეულობანი, ისტორიული თავისებურებები, ეთნიკური ხასიათი, სოციალური ცხოვრების წესი, გეოგრაფიული გარემო, მეურნეობის ფორმები და, საერთოდ, ყოფა განსაზღვრავდა.

მსოფლიოს სხვა ხალხების მსგავსად საინტერესო საქორწინო ტრადიციებით კავკასიისა და ანატოლიის, მათ შორის, ქართველი ხალხის ლაზური/ჭანური ეთნოგრაფიული განტოტება ხასიათდებოდა. ფაქტია, რომ ქორწილი უაღრესად დიდი სოციალური დანიშნულებისა და საზოგადოებრივი მისიის მქონე ინსტიტუტია და მასთან დაკავშირებული რიტუალებისა და ზეპირსიტყვიერი – ფოლკლორული ფონდის შექმნაში სხვა ქართველური მოდგმის ეთნოგრაფიულ ჯგუფებთან ერთად ლაზებიც/ჭანებიც მონაწილეობდნენ.

კაცობრიობის ისტორიაში ქორწინებამ და ოჯახმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ადამიანთა ბიოლოგიურ კვლავნარმოებასა და მათ სოციალიზაციაში, კულტურულ ფასეულობათა ტრანსმისიაში. ბუნებრივია, რომ სწორედ ასეთივე ფუნქცია ჰქონდა ქორწინებას და ქორწილს ლაზურ/ჭანურ საზოგადოებაშიც, რომელსაც ჭანდა ეწოდებოდა. ჭანდა სტრუქტურირებული სოციალური ინსტიტუტი იყო და ჩვეულებებში გამოხატული მტკიცედ ჩამოყალიბებული წესები ჰქონდა, რაც, სხვათა შორის, ასახულია არა მხოლოდ ეთნოგრაფიული ყოფის დონეზე, არამედ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში. ბევრი ლაზური ლექსი საქორწინოდ და საქორწინო-საწესო მოქმედებასთან დაკავშირებით იყო შექმნილი (შიოშვილი 2015: 382-398), შესაბამისად, ლაზურ/ჭანურ ქორწილს, როგორც ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროებით დასტურდება, თან ახლდა გართობა, განსაკუთრებით ცეკვა, ლექსი და სიმღერა, რასაც ბიხაფა, იგივე, ობიხუ ერქვა, ხოლო მისამღერს – გებიხაფა (მგელაძე 2022).

ქორწილში, ისე როგორც ნადური შრომის დროს, ბევრი ლექსი იქვე, ადგილზე იქმნებოდა, მათ შორის, უმეტესობა სატრფიალო ხასიათისა იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი, მაგალითად, ქორწილში შეიქნა და პირველად იქვე შესრულდა, ჭანდაში ბიხაფა (ჭანდას ბიხაფა) – საქორწინო სიმღერა ეწოდა. ათინასა და ვინეში მთქმელთა გადმოცემით, ქორწილი ისე არ ჩაივლიდა, რომ არ ემღერათ, მაგალითად, „წულუ ბოზო“ – ქალწულო ანდა მისი ვარიანტი: „ლაზური ხორონიში ბირაფა“ – „ლაზური საცეკვაო

სიმღერა“ (ჟღენტი 1938: 156-157); (თანდილავა 1972: 130). საქორნილო მხიარულების – „ღუგუნი'ს“ პერიოდში „ქემენჩე'ზე“ და „ზუხნა'ზე“ უკრავდნენ. საერთოდ, ლაზური/ჭანური ფერხულები და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები მუსიკალური აკომპანიმენტით სრულდებოდა, ისეთებით, როგორებიც იყო პიდიდი (დუდუკი), გუდა (ჭიპონი), კავადი (სალამური), ქემენჩე (ქამანჩა). მიღებული იყო „გახმონი'ც“. ქორნილისათვის უცხო არ იყო შაირობაც, რომელსაც აქეთ-იქეთ მდგარი მხარეები წარმართავდნენ. საქორნილო სიმღერებიდან სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს თიხამოდა, ჭუგა ნუსა, წუღუ ბოზო (რურუა 2005: 14).

ცეკვა-თამაში საერთო მხიარულების ფონზე მიმდინარეობდა. ცეკვებიდან ყველაზე უფრო მიღებული „ჭილველო ნანაადა“ იყო. ადრე „ქურთბაი'სა“ და სხვა ხორუმის მაგვარ ცეკვებსაც ასრულებდნენ. ლაზურ/ჭანურ საქორნილო სიმღერათა შორის ჭუგა ნუსა (პატარძალი), თანხმლები გადმოცემის ფონზე, საკმაოდ შთამბეჭდავია და გადმოგვცემს საქორნილო ცერემონიაში პატარძლის მდგომარეობას (ჟღენტი 1938: 157). ლაზურ/ჭანურ საქორნილო გართობა-თამაშობაში აქტიურად ქალებიც ლებულობდნენ მონაწილეობას, მაგრამ წესის მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა საზოგადოება ქორნილში გაყოფილი იყო. ქალები მათთვის განკუთვნილ ცალკე ოთახში იმყოფებოდნენ და აქვე ერთობოდნენ (თანდილავა 1972: 131).

ნიკო მარი ქალაქ ათინის მაგალითზე წერდა, რომ ადგილობრივი ხალხური გასართობიდან ლაზეთში/ჭანეთში შემონახულია ჯგუფური ცეკვები ექსპრომტული ლექსებით, რასაც ძირეული ლაზური/ჭანური ტერმინითობიხუ, ხოლო ნასესხები ტერმინით – ოგხალოღუ ერქვა. ორ ჯგუფად გაყოფილი ქალები რიგრიგობით საცეკვაოდ იქვე შეთხზული ლექსებით გამოდიოდნენ და ერთმანეთს უჯიბრებოდნენ. ქალები ვაჟებთან არ ცეკვავდნენ. ასეთი ჯგუფური ცეკვები სოფლის ქალებმაც იცოდნენ. მამაკაცებს მათთან არ უშვებდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი ქალთა რეპერტუარს ჩუმად ყურს უგდებდნენ და მათგან სწავლობდნენ, რადგანაც ლაზეთში/ჭანეთში საუკეთესო ქალი პოეტები გამოდიოდნენ (მარი 1910: 629). მიუხედავად ამისა, როგორც მთქმელთა გადმოცემები, ისე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, რომ ქალთა საზოგადოება ქორნილში მამაკაცთა საზოგადოებისაგან მთლიანად იზოლირებული არ იყო. მართალია, ნიკო მარი შემთხვევით არ შენიშნავდა ამ მხრივ არსებულ ფაქტს, მაგრამ იგი მუსლიმური რელიგიის გავლენის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ტრადიციული ლაზურისა/ჭანურისა. საველე პირობებში შეკრებილი გადმოცემები და ფოლკლორული ნიმუშები მიუთითებს, რომ დაინტერესებული ქალები მამაკაცთა გართობასა და ცეკვა-თამაშს სიამოვნებით უყურებდნენ და, ხშირად, მონაწილეობდნენ კიდევ სიმღერებში. ქალები უმღეროდნენ მოცეკვავე ვაჟებს. ასეთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ორგუნდოვან სიმღერებს, სიმღერა-დიალოგს, რომლის ნიმუშად შეიძლება „უჩა ბიჭი“ – „შავი ბიჭი“ ანუ „შავო ბიჭო“ მოვიტანოთ. იგი არქაბულ საქორნილო-საცეკვაო სიმღერად არის მიჩნეული (მარი 1910: 629); (ჯავახიშვილი 1938: 45, 48-49); (ვანილიში, თანდილავა 1964: 162); (თანდილავა 1972: 6-7, 21-22, 131-134), თუმცა როგორც ცილა ნარაკიძე ადასტურებს ეს ლექსი-სიმღერა სოფელ სარფშიც იციან და ძველად ქორნილში მღეროდნენ კიდევ. ისინი ლაზეთში/ჭანეთში დღესაც ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია. სოფელ სარფის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ვარიანტები კი ძირითადად ცნობილი სახალხო მთქმელის – ხასან ჰელიმიშისეული ვარიანტებით საზრდოობს (ნარაკიძე 2020: 122); (შიოშვილი 2015: 393).

ამ საფერხულო ლექსის შედარებით მოკლე ვარიანტი „ხორომიში'ს“ (სახორუმოს) სახელწოდებით დაბეჭდილია მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას წიგნში – „ლაზეთი“ (ვანილიში, თანდილავა 1964: 162), ხოლო შედარებით სრული ტექსტი მოცემულია ზურაბ თანდილავას იმ მონოგრაფიაში, რომელიც ლაზურ ხალხურ პოეზიას ეხება (თანდილავა 1972: 132-134).

ლაზეთში/ჭანებში ოჯახის შექმნა აუცილებელ კანონზომიერებას წარმოადგენდა. გათხოვებას ლაზეთში/ჭანებში გამათხვუ, ხოლო დაქორწინებას – ოჩიღუ ეწოდებოდა, შესაბამისად, აქვე, ყურადღებას ისეთი სიტყვები იქცევს, როგორებიცაა ჩიღეჩი – დაქორწინებული, ცოლიანი და ქიმოჯეჩი – გათხოვილი (თანდილავა 2013: 76, 682, 834 799). ქორწინებაზე

საუბარს ოჯახში სქესობრივ-ასაკობრივი სტრატეგიკაციის იმ საფეხურზე იწყებდნენ, როცა ახალგაზრდებს ფიზიკურად და მორალურად უმნიშვნელოვანესი აქტისადმი მომნიშვნელოვანად მიიჩნევდნენ, ხოლო გარემოს ეკონომიკურად მზად თვლიდნენ. დაქორწინებული მამაკაცი, ფაქტობრივად, საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად მიიჩნეოდა და იგი თემის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ერთვებოდა. ლაზურ/ჭანურ ოჯახში სასურველი იყო ჯერ უფროსი ვაჟი დაექორწინებინათ, შემდეგ მომდევნო, ხოლო ბოლოს – უმცროსი. გოგონებიც ოჯახიდან ასაკობრივი რიგით თხოვდებოდნენ. ამდენად, ლაზურ ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც დაქორწინების შესაძლებელი ასაკი რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, მრავალი ტრადიციული წესი მოქმედებდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქორწინო წყვილთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენა, თუმცა ხდებოდა ისეც, რომ ქორწინებისათვის მოუმნიშვნელობა ოჯახის შექმნაში ხელისშემშლელი ფაქტორი და ბარიერი ყოველთვის არ იყო. შესაძლოა, უასაკო ქალიშვილი სახლეულში რძლად შემოეყვანათ, საოჯახო ყოფაში ჩაერთოთ, მაგრამ უასაკობისა და ფიზიკური მოუმზადებლობის გამო ქმართან სქესობრივი კავშირი აკრძალათ. ახალგაზრდა რძლის ქმართან ურთიერთობები დედამთილის უშუალო მეთვალყურეობით და დარიგებებით წარიმართებოდა. შეუსრულდება თუ არა ბავშვს 12-13 წელი, მშობლებს გვერდში ამოუდგებოდა და ხვანა-თესვაში ეხმარებოდა, მეთევზედაც იმუშავებდა, ტოლ-ამხანაგებთან ნადში სხვადასხვა სამუშაოზე წავიდოდა. ასე გრძელდებოდა 17-18 წლამდე, შემდეგ მისი დანიშვნის ჯერი დგებოდა. თუ ოჯახში დედისერთა შვილი იყო, მისი დანიშვნა-დაქორწინება შესაძლებელია ცამეტი წლიდანაც მომხდარიყო. დაქორწინება ეკონომიკურ პირობებზე იყო დამოკიდებული. ამასთან ვაჟს თუ ორი-სამი წლით უფროსი და ჰყავდა, მაშინ უპირატესობა დას ეძლეოდა. ჯერ ის უნდა გათხოვილიყო, ხოლო შემდეგ ცალკე ოჯახი მისი უმცროს ძმას უნდა შეექმნა (ვანილიში, თანდილავა 1964: 112).

ლაზი/ჭანი ქალიშვილები თორმეტი წლის ასაკიდან საოჯახო ცხოვრებისათვის მომზადებულად ითვლებოდნენ და შრომით პროცესში ერთვებოდნენ, ხოლო ვაჟები მამაკაცის ამპლუაში შედარებით გვიან შედიოდნენ. უკვე ამ ასაკიდან თემის ფარგლებში ქალ-ვაჟის ურთიერთობები იზღუდებოდა და ლაზებში/ჭანებში ეს აკრძალვები სხვადასხვა სფეროში მკაცრად იყო ნორმირებული, განსაკუთრებით, გენდერთა დონეზე. ვაჟს თექვსმეტი წლიდან ქალიშვილთან საუბრის უფლება აღარ ჰქონდა, ქალიშვილს კი ვაჟთან ლაპარაკის უფლება ცამეტი წლიდან ეკრძალებოდა. ამ ასაკიდან მას წარსულში ჩადრი უნდა ეტარებინა და ვაჟს უნდა მორიდებოდა, თუნდაც იგი მეზობელი ყოფილიყო, რადგან ლაზები/ჭანები უფრო ხშირად მეზობლის ქალიშვილებზე ინიშნებოდნენ, იშვიათად ხდებოდა შორეულ ადამიანზე დანიშვნა. ახალგაზრდა გოგო მხოლოდ ძმას, ბიძაშვილსა და დეიდაშვილს არ ერიდებოდა (ვანილიში, თანდილავა 1964: 112). ამ შეზღუდვებმა კონსერვაცია განიცადა და მას შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავებულა, რაც ლაზები/ჭანები გამუსლიმანდნენ და ზრდასრული ქალიშვილები დაავალდებულეს ჩადრი ეტარებინათ. აკრძალვები არ შეხებიათ ლოკალურ ჯგუფში გაერთიანებულ გოგონებსა და ვაჟებს, განსაკუთრებით, ვინრო სანათესაოს, მით უფრო, დიდი სახლეულის იმ წევრებს, რომლებიც ძმების, დებისა და ბიძაშვილების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. საერთოდ, განრიდების პატრიარქალური წესი, რომელიც ზოგადად კავკასიის ხალხებსა და ანატოლიის ავტოქტონურ მოსახლეობას ახასიათებდა და რომელიც ქალსა და კაცს, რძალსა და მამამთილ-დედამთილს, რძალსა და მამლს, ცოლსა და ქმარს შორის განრიდებას გულისხმობდა, არც ლაზური/ჭანური ტრადიციული საზოგადოებისათვის იყო უცხო. წყვილთა საქორწინო ასაკთან დაკავშირებით თანამედროვე პერიოდში სულ სხვა ვითარებაა. დღეს რესპოდენტთა დიდი ნაწილი ქორწინების სასურველ ასაკად გოგონებისათვის 17, ხოლო ვაჟებისათვის – 23 წელს მიიჩნევს. მაგალითად, თურქეთის მხარეს, ე. წ. გაღმა სარფში ამ ასაკში დაქორწინებულა მიჰრიბან ფოირაზოღლი და მისი მეუღლე, ოსმან ბათალოღლის მშობლები. მთხრობელები თვლიან, რომ წარსულში ისინი გვარად ჩიქოვანები იყვნენ, დღევანდელი გვარით („სოიადი“თ) კი – ოზმაი (ოზმაჰინი) არიან (ფოირაზოღლი 2015). ასეა თუ ისე, დღეს გოგონას თოთხმეტ წლამდე არ ათხოვებენ,

ზედა სასურველი ზღვარი კი – თვრამეტი წელია.

ლაზებში/ჭანებში საქორწინო ცხოვრების წესში ჩართვის უფლებას ახალგაზრდები უფროსების თანხმობით, განსაკუთრებით, მშობლების გადაწყვეტილებით ღებულობდნენ, თუმცა რესპოდენტები – თურქეთში მცხოვრები ლაზები/ჭანები იმაზეც მიაჩნებენ, რომ წარსულში მშობლები მის დაქორწინებაზე ისე მოითათბირებდნენ, გოგომ ეს არც კი იცოდა (მგელაძე 2022). გასათხოვარ გოგონასა და ცოლის მოსაყვანად მომზადებულ ვაჟს ხშირად მოიხსენიებდნენ ტერმინით – *დასაქოხწინებედი*. ოჯახის შექმნა აუცილებელ კანონზომიერებას წარმოადგენდა და საქორწინო ცხოვრების წესში ჩართვის უფლებას ახალგაზრდები უფროსების თანხმობით, განსაკუთრებით, მშობლების გადაწყვეტილებით ღებულობდნენ (ვანილიში 2015).

დაქორწინებაში მშობლებს შორის მამის როლი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე დედის. ამდენად, საბოლოო გადაწყვეტილებასაც მამა ღებულობდა. ვაჟსა და გოგონას მშობლები საოჯახო ცხოვრებისათვის ეტაპობრივად ახალგაზრდობიდანვე ამზადებდნენ და ოჯახისა და შთამომავლობის კვლავწარმოების აუცილებლობასაც შთააგონებდნენ, შესაბამისად, აქედან ჩნდებოდა ის ჩვეულებები, რომლებიც ახალგაზრდა ქალების წარმოსახვის წიაღში იჩენდა ხოლმე თავს. ლაზებში/ჭანებში ასეთი იყო ჩვეულება, რომელსაც *ჭიჭიკვეჩი* ეწოდებოდა. *ჭიჭიკვეჩის* ჩვეულება თითქმის მთელ ლაზეთში/ჭანეთში დასტურდება. გამოვლინდა სოფელ სარფში. ჩვენ იგი ვინეს, ახლანდელი ფინდიკლის მხარეს, ფიცხელას ხეობაშიც დავადასტურეთ (მგელაძე 2023). ლაზურ/ჭანურ სოფელში რამდენიმე გასათხოვარი ქალიშვილი შეიყრებოდა. მათი რიცხვი კენტი უნდა ყოფილიყო. ერთ მათგანს შვიდ სხვადასხვა ოჯახში მარილის მოპარვა დაევალებოდა. ამ მარილით მჭადის ფქვილს მოზელდნენ, სათითაოდ „კვარს“ – კვერს გამოაცხობდნენ, შეჭამდნენ და დაიძინებდნენ. სიზმარში ქალიშვილი წყალს თავისი ხელით თუ დალევდა ანდა ვაჟი მიანოდებდა, ეს ცუდი ამბის ნიშანი იქნებოდა, ხოლო თუ წყალს უცხო ყმანვილი მიანოდებდა, ის იქნებოდა მისი ბედი – საქმრო. თუ ვაჟი მეზობელი სოფლიდან იყო, მაშინ ქალი მასზე გათხოვებას შეეცდებოდა, ხოლო თუ ვაჟი უცნობი იყო, მაშინ ქალი საქმროს სხვა – შორეული სოფლიდან ელოდებოდა. ასეთივე, ე. წ. „ბედის კვერის“ გამოცხობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო გავრცელებული, როგორც ბარში, ისე მთიანეთში. ლაზი/ჭანი ქალიშვილები ამავე მიზნით „მარქვალი ჭვერი“ს“ აკეთებდნენ. ქალიშვილები შეიკრიბებოდნენ, კვერცხებს დათქვეფდნენ, მარილს დააყრიდნენ, შეწვავდნენ, გზაჯვარედინზე, უფრო ზუსტად, სამი გზის გასაყარზე წაიღებდნენ, ჩუმად შეჭამდნენ, შინ დაბრუნდებოდნენ და დაიძინებდნენ. ძილის წინ ღმერთს ევედრებოდნენ: „ღმერთო, საქმრო მაჩვენეო“.

ლაზეთში/ჭანეთში წარსულში საცოლის ამორჩევის სხვადასხვა გზა არსებობდა. ასევე ისინი დაქორწინების რამდენიმე ისეთ სახეს იცნობდა, რომელიც პატრიარქალური ცხოვრების წესებს ეფუძნებოდა. ეს იყო ქალის რიტუალური წესით მისაკუთრების ჩვეულება. უფრო გავრცელებული იყო გასათხოვარ გოგონაზე მხრებზე ხელის დაკვრით თუ მანდილის – „იაზმის მოხდით“ დათავისება. ვაჟი ასეთ დროს ელოდა და შესაბამის ვითარებაში მისთვის სასურველ ქალს თავსაბურავს მოხდიდა, რასაც *იაზმის მოხდა* ეწოდებოდა, ანდა მხარზე მსუბუქად ხელს დაკრავდა (მგელაძე 2022). ამის შემდეგ ვაჟი თავსაბურავს – „იაზმა“ს“ ინახავდა. შემდეგში, თუკი ვინმე ქალიშვილის ხელის თხოვნას შეეცდებოდა, მაშინ იგი მას თავსაბურავს აჩვენებდა და ამით განაცხადს აკეთებდა – „გოგო ჩემიაო“. ქალზე ხელის შეხება უფრო მაშინ ხდებოდა, როცა ვაჟი – თუ იგი ქალის ანდა მისი ახლობლების მხრიდან წინააღმდეგობას ნააწყობებოდა. ჩვეულების თანახმად, მას უფლება ეძლეოდა მოხერხებულ შემთხვევაში, თუნდაც საჯაროდ, „კულანის ხე მენტხა“ს“, ე. ი. „ქალიშვილს ხელი წაკაროს“. *ხე მენტხიმე* – ხელის წაკარება ქალიშვილისათვის მანდილის ანდა სხვა სახის თავსაბურავის, ან კიდევ სხვა მსგავსი ნივთის წართმევას გულისხმობდა. ასეთი მოქმედები ქალის წინასწარი დასაკუთრების გარკვეულ წესად იყო მიღებული. *ხემენტხიმე(ი)ი* იგივეა რაც – „ხელწაკარებული“. *ხემენტხიმე(ი)ი* ქალიშვილის ცოლად წაყვანა წესისამებრ სხვას არ შეეძლო. ლაზმა/ჭანმა მთხრობელებმა განგვიმარტეს, რომ ძლიერი ოჯახიდან გამოსულ გოგოს ვაჟი მანდილს ვერ მოხდიდა, რადგან ამას შესაძლოა სერიოზული კონფლიქტი მოჰყოლოდა (მგელაძე 2022).

ამ ჩვეულების რიგი ეპიზოდი ლაზურ/ჭანურ ფოლკლორში მიმზიდველადაა ასახული (თანდილავა 1972: 118-119). ქალზე ხელის დადებით ანდა მანდილის – „სილგი“ მოხდით დათავისება ლაზების/ჭანების მეზობელ კუთხეებშიც სცოდნიათ. წარსულში ასე ხდებოდა ქოროხის აუზის ქართულ მოსახლეობაში: შავშეთ-იმერხევეში, ტაო-კლარჯეთში, განსაკუთრებით აჭარაში. აქაც, მანდილმოხდილი ქალი სხვას ცოლად ვერ გაყვებოდა. ეს დიდ უსიამოვნებას და, ხშირად, სისხლისღვრასაც იწვევდა (მგელაძე 1996: 213). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მეგრული და სვანური ეთნოგრაფიული წყაროები (სახოკია 1956: 67, 87); (მაკალათია 1941: 263); (მგელაძე 1996: 213). საქორწინო წყვილთა ურთიერთობებში მსგავსი წესები მსოფლიოს სხვა ხალხებისათვისაც იყო დამახასიათებელი (ვინიკოვი 1940: 17-18). ყველაფერი ეს, კერძოდ, ვაჟის მიერ ქალზე ხელის შეხება და მისი ამგვარად დათავისება, პატრიარქალურ საზოგადოებაში მამაკაცის უფლების გამომჟღავნებად უნდა მივიჩნიოთ. ლაზეთში/ჭანეთში თუ ქალიშვილს დამთავისებელი არ მოსწონდა, დიდი ალბათობა იყო იგი „გაპარულიყო“ და სხვას მისთხოვებოდა, რაც შემდეგში, ბუნებრივია, უკმაყოფილების საგანი ხდებოდა (მგელაძე 2015: 96-97).

საინტერესოა, რომ ლაზებში/ჭანებში მშობლებსა და ნათესავ-ახლობლებთან ერთად საცოლის ამორჩევაში არაიშვიათად თვითონ ვაჟიც რომ მონაწილეობდა. წინასწარი დაზვერვისა და მოწონების შემდეგ ვაჟი ცდილობდა ვისიმე მეშვეობით ანდა მოხერხებულ ადგილზე, ქორწილსა თუ ნადში, თავისი სურვილი ქალისათვის სიმღერის საშუალებით მიეწვდინა (თანდილავა, 1972: 118); (ჭლარკავა 2000; 2001).

ლაზებში/ჭანებში წარსულში იცოდნენ მოწონებული გოგოს მოტაცება, რასაც ბოზო მებო – გოგოს მოტაცება ერქვა (მგელაძე 2022). მორიგების, უფრო ზუსტად, შუამავლობის გვერდით ყველაზე უფრო გავრცელებული მოტაცებით (*მოჩკუ/მოჩკაფუ*) და გაპარვით (*ომგინუ*) დაქორწინება იყო (მგელაძე 2015: 93). „მორკუ“სა და „მორკაფუ“ს მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ქალი და მისი ოჯახი ქორწინების წინააღმდეგი იყო. მაშინ ვაჟი ქალს – „მორკაფს“ იტაცებდა, უფრო კონკრეტულად, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ვაჟის ანდა ქალის მშობლები არ იყვნენ თანახმა, მაშინ ვაჟი ქალს მოიტაცებდა. გოგომ ზოგჯერ წინასწარ იცოდა, რომ იტაცებდნენ და ამის გამო ასეთ მოტაცებას *ომგინუ* – გაპარვა ერქვა (მგელაძე 2022). მოტაცება ხდებოდა მაშინაც, როცა ვაჟს ქალიშვილი უყვარდა, ქალიშვილს კი – არა. მოტაცების ჩვეულება ლაზურ/ჭანურ ზეპირსიტყვიერებაში საინტერესოადაა ასახული (ვანილიში, თანდილავა 1964: 115, 151, 156, 161, 170); (თანდილავა 1972: 120).

ლაზი/ჭანი გოგონასა და ვაჟის დანიშვნამდე არაერთი ტრადიციული მოთხოვნა არსებობდა, რომელთა გათვალისწინება თემის თითოეული წევრისათვის სასურველი, ხოლო ზოგიერთი მოთხოვნის დაკმაყოფილება სავალდებულოც კი იყო. მათგან დიდი მნიშვნელობა საქორწინო წყვილთა და მათი წინაპრების სულიერებას, მორალური და ზნეობრივი ცხოვრების წესის, ჭიშ-ჭილაგის ვარგისიანობის განსაზღვრას და, ბუნებრივია, ქონებრივ მდგომარეობას ენიჭებოდა. დაქორწინების დროს მნიშვნელოვანი ბარიერი ეთნიკური განსხვავებაც იყო. თითქოს სხვა ეროვნების წარმომადგენელზე დაქორწინება მიზანშეწონილად არ ითვლებოდა, მაგრამ საქართველოში, სარფში მცხოვრებ ლაზებს/ჭანებს შორის ჩვენ ვხვდებით რძლებს არა მარტო მეზობელი კუთხეებიდან, არამედ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებიდან, მათ შორის, რუსებიდან, რაც იქ ადრე სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მომსახურე პერსონალის აქტივობის, სამხედრო სამსახურის თუ საბჭოთა ეპოქაში სხვა რიგის მოვლენის შედეგი იყო. ნიშანდობლივია, რომ ბოლო საუკუნეების მანძილზე, როცა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო დასავლურ-ქართული – კოლხური სატომო დაჯგუფების ლაზური/ჭანური განშტოება, უფრო ზუსტად, ქართველურ-იბერიულ სამყაროს ზანური ერთობის სამხრეთული შტო მოწყდა, მათ ირგვლივ, გარდა საკუთრივ თურქული მოდემის ეთნიკური წარმონაქმნებისა, სხვადასხვა ეთნო-კონფესიურ ჯგუფთა სამოსახლოები, მომთაბარე პოპულაციები ჩამოყალიბდა, უპირატესად, ქურთებისა

და ჰემშილების სახით (მგელაძე, ტუნაძე 2003). ბუნებრივია, მათთან ყოველდღიურ ურთიერთობებში ლაზებმა/ჭანებმა მრავალი ისეთი კულტურული ნიშანი შეითვისა, რომელიც ადრე მათვის არ იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც, XIX-XX საუკუნეების არაერთი ავტორი მიიჩნევდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჰემშილთა, აქ ოდესღაც მიგრირებულ სომეხთა გამუსლიმანებული შთამომავლების, ეთნო-კონფესიის ფორმირებაში დიდი როლი ლაზებმაც/ჭანებაც ითამაშეს, რაც მათ კულტურაში – ენაში, ჩაცმულობაში, სამზარეულოშიც აისახა (მგელაძე, ტუნაძე 2005).

ლაზები/ჭანები, როგორც ქართველურ-იბერიული მოდგმის უძველესი კოლხური ეთნო-ტერიტორიული დაჯგუფება, მცირე აზიაში – ანატოლიაში ავტოქტონური მოსახლეობა იყო. სრულიად ბუნებრივია დასახელებულ ტერიტორიაზე ლაზთა/ჭანთა ხანგრძლივი სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული გამოცდილებიდან, არსებულ გარემომცველ ბუნებასთან მათი ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ლაზებს/ჭანებს შესამჩნევი კულტურული ზეგავლენა მომთაბარე ეთნიკური წარმონაქმნების მატერიალურ ფასეულობებზე, ეკონომიკურ სისტემებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზეც მოეხდინათ. კულტურულ ფასეულობათა გადაცემა არა მარტო მეზობლად ცხოვრების, არამედ ქორწინების საფუძველზეც ხდებოდა. თურქეთში მცხოვრები ლაზები/ჭანები ადრე თითქოს ჰემშილებთან ქორწინებას არასასურველად მიიჩნევდნენ, მაგრამ დღეს ეს აკრძალვები აღარ არსებობს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მიუხედავად შეზღუდვებისა, ლაზებსა/ჭანებსა და ჰემშილებს შორის ქორწინება წარსულშიც არც თუ ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო. ლაზ/ჭან ქალს საოჯახო ტრადიციები ქმრის სახლულში გადაჰქონდა, შთამომავლობას თავისი მოდგმისათვის დამახასიათებელი მისწრაფებებითა და სულისკვეთებით ზრდიდა, რითაც ახალ გარემოს იმ კულტურულ ფასეულობათა ელემენტებს გადასცემდა, რომლებიც ლაზებში/ჭანებში წინაპრებისაგან თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ჰემშილთა ეთნო-კონფესიური ჯგუფისა და ლაზთა/ჭანთა ზოგიერთი ტრადიციული ფასეულობის მსგავსების გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, ანალოგიურ გეოგრაფიულ გარემოში მეზობლობასა და საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში თანაცხოვრებისა თუ ქორწინების ფაქტორის გარდა, ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ის ფაქტიც დასახელდეს, რომ ლაზებსა/ჭანებსა და ჰემშილებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუსლიმურ გარემოცვაში მოუხდათ ცხოვრება, რის გამოც, ბუნებრივია, ორივე გაერთიანება მუსლიმთათვის დამახასიათებელ კულტურის ელემენტებს საერთო წყაროდან ითვისებდა. ეს კი, თავის მხრივ, საერთო ხასიათის ზეგავლენების საფუძველზე, როგორც ლაზებში/ჭანებში, ისე ჰემშილებში მსგავსი სამეურნეო და სოციალური ღირებულებების დამკვიდრებასაც განაპირობებდა (მგელაძე 2015).

ლაზი/ჭანი გასათხოვარი ქალი გამრჯე და მუყაითი უნდა ყოფილიყო, კარგად უნდა სცოდნოდა საოჯახო საქმეები, უნდა გაძლოლოდა ოჯახს და საოჯახო მეურნეობას, აღეზარდა შვილები. ამ თვისებების გამოვლენის საფუძველზე იგი გარშემომყოფთა პატივისცემას იმსახურებდა და მას „ოხო(რ)ჭკუა'ს“ – მეოჯახე დიასახლისს ეძახდნენ. „კულანი ოცხუნ'ს“, ე. ი. ქალის – საცოლის ამორჩევის დროს ვაჟის მხარე მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მომავალი რძალი შრომისმოყვარე ყოფილიყო და ქმრის გარეშეც „ოხო(რ) ოქთა'ს“ ანუ „სახლი ეტრიალებინა“ და „სახლი განეგო“ თავის მხრივ, ქალის მშობლებიც ცდილობდნენ მათი შვილი კარგ „ოხო(რ)მანჯე'ზე“ – სახლის გამგებელზე, სახლის პატრონზე მიეთხოვებინათ. საცოლედ თუ სარძლოდ ქალის ამორჩევის ეს პრინციპი ლაზეთში/ჭანეთში ბოლო დრომდე იყო შემონახული. ამას ასევე გვიდასტურებს ლაზეთში/ჭანეთში ფართოდ გავრცელებული ლექსები, რომელშიც ნაჩვენებია როგორც ზარმაცი და ოჯახისათვის გამოუსადეგარი, ისე გამრჯე, ენერგიული ქალი, რომელთა თვისებები სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე კარგად ვლინდება (თანდილავა 1972: 114-115); (ნარაკიძე 2020: 118).

**ლაზური ტექსტი**

ბიდუშუნამ, გომაშინენ მუთუ რენ,  
ბედელია მცუდიში გოითორენ,  
ნოსი ვარ დო თომა სო ეკათორენ?  
ბაზი ბოზი ჰაშო რენ, ჯუმა ჩქიმი.

**ქართული შესატყვისი**

ვუფიქრდები, ზოგი რამ მახსენდება,  
ბედელი ვარო, – ტყუილად დაეთრევა,  
უჭკუოა, თმები ძირს მიეთრევა,  
ზოგი ქალი ასეთია, ჩემო ძმაო.

ამ მხრივ საინტერესოა იოსებ ყიფშიძის მიერ გამოვლენილი ლექსიც, რომელიც „ბარზე მოცეკვავე“ და ზარმაცისაგან განსხვავებულ გამრჯე ქალს ეხება (ყიფშიძე 1939: 47):

**ლაზური ტექსტი**

ბაზი ქესქინი რენ, გეიხორონ ბელის,  
ვართი ელუდგიტუნ ჰეშო თემბელის.

**ქართული შესატყვისი**

ზოგი გამრჯე არის და ცეკვავს ბარზე,  
არ გაუჩერდება ზარმაცებს გვერდზე.

საცოლის ამორჩევის შემდეგ ლაზური/ჭანური ოჯახი ნიშნობისათვის ემზადებოდა. ლაზეთში/ჭანეთში ნიშნობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, მათ შორის ერთ-ერთ საინტერესო დაბადებამდე ნიშნობა იყო. ლაზურმა/ჭანურმა, ისე, როგორც საქართველოს არაერთი მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიამ, განსაკუთრებით, მთის დასახლებებში, დაბადებამდე ნიშნობის ჩვეულება დიდხანს შემოინახა, რასაც „მეჩქინეი'ს“, ე. ი. დაბადებამდე ნიშნობას ეძახდნენ. დღეს ეს ჩვეულება ლაზებს/ჭანებს თითქმის არ ახსოვთ, მაგრამ საუბრისას ადასტურებენ რომ იგი წარსულში არსებობდა, უფრო ზუსტად, ისინი მოგვითხრობენ, რომ მათ გაუგიათ წარსულში დაბადებამდე ნიშნობის შესახებ, მაგრამ მას ისინი დღეს არ ასრულებენ (მგელაძე 2022).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინი *მეჩქინეი* ბავშვების დაბადებამდე მშობლებს შორის მათი სამომავლოდ დაქორწინების შესახებ შეთანხმებას გულისხმობდა. როცა ორივე წყვილის ცოლი ფეხმძიმედ იყო და მათ კეთილგანწყობილი ურთიერთობების შენარჩუნება და მისი გაგრძელება სურდათ, მაშინ საქორწინო წყვილები შესაძლო დამოყვრების შესახებ ერთმანეთში წინასწარ მოილაპარაკებდნენ: თუ ვაჟი დაიბადებოდა – მეორე ოჯახის სიძე გახდებოდა, ხოლო თუ გოგონა – რძალი (ვანილიში, თანდილავა 1964: 112). ამ სიტყვასთან უნდა იყოს კავშირში ლექსემა *მეჩქინე*, რაც ლაზურში/ჭანურში ნიშნავს: 1. ამოჩემებას, აკვიატებას; 2. სიძულვილს; 3. მიჩენას, გადაკიდებას (თანდილავა 2013: 473). ასევე, ლაზებში/ჭანებში ბოლო დრომდე შემონახული იყო აკვანში დანიშვნის ისეთი წესიც, რაც აკვნების ერთიმეორეზე მიდგმაში იყო გამოხატული. ამას *ონწერიშ ოკოფიშე* ერქვა (ვანილიში, თანდილავა 1964: 112). თურქეთში, ორჭის ხეობაში გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალებით, მშობლები შვილების აკვნებს ერთმანეთს შეადგამდნენ ანდა ერთ აკვანს – „ონწელს“ მეორეს გვერდით დაუდგამდნენ და შემდეგ ჩვილებს დალოცავდნენ, რასაც *ხვამა* ანუ დალოცვა ეწოდებოდა (მგელაძე 2022). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლაზთა/ჭანთა მონათესავე მეორე კოლხურ ეთნოგრაფიულ დაჯგუფებაში – მეგრელებშიც, აკვანში ნიშნობის ტრადიცია დიდხანს იყო შენარჩუნებული, რომლებიც მას, ასევე, „ონწეშ იკოდგუმა'ს“ უწოდებდნენ (ასათიანი 1938: 82); (მაკალათია 1941: 260-261).

ლაზებში/ჭანებში *ბე(ჰ)ე გენჯიუ* ჩვილთა დაბადების შემდეგ გოგოს მხარის მიერ მონყობილი ნიშნობის მიმსგავსებული წვეულება იყო. გოგოს მხარე წვეულებას მართავდა, რასაც *ონწერიშ გენჯიუ*, იგივე *ბე(ჰ)ე გენჯიუ* და *ბეშიქ დავეთ* – აკვანში ნიშნობა ერქვა. ეს მცირე ზომის *ღუგუნი* – წვეულება იყო. ვაჟის მხრიდან მცირეწლოვან საპატარძლოს დაახლოებითათმდე ადამიანი სტუმრობდა, რომელთაც აკვანში მწოლი გოგოს მშობლები და სანათესაო ხვდებოდა, მომსვლელები ვაჟის მაყრებად ითვლებოდნენ, ისე, როგორც ეს ქორწილის დროს ხდებოდა. აკვნით ნიშნობასთან დაკავშირებულ წვეულებაზე ოჯახი ფლავს, ნამცხვრებს და სხვადასხვა სახის კერძებს ამზადებდა და მოსულ სტუმრებს უმასპინძლებოდა, თუმცა ამ ტიპის ნიშნობის დროს მასპინძლები და მოწვეულები ცეკვა-თამაშს არ მართავდნენ. ჩვილ სასიძოსა და პატარძალს სამკაულებს – საყურეებს, სამაჯურებს ჩუქნიდნენ, მხოლოდ ამ საჩუქრებში ბეჭედი არ შედიოდა. განსაკუთრებით ყურადღებიანები მომავალი წყვილის ახლო ნათესავები იყვნენ, რომლებიც თავიანთ

გულთბილობას ოქროულობის ჩუქებით გამოხატავდნენ. ჩუქნიდნენ ისეთ ოქროულობას, როგორც იყო მჭიდვ ბენჯიხი – წვრილი ჯაჭვი, ყუჭიშ დოდოკიდაღე – ყურსაკიდი, ქუნიე, რომელიც არც თუ ისე დიდი ზომის გასაყრელია და თან ფართოც იყო, ბიღებუდი – შესაკრავი სამაჯური, ფართო, წრიული იყო და ხელის მტევანში მთლიანად თავსდებოდა. საჩუქრები სხვა მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა (მგელაძე 2015: 92-93).

აკვანში დანიშნულთა მშობლები მომავალშიც ისე იქცეოდნენ, როგორც მოყვრები, ერთმანეთში მიმოსვლა და სიახლოვე ჰქონდათ. მთხრობელთა გადმოცემით, სარფში ეს ჩვეულება დაუგმიათ, რადგან ბავშვების გაზრდის შემდეგ ხდებოდა ისეც, რომ უკვე გაზრდილ წყვილს ერთმანეთი აღარ მოსწონდათ, შესაძლოა, სხვა რომელიმე მიზეზითაც დანიშნულთა დაქორწინება ჩაშლილიყო, გოგონა სხვა ვაჟს გაყოლოდა, ასევე, ვაჟს ცოლად სხვა გოგონა მოეყვანა, ანდა რომელიმე მათგანს ნაკლი აღმოჩენოდა და ეს ქორწინების ჩაშლის საბაბი გამხდარიყო. ყველა შემთხვევაში, სამოყვროდ თუ საახლობლოდ გამზადებული ოჯახები, დასაშვებია ერთმანეთის მტერიც კი გამხდარიყვნენ, თუმცა ბევრი ყვება, რომ ვითარება ყოველთვის მშვიდობიანად გვარდებოდა. უკვე ზრდასრულ საპატარძლოს აკვანში წილნაყარი, ასევე, ზრდასრული ვაჟი თუ აღარ მოსწონდა, შეეძლო სხვას გაჰყოლოდა, მაგრამ მამისეულ სახლში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი ველ-არასოდეს დაბრუნდებოდა. ამით სისხლისღვრას თავიდან იცილებდნენ (ფოირაზოლი, 2015). ქორწინების ჩაშლის შემთხვევაში, საპატარძლოსათვის ნიშნობის დღეს ბოძებული ოქროს სამკაულები და სხვა საჩუქრები საქმროს მხარეს უკან არ უბრუნდებოდა.

ლაზებში/ჭანებში საქორწინო წყვილთა შერჩევის შემდეგ საშუამავლო პროცესი იწყებოდა, რომელიც რამდენიმე საფეხურს მოიცავდა. ტრადიციულ საზოგადოებაში საქორწინო წყვილის დანიშვნაშიც უპირატესობა მშობლებს ენიჭებოდა. ლაზ/ჭან წყვილთა დაქორწინების საქმეში მაქანკლის – „ელჩი'ს“ როლი განსაკუთრებული იყო. ტერმინი ეღრი ქოროხის აუზის მოსახლეობის საქორწინო ლექსიკაში საკმაოდ გავრცელებულ სიტყვას წარმოადგენდა. ვაჟს თუ ქალიშვილი მოეწონებოდა, ამას უთუოდ სახლში გაამხელდა, ოჯახიც თადარიგის დაკავებას იწყებდა და, თანხმობის შემთხვევაში, მომავალი სარძლოს ოჯახთან მოლაპარაკებას შუამავალს სთხოვდა. ოჯახებს შორის ამ ტიპის მოლაპარაკებას ლაზებში/ჭანებში ოკოსინაფუ ეწოდებოდა (მგელაძე 2022), თუმცა მოლაპარაკების დაწყებამდე ვაჟის მშობლები გაიკითხავდნენ ჰყავდა თუ არა ქალიშვილს შეყვარებული და შემდეგ ქალის მშობლების ოჯახში გასაგზავნად გამოცდილ პირს შეარჩევდნენ, დედის ანდა მამის ძმას – „ჯუმად'ის“, თუმცა ეს აუცილებელ წესს არ წარმოადგენდა და ცალკეულ შემთხვევაში ოჯახი ელჩობას როგორც ახლობელ მამაკაცს, ისე ქალს ავალებდა. იგი, უმეტესად, ხანდაზმული ქალი ანდა ხნიერი კაცი იქნებოდა, მაგრამ ავტორიტეტული და საზოგადოებაში დაფასებული საპატივცემულო პიროვნება უნდა ყოფილიყო. შუამავლის შერჩევა ნათესაური პრინციპის მიხედვით არ ხდებოდა: ელჩი შეიძლება ნათესავიც ყოფილიყო და არანათესავიც, მეზობელიცა და მოყვარეც, მაგრამ მაინც უპირატესობა დედისა და მამის ძმას – „ჯუმად'ის“ ენიჭებოდა. აქ უმთავრესი ელჩისადმი ოჯახის ნდობის ხარისხი იყო. ელჩი ტრადიციულად ფულის სახით საზღაურს არ ღებულობდა, თუმცა როცა წამოწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდებოდა და გარიგება მოხდებოდა, ქორწილის შემდეგ განსაზღვრული საჩუქარი მასაც შეხვდებოდა. ჩვეულებრივ, საჩუქარს სასიძოს მხარე გაიღებდა.

შუამავლობის დაწყების დროს, მომავალი საპატარძლოს ოჯახში პირველად მისვლისას, ელჩს ტკბილეულობა თან მიჰქონდა. იგი მზის ჩასვლისას მიდიოდა, სახლში მარჯვენა ფეხის შედგმით შედიოდა და დამხვდურთ მიესალმებოდა. მასპინძელიც თავს დაუკრავდა და სახლში შეიპატიჟებდა. საუბარი ჯერ განყენებულ საკითხებზე დაიწყებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ ერთ-ერთი ელჩი იტყოდა: „ჩვენ კარგ საქმეზე მოვედითო, შენი ქალიშვილი გვინდაო“. თუ მასპინძელი სასიძოს ოჯახს კარგად იცნობდა და ბიჭიც მოსწონდა, მაინც იტყოდა, რომ პირდაპირ პასუხს ვერ მოცემთო, ჩემი ნათესავების აზრსაც გავიგებო. ოჯახს ქალიშვილის გათხოვება თუ არ უნდოდა, მაშინ მიზეზად სახლის მშენებლობას ანდა სხვა რამეს დაასახელებდა, შეეძლო პირდაპირ უარიც ეთქვა (ვანილიში, თანდილაჟა 1964: 113-114), ე. ი. ქალიშვილის მხრიდან თავდაპირველად ელჩს რომ პირობას არ აძლევდნენ, ამის



მოტივი სხვადასხვა იყო, უპირატესად, ოჯახის დროებითი ეკონომიკური მდგომარეობა. უარის მოტივაცია აუცილებელი იყო, რადგან უმოტივო უარით შესაძლებელია ქალიშვილის მთხოვნელის ახლო ნათესაური წრე განაწყენებულიყო. სინამდვილეში უარის მიზეზი, დასაშვებია, სულ სხვა ფაქტორიც ყოფილიყო. მაგალითად: ვაჟის მხარის ავკარგიანობის მოკითხვა, გვარ-ჯილათის შემონახვა და სხვა მისთანანი (მგელაძე 2015: 98).

ამდენად, თუ საქმეს წარმატებით დასრულების პირი არ უჩანდა, მაშინ ელჩს მის მიერ მიტანილ ტკბილეულობას უკან დაუბრუნებდნენ, მაგრამ თუ საქმე წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო, მაშინ ტკბილეულობას გახსნიდნენ და ისევ მომტანს – ელჩს მართმევდნენ. ლაზურ/ჭანურ სოფელ სარფში გამოვლენილი ზეპირსიტყვიერი წყაროებიდან ჩანს, რომ თუ საპატარძლოს ოჯახი თანახმა იყო, მაშინ ბენჯის მოსასხამით, მდიდრულად მოსულ ელჩს ვერცხლის სკამს შესთავაზებდნენ, საწინააღმდეგო შემთხვევაში, ელჩისთვის ხის ქერქის სკამი იყო განკუთვნილი, რითაც, ალბათ, ელჩს გასათხოვარი ქალიშვილის მამისეული სახლის განწყობას მიახვედრებდნენ. სწორედ ამ ამბების ამსახველია მზია ჭლარკავას მიერ 2001 წელს 82 წლის ნაიმე კადირის ასული ნარაკიძისაგან სოფელ სარფში ჩაწერილი იუმორისტული ლექსები (ჭლარკავა 2000); (ჭლარკავა 2001); (ჭლარკავა 2005), რომლის ვარიაციები უფრო ადრე, 1977 წელს აიშე ნარაკიძისაგან ცილა ნარაკიძემ სოფელ სარფში ჩაიწერა (შიოშვილი 2015: 384):

**ლაზური ტექსტი**

ელჩი მოხთუ ქაურქენი,  
მეფჩი გუმშიშის თონი;  
ვა მომწომწონდუ შკულე,  
მეფჩი ქერქიში თონი.

**ქართული შესატყვისი**

ელჩი მოვიდა ქურქითა (ბენჯის მოსასხამით),  
მივანოდე (მივეცი) ვერცხლის სკამი;  
რომ (როცა) აღარ მომეწონა,  
მივანოდე (მივეცი) ქერქის სკამი.

ლაზებში/ჭანებში საპატარძლოს ოჯახი სავარაუდო თანხმობის შემთხვევაშიც ელჩს, თავდაპირველად, პირობას რომ არ აძლევდა და აწვალებდა, ამას კიდევ იმიტომ აკეთებდა, რომ ვაჟის მხარის წარმომადგენელს აიძულებდა ერთი და იგივე საკითხის თაობაზე რამდენჯერმე სტუმრებოდა. როგორც ჩანს, ასე თავის დაფასების მიზნით იქცეოდნენ. საბოლოოდ, როცა ელჩი დადებითი პასუხის მიღებას მიაღწევდა, ნიშნობის შესახებ მოლაპარაკება იწყებოდა. საპატარძლოს მხარისაგან სასიძოს სახლში მას ნიშნობის შესაძლებელი თარიღის შესახებ შეთანხმებაზე დასტური ანუ დათქმული სიტყვა მიჰქონდა, რასაც ლაზურად/ჭანურად *ნენა გეგვადუ* – სიტყვის დათქმა ერქვა (მგელაძე 2015: 98), ე. ი. საშუამავლოდ გაგზავნილი ადამიანი, რომელიც უპირატესად დედის ანდა მამის ძმა – *ჯუმადი* იქნებოდა, თანმხლებ პირებთან ერთად, საპატარძლოს ოჯახთან შეთანხმდებოდა და ქორწინებაზე მათგან პირობას აიღებდა (მგელაძე 2022). ქალის დანიშნამდე კი შუამავალი – ელჩი ქალიშვილის მამას თავსახურავს, კერძოდ, ერთ-ორ ცალ „იაზმა'ს“ ჩააბარებდა, ასევე, „მეციგალე'ს“ – ძვირფას ქინძისთავს, რომელსაც ლაზურად/ჭანურად *ფეი ეწოდებოდა*. ამის შემდეგ უკვე ნიშნობის მოწყობაც შეიძლებოდა, თუმცა დანიშნა დასაშვებია უფრო გვიანაც შემდგარიყო. თუ ქალიშვილს სხვა მთხოვნელიც ჰყავდა, მაშინ დანიშვნას დააჩქარებდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 114).

ლაზურ/ჭანურ საქორწინო ურთიერთობათა სფეროში ერთ-ერთი რიტუალური საფეხური ნიშნობა, ე. წ. *აღდი (ახთი) ოხვენუ* (//*ახგი ოხვენუ*) ანუ „აქტის კეთება“, იგივე, *ნიშანი ოხვენუ* იყო. ამ დროს საგანგებო შეთანხმება იდებოდა. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში *ნიშანი ოხვენუ* ქორწინების მეორე ეტაპადაა მიჩნეული (თანდილავა 1972: 121). ნიშნობას *ნიშანი* და „დუგუნი'ც“, ერქვა, რადგან ამ დღეს *ნიშანი* მიჰქონდათ და თანაც მხიარულობდნენ (მგელაძე 2015: 98). სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ლაზებში/ჭანებში ნიშნობისათვის საუკეთესო დღეებად ხუთშაბათი – *უმქესე(ხ)ი*, ანუ ცის დღე – *ჩაჩხა* და კვირა – *ბჟაშხა*, ანუ *მჟაჩხა* – მზის დღე, ხოლო წელიწადის დროთა შორის ყველაზე მეტად ხელსაყრელად საახალწლო პერიოდი – იანვარი მიიჩნეოდა (რურუა 2005: 10).

ეთნოგრაფიული წყაროებით წარსულში საქორწინო საკითხებს სწორედ ჩაჩხა ანუ

უმქესე(რ)ი დღეს წყვეტდნენ, თუმცა ზეპირსიტყვიერ მასალებს თუ დავეყრდნობით, ასეთ კარგ დღეებად ლაზებს/ჭანებს „მჟაჩხა'ც“ (მზის დღე, კვირა) მიაჩნდათ (ვანილიში, თანდილავა 1964: 161); (თანდილავა 1972: 121-122); (ნარაკიძე 2020: 118). ლაზური/ჭანური ხალხური ლექსებიდან ისიც ჩანს, რომ წელიწადის დროთა შორის, საქორწინო საკითხების მოსაგვარებლად ყველაზე უფრო „წანაღანი“ – ახალი წელი ანუ იანვარი ყოფილა მიღებული (თანდილავა 1972: 122); (ნარაკიძე 2020: 119). ქალ-ვაჟის „აქტის კეთება“ ანუ ნიშნობა ჩვეულებრივად ქალის ოჯახში ხდებოდა. მასში ხშირად გარკვეულ როლს მოლა ანდა ხოჯა ასრულებდა, რომელსაც ამ შემთხვევაში სამართლის დამცველის როლი ეკისრებოდა და ქალ-ვაჟის ნათესავ-ახლობლებს შორის დადებული პირობის – „აქტის“ მოწმედ გამოდიოდა. ცხადია, ადრე ლაზეთში/ჭანეთში საქორწინო „აქტის კეთება“ სულ სხვა გარემო-პირობებში ხდებოდა და მასთან დაკავშირებული რიტუალებიც განსხვავდებოდა. ამაზე მიუთითებს ამ საკითხებთან დაკავშირებული ფოლკლორული რეპერტუარიც (ჩიქობავა 1936: 145; თანდილავა 1972: 122-123). ამავე დროს, აუცილებელი იყო ნიშნობის ეტაპზე წყვილთა კავშირი სასულიერო პირებისგან – „ხოჯების“ მიერ შექმნილი ოფიციალური დოკუმენტით – „აღდი ნიქახი'თ“ („ნიშნობის აქტით“) დამოწმებულიყო, რომელიც მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების მრავალ მხარეს ითვალისწინებდა.

ნიშნობისათვის ხუთშაბათი დღე მუსლიმური სარწმუნოების ლაზი/ჭანი წარმო-მადგენლებისათვისაც მისაღები იყო. აქ ტრადიციას უფრო მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე რელიგიას. როცა სამოყვროდ გამზადებული ლაზი/ჭანი ოჯახები ნიშნობის შესახებ წინდაწინ მოილაპარაკებდნენ, მაშინ ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს „ხოჯას“ მოიყვანდნენ. ხოჯის მოსვლისას 20-30 ადამიანს დაპატიჟებდნენ, უპირატესად ხანდაზმულებს. ლაზური/ჭანური სამოყვრო ოჯახები ხუთშაბათ დღეს, საღამოთი „ახთი ოხვენუზე“ დაპატიჟებული 20-30 მოხუცი კაციდან, ორ პიროვნებას დაასახელებდნენ. ერთს ქალის მხრიდან, მეორეს ვაჟის მხრიდან. პირველი ქალის „ბაბალული“ – მამობილი იქნებოდა, მეორე კი ვაჟის „ბაბალული“. ხოჯა აქტს – „ახთს“ წერდა. ნიშნობის პროცესში ახთის დაწერისას შესაძლოა „ჩაკეტვა“ მომხდარიყო. „ახთის“ დაწერის დროს ხოჯა ჯერ თვითონ „ჩაკეტავდა“ და „ახთის“ წერას მერე დაიწყებდა. ამისათვის ხელსახოცს ანდა კანაფს გამოსკვნიდა, რის შემდეგ უკვე „ჩაკეტვა“ სხვას აღარ შეეძლო. საქორწინო წყვილის ბოროტის მსურველი მიმდინარე მოვლენებს აკვირდებოდა, ყველას უთვალთვალებდა. ამიტომ, ახთის წერის წინ ხოჯა თუ არ „ჩაკეტავდა“, მაშინ ბოროტი სული თავად ჩაკეტავდა, ე. ი. ხელსახოცს ანდა კანაფს გამოსკვნიდა. ლაზებში/ჭანებში ახთის დროს პირველი სიტყვა საპატარძლოს მხარეს ეძლეოდა, რადგან უნდა გარკვეულიყო თუ რამდენი სურდა მას მისი ქალიშვილის „ნიქაბი'სათვის“.

ნიქაბი განსაზღვრული თანხა იყო, რომელიც კაცს ცოლთან გაყრის შემთხვევაში უნდა გადაეხადა. ქალიშვილის „ბაბალული“ ნიქაბის ათვლას ათასი ლირიდან – ათასი ოქროდან იწყებდა, ვაჟის მხარე კი – ასი ლირიდან. საბოლოოდ დამსწრენი ამ თანხის საშუალო ციფრს დაადგენდნენ, მინიმუმს 11 ლირა წარმოადგენდა. მხედველობაში ღებულობდნენ აგრეთვე ამ ოჯახიდან უკვე გათხოვილი დის, ანდა ბიძაშვილის „ნიქაბის“ რაოდენობას. აქტში ჩაიწერებოდა: სიძის მხრიდან დედოფლისათვის მოტანილი ნასყიდობის (2 ბეშლული, 50 მანეთი ოქროთი, ყელზე დასაკიდი ოქროს საათი, ოქროს ქატერია და სხვა წვრილმანები) ღირებულება. მსგავსი საჩუქრების მოტანა ლაზებში/ჭანებში დიდი ხნის მანძილზე იყო შემონახული. ასი წლის წინ ვაჟის მხარეს უნდა მოეტანა ვერცხლის ქამარი, იდანჯული – ყელზე დასაკიდი ძეწკვი. ლაზურ/ჭანურ ქორწინების დროს ნიშანი უპირატესად ოქროს ნივთი იყო, უფრო ოქროს ბეჭედი. აქტის შედგენის შემდეგ ხოჯა ორივე მხარეს თანხმობის ჩვენებას სამჯერ ჩამოართმევდა, რაც აქტში აისახებოდა. ამის შემდეგ ლოცვა იწყებოდა, დანარჩენები კი მლოცველებს „ამინ'ით“ ეხმიანებოდნენ. ლოცვის დასრულებისას „შარბათს“ მიირთმევდნენ. შარბათის სმის პროცესში რამდენიმე კაცი თოფს იმის ნიშნად ისროდა, რომ „ამა და ამ ადამიანის ქალიშვილი ამა და ამ ადამიანს მიათხოვეს“.

ლაზები/ჭანები მოგვითხრობდნენ: რადგან ნიშნობასთან დაკავშირებული წვეულება საპატარძლოს მხარეს იმართებოდა, ამიტომ ნიშნობის ფინანსურ პოზიციასაც

საპატარძლოს ოჯახი უზრუნველყოფდა, ხოლო ქორწილის – სასიძოს მხარე. ლაზებმა/ჭანებმა იცოდნენ „დიდი ნიშანიც“, რასაც „დიდი დუგუნი“ მოყვებოდა ხოლმე. ადრე სუფრასთან მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ. თუ ნიშნობა კარ-მიდამოში ტარდებოდა, მაშინ მასში დაახლოებით ოცი-ოცდაათი ადამიანი მონაწილეობდა. დღეს უკვე ნიშნობისა და ქორწილის მოწყობა, განსაკუთრებით, თურქეთის მხარეს, სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ნაგებობებში დაიწყო, რომელსაც საღონი ჰქვია. მას შემდეგ, რაც ქორწინების სფეროში სალონის კულტურა შემოიჭრა, ნიშნობებსა და ქორწილებში სტუმართათვის საჭმელი აღარ კეთდება, ოჯახი მომსვლელებს ძირითადად ტკბილეულით ხვდება. საქართველოს მხარეს ლაზურ/ჭანურ ქორწილებში სალონის ფუნქციას რესტორნები ასრულებს, სადაც მრავალრიცხოვან სტუმარს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ქართული ტრადიციული კერძებით უხვად უმასპინძლებიან. ირჩევენ თამადას, სუფრის წინამძღოლს და ღვინით, გემრიელი საკვებითა და ტკბილეულით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ილხენენ.

ლაზი/ჭანი საპატარძლოს ოჯახი საქმროს ოჯახში მისატანად სასაჩუქრე „ბოხჩა“ს ამზადებდა. ჯერ ვაჟის მხარე საპატარძლოს ოჯახში „სანდულს“ – სკივრს აგზავნიდა, რომელშიც ტანსაცმელს აწყობდნენ. პატარძალს იგი საქმროს ოჯახში „ჩეიჯი“თ – მზითვით მიჰქონდა (მგელაძე 2022). საერთოდ, ბოხჩა დედამთილისა და მამამთილის, მამლისა და მულისათვის, ზოგჯერ კი – მათი შვილებისათვისაც იყო განკუთვნილი. ბოხჩის შემადგენელი სასაჩუქრე ნივთები წინასწარ მზადდებოდა, განსაკუთრებით, ისინი, რომლებიც იქსოვებოდა, რაც მომავალი საპატარძლოს ხელსაქმისადმი ნიჭიერი დამოკიდებულების ამსახველი იყო. თითქმის ყველა ქალი ქსოვდა, ზოგი სწრაფად, ზოგი ხარისხიანად, მაგრამ მომავალი საპატარძლოს დახმარება, ქსოვაში ხელის შეწყობა ნამდვილად საპატიო საქმედ ითვლებოდა. ქორწილის პერიოდში ყველაზე უკეთეს და კეთილშობილებით გამორჩეულ მქსოველს მოიყვანდნენ – „კარგი ფეხისაა და სხვების ქსოვის საქმეც წინ წაიწევსო“. ბოხჩაში შედიოდა: თეთრეული – *ღანთეღი ეთელი*, ბალიში – *იასთული*, ტანსაცმელი – *ღორქუნუ*, შიდა საცვალი – *ღორბენი (ღორქუნუ)*, ფეხსაცმელი – *ფოთინი*. ბოლო ხანებში მოდაში ჰალსტუხის, ე. წ. „კოლა“ს ჩუქებაც შემოვიდა. საპატარძლოს სანახავად ვინც მიდიოდა, ისინი მის მიერ ცხვირსახოცით – „მენდილი“თ, წინდებით – „წინეკი“თ დასაჩუქრდებოდა. ხელსაქმე, გულუხვობა საპატარძლოს კარგ ქალობაზე მეტყველებდა და საზოგადოებაში მისი დაფასების ხარისხი ამგვარი ნიშან-თვისებებით, ასევე, შრომა-საქმიანობით, გარჯილობით, ქმარ-შვილისადმი გამოსატული სიყვარულით, მრავალშვილიანობით განისაზღვრებოდა (მგელაძე 2015: 99).

ლაზებში/ჭანებში ნიშნობის დასრულების შემდეგ თავს იჩენდა განრიდების ჩვეულება. საპატარძლო ვაჟის ნათესავებსა და თვითონ ვაჟსაც ერიდებოდა, მორცხვობდა, არც ერთ მათგანს ხმას არა სცემდა, ვაჟიც საცოლის ნათესავებს ემალებოდა, მაგრამ საცოლესთან განრიდების წესს იგი არ იცავდა (ვანილიში, თანდილავა 1964: 114-115), ვაჟი გაურბოდა დანიშნული ქალის ნათესავებს, მაგრამ არა დანიშნულს. ამგვარი განრიდების პირობებში ლაზებში/ჭანებში დანიშნვიდან ორი-სამი თვის შემდეგ სიმამრი სიძეს დაპატიჟებდა. სასიძო თავის ტოლ-ამხანაგებს თან წაიყვანდა. სტუმრები საპატარძლოს ოჯახში სამ დღეს რჩებოდნენ, მესამე დღეს სადილის შემდეგ კი სტუმრებს თეფშით შაქარლამას მიუტანდნენ. სტუმრები საპატარძლოს მოითხოვდნენ. ოჯახის რძალი, ანდა ბიცოლა საპატარძლოს შემოიყვანდა, რომელიც სტუმრებს შუბლზე ხელის მიდებით მიესალმებოდა. ასეთ სალამს *თემენა* ეწოდებოდა. ამ დროს ყველა გაჩერდებოდა და ერთხმად წარმოსთქვამდა: „მაშალლა“, „მაშალლა“. ცოტა ხნის შემდეგ საპატარძლოს თავყრილობის ადგილიდან გაიყვანდნენ, სტუმრები კი თეფშზე საჩუქრად ფულს დაყრიდნენ. იმ ღამეს სასიძოსა და საპატარძლოს ერთად ტოვებდნენ. დილით სტუმრები სიძესთან ერთად თავიანთი სახლებისაკენ გაუდგებოდნენ გზას. სტუმრობის დასრულების შემდეგ სასიძოს მამისეულ სახლში საცოლესთან მისვლა შეეძლო. სიდედრი სასიძოს ყოველთვის ტკბილეულით უმასპინძლებოდა (ვანილიში, თანდილავა 1964: 115).

ამდენად, ლაზი/ჭანი საქორწინო წყვილის ნიშნობის შემდეგ მომავალი პატარძლის ოჯახში სასიძო, ე. წ. *ნიშანიღი*, *ნიშანშიღი* სიტყვა იწყებდა სიარულს. ქორწინებამდე ასეთი

ვიზიტები ბოლო პერიოდში უკვე დაფარული აღარ იყო. საცოლესთან შეხვედრის მიზნით სასიამოროს ოჯახში საქმროს მისვლა-მოსვლას ქოროხის აუზის ზოგიერთ კუთხეში შემონახული ტერმინი ნიშანდობა აღნიშნავდა, რაც ლაზეთში/ჭანეთში ყველგან არ ახსოვთ (მგელაძე 2022). „ნიშანლობის“ გვერდით ლაზეთში/ჭანეთში, განსაკუთრებით სოფელ სარფში, ამ მოვლენის აღსანიშნავად ძველი ლაზური/ჭანური ტერმინი „სიჯალიკობა“ შემოინახა. ლაზურ/ჭანურ წეს-ჩვეულებათა ციკლში დადასტურებული სიჯალიკობის საინტერესო ტრადიცია, რაც ნიშნობის შემდეგ ქორწილამდე – წყვილთა ოფიციალურად შეუღლებამდე, მომავალი ცოლ-ქმრის ფარულ ინტიმურ კავშირში იყო გამოხატული, დღეს მივიწყებულია და ადგილობრივ მოსახლეობას იგი ბუნდოვნად ახსოვს, თუმცა წარსულში სიჯალიკობა, რომლის ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისი „სიძეობაა“, ქორწინების ინსტიტუტთან პირდაპირ იყო დაკავშირებული. იგი ლაზურ/ჭანურ საქორწინო რიტუალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწესჩვეულებო ეპიზოდს წარმოადგენდა. სასიძოს მიერ საპატარძლოს მამისეულ ოჯახში ჩუმი ვიზიტები ხუთშაბათს ხდებოდა, რომლის შესახებაც ყველამ იცოდა, მაგრამ საცოლის ახლო ნათესაობა და საოჯახო წრე ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა (მგელაძე 2015: 100). ზეპირსიტყვიერი მასალებიც გვისაბუთებს, რომ ლაზეთში/ჭანებში ხუთშაბათი სიძეების დღე იყო. სიძამრის სახლში სხვა დღეს ვიზიტი სასიძოს საფრთხეს უქადდა. ამდენად, ლაზ/ჭან სასიძოს დანიშნულთან შეხვედრა ყოველ ხუთშაბათს შეეძლო. ხუთშაბათი დღე და, საერთოდ, სიძის ფარული ვიზიტები საპატარძლოს მამისეულ ოჯახში ლაზურმა ხალხურმა ფოლკლორმა ასე ასახა (ჭლარკავა 2005: 102):

**ლაზური/ჭანური ტექსტი**

**ქართული შესატყვისი**

ამსეი უმქესეი,  
სიჯალეფეში სეი,  
ბაშქა სეის ვარ მეხთა,  
თის გექჩაფან ქესეი.

დღეს არის ხუთშაბათი,  
სიძეების ღამეა,  
სხვა საღამოს არ მოხვიდე,  
თავში ჩაგარტყამენ უროს (ეჩოს).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ნიშნობა ხუთშაბათს უნდა განხორციელებულიყო, ასევე, დანიშნულებს მხოლოდ ხუთშაბათს შეეძლოთ შეხვედრა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დღეს განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ქორწინების მისტიკურ ბუნებასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ ლაზურ/ჭანურ ფოლკლორში ხუთშაბათ ღამით სასიამოროს სახლში სიძის ვიზიტი ბორცვზე ამოსულ „მთვარე მარიამობისა“სთანაა“ გაიგივებული. ესეც სათანადოდაა ასახული ზემოთ მოყვანილი ლექსის გაგრძელებაში, რომელიც სატრფოსთან ლტოლვას გადმოგვცემს. სასიძო ღამობს არა ჩვეულებრივ მთვარიან ღამეს, არამედ მისი გულის სწორი მარიამობის მთვარეს მოინახულოს (ჭლარკავა 2005: 102):

**ლაზური ტექსტი**

**ქართული შესატყვისი**

რაკანის თუთა ქეხთუ  
თუთა მარიამინაში,  
მან ნოსის გამაულუ,  
იარი გომაშინაში.

ბორცვზე მთვარე ამოვიდა  
მთვარე მარიამობისა,  
მე ჭკუიდან ვიშლები,  
როცა სატრფოვ გამახსენდები.

ლაზებში/ჭანებში ხუთშაბათი – უმქესე(ხ)ი ცის დღედ „ჩაჩხა“დ ითვლებოდა. ამდენად, ლაზი/ჭანი სასიძო ცდილობდა გულისსწორი არა ჩვეულებრივ მთვარიან ღამეს, არამედ მარიამობის მთვარეს ენახა. ლექსის მიხედვით ბუნებრივად უნდა დავასკვნათ, რომ ბორცვზე მთვარის ამოსვლა სასიძოსათვის სიძამრის სახლში მისვლის დროის დადგომას უნდა მოასწავებდეს. ასე მოუთმენლად იგი ამიტომ ელის მთვარის ამოსვლას. ეს ღამე მისთვის წმინდა, გულისსწორთან შეხვედრის ღამეა და მარიამობის მთვარედ მისი ამ ხალხურ ლექსში გააზრება შემთხვევითი არ უნდა იყოს (ჭლარკავა 2005: 102). აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ლაზებმა/ჭანებმა კულტურულ, მათ შორის, ზეპირ-

სიტყვიერ მემკვიდრეობაში ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ქრისტიანული სიმბოლოები სათუთად შემოინახეს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა გამომდინარე იქიდანაც, რომ ლაზეთი/ჭანეთი უკვე საუკუნეებია მოწყდა ქართულ-ბიზანტიურ ქრისტიანულ სამყაროს. მისი ძირითადი ტერიტორია ლაზური/ჭანური მოსახლეობით რამდენიმე საუკუნის მანძილზე ოსმალეთის მუსლიმანურ გარემოცვაში იყო მოქცეული და დღესაც თურქეთის შემადგენლობაშია. ამ საკითხებთან დაკავშირებით ფოლკლორულ ლიტერატურაში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ლაზურ საქორწილო ლექსში ნახსენები მარიამი ღვთისმშობლის სახეს უნდა წარმოადგენდეს და, შესაძლებელია, მუსლიმანურ გარემოცვაში წარმოდგენილი მისი პრიორიტეტული არსებობა ყურანში ქრისტეს დედის – „მერიემის“ (მარიამის) სახელის არაერთგზის მოხსენიებასაც განეპირობებინა. იგი ცნობილი იყო მუსლიმანური სამყაროსათვის და წმინდა გიორგისაგან და სხვა ქრისტიანული პერსონაჟებისაგან განსხვავებით მას აკრძალვებიც ნაკლებად უნდა შეხებოდა (ჯღარკავა 2005: 102).

მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილაზას მონაცემებით, სოფელ „აზლაღა“ს“ მაღლობზე, რომელსაც თურმე XVII საუკუნის დასასრულს „აბუისლაჰ“ დაარქვეს, რაც არაბულად „წმინდა წყალს“ ნიშნავს, ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები – *ოხვამე* მდებარეობს. ეკლესიის ქვევით, ზღვის მახლობლად, რომელსაც „ისინა“ს“ უწოდებენ, კლდეზე ადამიანის სახეები, მათ შორის, ორი ქალის სახეა გამოსახული. ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით, კლდეზე გამოსახული ადამიანები წმინდანები ყოფილან. ქალებიდან ერთი ღვთისმშობელი – „მერიემი“ (მარიამი) იყო, ხოლო მეორე – თამარ მეფე (ვანილიში, თანდილაზა 1964: 105-106).

ლაზი/ჭანი სასიძო სიჯალიკობის, იგივე, ნიშანლობის პერიოდში სიმამრის სახლში სარკმლიდან იპარებოდა, რაც მისი ვიზიტის უჩინარობას უნდა გულისხმობდეს. ეს სიუჟეტი მკაფიოდაა ასახული ზემოთ დასახელებული ლაზური ლექსის გაგრძელებაში (ჯღარკავა 2005: 103) და ციალა ნარაკიძის მიერ ჩანერილი ლექსის კიდევ ერთ მსგავს ვარიანტში (ნარაკიძე 2015: 28):

**ლაზური ტექსტი**

ფენჯეშენ ამულუნ  
ბოზოს ნიშანი მუში,  
სანდულის ქოგელაძინ  
შექელემეფე მუში,  
დარი ამახთაშკულე,  
ვარ მოსწონს იარი მუში,  
ფენჯეშენ ოცხოხტუნ,  
ძიაში იარი მუში,  
სანდულის ქოგესქიდუ  
შექელემეფე მუში.

**ქართული შესატყვისი**

სარკმლიდან შედის  
გოგოს დანიშნული,  
სკივრზე დევს  
მისი ნამცხვრები (შაქარლამები),  
სატრფო როცა შევა,  
არ მოეწონება დანიშნულს,  
სარკმლიდან ბიჭი გადმოხტება,  
როცა ნახავს მის დანიშნულს,  
სკივრზე დარჩება ხელუხლებელი  
მისი შაქარლამები.

ლაზეთში/ჭანეთში სასიძოს მხრიდან საპატარძლოს ოჯახში სასიძოს ასეთი ვიზიტების დროს ხდებოდა ისეც, რომ საპატარძლო ქორწილამდე დაორსულდებოდა ხოლმე. მომავალ საქმროს მამისეულ სახლში საცოლვე ემსახურებოდა და მასპინძლობდა კიდევ, მაგრამ გაცილებით ადრე მსგავსი სტუმრობა, საზოგადოების მიერ სირცხვილად მიიჩნეოდა, რადგან იგი ნაადრევად გაჩენილი ბავშვის – „კოპელე“ს“ დაბადების საწინდარი შეიძლება გამხდარიყო. ეს ჩვეულება, რომელსაც ლაზები/ჭანები, სიჯალიკობის გვერდით „ნიშანლობის“ სახელწოდებითაც იცნობენ, ფართოდ იყო გავრცელებული ლაზების/ჭანების მეზობლად განსახლებული და მათი მონათესავე ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფის – აჭარლების საოჯახო ყოფასა და ტრადიციულ საქორწინო ცხოვრებაში (ნოღაიდელი 1935: 27-28), ისე როგორც ქოროხის აუზის სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებში, სადაც მას ასევე ნიშანდობა ეწოდებოდა. მეზობელი აჭარის-წყლის ხეობის მოსახლეობაში სიჯალიკობის შესატყვისი ნიშანლობა მასთან მრავალმხრივ მსგავსებას ავლენდა. აქაც, სასიძოს მხრიდან ფარული ვიზიტები არასასურველ საქციელად

ითვლებოდა, და ასეთი ვიზიტების შედეგად ნაადრევად დაბადებულ ბავშვს „სასელა'თი“ აღნიშნავდნენ. სასელა აქარულ დიალექტში ნაადრევ მსხალს ნიშნავს. აღნიშნულ საკითხზე, როგორც ადრეული საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მოვლენაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას მზია ბექაია და ვლადიმერ მგელაძე ამახვილებდნენ. ვლადიმერ მგელაძე, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის კვალდაკვალ, აღნიშნულ ჩვეულებას დედისეული ოჯახის ნაკვალევად მიიჩნევდა და ამ წესს მთის აჭარაში ურვადისა და მზითვის არსებობით ხსნიდა (მგელაძე 1996: 226).

მზია ბექაიას შეხედულებით კი, რომელიც ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისებიდან გამომდინარეობდა, აქარული ნიშანდობა წარსულში არსებული დისლოკალური დასახლების პერიოდისათვის დამახასიათებელი ქორწინების ნიშნებს ატარებდა, რაც, მისი აზრით, „სანიშანლოდ“ პირველად მისვლის, ე. წ. „დაპაიჯნის“ წესში დასტურდება. ნიშანდობის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო ეკონომიკური ფაქტორებითაც, რადგან გამოსასყიდისა და მზითვის მომზადება გარკვეულ დროს საჭიროებდა, განსაკუთრებით, თუ პატარძლის ოჯახს ეკონომიკური პრობლემები ჰქონდა. ავტორის თანახმად, ამას აგრეთვე ემატებოდა სურვილი, რომ ქალი-მუშახელი, ოჯახიდან რაც შეიძლება დიდხანს არ გაეშვათ. აქედან გამომდინარე, მზია ბექაიას მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ნიშანდობა დისლოკალურ დასახლებას გენეტიკურად უკავშირდებოდა, უკვე ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის იგი სულ სხვა ფუნქციას ატარებდა, რაც შეიძლება მისი ხანგრძლივად შენარჩუნების წინაპირობაც იყო. მზია ბექაიას შეკრებილი მასალებით, ნიშანდობის ჩვეულება კარგად შემოინახა ზემო აჭარამ, ნაკლებად – ქვემო აჭარამ, კინტრიშის ხეობაში კი იგი არ გვხვდება (ბექაია 1964: 13-14).

აჭარაშიც ნიშანდობა (ნიშშადობა) ნიშნობისა და ქორწილის შუა პერიოდში საცოლის ოჯახში სასიძოს სიარულს გულისხმობდა. მალული ვიზიტების ხანგრძლივობა წელიწადსა და უფრო მეტ დროს შეადგენდა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა სქესობრივ ურთიერთობასაც, რაც ხშირად საპატარძლოს მამის ოჯახში მშობიარობითაც მთავრდებოდა. ცხადია, ნიშანდობის ჩვეულება საკმაოდ ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების ნიალიდან გამომდინარეობს. ამიტომ, სპეციალურ ლიტერატურაში შემთხვევით არაა ფეხმოკიდებული შეხედულება, რომლის თანახმადაც სიჯალიკობისა და ნიშანდობის მსგავსი ჩვეულებები დისლოკალურ დასახლებაში, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე უნდა გაჩენილიყო, როცა მატრილოკალურიდან პატრილოკალურ დასახლებაზე გადასვლა მიმდინარეობდა. სიჯალიკობისა და ნიშანდობის ანალოგიური წესების ანარეკლს საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ვხვდებით, ისე როგორც კავკასიისა და, საერთოდ, მსოფლიოს ხალხებში, რაც მკვლევრებს საშუალებას აძლევს იგი უნივერსალურ მოვლენად მიიჩნიონ. ამდენად, ლაზურმა/ჭანურმა ეთნოგრაფიამ სარფში უძველესი საქორწინო ტრადიციის ფრაგმენტები შემოგვინახა, რომელთაც ძველი და უძველესი საზოგადოებების საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ადრეული სოციუმების წევრთათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის, მათი მენტალობისა და, საერთოდ, ინდივიდთა ერთობის არქაული აგებულების შესწავლისათვის დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს (სარფი 2015: 103).

ლაზებში/ჭანებში ნიშნობის შემდეგ სამოყვრო ოჯახებისა და საქორწინო წყვილისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქორწილი – ჭანდა, იგივე, თურქულის გავლენით დამკვიდრებული – *ღუგუნი* იყო. ლაზებში/ჭანებში ახალ მთვარეს ქორწილი არ შედგებოდა, ასევე არ შეიძლებოდა ქორწილის მოწყობა ახალი თვის 3, 5, 7, 16 და 21 რიცხვებში და კიდევ – თვის მიწურულს, ოთხშაბათ დღეს. მათთან ეს დღეები უკულმართად ითვლებოდა. სასურველი დრო შემოდგომა იყო, ე. ი. ქალის დანიშვნის შემდეგ, შემოდგომაზე, სამოყვრო ოჯახები – ორივე მხარე ქორწილისათვის ემზადებოდა. ვაჟის მხარე დედოფლისათვის მისატანს ამზადებდა: ერთ აბრეშუმის, ორ ჩითის კაბას, საგარეო და საშინაო ფეხსაცმელებს და აბრეშუმის ჩადრს – „ჩარჩაბს“. დედოფლის მშობლებიც ქალიშვილს მზითვად ატანდა ორ ქვეშაგებელს საბნით, კამოდს, სარკეს, საწოლს, ათ სპილენძის თეფშს თავსახურით, ხუთ უბრალო თეფშს, სამ ქვაბს: დიდს, პატარასა და შუათანა, ტაშტს: დიდს და პატარას,

აგრეთვე, ქორწილის დღეს მას 300-500 ცალ შაქარლამას, 100-200 ჩურჩხელას, ჩირს, 5-6 ოყა მოხალულ თხილს აახლებდნენ (ვანილიში, თანდილაჟა 1964: 115-116).

ქორწილისთვის დანიშნულ დღეს ორივე მხარე თავის ნათესავ-მეზობლებს დაპატიჟებდა. დედოფლის მხრიდან დაპატიჟებულებს, ახალნათესავებს დედოფლისათვის მიჰქონდათ საცვლები, ხალათი და 50-100 ცალი შაქარლამა, მეზობლებს – აბრეშუმის ცხვირსახოცი, ზოგს პირსახოციც. ვაჟის მხრით დაპატიჟებულებს კი – სურსათ-სანოვაგე: ბურელი, ბაქლაჟა, ქათამი და კვერციხი. დანიშნულ დღეს ნეფის მხრიდან დედოფლის ოჯახში თუ პატარა ქორწილი იყო 15 კაცი სტუმრობდა, ხოლო თუ დიდი – 40-50 კაცამდე. დედოფლის მხარე სტუმრებს ბაქლაჟით უმასპინძლდებოდა. არსებობს მონაცემები, რომლებიც გვიდასტურებს, რომ XX საუკუნის შუა ხანებამდე ქალის ოჯახში დიდი ხარჯებით დიდი სუფრა არ იმართებოდა, ვაჟის ოჯახს კი – მეტი სურსათ-სანოვაგის მომარაგება და მომზადება სჭირდებოდა. საქორწილო სამზადისს სახლის უფროსი ხელმძღვანელობდა. ადრე, მანამ, სანამ ლაზები/ჭანები ქორწილების კეთებას რესტორნებსა და სალონებში დაიწყებდნენ, ტრადიციული ლაზური/ჭანური ოჯახი სუფრას სასტუმრო ოთახში ანდა დიდ ოდაში შლიდა, ძირითადად იქ, სადაც შუაცეცხლი ანდა ბუხარი იყო გამართული. დიდ ოდაში – „ხომანდურში“ სუფრა განსაკუთრებით წვიმიან ამინდებში იშლებოდა (მგელაძე 2022). სახლში გრძელ მაგიდას ირგვლივ დამზადებულ დანულ სკამებს დაუდგამდნენ, რომლებიც საპატიო სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. სტუმრებს – ნათესავებს, მეზობლებს ქორწილამდე სამი დღით ადრე ეპატიჟებოდნენ. ქორწილში თითოეული ოჯახიდან ორი ადამიანი მაინც იქნებოდა წარმოდგენილი (რურუა 2005: 13).

ქორწილის დღეს ლაზი/ჭანი მაყრები – *მაყა(ხ)ი* ცხენებით დედოფლის მამისეულ სახლში მიემგზავრებოდნენ. მაყართა ძირითადი შემადგენლობა ახალგაზრდობა იყო. უკვე ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვაჟის მხარე ცდილობდა მაყრად რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი გაეგზავნა, რადგან ქალის მხარე სამჯერ მეტს გამოუშვებდა, ე. ი. პატარძლის მაყრების რაოდენობა სამჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე საპატარძლოს მამის სახლში მოსული ნეფის მაყრები იყვნენ. *ნოღამე* – პატარძალი, რომელსაც ლაზურად ასევე *ნოღამისა* (*ღოღოფარი*) ეწოდებოდა, ძირითადად, გარე სოფლებიდან მოჰყავდათ. პატარძალი სასიძოსათვის მაყრებს უსაფრთხოდ უნდა მიეგვარათ. პატარძალი განსაკუთრებული ტანსაცმლით იმოსებოდა. სამოსს ვაჟის ოჯახი იძენდა, ანდა მას ახლობლები უკერავდნენ. ლაზი/ჭანი პატარძალი ქორწილის დღეს თავისი და საქმროს მიერ გამოგზავნილი სამოსით საგანგებოდ ემზადებოდა და იკაზმებოდა. მამიდაშვილები ფეხს დაბანდნენ, წინდასა და ფეხსაცმელს შორის ფულს ჩაუდებდნენ, რომელსაც პატარძალი ქორწილის პროცესში ფეხსაცმლით თან ატარებდა. სარძლო საქმროს სახლულში მაყართან ერთად ამ ფულიანი ფეხსაცმლით მიემგზავრებოდა. ეს წინასწარ იმიტომ ხდებოდა, რომ საქმროს სახლში მისთვის ახალგაზრდა გოგონას ფეხი უნდა დაებანა, ხოლო პატარძალს ფეხსაცმელში ჩადებული ფული უნდა ეჩუქებინა.

ქორწილის ღამეს პატარძალს მზითვი სკივრით – „სანდულით“ თან მიჰქონდა, რომელსაც ლაზები/ჭანები თურქულის გავლენით „ჩეიზი“ ეძახდნენ. ჩეიზში შედიოდა: საძინებლის მოწყობილობა, ბალიში, ფარდა, ხალიჩა (ნოხი), მოჩუქურთმებული სკივრი, ე. წ. *სანდული*. სასიძოს სიჯა ერქვა. არსებობდა გამოთქმა „სიჯა და ნოღამისა“, რაც სიტყვა-სიტყვით „სიძე-დედოფალს“ ნიშნავს (მგელაძე 2015: 103).

საპატარძლოს წამოსაყვანად მაყრიონი სასიძოს გარეშე მიემართებოდა, ე. ი. პატარძლის მოსაყვანად მაყართან ერთად სასიძოს გამგზავრება მიზანშეწონილი არ იყო. მის მაგივრობას მშობლები და უფროსი ასაკის ნათესაობა სწევდა, თუმცა ზოგიერთი რესპოდენტი განმარტავს, რომ მაყრიონში დედამთილის გარდა ახლო ნათესაობიდან ყველა მონაწილეობდა, მათ შორის, სასიძოცა და მომავალი მამამთილიც, ზოგჯერ კი პროცესში მომავალი დედამთილიც ერთვებოდა (ფოირაზოთლი 2015); (მგელაძე 2022). ლაზთა/ჭანთა საქორწინო ტრადიციებში ყურადღებას „დადე“ („დადი“/„დადიანი“) პერსონაჟიც იქცევს. მას ქორწილისა და ქორწინების პროცესში უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებოდა. ლაზებში/ჭანებში ღაღე სასიძოსაც ყავდა და საპატარძლოსაც. გოგონას მხარის დადე, დასაშვებია, მისი თანატოლი – მეგობარი

ყოფილიყო, მაგრამ ძირითადად ამ მოვალეობას უფროსი ქალი, ხშირად, ბიცოლა, ანდა მამიდა და დეიდა ასრულებდა, უპირატესად ორი ქალი (მგელაძე 2022). საერთოდ, ქორწინების პერიოდში „დადობა“ მთელ სამხრეთ საქართველოში, განსაკუთრებით, ქოროხის აუზის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. ისე, ლაზების/ჭანების მაყრიონში თუ მხედველობაში არ მივიღებთ დადებებს, ქალები შედარებით მოკრძალებულად მონაწილეობდნენ. დედოფალთან ახლოს გამუდმებით მისი და, რძალი და ბიძაშვილი იდგა. ერთ-ერთი მათგანი „მდადე“ იყო.

ლაზურ/ჭანურ საქორწინო რიტუალებში საპატარძლოს წასაყვანად გამზადებულ მაყრიონს წასვლის წინ სახლეულის უფროსი – პაპუღი (პაპა/ბაბუ) ლოცავდა (რურუა 2005: 13). პატარძალი სასიძოს მამისეულ სახლში თავდაბურული მიჰყავდათ. თავსაბურს ფაგა ეწოდებოდა. იგი პატარძალს მის წინაშე მდგარმა მომავალმა ქმარმა უნდა ახადოს. დედოფალს ზოგჯერ ჩადრითაც შემოსავდნენ. ჩადრს პატარძალს ძმა ანდა ბიძაშვილი დაახურავდა. საერთოდ, ჩადრიან ქალებს შორის დედოფლის გამოცნობა სხვა ფერის ქოლგით შეიძლებოდა. იგი მუდამ ქალებს შუა იდგა. როცა მაყრიონს პატარძალი სამყოფი ოთახიდან გამოჰყავდა, მაშინ აუცილებლად ვაჟებს, ძირითადად, დედოფლის ძმას – „ჭუმას“ ანდა ბიძაშვილს – „ჭუმადიში ბიჭს“ ოდის გასასვლელ კარებში – ოთახის კარის ორივე მხარეს ხანჯლები უნდა გაერქო, ხოლო ბიჭის მხარეს ხანჯლები ფულის ყველაზე დიდი კუპიურით უნდა გადაეხურა (მგელაძე 2022; 2023).

ამის შემდეგ კარებიდან ხანჯლებს ამოადრობდნენ, უფრო ზუსტად, სახლიდან დედოფლის გამოყვანის დროს კარებში მისი ახლო ნათესავი გაჩერდებოდა, კედელზე დანებს მიაკრავდა და დედოფალს არ უშვებდა, მასთან ნეფის მამა ანდა ბიძა მიდიოდა და ეკითხებოდა: „რა უნდა მას“. კარის დამჭერი „კაფიხარჯს“ – კარის ხარჯს მოითხოვდა. ნეფის მამა ანდა ბიძა ფულს ამოიღებდა და მეკარეს ჯიბეში ჩაუდებდა. ვაჟის მამა, ვიდრე სარძლოს წაიყვანდა, გამოსასყიდს რამდენჯერმე იხდიდა (რურუა 2005: 13). ამ დროს კარის დამჭერს შეეძლო მას რაც სურდა ის მოეთხოვა: საათი, რევოლვერი, რაც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ამის შემდეგ დედოფალი მშობლებს ეთხოვებოდა. დედა-შვილი ერთმანეთს ტირილით ემშვიდობებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ცოდვად ითვლებოდა (ვანილიში, თანდილავა 1964: 116). პატარძლის გაზრდისათვის დედისათვის განკუთვნილი საჩუქრის არსებობა ლაზებში/ჭანებში ჯერ-ჯერობით ვერ დავადასტურეთ.

პატარძლის მამისეული სახლიდან წამოსული მაყრები დედოფალთან და მდადეებთან ერთად სასიძოს კარ-მიდამოსა და სამოსახლო უბანში – „ოფუტეში“ მიემგზავრებოდნენ. ლაზურ/ჭანურ შავიზღვისპირა სოფლებში ეს ტრადიციული ნავებით – „სანდალით“, ბოლო პერიოდში კი – ე. წ. „ფელუკებიის“ სახელით ცნობილი ნავების მეშვეობით ხორციელდებოდა, რაც ფოლკლორულ შემოქმედებაშიც კარგად ჩანს (თანდილავა 1972: 124-125):

**ლაზური ტექსტი**

მაყარეფეთე დოფშა ქომოფთით დალი-დალი, მანი-მანი, ბიჭეფე, ქელებონჭათ სანდალი!  
 სი გემიჯის ვარ ნუნგაფ, ვარ-შა ქორტა ფირალი?  
 მა მჯვეშ გემიჯი ვორე, მოთ მიწუმერ ფირალი?  
 ოთხო კატი მოდათენ დელქენი გახმარენი?  
 მომოკიდი არ შირა. ძირი. ვარ მამტინენი!

**ქართული შესატყვისი**

მაყრებით სავსე (ნავით) მოვედით ნაპირ-ნაპირ,  
 ჩქარა-ჩქარა, ბიჭებო, ამოვსწიოთ სანდალი!  
 შენ მენავეს არ გავხარ, ხომ არა ხარ ფირალი?  
 მე ძველი მენავე ვარ, რად მიწოდე ფირალი?  
 იალქანს გამოიყენებ, ოთხსართულად განყობილს?  
 ნახე როგორ გავიქცე, თუ მომკიდებ ზურგზე ქერივს!

ლაზური/ჭანური ჩვეულების მიხედვით, პატარძალი მაყრებს სასიძოს სახლში ღამით მიჰყავდათ, ამიტომ, პატარძალს გაჩირაღდნებულ ნავში ღამით ჩასვამდნენ, თანმხლები მაყარიც მას სიმღერითა და სამხიარულო განწყობით ნავებით აცილებდა (მგელაძე 2022), ე. ი. ნეფე შორეული სოფლიდან თუ იყო, მაშინ მაყრები პატარძლის სოფლისაკენ ნავით გაცურდებოდნენ, თუ არადა ფეხით მიემგზავრებოდნენ, მაგრამ დედოფალი და მდადე აუცილებლად ცხენზე უნდა მსხდარიყვნენ და ისე უნდა ემგზავრათ. პირველ შემთხვევაში



ნავი დაიტვირთებოდა და მენავები ნავს წრისებურად ატრიალებდნენ მანამ, სანამ ნეფის მაყრები მათ ფულით არ დაასაჩუქრებდა, შემდეგ კი ყველანი წყლის ზედაპირზე ნავებით სწრაფად გასრიალდებოდნენ. მენავე მაყრებს გემიჯი მაყა(h)ი ეწოდებოდა. ლაზურ/ჭანურ ქორწილში მაყრები პატარდლის მამისეული სახლისაკენ ზღვით ნავებით თუ მიემგზავრებოდნენ, მაშინ ეს მგზავრობა საინტერესო სარიტუალო სახეს ღებულობდა (მგელაძე 2023). უკვე დადგენილია, რომ ლაზური/ჭანური საქორწილო-საწესჩვეულებო ლექსების ნაწილი უშუალოდ ქორწილის ცერემონიალთან არის დაკავშირებული და მაყრულ ლექს-სიმღერებს განეკუთვნება. ამ ხასიათის ლექს-სიმღერის ზოგიერთი ნიმუში დიალოგურ ხასიათის ატარებდა, თავისი შინაარსით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლაზეთის/ჭანეთის ყოფა-ცხოვრებასთან და მენავე-მაყრების სიმღერას წარმოადგენდა (თანდილავა 1972: 125). არამართო ნავებით, არამედ ფეხითა და ცხენებით გამგზავრებული მაყრებიც გზაზე ცეკვავდნენ, მაყრულს მღეროდნენ.

ლაზი/ჭანი მაყრები როცა სასიძოს სახლს მიუახლოვდებოდნენ, დოლის – „დაული“ს“ დაკვრას იწყებდნენ, რაც მხიარულების დაწყების მომასწავლებელი იყო. ისინი სიძის სახლიდან 200-ს მეტრში შეჩერდებოდნენ და გზის შეკეთებას მოითხოვდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 16). ლაზებში/ჭანებში ვაჟის მშობლები იმის შიშით, რომ მათი რძალი და შვილი ვინმეს არ „დაეკოჭა“ ცდილობდნენ ნეფე-დედოფალი ჩვეულებრივი გზით არ გაეტარებინათ. ჩაკეტვა, იგივე, დაკოჭვა ანუ ონკიდუ-ოკიუ ლაზების/ჭანების რწმენით, დიდ ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ ზოგიერთი ამ რიტუალს მაინც მიმართავდა. ტყვიას შუაზე გაჭრიდა და ერთნაწილს გზისმარჯვნივ, იმადგილას, სადაც ნეფე-დედოფალს უნდა გაევიდოდა, იქ დადებდა, მარცხნივ კი – მეორე ნაწილს მოათავსებდა. ნეფე-დედოფლის ჩავლის შემდეგ ამ ტყვიის ნაწილებს აიღებდნენ და დადნობის შემდეგ ისევ შეაერთებდნენ. ლაზის/ჭანის შეხედულებით, ამით ნეფე-დედოფალს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობა დაირღვეოდა. დაკოჭილის გახსნა არც შეიძლებოდა. არსებობდა „დაკეტვის“ მესამე ხერხიც: გზაზე, სადაც ნეფე-დედოფალს უნდა გაევიდოდა, ერთ მხარეზე ბოქლომს, მეორეზე კი მის გასაღებს დადებდნენ. დედოფლის გავლის შემდეგ ბოქლომს დაკეტავდნენ და ამით ბედ-ილბალი უნდა „დაკეტულიყო“. ლაზები/ჭანები სრულიად დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩაკეტვის შემდეგ ცოლ-ქმარს შორის ყოველგვარი დამოკიდებულება დაირღვეოდა. ლაზები/ჭანები სწორედ დაკოჭვის შიშის გამო ცდილობდნენ ნეფე-დედოფალი ჩვეულებრივი გზით რომ არ გაეტარებინათ. ამისათვის ისინი ეზოში შემოსასვლელად სხვა გზას გამონახავდნენ და სახლის მარჯვენა კართან ასე მივიდოდნენ. აქ, საქორწილო მაყრულ სიმღერათა შორის სპეციალურ ყურადღებას „თირამოლა“ იმსახურებს, რომელსაც სასიძოს სახლთან მიახლოებისას მაყრები ასრულებდნენ. დედოფალს ჭიშკართან შეაჩერებდნენ და სიმღერით პირველად „დამთირეს“ – დედამთილს უხმობდნენ (თანდილავა 1972: 125):

**ლაზური ტექსტი**

მულუნ მოლა, მოხთას მოლა,  
დამთირე მოხთას, თირამოლა!

**ქართული შესატყვისი**

მოდის მოლა, მოვიდეს მოლა.  
დამთირე მოვიდეს, თირამოლა!

მაყრები ამ სიტყვებს ორჯერ იმეორებდნენ. თირამოლას, ზემოთ მოყვანილი სიმღერის ახალი ვერსია თუ ძველი ვერსიის გაგრძელება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო ცნობილი, ცილა ნარაკიძემ 2016 წელს სოფელ სარფში ჩაიწერა (ნარაკიძე 2016: 120-121). ლექსში ყურადღებას იქცევს შეძახილები „მოლა“ და „თირამოლა“. „მოლა“ იტალიური სიტყვაა და ხანმოკლე შეფერხებას, შესვენებას ნიშნავს. ლაზურში/ჭანურში იგი ღუზის აღმნიშვნელია: „მოლა ოსთომილუ“ ნიშნავს ღუზის სროლას, ღუზის ჩაშვებას. ლაზურში/ჭანურში „მოლა“ს“ ასეთი მნიშვნელობა შემთხვევითი არ არის: ღუზის ჩაშვება ხომ დროებით შეფერხებას, ხანმოკლე შესვენებას ნიშნავს. ქორწილში სასიძოს ეზოსთან შეჩერებაც ასეთ ხანმოკლე შესვენებას გულისხმობდა და საქორწილო სიმღერაში ეს შეძახილი სწორედ ანალოგიის საფუძველზე უნდა დამკვიდრებულიყო. რაც შეეხება „თირამოლა“ს“, იგი კომპოზიტი ჩანს: თირა-მოლა. ეჭვს არ იწვევს, რომ „თირა“ იგივეა, რაც „ოთირუ“ – თრევა. ამრიგად, „თირამოლა“ ღუზის თრევას უნდა ნიშნავდეს (თანდილავა 1972: 127-128).

ლაზური/ჭანური საქორწილო რიტუალის პროცესში, ასევე თირამოლას ამ სიმღერაში, ნათლად ჩანს ლაზი/ჭანი დედამთილის – „დამთირე“ს“ გამოკვეთილი როლი. პატარძლისა და დედამთილის ურთიერთშეხვედრა რიტუალურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო სასიძოს ოჯახში ახალი წევრის ჩასართავად. თირამოლას სიმღერის შესრულების პროცესში დედამთილი გამოჩნდებოდა და პატივისცემის ნიშნად პატარძალს ეზოში ფეხს შეადგმევინებდა. დედამთილი პატარძალს მიუახლოვდებოდა, თავის სარძლოს გადაკოცნიდა და ეტყოდა: „შურიმშინე ნისა ჩქიმი“ – სულის მხსენებლო ჩემო რძალო, შემდეგ თავზე შაქარს, კამფეტსა და ლითონის ფულს გადააყრიდა. ძველად ლაზეთში/ჭანეთში დედოფალს თავზე ხორბლის, ღომის, ბრინჯის ანდა სიმინდის მარცვლებს აყრიდნენ: აქაოდა სახლს ბარაქა – „ბერექეთი“ დაებედოსო (რურუა 2005: 14). ბუნებრივია, კამფეტი და მისთანები ამ რიტუალში შედარებით გვიანდელი ჩანართია. ეს წესი საქართველოს არაერთ კუთხეში დღემდეა შემონახული, განსაკუთრებით კი ლაზთა/ჭანთა უშუალო მონათესავე მეგრეთა ყოფაში (სახოკია 1956:100). ცხადია, მოტანილ რიტუალს მაგიური ხასიათი ჰქონდა და სამეურნეო დანიშნულებისა იყო. საპატარძლოს თავზე ღომის მარცვლისა და ფულის გადაყრა ოჯახის, შთამომავლობის გამრავლების სურვილს გამოხატავდა (თანდილავა 1972: 126).

ლაზი/ჭანი დედოფალი ოჯახში მარჯვენა კარით უნდა შეეყვანათ. შესვლისას კი – კარის კედელზე აქაც დანებს მიაკრავდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 116-117); (მგელაძე 2022; 2023). არსებობს სავსელე წყაროები, რომლებიც ასევე გვისაბუთებს, რომ სასიძოს სახლშიც სიძე-პატარძალს დედამთილი ხანჯლების ქვეშ გაატარებდა, ხოლო შემდეგ ამ ხანჯლებს მამამთილი და მამული კარებზე დაასობდნენ (რურუა 2005: 14). დედოფალი სახლის ყველაზე დიდ ოთახში შეყავდათ, კერძოდ, საერთო მხიარულების პროცესში მამამთილი გამოჩნდებოდა, საპატარძლოს ხელს მოჰკიდებდა და ოთახში შეიყვანდა. ოთახში შესვლისას ვაჟის მხრიდან თოფს ისვროდნენ. თოფის სროლას მაყრებიც იწყებდნენ. ნეფე-დედოფალს ყველანი კარებთან შეეგებებოდნენ და დალოცავდნენ. აქვე იმღერებდნენ და ნეფე-დედოფალს დალოცავდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 118; ნარაკიძე 2020: 121).

ლაზმა/ჭანმა პატარძალმა ზღურბლს მარჯვენა ფეხით უნდა გადააბიჯოს. მომავალი დედამთილი მას ხელს ანთებული შუაცეცხლის კერაზე ანდა ბუხარზე, მოგვიანო ხანაში – ღუმელზე მიადებინებდა. როცა დედოფალს კერასთან მიიყვანდნენ ზოგჯერ იქვე დასვამდნენ. კერასთან ზიარებით პატარძლის ახალ სახლეულში ინტეგრაციისა და ინკორპორაციის ინსცენირება ხდებოდა (ჩიტაია 1941: 310); (ხარაძე 1939: 105); (მელიქიშვილი 1972: 74-77); (მგელაძე 2004: 170-171). როგორც ჩანს, აქ მართლაც ახალ ოჯახში კერიისა და ფუძის ანგელოზისათვის პატარძლის მიბარების არქაული წესი სრულდებოდა (ნარაკიძე 2020: 121). ოთახში, სადაც კერია მდებარეობდა, ერთ-ერთი დედმამიანი ბიჭი იქვე მჭდომ პატარძალს ფეხსაცმელს გახდიდა. დედოფალი მამისეული სახლიდან წამოღებულ ფულს ფეხსაცმლიდან ამოიღებდა და ბავშვს ხელში ჩაუდებდა. თინა შიოშვილის თანახმად, ეს საერთო-ქართული და ზოგად-კავკასიური წესი მითოსური ბუნებისაა და მიანიშნებს იმ წმინდა კერიაზე, რომელიც „ულახავი“ ანუ ფეხდაუდგმელი ადგილი იყო (სარფი 2015: 390).

კერიასთან ზიარების შემდეგ პატარძალი ცალკე ოთახში გაყავდათ, სადაც იგი სხვა ქალებთან და მდადეებთან ერთად განმარტობით იმყოფებოდა, უფრო ზუსტად, სიძე პატარძალს ქალების ოთახში მიაცილებდა. ქალები სიმღერით ხვდებოდნენ, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი ასახულია კიდევ მუხამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას ლაზების ისტორიის, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (ვანილიში, თანდილავა 1964: 118). რიტუალთა შესრულების ამ ციკლის ფარგლებში თუ დედოფალს მამამთილი ჰყავდა, მაშინ მას ცეცხლთან დასვამდნენ და რძალს მიუყვანდნენ. მამამთილი პატარძალს ფულით ასაჩუქრებდა. საღამოთი ამ სახლში მეზობლები, ნათესავი ვაჟები და ქალები იყრიდნენ თავს, ბაასობდნენ და თამაშობდნენ. მათ თეფშით ხილუულს, შაქარლამას მოუტანდნენ, ოთახში დედოფალს შემოიყვანდნენ. ვაჟები ხილს მიირთმევდნენ და იმავე თეფშზე ფულს შეძლებისდაგვარად დებდნენ. დედოფალი თითოეულ მათგანს შუბლზე ხელის მიდებით მადლობას უხდიდა. საჩუქარი განსაზღვრული

არ იყო, ვისაც რამდენი სურდა, თეფშზე იმდენს დადებდა. რატომ აძლევდნენ დედოფალს საჩუქარს ფულის სახით? თითოეული ნათესავი ვალდებული იყო რძალი ენახა, ნახვის დროს კი საჩუქარი იყო საჭირო, მაგრამ მნახველს რაიმე ნივთი რომ ეყიდა, მას უნდა ცოდნოდა მის რძალს რა ჰქონდა და რა – არა. ამიტომ დედოფალს ფულს აძლევდნენ, ამ ფულით რძალი იმას იყიდოდა, რაც სურდა. თავის მხრივ, სტუმრებს დედოფალიც ასაჩუქრებდა, ძირითადად აბრეშუმის ხელსახოცით, ჩურჩხელით და შაქარლამით, ხოლო თუ ხნიერი კაცი იყო – პირსახოცით და ტკბილეულით (ვანილიში, თანდილავა 1964: 119).

ლაზურ/ჭანურ ქორწილში სასიძოს კარ-მიდამოში მყოფი მაყრები აგრესიულად ქცევას იწყებდნენ. მაყრების ამგვარი აგრესიული ქცევები, რასაც ლაზების/ჭანების გარდა საქართველოს არაერთ კუთხის მოსახლეობის საქორწინო რიტუალებში ჰქონდა ადგილი, თანმიმდევრულად ასე წარმოგვიდგება: მაყრებიდან ერთ-ერთ წარმომადგენელს მასპინძელი სახლში შეუშვებდა, რომელიც მაყრებისათვის ოთახს ირჩევდა. შემდეგ კარ-მიდამოში მყოფი მაყრები ძროხას, ხარს ანდა ცხვარს მოითხოვდნენ. მასპინძელი მათ სურვილს ასრულებდა და მაყრებს ძროხას, ხარს ანდა ცხვარს მიუყვანდა. ისინი შეათვალისწინებდნენ პირუტყვს და პატრონს უკან უბრუნებდნენ. მაყრებს შეეძლოთ მორთმეული საქონელი – ძროხა, ხარი ანდა ცხვარი იქვე დაეკლათ ანდა უკან დაბრუნებისას წაეყვანათ, თუმცა, ხშირად, საქონელს საპატარძლოს სახელზე იმავე ოჯახში დატოვებდნენ. ეს რიტუალი კიდევ უფრო ფართო ყოფილა და მაყრები ძროხის, ხარის და ცხვრის გარდა, სიმბოლურ ტყვეებსაც ითხოვდნენ – ერთ ანდა ორ ყმანვილს. მოიყვანდნენ პატარა ბალებს. მაყრები ამათაც უკან უბრუნებდნენ. ბოლოს კი ისინი თავად სიძეს მოითხოვდნენ (რურუა 2006: 240).

საქორწინო რიტუალების პროცესში ლაზი/ჭანი მაყრები „მთირს“ – მამამთილსა და „სიჭას“ – სიძეს თავისთან დედამთილთან შეხვედრის დროს იხმობდნენ. სიძე მასზე მალალ კაცს გამოჰყავდა. იგი სიძეს წინ დაუდგებოდა, რათა სიძე დაეფარა. სიძე მათ მიესალმებოდა და მიდიოდა. მაყრები სიძეს ხელმეორედ მოითხოვდნენ: „ჩვენმა სიძემ მხოლოდ სალამი მოგვცა, სახლში არ მიგვიპატიჟაო, შეიძლება მუნჯიაო“. ამჯერად სიძე მაყრებს ესალმებოდა და ეუბნებოდა: „მობრძანდით“. ზოგიერთ სიძეს შერცხვებოდა და ვერც ამას ამბობდა, ამიტომ მას გამოსვლა რამდენიმეჯერ უხდებოდა. სიძის მოყვანის გარდა მაყრები ამავე დროს სიძის თოფის მოტანასაც ჯიუტად ითხოვდნენ, რაც მათ მიერ წარმოთქმულ ლექსშიც კარგად ჩანს (თანდილავა 1972: 127). მასპინძლებს სიძის თოფი მოჰქონდათ, დატენილი, რომელსაც მაყრების მეთაურს გადასცემენ. იგი ჯერ თოფს შეათვალისწინებდა და შემდეგ სახლის საკვამლე მილს უმიზნებდა. მას სხვებიც ბაძავდნენ და მთელი შეიარაღებული მაყარი საკვამლე მილს ერთად ესროდა. თუ მილი წაიქცეოდა, მაშინ მაყრები თავს გამარჯვებულად თვლიდნენ და სხვადასხვა ნივთების – დამბაჩისა და დანის მოთხოვნას კვლავ სიმღერით „ჰელესსა“ თქმით განაგრძობდნენ. ამ დროს მაყრები წყალსაც მოითხოვდნენ. მათ წყლის ნაცვლად ტკბილ სითხეს – „შარბათს“ მიუტანდნენ. შარბათის დაღვევის შემდეგ მაყრები რამდენიმე ჭიქას ტეხდნენ. თუ ებოს ღობე ჰქონდა შემოვლებული ანდა რაიმე შენობა იდგა, მაშინ ღობეს მოარღვევდნენ, შენობას კი დაანგრევდნენ. ლაზებში/ჭანებში ქორწილის პირველივე დღეს ვაჟის მშობლები ცდილობდნენ აგრესიულად განწყობილი მაყრების ნაწილი როგორმე ოჯახში შეეტყუებინათ. ისინი კი ამ დროს იმ მოსამსახურეებს ეძახდნენ, რომლებიც ასანთის ანთებითა და წყლის დასხმით მათ უნდა მომსახურებოდა. ცეცხლის მომკიდებელს ჩუბუქი ეწოდებოდა, ხოლო წყლის დამსხმელებს – სუჯი (ვანილიში, თანდილავა 1964: 117).

შემდეგ მაყრები ხალიჩას ანდა ქილოფს მოითხოვდნენ, რომელსაც სახლის შესასვლელთან, კარებთან აგებდნენ. ვაჟის მაყრები ერთ მხარეზე გაიწევდნენ, დედოფალი, დადე და მათი თანმხლები ქალები ხალიჩაზე დადგებოდნენ. ოჯახიდან დედამთილი გამოვიდოდა და დედოფალს ღომის მარცვალში გარეულ ხურდა ფულს დააყრიდა. ასევე იქცეოდა ვაჟის მამა, ხოლო შემდეგ სიძეც, რომელსაც ღომის მარცვალში არეული წვრილი ფული „აბაზიანები“ თუ „ორშაურიანები“ დედოფლისათვის უნდა მიეყარა. ამ ფულს მექორწინები სწრაფად აიტაცებდნენ, რადგანაც მათი წარმოდგენით ეს თავის ტკივილის წამალი იყო. გარდა ამისა, ღომის მარცვალს და ფულს დედოფალს

იმიტომ აყრიდნენ, რომ ვითომ ასე გამრავლდესო. სხვადასხვა რიტუალური საფეხურის ერთ მონაკვეთში სიძეს დანას მიუტანდნენ. ოთახში შესვლისთანავე სიძე დანის წვერით დედოფალს მანდილს ახდიდა და ამავე დანით კედელზე მიაკრავდა. მდადე პატარძალს გამოაწყობდა. თავზე „კაზს“ – აბრეშუმით ნაქსოვ გამჭირვალე ქსოვილს დაახურავდა და ასე მორთულს გამოიყვანდა. ქალები მას უყურებდნენ და ჩურჩულებდნენ: „აბა ამას დაშვენდა დედოფლობაო“. დედოფალი დილამდე ფეხზე უნდა მდგარიყო (ვანილიში, თანდილავა 1964: 117-118). ქალის მაყართა აგრესიული ქცევები მეორე დღესაც გრძელდებოდა. ქორნილში ღამენათევი მაყრები გამთენიისას ქათამს ცალი ფეხით დააბამდნენ, მხრებში ნემსს ჩაარჭობდნენ ისე, რომ ქათამს ეფართხალა და თოფის სროლით ადვილი მოსაკლავი ყოფილიყო, რასაც სამხიარულო მოქმედებად მიიჩნევდნენ (მგელაძე 2020).

ლაზურ/ჭანურ ქორნილში სასიძოს ოჯახში სუფრა იყო გაშლილი. ისინი მაყრის მოსვლამდე ახლო მეზობლებს უმასპინძლდებოდნენ, მათი მოსვლის შემდეგ კი სუფრაზე მაყრები დასხდებოდნენ. სიმღერა „თირამოლა“ს, აგრეთვე, სუფრაზეც ასრულებდნენ, როცა „მეზე“ს სახით სხვადასხვა საჭმელების მოთხოვნას იწყებდნენ. სუფრაზე ჯერ „ბურელს“ მიიტანდნენ, შემდეგ თანდათან თხუთმეტი სახეობის საჭმელი მიჰქონდათ. შემოიტანდნენ ფლავსაც. ერთ-ერთი მაყარი ფლავზე კოვზს დაასობდა. გიემღვინუ – კაცი, რომელიც სუფრას ემსახურებოდა, მას შეეკითხებოდა, თუ რას მიირთმევდა. ისიც რამდენიც სურდა იმდენ ბაქლავას მოითხოვდა, 10-15 მოხარშულ ქათამს, 1-3 თიკანს, 1-5 ფუთამდე თუთუნს, ხილს. ერთი სიტყვით, რაც მათ სურდათ. ამის გარდა, ამ ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასაც ითვალისწინებდნენ, შეეძლო თუ არა ოჯახს ყოველივე ამის გადახდა. აქედან ნაწილს, თითქმის 50% ოჯახს უკან უბრუნებდნენ. ამ ამბების დასრულებისას სიძეს დაუძახებდნენ, რომელმაც სუფრა უნდა ასწიოს. სიძე სუფრას ხელს მოჰკიდებდა და უკან გაბრუნდებოდა. მაყრების მომსახურეობის შემდეგ სუფრასთან თვით მოსამსახურე კაცები სხდებოდნენ, რომელთაც სხვადასხვა საჭმელების შემდეგ ფლავს მიუტანდნენ. ფლავის თეფშზე კოვზს დაასობდნენ და შაქარლამას, 100-200 ცალ ჩურჩხელას, თხილს, ჩირს და სხვა იმ ხილულს მოითხოვდნენ, რაც დედოფლის სოფელში მოიპოვებოდა. აქედანაც ნახევარს დედოფალს უკან უბრუნებდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 119). ლაზურ/ჭანურ საქორნილო სუფრაზე კაცების შემდეგ მაყარი ქალები სხდებოდნენ, ხოლო მათ შემდეგ ის ქალები, რომლებიც მაყარ ქალებს ემსახურებოდნენ. პარალელურად ცეკვა-თამაში, სიმღერა და სხვადასხვა გართობანი იმართებოდა. მეორე დღეს მაყრები უკან ბრუნდებოდნენ.

ლაზი/ჭანი ოჯახი და დედოფლის ახლობლები მაყრების წასვლის შემდეგ ნეფე-დედოფლის განმარტოებისათვის თადარიგს იკავებდნენ. ქორნილის დასრულების შემდეგ ქმართან გატარებული პირველი ღამე ყველასათვის, განსაკუთრებით, ოჯახისა და ახლო სანათესაო წრისათვის იყო მნიშვნელოვანი. ნეფე-დედოფლის ოთახს მზითევში მოტანილი ავეჯით რთავდნენ. ყოველივე ამას მდადე ხელმძღვანელობდა. საძინებელ ოთახში პირველად ნეფეს შეუშვებდნენ, შემდეგ მდადეს დედოფალი შეჰყავდა. ნეფე ამ დროს კარებთან მიიმალებოდა, ანდა მდადეს ზურგს ამოეფარებოდა, რომ დედოფალს არ დაენახა. მდადე დედოფალს საწოლზე დასვამდა და გამობრუნდებოდა, ხშირად, დედოფალიც მასთან ერთად გაპარვას შეეცდებოდა, მაგრამ მდადე არ უშვებდა. თუ დედოფალი ძალიან გაჭირვეულდებოდა, მაშინ მდადეს ნეფეც მოეხმარებოდა, კარებს ჩაკეტავდა და დედოფალს შიგ მოამწყვდევდა. დედოფალი მორცხვობდა და გასაქცევად იბრძოდა, მაგრამ ქმარი არ უშვებდა, ხელს მოკიდებდა, გაშლილ ლოგინზე დაჯდებოდა და რჩეულს მის გვერდით მოისვამდა. დედოფალი ხმას არ სცემდა, ქმარს რომ ცოლისაგან პასუხი მიეღო, ამისათვის მას რომელიმე თითს მოუღუნავდა და ხელს მოუჭერდა. მაშინ დედოფალი იძულებული ხდებოდა მისთვის ეთქვა: „გამიშვიო“. ქმარი ცოლს ეფერებოდა და სთხოვდა: „დავწვეთ უკვე დრო არისო“, მაგრამ ქალი არ თანხმდებოდა. მეზობლის ქალები წყვილს წინასწარ გამობურღული ნაჭვრეტიდან უთვალთვალებდნენ. ეს წესი იყო. ცოლ-ქმარმა ეს იცოდა და იმიტომ შუქს ჩაუნევდნენ. ქალების თქმით, ქმარი რომ ცოლს თითებზე ხელს უჭერდა, ქალმა მაშინაც არ უნდა ამოიღოს ხმა. ასეთ შემთხვევაში დედოფალს აქებდნენ. იყო შემთხვევები როცა ორივე – სიძეცა და დედოფალიც

მორცხვობდა და ერთმანეთს ვერცერთი ვერ კიდებდა ხელს. ასეთი მდგომარეობა სათვალთვალოდან დამკვირვებელ ქალებში სიცილს იწვევდა. ორი-სამი საათის შემდეგ ისინი თავს ანებებდნენ ჭკრეტას და სახლში მიდიოდნენ (ვანილიში, თანდილავა 1964: 119-120).

ლაზთა/ჭანთა საქორწინო რიტუალში, ამ დროს, თავისი როლი დედამთილსაც გააჩნდა. დაძინების წინ დედამთილი ცეცხლთან წყლით სავსე თუნგს დადგამდა. ასე მხოლოდ პირველ ღამეს ხდებოდა, შემდეგში კი ამას თავად დედოფალი აკეთებდა. თუნგი განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ ფიზიკური შეუღლების შემდეგ ნეფე-დედოფალს ტანი დაეხანათ. მეორე დღეს დედამთილს წყალი ხელუხლებელი თუ დახვდებოდა, მაშინ იწყებდა. იფიქრებდა შეიძლება მათ შორის რაიმე უთანხმოება მოხდეს, ანდა „შეკოჭილი“ არიანო. ლაზური/ჭანური ქორწილის მეორე დღეს პატარძალი საჩუქრებს იღებდა, ხოლო მესამე დღეს, დილას მას მჭადს დააკვრევინებდნენ (რურუა 2005: 14). მესამე დღეს, დილას, რძალს სამზარეულოში მული გამოიყვანდა და მჭადსაც ის დააკვრევინებდა. ამის შემდეგ იგი ყოველთვის დილაადრიან დედამთილის გაღვიძებამდე უნდა ამდგარიყო, მჭადი დაეკრა და სამზარეულო დაეღაგებინა. პატარძალი ადრე ვერც საღამოს დანვებოდა. ჯერ ოჯახის ყველა წევრი უნდა დანოლილიყო და მერე თვითონ. რძალი დედამთილსა და მამამთილს, ლაზურად/ჭანურად – „დამთირესა“ და „მთირს“ დიდ ანგარიშს უწევდა. ერთი წლის განმავლობაში მას არ შეეძლო „დამთირესათვის“ ხმა გაეცა, გამოლაპარაკებოდა, ხოლო „მთირს“ ზოგჯერ ხუთ წელსაც არ ესაუბრებოდა. იგი ერთ წლამდე ყოველთვის ფეხზე იდგა, ვიდრე ოჯახის რომელიმე წევრი არ ეტყოდა, დაჯექიო (ვანილიში, თანდილავა 1964: 120).

ლაზებში/ჭანებში ქორწილი სრულდებოდა, მაგრამ გარკვეული წესების შესრულება ქორწილის შემდეგაც აუცილებლობას წარმოადგენდა. რძალს ერთი წლის განმავლობაში გარეშე საქმეზე არ დაასაქმებდნენ. იგი მხოლოდ საოჯახო საქმეებით იქნებოდა დაკავებული. წლის მანძილზე, მზე ჩავიდოდა თუ არა, რძლის ოთახში შუქს აანთებდნენ, რათა მათი სამყოფი მუდამ განათებული ყოფილიყო (ვანილიში, თანდილავა 1964: 120). ლაზი/ჭანი რძალი ქორწილიდან სამი დღის შემდეგ ანდა ოჯახში მისვლიდან მეოთხე ანდა მეშვიდე დღეს ტკბილეულობით მამისეულ სახლში წასასვლელად ემზადებოდა, მშობლების სახლში ბრუნდებოდა, რასაც *კუჩხეშ ქთაღა* (*კუჩხეშ ქთაღაში*) – ფეხის მობრუნება ერქვა (მგელაძე 2015: 106); (მგელაძე 2022). ეს ჩვეულება სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი – ჭოროხის აუზის ქართულ მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული და „ფეხნაქცევი“ სახელწოდებითაა ცნობილი. ლაზი/ჭანი პატარძალი მამის სახლში რამდენიმე დღით რჩებოდა და შემდეგ უკან, თავის ახალ სახლში მიემგზავრებოდა. თუ მისი სახლი ამავე სოფელში იყო, იგი უკან იმავე დღეს ბრუნდებოდა, თუ არადა ერთ ღამეს მოიცდიდა ანდა მეორე-მესამე დღეს მაინც უკან ბრუნდებოდა. რადგან სიდედრი და სიმამრი ქორწილის დროს შვილს მაყრიონში არ მიჰყვებოდა, ამიტომ ისინი მოყვრებს ქორწილის შემდეგ ნახულობდნენ. სიძის სახლში მათი და მისი მხარის სტუმრობის შემდეგ საქორწინო პერიოდი სრულდებოდა.

ამრიგად, ლაზებში/ჭანებში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობაში, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებში, ქორწინება რამდენიმე საფეხურს აერთიანებდა, რომელიც შუამავლობიდან იწყებოდა, ნიშნობითა და ქორწილით მთავრდებოდა. თავის მხრივ, ქორწილი და საქორწილო რიტუალიც რამდენიმე ეტაპად იყო წარმოდგენილი: სასიძოს მაყრიონის დედოფლის ოჯახში სტუმრობა, საპატარძლოს ოჯახში გამართული ცერემონიალი, პატარძლისა და პატარძლის მაყრიონის ნეფის ოჯახში წვევა, ქორწილის შემდეგ სასიძოს საპატარძლოს ოჯახში გადაპატიჟება და საპატარძლოს ახლობლების სასიძოს ოჯახში გამგზავრება. ქორწინების ინსტიტუტის ერთიან პროცესში ყველა საფეხურის თანმხლები იყო სტუმარმასპინძლობა სუფრასთან ჯდომა-დგომის წესის დაცვით, სიმღერა-მოლხენა, ცეკვა და სიტყვა-მზეობა. ყველაფერი ეს იყო რეგულამენტირებული და ტრადიციულ წესებს ექვემდებარებოდა. ამასთან, ლაზებში/ჭანებში ბოლო ხანებამდე შემორჩენილ მამა-პაპისეულ საქორწილო წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს ფოლკლორული მემკვიდრეობა ამუშვენებდა.

## დამონმებანი

- ასათიანი 1938:** აჩქანჯერო დამბეხგი, სამეგხედოს აღწეხა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი.
- ბექაია 1964:** მ. ბექაია. ნიშანლობა, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, ბათუმი.
- ვანილიში, თანდილავა 1964:** მ. ვანილიში, ა. თანდილავა. დაბეთი, თბილისი.
- ვანილიში 2015:** მთხრობელი: ზურაბ ვანილიში, 78 წლის, სოფელი სარფი, 2015, 23 მარტი. – ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, მარტი, 2015, პირადი არქივი.
- ვინიკოვი 1940:** И. В. Веников. Арабы, СЭ, №4, Москва.
- თანდილავა 1972:** ზ. თანდილავა. დაბუხი ხადხუხი პოეზია, ბათუმი.
- თანდილავა 2013:** ა. თანდილავა. დაბუხი დექსიკონი (დაბუხი ნენაფუნა), თბილისი.
- მაკალათია 1941:** ს. მაკალათია. სამეგხედოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
- მარი 1910:** Н. Я. Марр. Из поездки в Турецкой Лазистан, 1, путешествие – ИИАН, №7, С-Петербург.
- მგელაძე 1996:** ვ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, I, ბათუმი.
- მგელაძე 2004:** ნ. მგელაძე. აჭაჟური „ნოგხო“ და „გვახი“, ბათუმი.
- მგელაძე 2015:** ნ. მგელაძე. სახფი – ეთნოგრაფიული პოეტიკა, სარფი, ბათუმი.
- მგელაძე 2022:** ნ. მგელაძე. დაბეთში/ჭანეთში საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, აგვისტო, თურქეთის რესპუბლიკა, 2022.
- მგელაძე 2023:** ნ. მგელაძე. დაბეთში/ჭანეთში საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, აგვისტო, თურქეთის რესპუბლიკა, 2023.
- მგელაძე, მასანოვი 1996:** ნ. მგელაძე, ნ. მასანოვი. სოციალურ ორგანიზაციათა ტიპოლოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, I, ბათუმი.
- მგელაძე, ტუნაძე 2003:** Н. Мгеладзе, Т. Тунадзе. Из истории хемшинов Северной Турции и Юго-западной Грузии, Археология, Этнология и Фольклористика Кавказа, Ереван.
- მგელაძე, ტუნაძე 2005:** ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. ჰემშირთა ისტორიისათვის ჩხვიდოეთ თუქეთსა და სამხხეთ-დასავლეთ საქაბთვედროში, საისტორიო მაცნე, ბათუმი.
- მელიქიშვილი 1972:** ლ. მელიქიშვილი. ქართველ მთიელთა საქორწინო ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის სეხია, №1, თბილისი.
- ნარაკიძე 2015:** ც. ნარაკიძე. დაბუხი გექსტები, ბათუმი.
- ნარაკიძე 2020:** ც. ნარაკიძე. საქორწინო ლექს-სიმღერები ლაზურში, ქაბთვედუხი მემკვიდრეობა, XXIV, ქუთაისი.
- ნოლაიდელი 1935:** ჯ. ნოლაიდელი. ეთნოგრაფიული ნახკვევი აჭაჟდთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი.
- ჟღენტი 1938:** ს. ჟღენტი. ჭანუხი გექსტები, აჩქაბური კიდოკავი, თბილისი.
- რურუა 2005:** პ. რურუა. ლაზური ქორწილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VIII, თბილისი.
- სარფი 2015:** სარფი, კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილავა, მამია ფაღავა, ომარ მემიშიში, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თინა შიოშვილი, მანანა თავდგირიძე, ციალა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
- ფოირაზოლი 2015:** მთხრობელი: მიჰრიბან ფოირაზოლი, 83 წლის, სოფელი სარფი, თურქეთის რესპუბლიკა, 14 მარტი, 2015, ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, მარტი, 2015, პირადი არქივი.
- ყიფშიძე 1939:** ი. ყიფშიძე. ჭანუხი გექსტები, თბილისი.
- შიოშვილი 2015:** თ. შიოშვილი. საქოხჩირო დექს-სიმღერები – სახფი, კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილავა, მამია ფაღავა, ომარ მემიშიში, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თინა შიოშვილი, მანანა თავდგირიძე, ციალა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე, ბათუმი.
- ჩიტაი 1941:** გ. ჩიტაია. „სიცოცხლის ხის“ მოტოვი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბილისი.
- ჩიქობავა 1936:** ა. ჩიქობავა. ჭანუხის გხამატიკური ანაღიზი, თბილისი.

**ხარაძე 1939:** რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1938:** ი. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძიებითა და საკითხები, თბილისი.

**ჯღარკავა 2000:** მ. ჯღარკავა. საქოხწინო დეეს-სიმღეხებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაბუხში, – ხედნაწეხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ბათუმი.

**ჯღარკავა 2001:** მ. ჯღარკავა. კოდხუხი საქოხწინო დეეს-სიმღეხები – ხედნაწეხი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, ბათუმი.

**ჯღარკავა 2005:** მ. ჯღარკავა. ლაზური სიჯალიკობა და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შრომები“, IV, ბათუმი.

## LAZ/CHAN WEDDING AND WEDDING RITUALS (ACCORDING TO FOLKLORE-ETHNOGRAPHIC AND LITERARY SOURCES)

**Nugzar Mgeladze**

Batumi Shota Rustaveli State University

nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

In every people of the world, especially those, where the traditional culture was inseparable part of the life, wedding was an important event for the families and for the whole community. Because the history of the world and the entire ethnographic kaleidoscope was determined by the three main stages of the human life cycle. Those were: birth, wedding, death. From those three, in the history of mankind, marriage and family played a crucial role in biological reproduction of people and their socialization, in the transmission of cultural. It is natural, that the marriage and the wedding had similar function in the Laz/Chan society, Origin of Kartvelian-Iberian and Kolkhetian people, that was called Chanda. Chanda was a structured social institute and had among Laz/Chans and had firmly established rules expressed in customs, which, by the way, is reflected not only at the level of ethnographic existence, but also in - folklore. Many of the Laz/Chan poems was composed and related to the marriage and wedding ceremonies.

To start a family was a necessity for Laz/Chan. Young people were taking a permission to get married, from adults, especially their parents were making a decision. Parents prepared children for their future marriage from the youth and inspired them with the necessity of reproduction of the family, therefore it was a basement where the traditional customs had been aroused and appeared in the imagination of the newly married couple. They started talking about marriage at the level of gender-age stratification in the family, when young people were considered physically and morally mature for sexual intercourse, and the environment was considered economically ready. a Married man was considered as a full-fledged member of a society and he was actively involved in the social life of the community.

Lazes/Chanes marriage – Chanda, and wedding ceremony included several steps, first it started with the selection of the couple, and with the cutout person. After the agreement between families, the next step was the engagement, and then the wedding. This cycle of the relationships continued after the marriage, that was expressed by the strong ties between married families.

# თეატალი მისიონერები საქართველოში ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ

**დავით მერკვილაძე**  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
datomervila@yahoo.com

საქართველოში XVII საუკუნეში ტყვეთა სყიდვის გავრცელების მიზეზები და ფორმები დაწვრილებით მიმოვიხილეთ სხვა ნაშრომში (მერკვილაძე 2023: 31-55) და ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. ამჯერად განვიხილავთ საქართველოში მოღვაწე თეატელ მისიონერთა ბრძოლას ამ ქვეყანაში და განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში გავრცელებულ ამ მძიმე სოციალური სენის წინააღმდეგ.<sup>1</sup>

გორიდან სამოღვაწეოდ დასავლეთ საქართველოში გადასული მისიონერები შეძრა აქ არსებული მდგომარეობის ხილვამ – როცა ყოველწლიურად ათასობით ადგილობრივი – ძირითად გლეხები, სხვადასხვა ასაკისა და სქესის ბავშვები, ჭაბუკები, ქალიშვილები, მამაკაცები და დედაკაცები მათივე თანამემამულეთა მიერ შეუბრალებლად იყიდებოდნენ ოსმალთა ვაჭრებზე, ან ცვლიდნენ ამ ვაჭრების მიერ შემოტანილ ნაირ-ნაირ საქონელზე. ტყვე მონები შემდეგ ძირითადად სტამბულის მონათა დიდ ბაზარზე ხვდებოდნენ, სადაც ადამიანებით გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა და ვის სად გადაისროდა ბედი, ან რას უმზადებდა მუხთალი წუთისოფელი, წინასწარ არავინ უნყოდა. ჯუზეპე ჯუდიჩეს მიხედვით, მხოლოდ სამეგრელოში გაყიდულთა რიცხვი ყოველ წელს არანაკლებ ორი ათასს სულს აღწევდა (გიორგაძე 1964: 110).<sup>2</sup>

ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე ყოფით გულწრფელად შეწუხებულ მისიონერებს ვინ იცის, რამდენჯერ ცხარე ცრემლითაც უტირიათ ამის გამო:

არაერთხელ დამსვლელია თვალები ცრემლებით, როდესაც ვხედავდი თუ როგორ ჰყიდდნენ ბატკნებივით ხელშეკრულ ყმანვილებს თურქებზე. უამრავი ბავშვი მიჰყავდათ და მათ უმანკობას დემონის სარწმუნოებას უმორჩილებდნენ ოსმალეთში; მაჰმადიანები კი ნასყიდობის ქალაღით საკუთრების უფლებას იყენებდნენ მათზე (გიორგაძე 1976: 54).

წერდა გულდამწვარი კრიტოფორო კასტელი, რომელიც ქრისტიანი ტყვეების ოსმალეთში გაგზავნას მიცვალებულთა სულების ჯოჯოხეთში გადაყვანას ადარებს: „საკუთარი თვალთ მინახავს კოლხეთის პროვინციაში გაყიდული უამრავი ყმანვილი. ისინი კონსტანტინოპოლში მიჰყავდათ და იქ ვნახე ისინი სწორედ ასევე, როგორც კარონტის ზღაპარშია მოთხრობილი, როცა სიმბას გადაჰყავდა დასჯილი სულები ჯოჯოხეთში“<sup>3</sup> (გიორგაძე 1976: 54).

გურიიდან ტყვე მონების გაყვანისას საკუთარი განცდების შესახებ იგივე მისიონერი სხვაგანაც მოგვითხრობს:

მრავალი ათასი სული მიჰყავს დემონს აღმოსავლეთის ამ ქვეყნიდან. რადგან ყოველწლიურად საუკეთესო არსებანი გაჰყავთ. კორონტის ნავით შავი ზღვით[...] და ჯოჯოხეთში მიჰყავთ ბავშვები. ჩემი სიცოცხლისათვის უბედური დრო დამიდაგა ამ სოფელში. ვტიროდი მრავალი სულის დაკარგვას, რადგან თურქეთში მიერეკებოდნენ ამ საცოდავ ქრისტიანებს (გიორგაძე 1976: 148).

სამეგრელოში დაარსებულ მისიონის ძმობის განსჯის საგანი, ადგილობრივთა სხვა



მანკიერ თვისებებთან ერთად, გასაკუთრებით გამხდარა ერთმანეთისათვის შვილების მოტაცება და თურქებისთვის მიყიდვა, რითაც დიდი ზარალი ადგებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას (მერკვილაძე 2020: 297).

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და გურიაში დამკვიდრებიდან მალევე კათოლიკე მისიონერებმა ბრძოლა გამოუცხადეს ტყვეთა სყიდვის მავნე ჩვეულებას. ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ დიდი ფეოდალები, მთავრები და თავადები ხელი აეღოთ ამ უნესო საქმიანობისაგან. ამ მიმართულებით მათ გულმოდგინე მოღვაწეობამ გარკვეული სასიკეთო შედეგიც გამოიღო. გურიის კათოლიკური მისიონის წევრმა, ანტონიო ჯარდინომ, რომელსაც ადგილობრივ საზოგადოებაში და გურიის მთავრის კარზეც დიდი პატივისცემა მოეპოვებინა, მთავრის წინაშე არაერთხელ ღიად დაგმო „იმ მხარეში უზომოდ მოდებული ბოროტება – ბავშვთა თურქებისთვის მიყიდვა, რითაც იმასაც კი მიაღწია, რომ ბევრს ხელი ააღებინა ამ სამარცხვინო ვაჭრობაზე“ (მერკვილაძე 2020: 293).

სამეგრელოში მოღვაწე ჯოზეფო ჯუდიჩე აღნიშნავს, რომ „ყოველთვის და განსაკუთრებით კი ამ წელს ნამდვილი გულმხურვალებით და ცრემლებით დიდი კეთილმყოფელი გავლენა მოვახდინეთ მეტად დამღუპველ ჩვევაზე სენიორებისა, რომელნიც თავიანთ მონებს, ქრისტიან ბავშვებს დემონებზე ჰყიდია“ (გიორგაძე 1964: 45).

კათოლიკე პატრები ხალხის მკურნალობის თავიანთ შესაძლებლობასაც კი ხშირად მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებდნენ, რათა ქადეგების ძალით კეთილმყოფელი გავლენა მოეხდინათ საკუთარი ყმებით მოვაჭრე დიდებულებზე. ჯუდიჩე წერს:

ვინაიდან მძიმედ დავაადებულნი სავსებით ჩვენს ხელთ მოექცევიან [...] გადაგვეშლება ფართო ასპარეზი მათთან ქადაგებისა, განსაკუთრებით ზემოხსენებულ მავნე ჩვეულების წინააღმდეგ [...] და მართლაც, ავადმყოფობის მიერ შეწუხებულებს უფრო მეტ მორჩილებას ვამჩნევთ: შეგნებული აქვთ ის, რომ ამჟამად დიდი ცოდვებისათვის არიან დასჯილნი ღვთის მიერ. დიდმა ბატონებმა ჩვენს მიერ ჩვენი ქადაგებიდან ბევრი რამ ისწავლეს. ამის გამო ზოგიერთი, რომელიც ტყვეს არ ჰყიდდა, ურყევ სიმაგრედ იქცა, უფრო მეტის დაჟინებით იცავს ასეთ გადაწყვეტილებას, თუმცაღა ფული ესაჭიროება. მათ კი, რომელთაც დიდი რაოდენობით ტყვე უნდა გაეყიდა, ზოგმა სულ დათმო, ზოგმა ნაწილობრივ, დანარჩენებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, ხელი აეღოთ ამ ბოროტებაზე (გიორგაძე 1964: 45-46).

ჯუდიჩეს თავის რელაციებში მოჰყავს ამგვარ შემთხვევებში წარმატებული ქადაგების ცალკეული მაგალითებიც. როცა პატრების გავლენით ტყვეების გამყიდველი ზოგიერთი დიდებული არათუ წყვეტდა ამ სამარცხვინო საქმიანობას, არამედ უკვე გაყიდულთა გამოსყიდვასაც კი ცდილობდა:

დედოფლის მაზლი ქორთუაძე ხშირად ავადმყოფობდა, მისი მორჩენის იმედი არავის ჰქონდა და სიკვდილის პირას მისული ჩვენ მოვაბრუნეთ. ის ხომ ყოველ წელს მრავალ ყმაწვილსა ჰყიდდა ხოლმე, ეხლა კი ცდილობს გამოიხსნას ზოგიერთი გაყიდულთაგანი – წარსული ცოდვების მოსანანიებლად (გიორგაძე 1964: 46).

ერთი... თავადი, გვარად ჩერტუა, სამეგრელოში ყველაზე მდიდარი, დავიყოლიეთ, რათა მოენათვლინებინა თავისი ყმების პატარა ბავშვები... გარდა ამისა, დავარწმუნეთ, რომ თავის ყმებს აღარ გაყიდის მონებად თურქებზე. მან არა მარტო პატიოსანი სიტყვა მოგვცა, არამედ საქმით მეტიც გააკეთა, რამდენიც კი შეეძლო, ტყვეები გამოისყიდა (გიორგაძე 1964: 110-111).

ჯუდიჩეს ერთი ცნობიდან ვიტყობთ, რომ კათოლიკე მქადაგებლებს თავისი გულმოდგინებით ტყვეთა სყიდვის საწინააღმდეგოდ, ქართველ დიდებულთა შორის ერთგვარი მოკავშირეებიც გაუჩენიათ:

ელიზბარ მარაშვილმა, რომელიც დიდი პიროვნებაა და ყველაზე ბრძენი ამ მხარეში, ჩვენს სახლში თავადების ერთი ჯგუფი მოიყვანა (ისინი თათრებზე ჰყიდდნენ საკუთარ შვილებსა და ტყვეებს) იმ მიზნით, რომ პატრებს ექადაგათ ტყვეთა გაყიდვის უდიდეს ბინიერებაზე, რაც მათ უდიდესი სიამოვნებით შეასრულეს. ელიზბარ მარაშვილი ფიქრობდა, რომ ამის საწინააღმდეგო ყველაზე ძლიერი წამალი მხოლოდ ფრანკების ქადაგებააო (გიორგაძე 1964: 74).

მისიონერები კარგად ხვდებოდნენ, რაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა ოდიშის მთავრის განწყობას ტყვეთა სყიდვის მიმართ ამ საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლისას. ისინი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რათა დაერწმუნებინათ ლევან II დადიანი, რომ თავისი განკარგულებით აეკრძალა ტყვეებით ვაჭრობა:

[...] თვით ჩვენს მთავარს შეეხო ყოვლისშემძლე უფლი ხელი, მისი მეუღლის, პრინცესას სიკვდილის გამო და, ამასთან ერთად, დაიწყო კეთილი ცხოვრება მთელი ამ მხარისა და მეზობელი მხარეების გასაოცრად. მან არა მარტო უარყო ყმანვილების გაყიდვა თურქეთში, არამედ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როცა ესმოდა, რომ სხვები ჰყიდდნენ. თუმცა ადვილად შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, მაგრამ ეს ჩვეულება ოდითგანვე დამკვიდრებული იყო ამ მხარეში (გიორგაძე 1964: 46).

როგორც ჩანს, ჯუდიჩე ირიბად მიგვანიშნებს, რომ ლევან დადიანი საკმარის გულმოდგინებას არ იჩენდა თავის სამთავროში ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ სათანადო ზომების მისაღებად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთავარი დიდებულებთან სახიფათო დაპირისპირებას ერიდებოდა. ტყვეებით ვაჭრობა ხომ მათთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულიყო.

ტყვეთა სყიდვის მიმართ ლევან დადიანის უარყოფითი განწყობის შექმნაში რომ თეატრულ მისიონერთა წვლილიც იყო, კარგად იკითხება ლამბერტისთან, რომელიც უფრო მეტს გვამცნობს ამის შესახებ. იგი წერს, რომ სამეგრელოში ცხოვრების განმავლობაში იგი და მისიონის სხვა წევრები ყველას მოუწოდებდნენ, „განგდოთ ამაზრზენი ჩვეულება – თურქებისათვის ბავშვების მიყიდვა, რითაც მაჰმადის რჯულს აძლიერებდნენ, თავიანთ ქრისტიანულ რწმენას კი ასუსტებდნენ“ და მათ იმასაც კი მიაღწიეს, რომ ლევან II-ს გამოაცემინეს „ბრძანებულება, რომლის ძალითაც ორი წლის განმავლობაში თურქებისათვის მონების მიყიდვა სასტიკად ისჯებოდა.“ თუმცა მათდა სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება აღმოჩნდა და მალე მთავარმა თავისი ბრძანება გააუქმა და თითოეული ადამიანის გაყიდვაზე ბაჟის დაწესებით ფაქტობრივად ამ ვაჭრობიდან თავისი წილი შემოსავალი გაიფორმა. „იქ, სადაც ანგარება სუფევს, ღვთის კანონი ფეხქვეშ ითელება [...]“ – დანაებით აღნიშნავს ლამბერტი და განაგრძობს – „[...] მთავარმაც, თავის სულის საზარალოდ, ისევ დაუშვა ამგვარი ვაჭრობა და ბაჟი დააწესა – თითო მონაზე ოთხი სკუდო.“ არსებულ საერთო სავალალო მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა ის გარემოება, რომ ხანგამოშვებით ლევან დადიანი „ისევ აახლებდა თავის ბრძანებულებას მონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“ (მერკვილაძე 2020: 315).

კათოლიკე პატრები არ უშვებდნენ ხელიდან შემთხვევას, რათა ოსმალეთში გაყიდვისაგან ერთი სული მაინც გამოეხსნათ. ისინი ამ მხრივ წარმატებით იყენებდნენ მკურნალობის უნარ-ჩვევებსაც. ჯუდიჩეს ცნობით, ერთ-ერთი მისიონერი სამკურნალო წამლისათვის გამოუძახია ვინმე „დიდ პიროვნებას“, ანუ ფეოდალს. ვინაიდან პატრმა გასამრჯელოზე უარი თქვა, მადლიერმა ფეოდალმა მისთვის ცხენის ჩუქება მოინდომა. ჯუდიჩეს რჩევით, მკურნალმა მისიონერმა ცხენის ნაცვლად ერთი ყმანვილი ითხოვა. პატრმა იცოდა, რომ ეს ბატონი „მრავალ ტყვესა ჰყიდდა თურქებზე და ადვილად შეეძლო ერთი სულის გადარჩენა.“ ამ წინადადებას ფეოდალი უყოყმანოდ დათანხმდა და პატრს ორი წლის ბიჭი უბოძა. ზამთრისა და ყინვის პირობებში პატრმა მცირეწლოვანი ბავშვი თავის ლაბადაში გაახვია და თავის სახლიდან სამი დღე ცხენზე მჯდარმა ხელში აყვანილი

ატარა. პატარას „საზეიმო მონათვლის შემდეგ ნიკოლო დავარქვითო,“ – წერს ბოლოს ჯუდიჩე (ჯუდიჩე 1964: 114).

ამ მხრივ საგულისხმოა ლამბერტის მიერ მოთხრობილი ერთი ასეთი შემთხვევა: როდესაც მისიონერების შეთავაზებით ლევან დადიანი რომში სასწავლებლად გასაგზავნად ყმანვილებს არჩევდა, ორ თავადს ერთი ყმა ვაჟის საკუთების გამო დავა მოსვლია და მთავართან მისულან საქმის გასარჩევად. ლამბერტი აღნიშნავს, რომ ვისაც არ უნდა რგებოდა, ყმანვილს ოსმალებზე გაყიდვა არ ასცდებოდა, რადგან სწორედ იმ დროს ოსმალებიდან შემოსული სავაჭრო გემები ოდიშის სანაპიროებს მისდგომოდნენ. მთავრის წინაშე ერთსაათიანი დავის შემდეგ დადიანმა იოლი, მაგრამ საუკეთესო გამოსავალი მონახა: „ბიჭს ხელი ჩაჰკიდა, მამა დონ ჯოზეფოს გადასცა“ იტალიაში წასაყვანად (მერკვილაძე 2020: 329).

ყოფილა შემთხვევა, როცა მისიონერების საკუთრებაში არსებული ყმანვილების გაყიდვაც მოუწოდებოდათ. გურიაში მოღვაწე პატრებს „დიდ სათნოებაში აღუზრდიათ“ დიდი ნიჭითა, კარგი სულიერი თვისებებით დაჯილდოვებული ერთი ქართველი ყმანვილი, სახელად მიქელე, რომელიც ამავე დროს გარეგნობითაც გამოირჩეოდა. ამ ყმანვილის შესახებ შეუტყვია გურიის მთავარს, რომელმაც პატრებს შეუთვალა, რომ ვაჟის სიკოხტავის გამო მისი ერთი თურქი ფაშასთვის მიყიდვა გადაეწყვიტადა უარის შემთხვევაში ძალის გამოყენებასაც არ მოერიდებოდა. მისიონერები ვედრებით ცდილობდნენ მიქელეს გადარჩენას, ბევრი უქადაგიათ ამ ცოდვის წინააღმდეგაც, მთავარს კი აცნობეს, რომ მას, როგორც „უმალეს სასულიერო პირს არ ეკადრება ღვთის მიერ ბოძებული უმნიკვლო არსება თურქების ხელში დაეღუპა.“ თუ მაინცდამაინც, მისიონერები მზად იყვნენ „ბავშვის მაგიერ მის მიერვე არჩეული ერთ-ერთი პატრი დაეთმოთ თურქებისათვის, რადგან პატრი ქრისტეს სარწმუნოებას არ უარყოფდა თურქების ხელში, ამავე დროს ერთ არსებას გადაარჩენდა, ვინაიდან ჩვენი ხსნისათვის ისურვა სიკვდილი თვით ღვთის შვილმამო“ (ჯუდიჩე 1964: 74-75).

ცალკე აღნიშვნის ღირსია გურიაში მისიონერების გულმოდგინების შედეგად ტყვედ გაყიდვას გადარჩენილი და თავაშვებული ცხოვრებიდან სათნოებისაკენ სასწაულებრივად მოქცეული ერთი შეძლებული და მიზიდველი გარეგნობის ქალის, ლელოკას ამბავი. იგი მთავრის მიერ სასტიკად დასჯილი ერთი თვალედათხრილი და ქონებაჩამორთმეული დიდებულის ყოფილი ცოლი იყო და „თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობითა და მოყვანილობით ქალ-ღმერთ ვენერას ედრებოდა“. ლელოკა მდიდრულად და გამონწვევად იმოსებოდა და მაცდური საქციელით მამაკაცებს მრუშობისაკენ უბიძგებდა. მისი მიზეზით სამთავროში ჩხუბი და აყალ-მაყალიც ხშირად მომხდარა. ამის გამო გურიის მთავარ მალაქიას ლელოკას თავიდან მოცილებლად მისი ოსმალებისათვის მიყიდვა გადაუწყვეტია (ჩანს, მასში კარგი ფასის აღებასაც იმედოვნებდა). ეს რომ შეიტყვეს, გურიაში მოღვაწე მისიონერები შეშფოთდნენ, ვინაიდან „თურქების ხელში ჩავარდნილი ქალი ერთ ბოროტებას მეორეს დაამატებდა და სარწმუნოებასაც შეიცვლიდა. ამიტომ მამაცურად გაემართნენ პატრიარქისაკენ და გააფრთხილეს, რომ დიდ ცოდვას იღებდა საკუთარ თავზე – მწყემსი, რომელსაც თავისი ცხვრები მგლებისგან უნდა დაეცვა, საკუთარი ხელით აბარებდა მათ დასაგლეჯად.“ კათოლიკე პატრების შუამდგომლობამ გაჭრა და მთავარი დათანხმდა, ლელოკა აღარ გაეყიდა და იგი მისიონერებისათვის გადაეცა. კეკლუცმა ლელოკამ მისიონერების სამსახურში ყოფნისას (იგი კასტელისთან ცხოვრობდა) არნახული ზნეობრივი ფერისცვალება განიცადა: გაიხადა მორთულ-მოკაზმული, მოთოკა ვნებები და „ცოდვების ლაქებს მარხვითა და ცრემლებით იბანდა.“ მის შემყურე ხალხი კი განცვიფრებული ამბობდა: „ეს ლელოკა [...] ჯოჯოხეთის მაცდურების საგანი რომ იყო, ახლა სინმინდის ორნამენტად გადაიქცაო“ (გიორგაძე 1976: 64); (მერკვილაძე 2020: 305).

პატრები თავიანთ დაარსებულ სასწავლებელში განათლებას აძლევდნენ ფეოდალებისაგან მათთვის საჩუქრად გადაცემულ ყმანვილებს. თუმცა ამ სასწავლებლის კარს ისინი უშურველად უღებდნენ ასევე იმ ბავშვებსაც, რომლებსაც მათ ნებაყოფლობით გადასცემდნენ საკუთარი მამები, რათა ამ გზით ისინი „თურქებზე“ გაყიდვისაგან ეხსნათ. ასეთების შესახებ კასტელი აღნიშნავს: „მათ ავიყვანდით ხოლმე, ვზრდიდით და

ვასნავლიდით სარწმუნოებას, სხვადასხვა მეცნიერებას და ქრისტიანულ მოძღვრებას“ (გიორგაძე 1976: 63).

ჯუდიჩეს ცნობით, ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მათი ქადაგების შედეგად, როდესაც ტყვეების გაყიდვის დრო დამდგარა, სამეგრელოში მისიონერთა

სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმანვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის, ვინაიდან მათ იცინან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარნი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვამარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისათვის[...] (ჯუდიჩე 1964: 46-47).

გორის კათოლიკური მისიონის ხელმძღვანელი, პიეტრო ავიტაბილე პროპაგანდა ფიდესადმი გაგზავნილ წერილში იუწყებოდა, რომ იმერეთიდან დაბრუნებულ თეიმურაზ I-სა და როსტომ ხანს შორის ბრძოლისას, დაპირისპირებული მხარეები „ტყვედ წამოყვანილებს მაჰმადიანებზე ჰყიდდნენ, როგორც პირუტყვებს. და ერთ დღეს მათი ფასი იმდენად დაეცა, რომ ხუთ პიასტრებზე ჩამოვიდა.“ აღსანიშნავია, რომ წერილის ავტორი ამ მდგომარეობას „ჯოჯობეთის დიდ დღესასწაულს“ ადარებს. დატყვევებული ბავშვების ხილვის გამო სიბრაღულით აღვსილი პატრი ძვირფას საეკლესიო ნივთსაც კი იმეტებდა მათ გამოსასყიდად: „მე შემეცოდა ისინი და რადგან ფული არ მქონდა, ჩემი ბარძიმიტ მინდოდა მრავალი ბავშვის გამოსყიდვა.“ თუმცა მათი გადარჩენა ვერ შეძლო, რადგან საფასურად მხოლოდ ფული მოსთხოვეს (გიორგაძე 1977: 33). მართალია, ეს უკანასკნელი შემთხვევა დასავლეთ საქართველოს არ ეხება, მაგრამ მისიონერის ტკივილიან განცდებსა და უცხოტომელებზე გასაყიდად გამზადებული ბავშვების გადასარჩენად მისი ძალისხმევის ნათელი მაგალითია.

გასაყიდად განწირულ ტყვეებს, რომელთა ხსნა მისიონერთა ძალებს აღემატებოდა, ისინი მოუწოდებდნენ, უცხო და განსხვავებულ სარწმუნოებრივ გარემოშიც უწყევად შეენარჩუნებინათ თავიანთი რწმენა. „ღმერთმა უწყის, რამდენჯერ მიგვიმართავს მუდარით ტყვე ყმანვილებისათვის, თუ ვინიცობაა ვინმემ მლიქვნელობასა ან მუქარას მიმართოს, არ მიატოვონ ქრისტეს რწმენა“ (გიორგაძე 1964: 45).

ცხადია, მისიონერების თავდაუზოგავ ბრძოლას არ შეეძლო იმდროინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ძლიერი სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების მქონე ტყვეთა სყიდვის შეჩერება ან მნიშვნელოვანი შეფერხება გამოეწვია გურიასა და სამეგრელოში. თუმცა თვალშისაცემია მათი სულიერი და ზნეობრივი სიმტკიცე. საქართველოში მოღვაწეობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილობრივთა მიმართ გამოვლენილი დიდი კაცთმოყვარეობისა და გულისხმიერების, ასევე ზოგადსაკაცობრიო და მარადიული ქრისტიანული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და თავდადების გამო კი თეატრალი მისიონერები უთუოდ განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებენ ქართველი ხალხისაგან.

## შენიშვნები

- <sup>1</sup> აღნიშნულ საკითხს გაკვრით ეხება თავის ნაშრომში მ. პაპაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოში იტალიელმა „მისიონერებმა უდიდესი ენერგია და უნარი შეაღიეს ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პროპაგანდას“ (პაპაშვილი 1995: 184).
- <sup>2</sup> პიეტრო ავიტაბილე, თავის მხრივ, შენიშნავს, რომ „ქალ-ვაჟების თურქებზე გაყიდვა“ ქართველი დიდებულების „ყველაზე დიდი ვაჭრობაა“. მისი ცნობით, გაყიდულთა ან ხარკის სახით გაგზავნილ ქალ-ვაჟთა რაოდენობა კი წელიწადში დაახლოებით ოთხი ათასს შეადგენდა (ავიტაბილე 1977: 34).
- <sup>3</sup> ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ჰადესში (საიქო სამყოფელში) მიცვალებულთა სულები სააქაოსა და საიქოს გამყოფ მდინარეზე ნავით გადაჰყავდა მოხუც მენავეს, რომელსაც სახელად ქარონი ერქვა.

## დამონებანი

**გიორგაძე 1964:** დონ ჯუზეპე ჯუდირე მიდანედი, წეხილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.

**გიორგაძე 1976:** დონ კრისტოფორო კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.

**გიორგაძე 1977:** დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი.

**მერკვილაძე 2020:** აჩკანჯელო დამბეჩი, წმინდა კოდხეთი, იგადიუხიდან თახგმნა, გ. ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ, არტანუჯის წყაროები 20, თბილისი.

**მერკვილაძე 2023:** დ. მერკვილაძე. ტყვეთა სყიდვა XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოში უცხოელ ავტორთა ცნობების მიხედვით, ამიხანი, XXXVII.

**პაპაშვილი 1995:** მ. პაპაშვილი. საქართველო-ომის უხითიეხობა VI-XX სს., თბილისი.

## THEATINE MISSIONARIES AGAINST THE SLAVE TRADE IN GEORGIA

**Davit Merkviladze**  
Independent researcher  
datomervila@yahoo.com

In the first half of the 17th century, Theatine missionaries, who came from Italy to spread the Catholic faith in Georgia, felt very bad that in that era, thousands of people of different ages and sexes, including children, were sold to traders from Ottomans. The missionaries did a lot to convince the local nobles to stop this activity, which was a great sin. They called on the princes of the principalities of Western Georgia to prohibit the sale of Christian youths in the Ottoman Empire.

Missionaries also tried to save people, especially children, from being sold by various means. For this purpose, they often gave shelter to those threatened with being sold abroad.

Georgian Christians doomed to be sold, who could not be saved by the missionaries, were advised to firmly maintain their faith, even if they were affected by threats or cunning.

Although such efforts by missionaries had some results in individual cases, the existence of the captive slave trade in the region had strong social, political and economic foundations at the time, and its eradication was beyond the capabilities of the missionaries.

The presented article gives many examples of the actions of the Theatine missionaries against the slave trade based on the reports of the same missionaries, such as Arcangelo Lamberti, Cristoforo Castelli, Giuseppe Giudice, Pietro Avitabile.

## **ლევან II დადიანის საფასით მოჭადილ ხატებზე შესრულებული ტექსტები, როგორც შეწირულების გაღების გზით ალაპის ბაჩანის უზრუნველყოფელი იურიდიული დოკუმენტები**

**ლადო მირიანაშვილი**  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
lado\_miriani@yahoo.com

სტატია შეეხება ლევან II დადიანის მიერ სხვადასხვა ეკლესიისთვის შეწირულ ხატებზე შესრულებული ტექსტებისა და მათი სტრუქტურული აგებულების ანალიზს დიპლომატიკის კუთხით.

ლევან II დადიანი, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, 1611-1657 წლებში ოდიშის მთავარი იყო. უცხოელი მისიონერები და მოგზაურები მას ახასიათებდნენ როგორც გონიერ მმართველს. ლევან II დადიანს ჰქონდა შუა საუკუნეების ქვეყნის მმართველისთვის სახასიათო სიმკაცრე და დაუნდობლობა. დღევანდელი გადასახედიდან ეს ტირანიაა, მაგრამ იმ ეპოქაში მართვის ჩვეული ხერხი იყო, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში. ლევან II დადიანმა თავისი შეთქმული ძმა თვალების დათხრით დასაჯა. კიდევ სამი შეთქმულისთვის ცალ-ცალი ხელ-ფეხი მოაჭრევინა და თვალები დაათხრევინა. შეთქმულების ორგანიზატორი, ვეზირი მერაბ ქორთოძე დაახრჩობინა, შემდეგ კი მისი სხეული ზარბაზნით გაასროლინა. თავის პირველ მეუღლეს, მრუშობის ბრალდებით, ცხვირი მოსჭრა, რის შემდეგ, სიმამრის ოჯახს უკანვე მიუბრუნა.

ლევან II დადიანმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ გარემოს, რელიგიურ ცხოვრებასა და კულტურას. იმ ხანად მთავრის კარზე მყოფმა, იმერეთის მეფის მდივან-მნიგნობარმა და კალიგრაფმა მამუკა თავაქარაშვილმა, ლევან II დადიანის დაკვეთით, 1646 წელს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გადაწერა და მოხატა. მანვე გადაწერა „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსია „უთრუთიან-საამიანი“ და გალექსა „ზააქიანის“ პროზაული ტექსტი. ლევან II დადიანმა განაახლა და მოახატინა ოდიშის ეკლესიები; ააგებინა კორცხელის ეკლესია; ხელახლა მოახატინა და ჯვარ-ხატებით შეამკო წალენჯიხის, ცაიშისა და ხობის ეკლესიები. მანვე საკუთარი საფასით გამოიხსნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ლევან II დადიანმა დაარსა საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც არაერთი მაღალმხატვრული ხატ-ჯვარი შეიქმნა. სწორედ ამ საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადდა წმ. ონოფრე დიდის ხატი, რომელიც ლევან II დადიანმა ლალიძგას სასახლის კარის ეკლესიას შესწირა. დღეისთვის ეს ხატი დაკარგულია და მას მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული ორი ფოტოსურათის მეშვეობით ვიცნობთ. ამ ხატზე, სხვა ხატებთან ერთად, ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცალკე საკითხია ლევან II დადიანის მიერ ქართულ საზოგადოებაში მიღებული ეთიკური და მორალური ნორმების უგულებელყოფა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან მეორე ცოლად საკუთარი ბიძოლა – ნესტან-დარეჯანი შეირთო, რომელიც ბიძას, გიორგი I ლიპარტიანს წაართვა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ოდიშის მთავარს თავისი ბიძოლა, მართლაც, თავდავიწყებით უყვარდა. ამგვარი სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, ლევან II დადიანმა მეუღლის სულის სახსრად და საოხად არაერთი ხატი მოაჭედინა და მის სახელზე ალაპი რამდენიმე ეკლესიაში დააწესა. ჩემ გამოკვლევაში სწორედ ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად და საოხად შექმნილ ხატებზე შესრულებული ტექსტებია შესწავლილი და გაანალიზებული.

ლევან II დადიანის მიერ ლალიძგას სასახლის კარის ეკლესიისთვის შეწირული

წმ. ონოფრე დიდის ხატი ვერცხლისგან იყო დამზადებული (სურ. 1). ცენტრალურ არეს, ერთმანეთისგან ტოლი შუალედებით დაშორებული, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი თვლების მწკრივი შემოუყვება. თვლები შემოუყვება წმინდანის შარავანდსაც. ხატის არშია ფოთლოვანი მოტივითაა გაფორმებული. ამგვარადვე, ოღონდ განსხვავებული ფოთლოვანი მოტივითაა გაფორმებული შიდა არის ფონიც. ხატის ცენტრალური არე მთლიანად წმინდანის ფიგურას უჭირავს. მას განმარტებითი წარწერა არ ახლავს, თუმცა წმინდანის იკონოგრაფიის გათვალისწინებით, აგრეთვე თავის დროზე მოქვის ეკლესიაში დაცულ, მსგავს გამოსახულებიან კიდევ ერთ ხატზე შესრულებული განმარტებითი წარწერის წყალობით, რომელიც ასევე მხოლოდ ფოტოთია ცნობილი, დგინდება, რომ განსახილველ ხატზე წმ. ონოფრე დიდია გამოსახული. წმ. ონოფრე IV საუკუნეში მოღვაწე მეუდაბნოე ბერი იყო. წმინდანი გამოსახულია ფრონტალურად, მთელი ტანით, გრძელი, მუხლებამდე დაშვებული წვერით. მას მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, მარჯვენა ხელი კი მკერდის დონეზე აქვს აწეული, ხელისგულით წინ. ხატის ზურგზე შესრულებული 32-სტრიქონიანი მხედრული წარწერა უთარიღოა. წმ. ონოფრე დიდის ხატი ხელოვნებათმცოდნე ლეილა ხუსკივაძემ ჩვენამდე მოღწეული ფოტოს მეშვეობით შეისწავლა და მისი მხატვრული თავისებურებების გათვალისწინებით 1640-1641 წლებით დაათარიღა (ხუსკივაძე 1974: 45).

წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ქართული ტექსტი, ფრანგულ თარგმანთან ერთად, მარი ბროსემ გამოაქვეყნა და დღემდე წარწერის ერთადერთ პუბლიკაციად რჩება. ხატის წარწერის ისტორიული ფოტოს გაცნობისას, მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ნაკითხვაში დაშვებული ორიოდე შეცდომა შევნიშნე, თუმცა ეს არ ყოფილა განსახილველი წარწერის ხელახალი პუბლიკაციის მიზეზი. ჩემი ყურადღება მიიპყრო ტექსტის შინაარსმა, მასში გამოყენებულმა ტერმინებმა და, რაც მთავარია, ტექსტის ფორმირების წესმა, რის შესახებ ქვემოთ დანვრილებით მექნება მსჯელობა.

წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული წარწერის ტექსტი (სურ. 2) არის მეტად საინტერესო, ალაპის გადახდის უზრუნველსაყოფად შექმნილი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც მეალაპე ყმა-გლეხებს ალაპის საჭიროებისთვის კონკრეტული სახისა და რაოდენობის სურსათ-სანოვავის გაღებას ავალდებულებდა. წარწერა შესრულებულია ვერცხლის ფირფიტაზე, რომელიც ხატის ზურგს მოსავდა. ხატის ზომები და, შესაბამისად, იმ ზედაპირის ფართობი, რომელზეც წარწერაა შესრულებული, უცნობია (ჩვენამდე მოღწეულ ფოტოზე მასშტაბის მიმანიშნებელი რაიმე ნივთი აღბეჭდილი არ არის). მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ხატისა და, შესაბამისად, იმ ზედაპირის პროპორციები, რომელზეც ტექსტია შესრულებული, 1:1,6-ია.

ტექსტი შესრულებულია XVII საუკუნისთვის სახასიათო მხედრული დამწერლობით. სტრიქონების რაოდენობა – 32. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, ყოველი სიტყვის შემდეგ ზის. ქარაგმის ნიშანი გამოყენებული არ არის.

### **წარწერის გამოცემა: მ. ბროსე, 1951.**

წარწერის შესრულების თარიღი მ. ბროსემ ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების წელს (1639 წლის 1 ივლისი) მიაბა და 1639 წლით განსაზღვრა. როგორც უკვე აღვნიშნე, ქედურობის მხატვრული თავისებურებების გათვალისწინებით, ლეილა ხუსკივაძემ ხატი 1640-1641 წლებით დაათარიღა. იმის გათვალისწინებით, რომ წარწერა ხატის შექმნის თანადროულია, ეს დათარიღება მასზეც ვრცელდება (ბროსე 1951).

ქვემოთ მომყავს წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტი ჩემი ნაკითხვით.

### **წარწერის ნაკითხვა:**

(პირობითი ნიშნები: ( ) – ქარაგმის გახსნის შემდეგ აღდგენილი სიტყვის ნაწილი; [ ]

– ტექსტის წერისას უნებლიეთ გამოტოვებული ასოები; ^ ^ – წინმსწრები სიტყვის ზემოთ ჩამატებული გამორჩენილი სიტყვა; | – სტრიქონის დასასრული):

1 ქ. ეჰა ქვეყანასა ზედა ჯორცითა შობილო, არამედ სულითა და ჯორცი|  
2 თაცა ანგელოზ ქმნულო და საკვირველებათა სასწაულთა მოქმედ|  
3 ო, ხოლო დანიელისებერ ცხოვრებასა შინა ყოფილო და მღრდელთ მო|  
4 ძღუართა სამკაულო ღ(მერ)თ შემოსილო მამაო მამათაო, ონოფრე გ|  
5 ევედრები მე, ჯელმწიფე დადიანი, პატრონი ლევან, რომელმან მოვ|  
6 აჭედინე ხატი ესე პათიონისა სახისა შენისა და შევამკვეცი|  
7 თ თვალ მარგალიტითა და დავასუენეთ ღალიდგას სასახლეს|  
8 ა კარისა ეკლესიასა მის კურთხეულისა, ამ სოფლის მნათისა, ქილა|  
9 ძის ასულისა და თანა მეცხედრისა ჩუენისა, დედოფალთა დედოფლი|  
10 სა, პატრონისა ნესტანდარეჯანისა სულისა სახსრად და საოხად|  
11 გავაჩინეთ ალაპი და მოალაპეთ დავაყენეთ ოთხი მოსახლე საღალ|  
12 იძგო კაცები, ერთი მოსახლე მოირდი კვირკველია და მის სახლის|  
13 კაცი. მარტებს ერთი ზროხა, ექუსი გუდა ღვნო, ხუთი თვლაკი ღომი,|  
14 ერთი ჭამი პური და ერთი ქათამი. მეორე მოსახლეს, უსკვამა კვირკვე|  
15 ლიას და მის სახლის კაცსა მარტებს ერთი ზროხა, ექუსი გუდა ღვნო,|  
16 ხუთი თვლაკი ღომი, ერთი თეფში პური და ერთი ქათამი. მესამე მოსა|  
17 ხლე გვიანიში ჩაგალოსკირსა და მის სახლის კაცსა მარტებს გოჭკუმური|  
18 ს მაგიერად ერთი ცხუარი, ღომისა და ღვნის მაგიერად ოთხი ღაღარიკ|  
19 ონი სანთელი. მეოთხე მოსახლე ბერუხუა ჩაგალოსკირსა და მის სახლის კაცსა|  
20 მარტებს გოჭკუმურის მაგიერად ერთი ცხუარი, ღომისა და ღვნოს მაგი|  
21 ერად ოთხი ღაღარიკონი სანთელი. ერთს წელიწადსა მოირდი და მისმან ს|  
22 ახლის კაცმა უნდა მოიყვანოს ერთი ზროხა, მისი ღომი, ღვნო, პური და|  
23 ქათამი. და მასთან მოიყვანდეს გვიანიში და მისი სახლის კაცი ერთსა ცხუარ|  
24 სა და ოთხს ღაღარიკონს სანთელსა. აგრევე, მეორე წელიწადსა უსკვამა|  
25 მ და მისმა სახლის კაცმა და ბერუხუამ მოიტანონ მათი მარტებული|  
26 და ყოველს წელიწადსა ღალიდგას სასახლისა კარისა ეკლესიასა თორმეტს ივ|  
27 ანობის თვესა წმიდის ონოფრეს ^დღეობასა^ ალაპს გარდაიჭდიდენ კურთხეულის დე|  
28 დოფლისა ნესტან დარეჯანის სულისა სახსრათ და იმ დღეს ერთმა მღურდე|  
29 ღმან ჟამი სწიროს. ალაპში გასაცემლად ექვსი ქილა მარილი გაგ[ვი][ჩენია, ბა|  
30 ტონის მეზაჭეებსა გამოართმიდენ სანირავად. ერთს ქილას მარილსა, ზ|  
31 როხისა და ცხუ[ა]რისა თავსა, მკერდსა და გულ ღვძლსა ხუცესსა მისცემდ|  
32 ენ და ხუთს ქილას მარილსა ერზედ გასცემდენ. |

ტექსტი გამართული ქართულითაა დაწერილი. სიტყვების დაწერილობაში არათანამიმდევრულობის სამი შემთხვევა ფიქსირდება:

- ა) მე-10 სტრიქონში წერია „სახსრად“, ხოლო 28-ე სტრიქონში – „სახსრათ“.
- ბ) მე-3 სტრიქონში წერია „მღრდელთ ...“, ხოლო 28-29-ე სტრიქონებში – „მღურდეღმან“.
- გ) პირველ პირში დასმული ზმნა ერთ შემთხვევაში მრავლობით რიცხვშია მოცემული („თ“ ბოლოსართით), ორჯერ კი – მხოლოდობითში: მე-5-6 სტრიქონებში – „მოვაჭედინე“, მე-6 სტრიქონში – „შევამკვეცი“, ხოლო მე-7 სტრიქონში – დავასუენეთ.

საინტერესოა, რომ ტექსტში ლევან II დადიანი ხელმწიფედ არის მოხსენიებული, ნესტან-დარეჯანის ტიტულად კი დედოფალთა დედოფალია გამოყენებული.

კალიგრაფიულად საინტერესოაააა გაფორმებული მე-13 სტრიქონის სიტყვა „ხუთი“-ს ზედა რეგისტრში ატანილი, ასო „თან“-ის მომდევნო ასო „ინ“-ი: შვეული ხაზი ასო „ინ“-ის წინ ორმაგ მარყუხს იკეთებს. მსგავსი რამ გვხვდება მეფე ალექსანდრე II-ის მიერ გაცემულ, 1581 წლით დათარიღებულ სიგელშიც (AD-371), რომელშიც ზედა რეგისტრში ატანილ „ინ“-თან და „ან“-თან ასევე ორმაგი მარყუხია გამოყვანილი.



**წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტის შედგენილობა.**

შინაარსობრივად, წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტი რამდენიმე მონაკვეთისგან შედგება. ტექსტი იწყება წმ. ონოფრე დიდის ხოტბით, ვის სახელზეც შეიქმნა განსახილველი ხატი:

ქ. ეპა ქვეყანასა ზედა ჯორცითა შობილო, არამედ სულითა და ჯორცილთა ანგელოზ ქმნულო და საკვირველბათა სასწაულთა მოქმედო, ხოლო დანიელისებრ ცხორებასა შინა ყოფილო და მღრდელთ მოძღუართა სამკაულო ღ(მერ)თ შემოსილო მამაო მამათაო, ონოფრე.

ტექსტის მომდევნო მონაკვეთში ნახსენებია შემწირველი, ლევან II დადიანი, რომელმაც ხატი მოაჭედინა და შეამკობინა: „გქვედრები მე, ჯელმწიფე დადიანი, პატრონი ლევან, რომელმან მოვქაჭედინე ხატი ესე პატიოსნისა სახისა შენისა და შევამკევით თვალ მარგალიტითა.“

ტექსტის შემდგომ მონაკვეთში დასახელებულია შეწირულების მიმღები: „დავასუენეთ ღალიძგას სასახლეს | კარისა ეკლესიასა.“ მომდევნო მონაკვეთში დასახელებულია შეწირულების მოტივი / მიზეზი: „მის კურთხეულისა, ამ სოფლის მნათისა, ქილაძის ასულისა და თანა მეცხედრისა ჩუენისა, დედოფალთა დედოფლისა, პატრონისა ნესტანდარეჯანისა სულისა სახსრად და საოხად.“ შეწირულების მოტივის დასახელებას მოსდევს განგებულება: „გავაჩინეთ ალაპი და მოალაპეთ დავაყენეთ ოთხი მოსახლე საღალიძგო კაცები.“ ამ წინადადებას მოსდევს იმის ვრცელი ჩამონათვალი, თუ „საღალიძგო კაცებიდან“ კონკრეტულად ვის რა ევალეობდა.

ტექსტის შემდგომი ნაწილია განგებულება ეკლესიისა და მღვდლისადმი ალაპის გადახდისა და ჟამის წირვის თაობაზე და დადგენილია მათი აღსრულების ვადა:

ყოველს წელიწადსა ღალიძგას სასახლისა კარისა ეკლესიასა თორმეტს ივანობის თვესა წმიდის ონოფრეს ^ღლეობასა^ ალაპს გარდაიჯდიდენ კურთხეულის დედოფლისა ნესტანდარეჯანის სულისა სახსრათ და იმ დღეს ერთმა მღურდექლმან ჟამი სწიროს.

ტექსტი მთავრდება განგებულებით იმის თაობაზე, რომ ხუცესს უნდა მისცენ დაკლული ძროხისა და ცხვრის თავები, მკერდის ნაწილი და გულ-ღვიძლი, ხოლო სოფლის მცხოვრებთ ხუთი ქილა მარილი უნდა გაუნაწილონ.

წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტი ერისკაცებისთვის მარილის დარიგების განგებით სრულდება.

როგორც წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული წარწერის ტექსტის ანალიზმა გვაჩვენა, განსახილველი ტექსტი ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან ცნობილი, ტრადიციული ქართული სიგელის შედგენის წესების დაცვითაა შედგენილი და, შესაბამისად, ის თავისი სტრუქტურით ძალიან ახლოს დგას სიგელის ჩვენში გავრცელებულ ტრადიციულ ტიპთან. ტერმინ „სიგელი“ ხმარებასთან დაკავშირებით შევნიშნავ, რომ X საუკუნიდან XIV-XV საუკუნემდე „სიგელი“ მხოლოდ მეფის ნაბოძებ საბუთს ეწოდებოდა. ყველა დანარჩენ საბუთს „დაწერილი“ ერქვა. XVI საუკუნისათვის კი „სიგელმა“ სრულად ჩაანაცვლა ტერმინი „დაწერილი“. სწორედ ამიტომ, ლევან II დადიანთან დაკავშირებულ საბუთს სიგელად მოვიხსენიებ, მით უფრო, რომ იგი ოდიშის მთავარი იყო.

ქართული სიგელის ტრადიციული ფორმისგან განსხვავებით, წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებულ ტექსტს აკლია შემდეგი ნაწილები: ა) ბრალთგადამხდელობის ნაწილი, ბ) შედგენის თარიღი და გ) სიგელის გამცემის ხელრთვა. სიგელის ფორმით შედგენილი, წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტის ნაკლულ ნაწილებზე ქვემოთ ცალკე-ცალკე ვიმსჯელებ.

თუ ივანე ჭავჭავაძის დავიმონებთ, ბრალთგადამხდელობის ნაწილს ზოგიერთ ტრადიციულ სიგელშიც არ ვხვდებით (ჭავჭავაძე 1996: 110), ამიტომ წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტის შედგენილობაში ბრალთგადამხდელობის

ნაწილის უქონლობა არ ნიშნავს იმას, რომ საბუთი იურიდიულად გაუმართავია. ტექსტში საბუთის შედგენის თარიღის მიუთითებლობა კი დასაბუთებულია ხარვეზით. მიმაჩნია, რომ ეს უნებლიე შეცდომაა. ამის საფუძველს მაძლევს ლევან II დადიანის საფასით დამზადებული კიდევ ერთი ხატის ზურგზე შესრულებულ ტექსტი, რომელიც ჩვენ მიერ დეტალურად განხილული ტექსტის სტრუქტურას იმეორებს, დამატებით კი ბრალთგადამხდელობის ნაწილსა და თარიღსაც შეიცავს. საუბარია ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებიან ხატზე, რომელიც ლევან II დადიანს ტარჩულში მდებარე ლიპარტიანის სასახლის კარის ეკლესიისთვის შეუწირავს (თაყაიშვილი 1914: 55-57). ტექსტში ნახსენებია, რომ ლევან დადიანს აღაპი განუწესებია ქორონიკონით 330-ში, ანუ 1642 წელს, ხოლო ხატი მოუჭედინებია მოგვიანებით, ქორონიკონით 334-ში, ანუ 1646 წელს.

ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი ხატი დამზადებულია მოოქრული ვერცხლისაგან. ზომა: 43 X 31 (სმ.) ჩვილედი ღმრთისმშობელი საღებავებითაა დახატული. ხატი შემკულია შვიდი ქვითა და ორი მარგალიტით.

ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტი შესრულებულია XVII საუკუნისთვის სახასიათო მხედრული დამწერლობით. სტრიქონების რაოდენობა – 29 სტრიქონი ხატის ზურგზე და 5 სტრიქონი ხატის პირზე. განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილი, რომელიც ყოველი სიტყვის შემდეგ ზის.

**წარწერის გამოცემა:** ე. თაყაიშვილი, 1914.

იმის გამო, რომ განსახილველი ხატის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი, მის ზურგზე შესრულებულ ტექსტს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული სახით ვიმოწმებ, თანაც ტექსტი იმგვარად ვაა დაწინაურებული, როგორც ავტორისეულ წიგნში.

**წარწერის წაკითხვა:**

(პირობითი ნიშნები: ( ) – ქარაგმის გახსნის შემდეგ აღდგენილი სიტყვის ნაწილი; [ ] – ტექსტის წერისას უნებლიეთ გამოტოვებული ასოები.

სასვენი ნიშნები ჩემ მიერაა დასმული.

- 1 ქ. ეპა, უმამოდ შენგან და უდედოდ მამისაგან ცა-
- თა სიტყუითა დამყარებული საშოთი დაიტიე და
- 2 უნებლად განკაცნა შენგან ქალწულო, ჯორცნი შეისხ-
- ნა ღმერთი შემოქმედი და მაცხოვარი
- 3 ყოველთა არსი, კურთხეულ არს სახელი შენი
- ყოვლად საგალობელო ღ(მრ)თისა სძალო ქალწუ
- 4 ლო მარიამ, შვიდთა ცათა უმაღლესო, ქერობინთა
- უზეშთაესო, ყოველთა ქრისტიანე
- 5 თა სასოო და შესავედრებელო, დედაო ნათლისაო,
- ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო. ჩვენ თ
- 6 იხა შეზელილმან, ტუირთ მძიმემან ცოდვათა შებლა-
- ლულმან, ცვა ფარვათა შენთა მონდო
- 7 ბილმან, მოსავმან სინმიდისა სასოებით სამსახურისა
- თქვენისამან, დადიანმან პატრონმან
- 8 ლევან, ვიგულსმოდგინეთ და მოვაჭედინეთ ხატი
- ესე სახისა თქვენისა და შევამკვეთ თვალ
- 9 ითა და მარგალიტითა და დავასვენეთ ტარჩულს
- ლიპარტიანის სასახლესა, კარის ეკლესიასა,
- 10 ჩვენ, ძემან ჯელმნიფისა მანუჩარისამან, ხელმნიფემან
- დადიანმან, პატრონმან ლევან, მის კურ
- 11 თხეულისა, სანატრელისა და ამ სოფლის მნათი-
- სა, ყოველთა კაცთა უფრო საყუარელისა
- 12 ჩვენისა, ამ სოფლის ლხინ სიმხიარულისა თანა

მეცხედრისა ჩვენისა, ჭილაძის ასულისა, დედოფა  
13 ლთ დედოფლისა, პატრონისა ნესტანდარეჯანისა, კურ-  
თხეულმცა არს სახსენებელი და ხ  
14 სენება და საუკუნო მისი, ამინ. მისი სულისა  
სახსრად და საოხად და ცოდვათა მისთა შესანდო  
15 ბლად, დავასახლეთ ჭაქვიჯს მეჯოგეთ გოშართია  
შენგელია და დავაყენეთ  
16 სა[ა]ლაპოთ ცხრა მენველი ზროლა და ერთი  
ულელი ჯარი. ანე, ამ ზროხების  
17 ნანველი ყველი ყველა და სა[ა]ლაპოთ მიგვიჩენია  
ნივთობით. ამისთვის არ დავსწ  
18 ერეთ, რომე წელიწადში ზოგს ეყოლება ხბო  
და ზოგსა არა. ჯარები ს  
19 ამუშაოდ დაგვიყენებია და სა[ა]ლაპო ღომი უნდა  
მოინიოს. ამ ზროხები  
20 ს ყველი, რაც იქნას ყოველს წელიწადს, ყველი-  
ერისა შაბათსა სა[ა]ლაპოთ და  
21 ხარჯევდენ და ალაპსა გარდავთიდენ. და ამ შენ  
გელიას გოშართიას გოჭ  
22 კუმურის ღომი და ღვინო უსაკლაოდ. ორი ქი-  
ლა ღომი და სამი გუდა ღვი  
23 ნო ამ ალაპზე დახარჯონ ჩუენმა ჩენილმა და  
მ[ო]ხელემან. ანე, ვინცა ეს ჩ  
24 ვენგან გაჩენილი ალაპი მოშალოს, ანუ ლიპარტი  
ანმა, ანუ სხვამან მებატო  
25 ნემან ვინმე, ანუ რამანც ძემან კაცისამან შემცა-  
იშლების ღვთისაგან გაგებ  
26 ული მისი, ნურთამცა სინანულითა ნუ იქმნების  
ხსნა სულისა მისის  
27 ა მას საუკუნოს სატანჯველისაგან. ხოლო დამამ-  
ტკიცებელი ამისი აკ  
28 ურთხნეს ღ(მერ)თ(მა)ნ. მოიჭედა ხატი ესე ყოვლად  
წმიდისა ქორანიკონსა სამას  
29 ოცდა თოთხმეტსა.

ხატის პირის არშიაზე შემდეგი მხედრული წარწერაა შესრულებული:

1 ქ. და მოსავი ღთაებისა შენისა დადიანი ლევან,  
რომელმან მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა და  
შევამკვევი  
2 თ თვალითა და მარგალიტითა და დავასვენეთ  
ლიპარტიანის სასახლესა ტარჩულს, კარისა ეკლ  
3 ესიასა. დედაო ნათლისაო, შეინყალე და იხსენ  
ცოდვათა მისთაგან კურთხეული თანამე  
4 ცხედრე ჩვენი, დედოფალი, პატრონი ნესტანდარეჯან.  
რათა მოიჭედა ხატი ესე სულისა სახს  
5 რად და საოხად ცოდვათა მისთა შესანდობლად.  
ქ(ორონი)კ(ონ)სა სამას ოცდაათსა გავაჩინეთ ალაპი (თაყაიშვილი 1914: 55-57).

**ჩვილუდი ღმრთისმშობლის ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტის შედგენილობა.**  
ზემორე ტექსტის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც სიგელის ტრადიციული

ლევან II დადიანის საფასით მოჭრილ ხატებზე შესრულებული ტექსტები, როგორც შინიშულების გაღების გზით...

სტრუქტურის მიხედვით განყოფილ ტექსტთან გვაქვს საქმე.

ტექსტი იწყება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხოტბით, ვის სახელზეც შეიქმნა განსახილველი ხატი:

ქ. ეპა, უმამოდ შენგან და უდედოდ მამისაგან ცათა სიტყუითა დამყარებული საშოთი დაიტიე და უნებლად განკაცნა შენგან ქალწულო, ჯორცნი შეისხნა ღმერთი შემოქმედი და მაცხოვარი

ყოველთა არსი, კურთხეულ არს სახელი შენი ყოვლად საგალობელო ღ(მრ)თისა სძალო ქალწულო მარიამ, შვიდთა ცათა უმაღლესო, ქერობინთა უბეშთაესო, ყოველთა ქრისტიანეთა სასოო და შესავედრებელო, დედაო ნათლისაო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო.

ტექსტის მომდევნო მონაკვეთში ნახსენებია შემწირველი, ლევან II დადიანი, რომელმაც ხატი მოაჭედინა და შეამკობინა: „ჩვენ თისა შეზელილმან, ტუირთ მძიმემან ცოდვათა შებლალულმან, ცვა ფარვათა შენთა მონდობილმან, მოსავმან სინმიდისა სასოებით სამსახურისა თქვენისამან, დადიანმან პატრონმან ლევან, ვიგულსმოდგინეთ და მოვაჭედინეთ ხატი ესე სახისა თქვენისა და შევამკვეთ თვალითა და მარგალიტითა.“

ტექსტის მომდევნო მონაკვეთში დასახელებულია შეწირულების მიმღები და განმეორებულია შეწირულების გამღების სახელი: „დავასვენეთ ტარჩულს, ლიპარტიანის სასახლესა, კარის ეკლესიასა, ჩვენ, ძემან ჯელმწიფისა მანუჩარისამან, ხელმწიფემან დადიანმან, პატრონმან ლევან.“ შემდეგ მონაკვეთში დასახელებულია შეწირულების მოტივი / მიზეზი:

მის კურთხეულისა, სანატრელისა და ამ სოფლის მნათისა, ყოველთა კაცთა უფრო საყუარელისა ჩვენისა, ამ სოფლის ლხინ სიმხიარულისა თანამეცხედრისა ჩვენისა, ჭილაძის ასულისა, დედოფალთ დედოფლისა, პატრონისა ნესტანდარეჯანისა, კურთხეულმცა არს სახსენებელი და ხსენება და საუკუნო მისი, ამინ. მისი სულისა სახსრად და საოხად და ცოდვათა მისთა შესანდო ბლად

შეწირულების მოტივის დასახელებას მოსდევს განგებულება: „დავასახლეთ ჭაქვიჯს მეჯოგეთ გოშართია შენგელია და დავაყენეთ სა[ა]ლაპოთ ცხრა მეწველი ზროლა და ერთი ულელი ჯარი.“ ამას მოსდევს ბრალთგადამხდელობის ნაწილი, რომელიც წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებულ ტექსტს არ აქვს:

ანუ, ვინცა ეს ჩვენგან გაჩენილი ალაპი მოშალოს, ანუ ლიპარტიანმა, ანუ სხვამან მებატონემან ვინმე, ანუ რამანც ძემან კაცისამან შემცაიშლების ღვთისაგან გაგებული მისი, ნურთამცა სინანულითა ნუ იქმნების ხსნა სულისა მისისა მას საუკუნოს სატანჯველისაგან. ხოლო დამამ-  
ტკიცებელი ამისი აკურთხნეს ღ(მერ)თ(მა)ნ.

შემდეგია შემწირველის მიერ ხატის მოჭედვის თარიღი: „მოიჭედა ხატი ესე ყოვლად წმიდისა ქორანიკონსა სამას ოცდა თოთხმეტსა“ (= 1646 წელს).

შეწირულების გაფორმების თარიღი, რომელიც წმ. ონოფრე დიდის ხატის ტექსტს არ აქვს, ამ შემთხვევაში მითითებულია ხატის პირზე შესრულებულ წარწერაში ნახსენები ალაპის განწესების თარიღის მეშვეობით: „ქ(ორონი)კ(ონ)სა სამას ოცდაათსა გავაჩინეთ ალაპი“ (= 1642 წ.).

მაშასადამე, ზემოთ განსახილული, ჩვილადი ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი ხატის ტექსტი, მსგავსად წმ. ონოფრე დიდის ხატის ტექსტისა, ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან ცნობილი, შეწირულების სიგელის შედგენის წესების დაცვითაა გაფორმებული და შესაბამისად, ის თავისი სტრუქტურით სიგელის ჩვენში გავრცელებულ ტრადიციულ ტიპს ემსგავსება.

როგორც უკვე დავადგინეთ, ზემოთ განხილული ორივე ტექსტი დაწერილია ქართულ დიპლომატიკაში არსებული ნორმების დაცვით, თუმცა მათ არ აქვთ სიგელის მთავარი ელემენტი – ხელრთვა. ამის მიზეზი არ ყოფილა ის, რომ ხატის ზურგზე ხელრთვის დატოვება არ შეინყნარებოდა. ცნობილია ლევან II დადიანის საფასით დამზადებული ხატები, რომლებზე შესრულებულ ტექსტებს მისი ხელრთვა ახლავს. მაგალითისთვის მოვიყვანოქონის ხატის სახატეზე შერულებულ ტექსტს, რომელსაც ბოლოში ლევან II დადიანის ხელრთვა ერთვის (სურ. 3).

ოქონის ჯვარცმის ხატი ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოდანაა გამოსული. მისთვის დამზადებული ვერცხლის სახატის ზურგზე XVII საუკუნისთვის სახასიათო მხედრული დამწერლობით შესრულებული ტექსტი იკითხება.

სტრიქონების რაოდენობა – 11. განკვეთილობის ნიშნები – ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი ან სამწერტილი. ქარაგმის ნიშანი: მორკალული ჰორიზონტალური ხაზი მარცხენა ბოლოში ზემოთკენ მიმართული წანაზარდით.

**წარწერის გამოცემა:** ე. თაყაიშვილი, 1909.

წარწერის გადმონაწერს სტრიქონებში სიტყვების განაწილების გათვალისწინებით ვაქვეყნებ.

**წარწერის წაკითხვა:**

(პირობითი ნიშნები: ( ) – ქარაგმის გახსნის შემდეგ აღდგენილი სიტყვის ნაწილი; | – სტრიქონის დასასრული):

- 1 ე. ეკა ძვირ უხსენებელო, გონება მიუწდო|
- 2 მელო, ცისა და ქუეყნის შემქმნელო, ყოვლის ფერ|
- 3 ის დამბადებელო, ღ(მერ)თო, ძეო მაცხოვარო, ქრისტე|
- 4 მეუფეო, ჯვარცმაო ოქონისაო, რომელმან|
- 5 მოვაჭედინეთ კუბო ესე ვერცხლითა ჩუენ,|
- 6 დადიანმან, პატრონმან ლევან, მის კურთხე|
- 7 ულისა, ჩუენისა, ამ სოფლისა თვალის სინ|
- 8 ათლისა, დედოფლისა, პატრონისა ნეს|
- 9 ტანდარეჯანისა სულისა სახსრად და|
- 10 საოხად, რათა იხსენ ყოულისა|
- 11 სატანჯველისაგან. ლევან” (თაყაიშვილი 1909: 128).

ოქონის ხატის სახატეზე შესრულებული ტექსტის ბოლო, მეთერთმეტე სტრიქონი ლევან II დადიანის ხელრთვით სრულდება („ლევან“) (სურ. 3). ხელრთვით სრულდებოდა, აგრეთვე, წაჩხურუს მთავარანგელოზთა ხატზე შესრულებული ტექსტი (იხ. ქვემოთ).

როგორც წმ. ონოფრე დიდისა და ჩვილუდი ღმრთისმშობლის გამოსახულებიან ხატებზე შესრულებული ტექსტების ანალიზმა აჩვენა, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სიგელის ტიპურ ტექსტთან, რომელიც ქართული დიპლომატიკის წესების დაცვითაა შედგენილი. ხატების განსახილველ ტექსტებს სტანდარტული სიგელებისგან განასხვავებს მხოლოდ იმ მასალის სახე, რომელზეც ეს უკანასკნელნი არიან შესრულებული – ვერცხლი ან მოოქრული ვერცხლი. როგორც აქამდე ვიცოდით, საქართველოში სიგელების დასაწერად მეტალის ფირფიტის გამოყენების ტრადიცია არ არსებულა. ივანე ჯავახიშვილი თავისი ნაშრომის სიგელ-საბუთის შემზადების ტექნიკისადმი მიძღვნილ ქვეთავში წერს, რომ სიგელი „საქართველოში უმეტესად ეტრატსა და ქალაღდზე იწერებოდა.“ მას „ან გრაგნილის სახით აკეთებდნენ, ან წვრილად და ბრტყლად კეცდნენ ხოლმე“ (ჯავახიშვილი 1996: 429).

ახლა ვნახოთ, თუ რა ტრადიცია არსებობდა მეტალის ფირფიტაზე ტექსტების შესრულების თვალსაზრისით საქართველოს ფარგლებს გარეთ.

უილიამ ჯ. ჰამბლინმა მეტალის ფირფიტებზე უძველეს დროში შესრულებული ტექს-

ტების გეოგრაფია მიმოიხილა. აღმოჩნდა, რომ ამ ხერხს ფართოდ იყენებდნენ ებრაელები, ფინიკიელები, ბერძნები და იტალიკურ ენაზე მოსაუბრე ხალხები (ჰამბლინი 2007: 52). ისინი მეტალს, მეტნილად, წმიდა ტექსტების დასაწერად იყენებდნენ.

სხვათა შორის, მეტალზე წმიდა ტექსტის დაწერის მაგალითი საქართველოს სინამდვილეშიც გვხვდება. კერძოდ, 1992 წელს, სვეტიცხოვლის მახლობლად წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს ამულეტი – დაგრაგნილი ოქროს ფურცელი 29-სტრიქონიანი ებრაული ტექსტით. ტექსტი შესრულებულია არამეული დამწერლობით, რომელსაც ებრაელები გვიანანტიკურ ხანაში იყენებდნენ (წერეთელი 1996: 95).

შუა საუკუნეებში, მეტალის ფურცლებზე წერის ტრადიცია ინდოეთში იყო გავრცელებული. მეტალზე წერდნენ სამეფო განკარგულებებსა და შეწირულების სიგელებს. მაგალითად, ცნობილია სპილენძის ფურცლებზე დაწერილი, მეფე რაჭენდრა I-ის მიერ 960 წელს გაცემული ბრძანებულებები (დეჰუჯია 2021: 84). გუჯარათში ნაპოვნია მინის შეწირულების დამადასტურებელი სიგელები (რეი 2023: 100-105). ემანუელ ფრანსისმა კვლევის პროცესში გაარკვია, რომ სპილენძის ფურცლებზე დაწერილი დოკუმენტები, თავდაპირველად ქალაქებში იწერებოდა და მეფის კანცელარიაში ინახებოდა (ფრანსისი 2018: 397).

ამგვარად, მეტალის ფურცლებზე წმიდა ტექსტების, ბრძანებულებებისა და შეწირულებათა დამამტკიცებელი სიგელების წერის ტრადიცია ხმელთაშუა ზღვის არეალსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფართოდ იყო გავრცელებული.

საქართველოში, ადრეულ პერიოდში, კერძოდ, გვიანანტიკურ ხანაში, მეტალზე ვრცელი ტექსტის დაწერის ერთეული შემთხვევა გვაქვს, ისიც არაქართული (იხ. ზემოთ – მცხეთური ამულეტი 29-სტრიქონიანი ებრაული ტექსტით), თუმცა ის ტრადიციად არ ჩამოყალიბებულა.

შეწირულების სიგელის მეტალზე გადატანა ლევან II დადიანის მიერ XVII საუკუნის საქართველოში შემოტანილი სიახლე იყო, რომელიც მან ოდიშის სამთავროს ფარგლებში დაამკვიდრა. იმაზე, რომ ლევან II დადიანის საფასით მოქედით ხატებზე შესრულებული ტექსტები, შესაძლოა, ქალაქებზე დაწერილი იურიდიული დოკუმენტების ასლი ყოფილიყო, დადიანის სახელისგან გამოსული, ნაჩხურუს მთავარანგელოზის ტაძრისთვის შეწირული ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტი მიგვანიშნებს. ამ ტექსტის ფრანგული თარგმანი მარი ბროსემ გამოაქვეყნა (ბროსე 1851: 39-43). ექვთიმე თაყაიშვილმა იმავე ტექსტს ქალაქებზე დაწერილი გუჯრის სახით მიაკვლია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც „რატიანთა გუჯარი“. მართალია, ე. თაყაიშვილმა ეჭვი გამოთქვა, რომ ესოდენ გრძელი ტექსტი ხატზე ვერ იქნებოდა შესრულებული (თაყაიშვილი 1891) და მ. ბროსე, სავარაუდოდ, შეცდა, როცა ტექსტის თარგმანი როგორც ხატის წარწერა ისე გამოაქვეყნა, მაგრამ ჩვენ საფუძველი არ გვაქვს მ. ბროსეს ცნობაში ეჭვი შევიტანოთ, მით უფრო, რომ ლევან დადიანისეულ ორ ხატზე შესრულებული ვრცელი ტექსტები, რომლებიც ზემოთ გვაქვს განხილული, იმის კარგი მაგალითია, რომ ლევან დადიანისეულ ხატებზე მოზრდილი ტექსტების შესრულების ტრადიცია არსებობდა.

ნაჩხურუს ხატის პირის მხარეს მთავარანგელოზებია გამოსახული, ხოლო ზურგის მხარეს, მხედრული დამწერლობით, ვრცელი ტექსტია შესრულებული.

### **ნაჩხურუს ხატის ზურგზე შესრულებული ტექსტის შედგენილობა.**

ნაჩხურუს ხატის ტექსტი, ზემოთ განხილული ტექსტების მსგავსად, სიგელის სტრუქტურას იმეორებს. ტექსტი იწყება მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ქებით, ვის სახელზეც შეიქმნა შეწირული ხატი. შემდეგ ნახსენებია შემწირველი, ლევან II დადიანი, რომელმაც ხატი მოაჭედინა და შეამკობინა. ამ ნაწილს მოსდევს მონაკვეთი, რომელიც ადრე განხილული ტექსტებში არ გვაქვს. კერძოდ, ტექსტის სტრუქტურას დამატებული აქვს ისტორიულ-მიმოხილვითი ნაწილი, რომელშიც ლევან II დადიანის პაპის, ლევან I დადიანის დროინდელი ამბებია გადმოცემული. ამგვარი მიმოხილვა განახლების სიგელებისთვისაა დამახასიათებელი. საილუსტრაციოდ მომყავს მიმოხილვითი ნაწილის ტექსტი:

პაპა ჩუჭნის ლიონ დადიანი სტანბოლს წასულა და რაც ოდიშს პატიოსანი საყდრები ყოფილა, იმისათვის ზოგს ათი, ზოგს ხუთი შეუწირავს. ამ მთავარ-ანგელოზისა წაჩხურისათვის შემოუწირავს წაჩხურული და მისი შვილი კაჭუ, და მისი ძმა ქრისტეკოჩი, ორმოცდა და თორმეტი მოსახლე კაცი ორი სასახლეთ. და ქრისტეკოჩი სტანბოლს წაუტანიათ, და იქ პაპა ჩუჭნს გამარჯუტბია და იმათი ძალით გამარჯუტბული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნიერს ხუანთქარს წყალობად მიეცა, და მათს აქეთ წამობრძანებულა. ქრისტეკოჩი იქ სტანბოლს დაუგდია ხომალდების წინამძღურად, და მდივნობაც უბოძებია, უფროსობაც ხომალდის (თაყაიშვილი 1891: 1-2).

ისტორიულ-მიმოხილვით ნაწილს მოსდევს განგებულება. შემდეგია შეწირულების მიზეზი. ამას მოსდევს განგებულება ეკლესიისა და მღვდლებისადმი აღაპის გადახდისა და ჟამის წირვის თაობაზე და დადგენილია მათი აღსრულების ვადა. შემდეგია ბრალთგადამხდელობის ნაწილი. ტექსტი სრულდება ლევან II დადიანის ხელრთვით.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, ლევან II დადიანის სახელოსნოდან გამოსულ ხატებზე შესრულებული ვრცელი ტექსტები არ არის უბრალოდ ისტორიული დატვირთვის მქონე ტექსტები, არამედ ისინი სრულყოფილი იურიდიული საბუთებია, რომლებიც სიგელის გაფორმებასთან დაკავშირებით არსებული წესების გათვალისწინებითაა შედგენილი. წმ. ონოფრე დიდისა, ჩვილადი ღმრთისმშობლის და მთავარანგელოზთა გამოსახულებიანი ხატების ზურგზე შესრულებული ქართული ტექსტები იმეორებენ სიგელის შედგენის იმ ტრადიციას, რომელიც ერთიანი საქართველოს დროს არსებობდა, რაც ქმნის განწყობას, რომ ხატებზე შესრულებული ტექსტებიც სიგელებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, იმავდროულად ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ხატის ზურგზე შესრულებულ, შეწირულების სიგელის ქარგის მიხედვით სტრუქტურირებულ ტექსტს სიგელი ვუნოდოთ, მით უფრო თუ მას ხელრთვა არ ახლავს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შეწირულების ტექსტი, რომელშიც სააღაპე დავალებაც შედიოდა, საეკლესიო წიგნშიც იყო ჩაწერილი და როგორც ზემოთ ვახსენე, სიგელის სახით ქალაქდებეც იყო დაწერილი და ოდიშის მთავრის კანცელარიაში ინახებოდა, მსგავსად ინდოეთში არსებული ტრადიციისა, სადაც შეწირულების ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, ქალაქდებე ან პალმის ფურცელზე იწერებოდა და სპილენძზე შესრულებული ასლიც კეთდებოდა (ფრანსისი 2018: 397). იყო შემთხვევები, როცა სპილენძის ასლი ხანძრის დროს დამწვარი, ქალაქდებე, ან პალმის ფურცელზე შესრულებული დოკუმენტის სანაცვლოდ გაიცემოდა (ფრანსისი 2018: 397).

ვფიქრობ, რომ ლევან II დადიანის მიერ დაარსებულ საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებულ მეტალის ხატებზე შესრულებულ ტექსტებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეწირულების სიგელის შედგენის წესების დაცვითაა შესრულებული, სიგელს მაინც ვერ ვუნოდებთ იმ მიზეზით, რომ, უპირველეს ყოვლისა, მათზე ყოველთვის არ გვხვდება სიგელის გამცემის ხელრთვა და გაცემის თარიღი, და თანაც, ხატებზე შესრულებული ტექსტები, როგორც გავარკვიეთ, ტრადიციული ფორმით შედგენილი იურიდიული საბუთების ასლებია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ლევან II დადიანის მიერ დაარსებულ საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებულ მეტალის ხატებზე შესრულებულ ტექსტებს მე მივიჩნევ არა სიგელებად, არამედ სიგელების ასლებად, რომლებიც შეწირულების სიგელის ქარგას იმეორებს. მიმაჩნია, რომ სიგელის ტექსტის მეტალის მატარებელზე გადატანის მიზეზი ტექსტის უკეთესი დაცულობის უზრუნველყოფა იყო: მეტალზე შესრულებული ტექსტი არ დაინვებოდა და მისი შეუმჩნეველად ჩასწორებაც ვერ მოხერხდებოდა. თავად ხატი კი, რომლის ზურგზე ტექსტი იყო შესრულებული, დაცვის ყველაზე სანდო საშუალება იყო.

ვფიქრობ, ლევან II დადიანის საფასით შექმნილ მეტალის ხატებზე შესრულებულ ტექსტებს, მათი უნიკალურობიდან გამომდინარე, ქართულ დიპლომატიკაში ცალკე ადგილი უნდა მიეჩინოს.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით შევხები ლევან II დადიანის დაკვეთით შექმნილი ხატების წარწერებში მოხმობილ, მეგრული ძირის მქონე ტერმინებს. იმის

გათვალისწინებით, რომ მეგრული ენა საფრთხის ქვეშ მყოფი ენების ჯგუფს მიეკუთვნება, თითოეული ტერმინის ფორმობრივი სახესხვაობის გამოვლენა მნიშვნელოვანია. ქვემოთ მოცემულია ხატების წარწერებში დადასტურებული მეგრული ტერმინები, მათი ფორმობრივი სახესხვაობები და განმარტებები, რაც ჩემ სტატიაში მოყვანილი ტექსტების გაგებას გააადვილებს.

ხატებზე შესრულებულ ტექსტებში შემდეგი სპეციფიკური ტერმინები გვხვდება:

1. გოჭკუმური – ასე ერქვა ტრადიციულ სამასპინძლო სუფრას. ეს ტერმინი სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება: გოჭკომური, გოჭკუმური, გომოჭკუმური. ეს ბოლო ვარიანტი მოხმობილია „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“ (1619-1621 წწ.), თუმცა ამავე დოკუმენტში გოჭკუმურის ფორმითაც გვხვდება.

2. ლალარიკონი – ეს ტერმინი სიტყვა ლოლარიკის ვერსიაა. მეგრულ ენაში ლოლარიკს ორი მნიშვნელობა აქვს: ის ერთდროულად სასწორსა და წონის ერთეულსაც ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ თანახმად, ლოლარიკი ცალსასწორა, ანუ ერთპინიანი სასწორია. ნ. ხანიკოვი ოზურგეთის მაზრაში გავრცელებულ წონის ერთეულებს შორის ლალარიკსაც (лапарики) ასახელებს და მას ერთი ფუნტით, 63 ზოლოტნიკითა და 86 დოლიათი განსაზღვრავს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ერთი რუსული ფუნტი 0,40951241 კილოგრამს, ერთი ზოლოტნიკი 4.2657 გრამს უდრის, ხოლო 86 დოლიას 96-მდე მეტობით დავამრგვალებთ, რაც 1 ზოლოტნიკს უდრის, მაშინ გამოვა, რომ ერთი ლალარიკონი 683 გრამის ტოლი ყოფილა.

3. ივანობა მეგრულად ივნისს ნიშნავს. „დედოფალთა დედოფლის, პატრონისა ნესტანდარეჯანის სულის სახსრად და საოხად“ განკუთვნილი აღაპი 12 ივნისს, წმ. ონოფრე დიდის ხსენების დღეს დაუდგენიათ.

4. თვლაკი - ღომის წონის საზომი ერთეულია. მ. ბროსეს ეს სიტყვა წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებულ ტექსტში შეცდომით „ფილაკად“ აქვს წაკითხული. არადა, სიტყვის დაწერილობაში აშკარად განირჩევა ასო „თანი“, რომელსაც „ვიე“ (ვ) გრაფემა მოსდევს (მ. ბროსეს ერთი სისტემური შეცდომაც აქვს დაშვებული: სხვა სიტყვაშიც მოხმობილი „ვიე“-ს ნაცვლად, იგი ყველგან „ვი“-ს კითხულობს. კერძოდ, სიტყვა „ღვინო“, რომელიც ტექსტში ოთხჯერ წერია, ოთხჯერვე წაკითხული აქვს როგორც „ღვინო“).

იქიდან გამომდინარე, რომ სამეგრელოში ღომი კვების ძირითადი პროდუქტი იყო, მისი წონის შესაფასებლად, საკმაოდ ბევრი სხვადასხვა საწყაო გამოიყენებოდა. შესაბამისად, ამ მხრივ ტერმინების დიდი სიმრავლე გვაქვს. დოკუმენტებში დადასტურებულ ტერმინებს შორის გვხვდება ატარი, კოთხო, კოპეში, გუდა, ნისორი, გუერდი და ბარქაში. ზემორე ტერმინებს თავი ინგა ბებიაშ მოუყარა (ბებია 2003). ამ ტერმინების გარდა, 1619-1621 წლებით დათარიღებულ „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“ გვხვდება ტერმინი „ლიჯი“ – „ოთხი ლიჯი ღომი“, ხოლო ტარჩულში, ლიპარტიანის სასახლის კარის ეკლესიისთვის შეწირული ხატის წარწერაში ნახსენებია „ორი ქილა ღომი“.

## შენიშვნები

<sup>1</sup> სტატიაში მოცემული კვლევის შედეგების ერთი ნაწილი წავიკითხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც 2022 წლის 23 დეკემბერს გაიმართა. ჩემი მოხსენების სათაური იყო „ლევან დადიანის მიერ ლალიძგას სასახლის კარის ეკლესიისთვის შეწირული წმ. ონოფრე დიდის ხატის წარწერა“.



**დამონებანი**

**ბებია 2003:** ი. ბებია. „სამიწათმოქმედო ექსიკა მეგურში“, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

**ბროსე 1851:** Marie-Félicité Brosset. *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie en 1847-1848*, IX, Neuvieme rapport, St.-Petersbourg.

**დეჰეჯია 2021:** V. Dehejia. *The Thief Who Stole My Heart: The Material Life of Sacred Bronzes from Chola India, 855-1280*, Princeton University Press, Woodstock.

**თაყაიშვილი 1891:** ე. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა, ივერია, N224.

**თაყაიშვილი 1909:** Е. Такаишвили. Христианские памятники, МАК, т. 12, Москва.

**თაყაიშვილი 1914:** ე. თაყაიშვილი. *ახეორგოეუხი მოგზაურობანი და შენიშვნანი*, წიგნი მეორე, ტფილისი.

**რეი 2023:** H. P. Ray. *The Hindu Temple and Its Sacred Landscape. The Oxford Centre for Hindu Studies*, Mandala Publishing, California.

**ფრანსისი 2018:** E. Francis. *Indian Copper-Plate Grants: Inscriptions or Documents?, Manuscripts and Archives: Comparative Views on Record-Keeping*, De Gruyter, 10.1515/9783110541397-014. halshs-01892990 <https://shs.hal.science/halshs-01892990> (ნანახია: 15.10.2023).

**წერეთელი 1996:** კ. წერეთელი. მცხეთის არამეული ამულეტი, მცხეთა XI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.


**ხუსკივაძე 1974:** ლ. ხუსკივაძე. *ღევან დადიანის საოქომქედო სახედონო (ნახკვევი XVII საუკუნის ქახთური ჭედუხი ხედონების ისტორიიდან)*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1996:** ი. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი თოხმეგ გომად, ტომი IX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.


**ჰამბლინი 2007:** W. J. Hamblin. *Sacred Writing on Metal Plates in the Ancient Mediterranean*, *FARMS Review*, Vol. 19, No. 1.



**სურ. 1** ლევან II დადიანის მიერ ღალიძგას სასახლის კარის ეკლესიისთვის შეწირული წმ. ონოფრე დიდის ხატი (დ. ერმაკოვის ფოტო).



**სურ. 2** წმ. ონოფრე დიდის ხატის ზურგზე შესრულებული წარწერის ტექსტი (დ. ერმაკოვის ფოტო).



სურ. 3 ოქონის ხატის სახატებზე შესრულებული ტექსტი ლევან II დადიანის ხელრთვით (დ. ერმაკოვის ფოტო).

## TEXT INSCRIBED ON THE ICONS COMMISSIONED BY LEVAN II DADIANI AS LEGAL DOCUMENTS PROVIDING GRANT SUPPORT FOR HOLDING AGAPE SERVICES AND AGAPE MEALS

**Lado Mirianashvili**

An independent scholar  
lado\_miriani@yahoo.com

The article deals with the inscriptions found on silver icons of the 17th century produced on the commission of Levan II Dadiani, the ruler (Principal) of Odishi. Traditionally, inscriptions are integral to icons, identifying the saint and/or event pictured. They transfer the meaning and intention of the icon. But in our case, these are long texts found on the back side of icons, which contain information about donation with enumeration of obligations to a certain church with the purpose of holding Agape Services and Agape Meals in remembrance of the deceased spouse of Levan II Dadiani regularly.

The study has shown that structurally the icon texts are largely consistent with medieval charter style traditional in Georgia. On the other hand, the majority of these texts lacks the signature of the donator, and some of them lack the date of issuing. Apart from that, I have shown by example of the text inscribed on the back of Tatchkhuru icon that the texts found on the icons commissioned by Levan II Dadiani were the copies of original charters written on paper.

It is concluded that the texts found on silver icons of the 17th century produced on the commission of Levan II Dadiani actually are legal texts, though they cannot be called donation charters due to inconsistent usage of signature and of the date of issuing, and also because these texts are not originals, but the copies of original charters written on paper.

Several terms in Mengrelian language used in the texts inscribed on the icons are explained at the end of the article.

## ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტები (სამონეტო დიზაინის გადახალისება)

ირაკლი ფალავა  
კავკასიის უნივერსიტეტი  
mesefi@gmail.com

ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში თავისი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობით გამოირჩევა ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და დავით IV-ის სახელის მატარებელი ვერცხლის მონეტების ჯგუფი; ქართველ ბაგრატოვანთა მიერ გამოშვებული ეს საფასე ბიზანტიურ ყაიდაზეა მოჭრილი: ცალ მხარეს ვლადიმერის ღმრთისმშობლის გამოსახულება; მეორეზე კი ქართველი მონარქის მადიდებელი ქართულენოვანი ფორმულაა, ხშირად მისი მიმდინარე ბიზანტიური წოდებაც. ეს მონეტები უძვირფასეს პირველწყაროს წარმოადგენენ ეპოქის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურის ისტორიის საკვლევად. მით უფრო დასაინანია, რომ ამ ქართული სამონეტო ემისიის ყველა ასპექტი სრულად გამოკვლეულად ვერ ჩაითვლება; დღემდე არ შექმნილა ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტებისადმი მიძღვნილი შეძლებისდაგვარად ამომწურავი, მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი; თუნდაც, ისეთი, როგორიცაა თითქმის თანადროული და მრავალი თვალსაზრისით მიმსგავსებული, კიევის რუსეთის სრიბლიანიკებისა და ზლათნიკებისადმი მიძღვნილი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული წიგნი (სოტნიკოვა, სპასკი 1983).

ამგვარი ნაშრომის შექმნის საჭიროება ადრეც გვქონდა განცხადებული (ფალავა, სპანდერაშვილი 2013: 21). კიდევაც დაწყებული გვაქვს ამ მიმართულებით კვლევა, თუმცა, ჯერ დიდი მოსამზადებელი სამუშაოა შესასრულებელი; სხვათა შორის, უპირველეს ყოვლისა, შესასწავლია ამ ტიპის საფასის ყველა ხელმისაწვდომი ეგზემპლარი, რომელიც საჯარო თუ კერძო კოლექციაშია დავანებული. საბედნიეროდ, დროდადრო ჩნდება ახალი ეგზემპლარებიც, რაც არსებითად ამდიდრებს საკვლევად ხელმისაწვდომ სამონეტო წყაროთმცოდნეობით ბაზას. რალა თქმა უნდა, აუცილებელია მათი შესწავლა და გამოქვეყნება, რასაც შეძლებისდაგვარად ვაკეთებდით კიდევაც (ფალავა, სპანდერაშვილი 2013: 21-22), (ფალავა, სპანდერაშვილი 2015: 289-290). უფრო მეტიც, როგორც ჩანს, უკვე შეიქმნა გარკვეული წინაპირობები ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების *ეხთიანობაში*, ჯგუფებად მაინც შესასწავლად.

წინამდებარე ნაშრომიც სწორედ ამგვარ კვლევას წარმოადგენს. ჩვენი მიზანი – ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების საკმაოდ იშვიათი ქვეტიპის – ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების შედარებითი ანალიზია; მათ შორის, ახალი, აქამდე უცნობი მონეტის სრულფასოვანი სამეცნიერო პუბლიკაცია და წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; ასევე, გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტების ემისიის მიზეზებსა და გარემოებებზე.

ბაგრატ IV-ის მონეტები ნოველისიმოსის ტიტულით ერთ-ერთი უიშვიათესია XI საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართულ მონეტებს შორის. 1983 წელს ლიხნის განძის აღმოჩენამდე ამგვარი სულ ორად-ორი ეგზემპლარი იყო ცნობილი: ერთი ეგზემპლარი, სავარაუდოდ, თბილისის შემოგარენში აღმოაჩინეს (მონეტა 1850-იან წლებში ივანე ბაროლომეიმ სწორედ თბილისში შეიძინა და სახელმწიფო ერმიტაჟს გადასცა) (პახომოვი 1910: 64) (ეს ეგზემპლარი დღესაც რუსეთის ფედერაციაში, სანქტ-პეტერბურგში ინახება); მეორე კი გრაფ ზუბოვის კოლექციაში შედიოდა – ეს მონეტა იმ უპასპორტო განძიდან მომდინარეობს, რომელიც XIX საუკუნის დასასრულისკენ (თუ XX საუკუნის დასაწყისში) სადღაც უცნობ ადგილას, საქართველოში იპოვეს; შემდეგ არმენისტმა ალიშანმა შეიძინა, მისგან კი გრაფ ზუბოვმა (პახომოვი 1910: 63-64), (ფალავა 2021ა: 93-94) – ეს ეგზემპლარი რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება; ამ

განძის წინასწარი შესწავლის შედეგები გამოქვეყნებულია (ფალავა 2021ა: 93-94). 1975 წელს თუშეთში, შენაქოში, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა კიდევ ერთი ეგზემპლარი, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება (პატარიძე 2011:285-286). 1983 წელს კი, ლიხნის სასახლის კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლის პროცესში აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს, ბიზანტიური და ქართული ვერცხლის მონეტების მობრძილი განძი; მასში შემავალი 43 ქართული მონეტიდან 9 სწორედ ბაგრატ IV-ის საფასის იმ ვარიანტს წარმოადგენდა, რომელიც ქართველი მონარქის ბიზანტიური ტიტულით ნოველისიმოსი გამოირჩევა (შამბა 1987: 104-114) (ლიხნის განძი სოხუმის მუზეუმში ინახებოდა; 1992-1993 წლების ომის შემდგომ განძისა და მისი მონეტების ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია; სამწუხაროდ, მუზეუმის ფონდის ევაკუაცია, ჩანს, ვერ მოხერხდა). ამრიგად, დღემდე ცნობილი იყო ამ ტიპის ქართული მონეტების სულ 12 ცალი.

ახალი ეგზემპლარი კი, შესაბამისად, მეცამეტეა. სამწუხაროდ, ამ მონეტის წარმო-მავლობა და პოვნის ადგილი უცნობია; თუმცა, ამ ეპოქის ქართული მონეტების იშვიათო-ბისა და, იმავდროულად, მაღალი წყაროთმცოდნეობითი ღირებულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნით მისი სრულფასოვანი სამეცნიერო პუბლიკაცია.

ბაგრატ IV-ის ეს მონეტა გაიყიდა 2023 წლის 8 ივლისს: SOL NUMISMATIK, აუქციონი XV, ლოტი 658; მადლობას მოვახსენებთ სურათის გამოქვეყნების უფლებისთვის.

მოვიყვანთ მონეტის აღწერილობას<sup>2</sup> (სურ. 1): წონა 1.51 გ (მონეტა გახვრეტილია), კვეთა 25 მმ, სიქების ორიენტაცია 3 საათზე.



სურ. 1 ბაგრატ IV მონეტა

**შუბლი:** ღმრთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, ხაზოვანი შარავანდითა და ზეაწეული ხელებით. მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდაა:

Η ΑΓΙ[Α] / Θ[ΕΟΤΟ]ΚΟΣ

წმიდა / ღმრთისმშობელი

ირგვლივ ორმაგი წერტილოვანი რკალია.

**ზურგი:** ორ წერტილოვან რკალს შორის წრიული ქართულენოვანი ლეგენდა, შეს-რულებული ასომთავრულით; იწყება 12:00 საათზე (ორმაგი დარტყმის კვალი: წერტილოვანი რკალის დამატებითი ფრაგმენტი დაახლოებით 5:30-6 საათზე):

ჟიშჟიჟიჟიჟიჟიჟიჟიჟი

და ცენტრში გრძელდება:

ჟიჟი

ჟიჟი

ჟიჟი

წარწერა, ჩანს, სტანდარტულია: ირგვლივ – ქვისგე ადიგე ბაგხატ აფხაბთა მეფე; ცენტრში – და ნოველისიმოსი. თუმცა, ჩანს არსებითი გადაცდენები და შეცდომებიც კი:

- 1) წრიულ წარწერაში, სიტყვებში ქ(ხისგ)ე და ად(იღ)ე ბოლო ასო ე გადმოცემულია მარცხენა ვერტიკალური ხაზის გარეშე, ანუ, ფაქტობრივად, გრაფემით 1 (ი), და არა 9 (ე);
- 2) წრიულ წარწერაში, სიტყვაში ად(იღ)ე პირველი ასო დამახინჯებულია; ყველაზე მეტად ემსგავსება ანს (ს), მაგრამ, სარკისებურად შეტრიალებულსა და ქუდმოხდილს;
- 3) წრიულ წარწერაში, მონარქის სახელს უნდა მოჰყვებოდეს მისი ქართული წოდება – აფხაბთა მეფე; სახეზეა „აფხ(ა)ბთა“ რომელსაც მოჰყვება რგოლი (O) (დამახინჯებული მანი – შ, რომლისგანაც მხოლოდ მუცელი არის შერჩენილი?), შემდეგ კი ცარიელი ადგილია, ან, სიქების ანაბეჭდის გარეშე დარჩენილი სამონეტო ნამზადის (შედარებით თხელი?) ფრაგმენტი;
- 4) ცენტრალურ წარწერაში, სიტყვაში ნოველისიმოსი პირველი გრაფემა არის არა ნარი (ნ), არამედ გრაფიკულად მიმსგავსებული ჩინი (ჩ); -ველისი- ან -ედისი- ფრაგმენტი კი გადმოცემულია როგორც იეესი (1911ს); შესაბამისად, სიტყვა გადმოცემულია როგორც „ჩოიეესიმოსი“.

როგორც ჩანს, ეს ეგზემპლარი მოჭრილია ზუსტად იმ სიქებით, რომელიც ცნობილი იყო ლიხნის განძის ერთ-ერთი (გამორჩეული) ეგზემპლარის (№37) მიხედვით (შამბა 1987: 109, №37).

სიქების ანალიზის მიზნით შევისწავლეთ ცამეტივე, ანუ, ცნობაში მოყვანილი დღეისთვის ცნობილი ყველა ეგზემპლარი; სამწუხაროდ, ლიხნის განძის ცხრა მონეტის შესწავლა მეტად გაძნელებულია, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ უხარისხო და მეტწილად რეტუშირებული ფოტოებია სერგეი შამბას პუბლიკაციიდან (შამბა 1987: XXVII-XXVIII, №№29-37). მიუხედავად ამისა, გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც მოხერხდა. ეჭვი არ გვეპარება ასომთავრული ლეგენდების შედარებით ანალიზში – გრაფემების რაოდენობა, მოყვანილობა, თანმიმდევრობა, და განაწილება სივრცეში იმდენად სპეციფიკური ჩანს, რომ, თუნდაც, უხარისხო ფოტოს ან ნაკლები მონეტის მიხედვით გაკეთებული დასკვნები, ჩვენი აზრით, მაინც, საკმაოდ სანდოა. ღმრთისმშობლის იკონოგრაფიის ანალიზი კი შედარებით გაძნელებულია, ამიტომ, ამ შემთხვევაში, მეტ სიფრთხილეს ვიჩენთ.

ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსის ტიტულიანი ცამეტივე მონეტის ქართულენოვანი ლეგენდის შესწავლის შედეგები ცალკე ცხრილის სახითაც გვაქვს ჩამოყალიბებული (ცხრილი 1). ვითვალისწინებთ წინამორბედი მკვლევრების გადმონაწერებსაც (შამბა 1987: 108-109, №29-36), (ცუხიშვილი 2003: 94), (სილოგავა 2006: 229-232), (პატარიძე 2011: 285), თუმცა, ლეგენდები შესწორებული სახით მოგვყავს.

**ცხრილი 1.** ასომთავრული ლეგენდები ბაგრატ IV მონეტებზე ნოველისიმოსის ტიტულით

იდენტიფიკაცია / წარმომავლობა	ასომთავრული ლეგენდა		წონა (გ)
	ირგვლივი	ცენტრალური	
სახ. ისტ. მუზ., უპასპორტო განძი (პახომოვი, სურ. 40)	1:30: ჟ1 ႁႃ1 ႃႂႃ	ႃႃ ჩႃ1ႃႃႃႃႃႃႃ	?
ერმიტაჟი, თბილისთან (პახომოვი, სურ. 41)	როგორც წინა	როგორც წინა	?
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 29)	როგორც წინა	როგორც წინა	1.8
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 30)	როგორც წინა	როგორც წინა	1.47

**ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტები (სამონეტო დიზაინის გადახალისება)**

სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 31)	როგორც წინა	როგორც წინა	1.96
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 32)	როგორც წინა	როგორც წინა	1.87
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 33)	როგორც წინა	როგორც წინა	1.85
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 34)	როგორც წინა	როგორც წინა	1.87
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 35)	როგორც წინა	როგორც წინა	1.95
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 36)	როგორც წინა	როგორც წინა	1.8
სოხუმის მუზეუმი? ლიხნის განძი (შამბა, სურ. 37)	12:00: ჟი ობი ყიღ ᲛᲠᲚᲛᲚ Ლ	ᲛᲛ ხᲒᲚᲚᲚᲚᲚᲚᲚᲚ	2.2
ახალი ეგზ., უპასპორტო	როგორც წინა	როგორც წინა	1.51
საქ. ეროვნ. მუზ., შენაქო	12:00: ჟი ობი ყიღ ᲛᲠᲚᲛᲚ ᲚᲠᲚ	ᲛᲛ ხᲒᲚᲚᲚᲚᲚᲚᲚᲚ	1.61

დადგინდა, რომ ბაგრატ IV-ის ყველა დღეისთვის ცნობილი მონეტა ნოველისიმოსის ტიტულით მოჭრილია ზურგის (ასომთავრულწარწერიანი) მხოლოდ სამი სიქით:

- BNR1) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა ლიხნის განძის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების უმეტესი წილი, ჩვენი აზრით, ყველა (№29-36), გარდა ერთისა, ასევე თბილისთან ნაპოვნი (ერმიტაჟის კუთვნილი) მონეტა, და უპასპორტო განძის (გრავ ზუბოვის, მოსკოვის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში დავანებული) ცალი; სულ 10 ეგზემპლარი;
- BNR2) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა წინამდებარე ნაშრომში გამოქვეყნებული ეგზემპლარი და ლიხნის განძის ერთი ცალი (№37); სულ 2 ეგზემპლარი;
- BNR3) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა შენაქოში აღმოჩენილი უნიკალური ეგზემპლარი.

რაც შეეხება ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების მეორე მხარეს, მის მოსაჭრელად გამოყენებული სიქები იყოფა ორ ძირითად ქვეჯგუფად, ბერძნული წარწერის განლაგების მიხედვით: I) ღმრთისშობლის თავის ზემოთ, ნახევარ-რკალად; II) ღმრთისშობლის თავის გვერდზე, მარცხნივ და მარჯვნივ, ვერტიკალურად, შემოკლებით. თითოეული ქვეჯგუფის ფარგლებში ცალკეული, უნიკალური სიქების გამოვლენა გაძნელებულია; პირველ რიგში, ლიხნის განძის მონეტების ხელმისაწვდომი სურათების უხარისხობიდან გამომდინარე. თუმცა, ეს საკვებით შესაძლებელია სხვა მონეტების შემთხვევაში მაინც.

**I ქვეჯგუფს განეკუთვნება შუბლის შემდეგი სიქები:**

A1) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა გრავ ზუბოვის კოლექციის ეგზემპლარი (პახომოვის №40); საკმაოდ დიდია ალბათობა, რომ იმავე სიქით არის მოჭრილი ლიხნის განძის ორი ცალი (№30, 35); ანუ, სულ, სამი ეგზემპლარი;


**II ქვეჯგუფს განეკუთვნება შუბლის შემდეგი სიქები:**

- A2) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა ერმიტაჟის კუთვნილი ეგზემპლარი (პახომოვის №41); დიდია ალბათობა, რომ იმავე სიქით არის მოჭრილი ლიხნის განძის ოთხი ცალი (№29, 32, 34, 36); ანუ, სულ, ხუთი ეგზემპლარი;
- A3) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა ლიხნის განძის ერთი ეგზემპლარი? (№31); არ ვართ დარწმუნებულნი რომ ეს სიქა ნამდვილად განსხვავდება A2-სგან;
- A4) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა ლიხნის განძის ერთი ეგზემპლარი? (№33); არ

ვართ დარწმუნებულნი რომ ეს სიქა ნამდვილად განსხვავდება A2-სგან; A5) რომლის გამოყენებითაც მოიჭრა ლიხნის განძის ერთი ეგზემპლარი (№37), შენაქოში ნაპოვნი მონეტა და ახალაღმოჩენილი მონეტა; სულ, სამი ეგზემპლარი;

ბუნებრივია, ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტები შუბლისა და ზურგის სიქების სხვადასხვა კომბინაციით არის მოჭრილი. მოგვყავს სიქების შეძლებისდაგვარად აღდგენილი ჯაჭვი (სქემა 1).

**სქემა 1. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტების მოსაჭრელად გამოყენებული სიქების კავშირები**



ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსის ტიტულიანი 13 მონეტა მოჭრილია შუბლის რამდენიმე, ყველაზე ცოტა, 3, ან, შესაძლოა, 5; და ზურგის 3 სიქით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ემისია არ იყო სპორადული, თუმცა, მის მასშტაბზე მსჯელობა მაინც გაძნელებულია, ვინაიდან უცნობია, თითოეული სიქით რამდენი ცალი მონეტის მოჭრა იქნებოდა შესაძლებელი (სანამ სიქა მწყობრიდან გამოვიდოდა). მაინც, ვიხრებით იმ აზრისკენ, რომ ემისია მასიური არ იყო.

\*\*\*

ბაგრატის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების რამდენიმე ეგზემპლარის მაღალი ხარისხის ფოტოებია ხელმისაწვდომი (რუსეთის ფედერაციაში შენახული 2 ეგზემპლარი, შენაქოს ცალი, ახალაღმოჩენილი მონეტა). მათი შესწავლა ცხადყოფს, რომ სიქაზე ზურგის ქართული (ასომთავრული) ლეგენდის ამოსაჭრელად ხელოსანი პუნსონურ ტექნიკას არ იყენებდა; ანუ, ყოველი გრაფემა და გრაფემის ცალკეული ელემენტიც კი სიქაზე ინდივიდუალურად ამოიჭრებოდა, და არა საგანგებოდ გამზადებული პუნსონებით დაიტანებოდა (თუ არა და, – გრაფემები ან მათი ელემენტები იდენტური იქნებოდა).

ახალი ეგზემპლარის მეტროლოგია ცნობილია; მართალია, გახვრეტილია, მაგრამ, ჩანს, ლითონის არსებითი დანაკარგის გარეშე; თუმცა, ორ ადგილას კიდევებიც მომტვრეული აქვს. მიუხედავად ამ დეფექტებისა, მონეტის წონითი მახასიათებელი (1.51 გ.) ზრდის მონაცემთა ბაზას ამ ჯგუფის ქართული მონეტების მეტროლოგიური კვლევისთვის.<sup>3</sup>

\*\*\*

მსჯელობის საგნად რჩება ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების მოჭრის ქრონოლოგიაც. საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო (მათნვლილს ქვემოთ, გზადაგზა აღვნიშნავთ);

თუმცა, ის, მაინც, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს, ბიზანტიის ნუმისმატიკურ ისტორიაზე დაგროვებული ინფორმაციის მოშველიებით.

ვცადოთ, განვსაზღვროთ *Terminus ante quem non* ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების ემისიის დაწყებისთვის. რასაკვირველია, ევგენი პახომოვის მიერ შემოთავაზებული თარიღი – 1040 (პახომოვი 1910: 62) – მოძველებულია. მისი დაზუსტება შესაძლებელია.

ღმრთისმშობლის გამოსახულებიანი ქართული მონეტების იკონოგრაფიული პროტოტიპი ბიზანტიური მონეტებია. ვლადიმერს ღმრთისმშობელი პირველად ბიზანტიის იმპერიის ორი მესამედი მილიარესის ნომინალის ვერცხლის მონეტებზე გაჩნდა, კონსტანტინე IX-ს (1042-1055) ზეობაში (გრირსონი 1973: 736-737, 747) (სურ. 2). მონეტებზე გადაიტანეს ღმრთისმშობელი *orans*, კერძოდ, ἡ Βλαχερνίτις[σ]α, – ვლადიმერსაში, ღმრთისმშობლის ეკლესიაში დასვენებული ხატის გამოსახულება; ეს ხატი კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მფარველი იყო (გრირსონი 1982: 203). რევან ქებულაძის სამართლიანი შენიშვნით, კონსტანტინე IX-ს (1042-1055) 2/3 მილიარესის მიბაძვით მონეტა კონსტანტინე IX-ს ზეობის დაწყებამდე, ანუ, 1042 წელზე ადრე ვერ მოიჭრებოდა (ქებულაძე 1977: 104). თუმცა, უნდა გავიხსენოთ ფილიპ გრირსონის მოსაზრება, რომლის თანახმადაც მონეტაზე ამ ხატის სწორედ XI საუკუნის შუახანებისთვის გამოსახვის დაწყება შეიძლება დაახლოებით 450 წელს დაარსებულ-აშენებული ეკლესიის ექვსსაუკუნოვან იუბილეს დავუკავშიროთ (გრირსონი 1982: 203). მაშინ, ბაგრატ IV-ის ამ სამონეტო ტიპის შემოღებისთვის *terminus ante quem non* 1050 წლისთვის გადაინვს.



სურ. 2

უცნობია, ზუსტად თუ როდის მიიღო ბაგრატ IV-მ ნოველისიმოსის ტიტული. თუმცა, 266 ქორონოკინოთ, ანუ, 1046 წლით დათარიღებულ სავანის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში ის ჯერ კიდევ კურაპალატის ტიტულითაა მოხსენიებული (გაგოშიძე 2004: 50-51):

- 1) + ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თ(ი)ს(ა)მთა მე გ(იორგ)ი ე(რ)ისთავთ-ე(რ)ისთავმან ავაშენე ესე წ(მიდა)ე ეკლესიაი სავანის(ა)ე ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ს(უ)ლისა ც(ო)დვ(ი)ლ(ი)სა ჩ(ე)მისა და
- 2) ძმისა ჩ(ე)მისა ხ(ურსი) ე(რ)ისთავისა და მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათ(ვ)ს გ(უ)ლზ(ვია)დ(ი)სთ(ვ)ს და მ(ა)რ?(იამი)სთ(ვ)ს, და შვილისა ჩ(უ)ენისა გ(ო)ლ(ია)თ(ი)სთ(ვ)ს და დედისა
- 3) მისისათ(ვ)ს. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, მეოხ ეყ(ავ) წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა; ა(მე)ნ იყ(ავ)ნ. ქრონიკონი იყო სფ. აეშენა მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა ბ(ა)გრ(ატ) კ(უ)ლ(ა)პ(ალა)ტ(ი)ს(ა)სა (სილოგავა 1980: 58-59, სურ. 36)





სურ. 3 სავანის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერა (ფოტო თამაზ გოგოლაძისა)

როგორც ჩანს, ნოველისიმოსის ტიტულით ბაგრატ IV პიჩვედავ ავლარის წარწერაში (სურ. 3), მოიხსენიება, უკვე 1050 წელს (გაგოშიძე 2004: 48-53):

- 1) ... სამ(ე)ბ(ა)ს რს
- 2) ... ან(?) [და(?)]ვიწყე ... წ(მიდა)ი [ესე] ეკლ(ე)ს(ია)ი ს
- 3) ა[დიდებ]ლ(ა)დ მ(ე)ფ(ე)თ(ა) ჩ(უე)ნთა ბ(ა)გრ(ა)ტ ნ(ოველი)-
- 4) სიმ(ოსი)სა და ძისა მ(ა)თ(ი)სა გ(იორგი) კ(უ)რ(აპალა)-
- 5) [ტი]სა და სალხინე(ბე)ლ(ა)დ ს(უ)ლ(ი)ს(ა) გ(?)..
- 6) ა და მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათ(კ)ს მა..
- 7) სათას.. ლპტეთმ(?)ბსხთლდ..
- 8) ღ(მერთმა)ნ წყალ(ო)ბა ყვ(ენ) მ(ა)თთ(კ)სცა ე/გ(?)..
- 9) ყ(ოვე)ლთა ლ(ო)ცვა ყყ(ა)ვ(ი)თ ქ(ორო)ნ(ი)კ(ო)ნი იყო: სო

მართალია, ქვა მარჯვენა მხარეს შემოტეხილია, მაგრამ, ჩანს, წარწერა სრულად შემოინახა. პირველად მომჩენმა გადაჭრით აღნიშნა:

წარწერის ბოლოში ათეულის აღმნიშვნელი „ო“ გრაფემის შემდეგ ქვის ზედაპირი ნაწილობრივ დაზიანებულია, მაგრამ დაბეჭდვით შემოიძლია ვთქვა, ამ ადგილას ერთეულის აღმნიშვნელი რომელიმე ასო-ნიშანი რომ მჭდარიყო, მისი ნაწილი „ო“-ს მიმდებარე, შემორჩენილ, საღ არეზე უცილობლად გამოჩნდებოდა, ამრიგად, წარწერის თარიღია – „სო“ = 250 + 780 = 1050 წელი (გაგოშიძე 2004: 50).

ამრიგად, გამოდის, რომ ნოველისიმოსის ტიტული ბაგრატ IV-მ მიიღო 1046-1050 წლების შუალედში.

ისტორიოგრაფიაში გვხვდება მცდელობები, ბაგრატიანთის ნოველისიმოსის წოდების მინიჭება ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას მიესადაგოს: გიორგი გაგოშიძემ ივარაუდა, რომ ეს ბიზანტიური ტიტული ბაგრატ IV-მ ბიზანტიის იმპერატორისგან 1048 წელს მიიღო, ლიპარიტ დიდი ბაღვაშის დატყვევების შემდეგ (გაგოშიძე 2004: 51); დეივიდ ლენგი კი ამ გარემოებას ბაგრატ IV-ის კონსტანტინეპოლში ყოფნას უკავშირებდა (ლენგი 1957: 141), 1050-იან წლებში (დუნდუა 1992: 23). ავლარის წარწერა, თითქოს, ადასტურებს, რომ ნოველისიმოსის ტიტულს ბაგრატ IV უკვე, ყველაზე გვიან, 1050 წლისთვის ფლობდა. ამრიგად, ნოველისიმოსის ტიტული ბაგრატმა ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში ჩასვლამდე

მიიღო; მაგრამ, აი ამ ტიტულით ბიზანტიური ყაიდის მონეტების მოჭრა, სავსებით შესაძლებელია, მართლაც, 1050-იან წლებში დაეწყო, კონსტანტინეპოლიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც (1050 წლიდან?) ახალგამოშვებულ 2/3 მილიარესებს პირადად გაეცნო.

ამრიგად, ბაგრატ IV-ის მიერ ბიზანტიური წოდების მიღებისა და სამონეტო პროტოტიპის გაჩენის ქრონოლოგიის შეპირისპირებით ვიღებთ 1046-1050 წლების შუალედს როგორც terminus ante quem non ბაგრატის ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების გამოშვებისთვის.

Terminus post quem non ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების გამოშვებისთვის კი უკავშირდება ბაგრატ IV-ის მიერ ახალი ბიზანტიური ტიტულის – სევასტოსის – მიღებას. ნოველისიმოსის ტიტულით ბაგრატი ბოღოს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოიხსენიება კაცხის ოთხთავის ერთ-ერთ ანდერძში, რომელიც ქორონიკონის 279 წლით, ანუ, 1059 წლით არის დათარიღებული (სილოგავა 2006: 234):

ქ. ადიდენ ღმერთმან ძრიელსა და უძღვეველსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან გამოიყვანა კოსტანტიპოვლით ივანე პროოდროსი, ძჳ ლიპარიტ ეჲსა, პროოდროსისა და პოტარხონისა და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა ია, დღესა ახალკვრიაკესა, სრულმცა არს ღმრთისა მიერ დიდებაჲ მათი ჟამთა უკუნისამდე.

ესე წყალობაჲ მოჲნია ღმრთისა მიერ ჩუენ მონათა მათთა ზედა მამასახლისობასა გლახაკისა ქარდილაჲსასა, ქრონიკონი იყო სოთ [1059] (მეტრეველი 1986: 214, №10, 324r).

ხოლო კარგად ცნობილ ღულაღისის (ყულაღისის / კულაღისის) ლაპიდარულ წარწერაში (სილოგავა და სხვები 2012: 125-126, №94), კი (სურ. 4) ბაგრატი უკვე სევასტოსის ტიტულით მოიხსენიება (შესწორებული სახით):

- 1) [იესო] ქ(რისტ)ე // ა(დი)დ(ე) ბ(ა)გ[რა]ტ
- 2) აფხ(ა)ზთა // და ქ(ა)რ(თ)ვ(ელთა)
- 3) მ(ე)ფე ს(ე)ვ(ას)ტ(ო)სი და ძ[ე] // [მ]ათი გ(იორგ)ი კ(ურა)პ(ალა)ტი
- 4) შ(ე)ნ(ი)ენ დაუტკბ(ე)ნ თ//[უ]ალნ[ი] ...
- 5) ... // ...
- 6) ... // ... [ე]გლესია
- 7) // ქ(ო)რ(ონიკო)ნ(ი) ი[ყ]ო სპ



სურ. 4 ღულაღისის წარწერა (ფოტო გიორგი მალრაძისა)

წარწერა, თითქოს, დათარიღებულია, ქართული ქორონიკონის 280 წლით, რაც ქრისტეშობიდან 1060 წელს უდრის; თუმცა, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ვალერი სილოგავას მოსაზრება; მკვლევარი არ გამოირიცხავდა, რომ „სპ“-ს შემდეგ, შესაძლოა,

კიდევ ეწერა ერთეულის აღმნიშვნელი რომელიმე ასო ანიდან თანამდე, ე.ი. ერთიდან ცხრამდე, მაგრამ აქ ქვის ფილაზე მარჯვენა ბუნხა ჩამოჭრილი. ასეთ შემთხვევაში წარწერის თარიღი იქნებოდა რომელიმე წელი 1060-დან 1069-მდე (სილოგავა 2006: 234, სქოლიო 35).

ქვა მარჯვენა მხრიდან ნამდვილად გათლილია; თეორიულად რამდენიმე გრაფემა შეიძლება ჩამოეთალაც კიდევაც. თუმცა, სტრიქონების მარჯვენა დაბოლოებების ანალიზი მაინც გვაფიქრებს, რომ თარიღის აღმნიშვნელი ფორმულა სწორედ პართით დასრულდა, და მას ერთეულის აღმნიშვნელი რამე გრაფემა აღარ მოჰყვებოდა: პირველი, მეოთხე და მეხუთე სტრიქონების დასასრული (კვადრის მარჯვენა კიდეში) დაზიანებულია ან წაკითხვა სათუთა; მეორე სტრიქონში სიტყვა *ქახთვედთა* საკმაოდ უჩვეულოდ, მოკლედ არის დაქარაგმებული, როგორც „ქ(ა)რ(თ)ვ(ელთა)“ – თეორიულად, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ რამდენიმე გრაფემა (თანხმოვანი) აკლია და სიტყვა მარჯვენა მხარეს გრძელდებოდა; თუმცა, მეექვსე და, განსაკუთრებით, მესამე სტრიქონები აშკარად სრულად არის შემორჩენილი (ანუ, ქვას მარჯვენა მხრიდან გრაფემები არ დააკლდა): „კ(ურა)პ(ალა)ტი“, „[ე]გლესია“. შესაბამისად, დიდია ალბათობა, რომ ეს ლაპიდარული ძეგლი მართლაც 1060 წლით იყოს დათარიღებული. ანუ, სხვა სიტყვებით, სევასტოსის ტიტული ბაგრატ IV-მ ნამდვილად მიიღო 1060-იან წლებში მაინც, გარკვეული ალბათობით კი უკვე 1060 წლისთვის.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბაგრატ IV-ის ბიზანტიური ყაიდის მონეტები ნოველისიმოსის ტიტულით თარიღდება 1046 ან 1050 (1050-იანები?) – 1060 (1060-იანები?) წლების შუალედით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატ IV-ის მონეტები ტიტულით *ნოველისიმოსი* ქართული საფასის ევოლუციის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს. შემდეგ მოიჭრა ბაგრატის მონეტები უკვე *სევასტოსის* წოდებით და, შემდგომ, გიორგი II-ისა და დავით IV-ის (ბიზანტიური ყაიდის) მონეტები. წინარე პერიოდს რაც შეეხება, ნაჩვენები გვქონდა, რომ ბაგრატ IV-ის ვერცხლის მონეტები სხვადასხვა სამონეტო ტრადიციის შერწყმის შედეგია: *ახაბურის*, უფრო სწორედ, *ქახთურ-ახაბურის* – რომელსაც წარმოადგენდა, დაღმავალი თანმიმდევრობით რომ ჩამოვთვალოთ, ე. წ. „ბაგრატის მონეტა“ (არაბული დირჰემის ქართული მინაბადი წრიული ასომთავრული ლეგენდით *ქჩისგე აგიგე ბაგჩაგ აფხაზთა მეფე*), არაბული დირჰემების (დასავლურ-)ქართული მინაბადები, რეფორმამდელი (პ. 198 (813/4) – 217 (832/3) წლების წინარე) არაბული დირჰემები; და *ბიზანტიუხის*, თუ *ბიზანტიუხ-ახაბურის* – ვგულისხმობთ კონსტანტინე IX-ს 2/3 მილიარესებს (რომლებიც, თავის მხრივ, არაბული დირჰემების მიბადვით მოიჭრა) (ფაღავა 2016: 252-254). სავსებით შესაძლებელია, რომ ე. წ. „ბაგრატის მონეტა“ ასევე ბაგრატ IV-ის მიერ იყოს მოჭრილი (და არა ბაგრატ III-ის, რომ აღარაფერი ვთქვათ ბაგრატ I-ზე); და, ამრიგად, ბაგრატ IV-ის *ნოველისიმოსის* ტიტულიანი მონეტების მეტ-ნაკლებად უშუალო წინამორბედს წარმოადგენდეს (ფაღავა 2021ბ).

ისტორიოგრაფიაში დასმულია კითხვა, „რატომ არ გადმოიღეს ქართველებმა ბაგრატ IV-ის დროს ბიზანტიური გამოცდილება საერო ხელისუფალთა მონეტაზე გამოსახვისა?“ (თავაძე 2012: 152). ლერი თავაძეს, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ბაგრატ IV-ს არ შეეძლო ამგვარად თავისი სუვერენობა განემტკიცებინა:

ვლადიმერის ტიპის მონეტები არ წარმოადგენდა უბრალო კომპილაციას, ეს ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის აშკარა დადასტურებაა. საქართველოს სუვერენიტეტის ხარისხი, მიუხედავად მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი იყო

იმისთვის, რომ მას კონკურენცია გაენია ბიზანტიისთვის (თავაძე 2012: 152).

ვერ გამოვრიცხავთ, რომ მიზეზი უფრო პროზაული ყოფილიყო. დასავლურ-ქართულ სახელმწიფოში არსებობდა მონოეპიგრაფიკული მონეტების – არაბული დირჰემების ქართული მინაბადების ემისიის ტრადიცია; ჯერ მხოლოდ დამახინჯებული არაბული ლეგენდებით, ბოლოს, ბაგრატ III-ისა თუ, უფრო, ბაგრატ IV-ის ზეობაში, უკვე ქართული ირგვლივი ზედწერილით. საქართველოში ღმრთისმშობლის კულტის პოპულარობიდან გამომდინარე, კონსტანტინეს ახალგამოშვებული 2/3 მილიარესების დიზაინი კონსტანტინეპოლში ჩასული ქართველი მონარქისთვის სავსებით მისაღები აღმოჩნდა. ვლადიკონსტანტინეპოლის დიპლომატიის უკვლევად გამოიღეს, მეორე მხარე კი უკვლევად დატოვეს, ოღონდ, ბაგრატი მონეტისგან განსხვავებით, არაბული (დამახინჯებული) ლეგენდა ქართულით შეცვალეს არა მარტო მონეტის აშიაზე, არამედ ცენტრშიც. ამრიგად, ქართველი მონარქის გამოსახვაზე უარის თქმა შეგნებული (თვით-)შეზღუდვის შედეგი კი არ იყო, არამედ გარკვეულწილად მაინც, ადგილობრივი სამონეტო ტრადიციისა და ღმრთისმშობლის იკონოგრაფიის მისაღებობის კომბინირებული შედეგი.

## შენიშვნები

- 1 ჩვენი სასიამოვნო მოვალეობაა მაგობა მოვახსენოთ მხარდაჭერისთვის დავით მიქელაძეს, თამაზ გოგოლაძეს, გიორგი მაღრაძეს.
- 2 მონეტას შემდეგი აღწერილობა ახლდა თან: „GEORGIA. Kingdom. Bagrat IV, 1027-1072. Dram (silver, 1.51 g., 25 mm). Kutaisi mint, first emission. Facing bust of Virgin orans, nimbate, wearing pallium and maphorium. Greek legend – Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – “the Holy Virgin”, close to nimbus, in different ways. Rev. Marginal Georgian legend – ჭრქუაჲქუძუფქუხცუქუჲ – “Christ, exalt Bagrat, the king of the Abkhasians” (i. e. the Western Georgia). In the centre – ჳსრქ/ქიუხს/ქსს “and Nobilissimos”. Tedo Dundua et al, Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics, St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV’s first emission. Nearly very fine. Extremely rare”.
- 3 დაწყებული გვაქვს ამ საკითხზე მუშაობა.

## დამონებანი

- გაგოშიძე 2004:** გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან, ნახკვევები, ტ., IX, თბილისი.
- გრიროსონი 1973:** P. Grierson. *Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Volume Three, Leo III to Nicephorus III, 717-1081. Part 2, Basil I to Nicephorus III (867-1081).* Dumbarton Oaks Research Library and Collection.
- გრიროსონი 1982:** P. Grierson. *Byzantine Coins*, University of California Press, Berkeley and Los Angeles
- დუნდუა 1992:** თ. დუნდუა. X-XII სს., ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 310, ისტორია, აჩქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი.
- თავაძე 2012:** ლ. თავაძე. ბიზანტიური სამიწიფო გიგუნდგუხა საქართველოში. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხი მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.
- კაპანაძე 1969:** დ. კაპანაძე. ქართული ნუმისმატიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ლენგი 1957:** D. Lang. Notes on Caucasian Numismatics (Part I). *The Numismatic Chronicle*, Vol. 17.
- მეტრეველი 1986:** ქართულ ხედნაწიხთა აღწიხილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი II, ე. მეტრეველი (რედაქციით), გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი.
- პატარიძე 2011:** მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა შენაქოდან, საისტორიო კვლევი, ტ., 1, გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი.

- პახომოვი 1910:** Е. Пахомов. *Монеты Грузии, Часть I (Домонгольский период)*, С.-Петербург.
- სილოგავა 1980:** ქართული დაპიდახური წახწეების კოხპუსი, ტ., II, დასავლეთ საქართველოს წახწეები, ნაკვ., I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- სილოგავა 2006:** ვ. სილოგავა. *სამეგხედრო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
- სილოგავა და სხვები 2012:** ჯავახეთის ეპიგრაფიკული კოხპუსი, დაპიდახური წახწეები, გოპონიშია, საღვთისმეტყველო-რიტეხატუხური ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ. სულავამ, რ. ყავრელიშვილმა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
- სოტნიკოვა, სპასსკი 1983:** М. Сотникова, И. Спасский. *Тысячелетие древнейших монет России, Сводный каталог русских монет X-XI веков.*, Искусство, Ленинград.
- ფაღავა 2016:** ი. ფაღავა. საქართველოს გაერთიანება და ნუმისმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული – XII საუკუნის დასაწყისი), ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IX, თბილისი.
- ფაღავა 2021ა:** ი. ფაღავა. ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტების უპასპორტო განძი და დავით IV-ის სვანეთში ახალნაპოვნი მონეტები (ბიზანტიური ყაიდის ქართული საფასის მიმოქცევა ახალი ცნობების გათვალისწინებით). წმინდა გიგორ დეხაძის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგოჩის ბიძის 900 წლისთავისადმი. თბილისი, საქართველო, 2021 წლის 20-21 სექტემბერი, მოხსენებათ მოკლე შინააჩსები. რედაქტორი მარიამ ჩხარტიშვილი. თბილისი.
- ფაღავა 2021ბ:** ი. ფაღავა. შუასაუკუნოვანი ქართული მონეტა ბაგრატ მეფის მადიდებელი ზედწერილით. პიხვედი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მოხსენებათა მოკლე შინააჩსები, 25-26 ნომბერი, საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი და რედაქტორი მანუჩარ გუნცაძე. თბილისი, საქართველო.
- ფაღავა, სპანდერაშვილი 2013:** I. Paghava, R. Spanderashvili. *Georgian-Byzantine Type Coins of Giorgi II and Davit IV: New Specimens*, *Journal of Oriental Numismatic Society*, 216.
- ფაღავა, სპანდერაშვილი 2015:** ი. ფაღავა, რ. სპანდერაშვილი. XI-XII საუკუნის ბიზანტიური ყაიდის ქართული მონეტები: მიმოქცევის ხასიათი, საინტერესო კვლევები, ტ. 5, გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი.
- ქებულაძე 1977:** Р. Кебуладзе. Клад из селения Цихесулори. *Нумизматический сборник*, ред. В. А. Леквинадзе, Мецниереба, Тбилиси.
- შამბა 1987:** С. Шамба. *Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н. э. – XIII в. н. э.)*, Мецниереба, Тбилиси.
- ცუხიშვილი 2003:** I. Tsukhishvili. *History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards (4<sup>th</sup>-13<sup>th</sup> C.)*. Wetteren, Moneta.

## COINS OF BAGRAT IV THE NOBELISSIMOS (MODIFYING THE COIN DESIGN)

**Irakli Paghava**

Caucasus University

mesefi@gmail.com

Silver coins in the name of Bagrat IV, Giorgi II, and David IV bearing their Byzantine titles are considered to be a significant historical primary source. It seems reasonable to study this monetary series monographically; however, all the available and newly discovered specimens have to be analyzed individually and in groups first, as well as the reasons for modifying the coin design in Bagrat's reign.

Only 12 coins of Bagrat IV have been published so far; by means of this article we publish the 13<sup>th</sup> specimen. It was struck with the same dies as one of the coins from Likhni hoard (№37). Die-analysis of the available coins demonstrated, that 13 coins were struck employing 3 (or, 5) obverse and 3 reverse dies. Seemingly, the emission was not sporadic, though it is impossible to establish its scale, as we do not know how many coins could be struck before the die went out of order. No punches were employed for carving the Asomtavruli legend on the reverse dies.

We have discussed the chronology of Bagrat IV's coins with *nobelissimos* title, referring to Byzantine numismatic history (Byzantine prototypes, the 2/3 miliaresia of Constantine IX were first issued in 1042-1050 time period) and Georgian medieval epigraphic and narrative sources (St. George Church of Savane 1046 inscription: Bagrat is still a couropalates; Avlari 1050? inscription: Bagrat is already a nobelissimos; 1059 colophon in Katskhi tetraevangelion: Bagrat is still a nobelissimos; Ghulalisi 1060? inscription: Bagrat is already a sebastos). These coins could be issued in 1046 or 1050 (1050s?) – 1060 (1060s?) time period.

Bagrat IV was granted the title of nobelissimos even before visiting Constantinople; however, he probably issued coins with this title imitating the 2/3 miliaresia of Constantine IX seen in Constantinople only in 1050s, after having returned back to Georgia. Bagrat refrained from placing his own effigy on the new coins; perhaps considering the local monetary tradition and acceptability of the Theotokos iconography. Prior to modifying the coinage, Bagrat IV was probably the one who issued the so called *Bagrat's coin*, while Georgian imitations of Kufic dirhams had been issued before that. Bagrat IV proceeded with issuing the coins with the title of sebastos in 1060. Bagrat IV's coins with the title of nobelissimos were the first in this series and combined two monetary traditions: Arabic, or, more precisely, Georgian-Arabic; and Byzantine, or Byzantine-Arabic.

# ელია იბნ 'უბაიდის „არაბული ნომოკანონის“ ერთი ცნობის განმარტებისთვის

**დავით ჩიქოვანი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
davitchikovani3@gmail.com

ელია იბნ 'უბაიდი, იგივე ელია დამასკელი IX საუკუნის მეორე ნახევრისა და X საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. იგი იყო თეოლოგი, ფილოსოფოსი, აღმოსავლეთის ეკლესიის კანონისტი და ქრონოგრაფი, 878/879 წლიდან 893 წლამდე იერუსალიმის ეპისკოპოსი, ხოლო 893 წლის ივლისში აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქმა იოანე III-მ აკურთხა დამასკოს მიტროპოლიტად (ჯისმონდი 1896: 46-47).

ელია იბნ 'უბაიდს თავის „არაბულ ნომოკანონში“ წარმოდგენილი აქვს აღმოსავლეთის ეკლესიის ეპარქიები. ჰულვანის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს შორის იგი იხსენიებს اسقف الكرج „ალ-ქრჯის ეპისკოპოსს“ (ასემანი 1721: 459).

ელია დამასკელის „ნომოკანონის“ აღნიშნული ფრაგმენტის გამომცემელმა და ლათინურად მთარგმნელმა ლიბანელმა ორიენტალისტმა ჯუზეპე სიმონე ასემანიმ (1687-1768) اسقف الكرج „ქართველთა ეპისკოპოსად“ (Episcopus Georgianorum) - თარგმნა (ასემანი 1721: 460).

ასემანის მიერ გამოცემულ ტექსტზე დაყრდნობით მარი ბროსე წერდა: „ასემანის აღნიშნული აქვს, რომ 498 წლიდან მაფრიანის, ანუ ასურელთა ნესტორიან კათალიკოსს ემორჩილებოდა ქართველთა ეპისკოპოსიც“ (ბროსე 1849: 194-195. შენ). მაგრამ მ. ბროსე ამ ცნობას ეჭვის თვალთ უყურებდა, რადგანაც, მისი აზრით, ქართველები ნესტორის მიმდევრები არ ყოფილან (ბროსე 1849: 194-195. შენ).

ელია დამასკელის ცნობა განიხილა ი. ჯავახიშვილმა, მისი აზრით, ამ ცნობის გარდა საქართველოში ნესტორიანთა არსებობის შესახებ სხვა ცნობებიც მოიპოვება, რის გამოც მ. ბროსეს სკეპტიციზმი უსაფუძვლოა. ი. ჯავახიშვილს მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, რომ სომხეთში VI საუკუნის შუა წლებში ნესტორიანებს საკუთარი ეკლესია და სამწყსო ჰყოლიათ, მისი აზრით, 498 წლიდან ქართლში ნესტორიანელები საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც მათ ცალკე ეპისკოპოსი დასჭირდათ და მათ ქართლში თავიანთი მრევლი და სამწყსო უნდა ჰყოლოდათ (ჯავახიშვილი 1951: 348).

ამის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ცნობა რატომღაც მიივიწყეს, არადა, მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც უკვე გამორკვეულია, რომ V საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართლის ეკლესია აღმოსავლეთის კათოლიკოსს დაექვემდებარა – 420 წლის სელევკიის კრებას ქართლის ეპისკოპოსი აღმოსავლეთის კათოლიკოსისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსის რანგში ესწრებოდა და საკუთარ მეთაურად სასანიანთა იმპერიის დედაქალაქის, სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსს აღიარებდა (ჩიქოვანი 2020: 160-162).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოსავლეთის ეკლესიის იურისდიქციიდან გამოსვლა ძირითადად V საუკუნის 40-50-იანი წლებით არის დათარიღებული (მამულია 1992: 16); (ჩიქოვანი 2020: 165), ელია იბნ 'უბაიდის ცნობა კი, დადასტურების შემთხვევაში, ცვლის როგორც აღმოსავლეთის კათოლიკოსის იურისდიქციაში ქართლის ეკლესიის ყოფნის ხანგრძლივობას, ისე კათოლიკოსობის დაწესების მნიშვნელობას. ამდენად, მისი ცნობის დაწვრილებითი შესწავლა აუცილებელია.

ელია იბნ 'უბაიდის „არაბული ნომოკანონი“ შემორჩენილია ერთადერთ, XIII საუკუნის MS Vat. ar. 157 ხელნაწერში (ჰენრი 2003: 71). „არაბული ნომოკანონი“ ძირითადად თარიღდებოდა 893 ან 900 წლებით, მაგრამ იტალიელი ისტორიკოსის, ჯანფრანკო

ფიაკადორის დასკვნით, იგი შედგენილი უნდა იყოს 903 წლის შემდეგ (ფიაკადორი 1984: 213-214).

ელია იბნ 'უბაიდის „ნომოკანონში“ ჩვენთვის საინტერესო ცნობა ასე გამოიყურება: „ჰულვანის მიტროპოლიტის [იურისდიქციის] ქვეშ – ეპისკოპოსი დინავერისა, ეპისკოპოსი ჰამადანისა, ეპისკოპოსი ნეჰავენდისა, ეპისკოპოსი ალ-ქრჯისა“ (ასემანი 1721: 459).

პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რა დროს ეხება ელია დამასკელის ცნობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარი ბროსე და ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევენ, რომ ცნობა ეხება 498 წელს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, თუ რის საფუძველზე თვლიდნენ ისინი ასე, რადგანაც არანაირი მითითება ამის შესახებ არ არსებობს. სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სავარაუდო დროზე. ეკლესიის ისტორიის ფრანგი მკვლევარი ჟან მორის ფიე თვლიდა, რომ აღნიშნული ცნობა ეხება დაახლოებით 900 წელს, ანუ იმ დროს, როდესაც ელია დამასკელი წერდა თავის „ნომოკანონს“ (ფიე 1993: 92). ქვემოთ დანვრილებით განვიხილავთ ამ ცნობის ფიესულ დათარიღებას.

ქალაქი ჰულვანი მდებარეობდა ზაგროსის მთიანეთში, დასავლეთ ირანში, იდენტიფიცირებულია თანამედროვე ქალაქ სერპოლ'ე ზეჰბთან, ქირმანშაჰის პროვინციაში. ჰულვანი მიდის მთავარი ქალაქი იყო. მაგრამ აღმოსავლეთის ეკლესიის ჩამოყალიბებისას იგი სამიტროპოლიტოდ არ ქცეულა, რადგანაც 410 წლის სელევკიის კრების XXI კანონით „აღმოსავლეთის ეკლესიაში“ მხოლოდ 5 სამიტროპოლიტო დაარსდა: ბეთ ლაჰატის, ნიზიბინის, მაიშანის ფერატის, არბელას და ბეთ სელოკის კარკას (ჩიქოვანი 2019: 68-69).

დღიდან აღმოსავლეთის ეკლესიის დაარსებისა, ჰულვანის ეპისკოპოსები აღმოსავლეთის ეკლესიის კრებებს ერთ რიგითი ეპისკოპოსის რანგში ესწრებოდნენ, ასე მაგალითად, 554 წლის კრების აქტებში იხსენიება „ჰულვანის ეპისკოპოსი ფუსაი“, რომელიც კრების დადგენილებას წერილობით შეერთებია (შაბო 1902: 366). 585 წლის კრებას დასწრებია ჰულვანის ეპისკოპოსი ბარ ნუნი (შაბო 1902: 423), ხოლო 605 წლის კრებას ესწრებოდა ჰულვანის ეპისკოპოსი ბარ ჰადბეშაბბა (შაბო 1902: 479).

აშკარაა, რომ ამ ხანებში ჰულვანი ჯერ კიდევ არ იყო სამიტროპოლიტო. პირველი მიტროპოლიტი, ვისი სახელიც ცნობილია, არის სურინი, რომელიც ელია ნიზიბინელის (975-1046). ცნობით არაბი მმართველის დახმარებით 751/2 წელს აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქი გამხდარა (დელაპორტე 1910: 43). ჟან მორის ფიეს გამოკვლევით, ჰულვანი სამიტროპოლიტო გამხდარა 628-646 წლებს შორის, მისი ვარაუდით ეს უნდა მომხდარიყო 642 წლამდე, არაბთა დაპყრობამდე (ფიე 1993: 92). რამდენად შეესაბამება სიმართლეს ჟ. მორის ფიეს ვარაუდი, ამის გამორკვევას ჩვენ აქ არ შევეცდებით, არამედ მხოლოდ იმის აღნიშვნას დავჯერდებით, რომ, რაკილა 605 წელს ჰულვანი ჯერ კიდევ არ იყო სამიტროპოლიტო, ელია იბნ 'უბაიდის ცნობა ჰულვანის მიტროპოლიტის იურისდიქციაში „ალ-ქრჯის“ ეპისკოპოსის ყოფნის შესახებ ამაზე ადრეული ვერ იქნება.

რას წარმოადგენდა ჰულვანის სამიტროპოლიტო და რა ტერიტორიას მოიცავდა იგი? როგორც ზემოთ ვნახეთ, ჰულვანის მიტროპოლიტს ჩვენთვის საინტერესო „ალ-ქრჯთან“ ერთად ექვემდებარებოდნენ დინავერის, ჰამადანისა და ნეჰავენდის ეპისკოპოსები. განვიხილოთ თითოეული მათგანის ადგილმდებარეობა და საეკლესიო ისტორია.

*დინავერი* მდებარეობდა მიდის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ ირანში. ქალაქის ნანგრევები მდებარეობს ქირმანშაჰის პროვინციაში, ქალაქ ქირმანშაჰიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 კილომეტრში. უცნობია, თუ როდის გახდა იგი საეპისკოპოსო, პირველი დამონშება ქალაქში საეპისკოპოსო კათედრის დაარსებისა ეკუთვნის სწორედ ელია იბნ 'უბაიდს (ფიე 1993: 75). ამიტომაც, მისი ხსენება ელიას ნუსხაში ჩვენი საკვლევი საკითხის გამორკვევაში ვერ გვეხმარება.

*ჰამადანი* მიდის მთავარი ქალაქი იყო, მდებარეობს ჰამადანის პროვინციაში, ზაგროსის მთიანეთში. ჟ. მორის ფიე მას და „აღმოსავლეთის სინოდიკონში“ დაფიქსირებულ „ბეთ მიდაიეს“ (მიდის) საეპისკოპოსოს ერთმანეთთან აიგივებს (ფიე 1993: 87), მაგრამ ამ გაიგივებას აქვს ხელისშემშლელი გარემოებაც, კერძოდ, 554 წლის კრების აქტებში ცალ-ცალკე იხსენიებიან მიდის და ჰამადანის ეპისკოპოსები (შაბო 1902: 366). რამდენად



მართებულია ჟ. მ. ფიესეული გაიგივება, ამის გამორკვევა ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის საგანს სცდება, რადგანაც 544 წლიდან ჰამადანი უკვე დაფიქსირებულია როგორც საეპისკოპოსო კათედრა და ამ საკითხის გამორკვევა ელია იბნ 'უბაიდის „ნომოკანონში“ აღწერილი რეალობის ქრონოლოგიურ ჩარჩოს ვერ დაავიწროვებს.

ნეჰავენდი მდებარეობს დასავლეთ ირანში, ჰამადანის პროვინციაში. ნეჰავენდის ეპისკოპოსი პირველად ფიქსირდება 790 წელს, ტიმოთე I-ის კრებას ხელს აწერს ნეჰავენდის ეპისკოპოსი საბრიშო (შაბო 1902: 608). ამის მიუხედავად, გადაჭრით იმის თქმა, რომ აღნიშნულ დრომდე ნეჰავენდში არ იყო საეპისკოპოსო კათედრა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

რაც შეეხება ჰულვანის მიტროპოლიტის იურისდიქციის საზღვრებს, როგორც ჩანს, იგი ვრცელდებოდა ქალაქ ჰულვანიდან აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ აღმოსავლეთით. დენავერი ჰულვანიდან აღმოსავლეთით დაახლ. 130-140 კილომეტრში უნდა ყოფილიყო. ნეჰავენდი – ასევე აღმოსავლეთით, ჰულვანიდან დაახლოებით 230 კილომეტრში. ხოლო ნეჰავენდის ჩრდილოეთით, დაახლოებით 70 კილომეტრში არის ჰამადანი. იგი სამიტროპოლიტო ცენტრიდან, ჰულვანიდან ჩრდილოეთის მიმართულებით დაახლოებით 250 კილომეტრით იქნებოდა დაშორებული (სერპოლ-ე ზეჰებიდან ჰამადანამდე 246 კილომეტრია).

შეიძლება თუ არა ჰულვანის მიტროპოლიტს დაქვემდებარებოდა 1000-ზე მეტი კილომეტრით დაშორებული ქართლის ეპისკოპოსი? ვფიქრობთ, პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ჰულვანის მიტროპოლიტის ტერიტორიასა და საქართველოს შორის მდებარეობდა ისეთი ძლიერი სამიტროპოლიტოები, როგორიც იყო მოსული, არბელა (ერბილი), ბეთ გარმაი, რომლებიც ელია იბნ 'უბაიდის ნომოკანონშიც იხსენიებიან (ასემანი 1721: 459-460). მაშ, რა ახსნა უნდა მოეძებნოს ელია დამასკელის ცნობას?

მართალია, ქართველების აღსანიშნად არაბულში ყველაზე გავრცელებული კრებითი სახელი იყო ალ-ქურჯ – اَلْجُرْج، მაგრამ როგორც ქართველი აღმოსავლეთმცოდნე გოჩა ჯაფარიძე უთითებდა, IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფები არ იცნობენ ამ ეთნიკურ ტერმინს, მაგრამ, ამავე დროს, იგი შესაძლებლად მიიჩნევდა IX-X საუკუნეებში ამ ეთნიკური ტერმინის არსებობას (ჯაფარიძე 2012: 24).

საკითხის ერთი მხარეა, არსებობდა თუ არა ეს ეთნიკური ტერმინი აღნიშნულ პერიოდში, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ اَلْجُرْج – „ალ-ქურჯი“ მხოლოდ საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი არ ყოფილა არაბულში. ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც გადამწერის შეცდომის წყალობით, ნაცვლად اَلْجُرْج „ალ-ქარხ“-ისა წერია اَلْجُرْج – „ალ-ქურჯ“ (ჯაფარიძე 2012: 24-25, შენ. 79).

შესაბამისად, გამოიკვეთა სამი სავარაუდო შემთხვევა:

1. اَلْجُرْج – „ალ-ქურჯ“ მართებული დაწერილობაა და მასში იგულისხმება საქართველო;
2. اَلْجُرْج – „ალ-ქურჯ“ დაწერილობაში შეცდომაა;
3. اَلْجُرْج – „ალ-ქურჯ“ მართებულად წერია, მაგრამ მასში არ იგულისხმება საქართველო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში საკითხი პირველი შემთხვევის სასარგებლოდ არის გადაჭრილი. მაგრამ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ჟან მორის ფიეს. მისი აზრით, اَلْجُرْج – ალ-ქურჯის ეპისკოპოსში არა „ალ-ქურჯის“ ანუ ქართველთა ეპისკოპოსი, არამედ ქალაქ ქარაჯის (დულაფიდების ქარაჯი) ეპისკოპოსი იგულისხმება (ფიეს 1993: 99).

პირველი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ اَلْجُرْج – «ალ-ქურჯ“-ი ნავიკითხოთ, როგორც ქალაქი „ქარაჯი“? ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ელია იბნ 'უბაიდის თანამედროვის, არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის იაკუბის (გარდ. 897 წ.) თხზულებას. თავის გეოგრაფიულ თხზულებაში

„ქითაბ ალ-ბულდანი“ (ქვეყნების ისტორია), იგი 7-ჯერ ახსენებს ქალაქ „ალ-ქარაჯს“:

1. ალ-ქ(ა)რ(ა)ჯი - لكرج (სათაური) (იაკუბი 1891: 272); (იაკუბი 2017: 107).
2. „ნეჰავენდიდან ქალაქ ალ-ქ(ა)რ(ა)ჯამდე (لكرج) ორი გზაა“ (იაკუბი 1891: 272); (იაკუბი 2017: 107).
3. „ალ-ქ(ა)რ(ა)ჯი (لكرج) 'ისა ბინ იდრის ბინ მა'ქილ ბინ შეიხ ბინ 'უმაირ ალ-იჯლის, აბუ დულაფის რეზიდენციაა. სპარსელთა დროს ცნობილი ქალაქი არ იყო, იგი ითვლებოდა მხოლოდ როგორც ისფაჰანის სასოფლო ოლქში ფაიქის სახელით ცნობილი მხარის ერთი დიდი სოფელი. მისგან ქალაქ ისფაჰანამდე 60 ფარსახია“ (იაკუბი 1891: 272-273); (იაკუბი 2017: 107).
4. „ალ-ქ(ა)რ(ა)ჯი (لكرج) მდებარეობს ოთხი მთის შუაგულში, დაფარულია მამულებით, მინდვრებით, სოფლებით, დაუმშრალი მდინარეებითა და მომდინარე წყაროებით“ (იაკუბი 1891: 273); (იაკუბი 2017: 108).
5. „მინის გადასახადი ალ-ქ(ა)რ(ა)ჯიდან (لكرج) 3,4 მილიონი დირჰემია“ (იაკუბი 1891: 273); (იაკუბი 2017: 108).
6. „ყუმიდან გზები გადის ალ-რეის, ისფაჰანის, ალ-ქ(ა)რ(ა)ჯისა (لكرج) და ჰამადანისკენ“ (იაკუბი 1891: 274); (იაკუბი 2017: 109).
7. „ალ-ტაიმარა, რომელიც შედგება ბანუ ჰილალის არაბებისა და ქაის სხვადასხვა შთამომავლებისგან დასახლებული ორი ოლქისგან, და რომელიც ქმნის საზღვარს ისფაჰანის პროვინციასა და ალ-ქ(ა)რ(ა)ჯს (لكرج) შორის“ (იაკუბი 1891: 275); (იაკუბი 2017: 110).

როგორც ვხედავთ, იაკუბი ქალაქ ქარაჯს ყველგან ერთი და იმავე ფორმით იხსენიებს, ზუსტად ისე, როგორც ეს ელია დამასკელის ცნობაშია – لكرج – „ალ-ქრჯ“. შესაბამისად ელიას ცნობაში დასახელებული „ალ-ქრჯ“-ის ქალაქ ქარაჯად გააზრებას არანაირი წინააღმდეგობა არ ახლავს.

სად მდებარეობდა აღნიშნული ქალაქი, რას წარმოადგენდა იგი და რამდენად იყო შესაძლებელი, მისი ეპისკოპოსი ჰულვანის მიტროპოლიტს დაქვემდებარებოდა?

ქარაჯის (كرج) სახელით როგორც დღეს, ისე ადრეულ პერიოდში არაერთი გეოგრაფიული პუნქტია ცნობილი, ამ სახელით ცნობილი სხვა გეოგრაფიული პუნქტებისგან გამოსაყოფად ჩვენთვის საინტერესო ქალაქი „აბუ-დულაფის ქარაჯად“ მოიხსენიებოდა, რადგანაც მისი აღმშენებლობა აბუ დულაფ ალ-იჯლის სახელთან არის დაკავშირებული. რომელიც იყო ხალიფა მამუნისა (813-833) და მისი მემკვიდრის, ხალიფა მუთასიმის (833-842) ერთ-ერთი სარდალი. მართალია, ქარაჯის მშენებლობა ჯერ კიდევ მისმა მამამ დაიწყო, მაგრამ აბუ დულაფმა, რომელიც ჯიბალის პროვინციის განმგებელი იყო, იგი თავის რეზიდენციად აქცია (მაკგუკინი 1843: 502-504), მისმა შთამომავლებმა, დულაფიდებმა, IX საუკუნის მეორე ნახევარში ისარგებლეს არაბთა სახალიფოში მიმდინარე საშინაო ომებით და ავტონომია გამოაცხადეს. 897/898 წელს უკანასკნელი დულაფიდი აბუ ლაილა ალ-ჰარითი ბრძოლაში დაეცა და ამით დულაფიდების დინასტია შეწყდა (იარშატერი 1996: 476-477).

ქარაჯის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, მაგრამ წყაროთა ცნობებით მისი სავარაუდო მდებარეობა ირკვევა. იგი მდებარეობდა ისპაჰანსა და ჰამადანს შორის, დაახლოებით თანამედროვე გოლპეიეგანსა და ჰამადანს შორის, ამ ორი ქალაქის შუაში (იაკუბი 2017: 107, შენ., 158).

რაკილა გოლპეიეგანსა და ჰამადანს შორის მანძილი 221 კილომეტრია, ქარაჯი ჰამადანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლ. 110 კილომეტრში უნდა ყოფილიყო, ხოლო ჰულვანიდან – დაახლოებით 300 კილომეტრში. მართალია, თუ ელია იბნ 'უბაიდის ცნობაში ქალაქ ქარაჯს ვიგულისხმებთ, იგი სამიტროპოლიტო ცენტრიდან ყველაზე მეტად დაშორებული გამოვა, თუმცა ეს დაშორება არც ისეთი დიდია, როგორც ეს „ალ-ქრჯ“-ის „საქართველოდ“ გააზრების შემთხვევაში გვაქვს. ამასთან რადგანაც დადასტურებულად ვიცით, რომ ჰულვანის სამიტროპოლიტოში შედიოდა მისგან 250 კილომეტრით დაშორებული ქალაქი ჰამადანი, ხელს არაფერი უშლის იმის დაშვებას,

რომ ამავე სამიტროპოლიტოსადმი დაქვემდებარებულად ვივარაუდოთ მისგან 300 კილომეტრით დაშორებული ქალაქიც. მით უმეტეს, რომ ჰულვანის ყველა საეპისკოპოსო „ჯიბალის“ პროვინციაში მდებარეობდა, ისევე, როგორც ქალაქი ალ-ქარაჯი. ამასთან, ქალაქ ქარაჯიდან ყველაზე ახლო სამიტროპოლიტო კათედრა სწორედ ჰულვანი იყო, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს შემთხვევაში.

შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებისა საწინააღმდეგოდ, ელია იბნ 'უბაიდის „ნომოკანონის“ ცნობით ჰულვანის მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში მყოფი إلكرج أسقف – „ალ-ქრჯ“-ის ეპისკოპოსი არ არის ქართველთა ეპისკოპოსი და არც რაიმე შეხება აქვს საქართველოსთან.

ელია იბნ 'უბაიდის ცნობა ეხება არა 498 წელს, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, არამედ მხოლოდ 605 წლის შემდგომ ხანას, უფრო მეტად კი IX საუკუნეს.

ელია დამასკელის ცნობის إلكرج أسقف – „ალ-ქრჯ“-ის ეპისკოპოსი უნდა იყოს ქალაქ ქარაჯის ეპისკოპოსი, როგორც ამას აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი ჟან მორის ფიე ვარაუდობდა.

## დამონბეზანი

**ასემანი 1721:** Josephus Simonius Assemani. Bibliotheca Orientalis Clementino-Vaticana., T., 2., Sacrae Congregationis de Propaganda Fide, Rome.

**ჰენრი 2003:** Wilhelm Baum, *The Church of the East: A Concise History*, Translated by Miranda G. Henry, London and New York.

**ბროსე 1849:** Marie-Félicité Brosset. *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle*, I., Imprimerie de l'Académie impériale des sciences, S.-Peterburg.

**დელაპორტე 1910:** *La Chronographie d'Élie bar-Šinaya, métropolitain de Nisibe: Traduite pour la première fois d'après le manuscrit Add. 7197 du Musée Britannique*, par L. J. Delaporte. Honoré Champion, Paris.

**იაკუბი 1891:** *Aḥmad ibn Abī Ya'qūb al-Ya'qūbī, Kitāb al-buldān*, Edited by M. J. de Goeje, Brill, Leiden.

**იაკუბი 2017:** *The Works of Ibn Wāḍih Al-Ya'qūbī, (Volume 1)*, An English Translation, Vol. 1. Edited by Matthew S. Gordon, Chase F. Robinson, Everett K. Rowson, Michael Fishbein, Brill, Boston.

**იარშატერი 1996:** *Encyclopaedia Iranica*, Volume VII, edited by Ehsan Yarshater, Bibliotheca Persica Press.

**მაკგუკინი 1843:** *Aḥmad ibn Muḥammad, Ibn Khallikān's Biographical Dictionary (translation of Wafayāt al-A'yān wa-Anbā')*, vol., II, Translated by MacGuckin de Slane, W.H. Allen, London.

**ფიაკადორი 1984:** Gianfranco Ciaccadori. On the Dating of ʿĪliyā al-Ġawharī's *Collectio Canonica, Oriens Christianus*, 68, Wiesbaden, Otto Harrassowitz.

**ფიე 1993:** J. M. Fiey. Pour un Oriens Christianus Novus : répertoire des diocèses syriaques orientaux et occidentaux, Beirut, In Kommission bei Franz Steiner Verlag, Stuttgart.

**შაბო 1902:** J.-B. Chabot. *Synodicon orientale ou recueil de synodes nestoriens*, Impr., nationale, Paris.

**ჩიქოვანი 2019:** დ. ჩიქოვანი. აღმოსავლეთის ეკლესიის კეხბათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კეხბათა აქტები და სხვა მასალები), გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი,

**ჩიქოვანი 2020:** D. Chikovani. The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli, *Pro Georgia, Journal of Kartvelological Studies*, N 30, Warsaw.

**ჭავახიშვილი 1951:** ი. ჭავახიშვილი. ქახთვედი ეჩის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ჭაფარიძე 2012:** გ. ჭაფარიძე. ქახთველებისა და საქახთველს ახაბუდი სახელწოდებები. ძიებანი საქახთველსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი.

**ჯისმონდი 1896:** HERNICUS GISMONDI. *Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria. Amri et Salibae Versio latina*, Excudebat C. De Luigi, Roma.

## THE EXPLANATION OF ONE REFERENCE TO ELIYA IBN 'UBAID'S "NOMOCANON ARABICUM"

**Davit Chikovani**

Sokhumi State University

davitchikovani3@gmail.com

Eliya ibn 'Ubaid also called Elias of Damascus was a theologian, philosopher, canonist and chronographer of the Church of the East. Elias of Damascus in his "Nomocanon Arabicus" named the bishop of "al-Krj" among the bishops subordinate to the metropolitan of Hulwan. Because "Al-Kurji" is a name denoting Georgians in Arabic, it is considered in Georgian historiography that the bishop of "Al-Kurji" is the bishop of Kartli. This article is about this view and the identification of "Al-Krj".

## მეხსეთის პოლიტიკური გეოგრაფია ახ.წ. | საუკუნეში

გიორგი ჭეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
giorgi.cheishvili@tsu.ge

იმპერიის ხანის გეოგრაფიულ თხზულებებში კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს შორის არაერთხელ მოიხსენიება მოსხების ქვეყანა (ყაუხჩიშვილი 1957: 124-125, Strabo XI.II.17-18); (რეკჰემი 1961: 346-347, 358-359, Nat.hist. VI.IV.13, XI.29).<sup>2</sup> გარკვეულია, რომ მოსხების ქვეყანა შეესატყვისება შუა საუკუნეების ქართულ მეხეთს და მოიცავდა ქოროხის აუზისა და მტკვრის ზემო წელის პროვინციებს: სპერს, ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს, აჭარას, კოლარტაანსა და სამცხე-ჯავახეთს (მუსხელიშვილი 1977: 58-59); (ხაზარაძე 1984: 36-71). მოსხთა ქვეყანას მიაკუთვნებენ მდინარე არაქსის ზემო წელზე მდებარე ბასიანსაც (ხაზარაძე 1984: 55).

სტრატეგიული მდებარეობის გამო მოსხთა ქვეყანა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კავკასიურ პოლიტიკაში. ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. III საუკუნეში მოსხების ქვეყანა ბასიანიტურთ ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრებში შემოდიოდა (მუსხელიშვილი 1977: 56); (ჭეიშვილი 1994: 47-48), მაგრამ ძვ. წ. II-I საუკუნეებში, დიდი არმენიისა და პონტოს სამეფოს შემოტევების შედეგად, ის განაწილებული აღმოჩნდა იბერიას, არმენიასა და კოლხეთს (resp. პონტოს) შორის: სპერს, ტაოსა და კოლას, აგრეთვე ბასიანს სომხები ფლობდნენ, აჭარას, შავშეთსა და კლარჯეთს – კოლხები, ხოლო არტაანი, ჯავახეთი და სამცხე იბერებს რჩებოდათ (მუსხელიშვილი 1977: 59).

რომაელთა შემოსვლამ კავკასიაში (ძვ. წ. I ს.) მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში, რამაც იბერიის სამეფოს მესვეურთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და მეზობელ სახელმწიფოებზე პოლიტიკური გავლენის გავრცელების საშუალება მისცა. ახ. წ. I საუკუნის 30-50-იან წლებში იბერიის მეფეებს დიდი არმენიის ტახტზე ფარნავაზიანთა სახლის წარმომადგენლები აპყავთ და არმენიელებთან დაპირისპირებაში საკუთარ სამფლობელოებსაც აფართოებენ (მელიქიშვილი 1959: 337-344).

დაკარგულ თემთა შემოერთებისათვის ბრძოლის ერთი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა ახ. წ. 60 წლისთვის, როდესაც რომაელებმა სომხეთში ტიგრანი გაამეფეს, ხოლო „არმენიის გარკვეული ნაწილები [...] იმის მიხედვით, თუ ვის სამფლობელოს ესაზღვრებოდნენ“ „ნაბრძანები იყო [...] დამორჩილებოდნენ“ იბერიის მეფე ფარსმანს და სხვა მეზობელ დინასტიებს (გამყრელიძე 1973: 96, 99, Tac., Ann., XIV. 26). ამ აქტით იმპერიამ ოფიციალურად დაადასტურა ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება დიდი არმენიის მიმართულებით.

იბერიის ეს წარმატება თანამედროვე რომაულ ლიტერატურაში და, კერძოდ, პლინიუსის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ აისახა.

ძველი გეოგრაფიის სპეციალისტები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ ამ ნაშრომის ღირებულებას. მათი დახასიათებით, პლინიუსი იყო კომპილატორი, რომელიც წინამორბედთა კომპილაციებით საზრდოობდა (ტომსონი 1965: 227) და ისე იყო გართული კითხვითა და გადაწერით, რომ ვერც კი ხვდებოდა, რას თხზავდა (ტომსონი 1965: 323); გეოგრაფიის ოთხი წიგნი კი „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ ყველაზე გაუგებარი ნაწილია (ტომსონი 1965: 227).

კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, მკვლევართა ნაწილი მაინც აღიარებს პლინიუსის შრომის დიდ მნიშვნელობას რომის იმპერიის პროვინციად ქცეული ქვეყნების „პოლიტიკური ანუ სტატისტიკური გეოგრაფიის“ შესასწავლად (ბანბერი 1879: 376), ისევე

როგორც საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის, ეთნოგრაფიის თუ გეოგრაფიის რიგი საკითხების გასაშუქებლად (გამყრელიძე 1973: 27-40). „საბუნებისმეტყველო ისტორია“ საყურადღებო წყაროა კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფიის რეკონსტრუირებისთვისაც. თხზულებაში დაცულ ცნობებს არაერთი მკვლევარი შეხებია იბერია-არმენიის საზღვრების დასადგენად, თუმცა მათი ინტერპრეტაციაც და დასკვნებიც საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან (კაკაბაძე 1924: 35); (ჯანაშია 1952: 255-258); (ჯანაშია 1959: 20-23); (ინგოროყვა 1954: 439, 467, 488, 516-517); (მელიქიშვილი 1959: 354); (თუმანოვი 1963: 471); (მუსხელიშვილი 2016: II-III); (ატლასი 2008: 26). ეს გარემოება კი უფრო მეტად ზრდის ინტერესს დასახელებული ნაშრომისადმი.

ჩვენი მსჯელობის ამოსავალია „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ VI წიგნი. მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მდიდარია – პლინიუსს 50-ზე მეტი ავტორი ჰყავს დასახელებული (რეკჰემი 1967: 34-37); ხოლო განსაკუთრებულ ღირებულებას ის გარემოება სძენს, რომ აღმოსავლეთ მცირე აზიისა და კავკასიის აღწერისას გამოყენებულია პლინიუსის თანამედროვეთა, უპირატესად, კორბულონის კამპანიის მონაწილეთა, ინფორმაცია (რეკჰემი 1961: 284-285, 354-355, 366-367, V.XX.83, VI.VIII.23, VI.XV.40).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვას შემდეგი კარგად ცნობილი პარაგრაფით დავიწყებთ:

მთელი დაბლობი, მტკვრიდან მოკიდებული, ალბანელთა ტომს უკავია, შემდეგ იბერთა (ტომს), გამოყოფილს მათგან მდინარე ალაზონით[...] (შემდეგია) ტასისა და თრიარის მხარეები პარიჰედრის მთებამდე; გადაღმა არის კოლხეთის უდაბური ადგილები, რომელთა მხრიდან კერავნიის მიმართულებით არმენოხალიბები ცხოვრობენ და (მდებარეობს) მოსხთა ქვეყანა მტკვარში ჩამდინარე მდინარე ჰიბერუსამდე, ხოლო მათ ქვემოთ (ცხოვრობენ) საკასანები და შემდეგ მაკერონები მდინარე აბსარუსამდე (რეკჰემი 1961: 358-359, VI. XI. 29); (ანტიკური კავკასია 2022: 586).

ციტირებულ ფრაგმენტში დასახელებული ტოპონიმები და ეთნონიმები პლინიუსს დიდი არმენიის მიღმა ეგულება (რეკჰემი 1961: 358-359, VI. X. 28); (ანტიკური კავკასია 2022: 586). სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ტასი და თრიარი, საერთო იდენტიფიკაციით, ტაშირი და თრიალეთი, იბერიის საზღვრებში შემოდიოდა. ტაშირი და თრიალეთი გოგარენე – გუგარქის ხევებია (მუსხელიშვილი 1977: 146). „საბუნებისმეტყველო ისტორიიდან“ მოხმობილი ამონარიდი იმის მაჩვენებელია, რომ ქვემო ქართლს (თუ მის დიდ ნაწილს), რომელიც წინა საუკუნეებში, ასევე, სომხებს ჰქონდათ მიტაცებული, ახ. წ. I საუკუნის შუახანებისთვის კვლავ იბერია იბრუნებს (ჯავახიშვილი 1919: 17); (თუმანოვი 1963: 470-471, 499); (ჭიუსონი 2001: 46, რუკა 29); (მუსხელიშვილი 2016: III). პარიჰედრის მთებიც, კონტექსტის მიხედვით, ტასი-ტაშირისა და თრიარ-თრიალეთის სამხრეთი საზღვარია, ფაქტობრივად, იბერია-არმენიის მიჯნაა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედებს, უფრო ზუსტად კი, ბამბაკის მთებს უნდა გულისხმობდეს (ინგოროყვა 1954: 467, 486); (ჭეიშვილი 1986: 124).

შედარებით ბუნდოვანია კოლხეთის უდაბნოს, უდაბური ადგილების (Colchicae solitudines) ლოკალიზაციის საკითხი (სავარაუდოდ ადგილმდებარეობის შესახებ იხ., პოდოსინოვი, სკრჟინსკაია 2011: 337, შენ. 634). ლათინურ ენაში solitudo, -inisi უდაბნო ან დაუსახლებელ ადგილს/ქვეყანასაც აღნიშნავს (ლექსიკონი 1968: 1784); ამიტომ საკითხის გარკვევაში შეიძლება დაგვეხმაროს პლინიუსის შემდეგი ცნობა: ფასისის (რიონის) სანაპიროებზე უწინ მრავალი ქალაქი ყოფილა, ამჟამად კი შემორჩა მხოლოდ ერთდერთი ქალაქი, სახელად სურიუმი (რეკჰემი 1961: 346-347, VI.IV.13); (ანტიკური კავკასია 2022: 583, 584). იბადება კითხვა: ხომ არ გულისხმობს კოლხეთის უდაბნო/დაუსახლებელი ადგილები რიონისპირს, რომელიც პლინიუსისავე კონცეფციით ქალაქებისგან დაცარიელებული ყოფილა? ასეთი

დაშვების შემთვევაში გამოდის, რომ მოსხთა ქვეყანა და არმენოხალიბები რიონის სამხრეთით იწყებოდა. არც ამგვარი ვარაუდია უსაფუძვლო, რადგან „საბუნებისმეტყველო ისტორიიდან“ ცნობილია, რომ ფაზისი სათავეს იღებს მოსხებში“ (რეკჰემი 1961: 346-347, VI.IV.13); (ანტიკური კავკასია 2022: 583). პლინიუსის ამ ჩვენებას აზუსტებს სოლინუსი: „მოსხების მთებიდან ფასისი მოედინება“ (ანტიკური კავკასია 2022: 630, XV.19). მაშასადამე, მოსხები, უკეთ მოსხური მთები (დღევანდელი მესხეთის ქედი) (ჯანაშია 1952: 275); შდრ. (ხაზარაძე 1984: 68-70) უნდა იყოს „კოლხური უდაბური ადგილების“ ის მხარე/მიჯნა, საიდანაც არმენოხალიბების და მოსხების ქვეყანა იწყებოდა; ამგვარი წარმოდგენები კი სავსებით რეალურ-ისტორიულია.<sup>3</sup>

პლინიუსის სხვა ცნობები მოსხთა ქვეყნისა თუ მისი ცალკეული თემების კუთვნილების გარკვევის საშუალებასაც გვაძლევს; კერძოდ, „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ ნათქვამია, რომ

ფარნაკიიდან 100000 (ნაბიჯის) დაშორებით მდებარეობს თავისუფალი (ქალაქი) ტრაპეზუნტი, გარშემორტყმული უზარმაზარი მთით, რომლის გადაღმა (ცხოვრობენ) არმენოხალიბები, ხოლო 30 ათასი ნაბიჯის დაშორებით დიდი არმენია (მდებარეობს). სანაპიროზე, ტრაპეზუნტამდე, მოედინება მდინარე პიქსიტესი, ხოლო გადაღმა (არის) სანი ჰენიოხების ტომი, მდინარე აბსარუსი თანამოსახელე ციხით (მის) შესართავთან ტრაპეზუნტიდან 140000 (ნაბიჯითაა დაცილებული). ამ ადგილას მთებს უკან არის იბერია, ხოლო სანაპიროზე (არიან) ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები, (მოედინება) მდინარე აკამფსეონი... (რეკჰემი 1961: 344-347, VI.IV.11-12); (ანტიკური კავკასია 2022: 583).

ტრაპეზუნტისა და აბსარუს-აფსაროსის დასახელება მოწმობს, რომ მოტანილი ციტატის დამასრულებელ ნაწილში ლაპარაკია დღევანდელ ლაზისტანის ქედზე, რომელიც პარალელურად გასდევს ტრაპზონ-გონიოს სანაპირო ზოლს<sup>4</sup> და მის სამხრეთ კალთებთან გადაჭიმულ ქოროხის მხარეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნობა ადასტურებს იბერიის საზღვრების გავრცელებას ქოროხის ხეობაში. რამდენად ღრმად იყვნენ იბერები შეჭრილნი ამ მხარეში? პლინიუსი აკონკრეტებს თავი ჩვენებას, როდესაც ზღვის სანაპიროზე, იბერიის პროვინციების მოპირდაპირედ, ჩამოთვლის პონტოსპირეთში მოსახლე ტომებს: ჰენიოხებს, ამპრევტებსა და ლაზებს ვიდრე მდინარე აკამფსეონამდე.

პლინიუსის აღწერა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთისა (ტრაპეზუნტიდან აფსაროსამდე) განსხვავდება წინამორბედ ავტორთა ცნობებისგან,<sup>5</sup> მაგრამ გარკვეულ მსგავსებას პოულობს ფლავიუს არიანეს მონაცემებთან. კაპადოკიის მმართველის საინსპექციო ანგარიშის მიხედვით, ტრაპეზონტიდან აფსაროსამდე ორი ხალხი სახლობდა: მაქლონები და ჰენიოხები და ძიდრიტები; ლაზებს იმ დროისთვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელობანი ნაწილი ეკავათ (კეჭალმაძე 1961: 42-43, PPE 11). V საუკუნის ანონიმის თანახმად, მაქლონები და ჰენიოხები, უწინდელი ეკექერიელები, ოფიუნტიდან არქაბემდე ცხოვრობდნენ, ხოლო ძიდრიტები, უწინდელი ბიძერები – არქაბედან მდინარე აფსაროსამდე (კეჭალმაძე 1961: 84, Anon., PPE 1). საკუთრივ ტრაპეზუნტის სანახების მახლობლად კი ბინადრობდნენ ტომები, რომლებიც არიანეს აზრით, სანები უნდა ყოფილიყვნენ (კეჭალმაძე 1961: 42, PPE 11). მაქლონებსა და ჰენიოხებს პლინიუსი სანი-ჰენიოხების სახელით იცნობს (ჯანაშია 1959: 23); (პოდოსინოვი, სკრჟინსკაია 2011: 303-304, შენ. 430) და მათ ადგილსამყოფელს ტრაპიზონის სიახლოვეს განსაზღვრავს (იხ. ზემოთ),<sup>6</sup> თუმცა საზღვრებს არ უთითებს. პლინიუსისა და არიანეც ცნობათა ურთიერთშეპირისპირება ცხადყოფს, რომ სანებს/მაქლონებს და ჰენიოხებს ახ. წ. I საუკუნის შუახანებისთვის შედარებით მცირე ტერიტორია ეპყრათ და მათი ექსპანსია ჩრდილო-აღმოსავლეთით სამეფოს ჩამოყალიბების პარალელურად უნდა

წარმართულიყო. სანების/მაქელონების და ჰენიოხების განსახლების არეალი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის, შესაძლებელია, მდინარე პიქსიტესამდე<sup>7</sup> (დღევანდელი ვინე-სუ) ან პრიტანის-პორდანისამდე (დღევანდელი ფურტუნა/ბუიუკ დერე), ძველი ეკეპერიელების ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრამდე (ლომოური 1963: 15), უწევდა; ასეთად შეიძლება ყოფილიყო ძაგატესიც (დღევანდელი სუსა/ფაზარ დერე), მოგვიანო ხანის დიდი ლაზიის თემის სასაზღვრო მდინარე (ბრაიერი, ვინფილდი 1985: 335-336.).

ჰენიოხების, ამპრევტებისა და ლაზების აკამფსისამდე გავრცელება გვაფიქრებინებს, რომ ჭოროხის სულ ქვემო დინება შესართვამდე დასახელებულ ტომებს ეკავათ. პლინიუსის სხვა ცნობითაც, აფსაროსთან მაკრონები ცხოვრობდნენ. ს. ჯანაშიას დაკვირვება, რომ „პლინიუსის გეოგრაფიულ წარმოდგენაში“ ლაზებს გვიანდელი კლარჯეთი „ეჭირათ“ (ჯანაშია 1959: 20-21), დაზუსტებას მოითხოვს. ასეთი დაშვების შემთხვევაში იბერიის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები საგულისხმებელია არა შავიზღვისპირეთთან, არამედ ხმელეთის სიღრმეში, არსიანის ქედთან, რაც ეწინააღმდეგება განხილული ცნობების კონტექსტს. გარდა ამისა, პლინიუსს ლაზები ზღვისპირა ტომებად წარმოედგინა.<sup>8</sup> ლაზებისადმი „ბოლო კლარჯეთისა ზღვსპირის“, ანუ, ხოფა-გონიოს სანაპირო ზოლის კუთვნილება ეჭვს არ იწვევს; თუ მათ, მაინცდამაინც, ჭოროხის ხეობაც ეკავათ, ეს უნდა ყოფილიყო შესართვიდან დაახლოებით ართვინამდე მონაკვეთის აუზი.<sup>9</sup> აღნიშნულ სექტორში იბერიასთან საზღვარიც, ასეთ შემთხვევაში, კარჩხალის მთებზე დაიდებოდა.

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ის არეალი, რომელსაც იბერია ესაზღვრებოდა, ათენი-ფაზარიდან აფსაროს-გონიომდე ვრცელდებოდა, ხოლო „ამ ადგილას მთებს უკან“ ანუ დღევანდელი ლაზისტანის ქედის აღმოსავლეთი მონაკვეთის (და კარჩხალის ქედის?) სამხრეთით განფენილი პროვინციები ჭოროხის შუა და ნაწილობრივ, ქვემო დინების აუზში იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.

„საბუნებისმეტყველო ისტორიის“ VI. XI. 29-ში იხსენიებიან არმენოხალიბებიც „კერავნიის მიმართულებით“. „კერავნიის“ „კერასუნტის მთებით“ ჩანაცვლება იმ არგუმენტით, რომ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში კერავნიის მთები აღმოსავლეთ კავკასიონსა და დაღესტნის მთებს აღნიშნავს და, შესაბამისად, არმენოხალიბების ლოკალიზაცია კერასუნტის მთების სამხრეთით (მურავიოვი 1988: 156-160), ნაკლებსარწმუნოა. საქმე ისაა, რომ პლინიუსი რამდენჯერმე ახსენებს ამ ორონიმს სრულიად განსხვავებული მათაა სისტემის აღსანიშნავად. რომაელი ავტორი ერთ შემთხვევაში კერავნიის მთებად კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთის პარალელურ ქედებს თუ მასივებს გულისხმობს და, მაინცდამაინც მეოტიდის ტბის (აზოვის ზღვის) სიახლოვეს (რეკჰემი 1961: 352-353, VI.VII.20-21); (ანტიკური კავკასია 2022: 585), სხვა შემთხვევაში – ზაგროსის მთების ჩრდილოეთ განშტოებებს, ადიაბენესთან ერთად დიდ არმენიას აღმოსავლეთიდან, უკეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან რომ საზღვრავდა (რეკჰემი 1961: 356-357, VI.X.27). პლინიუსი კერავნიის მთებს კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით იცნობს: სახელწოდება ტავროსის მთებსაც ფარავდა და ცალკეულ მთაგრეხილებსაც – პარიადრეს, მოსხურ მთებს, ამაზონურ მთებს და სხვა (რეკჰემი 1961: 294-297, V.XXVII.99). ამრიგად, კერავნიის კერასუნტის მთებად ჩანაცვლების საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, მცდარია არმენოხალიბების ლოკალიზაციაც კაპადოკიის პონტოში, მცირე არმენიის მეზობლად, უფრო ზუსტად კი, ლიკოსის ზემო წელზე (მურავიოვი 1988: 158, სურ. 1, 159-160). ამგვარ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ლიკოსის ზემო წელი, პლინიუსის წარმოდგენით, არის არა მცირე არმენიის მოსაზღვრე ქვეყანა, არამედ საკუთრივ მცირე არმენია: „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ ლიკოსის ზემო წელზე განლაგებული ქალაქები კესარია, აზა და ნიკოპოლისი მცირე არმენიას აქვს მიკუთვნებული (რეკჰემი 1961: 356-357, VI.X.26),<sup>10</sup> ხოლო საზღვარი მცირე არმენიასა და კაპადოკიას შორის მდინარე ლიკოსზე ნეოკესარიის (დღევანდელი ნიკსარი) აღმოსავლეთითაა გატარებული (რეკჰემი



1961: 342-345, VI.III.8-9).

პლინიუსი ერთადერთი ავტორია, რომელიც არმენოხალიბებს ასახელებს. „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ საინტერესო ცნობებია დაცული მათი ადგილმდებარეობის გასარკვევად. დასახელებულ თხზულებაში ნათქვამია, რომ ტრაპეზუნტი შემოსაზღვრულია უზარმაზარი მთით, რომლის გადაღმა ცხოვრობენ არმენოხალიბები, ხოლო 30 ათასი ნაბიჯის დაშორებით დიდი არმენია მდებარეობს (რეკჰემი 1961: 346-347, VI. IV. 12); (ანტიკური კავკასია 2022: 583). ამ საინტერესო ჩვენებიდან ირკვევა, რომ არმენოხალიბების ქვეყანა ტრაპიზონსა და დიდ არმენიას შორის მდებარეობდა. ჩრდილოეთიდან მას, სავარაუდოდ, ზიგანა-ლაზისტანის ქედები საზღვრავდა; გასარკვევია სამხრეთი საზღვარი.

კონტექსტიდან აშკარაა, რომ საუბარია ე. წ. მთიელ ხალიბებზე (მაქსიმოვა 1956: 29), რომლებიც ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის შიდაკონტინენტურ ნაწილში ბინადრობდნენ (განსხვავებით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალიბებისგან – იხ. (მაქსიმოვა 1956: 26-31); (მელიქიშვილი 1959: 69-72); (მიქელაძე 1974: 118-123). მათ შესახებ ქსენოფონტე და სტრაბონი მოგვითხრობენ. ქსენოფონტეს მიხედვით, ხალიბები ბინადრობდნენ ჰარპასოს-ჭოროხის აუზში, ტაოხების და სკვითინების მეზობლად (მიქელაძე 1967: 81-82, Anab. IV.7.15-18); მათ, დაახლოებით, ჭოროხის ქვემო წელი (ჭეიშვილი 1994: 24), ან თორთომისწყლისა და ჭოროხის შუა დინების ხეობები (მიქელაძე 1967: 41-42) ეკავათ. სტრაბონის თანახმად კი, ხალიბები, მოსინიკებთან ერთად, ევფრატის ზემო წელზე, კარენიტსა და ქსერქსენეში სახლობდნენ (ყაუხჩიშვილი 1957: 189, XI.14.5). ევფრატის ზემო წელი არმენოხალიბების განსახლების არეალიდან გამოირიცხება (შდრ. ინგოროსკვა 1954: 467, შენ. 1); (მუსხელიშვილი 2016: 5, II-III), რადგან, პლინიუსის თანახმად, კარენიტი და დერზენე (იგივე, ქსერქსენე) დიდი არმენიის პრეფექტურებია (რეკჰემი 1961: 284-285, V. XX. 83), ხოლო არმენოხალიბები, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, დიდი არმენიის გარეთ იგულისხმებიან. არმენოხალიბები არც ქსენოფონტისეული ხალიბების ტერიტორიას ფარავდა (შდრ. მიქელაძე 1974: 121, 128) – ეს უკანასკნელი პლინიუსის დროისთვის იბერია ყოფილა.

გამოდის, რომ ზიგანა-ლაზისტანის ქედებს (resp. ტრაპეზუნტი) და ევფრატის სათავეებს (resp. დიდი არმენია) შორის მდებარე არმენოხალიბების ქვეყნისთვის რჩება ტრიპოლის-ჰარშიტის და აფსაროს-ჭოროხის ზემო წელის ხეობები (ჭეიშვილი 1994: 73); შდრ. (ჰიუსონი 2001: 49, 51, რუკა 40, 42); (ატლასი 2008: 26).<sup>11</sup> ჭოროხის ზემო წელზე არმენოხალიბების ლოკალიზაციის სასარგებლოდ მეტყველებს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ სომხური ტრადიცია ბაიბურთის სანახებს ხალდოძორის ანუ ხალდეველთა ქვეყნის სახელით მოიხსენიებს (ხაჩიკიანი 1950: 34, 249, 346, 457, 535, 544, 611); (ჰაკობიანი 1956: 553).

ამგვარი ვითარება სხვა მხრივაც დასტურდება: დიდი არმენიის აღწერისას ნათქვამია, რომ იგი პარიჰედრის მთებთან იწყება. იქვე განმარტებულია, რომ პარიჰედრი ის მთებია, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე აბსარუსი (რეკჰემი 1961: 354-357, VI. IX. 25), ე. ი. რომაელი მწერლის წარმოდგენით, დიდი არმენიის მიჯნა ჩრდილო-დასავლეთით ჭოროხ-ევფრატის წყალგამყოფ ქედზე იდო (ჭეიშვილი 1986: 122); შდრ. (მარკვარტი 1930: 22\*), ჭოროხის ხეობა კი, შესაბამისად, მის ფარგლებს გარეთ რჩებოდა. პლინიუსს არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ ამ მხარეში დიდ არმენიას მცირე არმენია ემეზობლებოდა, ხოლო ერთმანეთისგან მათ პარიჰედრის მთები და მდინარე აბსარუსი გამოჰყოფდა (რეკჰემი 1961: 354-357, VI. IX. 25). ადვილი შესამჩნევია, რომ პლინიუსის მიხედვით მცირე არმენია ლოკალიზდება იმ რეგიონში, სადაც თვითონვე უფრო ადრე არმენოხალიბებს ათავსებდა. ეს ორი ჩვენება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რადგან, ჯერ ერთი, ავტორი, როგორც ვთქვით, აშკარად ანსხვავებს ერთმანეთისგან დიდ არმენიასა და არმენოხალიბებით დასახლებულ ტერიტორიას და მეორეც, ამ სატომო სახელის (ე. ი. არმენოხალიბების) პირველ კომპონენტს მსაზღვრელის ფუნქცია აკისრია და იმაზე მიუთითებს, რომ ხალიბების მიწა-

წყალი არმენიის, ამ შემთხვევაში მცირე არმენიის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული (ყაუხჩიშვილი 1976: 161); შდრ. (მელიქიშვილი 1959: 85); (მიქელაძე 1974: 121, 137).<sup>12</sup>

ჭოროხის ზემო წელის ხეობის (სპერის პროვინციის) გადასვლა დიდი არმენიიდან მცირე არმენიის შემადგენლობაში სავსებით რეალურ-ისტორიული ფაქტია. ტერიტორიების ჩამოჭრა-ჩუქება რომის იმპერიის ჩვეული პოლიტიკა იყო. ცნობილია, რომ ახ. წ. 38 წელს რომაელებმა მცირე არმენიაში მეფობა აღადგინეს და მის მეფეს სამფლობელოებიც გაუზარდეს (კერი 1955: 295, Dio LIX.12.2); (ანტიკური კავკასია 2022: 424). პარტიის სამეფოსთან დაპირისპირებულ რომს ძლიერი – იმდენად, რამდენადაც ეს იმპერიის ინტერესებში შედიოდა – ბუფერული სახელმწიფო ესაჭიროებოდა ევფრატისპირა საზღვრების დასაცავად და დიდ არმენიაზე კონტროლის შესანარჩუნებლად. მცირე არმენიის როლი კარგად გამოჩნდა საუკუნის შუახანებში, როდესაც პარტიასთან საომარი სამზადისის წინ ნერონმა იქ თავისი სანდო პირი, არისტობულუსი დანიშნა მეფედ (გამყრელიძე 1973: 78-81, Tac. Ann. XIII.6-7), ხოლო საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ დიდი არმენიის გარკვეული პროვინციები არისტობულუსსაც გადაეცა სამმართავად (გამყრელიძე 1973: 96, 99, Tac. Ann. XIV.26). ამ მიწებს შორის, ცხადია, შეიძლებოდა ყოფილიყო მცირე არმენიის მოსაზღვრე სპერიც, რომლის კონტროლიც რომაელებისთვის დიდ არმენიაზე ზემოქმედების კიდევ ერთი ბერკეტი იქნებოდა.<sup>13</sup>

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჭოროხის აუზი მოსხთა ქვეყნის ნაწილი იყო. Gens Armenochalybes ანუ ჭოროხის ზემო წელი, რომელიც „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ Moschorum tractus-ის თანაბარმნიშვნელოვან ტერმინად გამოიყენება, ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან გამოირიცხება. გამოდის, რომ პლინიუსის მოსხთა ქვეყანა ჭოროხის შუა და ქვემო დინების აუზებს მოიცავდა, ანუ იბერიის საზღვრებში შედიოდა. პლინიუსის ცნობებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მოსხთა ქვეყანა მტკვრის აუზსაც მოიცავდა: ის რიონის, უკეთ, დღევანდელი მეცხეთის ქედის სამხრეთით იწყებოდა და აღწევდა მდინარე ჰიბერუსამდე, რომელიც მტკვარს უერთდებოდა. ჰიბერუსის ზუსტი ლოკალიზაცია, მართალია, უცნობია (მუსხელიშვილი 1977: 75); (პოდოსინოვი, სკრჟინსკაია 2011: 338, შენ. 638), მაგრამ ის მაინც აშკარაა, რომ მტკვრის ზემო წელის აუზი მოსხთა ქვეყანაში, ანუ იბერიის სამეფოში შედიოდა.

შემდეგ, პლინიუსით დიდი არმენიის განი ადიაბენედან მდინარე არაქსზე გადავლით მტკვრამდე აღწევდა, ხოლო სიგრძე – მცირე არმენიამდე; დიდსა და მცირე არმენიას აბსარუსი საზღვრავდა (რეკჰემი 1961: 354-357, VI. IX. 25). აშკარაა, რომ რომაელი ავტორი დიდი არმენიის ტერიტორიულ განფენილობას უკიდურესი განაპირა მხარეებით აღნიშნავს. Ad Cyrum, ისევე როგორც ad Minorem Armeniam და ადიაბენე, დიდი არმენიის საზღვრებს მიღმა მხარეს გულისხმობს; აბსარუსის ხსენება კი მტკვრისა და არაქსის დასახელებული მონაკვეთების ჭოროხის აუზთან სიახლოვეზე შეიძლება მიანიშნებდეს. მართლაც, „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ მომდევო პარაგრაფში მტკვრისა და არაქსის სათავეებზეა საუბარი: მტკვარი ჰენიოხურ ანუ კორაქსულ მთებში იღებს სათავეს, ხოლო არაქსი – იმავე მთებში, საიდანაც ევფრატი მოედინება (რეკჰემი 1961: 356-357, VI. X. 26); (ანტიკური კავკასია 2022: 586). კორაქსული მთები კოლას მთებია (ჭავჭავიძე 1998: 245), მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედის დასავლეთი მონაკვეთი და სავარაუდოდ, დიდი არმენიის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი (შდრ. ჯანაშია 1952: 255-256). დაეჭვებას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, რომ მტკვრისა და მასთან ერთად არაქსის სათავეებზეც პლინიუსი არმენიის აღწერისას საუბრობს. არაქსის ზემო წელი კი დიდი არმენიის საზღვრებშია საგულვებელი. ეს გამომდინარეობს საზღვრის კორაქსულ/კოლას მთებზე დადების დაშვებიდანაც და იმ პირდაპირი მითითებიდანაც, რომ არაქსი იმავე მთებიდან მოედინება, საიდანაც – ევფრატი; ეს უკანასკნელი კი, ორგზის ჩვენებით, დიდი არმენიიდან იღებდა სათავეს (რეკჰემი 1961: 284-85, 354-355, V.XX.83, VI.IX.25).

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის პოლიტიკური

რუკა, შუა საუკუნეების ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენებით, ასეთ სახეს მიიღებს: ბასიანი დიდი არმენიის საზღვრებში შედიოდა, სპერი – მცირე არმენიაში, ტაო, კლარჯეთი და შავშეთი – იბერიის; მასვე ეკუთვნოდა არტაან-ერუშეთი და სამცხე-ჯავახეთი. ღიად რჩება კლარჯეთის დასავლეთი ნაწილის – ნიგალი, მურლული – და აჭარის (აჭარისწყლის ხეობის) და კოლას (ეს უკანასკნელი, დიდი ალბათობით, მაინც იბერიის სამეფოში უნდა ყოფილიყო) კუთვნილების საკითხი. I საუკუნის მიწურულს პოლიტიკური ვითარება ჩვენთვის საინტერესო რეგიონში კიდევ ერთხელ შეიცვალა და აღნიშნული „სადავო ტერიტორიები“ – ქოროხის ქვემო წელიც ზღვამდე და მტკვრის სათავეებიც იბერიის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა (ჭეიშვილი 1994: 74-75).

## შენიშვნები

- <sup>1</sup> წინამდებარე წერილი ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილის (თავი II, § 6) გადამუშავებული ვარიანტია (ჭეიშვილი 1994: 68-75). დასკვნები, რიგ შემთხვევებში, შეცვლილია.
- <sup>2</sup> ს. მურავიოვის მტკიცებით პლინიუსტან მოხსენიებული *Moschorum tractus* არის არა მესხეთი, არამედ მცხეთა/მცხეთის ქვეყანა; მისი თვალსაზრისი კი „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ 29-ე და 30-ე პარაგრაფების კრიტიკულ ფილოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ (კარტოგრაფიულ) ანალიზს – მისივე შეფასებაა – ემყარება (იხ. მურავიოვი 1988). წყაროს მურავიოვისეული აღდგენა (ფრაგმენტების ამოგლეჯა-გადასმა, რაც არცერთი ხელნაწერით არ დასტურდება) გაუმართლებელია ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ხოლო რეკონსტრუირებული ტექსტი თანმხლები კომენტარებით ვერც ისტორიულ-გეოგრაფიულ კრიტიკას უძლებს. ზოგიერთი შეუსაბამობის შესახებ წინამდებარე გამოკვლევაშიც არის აღნიშნული.
- <sup>3</sup> საინტერესოა, რომ კასტორიუსის რუკაზე კოლხეთის სამხრეთით ნაჩვენებია *Campi deserti et inhabitabiles propter aquae inopiam* (უდაბური და დაუსახლებელი დაბლობები, უწყლობის გამო) (რათმანი 2018: 88-91, Segm. X.2-3).
- <sup>4</sup> ს. ჯანაშია (ჯანაშია 1952: 256) და გ. მელიქიშვილი (მელიქიშვილი 1959: 65, შენ. 142) ყურადღებას აფხაროსის ციხეზე ამახვილებენ, ს. კაკაბაძე – კარჩხალის ქედზე (კაკაბაძე 1924: 34).
- <sup>5</sup> სტრაბონი ახსენებს ჰეპტაკომეტებს – მთიელ ტომს და დასძენს, რომ „ზოგიერთნი ამ ბარბაროსთაგან იწოდებოდნენ აგრეთვე ბიძერებად“ (ყაუხჩიშვილი 1957: 203-204, XII.3.18). პომპონიუს მელა ასახელებს მაკროკეფალებს, ბეჩირებს, ბუქსერებს, ქალაქებს კერასუნტსა და ტრაპეზუნტს (გამყრელიძე 1965: 28-29, I.19.107-8); პომპონიუს მელას ცნობა, შეიძლება, მომდინარეობდეს ფსევდო-სკილაქსისგან, თუმცა განსხვავებაც აშკარაა. პლინიუსი ბეჩირებსა და ბუქსერებს ტრაპიზონის დასავლეთით გულისხმობს (რეკჰემი 1961: 346-347, VI.IV.11); (ანტიკური კავკასია 2022: 583).
- <sup>6</sup> პლინიუსის ცნობას *in ora ante Trapezunta flumen est Pyxites, ultra vero gens Sannorum Heniochoriun* მკვლევართა ნაწილს ისე ესმის, რომ სანი ჰენიოხები მაინცდამაინც პიქსიტესთან ცხოვრობდნენ (ჯანაშია 1959: 23); (ინაძე 1993: 395, შენ. 14); (პოდოსინოვი, სკრჟინსკაია 2011: 183); სხვა მოსაზრებით, *ultra vero* და, შესაბამისად, სანი ჰენიოხების განსახლების არეალიც ტრაპეზუნტს მიემართება (რეკჰემი 1961: 347).
- <sup>7</sup> პლინიუსი პირველი ავტორია, რომელიც პიქსიტესს ახსენებს. ამ მდინარეს ის ტრაპეზუნტის დასავლეთით უჩვენებს; მაგრამ მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ რეალურად, აქ, ისევე როგორც ფლავიუს არიანეს „მოგზაურობაში“, ვინე-სუ იგულისხმება (ჯანაშია 1959: 23, PPE 7); (პოდოსინოვი, სკრჟინსკაია 2011: 303, შენ. 429). V საუკუნის ანონიმი, რომელიც არიანეს მისდევს,

ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ასახელებს პიქსიტესის კონცხს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც (კეჭალმაძე 1961: 92, Anon., PPE 15). დასაშვებია, რომ ტოპონიმი/ჰიდრონიმი პიქსიტესი შავიზღვისპირეთის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, ტრაპეზუნტის სანახებშიც, იყო გავრცელებული.

- <sup>8</sup> თანამედროვე კვლევებიც ადასტურებს, რომ „ღაზ-ი ისტორიულად აღნიშნავდა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ლაზს, ხოლო ჭან-ი მიემართებოდა უფრო მთისწინა ზოლში ან მთაში მცხოვრებ კოლხებს“ (ჩუხუა და სხვები 2023: 27)
- <sup>9</sup> ანალოგიური ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება დასტურდება IV საუკუნის II ნახევრისთვის, როდესაც ნიგალი, მურღლისხევი და მარადიდი/მერეთი/მირვეთი მაჭახლის ხეობითურთ ეგრისის სამეფოს ფარგლებში შედიოდა (მუსხელიშვილი 1977: 95) და, შესაძლებელია, ძვ. წ. I საუკუნეშიც (ჭეიშვილი 1992: 43-45).
- <sup>10</sup> დასახელებული ქალაქების ლოკალიზაციისთვის იხ. (პიუსონი 2001: 51, რუკა 42); (ატლასი 2008: 26). დამოწმებულ ფრაგმენტში ნახსენები კესარია არ უნდა აგვერიოს მახაკა-კესარიასთან, ცნობილ ადმინისტრაციულ და რელიგიურ ცენტრთან, რომელსაც პლინიუსი, სხვა ავტორების მსგავსად, კაპადოკიაში ათავსებს (რეკჰემი 1961: 342-343, VI.III.8).
- <sup>11</sup> ამავე არეალისთვის შეიძლება მიგვეთვალა ლიკოს-კელკიტჩის სათავეებიც, მაგრამ დასახელებული მდინარის ზემო წელი მთლიანად მცირე არმენიაში შედიოდა.
- <sup>12</sup> გ. მელიქიშვილი არმენოხალიბებს მცირე არმენიაში ათავსებს, მაგრამ არ მიუთითებს მათი განსახლების ტერიტორიას; ხალიბების მცირე არმენიის შემადგენლობაში შესვლას კი ძვ. წ. II საუკუნით ათარილებს (მელიქიშვილი 1959: 302). საქართველოს ისტორიისა და სომხეთის ისტორიის დასახელებულ ატლასებში არმენოხალიბები დიდ არმენიაში არიან ნაჩვენები. ნაკლებსარწმუნოა არმენოხალიბების ლოკალიზაცია იბერიის სამეფოს საზღვრებში (ინგოროყვა 1954: 467 შენ. 1, 488, 516-17).
- <sup>13</sup> შეიძლება გაგვეხსენებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ინსოხი-ჰენიოხების ლაშქრობა დიდ არმენიაში რომაელთა ნაქეზებით 58 წელს (მელიქიშვილი 1959: 367), სავარაუდოდ, ქოროხის ხეობაზე გავლით.

## დამოწმებანი

- ანტიკური კავასია 2022:** ანტიკური კავასია. ენციკლოპედია, ტ. I: წყაროები, გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი,
- ატლასი 2008:** Հայաստանի Ազգային ատլաս. II, «Գեոլոգիայի եւ Քարտեգფրոյսյան Կենտրոն» պուսკ, Երևան.
- ბანბერი 1879:** E.H. Bunbury. *A History of Ancient Geography*, Vol. II, , John Murray, London.
- ბრაიერი, ვინფილდი 1985:** A. Bryer, D. Winfield. *The Byzantine Monuments and Topography of the Pontos*, Dumbarton Oaks Research Library and Collection, , D.C., Washington.
- გამყრელიძე 1965:** ა. გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. I, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- გამყრელიძე 1973:** ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ა. გამყრელიძემ, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- თუმანოვი 1963:** C. Toumanoff. *Studies in Christian Caucasian History*, Georgetown University Press, D.C., Washington.
- ინაძე 1993:** მ. ინაძე. ტერმინი „ჭანები“, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული გეოგრაფიკა, რედაქტორი გიორგი ჰაიჭაძე, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

- ინგოროყვა 1954:** პ. ინგოროყვა. *გიოგრაფიული მუხრედე*, გამომცემლობა საბჭოთა მწერალი, თბილისი.
- კაკაბაძე 1924:** ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, *საისტორიო მოამბე*, ტ. I, ტფილისი.
- კერი 1955:** *Dio's Roman History*. With an English Translation by E. Cary, Vol. VII, London, William Heinemann LTD, Cambridge, MA, Harvard University Press.
- კეჭალაძე 1961:** ფლავიუს არიანე. *მოგზაურობა შავი ზღვის გახშემო*, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალაძისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ლექსიკონი 1968:** *Oxford Latin Dictionary*, Clarendon Press, Oxford.
- ლომოური 1963:** ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფიების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- მარკვარტი 1930:** J. Markwart. *Südarmenien und die Tigrisquellen nach griechischen und arabischen Geographen*, Mechitharisten-Buchdruckerei, Wien
- მაქსიმოვა 1956:** М. Максимовая. *Античные города Юго-Восточного Причерноморья*, Издательство АН СССР, Москва-Ленинград.
- მელიქიშვილი 1959:** Г. Меликишвили. *К истории древней Грузии*, Издательство АН Грузинской ССР, Тбилиси.
- მიქელაძე 1967:** თ.მიქელაძე. *ქსენოფონის „ანაბასისი“*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი,
- მიქელაძე 1974:** თ.მიქელაძე. *ძიებანი კოდხეთისა და სამხეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან*, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- მურავიოვი 1988:** С. Муравьев. Заметки по исторической географии Закавказья. Плиний о населении Кавказа, *ВДИ*, 1.
- მუსხელიშვილი 1977:** დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითდი საკითხები*, I, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.
- მუსხელიშვილი 2016:** *საქართველოს ისტორიის ატლასი*. მთავარი რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.
- პოდოსინოვი, სკრუინსკაია 2011:** А. Подосинов, М. Скржинская. *Римские географические источники. Помпоний Мела, Плиний Старший*, Индрик, Москва.
- რათმანი 2018:** *Tabula Peutingeriana*, Die einzige Weltkarte aus der Antike, Eingeleitet und kommentiert von M. Rathmann, Darmstadt, WBG Philipp von Zabern.
- რეკვემი 1961:** Pliny. *Natural History*, With an English Translation by H. Rackham, Vol. II, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann LTD.
- რეკვემი 1967:** Pliny. *Natural History*, With an English Translation by H. Rackham, Vol. I, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann LTD.
- ტომსონი 1965:** J. O. Thomson. *History of Ancient Geography*, Biblo and Tannen, New York.
- ყაუხჩიშვილი 1957:** თ. ყაუხჩიშვილი. *სტრატონის გეოგრაფია*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1976:** თ. ყაუხჩიშვილი. *საქართველოს ისტორიის ძველი ბეჭდური წყაროები*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- ჩუხუა და სხვები 2023:** მ. ჩუხუა, ნ. ანთელავა, მ. მაგომედახანოვი. *კავკასიის ხაღებები, კუდგუხები, ენები*, გამომცემლობა ფავორიტი, თბილისი.
- ჭეიშვილი 1986:** გ. ჭეიშვილი. პარიადრეს ადგილმდებარეობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სეხია, № 1, თბილისი.
- ჭეიშვილი 1992:** გ. ჭეიშვილი. ლევკოთეას სამლოცველოს ადგილმდებარეობის საკითხისათვის, *თსუ შრომები*, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა,

ეთნოგრაფია, № 310, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ჭეიშვილი 1994:** გ. ჭეიშვილი. *სამხეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთის) ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ანტიკურ ხანაში*, დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი (ხელნაწერი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში).

**ხაზარაძე 1984:** ნ. ხაზარაძე. *საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პირობებები*, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**ხაჩიკიანი 1950:** Ժ. Դարի ხայերեն ձեռագրերի հիշատակարաններ, կազմեց Լ. Խաչիկյան, Երևան, Հայկական ՍՍՌ Գիտությունների Ակադემիայի հրատարակչություն.

**ჯავახიშვილი 1919:** ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვადსაზიხისით განხილული*, სახელმწიფო სტამბა, ტფილისი.

**ჯავახიშვილი 1998:** ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თოხმეგ გომად*, ტ. XI, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

**ჯანაშია 1952:** ს. ჯანაშია. *შიომები*, II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**ჯანაშია 1959:** ს. ჯანაშია. *შიომები*, III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

**პაკობიანი 1956:** Մանր ժամանակագրություններ XIII-XVIII դդ., Հ. II, կազմեց Վ. Ա. Հակոբյան, Երևան, Հայկական ՍՍՌ Գիտությունների Ակադემիայի հրատարակչություն.

**ჰიუსონი 2001:** R. H. Hewsen. *Armenia: A Historical Atlas*, The University of Chicago Press, Chicago and London.

## THE POLITICAL GEOGRAPHY OF MESKHETI (THE MOSCHIAN COUNTRY) IN THE 1<sup>ST</sup> CENTURY A.D.

**Giorgi Tcheishvili**

Ivane Javakhishvili Institut  
of History and Ethnology  
giorgi.cheishvili@tsu.ge

The paper examines a section of the Ibero-Armenian marchlands. At the end of the 1<sup>st</sup> century B.C. the Moschian country, which comprised the basins of the Chorokhi and the Upper Mtkvari (Kura), was divided into three parts: one part (the provinces of Artaani, Javakheti and Samtskhe in the Upper Mtkvari basin) was held by the Iberians, another (Klarjeti, Shavsheti and Achara in the Lower Chorokhi basin) by the Colchians, and another (Speri and Tao in the Upper and Middle Chorokhi basin and Kola in the Upper Mtkvari valley) by the Armenians. Political map of the South Caucasus changed in the 1<sup>st</sup> century A.D. when Greater Armenia lost its frontier territories to the kingdoms of Iberia, Lesser Armenia and Pontus Polemoniacus. The bulk of information on the political geography of the area is derived from Pliny's *Natural History*. Analysis of Pliny's accounts demonstrates that: (1) The north-wester border of Greater Armenia lay along the Parihedri Mountains, i. e. the Chorokhi-Euphrates watershed, and the Heniochi/Coraxici, or Kola Mountains, i.e. the westernmost section of the Mtkvari-Araxes watershed. Hence, the basins of the Chorokhi and the Upper Mtlvari were situated outside the boundaries of the kingdom of Greater Armenia; (2) The Romans gave the land of

the Armenochalybes located in the Upper Chorokhi valley (= the province of Speri of the mediaeval writers) to Aristobulus, king of Lesser Armenia; (3) The kingdom of Iberia extended its southwestern borders as far as the Pontic Mountains, approximately from modern Pazar to Gonio, and the sources of the Mtkvari. Thus, the lands in the Middle and Lower Chorokhi (Tao, Klarjeti, and Shavsheti) and the Upper Mtkvari (Kola, Artaani, Javakheti and Samtskhe) were in Iberia by the mid-first century. These lands are described as the *Moschorum tractus* by Pliny. Only the coastal section of the Chorokhi, from Artvin to the mouth (i. e. western part of Klarjeti and Achara), might be under the control of the Lazi. Pliny's description of the South Caucasus is based on the reports from the Armenian campaigns of Domitius Corbulo and other Roman generals, and, therefore, is a valuable source for the historical geography of the region of his time.

**ისტორიოგრაფია**

**HISTORIOGRAPHY**





## წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლის ისტორიიდან

**ქეთევან მანია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
ketevan.mania@gmail.com

გრიგოლ ფერაძის ღვაწლი დიდხანს უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის. „სა-ქართველო ვალშია გრიგოლ ფერაძის წინაშე“ – წერს 2003 წელს ჟურნალი „არტანუჯი“. მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველო განთავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისგან, გახდა მისი შემოქმედების ცალკეული მონაკვეთები ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის.

როგორც წმ. გრიგოლ ფერაძის თხზულებათა კრებულის პირველ წიგნს წამძღვარებული ვარშავის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის, ჰენრიკ პაპროცკის წინასიტყვაობიდან ვიტყობთ, 2002 წლის 6 დეკემბერს დ. ყოლბაიას მიერ ორგანიზებულ წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე ვარშავის უნივერსიტეტში, გამოითქვა მოსაზრება წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების კრებულის გამოცემის თაობაზე. ამ დღიდან მოყოლებული, ერთი მხრივ, წმ. გრიგოლ ფერაძის ხსენების დღეს ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დ. ყოლბაიას ხელმძღვანელობით, მეორე მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლას. წმინდანის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს მკვლევრებმა: დ. ყოლბაიამ, თ. ჭუმბურიძემ, ა. გრიშაიკაშვილმა, გ. ჯაფარიძემ, ნ. პაპუაშვილმა; პოლონელმა ისტორიკოსმა და სასულიერო პირმა – ჰ. პაპროცკიმ; ასევე, გერმანელმა მკვლევრებმა: ს. ხოტივარი-უნგერმა, ო. რაისნერმა, მ. ლენჩევსკიმ, ჰ. კაუფჰოლდმა, ლ. ფიშერმა და სხვებმა.

მათ შორის, ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია მ. ლენჩევსკის წერილის თარგმანი ქვეყნდება 1983 წელს ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში, რომელიც გვაცნობს წმ. გრიგოლ ფერაძის, როგორც სამეცნიერო, ისე სასულიერო მოღვაწეობის შესახებ. მ. ლენჩევსკი წმ. გრიგოლის სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ხაზს უსვამს მის სასულიერო დამსახურებას:

მისი ბედი, რომ სხვანაირად აწყობილიყო, არქიმანდრიტი გ. ფერაძე ალბათ ეკლესიის იერარქიაში დაიკავებდა პატივსაცემ ადგილს, ისეთს, რომელზედაც ოცნებობდა მიტროპოლიტი დიონისე, მაგრამ უფალმა ასე არ ინება. მისი განგებით, ეპისკოპოსის მიტრის მაგიერ მამა გ. ფერაძემ წამებული გვირგვინი მიიღო (ვარაზიშვილი 1983: 39-61).

წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლაში ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მამა ჰ. პაპროცკიმ. მისი ნაშრომები პოლონურიდან თარგმნა და ქართველ სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა ა. გრიშაიკაშვილმა (გრიშაიკაშვილი 2009); (გრიშაიკაშვილი 2017ა: 60-63); (გრიშაიკაშვილი 2017ბ: 26-36).

წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობა გაშუქებულია გ. შარაძის ნაშრომში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (შარაძე 1993: 377-395).

წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოდვანეობის ასახვას მიეძღვნა ჟურნალ „არტანუჯის“ 2003 წლის მე-11 ნომერი (არტანუჯი 2003). ნომერში წარმოდგენილია წმ. მღვდელმონაშის ცხოვრება-მოდვანეობის შესწავლის მდგომარეობა (საითიძე 2003ა: 7-26), გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობები და მოგონებები (გრიშაიკაშვილი 2003: 27-32, 37-

58), სამეცნიერო-პუბლიცისტური ნარკვევები. აქვე გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები“. აღნიშნული ნაშრომის განხილვა და ამ მიმართულებით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მდგომარეობა წარმოდგენილია მ. ჩხარტიშვილის კვლევაში (ჩხარტიშვილი 2003: 79-87). აგრეთვე, მოთავსებულია თ. ქუმბურიძის პუბლიკაცია „მასალები გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ“, გერმანელი თეოლოგის იოჰანეს ლეფსიუსის არქივში აღმოჩენილ დოკუმენტებში გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის გერმანული პერიოდის შესახებ დაცული საინტერესო ცნობების საფუძველზე (ქუმბურიძე 2003: 97-111). „არტანუჯის“ სპეციალურ ნომერში შესულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული გრიგოლ ფერაძის მიერ ივანე ჯავახიშვილისადმი უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილების საფუძველზე მათი ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალა გ. საითიძის სტატია (საითიძე 2003ბ: 112-119).

განხორციელდა გრიგოლ ფერაძის ნაშრომის „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრების შესახებ“ პუბლიკაცია შესავალით, შენიშვნებით და ბიბლიოგრაფიით (ჯაფარიძე 1995). გამოქვეყნდა, ასევე, პარიზში გამომავალი ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში დაბეჭდილი მასალები (გოგინაშვილი 2001).

სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა წმ. მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძის დამსახურებას ქართული წერილობითი წყაროების კოდიკოლოგიური კვლევის საქმეში (ქუმბურიძე 2006). წმ. გრიგოლ ფერაძის ქადაგებანი და წერილები შესულია „მნიგნობრობა ქართულის“ მე-14 და მე-16 ტომებში (ქავთარია 2012); (ქავთარია 2013). საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა გრიგოლ ფერაძის ბერლინის უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდი (ხოტივარი-იუნგერი 2013: 205-220).

ყურადღება მიექცა მისი დამსახურების წარმოჩენას ქართული განძის გადარჩენის საქმეში. თუ როგორ გადაარჩინა წმ. გრიგოლ ფერაძემ მენშევიკების მიერ გატანილი ქართული განძი, ამის შესახებ გვიყვება მისივე ძმისშვილი რომანოზ ფერაძე. რ. ფერაძის გადმოცემით, როდესაც წმ. გრიგოლ ფერაძეს გერმანელმა ოკუპანტებმა გადასატანი ქართული განძის ექსპერტობა, მატერიალური ფასეულობის დადგენა დაავალეს, მან უარყო განძის მატერიალური ღირებულება. წმ. გრიგოლ ფერაძეს განუცხადებია, რომ ნივთებს არავითარი ფასეულობა არ გააჩნდა (ფერაძე 2014). ამგვარად, შეუნარჩუნა გრიგოლ ფერაძემ ქართველებს ქართული საგანძური.

სრულიად გამორჩეულია დ. ყოლბაიას თაოსნობით გამოცემული „შრომების“ კრებული. იგი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ გამოცემას. დ. ყოლბაიას მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, დღეისათვის უკვე მკითხველთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომია წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების ოთხტომეული პირველი, მეორე და მესამე წიგნი (ყოლბაია 2012); (ყოლბაია 2014); (ყოლბაია 2021). პირველი ტომი გამოქვეყნდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობის სამთავისის და გორის მიტროპოლიტის ანდრია (გვაზავას) ლოცვა-კურთხევით. ამ მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომის გამოცემამდე მკვლევარს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა საყურადღებო გამოკვლევა „წმ. გრიგოლ ფერაძე და ბერ-მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ (ყოლბაია 2009: 202-211).

შრომების კრებულს წინ უძღვის წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი წერილი (გამოკვლევა ეკუთვნის დ. ყოლბაიას), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი მონაცემების გარდა, ეფუძნება ვარშავის მიტროპოლიის არქივში დაცულ აქამდე უცნობ დოკუმენტურ მასალას. ნაშრომის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს წმ. გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით მეცნიერის მიერ ლონდონის პოლონეთის ბიბლიოთეკაში გამოვლენილი ახალი მასალების პუბლიკაცია. ეს გარემოება ახალი დეტალებით ავსებს და ამდიდრებს წმ. გრიგოლ ფერაძის მრავალმხრივი საქმიანობის ამსახველ ბიოგრაფიულ მონაცემებს.

კრებული იწყება წმ. გრიგოლ ფერაძის ავტობიოგრაფიული წერილებით; „ბედისწერა“ და „ქართული კულტურის სამსახურში“. პირველი წერილი გადმოგვცემს ფერაძეების გვარის შთამომავლობითი ხვედრის – სულთა მწყემსობის სასწაულებრივ ისტორიას.

მეორე წერილი ჟურნალ „Der Orient“-ში ყოფილა გამოქვეყნებული და შეეხება გერმანიაში სწავლის პერიოდს. წერილი წარმოადგენს საკუთარი საქმიანობის ერთგვარ შეჯამებას და საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მკვლევარი ისტორიოგრაფიის როგორც სამეცნიერო დარგის აუცილებლობაზე აკეთებს საზგასმას. იგი მიიჩნევს, რომ მომავლის გეგმებში საჭიროა განვილი პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინება.

ავტობიოგრაფიულ წერილებს მოსდევს წმ. გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო ნაშრომები. მათ შორის საყურადღებოა მისი პირველი ნაშრომი – „ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში“, რომელშიც გაანალიზებულია ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე. წმ. გრიგოლ ფერაძის ბერმონაზვნობის ისტორიით დაინტერესება, როგორც მისივე ბიოგრაფიული წერილებიდან ჩანს, განპირობებული ყოფილა ბერობის განსაკუთრებული როლით და მისიით საქართველოში. ეს მისია იყო ქრისტიანობის განმტკიცება-გაძლიერება. კრებულში შესულია წმ. გრიგოლ ფერაძის სხვა კვლევებიც, რომელთა შორის განსხვავებული მიდგომა (ისტორიულ-რელიგიურ ძრილში განხილვა) შეინიშნება წმინდა გიორგის როლის განსაზღვრაში ქართველი ერის ცხოვრებასა და სარწმუნოებაში. გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანობის გავრცელების შედეგად წარმართული პანთეონის ქრისტიანული მოდიფიცირების საკითხზე. ამ თვალსაზრისით განხილულია წმინდა გიორგის როლი ქართველთა ცხოვრებაში. მკვლევარი ვარაუდს გამოთქვამს, რომ მთვარის წარმართული ღვთაების წმინდა გიორგის სახეში ქრისტიანული მოდიფიცირების ი. ჯავახიშვილისეული თვალსაზრისი მყარ არგუმენტებს მოკლებულია. შემდეგი საკითხი, რომელიც მკვლევრის ყურადღების ცენტრში ექცევა არის უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. აქვე, ქვეყნდება ოქსფორდის ბოდლეანის წიგნთსაცავში აღმოჩენილი XVIII საუკუნის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქრონიკის შესახებ ნაშრომი; როგორც ჩანს, ხელნაწერმა წმ. გრიგოლ ფერაძის ყურადღება მასში გადმოცემული ბერმონაზვნობის ისტორიით მიიქცია. ხელნაწერი შეიცავდა ცნობებს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის გარდა, დავით გარეჯის მონასტრის ცხოვრებიდანაც, მაგრამ რადგან ხელნაწერის ავტორი ნათლისმცემლის მონასტრის წევრი ყოფილა, ამიტომაც უნოდებს იოანე ნათლისმცემლის ქრონიკას. ასევე შესულია გამოკვლევა საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემების (საქართველოს მოქცევა) შესახებ, სადაც განხილულია ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა საქართველოს განმანათლებლის და პირველი ქრისტიანი მეფის საკითხი, ქართლის მოქცევის თარიღი, თხზულების (წმ. ნინოს ცხოვრების) წყარო.

გამოცემაში შესული შრომები წმ. გრიგოლ ფერაძეს უმთავრესად სხვადასხვა ენაზე – ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, პოლონურად ჰქონია გამოქვეყნებული. აღნიშნული პუბლიკაციები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ უცხოურიდან ქართულად იქნა თარგმნილი, რომლებიც დ. ყოლბაიამ ერთად მოაქცია, ნაუმძღვარა წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი წერილი, დაურთო მის მიერ ვარშავის მიტროპოლიის არქივში ლონდონის პოლონეთის ბიბლიოთეკაში გამოვლენილი მკვლევართათვის აქამდე უცნობი დოკუმენტები, კომენტარები, პირთა საძიებელი და ასე ერთ მთლიანობად ქვეულმა უძვირფასესმა გამოცემამ საკუთარ სამშობლოში დაიდო სავანე.

დ. ყოლბაიას მიერ 2014 წელს გამოცემულ იქნა წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების კრებულის მეორე, ხოლო 2021 წელს მესამე ტომი (ყოლბაია 2014); (ყოლბაია 2021). მეორე ტომში შესულია ლიტურგიული, პატროლოგიური და ლიტერატურული კვლევები, ასევე დღიურები და ქადაგებები, წერილები და პოეზია. გამოცემა საინტერესო ნაშრომების პუბლიკაციასთან ერთად გამორჩეულია იმითაც, რომ პირველად ქვეყნდება წმ. გრიგოლ ფერაძის პოეტური ნიმუშები. მესამე ტომში შესულია გრიგოლ ფერაძის დღიურები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის ღვაწლს ქართული კულტურის აღმავლობის საქმეში.

წმ. გრიგოლ ფერაძის შრომების დ. ყოლბაიასეული გამოცემა მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის, არამედ

ზოგადად, ქართველოლოგიური საკითხების მკვლევართათვისაც.

წმ. გრიგოლ ფერაძის საიუბილეო თარიღთან (120 წელი) დაკავშირებით საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით 2019 წელს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.<sup>1</sup> შ. რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოქვეყნდა კონფერენციის მასალები, რომელშიც საინტერესო თემატიკით იქნა წარმოდგენილი წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება-მოღვაწეობა. წარმოჩენილ იქნა წმ. გრიგოლ ფერაძის ზოგადსაკაცობრიო ღვაწლი. აღინიშნა, რომ იგი არის ქრისტესმთავარი სიყვარულის ქეშმარიტი მაგალითი, არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიო ახალგაზრდობისათვის (მელიქიშვილი 2020: 7-10). ხაზი გაესვა იმას, რომ გრიგოლ ფერაძის ცხოვრების მაგალითი, მისი მოწამებრივი აღსასრული, მისი აკადემიური შრომები და სამოძღვრო მოწოდებები ქადაგებების სახით, აქტუალობას არ კარგავს,

სწორედ გრიგოლი, ჩვენი თანამედროვე, ხდება მაგალითი და მასწავლებელი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს დღეს ნამდვილმა ქრისტიანმა, თუ რამდენად საჭიროა [და აუცილებელიც კი] ქრისტიანთა ერთობაზე ზრუნვა, მათი ერთად დგომა საერთო მიზნებისა და რწმენის ქვეშ (ჭინჭოლავა 2020: 11-16).

საყურადღებო წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის ქართული ხელნაწერების მოძიების მიზნით წმ. გრიგოლ ფერაძის ევროპაში მოგზაურობის ამსახველი დღიურები, რომლის შესწავლა უკავშირდება ჰ. პაპროცკის სახელს (პაპროცკი 2021: 16-22). წმ. გრიგოლ ფერაძის კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ურთიერთობის ზოგიერთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას ნ. პაპუაშვილი. იგი წარმოაჩენს წმ. გრიგოლ ფერაძის შეხედულებას ბოლშევიკურ-ათეისტური წინების ქვეშ მყოფი მწყემსმთავრის მოღვაწეობაზე (პაპუაშვილი 2020: 28-27). გაანალიზებულ იქნა გრიგოლ ფერაძის შეხედულებები ქართული საერო ლიტერატურის (ჭუმბურიძე 2020: 39-43) და საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ (ბუბულაშვილი 2020: 44-51).

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა. პოლონეთში დაარსდა გრიგოლ ფერაძის სახელობის სამლოცველო და მისი სახელობის ეკლესია. 2002 წლიდან ვარშავის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება წმ. გრიგოლ ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კავკასიოლოგთა კონფერენცია. გრიგოლ ფერაძის სახელი მოთავსებულია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფაზე ვარშავის უნივერსიტეტში. 2010 წელს დაარსდა გრიგოლ ფერაძის სახელობის პრემია. დაარსდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭა გრიგოლ ფერაძის სახელი. რეაბილიტაცია ჩატარდა გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმს მის მშობლიურ სოფელ ბაკურციხეში. შეიქმნა წმ. გრიგოლ ფერაძის ხატი.

ასეთია წმ. გრიგოლ ფერაძის სახელის უკვდავსაყოფად გაშლილი საქმიანობა დღეისათვის. მისი ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა სპეციალისტების მიერ.

## შენიშვნები

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თაოსნობით 2021 წელსაც ჩატარდა „დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი მიძღვნილი წმ. გრიგოლ ფერაძის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით წმ. გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, ქრისტიანული აღმოსავლეთი: აღმოსავლეთი და კავკასია“ გაიმართა 2023 წლის 12-14 სექტემბერს.

## დამონებები

- ბრაკმანი 2020:** H. Brakman. Grigol Peradze and the Rediscovery of the Old Jerusalem Liturgy, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ბუბულაშვილი 2020:** ე. ბუბულაშვილი. წმ. მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- გოგინაშვილი 2001:** „მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნახევრები, ს. გოგინაშვილი (რედ.). სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- გოგინაშვილი 2020:** ე. გოგინაშვილი. „მღვდელი, რომლის მრევლია ევროპა“, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- გრიშკაშვილი 2003:** ა. გრიშკაშვილი. ბედისწერა, ქართული კულტურის სამსახურში (თარგმანი პოლონურიდან), ატანუჯი, №11. თბილისი.
- გრიშკაშვილი 2009:** ჰ. პაპროცკი. წმინდანი და მეცნიერი: უცნობი მასალები აქტიმანდრიგ გრიგოლ ფერაძის შესახებ, წერილები პოლონურიდან თარგმნა, შეადგინა და გამოსცა ამბროსი გრიშკაშვილმა, თბილისი.
- გრიშკაშვილი 2017ა:** ჰ. პაპროცკი, ორი ერის მღვდელმონაქმე: წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილმა, ისტორიანი, ისტორიულ შემეცნებითი ყოველთვიური ჟურნალი, N9 (81) გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი.
- გრიშკაშვილი 2017ბ:** ჰ. პაპროცკი, ორი ერის მღვდელმონაქმე: წმ. გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშკაშვილმა, ისტორიანი, ისტორიულ შემეცნებითი ყოველთვიური ჟურნალი, N10 (82) გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი.
- დიდებულიძე, ჯანჯალია 2020:** მ. დიდებულიძე, მ. ჯანჯალია. თამილა მგალობლიშვილი და წმინდა მიწის ქართველოლოგიური კვლევები, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია, მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ვარაზიშვილი 1983:** მ. ლენჩევსკი, მოძღვარი, პროფესორი, დოქტორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, მთარგმნელი მ. ვარაზიშვილი, ჯვარი ვაზისა, №2.
- მელიქიშვილი 2020:** დ. მელიქიშვილი. წმ. გრიგოლ ფერაძე – მსოფლიო მოქალაქე, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია, მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- პაპროცკი 2020:** Fr. H. Paprock. Diary of St. Grigol Peradze as a Historical Source. საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია, მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- პაპუაშვილი 2005:** ნ. პაპუაშვილი. გრიგოლ ფერაძე სახწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, თბილისი.
- პაპუაშვილი 2020:** ნ. პაპუაშვილი. მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძე აღმსარებელ ამბროსი ხელაიას შესახებ, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საეკლესიო კონფერენცია. მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- საითიძე 2003ა:** გ. საითიძე. წმ. მღვდელმონაქმე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), ატანუჯი, №11, თბილისი.
- საითიძე 2033ბ:** გ. საითიძე. რამდენიმე საბუთი გრიგოლ ფერაძის და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის ისტორიიდან, ატანუჯი, №11, თბილისი.
- ფერაძე 2005:** ი. ფერაძე. გრიგოლ ფერაძე წმიდა მღვდელმონაქმე, მოქალაქე, მეცნიერი. თბილისი.
- ფერაძე 2020:** ი. ფერაძე. წმინდა მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძე: ცხოვრება და კვალი ნათელი, თბილისი.
- ფერაძე 2014:** რ. ფერაძე. თეთი ანგელოზის ძიებაში. გამომცემლობა ემ-პი-ჯი, თბილისი.
- ქავთარია 2012:** მწიგნობრობა ქართული, ტ., 14, გრიგოლ ფერაძე წმინდა მღვდელმონაქმე; მიქელ თარხნიშვილი, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია, გამომცემლობა „ციცინათელა“, თბილისი.

- ქავთარია 2013:** მწიგნობრობა ქახთუდი, ტ., 16, სასულიერო მწერლობა: ქადაგებები, სიტყვები, წერილები, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მ. ქავთარია, გამომცემლობა „ციცინათელა“, თბილისი.
- ყოლბაია 2009:** D. Kolbaia. St. Grigol Peradze and the Beginnings of Monasticism in Georgia, *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies*, №19, Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies, University of Warsaw, Warsaw.
- ყოლბაია 2012:** წმ. გრიგოლ ფეხადე, თხზულებათა კრებული, წიგნი I, ბეჰმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, ქახთუდი ეკლესიის უძველესი ისტორია, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავის უნივერსიტეტი, ვარშავა.
- ყოლბაია 2014:** წმ. გრიგოლ ფეხადე, თხზულებათა კრებული, წიგნი II, წინაჲე ბიზანტიუხი ქახთუდი დიგუხგიკის შესახებ, პაგხორგია, პოეზია ქადაგებანი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავის უნივერსიტეტი, ვარშავა.
- შარაძე 1993:** გ. შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ, ტ., 2, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
- ჩხარტიშვილი 2003:** მ. ჩხარტიშვილი. საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია XXI საუკუნის გადასახედიდან, ახგანუჯი, №11, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2003:** თ. ჭუმბურიძე. მასალები გრიგოლ ფერადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ახგანუჯი, №11, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2003:** თ. ჭუმბურიძე. საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორია (თარგმანი პოლონურიდან), ახგანუჯი, №11, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2006:** თ. ჭუმბურიძე. ქახთუდი ხედნაწეხების შესწავლა უცხოეთში – გრიგოლ ფეხადის აქემოგრაფიული ძიებანი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2006:** თ. ჭუმბურიძე. ბეჰმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2020:** თ. ჭუმბურიძე. გრიგოლ ფერადე ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფეხადის I საეხთაშოხისო კონფეხენცია, მასალები, „უნივერსალი“, თბილისი.
- ხახიაშვილი 2020:** ნ. ხახიაშვილი. მოქალაქე, მოქალაქეობა ტერმინებისათვის (წმ. გრიგოლ ფერადის „შინაარსი ჭუმმარით მოქალაქეობის...“ მიხედვით), საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფეხადის I საეხთაშოხისო კონფეხენცია, მასალები, „უნივერსალი“, თბილისი.
- ხოტივარი-იუნგერი 2012:** შ. ხოტივარი-იუნგერი. ქართველი მეცნიერი გრიგოლ ფერადე – ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი, ქახთველოლოგი / *The Kartvelologist: Journal of Georgian studies*, №18, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრი.
- ჯაფარიძე 1995:** გრიგოლ ფეხადე, უცხოედ პიდიგჰიმთა ცნობები პადესტინის ქახთვედი ბეხების და ქახთუდი მონასტეხების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გორა ჯაფარიძემ, გამომცემლობა „კანდელი“, თბილისი.
- ჯინჯოლავა 2020:** ი. ჯინჯოლავა. მღვდელმონაჲე გრიგოლ ფერადე – მოქალაქეობა და ერთობა, საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია, წმიდა გრიგოლ ფეხადის I საეხთაშოხისო კონფეხენცია, მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

## THE LIFE AND LEGACY OF GRIGOL PERADZE

**Ketevan Mania**

Ivane Javakhishvili Institute  
History and Ethnology  
ketevan.mania@gmail.com

The life and work of St. Grigol Peradze is outstanding, it was unknown to the Georgian society for a long time. Only at the end of the 20th century, fragments of his work became known to the Georgian society. Some of his works, articles describing his life and work, preaching, letters were published. The period of Grigol Peradze's teaching and working in Germany, the significance of his works from the codicological point of view was studied.

As a result of many years of work, three volumes depicting the life and work of St. Grigol Peradze, prepared by Professor Davit Kolbaia, were published by the University of Warsaw. The publication, besides being a systematized publication, is also important in that it includes new materials discovered in various repositories about the life and work of St. Grigol Peradze.

In 1995, the Georgian Orthodox Church canonized Grigol Peradze as a saint. A chapel and a church named after Grigol Peradze were founded in Poland. Since 2002, the conference of Caucasologists dedicated to the memory of St. Grigol Peradze has been held annually at the University of Warsaw. The name of Grigol Peradze is placed on the memorial plaque of those who died in the Second World War at the University of Warsaw. In 2010, the award named after Grigol Peradze was established. Grigol Peradze University was established in Tbilisi. Grigol Peradze's house museum in his native village of Bakurtsikhe was rehabilitated. The icon of St. Grigol Peradze was created. One of the streets of Tbilisi was named after Grigol Peradze.

In 2019, at the initiative of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Tbilisi State University, an international conference dedicated to the anniversary of St. Grigol Peradze (120 years) was held in Georgia. With the support of the Shota Rustaveli National Science Foundation, the materials of the conference were published, in which the life and work of St. Grigol Peradze were presented with an interesting theme.



## ციხე-საპყრობილები იმპერიულ რუსეთში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)

**ნიკოლოზ სარაჯიშვილი**

უახლესი ისტორიის ცენტრი  
nikasarajishvili99@gmail.com

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმები რუსეთის იმპერიაში მრავალ სფეროს შეეხო, მათ შორის, სასამართლოსაც. სასამართლო რეფორმა ციხე-საპყრობილებთან დაკავშირებულ საკითხებსაც მოიცავდა. მართალია, ციხის რეფორმას იმ „დიდი რეფორმების“ რიგებში (ბატონყმობის გაუქმება, ფინანსური და განათლების რეფორმები და ა. შ.) არ იხსენიებენ, რომელიც ალექსანდრე II-ის სახელს უკავშირდება, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მისი გაშუქებაც. რეფორმის განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალია პატიმრობის ადგილების მოწყობის საკითხის სასწრაფო მოკვლევა და შემდეგ, გადაწყვეტა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც დამოუკიდებელი, წარჩინებული საზოგადო მოღვაწეები, ისე სახელმწიფო უწყებების (იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები). თუმცა, სხვა რეფორმებისა არ იყოს, ეს საკითხიც გაიწვია და მის გარშემო პრაქტიკული საქმიანობა მხოლოდ 1879 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ წელს დაარსდა „ციხეების მთავარი სამმართველო“ (Главное тюремное управление), რომელიც დამოუკიდებელი არსებობის შემდეგ, 1895 წელს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა (ვარენცოვი 2018: 36). XX საუკუნის დასაწყისისთვის უწყების იურისდიქციაში უკვე 895 ციხე შედიოდა (პერტლი 2018: 29). თავდაპირველად, ოფიციალური ოპტიმიზტურად არ იყო განწყობილი რეფორმის მიმდინარეობისადმი. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ის აუცილებელი ხარჯები, რაც უნდა გაეღო სახელმწიფოს რეფორმის სრულყოფილად გასატარებლად (პოპოვა 2016: 95).

წინამდებარე სტატიაში, ქართულ სინამდვილეში პირველად, ვეცდებით მკითხველს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული ციხე-საპყრობილებების ცხოვრების შედარებით ყოვლისმომცველი სურათი წარმოვუჩინოთ. გამოვკვეთთ მიზნები, რომელიც ოფიციალურად ციხეებს ეკისრებოდათ და კრიტიკულად გავაანალიზოთ ის. სტატიის სამეცნიერო ბაზა, ძირითადად, უცხოენოვანია (უმთავრესად, რუსული) და მოიცავს როგორც თანამედროვე, ისე თანადროული პერიოდის სხვადასხვა სახის წყაროს – ნარკვევებს, მოგზაურების ჩანაწერებსა და მოგონებებს, პრესის მასალებს.

არსებობს, ცხადია, ოფიციალური სახის დოკუმენტებიც, თუმცა მათ მიმართ დამოკიდებულება ცალსახა არ უნდა იყოს. მართებულად აღნიშნავს რუსული ციხეების მკვლევარი მიხაილ ნ. გერნეტი, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილები საერთოდ არ იყო ისეთი, რომ სიმართლე გამოქვეყნებულიყო ყველასთვის ხელმისაწვდომად და რომ ციხის საქმის ბნელი მხარეების დამალვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო (გერნეტი 1961: 354).

რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯის რამდენიმე სახე გამოიყოფოდა. სასიკვდილო განაჩენის შემდეგ უმაღლესი სასჯელი იყო კატორღის მისჯა, უმცირესი კი 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ნებისმიერი სახის მსჯავრდებულები კი უმეტესად ერთსა და იმავე შენობაში იყრიდნენ თავს, ვინაიდან წინასწარი დაკავების სახლები, სანქტ-პეტერბურგის გარდა, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, არ არსებობდა.

საკითხში უკეთ გასარკვევად, მოკლედ მიმოვიხილავთ ციხეებში რეფორმის ახლო პერიოდში არსებულ სიტუაციას. ის, რომ 70-იანი წლებისთვის, ესე იგი რეფორმის

განხორციელების თარიღისათვის და ციხეების მთავარი სამმართველოს შექმნის დროს, ციხეების მდგომარეობა კატასტროფული იყო, ამას თავად ოფიციალურად აღიარებდა. აღნიშნულია, რომ არ არსებობდა ციხისთვის სპეციალური შენობებიც კი. თუ რამე იყო, ისიც საშინელ მდგომარეობაში. საკნები იყო ნესტიანი, განიცდიდა სინათლისა და ჰაერის ნაკლებობას. არ არსებობდა სააბაზანოები, სამზარეულოები, სამრეცხაოები და სხვა (გერნეტი 1961: 354). 1872 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრ ტიმაშევი გუბერნატორებს მიუთითებდა, რომ ციხეებში სიტუაციის გამოსწორება არ ჩანს, რომ გრძელდება უნესრიგობა და ბოროტმოქმედებანი ციხეების ადმინისტრაციის მხრიდან (სტონევიჩი 1906: 36).

ამ ყველაფერს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პატიმრების რაოდენობა ყოველთვის დაშვებულ ნორმაზე მეტი იყო. ასე მაგალითად, 1881 წლის ბოლოსთვის 76 090 პატიმრის ადგილზე მოდიოდა 94 796 დაკავებული (გერნეტი 1961: 355). „კამერები გადავსებულია, სადაც 15-20 კაცი ეტეოდა, 40-50-ს სვამდნენ. ზოგჯერ დაავადებები ისე ვრცელდებოდა, რომ დღეში ათობით გარდაცვლილი გაჰყავდათ ციხიდან“ – ვკითხულობთ ერთ-ერთი პატიმრის წერილში, რომელიც 1910-იანი წლებით თარიღდება (შებალკოვი 2014: 115). ყოველივეს ემატებოდა აუტანელი პირობები. რთულია არაა დავასკვნათ, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგამდე. ვფიქრობთ, ციხეების ამგვარი მდგომარეობა გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან XX საუკუნის დასაწყისისთვის რუსეთის იმპერიის ციხეების მეექვსედი 1825 წლამდე იყო აგებული (გერნეტი 1961: 379).

როგორც რუსულ ციხეებზე არაერთი ნარკვევის ავტორი, ჯორჯ კენანი წერდა: „თუ როგორ საშინლად აუტანლადაა მოწყობილი რუსული ციხეები, მხოლოდ მას შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს, ვინც თავად იყო იქ“ (სტონევიჩი 1906: 35).

აი, მოკლედ, თუ რის წინააღმდეგ ბრძოლა მოუწია და დაისახა ციხეების მთავარმა სამმართველომ, რაც, უნდა ითქვას, უმეტეს შემთხვევაში, ვერ შეძლო. მართალია, იყო რიგი მცდელობები, თუმცა თავად ამ უწყების თანამშრომლებიც კი არ მალავდნენ გაკვირვებას ციხეებში არსებული მდგომარეობით. ციხეების მთავარმა სამმართველომ არაერთი ცირკულარი გამოსცა საპატიმროების პირობებთან (როგორც ჰიგიენური, ისე სხვა სახის) დაკავშირებით (პერტლი 2018: 31), მაგრამ სიტუაცია არსებითად არ იცვლებოდა. უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად სამმართველოს შესაბამისი სახსრები არ გააჩნდა. მაგალითად, 1875 წელს ციხეებისთვის საჭირო 500 313 მანეთიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 300 000 მანეთით, 1879 წელს მოთხოვნილი 737 000 მანეთის ნაცვლად გაიცა 177 505 მანეთი (გერნეტი 1961: 356).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის იმპერიის ციხე-საპყრობილეებს ორი მთავარი დატვირთვა ჰქონდა: სადამსჯელო და გამოსასწორებელი (შებალკოვი 2014: 111). მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელი ფაქტორის არსებობა კანონითაც კი იყო გათვალისწინებული, რუსულ ციხეებში იშვიათად თუ შევხვდებოდით (და შევხვდებით) მას. მიუხედავად ამისა, დღევანდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ აქტიურად ცდილობენ ამ მომენტის წინ წამოწევიან და ამის შესახებ არაერთი სტატია გამოქვეყნდა.<sup>1</sup> ეს ალბათ რუსეთის იმპერიის პენიტენციური პოლიტიკის დადებითი მომენტების წარმოჩენასა და ტირაჟირებას ემსახურება, თუმცა გარკვეული სიმართლის მარცვალი მასშიც ძევს. ისიც აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ ეტაპზე საბჭოთა ისტორიოგრაფია, პირიქით, რაც შეიძლება მეუფერებში ხატავდა (და ალბათ სამართლიანად) მას.

პატიმრების „გამოსწორებაზე“ ციხის მღვდელს უნდა ეზრუნა, რომელსაც აგრეთვე ევალებოდა წერა-კითხვისა და „ღვთის კანონის“ ელემენტარულ დონეზე სწავლება (შებალკოვი 2014: 112). თუმცა სასულიერო პირი ალბათ ყოველთვის კარგი სტუმარი ვერ იქნებოდა ციხის პატიმრებისთვის. მაგალითად, ათეისტი ხალხოსანისა და ანარქისტისთვის მიუღებელი იქნებოდა მღვდელთან კონტაქტი ზოგადად, არათუ მისგან რჩევების მიღება და დარიგების მოსმენა.

ციხეში წერა-კითხვის სწავლის შესახებ, ჩვენ მიერ 2023 წელს გამოცემულ ხალხოსან ივანე ჯაბადარის მოგონებებში ვხვდებით ინფორმაციას. ავტორი ერთ ეპიზოდში კარგად გადმოგვცემს პატიმრისადმი ციხის უფროსის დამოკიდებულებას.

ერთ-ერთი პატიმარი ციხის უფროსს ეუბნება:

– წიგნის კითხვა რომ მცოდნოდა, საპყრობილეში არ მოვხვდებოდი და თუ მოვხვდებოდი, მალევე გავიდოდი. რამდენი ბატონი ვარდება საპყრობილეში თაღლითობის გამო, ის დაწერს წერილს, შეხედავ და ისევ თავისუფალია. ჩვენი ძმა კი, როგორც არაფრის გამო მოხვდა ციხეში, ისე დაიკარგება.

– წერა-კითხვა უნდა ისწავლოთ. – ამბობს კაპიტანი ლოვიაგინი.

– გვიანია, ადრეც მიცდია, ახლა კი, ორმოცი წლის ასაკში, ვერ ისწავლი.

– აი, მე კი ორ კვირაში კითხვასაც და წერასაც შეგასწავლით. – დამაჯერებლად მეუბნებოდა. – კარგი.

მეორე დღეს ჩემთან კამერაში მოდის კაპიტანი და მოაქვს თამბაქო „გაბაიას“ მეოთხედი. მე ვეუბნები, სტაროვერი<sup>2</sup> ვარ, არ ვწვევი. არცაა საჭირო, აი, აქ წერია: თამბაქო „გაბაია“, აიღეთ და გადაიხატეთ, გადახატულიდან წაიკითხეთ და ისწავლით. მალევე გავიგე მთელი მუსიკა და ახლა კითხვაც ვიცი და წერაც (სარაჯიშვილი 2023: 95).

წერა-კითხვისა და ღვთისმეტყველების სწავლების გარდა, გამოსწორების ერთ-ერთ ნაირსახეობასა და დამხმარე „დისციპლინას“ წარმოადგენდა შრომა. ეს შეეხებოდა როგორც ციხის ტერიტორიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ სამუშაოებს. პატიმრებს ერგებოდათ ჯამაგირიც – შესრულებული სამუშაოს საფასურის 1/10-დან 4/10-მდე (შებალკოვი 2014: 112).<sup>3</sup> პატიმართა სავალდებულო შრომას 1886 წლის იანვრის შესაბამისი კანონი განსაზღვრავდა. მასში ციხეში პატიმართა შრომის სამი ძირითადი პრინციპია წარმოდგენილი: 1. მისი სავალდებულო ხასიათი ციხის პატიმართა უმრავლესობისთვის (იმათ გარდა, ვინც განაჩენის მოლოდინში იყო), 2. მსჯავრდებულთა შრომის ანაზღაურება და 3. ამ კანონის აღსრულებაზე ვალდებული პირი იყო ციხის უფროსი (პოპოვა 2016: 106).

თავდაპირველად სამუშაოები არ იყო რთული, მოიცავდა ქსოვას, კერვასა და სამეურნეო თუ სხვა სახის ინვენტარის დამზადებას. 1902 წლიდან სამუშაოები გართულდა, ხოლო 1914 წლიდან მთლიანად მილიტარისტულ რელსებზე გადავიდა (პერტლი 2018: 32). პატიმრების შრომის გამოყენებას სახელმწიფოს სასარგებლო საქმეებში რუსი ავტორები ჯერ კიდევ პეტრე I-ს უკავშირებენ (ვარენცოვი 2018: 35).

განსახილველ საკითხზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ითქვას ციხე-საპყრობილეების მმართველობის სტრუქტურაზე. ციხის მმართველი იყო ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც, სუსტი საკანონმდებლო აღსრულების პირობებში, ციხის ერთპიროვნულ მმართველად გვევლინება. ციხის უფროსის გავლენა მისდამი დამოკიდებული დაწესებულების ტერიტორიაზე უდიდესი იყო და, ბუნებრივია, ეს იწვევდა უფლებამოსილების გადამეტებას. მართალია, ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითი ივანე ჯაბადარის მოგონებებიდან, თუ როგორ ეპყრობოდა ერთ-ერთი ციხის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პატიმარს (ასწავლა რა მას წერა-კითხვა), თუმცა ეს ერთეული და იშვიათი შემთხვევები იყო. ყურადღებას გავამახვილებთ მეორე, უფრო ხშირ და გავრცელებულ მომენტზე. მაგალითად, 1914 წელს ერთ-ერთი პატიმრის დაწერილ წერილში ხერსონის საკატორლო ციხის უფროსზე ნათქვამია:

უფროსის როლის მორგების შემდეგ, მისი დებიუტი იყო, რომ გამოიძახა კონვოის ჯგუფი ციხის კარიბჭესთან და მათ მოითხოვეს, რომ პატიმრებს სეირნობისას სამხედრო მარშირებით ევლოთ. პატიმრებმა გააპროტესტეს, უარი თქვეს სეირნობაზე, მაგრამ რამდენიმე დღეში დაწებდნენ და დაიწყეს სეირნობა, თუმცაღა წყვილში მარშირების გარეშე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მხოლოდ ყვავილები, და ნაყოფი წინ გველოდა. დაიწყო მთელი რიგი წვრილმანებისა: დღეს წავგართვეს საკუთარი ფეხსაცმელი, ორი დღის შემდეგ თეთრეული, წიგნები [...] (შებალკოვი 2014: 114:-115).

ბუნებრივია, მხოლოდ ციხის უფროსი ვერაფერს გააწყობდა და მას შესაბამისი თანამშრომლები სჭირდებოდა, რომელთა დახმარებითაც განახორციელებდა კონტროლს

მის დაქვემდებარებაში მყოფ ციხეზე. ვინაიდან რეფორმა ციხის ჰუმანიზებას მოითხოვდა, კადრებიც შესაბამისი უნდა ყოფილიყვნენ. 1911 წელს, იუსტიციის მინისტრი წერდა:

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ციხის ნაწილი ვერასოდეს და ვერსად იქნება წესრიგში მოყვანილი, მათ შორის, მატერიალურად მისი საუკეთესოდ მოწყობის შემთხვევაშიც კი, თუ ციხის თანამდებობები არ შეივსება მცოდნე, გამოცდილი და თავის საქმისადმი ერთგული ხალხით. ასეთი ხალხის მოძიება ამდენად მძიმე, საყურადღებო და სახიფათო საქმეზე, როგორც ციხეა, შესაძლებელია მხოლოდ თუ მათ შესაბამისი შრომისთვის შესაბამისი ანაზღაურება ექნებათ (გომონოვი და სხვები 2019: 7).

სწორედ ეს ყველაფერი განაპირობებდა იმას, რომ იმპერიის სხვადასხვა ციხეში, სხვადასხვა სიტუაცია იყო. ამას ჯორჯ კენანიც აღნიშნავს და წერს, რომ ის, რაც ერთ ციხეში დაშვებულია, მეორეში აკრძალულია. ერთ ციხეში პატიმრები საკვებით ძღვებიან, ხოლო მეორეში ნახევრად შიმშილობენ (სტონევიჩი 1906: 6). თავად კენანი ამ ფაქტს რამდენიმე გარემოებით ხსნიდა: პირველი, რომ სისხლის სამართალში შინაგანი ურთიერთწინააღმდეგობები არსებობდა, რის გამოც ის თითქმის არ სრულდებოდა. მეორე, რომ ციხეში წესრიგის პასუხისმგებლობა ნაწილდებოდა რამდენიმე პირსა თუ საზოგადოებაზე, რომლებიც ერთმანეთთან შემხებლობაში არ იყო. მესამე მიზეზად კენანი ასახელებს რუსი ჩინოვნიკების უმეტესობის სწრაფვას, რომ იმოქმედონ არა კანონის, არამედ საკუთარი შეხედულებების მიხედვით. მეოთხე ფაქტორად კენანი განიხილავს მაღალ თუ დაბალ ჩინოვნიკთა განუვითარებლობას, რის მიზეზადაც ამ თანამდებობებზე არსებულ დაბალ ჯამაგირს მიუთითებს და იქვე მოჰყავს შესაბამისი საიდუმლო დოკუმენტის ტექსტი, სადაც ერთ-ერთი გუბერნატორი სწორედ ამ პრობლემაზე საუბრობს (სტონევიჩი 1906: 7). მართალია, ეს დოკუმენტი 1881 წლით თარიღდება, თუმცა ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ 1911 წლით დათარიღებული დოკუმენტიც, ამგვარად, ნათელია, რომ სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა.

ყოველგვარი შეზღუდვების ფონზე, პატიმრები მაინც ახერხებდნენ რიგი თავისუფლებების მოპოვებას. მაგალითად, ერთმანეთთან კომუნიკაციას საინტერესო მეთოდებით. ერთ-ერთი მაგალითია კომუნიკაცია საკანალიზაციო მილების მეშვეობით. ჩვენ მიერ დასახელებულ ივანე ჯაბადარის მოგონებებში ვკითხულობთ, თუ როგორ ჰქონდათ ურთიერთობა ერთმანეთთან პატიმრებს მილების მეშვეობით. იმავეს ვხვდებით 193-ის საქმეზე გასამართლებულ სინეგების მოგონებებში (სარაჯიშვილი 2023: 100) (გერნეტი 1961: 363).

ცალკე საუბრის თემაა პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც იმპერიის ციხეების მოსახლეობის განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენდნენ დაზედამხედველობისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები იყვნენ. მართალია, პოლიტიკური პატიმრები რუსეთში საუკუნის ბოლოსთვის არ წარმოშობილან, თუმცა მათი რაოდენობა განსაკუთრებულად სწორედ XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში გაიზარდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიაში მარქსიზმი ვრცელდება. დაპატიმრებას ექვემდებარებოდნენ როგორც მუშათა მოძრაობის იდეური თუ პრაქტიკოსი ლიდერები, ისე უბრალო მონაწილეები (მუშები, მემანქანეები და სხვა.).

მათთვის ორი სპეციალური ციხე არსებობდა – პეტრე-პავლესა და შლისელბურგის (ორივე სანქტ-პეტერბურგის ოლქში). დამნაშავეთა ეს ტიპი სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან განცალკევებით იყო განთავსებული, არცთუ იშვიადად კი პოლიტიკურ პატიმრებს ერთკაციან კამერებში სვამდნენ. მათ განსაკუთრებულობას თუნდაც ის უსვამს ხაზს, რომ ციხის თანამშრომლები, მათ შორის, ციხის უფროსიც, ხშირად მათ „თქვენობითი“ ფორმით მიმართავდნენ. მათ არ იყენებდნენ ფიზიკურ შრომაში, ეს ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ეშინოდათ პოლიტიკურ პატიმრებს რაიმე გავლენა არ მოეპოვებინათ სხვა, „უბრალო“ პატიმრებზე (შებალკოვი 2014: 117).

მოვიყვანოთ ამონარიდს ჯორჯ კენანის ნარკვევიდან, რომელიც პოლიტიკური პატიმრის ყოფას კარგად აღწერს:

[პეტრე-პავლეს] ციხე-სიმაგრეში ღამით მოყვანილი „პოლიტიკურები“ პირველ რიგში ტიტვლებიან და გულდასმით იჩხრიკებიან, რათა [ციხის ჩინოვნიკები] დარწმუნდნენ, რომ პატიმარს არაფერი აქვს დამალული თმაში, პირში, ყურებსა და ნესტოებში. მას შემდეგ, რაც ზედამხედველი დარწმუნდება, რომ მათ არაფერი აქვთ, აცმევენ პატიმრის სამოსს, რომელიც შედგება უხეში ნაცრისფერი ტილოს პერანგისგან და იმავნაირი შარვლისგან, უხეში თეთრი ხალათისა და შალის წინდებისა და წყვილი ქეჩის ფეხსაცმლისგან. როდესაც პატიმარი ჩაიცვამს, ყველა სცილდება, კეტავენ რა გასაღებით მძიმე კარებს – და პატიმარი რჩება მართო მკრთალად განათებულ კამერაში [...]. ნოტიო, დახუთული ჰაერი, ნესტიანი კედლები, დამამწუხრებელი სამარისებური სიჩუმე და კურანტების დაშორებული ხმები – ყოველივე ეს აიძულებს პატიმარს წამოიყვიროს: „მე ჯერ კიდევ არ მოვმკდარვარ, მაგრამ უკვე ცოცხლად ვარ დამარხული (სტონევიჩი 1906: 59).

თუმცა, პოლიტიკურ პატიმრებს შორისაც უნდა გამოვყოთ ნაწილი, რომლებიც საკატორღო გადასახლებას ექვემდებარებოდნენ. მათ მიმართ მოპყრობა საკმაოდ მკაცრი იყო, არ ერიდებოდნენ ხისა თუ რკინის ხელკეტებით ცემას, აგრეთვე, მორალურ და ფსიქოლოგიურ წნეხსა და ზეწოლას. მათ აკრძალული ჰქონდათ გაზეთებისა და ჟურნალების მიღება, რათა არ ჰქონოდათ არანაირი „პოლიტიკური“ კავშირი გარე-სამყაროსთან და მოწყვეტილი ყოფილიყვნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივ პროცესებს (შებალკოვი 2014: 117-118). ჟურნალ-გაზეთების, პერიოდული პრესის მიღება აკრძალული ჰქონდათ სხვა პატიმრებსაც, თუმცა განსხვავებული სახით. კონკრეტული პერიოდული გამოცემა ციხეში მას შემდეგ შეიძლებოდა მოხვედრილიყო, რაც მისი გამოცემიდან ერთი წელი გავიდოდა. აღნიშნული შეზღუდვა გაუქმდა 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ორ დღეში (პერტლი 2018: 32).

დასასრულ, ცალკე გვსურს შევხვით საქართველოსაც. სამწუხაროდ, ჩვენთვის ამჟამად ხელმიწვდომელია ციხეების მთავარი სამმართველოს დელეგაციის კავკასიაში მოგზაურობის ანგარიში, რომელიც 1885 წლით თარიღდება. ეს მართლაც კარგი წყარო იქნებოდა შესასწავლი საკითხის სრულყოფისთვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, გვაქვს რიგი ცნობებისა, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია მსჯელობის წარმართვა. აქცენტს გავაკეთებთ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდზე, როდესაც, ბუნებრივია, პატიმრების რაოდენობამ იმატა. 1906 წლის პირველი იანვრისთვის მათი რაოდენობა დაახლოებით 15 ათასი კაცით გაიზარდა და 95 452 პატიმარი შეადგინა, ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 125 298 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 1909 წლის 1-ელ იანვარს პატიმრების რაოდენობამ 180 206 ადამიანი შეადგინა (ორფინსკაია 2008: 115). ამ მატებას კი თავისთავად მოყვას, რომ ციხეში სიტუაციის კონტროლი ადმინისტრაციის მხრიდან გართულდა, რასაც, ერთი მხრივ, ისიც განაპირობებდა, რომ საპატიმროში ძირითადად რევოლუციონერებმა მოიყარეს თავი. მაგალითად, 1906 წლის ივნისში გაზეთი „ახალი ცხოვრება“ მეტეხის ციხეში მომხდარი შემთხვევის შესახებ აცნობებდა მკითხველს. გაზეთის თქმით, ციხეში არეულობა გამოუწვევია ციხის ახალი უფროსის შემოღებულ ცვლილებებს ზოგიერთი „უწესობის“ წინააღმდეგ:

[...] ეს უწესობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ პოლიტიკურები დღისით კლიტით არ იყვნენ დაკეტილი და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეეძლოთ, „უგოლოვნებიც“ ხან-და-ხან „ნება დაურთველათ“ გამოდიოდნენ აყროლებულ ოთახებიდან აივანზე და, გარდა ამისა ეზოში სეირნობის დროს პოლიტიკურებთან ახლოს მიდიოდნენ სალაპარაკოთ... (მეტეხის ციხე 1906ა: 3).

მას, ვინც ახალ წესებს არ ემორჩილებოდა, კონდახით სცემდნენ. პროტესტს აგრეთვე იწვევდა საჭმლის ხარისხიც. გაზეთის გადმოცემით, იმავე თვეში პროტესტი გამოუწვევია იმას, რომ ბორში პატიმრებს მატლები უპოვიათ (მეტეხის ციხე 1906ა: 3). აქვე უნდა დავძინოთ, რომ საპატიმროებში კვების ერთიანი სისტემა და წესი პატიმრების

კვებასთან დაკავშირებით არ არსებობდა. ზოგიერთ ციხეში კვების ფული პატიმრებს ხელზე ეძლეოდათ, ზოგიერთში კი ორგანიზებული იყო საჭმლის მოსამზადებელი თავად ციხეში. პატიმრებთან რამდენიმე დღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რომელშიც ჩაერთნენ ვიცე-გუბერნატორი, საოლქო სასამართლოს პროკურორი და პოლიცემისტერი, პატიმრებმა მიაღწიეს რიგ დათმობებს ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, მათ შორის იმას, რომ კარებები დილით ღია იყო და პატიმრებს შეეძლოთ ერთმანეთთან მიმოსვლა და კონტაქტი (მეტეხის ციხე 1906ბ: 2-3); (მეტეხის ციხე 1906გ: 3-4).

მეორე მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა დასავლეთ საქართველოდან. მეტეხის ციხეში განვითარებული მოვლენებიდან სულ მცირე ხანში, ქუთაისის ციხის პატიმრები ივლისის თვეში ითხოვდნენ:

1. ზრდილობიან მოპყრობას ციხის ადმინისტრაციისაგან.
  2. საჭმელის გაუმჯობესებას და განსაზღვრულ ნორმაზე დარიგებას.
  3. მორიგის არჩევის უფლებას სამზარეულოში თვალყურის სადევნელათ.
  4. საჭირო ნივთების საყიდლათ ბაზარში ამორჩეულ პირის გაგზავნას, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია ენდობა (არტელშიკი).
  5. პირობების გაუმჯობესებას ციხის საავადმყოფოში, საჭირო მედიკამენტების შეძენას და ჯეროვან თვალყურის დევნებას ავადმყოფთათვის.
  6. ციხის ეზოდან „პარაშკას“ გატანას და მის დეზინფექციას და გასუფთავებას.
  7. მნახველების მიღებას პირველ მოაჯირიდან და ყოველ დღე.
  8. ცენზურისგან ნებადართულ ყოველგვარ წიგნებით და პერიოდულ გამოცემებით სარგებლობას.
  9. თვეში ოთხჯერ აბანოს.
  10. სამხედრო გაუპტვახტზე გადაყვანილი ჩხიკვიშვილის (იგულისხმება ბენია ჩხიკვიშვილი – ნ. ს.) დაბრუნებას.
  11. გამოძიების აჩქარებას და ტუსაღთა განთავისუფლებას, რომელთაც აქნობამდის ბრალდების ოქმი არ მიუღიათ და თუ არის რამე მათ სანინააღმდეგო, გადაეცეს სასამართლოს, ხოლო მანამდის განთავისუფლებულ იქმნენ თავდების ქვეშ.
- ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ვაცხადებთ სიმშვილობას. ყველა „უგოლოვნი“ და პოლიტიკური ტუსაღი (400 მეტი) გაფიცულები არიან (ქუთაისის ციხე 1906: 2).

იქვე ვხვდებით გაზეთის რედაქციის მინაწერს: „გაფიცულები ციხეში უკვე დააკმაყოფილეს და შიმშილობა მოსპეს. მოთხოვნილებანი ყველა დააკმაყოფილეს ორის გარდა: ერთი ბენია ჩხიკვიშვილის განთავისუფლება და მეორეც ნებართვა გაზეთების ციხეში შეტანისა და კითხვის. გაფიცულნი იყვნენ როგორც პოლიტიკურები, ისე „უგოლოვნი“ (ქუთაისის ციხე 1906: 2). ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს ცალკე განხილვა არ სჭირდება და ციხეში არსებული მდგომარეობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს.

დაბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხი, მართლაც, მრავალმხრივი კვლევის შესაძლებლობას იძლევა და სამომავლოდ დასახული გვაქვს როგორც ახალმოძიებულ, ისე უკვე არსებულ წყაროებზე დაყრდნობით კვლევის გაგრძელება, შესაბამისი მოგონებების, ჩანაწერებისა თუ ნარკვევების თარგმნა და დამოუკიდებლად გამოცემა.

## შენიშვნები

- 1 სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ არის კატეგორია (მაგალითად იგივე ს. ვ. შებალკოვი), რომელიც აღიარებს, რომ ციხის გამოსასწორებელი დატვირთვა მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობაში იყო განხრეული და პრაქტიკული რეალიზაცია მას არ ჰქონია.
- 2 სტაროვერი – ძველმართლმადიდებლები, რასკოლნიკები.
- 3 თუმცა ეს ეხება არა გადასახლებას, არამედ საპატიმროებს. ამასთან, არც პატიმრები იღებდნენ სრულად თავის ჯამაგირს და ხშირი იყო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან პატიმრების კუთვნილი თანხის მითვისების.

## დამონებები

- გერნეტი 1961:** Гернет М. Н., *История Царской Тюрьмы*, ხუთ ტომად, ტ. 3. 1870-1900, Государственное издательство юридической литературы, Москва.
- გომონოვი და სხვები 2019:** Н. Д. Гомонов, П. П. Пирогов, В. П. Тимохов, А. А. Туманов. *Тюремная реформа второй половины XIX века и вопросы кадрового обеспечения мест лишения свободы в Российской империи*, Юридическая наука.
- ვარენცოვი 2018:** С. Ю. Варенцов. *Развитие тюремных учреждений Нижегородской губернии в 1879-1917 гг.*, Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук, Чебоксары.
- მეტეხის ციხე 1906ა:** მეტეხის ციხე, *ახალი ცხოვრება*, 1906, №5, 25 ივნისი.
- მეტეხის ციხე 1906ბ:** მეტეხის ციხე, *ახალი ცხოვრება*, 1906, №6, 27 ივნისი.
- მეტეხის ციხე 1906გ:** მეტეხის ციხე, *ახალი ცხოვრება*, 1906, №8, 29 ივნისი.
- ორფინსკაია 2008:** Л. В. Орфинская. *Российские пенитенциарные учреждения во время революционных событий 1905-1907 гг., Российские и славянские исследования*, Вып. 3., Минск.
- პერტლი 2018:** Л. Ф. Пертли. *Тюремная политика Российской империи (1879-1917 годы), Ведомости уголовно-исполнительной системы*, № 9.
- პოპოვა 2016:** Zh. Popova. *The Two Tales of Forced Labour: Katorga and Reformed Prison in Imperial Russia (1879-1905)*, *Almanack, Guarulhos*, № 14.
- სტონევიჩი 1906:** *Тюрьмы в России*, Очерки Джорджа Кеннана, Перевод с немецкого Д. Д. Стоневича, Типография М. И. Акинфиева, С.-Петербург.
- სარაჯიშვილი 2023:** *ივანე ჯაბადაძე, 50-ის პირობები, სხუდიად ხუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოგანიზაცია*, რუსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
- ქუთაისის ციხე 1906:** ქუთაისის ციხე, *ახალი ცხოვრება*, 1906, №17, 11 ივლისი.
- შებალკოვი 2014:** С. В. Шебалков. *Тюрьма в России в конце XIX начале XX века и ее исправительное значение, Ученые записки Казанского университета, Гуманитарные науки*, т., 156, кн. 3.

## PRISON IN IMPERIAL RUSSIA (AT THE TURN OF THE XIX-XX CENTURIES)

**Nikoloz Sarajshvili**

The Centre For Contemporary History  
nikasarajshvili99@gmail.com

Today's Russian historiography actively attempts to portray the conditions in the prisons of the Russian Empire during the XIX-XX centuries with vivid details. It emphasizes the theoretically positive changes envisioned by the legislation, yet deliberately overlooks the actual situation. Naturally, the reality differs significantly. Considering Georgia's inclusion as part of the Russian Empire, addressing this matter holds importance. In the article, we endeavored to depict the intricate reality within the prisons, shedding light on the challenging circumstances faced by the prisoners. Moving forward, we have a goal to dedicate a comprehensive essay to the reality in Georgian prisons, thoroughly studying and presenting it to the general public.

**საარქივო  
მასალების პუბლიკაცია**

**PUBLICATION  
OF ARCHIVAL MATERIALS**





## მარიამ პრიტვიცის უცნობი წერილები მაქარაშვილების ოჯახისადმი

**გიორგი სოსიაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
giorgisoshvili@gmail.com

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, გიორგი შურულის ოჯახთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგნელს მარიამ პრიტვიცს (ქალიშვილობის გვარი ჰუბერი), რომელიც გიორგი შურულის დასთან – ნინო შურულთან მეგობრობდა. მარიამი დაიბადა 1876 წლის 2 ივლისს ბესარაბიის გუბერნიაში, ქ. კიშინიოვში. დაამთავრა ქ. ოდესის წმ. მარიამის სახელობის ქალთა საზოგადო გიმნაზიის 8 კლასი. შემდეგ სწავლობდა ქ. დრეზდენის ქალთა პირველ ლიცეუმში მათემატიკურ-გეოგრაფიული განხრით. მ. პრიტვიცმა ფართო ჰუმანიტარულ-ტექნიკური განათლება მიიღო, რაშიც ხელი შეუწყო უცხო ენების ათვისების თანდაყოლილმა ნიჭმა. იგი რამდენიმე ენას ფლობდა, მათ შორის: ფრანგულს, იტალიურს, რუმინულს, ლათინურს, პოლონურს, რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. სამეცნიერო მოღვაწეობა მ. პრიტვიცმა 1918 წელს დაიწყო, ხოლო ლიტერატურულ საქმიანობას კი 1894 წელს მიჰყო ხელი. სხვადასხვა დროს იგი როგორც ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი და მეცნიერ-მუშაკი, მოღვაწეობდა კიევის განათლების კომისარიატში, სკოლებსა და კონსერვატორიაში. 1930 წელს კი ნავთობის გეოლოგიურ-დაზვერვით ინსტიტუტში გააგრძელა საქმიანობა. იგი მონაწილეობდა ვაშინგტონში ჩატარებულ გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესშიც. მ. პრიტვიცი ევროპული ენებიდან სამეცნიერო თუ ლიტერატურულ ტექსტებს რუსულ ენაზე თარგმნიდა (ჯანაშია 2003: 25-26).

მ. პრიტვიცი ხშირად სტუმრობდა ნინო შურულის ოჯახს როგორც თბილისში, ასევე არბოში. სწორედ არბოში ყოფნისას ურჩევია მარიამ პრიტვიცისთვის ნინო შურულს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულ ენაზე ეთარგმნა (თევდორაძე 2010: 60). როგორც ჩანს, მარიამ პრიტვიცს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დაწყება გერმანული ენის ღრმა ცოდნამ გააბედვინა.<sup>1</sup> ნინო შურულთან მარიამ პრიტვიცი საქართველოდან წასვლის შემდეგაც აგრძელებდა მეგობრულ ურთიერთობას. მას არაერთი წერილი აქვს გამოგზავნილი თავისი ქართველი მეგობრის სახელზე, სადაც თბილად იხსენიებს სტუმრად ყოფნის ეპიზოდებს, განსაკუთრებით კი ნინო შურულის მშობლიურ სოფელში – არბოში გატარებულ დღეებს. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

ძვირფასო ნინა დურმიშხანის ასულო! ორი წლის წინ, ჩემს დაბადების დღეს, თქვენთან ერთად არბოში ვიმყოფებოდი და დღესაც ფიქრებით კვლავ თქვენთან ვარ. მაშინ მე უკვე (?) ჩვეულებრივი გავხდი (?), რის გამოც თქვენ მკიცხავდით და მეგობრულად მტუქსავდით. ვერ წარმოგედგინათ თუ რა გარემოებებმა მიმიყვანა მე ამ მდგომარეობამდე. რა დონემდე მიღრღნიდა გულს ეს გარემო, მაგრამ არბოს ისტორიულმა წარსულმა, გორის ყველა (?) ისტორიულმა სინამდვილემ, მეცნიერ მუშაკების გარემოცვამ არბოსა თუ თბილისში, ჩემში არსებული შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენებისკენ აქტიური სწრაფვა გამოაღვიძა, რომელიც რევოლუციამდე და უფაში ყოფნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში თვლემდა. თქვენ მე ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი დამაწყებინეთ. თქვენ სახლში მე ჩავეჭიდე რუსთაველს და მისი მეშვეობით, შემოქმედებითი „წარმატებებისგან თავბრუსხვევის“ კმაყოფილებით ეს ორი წელი ვიცხოვრე. ამავდროულად ბედ-იღბლის დარტყმები და განსაცდელის ჟამთან დაკავშირებული მძიმე ყოფითი პირობებიც გადავიტანე. ვწუხვარ,

რომ თქვენდამი ჩემი პირადი წერილი ნუცუბიძეს<sup>2</sup> გადაეცით: მას შეეძლო იქ ჩემი (სულით) დაცემულობა ამოეცნო, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ესე არ არის: მე მარტოსული ვარ, გამზიარებული არავინ არ მყავს და ჩემს ჭირ-ვარამზე თქვენთან წერილის მოწერა მომიხდა. ბედ-იღბალმა კვლავ მიხსნა: მე უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას მივემაგრე, სადაც ყველა კრებულს ინგლისურ ენაზე თარგმანს ვუკეთებ. რუსთაველის თარგმნამ იქ წონა შემძინა, მე იქ ნარდათ ვმუშაობ. აკადემიკოსების პარნასის, ბროდსკის და კრილოვის (მუსხელიშვილის ნაცნობია).<sup>3</sup> ინგლისური ენის ცოდნას პრაქტიკულ მხარეს ვუმაგრებ, რაც ამავდროულად ჩემს ცოდნის გაღრმავებასაც ხელს უწყობს. ამიტომ მე უნდა ვიზრუნო მხატვრული მიმართულებით ინდივიდუალური სამეცნიერო რაციონის მოძიებაზე და ჯანაშიასგან<sup>4</sup> (რომელსაც ტელეგრაფით ვაცნობე) და ნუცუბიძისგან პასუხის მიუღებლობა პირდაპირ მანადგურებს. დაპირებული სამი ათასი ამ დრომდე არ მიმიღია, რომლითაც ზამთარში ჩემი ოთახის დათბობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. მოწვევისა და გარანტიის გარეშე თბილისში ჩემი გამგზავრება უაზრობა იქნებოდა და თან ჩემი სამუშაო უკრაინის აკადემიაში შესაძლოა ხელიდან გამისხლტეს. გარდა ამისა, რაც არ უნდა იყოს ალიოშასთან<sup>5</sup> უფრო ახლოს ვიმყოფები და მასთან კვლავ შეხვედრის იმედს არ ვკარგავ. ის, მოსკოვიდან (გაგზავნილი), კვლევების ტრესტში, ალტაის მხარეში, მიხაილოვსკის ოლქში, მიხაილოვსკის ქარხანა-ბაღში დასაქმდა და ზინაც<sup>6</sup> იქ მუშაობს. მაგრად, მაგრად გკოცნით. მოკითხვა ყველას. მისწერეთ ნუცუბიძეს და ჯანაშიას, მათზე ზემოქმედება მოახდინეთ. სულით და გულით თქვენი მარია პ. (ფონდი I, საქმე 135, ბ. 42757)

როგორც მივუთითებდით, მარიამ პრიტვიცს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნის იდეა ნინო ჟურულმა შთააგონა. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გერმანულ ენაზე ამეტყველებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც დაინტერესებულა, თუმცა მარიამ პრიტვიცს და ქართველ სწავლულებს შორის კომუნიკაცია მოიკოჭლებდა. პრიტვიცს უგვიანებდნენ თარგმანის ჰონორარს. ირკვევა, რომ ნინო ჟურულს ქართველ მეცნიერებთან შ. ნუცუბიძესთან და ს. ჯანაშიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მოლდაველი მთარგმნელი ქართველ მეგობარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან ურთიერთობის გააქტიურებას სთხოვდა. მარიამ პრიტვიცის და ნინო ჟურულის მეგობრობა გრძელდებოდა, ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელის რამდენიმე ბარათი, სადაც თავის უახლოეს ქართველ მეგობარს მარიამ პრიტვიცი საცხოვრებელი პირობების შესახებ უამბობს და არც პირადი ცხოვრების დეტალებს უმაღავს:

ქ. უფადან 1946 წლის 22 თებერვალს, მარიამ პრიტვიცის მიერ ნინო ჟურულისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

საყვარელო, ძვირფასო ნინა დურმიშხანის-ასულო! გულითად მადლობას გიხდით თქვენ და ირას ტელეგრამის გამო, რამაც განწყობა ამიმაღლა, თუმცა ისედაც კარგი განწყობა მქონდა: ჩემს მოსანახულებლად ალიოშა ჩამოვიდა და აღნიშნა რომ კარგად გამოვიყურები. მათ მატერიალურად ძალზედ მძიმე ცხოვრება აქვთ, ვინაიდან ცხოვრება ხერსონში ძვირია და ისინი ვერა და ვერ შეეწყვნენ იქაურობას: მუდმივად ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა უწევთ. ნატაშა<sup>7</sup> ფრიადოსანია და მოხდენილი ვინმეა. მოუთმენლად ველოდები განმარტებით წერილს, რადგან მასთან არის დაკავშირებული (ჩემი) შემდგომი სამუშაოს ბედ-იღბალი. ჩვენთან წელს დიდთოვლობაა. ძალზედ გვეშინია წყალდიდობისა. მოკითხვა ყველას. თქვენი მ.პ. (ფონდი I, საქმე 135, ბ. 427563)

უფაში მცხოვრები მარიამ პრიტვიცი მთარგმნელობით საქმიანობას განაგრძობდა და მისი თარგმნილი მხატვრული ტექსტები სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში იბეჭდებოდა. იგი დროდადრო საქართველოში, თავის მეგობარს – ნინო ჟურულს გამოქვეყნებულ თარგმანებს უგზავნიდა. ამას ადასტურებს მარია პრიტვიცის ერთ-ერთ წერილი (იგი დაუსრულებელი სახით შემორჩა) რომელიც ნინო ჟურულის სახელზე 1948 წელს უფადან არის გამოგზავნილი:

ჩემო საყვარელო, ძვირფასო ნინა დურმიშხანის ასულო! ხვალ 14 იანვარია და ვჩქარობ მოგესალმობთ თქვენ და მთელს საყვარელ საქართველოს, რამეთუ მან საკუთარი იუბილესათვის(?)<sup>8</sup> მთელი ხელუხლებელი მშვენიერებით თქვენი სახით შეინარჩუნა თავისი ლამაზი ინტელიგენციის მშვიდობისმოყვარე წარმომადგენელი. როგორი სულიერად ახალგაზრდა და გონებამახვილი ბრძანდებით. რა დარტყმები არ მოუყენებია თქვენთვის ბედ-იღბალს. ყველას გასახარად და მომავლის იმედით გეცოცხლოთ! გიგზავნით დოლმატოვსკის ლექსების ცხელ-ცხელ თარგმანს, რომელიც სულ ეხლა ხანს ჟურნალ „ზნამია“-ში გამოქვეყნდა. ირინამ<sup>9</sup> ფრანგულად წაიკითხოს.

წერილს ახლავს მინაწერი: თუ ვინმეს დრო აქვს, გადაწერეთ ფრანგული თარგმანი და მიშას<sup>10</sup> გაუგზავნეთ. მე მისი მისამართი არ ვიცი. (ფონდი I, საქმე 135, ბ. 42757)

ნინო ჟურულის საარქივო საქმეშია მარია პრიტვიცის კიდევ ერთი წერილი,<sup>11</sup> რომელიც ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი წერს:

[...] სამაგიეროდ ნატაშა<sup>12</sup> გვახარებს, ხუთოსანია, თან ხატავს, იგი სამხატვრო სტუდიის მონაფეა. ნატაშას ნახატი გამოფენაზე იქნა გამოტანილი და მის ნახატზე „ბედნიერი ბავშვობა“ 22 სექტემბრის „ნადდენეპროვსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა, მაგრამ მათ თავი მხოლოდ ეხლა შეიწუხეს და ნება იბოძეს გაზეთიდან ამონაჭერი გამოეგზავნათ. ჩემებს უბედურება დაატყდათ: ლენინგრადში ზინას ძმის მეუღლე გარდაიცვალა. ცოტა აკლდა, რომ ნატაშა იქ დაეტოვებინათ. სამაგიეროდ ეხლა უკვე მე მათთვის უფრო საჭირო გავხდი. არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ ნატაშას ნახვას ვისურვებდი... იქნებ იზრუნოთ, რომ აკადემიის გამოძახებით კვლავ ჩამოვიდე, რათა ჯანაშიას დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმე დავასრულო. რაც მის ხსოვნასაც უკვდავყოფს. ყველა წინადადებაზე, როგორც ფინანსურზე, ისე მორალურზე, თანახმა ვარ. სხვადასხვა მიზეზთა გამო მოსკოვთან საქმის დაჭერა არ შემიძლია, ხოლო მთავარი კი ის არის, რომ მომატყუებენ.

წერილს მინაწერი აქვს:

[...] ჩაიზე უარს არ ვიტყვი, ვერა და ვერ ვაბამ თავს, რომ ერთი ნივთი შევფუთო და თქვენ გამოგიგზავნოთ. ამინდი პირდაპირ გულს მიჭამს: ხან მოყინულია და ცურავს, ხან სისველეა, ხან სითბოა. ჩემი კალიგრაფიით მიხვდებოდით, თუ როგორ ვჩქარობ. ბევრი დრო დავკარგე... ლექსების გამო.

ყველას, ყველას, მაგრად, მაგრად გკოცნით. მოსიყვარულე მარია პ. (ფონდი I, საქმე 135, ბ. №42757).<sup>13</sup>

ნინო ჟურულის გარდაცვალების შემდეგ მარიამ პრიტვიცმა მჭიდრო ურთიერთობა გააგრძელა ნინოს ქალიშვილთან – ირინა მაქარაშვილთან და მის მეუღლესთან ანატოლი კიზირიასთან. ეს მეგობრობა სათავეს იღებდა მარიამის და ნინოს ურთიერთობიდან. როგორ დაიწყო ნინო ჟურულის რჩევით პრიტვიცმა ვეფხისტყაოსნის თარგმნა, იგი ამის შესახებ სოფიო დავითის ასულ მაჭავარიანისადმი 1949 წლის 4 აგვისტოს გაგზავნილ წერილში მოგვითხრობს:

[...] 1940 წლის ზაფხულს ვატარებდი არბოში. დაუვინყარმა ნინო დურმიშხანის ასულმა მიბიძგა თარგმანისაკენ. სიტყვა ჩამოვარდა ჩემ მთარგმნელობით მუშაობაზე უფაში (სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან უფაში გაატარა. აქ იგი მსახურობდა სამედიცინო ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრაზე – რ. ჯანაშია). უფრო სწორედ იმაზე, რომ იგი შეწყვეტილი მქონდა. ნინო დურმიშხანის ასულმა მისაყვედურა და მითხრა: აი, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანი“! განა ეს ჩემ ძალებს აღემატება?! – ვუპასუხე, მაგრამ შემდეგ, თბილისში, მათ სასტუმრო ოთახში, ძილის წინ, ავიღე პეტრენკოს თარგმანი და ვცადე 2 სტროფის თარგმნა. გოეთესა და შილერის

ნაწარმოებებზე აღზრდილი, გავოცდი, როგორ აჟღერდა ეს გერმანულად. მაშინ ნუცუბიძის თარგმანი ჯერ არ იყო... მეორე დღეს ბიბლიოთეკაში გავიგე, რომ არსებობს მხოლოდ არტურ ლაისტის თარგმანი გერმანულად და უორდროპისა – ინგლისურად... შემდეგ ეს სტროფები ვუჩვენე პროფ. შარლემანს და მის მეუღლეს. მათ დამლოცეს მუშაობის გასაგრძელებლად [...] ქ. უფას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა პეტრენკოს თარგმანი [...] თავდაპირველად მეგონა, რომ მხოლოდ პროლოგს ვთარგმნიდი, მაგრამ სამუშაო იხე გამიტაცა, რომ ვმუშაობდი შეუსვენებლივ, სახლშიც, ინსტიტუტშიც. თვალწინ მედგა საქართველოს მთები, მისი ყოფა, რაც ასე მაგონებდა მშობლიურ ბესარაბიასა და მოლდაველებს - დედაჩემის წინაპრებს [...] პროლოგი გავუგზავნე აკად. შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც აღტაცებულმა მიპასუხა. იგი დამპირდა თავისი თარგმანის გამოგზავნას[...] სამუშაოს ვაგრძელებდი ნუცუბიძის მიხედვით. თან პეტრენკოშიაც ვიხედებოდი. ლექსი გავმართე მინორისა და მაჟორის მიხედვით. ჩემი ნამუშევარი ვაჩვენე აქაურ ერთ გერმანელ ქალს, მცოდნესა და განათლებულს[...] ნათარგმნ ნაწილებს ვუგზავნიდი აკად. ნუცუბიძეს[...] გზაში არაფერი დაკარგულა, მიუხედავად ომიანობისა[...] შემდეგ მივიღე აკად. ს. ჯანაშიას დეპეშა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გთხოვთ გააგრძელოთ მუშაობა [...] თარგმანს ვუდარებდი როგორც ნუცუბიძეს, ისე უორდროპისას, რომელიც საოცრად კეთილსინდისიერადაა შესრულებული [...] იმ ხანებში უფაში ევაკუაციაში იმყოფებოდნენ უკრაინელი აკადემიკოსები პარნასი და ბულახოვსკი, რომლებმაც ასევე გაიცნეს ჩემი ნამუშევარი და რჩევებით დამეხმარნენ. ვისარგებლე არდადეგებით და ტექსტი გადავწერე, მაშინ უფაში უცხოურ-შრიფტიანი საბეჭდი მანქანები არ იყო [...] ნაშრომი გადავავსავნე თბილისში. რეცენზია დაწერეს აკადემიკოსებმა შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. 1946 წლის აპრილში ინსტიტუტის სხდომაზე საქ. მეცნ. აკადემიამ მიიღო ნაშრომი, რაც იმავ ზაფხულს აკად. ჯანაშიამ მაცნობა და გამომიძახა თბილისში, სადაც 25 აგვისტოს ჩამოვედი კიდევაც. მაგრამ ჯანაშიას ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვნახე. თარგმანი მისსივე მითითების მიხედვით ჩავასწორე. ამჟამად კი ველოდები მეცნ. აკადემიის ან გოქის მითითებებს. მოხარული ვიქნები, თუ განუულ ხარჯებს ამინაზღაურებენ[...]" (ჯანაშია 2003: 26).

აღნიშნული წერილის ადრესატია სოფიო მაჭავარიანი. იგი ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოადგილე იყო, რომელთანაც მარიამ პრიტვიცს ს. ჯანაშიას დახმარებით საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა (ჯანაშია 2003: 26). აკად. ს. ჯანაშიას მ. პრიტვიცის შესახებ ინფორმაცია ნინო ჟურულის ქალიშვილმა – ირინა მაქარაშვილმა მიაწოდა. ამის შესახებ რ. ჯანაშია წერს:

[...]ჩვენი ოჯახის უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრები იყვნენ ირინე მაქარაშვილი და მისი მეუღლე (იგულისხმება ანატოლი კიზირია გ.ს.). სწორედ მათგან გაიგო 1940 წელს ს. ჯანაშიამ პრიტვიცის განზრახვის შესახებ. ბუნებრივია, იგი ყოველმხრივ ეცდებოდა ამ კეთილი საქმისთვის ხელის შეწყობას. (ჯანაშია 2003: 26)<sup>14</sup>

ს. ჯანაშიას ინიციატივით მ. პრიტვიცის რედაქტორებად შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი დაინიშნენ. 1943 წელს ისტორიის ინსტიტუტის სახელით ს. ჯანაშიას და მ. პრიტვიცს შორის ხელშეკრულებაც გაფორმდა. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ მ. პრიტვიცი აგრძელებდა ურთიერთობას სოფიო მაჭავარიანთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან (ვიცეპრეზიდენტ აკაკი შანიძესთან). როგორც ს. ჯანაშიას ქალიშვილი, რ. ჯანაშია აღნიშნავს, მ. პრიტვიცი, ხანდაზმულობის მიუხედავად, ხშირად ჩამოდიოდა ნინო ჟურულის ქალიშვილთან ირინა მაქარაშვილთან, რომლის არქივშიც ინახებოდა მისი ორი ფოტოსურათი. (ჯანაშია 2003: 26) მარიამ პრიტვიცის ახლო ურთიერთობას ირინა მაქარაშვილთან ადასტურებს მის მიერ გამოგზავნილი არაერთი წერილი (ფონდი, I, საქმე 135, ბ. 4276; 42756; 42758; 42759; 42760; 42763; 42761; 42763)

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არბოში მცხოვრებ ნინო დურმიშხანის ასულს ბოლშევიკები სასტიკად მოექცნენ. მას იჯარით გაცემული ვენახი ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. 1927 წლით დათარიღებულ დოკუმენტში „სიები ყოფილი

თავადების, აზნაურების და მემამულეებისა ტყვიავის და შინდისის ზონების მიხედვით“ ვკითხულობთ:

მაქარაშვილი ნინო დურმიშხანის ასული – 55 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მაცხოვრებელი, 17 წლამდე (1917 წ.) ჰქონდა ასი მეათედი სახნავი მიწის ნაკვეთი. მის მეუღლეს ილიას ჰყავდა 6 მონა. ძალზედ ავინროვებდა გლეხებს, ძალით ართმევდა საქონელს, მეზობელი სოფლებიდან მსხვილფეხა საქონელის (ნახირის) გადარეკვაში სულზე 50 კაპიკ გამოსასყიდს იღებდა. 17-21 წწ. მისთვის მამული არ ჩამოურთმევიათ. მისი მეუღლე გარდაიცვალა 17 წელს.<sup>15</sup> გლეხებთან უხეში ურთიერთობა ჰქონდა. 21-28<sup>16</sup> წწ. მიწის რეფორმის გატარებისას მამული ჩამორთმეულ იქნა და ამჟამად სამი მეათედი ბალი აქვს, რომელიც იჯარითაა გაცემული. გლეხებთან აქვს მტრული დამოკიდებულება, გლეხებსაც ეზიზღებათ ისინი. აქვს სახლი, ჰყავს სამი მოსამსახურე. ვაჟი მიხეილი სწავლობს საზღვარგარეთ, ჰყავს 60 წლის ძმა გიორგი ჟურული (ფონდი №2).

ამ ტექსტს ახლავს მინაწერი: მისი ძმა ჟურული გიორგი<sup>17</sup> იმყოფება საზღვარგარეთ.

ნინო დურმიშხანის ასულის მიმართ ბოლშევიკების ზეწოლა ამით არ დასრულებულა. მას, როგორც მეფის რუსეთის გენერლის მეუღლეს, გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვეს და სოფლიდან გაასახლეს. ამის მიზეზად გადაწყვეტილებაში მითითებულია ადგილობრივ გლეხთა უკმაყოფილობა. დოკუმენტში: „ამონაწერი გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წ. სექტემბერი 19. სხდომის ოქმიდან №29/100წ“ ვკითხულობთ:

მოისმინეს: ნინო მაქარაშვილი ჟურულის შესახებ ტირძნისი სას. საბჭოს დადგენილება ბაღ. ვენახის ჩამორთმევის და მისი სოფლიდან გასახლების შესახებ (მომხს. ამხ. სტეფანოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რაი ალმასკომის მიერ ამ საკითხის ადგილობრივ გამოკვლევა) აზრი გამოსთქვას: კალანდაძე. კველიშვილმა. ელეგაშვილმა

დაადგინეს: ვინაიდან დიდი უკმაყოფილებაა სოფ. არბოში მცხ. კოლმეურ. და ინდივიდ. გლეხობის შორის ყოფ. გენერლის ცოლის ნინო ჟურულის შესახებ. რომელიც ამუშავებს თავის ვენახს დაქირავებული შრომით. რაოდენობით 1 გაქტ. (იგულისხმება ჰექტარი), ხილ-ბალი 0.5 გა. სახლი ხუთ ოთახიანი ამისათვის დადასტურდეს ტირძნისის სას. საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება ქონების ჩამორთმევაზე. მხოლოდ ერთი ოთახი და სამოსახლო ადგილი დარჩეს ჟურულის მოსამსახურეს, ქონება კი გადაეცეს არბოს კოლმეურნეობას. ნინო მაქარაშვილი ჟურულისა გასახლებულ იქნეს აღნიშნულ სოფლიდან დასტური ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

თავმჯდომარე: ერ. კალანდაძე.

მდივნობდა: არბოლიშვილი.

ასლი დედანთან სწორეა:

საქმის მწარმოებელი (ე. მცხვეთაძე).“ (ფონდი №4)

ბოლშევიკებისაგან შერისხული და სოფლიდან გაძევებული ნინო ჟურული-მაქარაშვილისა 1948 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მის ქალიშვილს, ირინა ილიას ასულს სურვილი ჰქონდა დედა არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მშობლების, მეუღლის და შვილის გვერდით დაეკრძალა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამაზე უარი უთხრეს. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „დედაც არბოში გარდაიცვალა 1948 წლის 4 სექტემბერს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააკრძალვინეს იგი ეკლესიაში. ჩემი დის ირას წერილით შევიტყვე, რომ იგი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს“ (ნაცვლიშვილი 1992: 8).

**დანართი №1**

მარიამ პრიტვიცის ღია ბარათი ირინა მაქარაშვილ-კიზირიას და ნინა დურმიშხანის ასულ მაქარაშვილს. წერილის დასაწყისში მიწერილია თარიღი ორშ. 29 ოქტომბერი. სავარაუდოდ, ეს ბარათი 1948 წლამდეა გამოგზავნილი, როცა ირინა მაქარაშვილის დედა – ნინო ჟურული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარიამ პრიტვიცის მეგობარი ნინო დურმიშხანის ასული წერილში ნახსენები არ არის. ნინო რომ გარდაცვლილი ყოფილიყო, ავტორი სხვა წერილების მსგავსად უსათუოდ მოიხსენიებდა. საინტერესოა არქივარიუსის მინაწერიც – „ცხინვალი“. წერილში ცხინვალი ნახსენები არ არის (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ძვირფასო იროჩკა! სულ ეხლახანს მივიღე შენი წერილი, ვიდრე მივიღებდი, მის მოლოდინში მოსვენება არ მქონდა, ძალიან გახარებული ვარ, რომ ჯანმრთელი ხარ და არ იწყენ. მადლობა მათ ვინც შენს მიმართ ყურადღებას იჩენს ...<sup>18</sup> თავხედობა მაღიზიანებს. თავი ნამდვილ დიასახლისებად მოაქვთ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ დიასახლისი ყოველთვის მოკრძალებულია. ამჟამად ყველას ამოცნობაა შესაძლებელი. აქ დიდებული ამინდია, სამშაბათს გამომგზავრებას ვაპირებთ: ნივთებს ურემზე მოვათავსებთ, ჩვენ კი –ავტომობილით. ვასო ...<sup>19</sup> ურმით და თან თამარსაც ასე სურს ...<sup>20</sup> არ გაიყიდა, ამიტომ ამ მდგომარეობაში რომ არ დაგვეტოვებინა, გუშინ დავანგრეთ ...<sup>21</sup> ორნი მუშაობენ. ღამეები არ მძინავს, სულ ფიქრებში ვარ და მომავლის დარდი მაქვს... ჩამოვალთ და ვილაპარაკოთ. თამარმა თავისთვის და მამისთვის ...<sup>22</sup> მიიღო და თუ რაიმე ხდება პირდაპირ ფოსტისკენ მიემართება, ისინი ყველა ჯანმრთელად არიან, გასამგზავრებლად ემზადებიან. გუშინ ვასომ, ილიკომ და თამარმა<sup>23</sup> ჩვენთან ისაძილეს, კარგ განწყობაზე იმყოფებოდნენ. ესე იგი, თუ რაიმე განსაკუთრებულმა ხელი არ შეგვეშალა, სამშაბათს ღამე ჩამოვალთ ...<sup>24</sup> შენგან ველოდები ბანკის ...<sup>25</sup> რაც ...<sup>26</sup> უფრო ...<sup>27</sup> ობლიგაციები და ფული ...<sup>28</sup> მოკითხვა ტოლიას<sup>29</sup> და ყველას.<sup>30</sup>

შენი მარია.

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42763)

მარია პრიტვიცის წერილები ირინა მაქარაშვილისადმი.

წერილის დასაწყისში მინაწერია – უფა, 1 ოქტ. 1948 წელი (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო საყვარელო, ძვირფასო დაობლებულო ირინოჩკა! განვიცდი თქვენს მწუხარებას, რადგან მეც დავობლდი, რამეთუ ისეთი საოცარი მეგობარი დავკარგე, როგორც ნინა დურმიშხანის ასული იყო. მე მას უფროს დად ვთვლი. როგორი ძვირფასი იყო მასთან ერთად წარსულის მოგონება. რა დადებით ზეგავლენას ახდენდა ის ჩემზე, განსაკუთრებით 1940 წელს, როდესაც მე თქვენთან ჩამოვედი. როგორ დელიკატურად მსაყვედურობდა მასზედ, თუ როგორ გავუხეზდი, სულიერად დავეცი, პოეზია მივატოვე. თვითონ, ვითომ სხვა სამყაროდან არ ყოფილიყო, როგორ მაგულიანებდა შემოქმედებისაკენ! განათლებული ქართველი ქალის რა გასაოცარი განსახიერება დაკარგა მთელმა გარემოცვამ! მაგრამ ყოველივე არაფერია მასთან შედარებით, თუ რა სიცარიელე შეიქმნა თქვენს ირგვლივ და განსაკუთრებით კი არბოში. თქვენ კი ჩემო საყვარელო რუხთვალეზავ(?) შრომისმოყვარე ფუტკარო, ეჭვგარეშეა, რომ თქვენი მონაგარის სადარაჯოზე, ძვირფას საფლავთან ახლოს, არბოში რჩებით. რატომ თქვენთან არ ვიმყოფები! რატომ? თქვენთან და როგორც გული მიგებდა, ამქვეყნიდან მიმავალ ჩვენს კეთილმოსურნე ნინა დურმიშხანის ასულთან შეხვედრის ოცნებები სინდისის ქეჯნამ ჩაანაცვლა. იმაზე სინანულმა, რომ არ ჩამოვდიოდი. იგი დღისით, თუ მთვარის შუქზე, აივანზე იჯდა და ფიქრობდა, რომ მოულოდნელად თავზე დავადგებოდი ისე, როგორც ხდებოდა ხოლმე – ლიახვიდან ფეხით, თუ დიციდან<sup>31</sup> ურმით... როგორ

ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში ეს შეხვედრები საყვარელ არბოში და როგორ მიმძიმს, რომ არ შემიძლია თაყვანი ვცე ახლა საფლავს... ამჟამად რაღას აკეთებთ? დიდხანს დარჩებით კი არბოში? ელენე პავლეს ასული<sup>32</sup> თქვენთანაა? მე არ გწერდით, რადგან გამგზავრებაზე ფიქრი არ მასვენებდა. თუმცა, ვითარებები ყოველივეს საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. მე 72 წელმა მომიკაკუნა და შემცირებების ძალზედ მეშინია, რადგან ის საყოველთაოდ მიმდინარეობს, განსაკუთრებით სამედიცინო ინსტიტუტებში. მე სამედიცინო განათლება არ მაქვს. საბედნიეროდ, ჩემი ადგილი შევინარჩუნე, რომელიც მწირი ანაზღაურების მიუხედავად – ზედმინწვნით მაკმაყოფილებს. სარგებლიანობის შეგრძნება და ანგარიშგების არარსებობა სულიერად მეტად მამაღლებს. სამაგიეროდ, აეროპლანით შეუფერხებელი მოგზაურობის დრო გაშვებულია ხელიდან. აეროსადგურში შემოდგომით ჩარჩენა, როგორც ეს თბილისიდან კუბიშივეში<sup>33</sup> ჩემი დაბრუნებისას მოხდა, მეტად რთული რამაა. ცხოვრება გართულდა. ოთახის გამოცვლას ვფიქრობდი და ამ ყველაფერს ბევრი დრო შევალე. თუმცა იქ სადაც გამიზნული მქონდა კუბიანი და (მეღდა?) გამოცხადდა და ერთი ამბავი ატეხა, უცხოს რატომ უშვებთო. ორჯერ ნაკლებს გამოვიმუშავე, რადგან ძრავების ქარხანაში სამუშაო აღარ არის. ჩემი თარგმანის შესახებ, თუ რა ბედი ენია მას, წერილი ანატოლი პავლეს ძისგან არ მიმიღია, მე მივხვდი, რომ ის მთლად შეჩერებულია, ან ჯანაშიას<sup>34</sup> ქალაქებში დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე წლის გეგმებში გათვალისწინებული არ არის, მით უმეტეს, რომ მუსხელიშვილმა<sup>35</sup> არ მიპასუხა; მაგრამ მე არსებობისათვის ბრძოლის გაგრძელება გადავწყვიტე, თითქოსდა ის (თარგმანი – გ. ს.) არც კი ყოფილიყო. სხვათა შორის ღამ-ღამობით მისი გადამონმებით ვარ დაკავებული. მე თქვენ ამის თაობაზე არ გწერდით, რადგან თქვენ, და, რაც მთავარია, ჩვენს ძვირფას ნინა დურმიშხანის ასულს, არ გგონებოდათ, რომ სამხრეთისაკენ მე ეს ინტერესი მიზიდავს და არა სიყვარული. შვებულება არ ამიღია და, შესაძლოა, ის მოსკოვისთვის შემოვინახო. ხომ არ ჩამოხვალთ გასართობად. იქ შევხვდებოდით. ერთი სიტყვით, მომწერეთ, თუ რა ხანს დაჰყოფთ არბოში. თუ ძალიან არ გიმძიმთ, დედაზე მომწერეთ. ვწუხვარ, რომ მე ის ვერ მოვინახულე, მაგრამ ვშიშობ, რომ თავს მოვანწყენდი. ის ადგილიც მოკლედ აღწერეთ, სადაც განისვენებს. ძვირფას არბოელებს ჩემი თანაგრძნობა გადაეცით. დასანანია, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან ასე შორს ვიმყოფებით და მე არ შემიძლია მასზე საუბრით ცოტაოდენი მაინც განუგეშოთ. გკოცნით ბევრს, გამაგრდით! თქვენ ესაჭიროებით ძვირფას ანატოლი პავლეს ძეს, რომელიც თავდადებით ზრუნავდა მასზე. სულით (და გულით) თქვენი მარია პრიტივიცი.

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42756)

მარიამ პრიტივიცის წერილი ირინა მაქარაშვილისადმი.

წერილის დასაწყისში მიწერილია: 1 აგვისტო, 1953 წ. უფა (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემო კარგო და ძვირფასებო!

დიდ ბოდიშს გიხდით შეწყვეტილი წერილის გამო, მაგრამ გამოვაგზავნე, ვინაიდან ვშიშობდი რომ გამოსაგზავნი შემომრჩებოდა და ასე მოხდა კიდევ: მხოლოდ დღეს მომიხერხდა მისი გაგრძელება, რადგან გამუდმებით რაღაც-რაღაც საქმეები მიჩნდებოდა. ხან ვიღაცას ბიბლიოგრაფიული მონაცემების მონახვა-მოძიება სურს, ხან თარგმანია გასაკეთებელი, ხან ვსარგებლობ საოცარი ამინდით და ბაზარში ვსეირნობ. თქვენი საჩუქრის სამახსოვროდ ჩემთვის საოცარი ჩამოფასებული საფულე ვიყიდე, ასიგნაციებისათვის და ხურდა ფულისთვის, ასევე ჩემი ბინის მეპატრონისგან ძალიან ღამაზი ქუდი შევიძინე. შემეძლო თბილისშიც მესეირნა, მაგრამ ღმერთი ფრთებს არ იძლევა. გამოგიგზავნეთ ჩვენი ბაჭირელი დეპუტატის პოსკრებიშევისადმი<sup>36</sup> ჩემი წერილის ასლი, მე ის სტალინის ლექსიდან<sup>37</sup> მიცნობს და მიპასუხა, რომ მგელაძეს<sup>38</sup> გადაუგზავნა, მაგრამ საქართველოდან არანაირი პასუხი არ მოგვსვლია. ხელი ჩავიქნიე, რადგან ჩემი გაბრიყვების ბინძური მიზნით ჩემს მასალებს<sup>39</sup> ჰუბერტს<sup>40</sup> აძლევენ, რაც ცხადყოფს, რომ ისინი<sup>41</sup> მე უსუსურად მიმიჩნევენ.



აღნიშნული საქმე მოითხოვს საკითხის ისე დასმას, რომ ეს მასალები მეცნიერებათა აკადემიაში დაბრუნებას დაექვემდებაროს, მით უმეტეს, რომ პირველი რედაქცია ორ ეგზემპლარად არსებობს, რასაც უკვე განაღდებული, დამატებითი ბეჭდვითი სამუშაოები და ჯანაშიასთან აკადემიაში გამოცხადებები დასჭირდა. ყოველივე სამუშაო ფასეულობას წარმოადგენს, როგორც ბაშკირეთის მწერალთა კავშირის და კომპოზიტორთა კავშირის მიერ განაღდებული ბაშკირული მუსიკალური ნაწარმოებების სიტყვები (ტექსტები), რომელნიც სანოტო გამომცემლობის მიერ გამოუქვეყნებელი დარჩა. პავლეს ასულისგან<sup>42</sup> წერილი მივიღე. მე მასთან უფეხო ინვალდი ირაკლი ბრეგვაძე<sup>43</sup> უფიდან გავაგზავნე. მოხვდება ის იქ, თუ არა – არ ვიცი. ის კისლოვოდსკში მკურნალობდა და თბილისში ჩამოვიდა, სვერდლოვის 5-ში. მისი და თქვენთან სახლშია ნამყოფი. ის ალიოშას<sup>44</sup> მეგობარია. სანატორიუმთან დაკავშირებით სემიონის (სიმონი ?)<sup>45</sup> სახელის ხსენებამ გული ამიჩუყა. მე მას პირადად ვიცნობდი. ის ჩვენთან პროფესორი იყო და კარგად მეპყრობოდა, რადგან მისი და ჩემი თანამშრომელი იყო სკოლაში, ლენინგრადში. მისდამი მიძღვნილ სამგლოვიარო შეკრებაზე სიტყვითაც კი გამოვედი და ვახსენე თუ როგორ უყვარდა მას მუსიკა. ბოლოს მე ის ფოსტაში ვნახე, როდესაც აკადემიაში ჯანაშიას რუსთაველს<sup>46</sup> ვუგზავნიდი და მე მას უთხარი, რომ ყოველივე ამით<sup>47</sup> ცხოვრებისადმი ინტერესი დაკარგე, მან კი მითხრა: „არ დაიდარდოთ, თქვენ მუსიკა დაგრჩათ...“. ბევრი, ბევრი კარგი და საინტერესო მინახავს ცხოვრებაში და ყველაფრისათვის მაღლიერი ვარ. თქვენი წერილი კისლოვოდსკიდან ეტყობა 26-ში ჩამოვიდა, ის უფაში 31-ში გაიგზავნა. დაბადების დღისთვის ნატაშას<sup>48</sup> ტელეგრამა მივიღე ირკუტსკიდან: „ერთმანეთს მალე მოვინახულებთ“. სთხოვეთ ღიდას მითხრას, თუ როგორ უნდა მივწერო მას. ამ საქმეებში განსაკუთრებული კორექტულობაა საჭირო, რომლითაც მე, სამწუხაროდ, ვერ დავიკვებნი. ყველაფრისათვის მაღლობა, ხშირი შეხვედრებისთვის... ამ დღეებში მივწერ.

გკოცნით ბევრს, გამოკეთდით, თქვენი მეგობარი მარია პრ. (პრიტვიცი).

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42758)

მარიამ პრიტვიცის წერილი ირინა მაქარაშვილისადმი.

წერილის მარცხენა მხარეს ზემო ნაწილში მიწერილია – 9/VIII 1952 წ. უფა (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

კარგო და ძვირფასებო!

სულ ახლახანს თქვენი ღია ბარათი მივიღე, კისლოვოდსკთან კავშირი ბრწინვალეა. ამანათი მომივიდა და მეც სიამოვნებით ვაგემოვნებ. შემამცირეს და ჯანდაცვის სამინისტროს წერილობითი ბრძანებით 24 აგვისტომდე იძულებით შვებულებაში ვიმყოფები. რჩებიან მხოლოდ ის მუშაკები, რომელნიც თავისი განაკვეთით გათვალისწინებულ ფუნქციებს უშუალოდ ასრულებენ. მე კი ქირურგად ვითვლებოდი...<sup>49</sup> არც კი იცოდა, მაგრამ 1 აგვისტოდან შტატების შემცირების გამო განთავისუფლებული ვარ უცხო ენების კათედრიდან – „1952 წლის სასწავლო დატვირთვის შემცირების შედეგად და უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შტატების შესაბამისად თქვენ შტატების შემცირებას ექვემდებარებით, კუთვნილი მორიგი შვებულების გამოყენების უფლებით“. დირექტორმა მითხრა, რომ ჩემთან კავშირის განწყვეტას არ აპირებს. ლექსიკონების ჩემი მდიდარი კოლექციის და პირადი ნაშრომების ბიბლიოთეკის კაბინეტში დატოვების უფლება არ ჩამომერთვა. 13 მაისიდან მოხუცებულობის პენსიას ვიღებ, 200 რუბლს (ე.ი. თუ ვმუშაობ 150-ს). თუ „ვეფხისტყაოსანი“ მარცხს განიცდის<sup>50</sup>, მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას პენსიის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობის განცხადებით მივმართავ, რამეთუ ვარ უცხო ენებზე მისი თარგმნის ინიციატორი და ჩემი შრომა, რომელსაც 12 წელი შევალე, თუნდაც როგორც ბნკარედული თარგმანი, მომდევნო თარგმანებს წაადგება. ამა წლის ივლისში სამეცნიერო-მუშაკების სექციაში ჩემი მოღვაწეობის 25 წელი სრულდება და დავბეჭდავ სიას 1921 წლიდან 1935 წლის ჩათვლით იმ მუსიკალური ნაწარმოებებისა,<sup>51</sup> რომელთაც ასრულებენ და რომელნიც

უკვე დაბეჭდილია; უფაში ევაკუაციის დროს, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიისთვის ნათარგმნ 150 ნაშრომის სიას და ასევე ნაშრომებს ნავთობის შესახებ. ყოველივე ეს დიდ დროს წამართმევს, მაგრამ უნდა ვცადო, რომ ჩემი თანატოლის, შჩეპკინა-კუპერლიხის (?) მსგავსად არ მომივიდეს.<sup>52</sup> ამანათი მივიღე, დიდი მადლობა, ის ჩემს თავისუფალ დროს მრავალფეროვნებას სძენს. ჩვენთან ჯიხურში წყალი (ძაუ-სუარ) აღმოვაჩინე. მინდა ერთი ორი კვირა ვსვა, როგორც ჩვენ, ნინა დურმიშხანის ასულთან ერთად ბორჯომს ვსვამდით. ერთი პირობა ალიოშასთან<sup>53</sup> ხერსონში გამგზავრება დავაპირე, მაგრამ დაშინებული ვარ ამ მგზავრობით და სამი გადაჯდომით: მოსკოვი, ხარკოვი, კახოვკა. ჩვენთან აფრიკული სიცხეები დგას, 36-38 გრადუსს აღწევს. ალიოშამ ტექნიკური თარგმანით მიღებული გასამრჯელო – 450 რუბლი, გამომიგზავნა. ჩამოსვლა და აქედან მთელი ჩემი ქონებით წაყვანა სურს, მაგრამ მეშინია რომ ხერსონში მოწყენილობისგან ჩამოვხმები. ნატაშამ სტალინის სტიპენდია მიიღო. პრაქტიკას ხერსონში გადის და იქ 15 სექტემბრამდე იქნება. იქით მიმინევს გული, მაგრამ ვერ ვბედავ. სონია ავალიშვილმა<sup>54</sup> დღეს კვლავ 200 რუბლი გამომიგზავნა. ჭერჭერობით ვარსებობ, მხედველობაში ორი გაკვეთილი მაქვს გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში თუ აქ საათობრივი არ გამოვა – მითხრა ერთ დაწესებულებაში ვზრუნავ საამისოდ. ვშიშობ ჩემიანების შესანახი არ გავხდე. მატერიალურად და მორალურად არ მოვებზრდე მათ და მერე წასასვლელიც აღარსად მექნება. ზინა<sup>55</sup> საბეჭდი მანქანით არ დამეხმარება და სად ვირბინო მე-3 სართულიდან. მივესალმები ორბელიანის (თარგმანს)<sup>56</sup> და მისი გამოქვეყნების შემდეგ შემიძლია ჩემი გართმულის კორექტირება. სიმართლე ზეიმობს! კომპოზიტორ არსლანიშვილმა ხომ მითხრა, რომ ის (ორბელიანი?) მას შემდეგ ვითომდა აღარ ჩანს, რაც მოსკოვში თვითონ (არსლანიშვილმა) ჩაიყვანა. თქვენთან ერთხილად იყავით, – მითხრა მან. და მან (ორბელიანი?) ამოყვინთა! .....<sup>57</sup>

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42759)

მარიამ პრიტვიცის წერილი ირინა მაქარაშვილისადმი.

წერილი დაუთარილებელია. ტექსტი, სავარაუდოდ, ნინო ჟურულის გარდაცვალების შემდეგ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ძვისფასო იროჩკა!

მადლობას გიხდის ვრცელი წერილისათვის! ვხვდები თუ რასაც განიცდიდა შენი სული, როცა მწერდი! ამას მე წინასწარ ვგრძნობდი, შენ ისეთი პიროვნების პირისპირ აღმოჩნდი, როგორც ი...<sup>58</sup> არის, რომელმაც დაუყოვნებლივ, პირდაპირი შეტევა განახორციელა ჩემზე – განათლებულ მბეჭდავ-მემანქანეს გადაწერის საშუალება არ მისცა. მე ამ მარცხით არ გავნადგურებულვარ, რადგან ყოველივე, ბოლოს და ბოლოს ოთახის ყიდვის გაცრუებული იმედი. რამდენი შრომა გავწიე კარნახზე და კორექტირებაზე და როგორ მიღალატა ნუცუბიძემ<sup>59</sup> ხელნაწერებს დროულად რომ არ მანვდიდა! როგორ მიღალატა გოგუაძემ<sup>60</sup>, უფრო სწორედ გეგეჭკორმა<sup>61</sup> დროულად მბეჭდავ-მემანქანეს რომ არ ათავისუფლებდა. მე კი დღემდე კორექტირებული ეგზემპლარი (მეოთხე პირი) არ მიმიღია, არადა კვესელავა<sup>62</sup> ხომ დამპირდა. აქ ჩემთან ერთი გერმანელი იმყოფება, ნამდვილი, განათლებული, რომელსაც შეუძლია ნაშრომის დასრულება. ამიტომ ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნოთ ის (ეგზემპლარი), ამის თაობაზე კვესელავასაც ვწერ. უკეთესის იმედი არ მაქვს და ძველებურად ვმუშაობ. ნელ-ნელა გაკვეთილებით ვიტვირთები, წესრიგში მომყავს ჩემი აღჭურვილობა და მოწყობილობა. ჩემი მომსახურების ხარჯების დაფარვის გარდა, ზედმეტს არაფერს ვხარჯავ, ვიხდი ელექტროენერჯიის, წყლის და სხვა უგულებელყოფილ გადასახადებს. მეცნიერთა სახლის და კულტურის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საწევროს. ბედნიერი ვარ, რომ შემინარჩუნდა ჩემი პატარა მაგიდა ბიბლოთეკაში, ასევე ჩემი ძვირფასი კეთილშობილი კლიენტურა-მოწაფეები და გაკვეთილების თუ თარგმნის მსურველები. „ღუმლის საჩხრეკს“-ს (იგ. ბინის მეპატრონე) მოულოდნელად რამოდენიმე დღით ხმა ჩაუვარდა და... წინსწრებით ფული მომთხოვა, 10 აპრილის ჩათვლით. კომპოზიტორებმა 250 რუბლი უკვე გამომიწერეს,

მაგრამ მოლარე უპასპორტოდ დადის, რის გარეშე ბანკიდან ფული ვერ გამოაქვს. ხელფასი ჯერ თვალითაც არ მინახავს, რადგან კათედრამ (სხვა შენობაში იმყოფება) ცხრილები (უწყისები) არ მოამზადა. რა მეშველებოდა ფულს რომ არ ვშოულობდე. გადაეცით საყვარელ ულიჩკა სუმბატოვას<sup>63</sup> ჩემი თანაგრძნობა გაბუჩილ-ის (?)<sup>64</sup> გარდაცვალების გამო. ძვირფასი ადამიანი იყო! ტელეგრამას გავგზავნიდი, რომ არა მარცხი რუსთაველთან დაკავშირებით. ხოლო, ლეონიძეს<sup>65</sup>, მოზდოკიელის<sup>66</sup> თხოვნით, ტელეგრამით მოკითხვა შევუთვალე! თვით მოზდოკიელს ჯერ არ ვწერ, ცნობები აკსაკოვების<sup>67</sup> შესახებ ვერ მოვიპოვე, რომელთაც ის მთხოვდა. კუტუბას<sup>68</sup> ვუგზავნი ლენინის პორტრეტს ალბომისათვის, ხოლო გულსუნდას<sup>69</sup> ჯერჯერობით მხოლოდ კოცნას. ალიოშამ გული ამიჩუყა – გამომიგზავნა დიდი ზომის პორტრეტი, სადაც ახალგაზრდა სტალინი რუსთაველს კითხულობს. ყველაზე მეტად ისინი მეცოდებიან. აფიქრებთ ჩემ უზრუნველყოფა. ჩვენთან ჯერ ისევ თოვლი დევს, ხანდახან დნება. თბილ ჩექმებს ვხმარობ დეიდა მაშურასთან<sup>70</sup> ერთად რომ ვიყიდე. ჩემს ყავისფერ პალტოზე ვარიამ<sup>71</sup> მაჩვის საყელო ბუნვის ყელსახვევით ჩაანაცვლა. მასში ამჟამად მცხელა კიდევ. მეტად მოხარული ვარ, რომ სონია ავალიშვილთან<sup>72</sup> იყავი, გორში ტელეფონით ხმა მიანვდინე, რომ გამოგზავნილი მივიღე და რომ მე ის ნამადგა. მთელი ჩემი ეპოპეა საქართველოში გასაოცარ სიზმრად მეჩვენება. მე აქ მეორე ოჯახი შევიძინე. ძვირფას ელენე პავლეს ასულს<sup>73</sup> გადაეცით, რომ მისი რჩევა-დარიგებები მახსოვს და ახალი შეხვედრისათვის თავს ვინახავ. მადლობას ვუხდით მას იმ პირველი წერილისთვის, რომელიც საქართველოდან გამგზავრების შემდეგ გამომიგზავნა. ბოდიშს ვუხდით ტოლიას<sup>74</sup> ჩემი მიზეზით ატეხილი აურზაურის გამო. ხოლო რაც შეეხება კვესელავას და გერმანელ ქალს<sup>75</sup>, ხომ ხედავთ როგორი კრისტალური სინძინდის ადამიანები არიან. ვწუხვარ, რომ ისინი ამგვარ სიტუაციებში ჩავითრიე. გადაეცით ნუცუბიძეს, რომ მე მას ყრილობის წინა დღეს ვურეკავდი, ხოლო თვით ყრილობის დღეს არ შემეძლო, რადგან ცკ მდივნებისადმი მიძღვნას ვწერდი. უთხარით, რომ განსასჯელად ფრანგულ ენაზე მისი ნათარგმნის ჩემეულ ვარიაციებს გამოვუგზავნი, რათა მან საკუთარი აზრი გამოთქვას. რაც გერმანულისთვის არ გაუკეთებია. მანამდე დაე, ზეობდეს რუსთაველი, რომელიც დღესაც კი უიმედო მომავლის შესახებ ჩემს მძიმე ფიქრებს აქარწყლებს. მაგრად გკოცნით თქვენ ყველას, სულით (და გულით) ვარ თქვენი მადლიერი მ.პ. (მარიამ პრიტვიცი).

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42760)

მარიამ პრიტვიციის ტელეგრამა ირინა მაქარაშვილი-კიზირიასადმი (რუსულ ენაზე).

დათარიღებულია 21.11. 1953 წ.

ადრესატი - თბილისი პეროსკაიას 8. კიზირიას

გამგზავნი - უფა, მარია

„(ამ) ხსოვნის დღეს ვიზიარებ საერთო მწუხარებას სამი კრისტალური სულის – დედის<sup>76</sup> ნიკუშას<sup>77</sup> ოლიას<sup>78</sup> გამო“

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42763)

მარიამ პრიტვიციის წერილი ირინა მაქარაშვილისადმი.

მარჯვენა მხარეს წერილს აქვს მინაწერი: უფა, 9 აგვ. 1954 წ., (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ჩემი საყვარელო, ძვირფასო ირინოჩკა! მივესალმები შენს დაბრუნებას თბილისში. მადლობას გიხდით ღია ბარათისათვის, ველოდები დაპირებულ წერილს და მასთან ერთად რჩევა-დარიგებას, თუ შემდგომ როგორ მოვიქცე. რუსთაველზე განეული სამუშაოსათვის კვესელავასთან ერთად მეც ხომ უნდა დავეჭილდოვებინე და ასევე იმისთვისაც, რომ ისარგებლეს ჩემი ნაშრომით, როგორც ბნკარედული თარგმანით. ვინაიდან მასალები

გადასცეს ჰუპერტს, მე არ შემძლია გადმოგცე ყოველივე ის, რაც განვიცადე უცხო ენათა ინსტიტუტის მასწავლებლების და მწერალთა კავშირის წარმომადგენელთა არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებით, რომელნიც მტრულად დამხვდნენ. ტოლიამ<sup>79</sup> მირჩიოს როგორ მოვიქცე ისე მშვიდათ, რომ სხვების დასაცინი არ გავხდე. ძალიან ვწუხვარ, რომ მწერალთა ყრილობის დროს დაკავებული ვიყავი სამუშაოთი ტრეხომატოზული ინსტიტუტისათვის და თან საკუთარ მხედველობას არ ვზოგავდი. აფრიკული სიცხე იდგა და მე სახლში ვმუშაობდი. სასაცილოა, თვალებს არ ვზოგავდი და გაზეთებს არ ვკითხულობდი<sup>80</sup>. მწერლები კი ფიქრობდნენ, რომ მე ვიცოდი და გაკვირვებულნი იყვნენ, რომ არ მივდი. არადა, იქ გულიაც<sup>81</sup> იყო, „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ-ერთი რედაქტორი. მისი შემოქმედება, თავისი გულრწველობით ძალიან მომწონს (ნუთუ თვითონ ის არის, ან შვილი, ან მოგვარე ხომ არაა მისი). თავს კარგად ვგრძნობ. მხნედ ვარ, რწმენით ვუყურებ ამ ცხოვრებას, ვმოდრაობ ელენე პავლეს ასულის მსგავსად და მაინც ისევ ისეთი მოუსვენარი ვარ. ყველაფერი კარგად იქნებოდა ბინის მეპატრონეს, ჩემი აქედან მოშორების სურვილი რომ არ ქონდეს. გასული ზამთრის განმავლობაში მას თითქმის არ დაუთბია საცხოვრებელი, ეხლა კი კატეგორიულად განმიცხადა, რომ გამყინავს და დასათბობად ჩემთან არავის არ შემოუშვებს. ახალგაზრდები თავისი დამოკიდებულებით, მეტად მანებივრებენ. ვიდრე ჭანმრთელი ვარ ალიოშასთან გადასვლის მეშინია. იქ ხომ არავინ სულიერი არ მეყოლება, ხოლო ახალი ნაცნობების შექმნის უფლებას არ მომცემენ. ჩემი დაბადების დღისთვის ტელეგრამა გამომიგზავნეს, სიტყვებით „გწერთ“, მაგრამ წერილი დღემდე არ ჩანს. ნატაშამ ჩემი დაბადების დღისთვისაც კი არ მომწერა. მოსკოვიდან შემატყობინეს, რომ ის „ლაშქრობაში წავიდა“, ხოლო სად – უცნობია. ყოველივეს გულთან ახლოს მიტანას მე თავი უკვე დავანებე და მხოლოდ იმით ვხარობ, რომ მე ყველაფერი ისევ ისე კარგად მაქვს. ამ დღეებში დავეცი, საფეთქელი დავარტყი და მტრედის კვერცხის ზომის კოპი ამომივიდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. უფრო გავმხნევი კიდევ. ამჟამად სხვა ბინას ვეძებ, მაგრამ ყოველივე ძნელად მოსაგვარებელია. მინდა იყოს ცენტრი, პირველი სართული, წყალი შორი-ახლოს, არაიზოლირებული, მეპატრონეების მიერ დათუნებული, ინგლისური კეთილმოწყობა, ტელეფონი სადმე ახლოს, საავადმყოფოები შორი-ახლოს. ხოლო ასეთი თუ მოვნახე, ძალიან ძვირი იქნება. მე ხომ ისედაც მთელ პენსიას ვიხდი. მოკითხვა ყველა მეგობარს. სულითა და გულით ვგულშემატკივრობ ნატაშა ლომოურს.<sup>82</sup> მომწერეთ სიმონიკოს<sup>83</sup> გვარი და მისამართი რომ მას მივულოცო.

გკოცნით მაგრად მარია  
(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42761)

მარიამ პრიტვიცის წერილი ირინა მაქარაშვილისადმი. (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

ადრესატი - ჩრდ. კავკასია, კისლოვოდსკი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანატორიუმი, ოთახი 7. ირინა ილიას-ას კიზირიას.

გამგზავნი - უფა, ბაშკ. ასსრ, ლენინის ქუჩა, სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლოთეკა. პრიტვიცი.

ძვირფასო ირინა! მადლობას გიხდით მეორე ღია ბარათისთვის, ყოველივე ცხადყოფს, რომ კურორტზე ყოფნის დროსაც კი ძველ მეგობრებს არ ივიწყებთ. ამჟამად უფა კურორტივითაა. უკვე მესამე თვეა რაც მუდმივად მზიანი ამინდებია და ყველაფერი სიმწვანეშია. მე თქვენ შეკვეთილი, წერილი გამოგიგზავნეთ, ამით თქვენი ზედმეტად შეწუხება არ მინდოდა, უბრალოდ, მინდოდა, რომ სრული წარმოდგენა გქონოდათ ჩემს შევიწროებაზე. თბილისში რომ იქნებით ის წერილი სონია მაჭავარიანს<sup>84</sup> გადაეცით, რათა მან აკადემიაში გაარკვიოს, თუ რა დასკვნა გამომიტანეს. ორთავს მაგრად. გკოცნით, მარია.

მინაწერი: „ბამბის მოყვანის დარგის სანატორიუმში მოიკითხეთ ჩემი დანართიანი წერილები!!“

(ფონდი I, საქმე, 135, ბ. 42763)

**დანართი №2.**

ალიოშას (მარიამ პრიტვიცის ვაჟის) წერილი ირინა მაქარაშვილისადმი (ხელნაწერი, რუსულ ენაზე).

წერილს დასაწყისში მიწერილი აქვს თარიღი: 1949 წლის 16 ოქტომბერი.

ძვირფასო ირა!

მე და ზინა<sup>85</sup> გულწრფელ და უღრმეს მადლიერებას გამოვთქვამთ ჩვენი ნატაშას<sup>86</sup> არბოში მიწვევის და მასპინძლობის გამო. მისი აღტაცებით სავსე წერილები და საუბრები არბოს მონახულების შესახებ მოწმობენ იმას, თუ რა უდიდესი სიამოვნება მიიღო შენთან, ელ. პავლეს ასულის<sup>87</sup> და ანატოლი პავლეს ძის<sup>88</sup> „შეგნებული“ გაცნობით. მარია ვიქტორის ასულთან<sup>89</sup> შეხვედრით, არბოში ყოფნით და იქაურების ნახვით.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს შთაბეჭდილება, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოგონება, მის მახსოვრებაში სამუდამოდ დარჩება. როგორც თქვენ ხართ, მხოლოდ ისეთ გულწრფელ მეგობრებს შეუძლიათ ამდენი სიამოვნების მინიჭება.

ბოდიშს მოგიხდით ადრე რომ არ მოგწერეთ. ნატაშა ჩამოვიდა და რამოდენიმე დღეში მოსკოვს გაემგზავრა. გადავწყვიტე, გავიგებდი თუ არა მოსკოვში მისი დაბინავების შესახებ, მაშინვე მოგწერდით. მაგრამ წერილები მაგრად იგვიანებენ! აგერ შენი, 3 ოქტომბერს გამოგზავნილი ღია ბარათი, ჩვენთან 15 ოქტომბერს ჩამოვიდა, თანაც „ავია“-ს მეშვეობით გამოგზავნილი. სხვა წერილებთან დაკავშირებითაც იგივე ხდება. ნატაშამ მოგწერა „ავია“-ს მეშვეობით გაგზავნაზე ნუ დაიხარჯებით, წერილები ისევე ნელა, ზოზინით მოძრაობენო.

ნატაშამ ბინა სამჯერ გამოიცვალა და როგორც იქნა მეგობარ გოგონასთან ერთად კარგად მოეწყო: მყუდრო ოთახში, ყველა პირობებით (კვება, რეცხვა, დალაგება) არც ისე ძვირად - თვეში 550 რუბლი თითოეულისგან.

ინსტიტუტში მეცადინეობს და ძალიან ბევრს ხაზავს, მაგრამ ფიზკულტურასაც არ ივიწყებს. ინსტიტუტში პირველი ადგილი დაიკავა ცურვაში, შუბისა და დისკოს ტყორცნაში, მეორე - ბადროს ტყორცნაში. ძალიან უნდა ზამთარში ციგურებით სრიალი, მხნედაა განწყობილი, მაგრამ როგორც ჩანს, ტექნიკური სპეციალობა მაინც და მაინც არ მოსწონს და, შესაძლებელია, ინსტიტუტი გამოიცვალოს.

ვიდრე დაბინავდებოდა საყოფაცხოვრებო საკითხების გაძლოლა ძალიან უჭირდა. ბევრი დრო მისდიოდა. ამჟამად კი შეუმსუბუქდა და, ვფიქრობ, თვითონ მალევე მოგწერთ. ნატაშას ეგონა, რომ მოსკოვში მარია ვიქტორის ასულს<sup>90</sup> შეხვდებოდა და ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც თქვენი ღია ბარათიდან შევითქვეთ, რომ ის ჯერ კიდევ თბილისშია და მისი წარმატებებით მოხარული დავრჩით. მარიამის მრავალწლიანმა გულმოდგინე და შეუპოვარმა შრომამ, როგორც იქნა მატერიალური შედეგი გამოიღო. რას გაიხარებდა ნინა დურმიშხანის ასული!

როგორ მიდის ენებთან<sup>91</sup> დაკავშირებული შენი საქმეები? (აღნიშნულის თაობაზე) არასოდეს არ მოგიწერია. ის რაც ადრე ვიცოდი, მეც ნელ-ნელა მავიწყდება.

ჩვენ ისევ ისე, ყოველდღიურ შრომაში ვართ, რითაც ჩვენსა და ნატაშას ცხოვრებას ვუზრუნველვყოფთ. მეგობრები არ გვყავს, იმის გამო, რომ ქალაქის განაპირას ვცხოვრობთ, კინოში ან თეატრში წასასვლელად ადრე გამოსვლა გვიწევს.

სამაგიეროთ ჯანმრთელნი ვართ, მხნედ ვართ, ვართ მხიარულნი, მეგობრულნი, დანაყრებულნი, ნატაშას ზრდასა და განვითარებას შევხარით და მისი მომავლით ვცხოვრობთ.

მან ყველა თქვენგანი გულწრფელად შეიყვარა და წერილებში თქვენს ამბავს კითხულობს. ახლახან კი არბოელი გოგონებისგან წერილი მიიღო.

მომწერე ხოლმე ძვირფასი იროჩკა და მეც შევეცდები გამოვსწორდე და უფრო რეგულარულად გიპასუხო. მომიკითხე ელენა პავლეს ასული და ანატოლი პავლეს ძე, ნასტენკა<sup>92</sup> და თუ ჯერ ისევ თქვენთანაა დამიკოცნე მარია ვიქტორის ასული და ეს წერილი წაუკითხე.

მაგრად, მაგრად გკოცნი და გულითად მადლობას გიხდის, ალიოშა.

P.S კარგი იქნება თუ მედალს<sup>93</sup> ფასიან ამანათში ჩადებთ და ისე გამოგზავნით.

(ფონდი I, საქმე 135, ბ. 42763)

## შენიშვნები

- 1 როგორც მივუთითებდით, იგი 1893-1894 წლებში დრეზდენის ქალთა პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. პრიტვიცს წინაპრებიც გერმანელები ჰყავდა (ხოტივარი-იუნგერი 2014).
- 2 იგულისხმება ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი აკად. შ. ნუცუბიძე (1888-1969).
- 3 იგულისხმება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. ნ. მუსხელიშვილი. (1891-1976).
- 4 იგულისხმება აკად. ს. ჯანაშია (1900-1947).
- 5 იგულისხმება მარიამ პრიტვიცის ვაჟი.
- 6 მარიამ პრიტვიცის ვაჟის ალიოშას მეუღლე.
- 7 იგულისხმება მარიამ პრიტვიცის შვილიშვილი.
- 8 რუსულ ტექსტში ასე წერია, შესაძლებელია, მარიამ პრიტვიცი ძველი სტილით ახალ წელს გულისხმობდა.
- 9 იგულისხმება ნინოს ქალიშვილი - ირინა მაქარაშვილი.
- 10 იგულისხმება საფრანგეთში მცხოვრები ნინო ჟურულის უმცროსი ვაჟი მიხეილ მაქარაშვილი.
- 11 წერილი, სავარაუდოდ, 1947-1948 წლებშია დაწერილია, რადგან საუბარია აკად. ს. ჯანაშიას სახელის უკვდავყოფაზე. ს. ჯანაშია 1947 წელს გარდაიცვალა, ხოლო ნ. ჟურული, აღნიშნული წერილის ადრესატი, 1948 წელს.
- 12 იგულისხმება მარიამ პრიტვიცის შვილიშვილი.
- 13 1940-1947 წლებში უფაში მარიამ პრიტვიცის მიერ გერმანულ ენაზე გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ საზოგადოებისთვის უცნობი იყო. იგი თითქმის ექვსი ათეული წელი ინახებოდა საწერი მაგიდის უჭრაში, ვიდრე გერმანელმა მეცნიერმა შტეფი ხოტივარი-იუნგერმა არ მიაკვლია აკად. ელგუჯა ხინთიბიძის დახმარებით (ხოტივარი-იუნგერი 2014). „ვეფხისტყაოსნის“ მარიამ პრიტვიცისეული თარგმანი საქართველოში სამენოვანი წინასიტყვაობით (ქართული, რუსული, გერმანული) გამოიცა (ხოტივარი-იუნგერი 2005).
- 14 ირინა მაქარაშვილს ს. ჯანაშიას მეუღლესთან – მართა მაჩაბელთან დიდი ხნის მეგობრობა ჰქონდა. მათ ერთად დაამთავრეს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია. ირინა მაქარაშვილს ჯანაშიებთან ნათელ-მირონობაც აკავშირებდა. ის ს. ჯანაშიას და მ. მაჩაბლის ვაჟის - ლაშა ჯანაშიას ნათლია იყო. აღნიშნული ინფორმაცია მოგვანოდა რუსუდან ჯანაშიას რძალმა ქალბატონმა თამარ გუჯაბიძემ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.
- 15 დუკუმენტში უზუსტობაა. გენერალ ილია მაქარაშვილის გარდაცვალების თარიღი, როგორც მისი ეპიტაფიიდან ირკვევა, მითითებული 1917 წლის ნაცვლად არის 1912 წელი.
- 16 დოკუმენტში, რომელიც 1927 წლით არის დათარიღებული, მითითებულია მინის რეფორმის თარიღი 1921-1928 წ.წ., რაც, ცხადია, უზუსტობაა.
- 17 იგულისხმება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული.
- 18 ვერ იკითხება.
- 19 გაურკვეველია.
- 20 ვერ იკითხება.
- 21 ვერ იკითხება, გაურკვეველია რას გულისხმობს.
- 22 არ იკითხება.
- 23 წერილის ავტორი არ აკონკრეტებს ჩამოთვლილ პიროვნებებს.
- 24 ვერ იკითხება.
- 25 ვერ იკითხება.
- 26 ვერ იკითხება.
- 27 ვერ იკითხება.
- 28 ვერ იკითხება.
- 29 იგულისხმება ირინას მეუღლე ანატოლი კიზირია.
- 30 ტექსტის ნაწილი ვერ იკითხება. საუბარია სამშენებლო სამუშაოებზე. მშენებლობის ატრიბუტებზე და მათ ღირებულებაზე.
- 31 პატარა ლიახვის ხეობაში, არბოს მეზობლად არსებული სოფელი.

- 32 იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეუღლის ანატოლი კიზირიას და ელენე პავლეს ასული კიზირია.
- 33 რუსეთის ფედერაციის ახლანდელი ქალაქი სამარა.
- 34 იგულისხმება აკად. ს. ჯანაშია (1900-1947).
- 35 იგულისხმება აკად. ნ. მუსხელიშვილი (1891-1976).
- 36 იგულისხმება კომუნისტი პოლიტიკოსი, სტალინთან დაახლოვებული ალექსანდრე პოსკრებიშევი (1891-1965), რომელიც ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი დეპუტატი იყო უმაღლეს საბჭოში.
- 37 რუსულ ტექსტში ბუნდოვნად წერია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მარიამ პრიტვიცს სტალინისადმი ლექსი ჰქონდა მიძღვნილი და ალექსანდრე პოსკრებიშევი მას სწორედ ამ ლექსით იცნობდა.
- 38 იგულისხმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ. კომიტეტის პირველი მდივანი ა. მგელაძე (1910-1980).
- 39 იგულისხმება მარიამ პრიტვიცის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი.
- 40 იგულისხმება ავსტრიელი მეცნიერი, მთარგმნელი და პოეტი ჰუგო ჰუბერტი (1902-1982), რომელმაც გერმანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (ქსე 1987: 697).
- 41 გულისხმობს ქართველ მეცნიერებს.
- 42 გულისხმობს ანატოლი კიზირიას დას – ელენეს.
- 43 ვერ დავადგინეთ.
- 44 გულისხმობს შვილს.
- 45 ვერ დავადგინეთ.
- 46 გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს.
- 47 სავარაუდოდ, თარგმნის დასრულებას გულისხმობს.
- 48 გულისხმობს თავის შვილიშვილს.
- 49 არ იკითხება.
- 50 გულისხმობს მის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებულ გამოუქვეყნებელ თარგმანს.
- 51 გულისხმობს თავის გადათარგმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებს.
- 52 ვერ დავადგინეთ.
- 53 იგულისხმება მარიამ პრიტვიცის შვილი.
- 54 ვერ დავადგინეთ.
- 55 გულისხმობს რძალს.
- 56 გაურკვეველია რას გულისხმობს.
- 57 აქ წერილი წყდება, აზრი დამთავრებული არ არის.
- 58 ვერ იკითხება, გაურკვეველია ვის გულისხმობს.
- 59 იგულისხმება აკად. შ. ნუსტუბიძე (1888-1969).
- 60 ვერ დავადგინეთ.
- 61 ვერ დავადგინეთ.
- 62 იგულისხმება ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და მთარგმნელი მ. კვესელავა (1913-1981).
- 63 საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ელენე ბუჭყიაშვილი-სუმბათაშვილის ფოტო, თუმცა დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. [https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3941/browse?type=owner&sort\\_by=1&order=ASC&rpp=20&etal=-1&value=ნატო+ფირცხალავა&offset=200](https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3941/browse?type=owner&sort_by=1&order=ASC&rpp=20&etal=-1&value=ნატო+ფირცხალავა&offset=200)
- 64 გაურკვეველია, ვინ იგულისხმება.
- 65 სავარაუდოდ, გულისხმობს პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს (1899-1966).
- 66 გაურკვეველია ვის გულისხმობს.
- 67 გაურკვეველია ვის გულისხმობს.
- 68 გაურკვეველია ვინ იგულისხმება.
- 69 გაურკვეველია ვის გულისხმობს.
- 70 აღნიშნულ პიროვნებას იხსენიებს ასევე თავის წერილებში დურმიშხან გიორგის ძე ჟურული. თუმცა დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

- 71 გაურკვეველია ვის გულისხმობს.  
 72 ვერ დავადგინეთ.  
 73 იგულისხმება ანატოლი კიზირიას და.  
 74 გულისხმობს ანატოლი კიზირიას.  
 75 ვერ დავადგინეთ ვის გულისხმობს.  
 76 იგულისხმება ნინო დურმიშხანის ასული ჟურული.  
 77 იგულისხმება ირინა მაქარაშვილის ძმა – 1917 წელს შამქორში დაღუპული ნიკუშა მაქარაშვილი.  
 78 ვერ დავადგინეთ.  
 79 იგულისხმება ირინა მაქარაშვილი მეუღლე ანატოლი კიზირია.  
 80 აქ აზრი გაუმართავია.  
 81 სავარაუდოდ, იგულისხმება ცნობილი აფხაზი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად მთარგმნელი დიმიტრი გულია (1874-1960).  
 82 ვერ დავადგინეთ.  
 83 ვერ დავადგინეთ  
 84 ვერ დავადგინეთ. მოიძებნა მხოლოდ 1866 წელს საჩხერის „უჩასტკის ნაჩალნიკის“ სამსონ მაჭავარიანის ქალიშვილი (საქართველოს პროსოპოგრაფია; <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/26643>).  
 85 ალიოშა მაქარაშვილის მეუღლე.  
 86 გულისხმობს თავის შვილს.  
 87 იგულისხმება ანატოლი კიზირიას და ელენე პავლეს ასული კიზირია.  
 88 იგულისხმება ირინა მაქარაშვილის მეუღლე ანატოლი კიზირია.  
 89 იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი მარიამ პრიტვიცი.  
 90 იგულისხმება მარიამ პრიტვიცი.  
 91 იგულისხმება უცხო ენების შესწავლა.  
 92 ვერ დავადგინეთ.  
 93 უცნობია რა მედალზეა საუბარი.

## დამონმებანი

- თევდორაძე 2010:** ც. თევდორაძე. ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ. *დიგეხატუხა და ხელოვნება*. №10.
- ნაცვლიშვილი 1992:** პ. ნაცვლიშვილი. მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო. *სამშობლო*. მაისი.
- საქართველოს პროსოპოგრაფია:** სამსონ მაჭავარიანი. ვებგვერდი: <https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/33046-samson-machavariani>
- ფონდი I:** საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი, I, საქმე 135, ბ. 4276; 42756; 42757; 42758; 42759; 42760; 42763; 42761; 42763; 427563.
- ფონდი №2:** საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №2, ანაწერი №1, საქმე № 495, ფურც. 16.
- ფონდი №4** საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №4, ანაწერი №1, საქმე №135, ფურც. 23.
- ქსე 1987:** *ქახთუდი საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ., 11, თბილისი.
- ხოტივარი-იუნგერი 2005:** Ш. Хотивари-Юнгер, Предисловие: *Shota Rustaveli, Der Ritter im Tigerfell* (translated by Marie Pritwitz), Tbilisi-Berlin.
- ხოტივარი-იუნგერი 2014:** შ. ხოტივარი-იუნგერი. რუსთაველის თხზულების დღეისათვის არსებული გერმანული თარგმანები. *ქახთვედროლოგი*, №5. ვებგვერდი: <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/archive/8/1> (ნანახია: 23.09.2023).
- ჯანაშია 2003:** რ. ჯანაშია. არდავინყება მოყვრისა. *ბუჩქი ეხოვნებისა*. №5-6.



## THE UNKNOWN LETTERS OF MARIE PRITTWITZ TO THE MAKARASHVILI FAMILY

**Giorgi Sosiashvili**

Gori State University.

giorgisosiashvili@gmail.com

The translator of “The Knight in the Panther’s Skin” into German, Marie Prittwitz (née Huber) had the close relationship with the family of the Minister of Finance and Trade and Industry of the First Republic of Georgia, Giorgi Zhuruli. Marie was born on July 2<sup>nd</sup>, 1876 in the city of Chisinau, Bessarabia governorate. She graduated from the 8<sup>th</sup> grade of St. Mary’s General Gymnasium in Odessa. She then studied at the Women’s First Lyceum in Dresden, majoring in mathematics and geography. M. Prittwitz received a wide humanitarian and technical education, which was facilitated by the innate talent for mastering foreign languages. She spoke several languages, including: French, Italian, Romanian, Latin, Polish, Russian, German, English. M. Prittwitz started her scientific work in 1918, and literary work in 1894. M. Prittwitz often visited the family of Nino Zhuruli in Tbilisi, as well as in Arbo. It was during her stay in Arbo that Nino Zhuruli advised Marie to translate “The Knight in the Panther’s Skin” into German. Marie Prittwitz maintained her friendly relationship with Nino Zhuruli after leaving Georgia. She sent a number of letters to her Georgian friend, where she warmly reminisces the episodes of her visits, especially the days spent in the native village of Nino Zhuruli – Arbo. As we mentioned, Marie Prittwitz was inspired by Nino Zhuruli to translate “The Knight in the Panther’s Skin” into German. The Georgian Academy of Sciences was also interested in retelling the immortal poem of Shota Rustaveli in German, although communication between Marie Prittwitz and Georgian scholars was hampered. Prittwitz’s honorarium was delayed. It turns out that Nino Zhuruli had close relations with Georgian scientists Sh. Nutsubidze and S. Janashia, and the Moldavian translator asked her Georgian friend to encourage the relations with representatives of the Georgian Academy of Sciences. The friendship between Marie Prittwitz and Nino Zhuruli continued, evident in several cards of the German translator of “The Knight in the Panther’s Skin”.

Marie Prittwitz, living in Ufa, continued her translation work, and her translated literary texts were published in various literary periodicals. From time to time, she sent published translations to her friend Nino Zhuruli in Georgia.

After the death of Nino Zhuruli, Marie Prittwitz continued a close relationship with Nino’s daughter – Irina Makarashvili and her husband Anatoli Kiziria. This friendship originated from the relationship between Marie and Nino.

**წყაროთა თარგმანი  
და წარდგინება**

**TRANSLATION AND  
PRESENTATION OF SOURCES**



## პეტრე ბუტკოვი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შესახებ

**დავით მერკვილაძე**  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
datomerkvila@yahoo.com

**ერეკლე ხუციშვილი**  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
ektbilisi@yahoo.com

რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიით გატაცებული სწავლულის, პეტრე ბუტკოვის (1775-1857) ნაშრომი, „მასალები კავკასიის ისტორიისათვის 1722-1803 წლებში“, მრავალ საყურადღებო ეპიზოდს შეიცავს საქართველოს ისტორიიდან. ავტორის გარდაცვალების შემდგომ მისი ხელნაწერი ნაშრომი ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოს შესრულების შემდეგ, 1869 წელს ორ ტომად გამოსცა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (ბუტკოვი 1869ა); (ბუტკოვი 1869ბ).

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ წინა ნომერში ჩვენ გამოვაქვეყნეთ პეტრე ბუტკოვის ნაშრომის იმ ნაწილის თარგმანი, სადაც საუბარია ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მფარველობაში მიღების თხოვნის შესახებ (მერკვილაძე 2022: 245-251). ამჯერად მკითხველის წინაშე წარმოვადგენთ ამ მონაკვეთის გაგრძელებას, სადაც მოთხრობილია რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების (სინამდვილეში კი ამ ქართული სამეფოს იმპერიის ვასალად გადაქცევის) გადაწყვეტილებისა და სათანადო ხელშეკრულების გაფორმების დეტალების შესახებ. პ. ბუტკოვს მოაქვს ტრაქტატის ტექსტი მუხლობრივად. მკითხველი აქვე იხილავს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ სხვა საყურადღებო საკითხებსაც.

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ და წარმოადგენს ბუტკოვის დასახელებული ნაშრომის 107-109 თავებს. დართული განმარტებების ნაწილი ეკუთვნის ნაშრომის პირველ გამომცემლებს, ნაწილი – მთარგმნელებს.

### თავი 107

1782 წლის 29 დეკემბერს ერეკლე მეფესთან ტრაქტატის დადებაზე უმაღლესი ნებართვა<sup>1</sup> გაიცა. 1783 წლის 3 აპრილს თავად პოტიომკინისაგან<sup>2</sup> მეფესთან გაიგზავნა ტრაქტატის პროექტი პოდპოლკოვნიკ ტომარასთან<sup>3</sup> ერთად.

მეფეს, რომელმაც ნახა, რომ ამ მონახაზში მისი ყველა თხოვნა დაკმაყოფილებული, და მისთვის ბევრად მეტიც იყო გაკეთებული, ვიდრე მას შეეძლო ესურვა, განსაკუთრებით – მის მიერ გასაღები ხარკის მის სარგებლობაში დატოვებითურთ, ამ მუხლების მიღება არ გასძნელებია.

თავადმა პოტიომკინმა მიიღო უმაღლესი ბრძანება, მეფე ერეკლესთან დაედო ტრაქტატი, ვისი მეშვეობითაც კი გადაწყვეტდა. მანაც ამ საქმის აღსასრულებლად კავკასიის ჯარების მეთაური, გენერალ-პორუჩიკი პავლე სერგეის ძე პოტიომკინი გამოარჩია და ამ საქმის საწარმოებლად მას მიამაგრა პოდპოლკოვნიკი ტომარა. ერეკლე მეფემ კი პოტიომკინთან გეორგიევსკში რწმუნებულებით გამოგზავნა მარცხენა ფრთის სარდალი, თავადი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი და თავისი გენერალ-ადიუტანტი, თავადი ჭავჭავაძე.<sup>4</sup>

როდესაც ორივე მხარის რწმუნებულები გეორგიევსკში ტრაქტატის გაფორმებით იყვნენ დაკავებულნი, თავადმა პოტიომკინმა ნახა, რომ დოქტორი რაინეგსი<sup>5</sup> საქმეებში ძალზე თავქარიანი და ტრაბახა, თუმცა კი გულმოდგინე იყო,<sup>6</sup> საქართველოსა<sup>7</sup> და იმერეთში ერეკლე და სოლომონ მეფეებთან თავის კომისიონერად დანიშნა პოლკოვნიკი ბურნაშევი.<sup>8</sup> როცა მან 1783 წლის 3 აპრილს დოქტორ რაინეგსისგან საქმეების ჩაბარების თაობაზე მიიღო ბრძანება და თავად პოტიომკინის სიგელები ორივე მეფისათვის [გადასაცემად], საქართველოში გაემგზავრა იმავე წლის მაისში. მასთან დასარჩენად გამოიყო 20 კაზაკი.

თავად პოტიომკინისგან მისთვის მიცემული დავალება, პოლიტიკური მიზნების გარდა, უმთავრესად შეიცავდა იმას, რომ მას მოეხილა საქართველოსა და იმერეთის მიწების მდგომარეობა. მათი უსაფრთხოებისთვის საზღვრებზე საჭირო სიმაგრეების მოსაწყობად. საამისოდ, მიწების დათვალიერების შემდგომ, მას უნდა აღენერა მათი საზღვრები და შეედგინა რუკა, თუ სად იყო საჭირო, მეზობლებისგან ამ სახელმწიფოების დაცვის საჭიროება; დაეგეგმარებინა მცირე, თუმცა მეზობელთა შემოჭრისგან თავდასაცვად საკმარისი სიმაგრეები და ისინი თავად პოტიომკინისთვის წარედგინა.<sup>9</sup>

ამის შედეგად, ბურნაშევმა საჭიროდ მიიჩნია ორი ციხე-სიმაგრის აგება: ერთის – იმერეთში, ახალციხის გზაზე, მდინარე ხანისწყალთან, ბაღდათის დანგრეულ ციხე-სიმაგრესთან; მეორისა კი – კახეთში, ალაზნის თავზე, ქუმბათის წყაროსთან.<sup>10</sup> ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ორივე მათგანს რუსული ფულით 60 983 რუბლი და 90 კაპიკი, ქართულით კი 73 186 რუბლი და 60 კაპიკი ეჭიროებოდა. მაგრამ თავად პოტიომკინთან წარდგენილი ეს პროექტები პროექტებადვე დარჩა.

## თავი 108

1783 წლის 24 ივლისს, იმავე დროს, როცა ყირიმის ბედი წყდებოდა, რუსეთისა და საქართველოსგან რწმუნებულებმა გეორგიევსკში დადეს და ხელი მოაწერეს ტრაქტატის შემდეგ არტიკულებს, რაც აქ გამოკრებითაა მოტანილი:

**არტიკული 1.** ქართლისა და კახეთის მეფე თავისი, თავის მემკვიდრეთა და მონაცვლეთა სახელით სამუდამოდ ამბობს უარს ყოველგვარ ვასალობასა და, ან რა წოდებითაც არ უნდა იყოს, სპარსეთის, ან სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებულებაზე და თავისზე და მონაცვლეებზე არ აღიარებს სხვა თვითმპყრობელობას, გარდა სრულიად რუსეთის მონარქების უზენაესი ხელისუფლებისა და მფარველობისა; სრულიად რუსეთის ტახტს ჰპირდება ერთგულებასა და მზადყოფნას სახელმწიფოს სასარგებლოდ შეწევნისთვის ნებისმიერი შემთხვევისას, სადაც კი მას მოთხოვენ.

**არტიკული 2.** მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა, საკუთარ და თავის მონაცვლეთა სახელით, თანაბრადვე ჰპირდება და აიმედებს, რომ მათი მონყალება და მფარველობა ქართლისა და კახეთის მეფეებს არასოდეს მოაკლდებათ; რომლის დასამტკიცებლადაც მისი უდიდებულესობა იძლევა გარანტიას ერეკლე მეფის აწინდელ სამფლობელოთა მთლიანობის დაცვისა და ასეთი გარანტიის განვრცელებას იმ სამფლობელოებზეც მოიაზრებს, რომლებიც დროთა განმავლობაში გარემოებათა შედეგად იქნება შეძენილი და მისთვის (ერეკლესთვის – მთარგმნ.) მყარად დამტკიცებული.

**არტიკული 3.** ქართლისა და კახეთის მეფეებმა მემკვიდრეობით მეფედ შედგომისას ამის შესახებ მყისვე უნდა აუწყონ რუსეთის საიმპერატორო კარს და თავისი დესპანების მეშვეობით მეფობაზე საიმპერატორო დამტკიცება გამოითხოვონ ინვესტიტურასთან ერთად, რომელიც შედგება: სიგელის, დროშის სრულიად რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ხსენებული სამეფოების გერბია ჩახატული, ხმლის, საბრძანებელი კვერთხის და მანტიის, ანუ ყარყუმის მანტიისაგან.<sup>11</sup> ამ ნიშნების მიღებისას მეფემ რუსეთის მინისტრის<sup>12</sup> თანდასწრებით რუსეთის იმპერიის ერთგულებასა და მისთვის გულმოდგინებაზე ოფიციალური ფიცი უნდა დადოს, სრულიად რუსეთის იმპერატორების

უზენაესი ხელისუფლებისა და მფარველობის აღიარებითა და ამ ტრაქტატს თანდართული ფიცის ნიმუშის მიხედვით. დაე, ეს რიტუალი ახლა აღასრულდეს მეფე ერეკლეს მიერაც.<sup>13</sup>

**არტიკული 4.** მეფე პირობას დებს, რომ მთავარ სასაზღვრო მეთაურთან<sup>14</sup> და მასთან აკრედიტებული მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მინისტრთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გარშემო მფლობელებთან ურთიერთობას არ იქონიებს; ხოლო როდესაც [მასთან] მივლენ მათი ელჩები ან გამოგზავნიან წერილებს, მათი მიღებისას მოეთათბიროს ამ სასაზღვრო მეთაურსა და მინისტრს ასეთი ელჩების გაშვებისა და ამ მფლობელებისათვის შესაფერისი სიტყვისგების შესახებ.

**არტიკული 5.** სასურველია, მეფეს რუსეთის საიმპერატორო კარზე ჰყავდეს თავისი მინისტრი ანუ რეზიდენტი. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჰპირდება, რომ ის მის კარზე სხვა მფლობელი მთავრების მინისტრების მსგავსად, მისი ხარისხის თანასწორად იქნება მიღებული, და, ამას გარდა, ჰნებავს, რომ თავის მხრივაც მეფესთან ჰყავდეს რუსეთის მინისტრი ანუ რეზიდენტი.

**არტიკული 6.** მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა პირობას დებს: 1) ქართლისა და კახეთის სამეფოს ხალხები მიიჩნიოს მის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში და სრულ კავშირში მყოფად და, შესაბამისად, მათი მტრები თავის მტრებად აღიაროს; რისთვისაც ოტომანთა პორტასთან, ან სპარსეთთან თუ სხვა სახელმწიფოსთან ან ქვეყანასთან დადებული ზავი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობაში მყოფ ამ ხალხებზეც უნდა გავრცელდეს. 2) მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრეთა და შთამომავალთა სახლი უცვალვალად დაანარჩუნოს ქართლისა და კახეთის ტახტზე. 3) შინაგან მართვასთან დაკავშირებული ხელისუფლება, მართლმსაჯულება, მსჯავრი და გადასახადების აკრეფა მეფის სრულ ნებასა და სარგებელს მიანდოს; უკრძალავს რა თავის სამხედრო და სამოქალაქო უფროსობას, ჩაერიონ რაიმე განკარგულებაში.

**არტიკული 7.** მეფე კი, თავის მხრივ, და თავისი შთამომავლების მაგიერ პირობს სდებს რომ: 1) თავისი მხედრობით მუდმივად მზად იყოს მისი უდიდებულესობის სამსახურისთვის. 2) რუსეთის მოხელეებთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე, დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები დაიცვას ყოველგვარი წყენისა და შევიწროებისგან. 3) ადამიანთა თანამდებობებზე განწესებისა და მათი დაწინაურებისას განსაკუთრებული პატივისცემა გამოიჩინოს სრულიად რუსეთის იმპერიის წინაშე მათი დამსახურების მიმართ, რომლის მთავრობაზეც არის დამოკიდებული ქართლისა და კახეთის სამეფოს სიმშვიდე და კეთილდღეობა.

**არტიკული 8.** მის იმპერატორობით უდიდებულესობას ნებავს, რომ საქართველოს კათოლიკოსს ანუ უმთავრეს არქიეპისკოპოსს<sup>15</sup> რუს მღვდელმთავართა შორის მე-8 ხარისხის ადგილი ჰქონდეს, კერძოდ, ტობოლსკელის შემდგომ, და მას სამუდამოდ უწყალობებს [რუსეთის] უწმიდესი სინოდის წევრის ტიტულს; ხოლო როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკლესიის მართვა და ურთიერთობა, რუსეთის სინოდთან, ამის შესახებ შედგეს ცალკე არტიკული.

**არტიკული 9.** მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ადგენს, რომ მეფის ქვეშევრდომი თავადები და აზნაურები სრულიად რუსეთის იმპერიაში ისარგებლებენ ყველა იმ უპირატესობითა და სარგებლით, რაც რუსეთის კეთილშობილებისთვისაა მინიჭებული; ხოლო მეფე ვალდებულებას იღებს, რომ მისი უდიდებულესობის კარზე ყველა კეთილშობილი გვარის ნუსხა გამოგზავნოს, რათა მის მიხედვით შესაძლებელი იყოს ზუსტად ცოდნა, ვის როგორი გამორჩეული უფლება ეკუთვნის.<sup>16</sup>

**არტიკული 10.** დგინდება, რომ ზოგადად ქართლისა და კახეთის ყველა მკვიდრს რუსეთში დასახლება, შესვლა და კვლავ დაბრუნება დაუბრკოლებლად შეეძლება. ხოლო ტყვეები, თუ ისინი თურქებისგან, ან სპარსელებისგან, ან სხვა ხალხებისგან იარაღით ან მოლაპარაკების გზით იქნებიან გათავისუფლებულები, მათი სურვილისამებრ გაუშვებენ შინ, გადაახდევინებენ რა მხოლოდ მათი გამოსყიდვისა და გამოყვანის ხარჯებს; იგივეს ზედმინვენით ასრულებს პირობას დებს მეფეც, მეზობლებთან ტყვედ ჩავარდნილი რუსეთის ქვეშევრდომების მიმართ.

**არტიკული 11.** ქართლისა და კახეთის ვაჭრებს თავისუფლად შეუძლიათ ვაჭრობის წარმოება რუსეთში და ისეთივე უფლებებითა და შეღავათებით სარგებლობა, როგორც რუსეთის წარმომავლობითი ქვეშევრდომები სარგებლობენ; ხოლო მეფე სანაცვლოდ პირობას დებს, რომ მთავარ მოსაზღვრე უფროსთან ან მისი უდიდებულესობის მინისტრთან ერთად ყოველმხრივ შემსუბუქებას განუწესებს რუსეთის ვაჭრებს მის ოლქებში ვაჭრობის, ან სხვა ადგილებში მათი სავაჭროდ გავლის თაობაზე; ვინაიდან ამგვარი ზუსტი განწესებისა და პირობების გარეშე მისი ვაჭრების სარგებლის პირობასაც ვერ ექნება ადგილი.

**არტიკული 12.** ეს შეთანხმება იდება საუკუნოდ; მაგრამ თუკი ურთიერთსარგებლისთვის რაიმეს შეცვლა ან დართვა მიიჩნევა საჭიროდ, დაე, ეს მოხდეს ორმხრივი თანხმობით.

**არტიკული 13.** ამ ტრაქტატის რატიფიკაციები უნდა გაიცვალოს მისი ხელმოწერიდან 6 თვეში, ან უფრო მალე, თუკი შესაძლებელი იქნება.

იმავე დროს დადებული სეპარატული არტიკულებით კი დადგენილია:

**პირველ არტიკულში.** მეფეს მიეცა რჩევა შეინარჩუნოს მეგობრობა და კეთილი თანხმობა იმერეთის მეფე სოლომონთან, რათა ამ ერთმორწმუნე და ერთი წარმოშობის ხალხებს მეგობრობა და სრული თანხმობა ჰქონდეთ, მათ თავისუფლების, სიმშვიდისა და კეთილდღეობის ყოველგვარი ხელყოფის ერთობლივი ძალებით მოსაგერიებლად. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობაც პირობას იძლევა, არამართო ხელი შეუწყოს ესოდენ სასარგებლო საქმეს, არამედ ესევეთარი მშვიდობისა და თანხმობისათვის თავის თავდებობაც იკისროს. მეფე აღიარებს, რომ სოლომონ მეფესთან საერთო საქმეებში ამჟამად და მომავალშიც მის უდიდებულესობას სცნობს სრულ შუამდგომლად (арбитром), გადასცემს რა მის უზენაეს განჩინებას ორ მფლობელს შორის გაუთვალისწინებელ განხეთქილებასა და გაუგებრობას.

**მეორე არტიკულში.** ქართლისა და კახეთის სამფლობელოების დასაცავად მებობელთა მხრივ ყოველგვარი ხელყოფისგან და მეფის ჯარის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა პირობას დებს, მის ოლქებში იყოლიოს ქვეითთა ორი სრული ბატალიონი ოთხი ზარბაზნით, რომელთათვისაც სურსათი და ფურაჟი მათი შტატის მიხედვით, ნატურით გაიცემა მინისგან, მეფის შეთანხმებით მთავარ სასაზღვრო უფროსთან, შტატებით დადგენილი ფასით.

**მესამე არტიკულში.** ომის შემთხვევაში მთავარი სასაზღვრო უფროსი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მხრიდან ყოველთვის უფლებამოსილი უნდა ვალდებულებით, რომ ქართლისა და კახეთის მეფეს შეუთანხმდეს და დაადგინოს (положить на веру) აღნიშნული ქვეყნების დასაცავად და სამოქმედოდ მტრის წინააღმდეგ, რომელიც უნდა განიხილებოდეს საერთო მტრად. ამასთან, განიწესება, რომ თუკი ქართლისა და კახეთის ჯარის ნაწილი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურისათვის მათი საზღვრების მიღმა იქნება გამოყენებული, მათი სრული შენახვა უნდა მოხდეს, მისი უდიდებულესობის სხვა ჯარების თანასწორად.

ბოლოს, **მეოთხე არტიკულში.** მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა პირობას იძლევა, რომ, ომის შემთხვევაში ყოველგვარ შესაძლო მცდელობას მიმართავს იარაღის ძალით, ხოლო მშვიდობის შემთხვევაში – დარწმუნებით, ქართლისა და კახეთის სამეფოს ძველადვე კუთვნილი მიწებისა და ადგილების დასაბრუნებლად, რომლებიც იქაური მეფეების მფლობელობაში დარჩება სრულიად რუსეთის იმპერატორების მათზე მფარველობისა და უზენაესი ხელისუფლების შესახებ დადებული ტრაქტატის საფუძველზე.

ტრაქტატის დადება ტფილისში გაფორმდა 20 აგვისტოს.

ამ მოვლენის, საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ თავადმა პოტიომკინმა უნივერსალები<sup>17</sup> გაგზავნა ადერბიჯანის ხანებთან.

**თავი 109**

ტრაქტატში შესული მუხლების გარდა, მეფე ერეკლემ ითხოვა და იმპერატრიცა ეკატერინესგან მიიღო დაკმაყოფილება შემდეგში:

ვინაიდან ტახტზე ასვლისას მისი კორონაცია არ შემდგარა, ამიტომ იმპერატრიცა ეკატერინემ მისი კორონაციის შესახებ უმაღლესი ნება გამოთქვა ამ წმიდა წესის ძველი დადგენილების შესაბამისად.<sup>18</sup>

მეფის რწმუნებულების განცხადებით, ერეკლეს მთელ აზიაში მიმართავენ ტიტულით „უმაღლესო“.<sup>19</sup> ამიტომ რუსული მხარე დათანხმდა, რომ ყველა აქტში მეფისთვის ეს ტიტული მიენიჭებინა უწინდელი „უგანათლებულებობის“ ნაცვლად.<sup>20</sup>

მეფეს მონეტების მოჭრის უფლება დაუტოვეს ერთ მხარეზე თავისი პორტრეტისა, მეორეზე კი ქართლისა და კახეთის სამეფოების გერბის გამოსახულებით; თუმცა იმ პირობით, რომ ამ გერბის თავზე რუსეთის ორთავიანი არწივი ყოფილიყო გამოსახული, ამ სამეფოებზე სრულიად რუსეთის იმპერატორების მფარველობისა და უზენაესი ხელისუფლების ნიშნად.

ამრიგად, როდესაც ყველაფერი, რაც რწმუნებულთა მოლაპარაკებების საგანს შეადგენდა, გადაწყვეტილი იყო, 1783 წლის 20 აგვისტოს საქართველოში ტრაქტატის დადება ნამდვილი სახალხო მხარულებით იზემეს. ნოემბერში მეფესთან იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ ტრაქტატის რატიფიკაცია, უმაღლესი სიგელი და ინვესტიტურის ნიშნები ჩამოიტანეს, მისგან კი, ტრაქტატის ძალით, რუსეთის იმპერიისადმი ერთგულებისა და გულმოდგინების თაობაზე ფიცი მიიღეს. რწმუნებულებსა და უნარჩინებულს სხვა ქართველ პირებს 30 500 რუბლის ღირებულების საჩუქრები ებოძათ; ერეკლეს მეუღლეს, დედოფალ დარეჯან გიორგის ასულს – წმ. ეკატერინეს ორდენი ბრილიანტის ვარსკვლავით და ბეჭედი 5 500 რუბლის ფასისა. ეს ორდენი თავად მეფე ერეკლემ გაუკეთა მას 1784 წლის 25 იანვარს ეკლესიაში, სადაც დედოფალი მაშინ ჯერ პირველად იმყოფებოდა სახედაუფარავად.

მეფე ერეკლეს უფროსობით მეხუთე ძეს, მირიანს, რომელიც მაშინ 17 წლისა იყო, ებოძა პოლკოვნიკის ჩინი და იმ დროს კავკასიის ხაზზე მყოფი ყაბარდოს ქვეითთა პოლკი გადაეცა სამეთაუროდ. ერეკლეს უფროსობით მეოთხე, ბერად აღკვეცილი ძე, რომელიც 20 წლის ასაკში გახდა არქიმანდრიტი, მოსკოვში არქიეპისკოპოსად აკურთხეს, საქართველოს კათოლიკოსად დანიშვნის გამო. მეფის გენერალ-ადიუტანტი, თავადი ჭავჭავაძე, რომელიც ტრაქტატის დადებაში მონაწილეობდა, რუსეთის კარზე მინისტრად მიიღეს.

ისინი ყველანი იმპერატრიცა ეკატერინეს წარუდგინეს. თვითონ მეფე ერეკლესაც იგივე სურდა და უმაღლესი თანხმობა მიიღო, რომ ტავრიის გუბერნიაში ჩასულიყო 1785 წელს, იმპერატრიცას იქ ჩასვლის დროისთვის, მხოლოდ თუკი ეს მისი ხალხის საქმეებში არეულობას არ გამოიწვევდა. მართლაც, როგორც ვნახავთ, მას შინ მოუწია დარჩენა.

ქართველმა რწმუნებულებმა ტრაქტატის დადებისას მეფე ერეკლეს ტიტულის შემდეგი ფორმა შესთავაზეს:

ერეკლე II, მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი,<sup>21</sup> მთავარი ყაზახისა,<sup>22</sup> მთავარი ბორჩალოსი,<sup>23</sup> მთავარი შამშადილისა,<sup>24</sup> მთავარი კახისა,<sup>25</sup> მთავარი შაქისა<sup>26</sup> და მთავარი შირვანისა,<sup>27</sup> მფლობელი და მფარველი განჯისა და ერევნისა და სხვათა.

თუმცა ტრაქტატში ეს ტიტული არ მიიღეს.



## შენიშვნები

- 1 ხელნაწერში წერია: „ბრძანება, ნება“ (повеление соизволение) (გამომც.).
- 2 თავად პოტიომკინში აქაც შემდეგშიც იგულისხმება ფელდ-მარშალი გრიგოლ პოტიომკინი (მთარგმნ.).
- 3 ვასილი სტეფანეს ძე ტომარა (1740-1819), რუსი ოფიცერი და დიპლომატი (მთარგმნ.).
- 4 გარსევან ჭავრავაძე (1757-1811), პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი (მთარგმნ.).
- 5 იაკობ რაინეგსი (1744-1793), გერმანელი ავანტიურისტი, რომელიც ერეკლეს კარზე გრიგოლ პოტიომკინის მიერ მის რუსეთის იმპერიის წარმომადგენლად დანიშვნამდე ერეკლეს სამეფო კარის ექიმად მსახურობდა (მთარგმნ.).
- 6 დოქტორი რაინეგსი თავის თავზე მეტს იღებდა, ვიდრე უნდა საჭირო იყო. ის იწერებოდა, რომ სომეხთა შორის ყველა მათ სურვილებს აგროვებს, რომლებიც თავიანთ ბედს რუსეთს მიაწოდებენ; რომ ის მათ შეუთანხმდა, შემდგომი ზომების მისაღებად შეკრების ადგილად არარატი ჰქონოდათ. მაგრამ მას პოტიომკინისგან იმის გაგება სურდა, რა საშუალებებით და რამდენად შორს უნდა წასულიყო; ამასთან, მოახსენებდა სპარსეთის ცარიელი ტახტისა და ამბოხებებისგან აღელვებული ანატოლიის შესახებაც. ამავე დროს, თავის თავს უწოდებდა პოლკოვნიკს, მეფე ერეკლეს 12 წლის ვაჟი ალექსანდრე კი თავის ლეიტენანტად გაიხადა და ორივენი დადიოდნენ მხოლოდ რაინეგსის წარმოსახვაში არსებული საარმიო პოლკის მუნდირებით, რომლის მეთაურადაც რაინეგსმა შერაცხა საკუთარი თავი. მთიელი ოსებისგან შემდგარი მეორე პოლკი, მისი სიტყვებით, ჯერ ინკოგნიტოდ მოძრაობდა. ამ პოლკის პირველი 45-კაციანი როტის მეთაურს, თავაურელ ოსთა უფროს კაიტუკას, რომელმაც ამის წინ მხოლოდ 1782 წელს მიიღო ქრისტიანული რწმენა, მიმრქმელად ჰყავდა პავლე სერგის ძე პოტიომკინი. რაინეგსი პირობას იძლეოდა, რომ ხელის პირველივე დაქნევისას სამსახურისთვის 4 ათასი კაცი გამოცხადდებოდა.  
 თავადმა პოტიომკინმა გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს დაავალა, რაინეგსი კავკასიის ხაზზე გამოეტყუებინა, ეუბნებოდა რა, რომ ალერსიანი მოწვევით, ხაზზე მიწებისა და სხვა სარგებლის დაპირებით შეიძლება მოხერხდეს თქვენთან შეხვედრაზე მისი დაყოლიებაო. 1783 წლის 10 ივნისს რაინეგსი უკვე კავკასიის ხაზზე იყო და საქართველოში მეტად აღარ გამოჩენილა (გამომც.).
- 7 იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო (მთარგმნ.).
- 8 სტეფანე დანილას ძე ბურნაშევი (1743-1824), რუსი ოფიცერი, დიპლომატი და კარტოგრაფი (მთარგმნ.).
- 9 თავად პოტიომკინის 1784 წლის 25 ივნისის ორდერით ბურნაშევს მიეთითა, რომ მას თავის თავზე არ უნდა აეღო მეფის დამრიგებლის მოვალეობა, არ დაეწერა „გთავაზობთ“, როდესაც მან უნდა „მოახსენოს“; რომ მისი თანამდებობრივი მოვალეობა მეფისადმი სამსახურის გაწევისა და დიდი პატივისცემით წარდგენილი წერილობითი მოხსენებების მიღმა არ ვრცელდება (გამომც.).
- 10 სახელწოდება ქუმბათი რამდენიმე ადგილს ეწოდება ქიზიყში (სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში). ქუმბათის წყარო კი მდებარეობდა სოფ. ტიბაანის მიმდებარე წნორის წყალად წოდებულ ძველ საფოსტო სადგურთან. შესაბამისად ტექსტში დღემდე ქუმბათად წოდებული ეს ადგილი უნდა იგულისხმებოდეს (მთარგმნ.).
- 11 ერეკლეს ამ ნიშნების გარდა, დამატებით სამეფო გვირგვინი ჩაუტანეს, ხოლო მბრძანებლის კვერთხის ნაცვლად – სკიპტრა (გამომც.).
- 12 იგულისხმება რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენელი (მთარგმნ.).
- 13 ორივე მხარის რწმუნებულთა მიერ 1783 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი ეს ფორმა უფრო იმას შეიცავს, რაც ამ ხელშეკრულების 1-ლ და მე-7 არტიკულებშია მეფის ვალდებულებების თაობაზე სრულიად რუსეთის იმპერიის მიმართ (გამომც.).
- 14 ამ შემთხვევაში იგულისხმება კავკასიის ხაზის სადალი (მთარგმნ.).
- 15 ზემო საქართველოს, ე. ი. ქართლისა და კახეთის კათოლიკოსი საქართველოს ეკლესიის თავია და უწმიდესის ტიტულს ისაკუთრებს. ძველად საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქზე იყო დამოკიდებული, მაგრამ დაახლოებით ქრისტეს შობიდან 500 წელს საქართველოს მეფე ვახტანგ I-მა გურგასლანმა, სომხების მაგალითით, საქართველოს სამეფოში დაადგინა კათოლიკოსი,

რომელიც თუმცა ჯერ კიდევ ანტიოქიის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული რჩებოდა. ბოლოს, როდესაც კახეთის მეფე ლეონმა შემწეობა გასწია იერუსალიმის ბარბაროსთაგან გასათავისუფლებლად, საქართველოს კათოლიკოსს ამისთვის ჯილდოდ დამოუკიდებლობა და ავტოკრატიულობა მიეცა. მის მმართველობაში იყო მთელი სამღვდლოება ქართლში, კახეთში, იმერეთსა და სამცხე-საათაბაგოში, ამ უკანასკნელი მხარის თურქთა მიერ ჩამოშორებამდე. მაგრამ როცა იმერეთს დაახლოებით 1241 წელს თავისი მეფე, დავითი გაუჩნდა, მან თავის მხარეებში ცალკე კათოლიკოსი დაადგინა. კათოლიკოსი უპირველესი არქიეპისკოპოსია და ავტოკრატულ, ანუ პატრიარქებისგან დამოუკიდებელი იმ ხუთი არქიეპისკოპოსის რიცხვში შედის, რომლებიც ნაჩვენები არიან წიგნში: „Описание четырех вселенских патриарших престолов“, СПб., 1784 (გამომც.)

- <sup>16</sup> ქართლისა და კახეთის თავადებისა და აზნაურების გვარების მეფე ერეკლესგან გამოგზავნილ და მის მიერ 1783 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი სიის თარგმანში ნაჩვენებია:  
თავადები: ქართლისა 38 გვარი, კახეთისა – 24 (გამომც.). ამის შემდეგ გამომცემლებს მოჰყავთ ვრცელი ჩამონათვალი, რამდენი იყო ერეკლეს სიის მიხედვით, სამეფო, საკათალიკოსო თუ სხვადასხვა დიდ თავადთა კუთვნილ აზნაურთა გვარები. ამას შემდეგ მოსდევს გამომცემელთა ასევე ვრცელი კომენტარი აზნაურთა შესახებ, რომელთა აქ მოტანისაგან მისი მოცულობის გამო თავი შევიკავეთ (მთარგმნ.).
- <sup>17</sup> იგულისხმება ოფიციალური შეტყობინებები (მთარგმნ.).
- <sup>18</sup> თუმცა მეფე ერეკლე ისე გარდაიცვალა, რომ გვირგვინი არ დაუდგამს; ალბათ, იმიტომ, რომ ის უკვე მესამე ქორწინებაში იმყოფებოდა. მან კორონაციის შესახებ წერილობითი მიმართვით თავად პოტიომკინთან გამოგზავნა თავისი პირველი მდივანი და რჩეული, თავადი სულხან თუმანოვი, რომელშიც თავადმა პოტიომკინმა კეთილგონიერი, ძალიან კარგად განათლებული და მრავალი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი დაინახა. ტფილისის მცხოვრების ასეთად წარმოდგენა შეუძლებელი გვეგონათ, – სწერდა ის იმპერატრიცა ეკატერინეს 1783 წლის 7 ოქტომბერს (გამომც.).
- <sup>19</sup> ბუტკოვი ამ სიტყვას ახსენებს ქართული ფორმით, შესაბამისი რუსული თარგმანთან ერთად: *титул умазлесо, т. е. высочества* (მთარგმნ.).
- <sup>20</sup> სინამდვილეში კი ტრაქტატსა და შემდგომ ოფიციალურ საბუთებშიც ერეკლე მეფე სწორედ „უგანათლებულესად“ (*светлость*) იწოდება (მთარგმნ.).
- <sup>21</sup> ახალციხის საფაშო თურქებისა (გამომც.).
- <sup>22</sup> საქართველოში მცხოვრები თათრები (გამომც.).
- <sup>23</sup> საქართველოში მცხოვრები თათრები (გამომც.).
- <sup>24</sup> საქართველოში მცხოვრები თათრები (გამომც.).
- <sup>25</sup> კახი და ელისუ, შაჰ-აბასის მიერ კახეთისგან ჩამოშორებული ადგილები (გამომც.).
- <sup>26</sup> შაქი, სადაც ქალაქი ნუხაა, დამოუკიდებელი სახანოა, შაჰ-აბასის მიერ კახეთისგან ჩამოშორებული (გამომც.).
- <sup>27</sup> შირვანს საკუთრივ შემახის სახანოს უწოდებენ (გამომც.).

## დამონმებანი

**ბროსე 1869ა:** *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год / [соч.] П. Г. Буткова, Ч. 1, Предисл., изд. Л. Броссе, СПб.*

**ბროსე 1969ბ:** *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год / [соч.] П. Г. Буткова, Ч. 2, Предисл., изд. Л. Броссе, СПб.*

**მერკვილაძე 2022:** დ. მერკვილაძე. პეტრე ბუტკოვი რუსეთის მფარველობაში მისაღებად ერეკლე II-ის თხოვნის შესახებ, *ქართული წყაჩოთმცოდნეობა*, ტ. XXIV, გამომცემლობა „პრინტ ჯეო“, თბილისი.

## PETR BUTKOV ON THE CONCLUSION OF THE GEORGIEVSKY TREATY

**Davit Merkviladze**

Independent researcher  
datomerkvila@yahoo.com

**Erekle Khutsishvili**

Independent researcher  
ektbilisi@yahoo.com

The work of Petr Butkov (1775-1857), a former officer of the Russian army, a scholar passionate about the history of the Caucasus and the Middle East, “Materials for the history of the Caucasus in 1722-1803”, contains many interesting episodes from the history of Georgia. After the author’s death, his work was published in two volumes in 1869 by a special commission created in the St. Petersburg Imperial Academy.

In the previous issue of “*Georgian Source-Studies*”, we published a translation of a part of Petr Butkov’s work, which talks about Erekle II’s request to receive Russian protection. The present part of the translation is a continuation of the previous publication. Here are the details of the decision to accept the Kartli-Kakheti kingdom under the protection of the Russian imperial court (actually turning this Georgian kingdom into a vassal of the empire) and the signing of a proper political agreement (Georgievsky Treaty). The text of the said treaty is also provided article by article. The reader will also find other issues related to the mentioned topic.

The Georgian translation of the text was made by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili and represents chapters 107-109 of Butkov’s work. Some of the comments attached to the text belong to the first publishers of the work, and some to the translators.

# გრაფი ლუი-ფრანსუა დე ფერიე სოვებეფის მისია აღმოსავლეთის ქვეყნებში 1782-1789 წლებში და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

**ირინე ნაჭყებია**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
irnat@hotmail.com

**ფრანგი მოგზაურები საქართველოს შესახებ XVII-XIX საუკუნეებში.** საქართველოს შესახებ ვრცელი ცნობები ევროპაში XVII-XVIII საუკუნეებში გამოქვეყნდა, რაც ფრანგი მოგზაურების, ჟან-ბატისტ ტავერნიეს (1605-1689), ჟან შარდენის (1643-1713) და ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (1656-1708) სახელებს უკავშირდება. ჟან-ბატისტ ტავერნიემ, 1631-1668 წლებში ექვსჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, 1668 წელს საქართველოში (ტავერნიე 1713: III, 443-453); ჟან შარდენმა 1665-1680 წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, 1672 წელს საქართველოში (შარდენი 1711: I-II); (მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018); ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორმა აღმოსავლეთში 1701-1702 წლებში იმოგზაურა, მათ შორის, 1701 წლის 21-26 ივნისს საქართველოში (ტურნეფორი 1717: III).

აღნიშნული თხზულებების გარდა, XVIII საუკუნეში გამოცემულ იქნა თხზულებები, რომელთა ავტორები საქართველოს შესახებ სხვისგან მიღებულ ცნობებს გვანვდიან. ასეთია 1742 წელს გამოცემული ლიონელი მღვდლის, ანდრე დე კლოსტრის თხზულება, რომელიც ნადირ-შაჰის მმართველობას ეძღვნება (კლოსტრი 1742), ხოლო მასში მოცემული ინფორმაცია საქართველოს შესახებ 1735-1736 წლებით არის დათარიღებული. მეტად მნიშვნელოვანია იზმირში საფრანგეთის კონსულის (1747-1753) – შარლ დე პეისონელის (1700-1757), მნიშვნელოვანი ცნობები XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ირან-საქართველოს ურთიერთობების, კერძოდ თეიმურაზ II მეორესა და ერეკლე II-ს მმართველობის პერიოდში მიმდინარე მოვლენების შესახებ (პეისონელი 1754). აგრეთვე გასათვალისწინებელია პეისონელის ყირიმში საფრანგეთის კონსულად (1753) ყოფნის პერიოდში მოძიებული ცნობების საფუძველზე შავი ზღვის ვაჭრობის მდგომარეობის აღწერა საფრანგეთის სავაჭრო ინტერესებში (პეისონელი 1787).

საფრანგეთის მეფის, ლუი XVI-ისა და 1773-1787 წლებში საფრანგეთის საგარეო ურთიერთობების სახელმწიფო მდივნის, გრაფი შარლ გრავიე დე ვერჟენის, დავალებით, 1782 წელს ფრანგი ოფიცერი, გრაფი ლუი-ფრანსუა დე ფერიე სოვებეფი (1762-1814) საიდუმლო დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ოსმალეთის იმპერიასა და ირანში. მას ამ სახელმწიფოებისა და ზოგადად რეგიონში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სპარსეთის ყურეში საფრანგეთის ვაჭრობისთვის ხელსაყრელი პირობების დაზვერვა ევალებოდა (ელო-ბელიე 2007: 82).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი სამხრეთის მიმართულებით რუსეთის განუწყვეტელი ექსპანსიით გამოირჩეოდა. 1774 წლის ქუჩუქ კაინარჯის ხელშეკრულების თანახმად, ყირიმის სახანო ჯერ რუსეთის ბატონობაში გადავიდა, 1783 წელს კი მას შეუერთდა. 1783 წლის 24 ივლისს (4 აგვისტო) ციხესიმაგრე გეორგიევსკში დადებულ იქნა „სამეგობრო შეთანხმება“ რუსეთსა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი რუსეთის მფარველობის ქვეშ გადადიოდა. ეკატერინე II ოსმალეთის პორტასგან შაჰინ გირეისთან<sup>1</sup> დადებული გარიგების დადასტურებასა და ბოსფორში თავისი სავაჭრო ხომალდებისთვის თავისუფალ გავლას მოითხოვდა. ამას გარდა, მას სურდა, რომ სულთანს<sup>2</sup> უარი ეთქვა საქართველოზე, ყუბანსა და ჩერქეზეთზე ბატონობის პრეტენზიაზე, „რომელთა ხალხები მან ახლახან შეიყვანა თავის მფარველობაში, მათი პროვინციების თავისი სახელმწიფოსთვის მიერთებით“ (ფერიე სოვებეფი 1790: , I, 247).

ოსმალეთის იმპერია ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ომის წინაპირობა რუსეთის მიერ ყირიმის სახანოს ანექსია და 1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსთან გაფორმებული ტრაქტატი იყო. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომში რუსეთის მხარეს ავსტრია ჩაერთო. ოსმალეთს 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის ხელში გადასული მიწების დაბრუნება ჰქონდა განზრახული. 1787-1792 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რუსეთის იმპერიის გამარჯვებითა და 1792 წლის 9 იანვარს (ძვ. სტ. 1791 წ. 29 დეკემბერი) იასის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით დასრულდა<sup>3</sup>.

თხზულების წინასიტყვაობაში გრაფი აღნიშნავს, რომ ირანში ალი მურად ხანის მმართველობის დროს, 1784 წლის მაისში ჩავიდა, იქ 1785 წლის შემოდგომამდე დარჩა და წარმოდგენა შეიქმნა კასპიის ზღვისა და საქართველოს მიმართ რუსეთის ინტერესების შესახებ. მისი ცნობით, ევროპის სახელმწიფოებს აწუხებდა რუსეთის წარმატება კავკასიაში: საფრანგეთი თურქეთთან ერთად „ყოველ ზომას ხმარობდა, რომ ჩაეშალა რუსეთის კავშირი ისფაჰანის მფლობელ ალი-მურად ხანთან“<sup>4</sup> და უკუეგდო რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში“ (დუმბაძე 1973გ: 696).

1782-1789 წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ფრანგი გრაფი აწარმოებდა დღიურს, რომელიც საფრანგეთში დაბრუნებისთანავე, 1790 წელს ორ ტომად გამოსცა პარიზში. ეს თხზულება მდიდარია მრავალმხრივი ინფორმაციით, რაც მის პირად დაკვირვებებს და სხვათაგან მიღებულ ცნობებს ემყარება. ორივე ტომში მოცემულია ფერიე სოვებეფის ცნობები და დაკვირვებები მის მიერ მოვლილი ქვეყნების მოსახლეობის რელიგიის, ადათ-წესების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის შესახებ და სხვ. პირველ ტომში ავტორს მოჰყავს ძალიან ზუსტი დეტალები რუსეთ-თურქეთის 1787-1791 და ავსტრია-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომების, ამ სამი იმპერიის არმიის განლაგებისა და მათი ლაშქრობების შედეგების შესახებ. ამავე ტომის XX თავში მოცემული ცნობები რუსეთ-ირანის ურთიერთობების შესახებ, ხოლო ბოლო, XXI თავში, ავტორს მოჰყავს ცნობები საქართველოს, სამეგრელოს, ჩერქეზეთის, ყუბანის, დაღესტნისა და შირვანის შესახებ. მეორე ტომში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ცნობები ეგვიპტის, პალესტინის, საბერძნეთისა და სირიის შესახებ.

გრაფი დე ფერიე სოვებეფის ცნობები საქართველოს შესახებ შემდეგ საკითხებს ეხება: 1. ერეკლე II-ს მმართველობა გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ; 2. თბილისის აღწერა; 3. ქართველებისა და მეგრელების დახასიათება. სხვა მოგზაურთაგან განსხვავებით, იგი არაფერს წერს თავისი გადაადგილების შესახებ. ამიტომ სავარაუდოა, რომ საქართველოს შესახებ ზოგიერთი ცნობა მან ტავერნიესა და ტურნეფორის თხზულებებიდან მოიხმო, ხოლო ცნობები ერეკლე II-ს, თბილისის, სოლომონ I-ისა და სამეგრელოს შესახებ ირანსა და ოსმალეთში ყოფნის დროს მიიღო, რადგან მისი ბიოგრაფიიდან არ ჩანს ინფორმაცია საქართველოში მისი მოგზაურობის შესახებ. სხვა მოგზაურთაგან განსხვავებით, ფრანგი დიპლომატი თხზულებაში არაფერს წერს თავისი გადაადგილების შესახებ. სავარაუდოა, რომ ცნობები საქართველოს შესახებ მან ირანში ყოფნის დროს მიიღო, რადგან მისი ბიოგრაფიიდან არ ჩანს საქართველოში მისი მოგზაურობა.

გრაფი ლუი-ფრანსუა დე ფერიე სოვებეფის აღნიშნული თხზულება მაშინვე ითარგმნა ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებზე, 1794 წელს სტოკჰოლმში მისი შემოკლებული შვედური გამოცემა გამოჩნდა.

### **გრაფი ლუი-ფრანსუა დე ფერიე-სოვებეფის ცნობები საქართველოში მოგზაურობის შესახებ**

„თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, იმპერატრიცამ კარგად იცოდა ალიანსის ფასი საქართველოს პრინციტან, რომლის გადაბირება მოახერხა, და დერბენდის ხანთან,<sup>5</sup> რომელიც რკინისა ანუ კასპიის კარიბჭის სახელწოდებით ცნობილი ხეობის ბატონია; ის [ხეობა] ერთადერთი კავშირია კავკასიონზე და, როგორც ჩანს, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მხოლოდ იმისთვის ქმნის გადაულახავ დაბრკოლებას, რომ სპარსეთი და ევფრატის მიმდებარე ქვეყნები ჩრდილოეთის ხალხების შეჭრისგან დაიცვას.

მე სპარსეთში ვიყავი იმ დროს, როცა ეკატერინე II ხელშეკრულების დადების

შესახებ აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოს საზღვრების გამგებელ სპარსელ მთავრებთან, რომლებმაც მისგან ძვირფასი საჩუქრები მიიღეს. შემდეგ რუსეთის წარგზავნილი ისფაჰანში ჩავიდა ხელმწიფის გეგმების მიმართ ალი მურად ხანის დადებითად განსაწყობად; ამ პრინციპმა, რომელმაც იარაღით დაიმორჩილა სპარსეთის უდიდესი ნაწილი, სხვები კი აიძულა, რომ პატივი ეცათ მისთვის, ზედმეტი ფიქრის გარეშე გადაწყვიტა თურქების შეშფოთება; ის ძველი საბაბით დაემუქრა ბაღდადს<sup>6</sup> და შირაზის ხანს ბასრაზე შეტევა უბრძანა; ეს დივერსია ძალიან კარგად იქნა გაგებული იმ დროს, როდესაც ოსმალეთის ჯარები, რომლებსაც საქართველოს საზღვრები უნდა დაეცვათ, სპარსელებთან ბრძოლაში აღმოჩნდებოდნენ.

დიდ სენიორს<sup>7</sup> სურდა იმ დარტყმის არიდება, რომელიც მის იმპერიას სპარსეთის მხრიდან ემუქრებოდა და ალი მურად ხანს კავშირის დადების თხოვნით მიმართა; მაგრამ ამ მისიაზე პასუხისმგებელი პირი პასუხის ნაცვლად ციხეში ჩასვეს.

რუსეთის აგენტების დაპირებებით გულმოგებული საქართველოს მეფე ახალი შესული იყო იმპერატრიცას მფარველობაში, რომელმაც იმ სუვერენიტეტის ნიშნად, რაც მას თითქოს დაუტოვა, სიმულაკრუმებად<sup>8</sup> გაუგზავნა გვირგვინი და სკიპტრა, რომლებიც ქართველებმა მღვდლის ქუდად და გურზად მიიჩნიეს; ამასთან [იმპერატრიცამ] კახეთში გაგზავნა ჯარის ნაწილები, რომლებიც არ იყვნენ მეფე ერეკლეს განკარგულებაში და რომელმაც ისინი ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიიღო.

მე რამდენიმე თვის განმავლობაში ვიყავი ისფაჰანში და მთელ სპარსეთში დავინახე სწრაფი ცვლილება რუსეთის საქმეების მიმართ.

როდესაც ალი მურად ხანი მიხვდა, რომ მას არ ეგების რუსებთან თურქების საზიანოდ შეკავშირება, გაათავისუფლა დიდი სენიორის წერილის ჩამომტანი ემისარი, ძვირფასი საჩუქრებით აიძულა ცოტა ხნის წინ განცდილი უხერხულობის დავიწყება და მის უმაღლესობასთან გარკვეული პასუხი დააბარა ახალი გეგმების შესახებ.

იმპერატრიცას პირველ მიმართვაზე საპასუხოდ მან ორი ხანი გაგზავნა პეტერბურგში, მაგრამ საიდუმლო ბრძანებებითა და ოსტატური პოლიტიკით თავი აარიდა წინდაუხედავად მიცემულ დაპირებებს. მას ნაკლებად ადარდებდა ერეკლეს მიერ ახლად მიღებული მფარველობა და იმ ხარკის მისაღებად, რომელიც სამი წლის განმავლობაში არ მიუღია, ჩვეულ ხერხს მიმართა და მას ხალათი გაუგზავნა; ეს არის საზეიმო, ძალიან მდიდრული სამოსი, რომელსაც სპარსეთის ხელმწიფეები თავიანთ ვასალებს პატივისცემის ნიშნად უგზავნიან; საქართველოს მეფე იძულებული გახდა, რომ მიღებული წესის მიხედვით ამ სამოსის სანაცვლოდ გადასახდელ ხარკზე სამჯერ მეტი ღირებულების საჩუქრები გაეგზავნა.

დერბენდის გუბერნატორმა, ბაბა-ფათალი ხანმა, ალი მურად ხანისგან რუსებთან ყოველგვარი კავშირის შეწყვეტის ბრძანება მიიღო. ლეკების მთავარს, ალი-მერდან ხანს კი კახეთის გარნიზონზე თავდასასხმელად თხოვნა არ დასჭირდა, მან ის გაანადგურა ან მონებად აქცია; ხოის აჰმედ ხანმაც ძალიან ცუდად მიიღო იმპერატრიცას მიერ გაგზავნილი რუსი ოფიცრები და თბილისს თავდასხმით დაემუქრა, თუ მეფე ერეკლე დაუყოვნებლივ არ გაისტუმრებდა რუსებს, რომლებიც საძულველნი და საეჭვონი იყვნენ მთელი სპარსეთისთვის.

ასეთ მდგომარეობაში იყო რუსეთის ინტერესები, როდესაც 1785 წელს წავედი ისფაჰანიდან. შემდეგ გავიგე, რომ რუსეთის იმპერატრიცას მოლაპარაკებები უფრო წარმატებული იყო, რადგან თავისი სამოქალაქო ომებით დაკავებულები სპარსელები დიდხანს ვერ შეძლებენ საერთო საქმისთვის გაერთიანებას.

ეკატერინე II-თვის, – რომელმაც შორიდან მოამზადა მასა და პორტას შორის გაჩაღებული ომი,<sup>9</sup> – შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნები დღეს ძალიან მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ არ მიიღოს ყველა ზომა იმ ხალხების მისამხრობად, რომლებთან დაახლოების საშუალება ერთი და იგივე რელიგიაა და რომლებიც, დატანჯულები თავიანთი ამბიციური ბელადების მიერ, საბოლოოდ არ დააყოვნებენ მისი ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ მოქცევას.

\*\*\*

საქართველოში, რომელიც ძველად იბერიის სახელით იყო ცნობილი, ჰავაც კარგია და

ნიადაგიც ნაყოფიერია; მისი მაცხოვრებლები ყოველთვის ცნობილი იყვნენ ვაჟკაცობით და აზიაში საუკეთესო მებრძოლედ ითვლებიან;<sup>10</sup> ქართველები თანმიმდევრულად ექვემდებარებოდნენ თურქებს და ხარკს უხდიდნენ სპარსეთის მონარქებს, რომელთა სამსახურში მრავლად იყვნენ; მე დაახლოებით 2000 კაცი ვნახე ალი მურად ხანის ლაშქარში, რომელიც მათ, როგორც მებრძოლებს, დიდად აფასებდა.

ინდოეთის დალაშქვრიდან დაბრუნებულმა ნადირ შაჰმა, რომელიც ევროპაში თამაზ-ყოლი ხანის სახელითაა ცნობილი, პრინც ერეკლეს ისლამზე მოქცევის შემდეგ მისცა საქართველოზე ინვესტიტურა;<sup>11</sup> მან იქიდან გადააყენა პრინცი ალექსანდრე,<sup>12</sup> რომლის ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში მეფობდა თბილისში და რომელმაც ამ დამპყრობლის დევნის თავიდან ასაცილებლად რუსეთს შეაფარა თავი.

თურქები დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ ნადირ შაჰთან საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებზე ბატონობის შესანარჩუნებლად; კასპიის ზღვის მიდამოებში მცხოვრებმა ხალხებმაც იმავე დროს იწვნიეს მისი ძალაუფლების უღელი და თავიანთ ბელადებს მხოლოდ იმის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდნენ, ვინც თავისი გამარჯვებით აზია შეარყია.

ოთხმოცი წლის ერეკლე დღესაც განაგებს საქართველოსა და კახეთის პროვინციას; მისმა უფროსმა ვაჟმა, დაუდ ხანმა,<sup>13</sup> რამდენჯერმე გამოავლინა სიმამაცე სხვადასხვა ბრძოლებში ლეკებისა და ყალმუხების წინააღმდეგ, რომლებიც მათ განუწყვეტლივ ესხმიან თავს ახალგაზრდა ქართველი ქალების მოსატაცებლად, რომელთა სილამაზე სპარსეთისა და თურქეთის სერალების სამკაულია.

საქართველოში არ არის კარგად გამაგრებული სამხედრო ადგილები, კავკასია უკეთესად ინარჩუნებს თავის საზღვრებს; ამ მებრძოლი რასის დამარცხება შესაძლებელია, მაგრამ ყოველთვის შეუძლებელი იქნება მისთვის იმ კანონების დაკისრება, რომლებიც შეურაცხყოფენ მის სიამაყეს.

ქართველებს ადვილად ამოსაცნობი ფიზიონომია აქვთ, თითქმის ყველას ლამაზი სახე, სწორი ნაკვთები და კეთილშობილი გარეგნობა აქვს; ისინი გულწრფელები და დიდსულოვნები არიან და თუმცა საკმაოდ რბილი ხასიათი აქვთ, მათი წყენინება საშიშია.

მათი სექტა ბერძნულისა და სომხურის ნაზავია;<sup>14</sup> ისინი არ არიან ცრუმორწმუნეები და არასდროს არავის საყვედურობენ იმის გამო, თუ მათ რელიგიას არ მისდევს.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, დიდი, საკმაოდ ცუდად ნაგები ქალაქია, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვარზე; მასზე ბატონობს ციტადელი, რომელსაც აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა; მისი დიდი კოშკებით ფლანკირებული კედლები დროთა განმავლობაში მოძველდა და ალყას ვეღარ გაუძლებს. იქ არის საკმაოდ ლამაზი მოედანი, რომელზეც ბაზარია; მეფის სასახლე საკმაოდ დიდია, მაგრამ შესანიშნავი ხეხილის ბაღების გარდა იქ არაფერია აღსანიშნავი.

კათოლიკურ მისიას იქ სახლი აქვს, რომელიც ფლორენციელი კაპუცინებს თავშესაფრად ემსახურება;<sup>15</sup> ქალთა რამდენიმე მონასტერი კი იმათი თავშესაფარია, რომელთა უსაფრთხოების დაცვა მშობლებს [გოგონების] ქორწინებამდე სურთ; მონაზვნები იქ არ დებენ სამუდამო აღთქმას და თავიანთ მთელ ცხოვრებას ერთ დღეს არ სწირავენ; მათ აქვთ გარკვეული ადგილი სამღვდლოებაში, შეუძლიათ მონათვლა და მირონცხება;<sup>16</sup> კერძო სკოლები განკუთვნილია ბიჭების განათლებისთვის, რომლებიც წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ჩვეულებრივ ან სამხედრო სამსახურში შედიან ან სოფლის მეურნეობას მისდევენ; საზოგადოდ, ისინი ნაკლებად მისდევენ ვაჭრობას და ამას უტოვებენ სომხებს, რომლებიც მრავლად არიან თბილისში; იქ საკმაოდ ცოტა მუსლიმია და თუმცა მეფე ერეკლემ, რომელიც კვლავ დაუბრუნდა თავისი მამათა რელიგიას, მათ მიანიჭა პრივილეგია ჰქონდეთ თავიანთი მეჩეთები.

საქართველოს ვაჭრობა შედგება დიდძალი აბრეშუმის, ღვინისა და არყისგან, რასაც რუსულ ბენვეულში ცვლიან.

ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ყიდიან თავიანთ ქალიშვილებს და მათ აბარებენ ვაჭრებს, რომლებიც ამბობენ, რომ მშობლებს გოგონების განათლებისა და გათხოვების ხარჯისგან ათავისუფლებენ, ამასთან მათ სრულებით არ ადარდებთ იმათი შემდგომი ბედი, რომელთა სილამაზე ძლიერი მიზეზია იმისთვის, რომ უბედურები არ იყვნენ; მაგრამ არ ყიდიან თავიანთ ვაჟებს, და აზიაში გაფანტული ყველა ქართველი

ან ჩერქეზი მონა, რომელიც მრავლად არიან აზიაში და ქმნიან ეგვიპტის მამლუქების კორპუსს იმ ბეგების სამსახურში, რომლებიც მათ ყიდულობენ, მხოლოდ თათრებისა და ლეკების დარცვის ნაყოფია.

საქართველოში თითქმის ისევე ხარობს ვენახები, როგორც ლომბარდიაში, მისი ლერწამი ერთი ხიდან მეორეში იხლართება, ეხვევა თუთის ხეებს და ყოველ წელს ძალიან უხვ მოსავალს იძლევა; ქართველებს უყვართ სმა და ძალიან ხშირად თვრებიან, ეს ნაკლი ახასიათებთ მათ ცოლებსაც, რომლებიც მარდად ცლიან რამდენიმე დოქ ღვინოსა და არაყს, ნადიმს ჩვეულებრივ სიამოვნების ღმერთის სამადლობლით ასრულებენ.

ქართველები დიდად ზრუნავენ თავიანთ სარდაფებზე, კლდეში გამოკვეთილ, საგოზავით შელესილ გამოქვაბულებზე, რომლებიც მათ მარნებად ემსახურება.

ქართველი ქალები ძირითადად ლამაზები არიან; თითქმის ყველა დიდი შავი თვალებითა და სახის ნათელი ფერით გამოირჩევა; მათ არასოდეს ადანაშაულებდნენ ზედმეტ სისასტიკეში და ალბათ უცხოელების მიმართ ნაკლებმა სიმკაცრემ მათ გარკვეული უპირატესობა მოუპოვა აზიის ყველა სხვა ქალთან შედარებით იმ გადაულახავი სირთულეების გამო, რომელსაც ზნე-ჩვეულებები ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნებში, სადაც მშვენიერი სქესი უხილავია. როგორც არ უნდა იყოს, ეს აზრი საერთოა ყველა მუსლიმისთვის, რომლებიც ვაშლს<sup>17</sup> მუდამ ქართველ ქალებს აძლევენ.

ახალგაზრდა გოგონები არც თუ ისე მორცხვები არიან და თავიანთ საყვარელ ადამიანებს სიამოვნებით აძლევენ საწინდარს, რაც მოწმობს მათ მზადყოფნაზე, მეტი არაფერი დაუთმონ.

სამეგრელო ძველი ავტორების კოლხეთია; როგორც არ უნდა იყოს ოქროს საწმისის საიდუმლო, რომელმაც მას ოდესღაც ასე გაუთქვა სახელი, ქეშმარიტებაა, რომ იქ დღესაც არიან ძალიან ლამაზი ქერა ქალები; ეს მხარე მოიცავს კიდევ ორ პროვინციას, იმერეთსა და გურიას; სიკვდილმა სოლომონ ხანისამ,<sup>18</sup> რომელიც გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერატორიკას იარაღსა და მოლაპარაკებებს, დაასრულა ის ანტიპათია, რომელიც ამ ხალხს მისი მეფობის დროს ჰქონდა და ეკატერინე II-მ ისინი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა.<sup>19</sup>

შავი ზღვის გასწვრივ მდებარე ამ ვრცელ ქვეყანაში არის სპილენძისა და რკინის საბადოები, აგრეთვე უზარმაზარი ტყეები, სადაც ულამაზეს სამშენებლო ხეებს ნახავ; მაგრამ ამ მონადირე ხალხს უხვი ნანადირევი ურჩევნია, რის გამოც ის უგულებელყოფს ნაყოფიერი და ზომიერი ჰავის ნიადაგის ყველა უპირატესობასა და რესურსს.

მეგრელები ლამაზები არიან, მათი ქალები ქართველ ქალებს ჰგვანან; მაგრამ, ჩანს, სისულელე ხვედრია ამ ხალხისა, რომელთა საზიზღარი და აღვირახსნილი ზნე-ჩვეულებები მათ ქვეყანაში ჩასულთა სინანულს იწვევს, რადგან ვერ პოვებს მათში ქართველების ხასიათს, კეთილშობილებას და გულწრფელობას.

ოსმალეთის პორტამ დროებით დაკარგა სამეგრელოზე<sup>20</sup> თავისი გავლენა და ამოდ ეცადა ყარსის ფაშის დაყოლიებას იმ ხარკის მოსათხოვნად, რომელსაც ადრე იღებდა; ამგვარად, თურქების დაუდევრობა ძალიან ხშირად ეწინააღმდეგება მათ მოთხოვნებს.

მეგრელებს აქვთ თავიანთი განსაკუთრებული ცრურწმენები, თუმცა ისინი ყველა თვალსაზრისით ძალიან ცუდად განათლებულები არიან; ისინი ისე უწოდებენ თავიანთ თავს ქრისტიანებს, რომ ძალიან არ წუხან თავიანთი რწმენის გამო (ფერიე სოვებეფი 1790: I, 48, 247-276).“

## შენიშვნები

<sup>1</sup> შაჰინ გერაი ან გირეი (1745-1787) – ყირიმის უკანასკნელი ხანი, სახანოს მართავდა ორჯერ: 1777–1782 და 1782–1783 წლებში. 1783 წლის 14 აპრილს მან ხელი მოაწერა ხანის ტახტის გაუქმებას, თათარმა წარჩინებულებმა ფიცი დადეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე. 1783 წლის 8 (19) აპრილს ეკატერინე II-მ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც მან განაცხადა, რომ ყირიმის სახანო რუსეთის იმპერიაში შედის.

<sup>2</sup> აბდულჰამიდ I (1725-1789) – ოსმალეთის იმპერიის 27-ე სულთანი.

<sup>3</sup> იასის სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით რუსეთს გადაეცა მთელი ჩრდილო



შავიზღვისპირეთი, ყირიმის ჩათვლით და გააძლიერა მისი პოლიტიკური პოზიციები კავკასიასა და ბალკანეთში. რუსეთს გადაეცა მიწები მდ. სამხრეთ ბუგსა და დნესტრს შორის, რითაც დადგინდა საზღვარი. კავკასიაში საზღვარი აღდგა მდ. ყუბანზე. თურქეთმა უარი განაცხადა საქართველოს მიმართ პრეტენზიაზე და ვალდებულება აიღო, რომ მის წინააღმდეგ მტრულ ქმედებებს არ განახორციელებდა.

- 4 ალი მურად ხანი (1720-1785) – ირანის შაჰი ზენდების დინასტიიდან 1781-1785 წლებში, ქერიმ ხანის ძმისშვილი.
- 5 იგულისხმება ფათჰ-ალი, ყუბის ხანი 1758-1789 წლებში. 1775 წლის მარტში მან დერბენდის გასაღები გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს (1762-1796) და რუსეთის მფარველობაში მიღება სთხოვა.
- 6 1508-1523 და 1529-1534 წლებში ბაღდადი იყო სეფიანთა დინასტიის სახელმწიფოს პროვინციის ცენტრი, 1623-1638 წლებში კი სეფიანთა კონტროლის ქვეშ იყო. 1623-1639 წლების თურქეთ-სპარსეთის მორიგი ომის შედეგად 1638 წელს ის საბოლოოდ შეუერთდა ოსმალეთის იმპერიას, რომელიც მის შემადგენლობაში იყო 1917 წლამდე.
- 7 იგულისხმება აბდულჰამიდ I.
- 8 სიმულაკრუმი (ლათ. Simulacrum) – ნიშანი, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს ნიშანდებული ობიექტი.
- 9 გრაფი დე ფერიე სოვებეფი რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დასაწყისს გულისხმობს, რომლის დროსაც ის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა.
- 10 ცნობა იმის შესახებ, რომ ნადირ-შაჰის მმართველობის დროს ქართველებს მთელ აზიაში ჰქონდათ მოხვეჭილი საუკეთესო მებრძოლების სახელი, ლიონის ეპარქიის მღვდლის, ანდრე დე კლოსტრის თხზულებაშიც არის აღნიშნული (ანდრე დე კლოსტრი 1743: 292).
- 11 გრაფი დე ფერიე-სოვებეფი ერეკლე II-ს გამაჰმადიანების გამო უზუსტობას უშვებს. ამ საკითხზე „ნარკვევებში“ შემდეგი წერია: „მრავალწლიანმა გამოცდილებამ დიდ დამპყრობელი [ნადირ-შაჰი] დაარწმუნა, რომ ქართლ-კახეთში ხანგრძლივი ბატონობის შენარჩუნება შაჰის მორჩილი ქრისტიანი მმართველის მეშვეობით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე გამაჰმადიანებული ქართველი ხანებით, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებში ნაკლები ნდობით სარგებლობდნენ“ (დუმბაძე 1973ა: 601).
- 12 იგულისხმება ალექსანდრე ბაქარის ძე (1724/1728-1791) – ვახტანგ VI-ს შვილიშვილი, ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი, რომელიც რუსეთში დაიბადა, იქვე მიიღო განათლება, ატარებდა გრუზინსკის გვარს და იყო გვარდიის ოფიცერი. სიკვდილის წინ მამამ მას ფიცი დაადებინა, რომ ქართლის მეფის ტახტს დაიკავებდა. იგი ვერ ურიგდებოდა ქართლში თეიმურაზ II-ის, შემდეგ ერეკლე II-ის მეფობას. 1766 წელს მას სამშობლოში გამგზავრების ნება დართეს, მაგრამ საქართველოში მხარდაჭერა ვერ პოვა. 1767 წელს იგი შირაზში, ქერიმ ხანთან, ჩავიდა დახმარების სათხოვნელად, საბოლოოდ ტახტის პრეტენდენტი ბატონიშვილი სმოლენსკში დაასახლეს, სადაც გარდაიცვალა (ქორთუა 1989: 140-143); (ტარსაიძე 1972: 103); (დუმბაძე 1973ბ: 635); (ჯავახიშვილი 2013: 161-164).
- 13 გრაფი დე ფერიე სოვებეფი უზუსტობას უშვებს, რადგან ერეკლე II-ს არ ჰყოლია ვაჟი, სახელად დავითი ან დაუდ ხანი. დავითი (1767-1819) იყო გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801, 1800 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი, მწერალი და მეცნიერი.
- 14 გრაფი დე ფერიე სოვებეფი ფრანგ და ფრანკოფონ ავტორთა უმრავლესობა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას ბერძნულს უწოდებს.
- 15 კაპუცინი – კათოლიკური მონაზვნური ორდენის (ფრანცისკელთა ორდენის განშტოების) წევრი, რომელიც ატარებს ანაფორაზე მიკერებულ კაპიუშონს.
- 16 მსგავსი ცნობა გვხვდება ჟან-ბატისტ ტავერნიესა და ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის თხზულებებში. ტავერნიე წერს: „საქართველოსა და სამეგრელოში გოგონები მონასტრებში ცოდნას იძენენ. ის, ვინც გარკვეულ წარმატებას აღწევს, სამუდამოდ იქვე რჩება ან წარჩინებულის სამსახურში დგება, ისინი იღებენ აღსარებას, ნათლავენ ბავშვებს, ატარებენ ქორწინებას და ეკლესიის სხვა მსგავს ფუნქციებს, ეს ჩვეულება ამ ქვეყნების გარდა მსოფლიოში არსად არ არის მიღებული (ტავერნიე 1713: 453-454). ტურნეფორი წერს: „ქალები მონასტერში ხდებიან მორჩილნი, შემდეგ მხევალნი, ხოლო ბოლოს უფლება აქვთ შეასრულონ წინამძღვრის ისეთი ფუნქციები, როგორცაა ნათლობა და ზიარება, მირონცხება“ (ტურნეფორი 1717: II, 135); (მგალობლიშვილი 1988: 70).

- <sup>17</sup> განხეთქილების ვაშლი – იგულისხმება მითური ოქროს ვაშლი ზედნარწერით „უმშვენიერეს“.
- <sup>18</sup> სოლომონ I (1735-1784) – იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში.
- <sup>19</sup> გრაფი დე ფერიე სოვებეფი უზუსტობას უშვებს, რადგან სოლომონ I-მა 1783 წელს სცადა გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებით შეკვროდა რუსეთს (ჩხატარაიშვილი 1973: 666). რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1810 წელს იმერეთის სამეფო გააუქმა და იქ თავისი მმართველობა დაამყარა.
- <sup>20</sup> გრაფი დე ფერიე სოვებეფის აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის დროს, 1758-1788 წლებში ოდიშის მთავარი იყო კაცია II დადიანი.

## დამონმებანი

- დუმბაძე 1973ა:** მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, თავი მეცამეტე, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნახკვევები, ტ., IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- დუმბაძე 1973ბ:** მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა XVI ს. 60-იან წლებში, თავი მეცამეტე, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნახკვევები, ტ., IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- დუმბაძე 1973გ:** მ. დუმბაძე. პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, თავი მეთოთხმეტე, ქართული სამეფოები დაქვეითების გზაზე, საქართველოს ისტორიის ნახკვევები, ტ., IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ელო-ბელიე 2007:** Hellot-Bellier, Florence. *France – Iran, quatre cents ans de dialogue, Avec le concours de L'UMR 7528 "Mondes iranien et indien", Studia Iranica, Cahier 34, Association pour l'avancement des études iraniennes.* Paris: Peeters Press.
- კლოსტრი 1742:** Claustre, André de. *Histoire de Thamas Kouli-Kan, Roi de Perse.* Paris: Chez Briasson.
- მგალობლიშვილი 1988:** ტუხნეფოხი, ჟოზეფ პიგონ დე. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები მზია მგალობლიშვილისა, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
- მგალობლიშვილი, სანიკიძე 2018:** ჟან შახდენის მოგზაურობა სპახსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნეს, შესავალი ნერილი და კომენტარები დაურთეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- პეისონელი 1754:** Peyssonel, Charles de, *Essai sur les troubles actuels de Perse, et de Géorgie, par M. de Peyssonel.* Paris: chez Desaint & Saillant.
- პეისონელი 1787:** Peyssonel, Charles de, *Traité sur le commerce de la mer Noire, par M. de Peyssonel, ancien Consul-Général de France à Smirne.* Paris: chez Cuchet.
- ტავერნიე 1713:** Tavernier, Jean-Baptiste, *Les Six Voyages De Monsieur Jean Baptiste Tavernier, Ecuyer Baron D'aubonne, En Turquie, En Perse, Et Aux Indes, Pendant L'espace De Quarante Ans & Par Toutes Les Routes Que L'on Peut Tenir: Accompagnez D'observations Particulieres Sur La Qualite.* Paris: Pierre Ribou.
- ტარსაიძე 1972:** Н. Г. Тарсаидзе, *Исторические этюды,* Издательство Тбилисского университета, Тбилиси.
- ტურნეფორი 1717:** Tournefort, Joseph Pitton de. *Relation d'un voyage du Levant: fait par ordre du Roi: contenant l'histoire ancienne & moderne de plusieurs isles de l'Archipel, de Constantinople, des Côtes de la Mer Noire, de l'Armenie, de la Georgie, des frontières de Perse et de l'Asie Mineure.* I-II. Amsterdam: Aux dépense de La Compagnie.
- ფერიე სოვებეფი 1790:** Ferrières Sauvebeuf, Louis-François de. *Mémoires historiques, politiques et géographiques des voyages du comte de Ferrières Sauvebeuf, faits en Turquie, en Perse et en Arabie, depuis 1782, jusqu'en 1789.* I, Paris: Chez Buisson.
- ქორთუა 1989:** Н. М. Кортуа. *Русско-грузинские взаимоотношения во второй половине XVIII века.*

Тбилиси: Издательство Тбилисского университета.

**მარდენი 1711:** *Chardin Jean, Voyages de monsieur le chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient: enrichi d'un grand nombre de belles figures en taille-douce, représentant les antiquitéz et les choses remarquables du pais.* Amsterdam: chez Jean Louis de Lorme.

**ჩხატარაიშვილი 1973:** ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში, თავი მეცამეტე, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნახკვევები, ტ., IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**ჯავახიშვილი 2013:** ნ. ჯავახიშვილი. „1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისთვის“, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ., VII, თბილისი.

## MISSION OF COUNT LOUIS-FRANCOIS DE FERRIÈRES SAUVEBEUF TO THE EASTERN COUNTRIES IN 1782-1789 AND HIS REPORTS ABOUT GEORGIA

**Irine Natchkebia**

Ilia state university

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

irnat@hotmail.com

In the 17th-18th centuries, extensive reports about Georgia were published in Paris and Amsterdam, which are associated with the works of French travelers: Jean-Baptiste Tavernier (Paris, 1677), Jean Chardin (Amsterdam, 1711), and Joseph Pitton de Tournefort (Amsterdam, 1717). In addition to them, the writings of the priest from Lyon, André de Claustre (Paris, 1742), and the French consul in Izmir, Charles de Paysonel (Paris, 1854; Paris, 1787), were published in Paris.

At the end of the 18th century, on the orders of Louis XVI and the Secretary of State for Foreign Affairs of France, Count Charles Gravier de Vergennes, in 1782, a French officer, Count Louis-François de Ferrières Sauvebeuf, went to the Ottoman Empire and Iran. The purpose of his secret mission was to obtain information about these states, the situation in the region and the favorable conditions for French trade in the Persian Gulf.

After several years of traveling in Eastern countries, Count de Ferrières Sauvebeuf returned to France on May 5, 1789, and he published the impressions of his travels in two volumes in January 1790. They contain information about political events in the region, as well as data on religion, population, customs, agriculture, trade, etc. of the countries visited by him. He arrived in Iran during the reign of Ali Morad Khan (1781-1785), the Shah of the Zend dynasty, in May 1784 and stayed there until the fall of 1785, in order to create an idea about Russia's interests in the Caspian Sea and Georgia.

The French diplomat's reports about Georgia are given in chapters XX and XXI of the first volume of his works. We will single out the following issues from them: 1. Erekle II's rule after signing the Treaty of Georgievsk; 2. Description of Tbilisi; 3. Characterization of Georgians and Mingrelians. Unlike other travelers, he does not write anything about his movements during the journey. Therefore, it is likely that he got some information about Georgia from the writings of Tavernier and Tournefort, while he received information about Erekle II, Tbilisi, Solomon I, and Samegrelo during his stay in Iran and the Ottoman Empire, since there is no information about his trip to Georgia in his biography.

This work by Count Louis-François de Ferrières Sauvebeuf was immediately translated into Dutch and English, and in 1794 an abridged Swedish edition appeared in Stockholm.

**კომენტარები**  
**COMMENTS**



# TEKUR/TAKAWWUR: A CASE OF WORD GAME IN HAŠT BIHIŠT VI

**Mustafa Dehqan**

Independent researcher  
mustafadehqan@yahoo.com

**Abstract:** Idrīs Bidlīsī (1457-1520), was one of the major contributors to Ottoman history in the sixteenth-century. He was probably not an attractive figure. His extensive knowledge as a historian and *adīb* and presumably his Kurdish origin made him unpopular among many of his Ottoman court contemporaries. There is much that remains obscure due to insufficient textual evidence on his works and especially his unpublished *Hašt Bihišt VI* but occasionally one gets a glimpse of Bidlīsī's work and style.

**Keywords:** Idrīs Bidlīsī, *Hašt Bihišt VI*, Murād II, Ottoman, Persian, Arabic, Murād II

Idrīs ibn Ḥusām al-Dīn 'Alī al-Munshī al-Bidlīsī, better known as Idrīs Bidlīsī (1457-1520), was one of the most important scholars and statesmen of Ottoman-Iranian tradition in the widest sense of the word. After a life rich in some pioneering Islamic, literary, and historical achievements, he died at Empire's capital where he retired in his later years. Details of Idrīs' biography are discussed elsewhere<sup>1</sup>, while the present brief note deals with a textual aspect of his *magnum opus*, *Hašt Bihišt* (The Eight Paradises), which is dedicated to the history of the first eight Ottoman sultans. The emphasis on the textual data is methodologically important, as it stems from my conviction that the critical edition of the unpublished *Hašt Bihišt VI* should be studied with constant reference to the abundant textual information at our disposal.

There is a highly sophisticated and artificial style of Persian prose in *Hašt Bihišt*, characterized by a kind of rhythm as well as rhyme. These rhythmic prose, known as Idrīs' *musāğga'āt* and his formal technicalities (*takallufāt*) are intentionally used for the display of the author's eloquence, wit, and erudition. However, this is not the only feature of Idrīs' hyperliterate prose. In some cases, he ignores the rhythm of the words and uses a single writing (*rasm al-ḥaṭṭ*) while referring to two different meanings. In other words, Idrīs' prose style includes also a word game to present different treatment of vowels and diphthongs. The first word bears primary stress and starts the sequence that carries the prosodic characteristics of the word. The second that holds exactly the same writing is destressed and appears normally in a neutralized meaning.

It is of course commonplace that the Persian texts written by Ottoman authors, while certainly having an integral part of the general Persian literature, produce at the same time some local particularities. This can be demonstrated by the following case, in which the Ottoman Turkish word, *tekur*, mentioned by Idrīs as a loanword in Persian is a good sample of the word game in *Hašt Bihišt VI*.

In the present example of Idrīs' game with words, the first word *tekur*, a title used in late Rūm Saljuk and early Ottoman times, comes from Ottoman Turkish *tekvur* or *tekfur*. Idrīs and several other historians writing in Ottoman Turkish or Persian employed the title and its variants to refer

---

<sup>1</sup> For his life and times, see Genç, Vural. *Acem'den Rum'a Bir Bürokrat ve Tarihçi: İdris-i Bidlîsî (1457-1520)* (Ankara: Türk Tarih Kurumu, 2019), especially chs.i-ii; for his works, see Markiewicz, Christopher. *The Crisis of Rule in Late Medieval Islam: A Study of Idrīs Bidlīsī (861-926/1457-1520) and Kingship at the Turn of the Sixteenth Century* (PhD dissertation, The University of Chicago, 2014), 127ff.

to independent or semi-independent Byzantine governors in Anatolia and Thrace<sup>2</sup>.

The Arabic word *takawwur*, not *tekur* for a second time, is the correct reading in the following sentence of *Hašt Bihišt* VI. Both classical and early modern Arab lexicographers define the *takawwur* as “fall down, decline, degeneration, or collapse”<sup>3</sup>. The *Hašt Bihišt* VI author says, in his introductory comments on Murād II’s struggle with the Byzantines on the demise of Mehmed I, *šūrat-i irtiḥāl* (i.e., a note of *Hašt Bihišt* VI by which one charms oneself against Christians) that the Muslims were bewitched by *tekur* or the lord of Constantinople. In other words, when he is called *tekur*, it is in the sense of “the former Muslim”. The same is true for the leaders of the Byzantines who reportedly hired this *tekur* ‘lord’ to strat a *takawwur* ‘decline’ of the Muslim sultanate. The sentence reads:

...*bi-munāsibat-i iḥtilāt wa irtibāt-i sābiq bā tekur-i Istanbul ṭarḥ-i hawāḥwāhī andāḥtand wa ḡahat-i istilāʿ-i takawwur bar baʿdī az bilād-i Islāmī fitnaʿī andāḥtand*...<sup>4</sup>

...on the occasion of the former communication and relationship, they made a plan of friendship with the lord of Constantinople and they gave rise to a sedition for the dominance of decline on some Islamic lands...

## Bibliography

Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Esad Efendi 2199.

----- *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Nuruosmaniye 3209.

----- *Hašt Bihišt*, Istanbul, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi, Hazine 1655.

----- *Hašt Bihišt*, Tabriz, Kitābhāna-yi Markazī-yi Tabriz, Maḡmūʿa-yi H. Hussein Nakhdjvani, MS 1874.

al-Biyhaqī, Abū Ḡaʿfar Aḥmad ibn ʿAlī ibn Muḥammad al-Maqarrī. *Tāḡ al-Maṣādir*, Ed. H. ʿĀlimzāzih (Tehran: Muʿassisa-yi Muṭālīʿāt wa Tahqīqāt-i Farhangī, 1987).

Dankoff, Robert. *Armenian Loanwords in Turkish* (Turkologica 21) (Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 1995).

Geç, Vural. *Acem’den Rum’a Bir Bürokrat ve Tarihçi: İdris-i Bidlīsī (1457-1520)* (Ankara: Türk Tarih Kurumu, 2019).

Hindī, ʿAbd al-Raḥīm ibn ʿAbd al-Karīm Şafīpūrī. *Muntahi l-Arib fī Luḡat al-ʿArab* (Calcutta: Mirza Ashraf Ali Co., 1890).

Markiewicz, Christopher. *The Crisis of Rule in Late Medieval Islam: A Study of Idrīs Bidlīsī (861-926/1457-1520)*

<sup>2</sup> See for instance Melikoff-Sayar, Iréne. *Le Destan d’Umur Pacha (Düsturname-i enveri)* (Bibliothèque Byzantine-Documents, 2) (Paris: Presses Universitaires de France, 1954), p.47, n.6; Dankoff, Robert. *Armenian Loanwords in Turkish* (Turkologica 21) (Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 1995), p.44.

<sup>3</sup> See Hindī, ʿAbd al-Raḥīm ibn ʿAbd al-Karīm Şafīpūrī. *Muntahi l-Arib fī Luḡat al-ʿArab* (Calcutta: Mirza Ashraf Ali Co., 1890), ii, 286; al-Biyhaqī, Abū Ḡaʿfar Aḥmad ibn ʿAlī ibn Muḥammad al-Maqarrī. *Tāḡ al-Maṣādir*, Ed. H. ʿĀlimzāzih (Tehran: Muʿassisa-yi Muṭālīʿāt wa Tahqīqāt-i Farhangī, 1987), ii, p.820.

<sup>4</sup> For this, which I consider the important autograph text (copied in c.1506), see Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Esad Efendi 2199, fol.301v. For the variant readings, though slightly garbled, see MSS Nuruosmaniye 3209 (autograph MS, dated 1513-1514), Hazine 1655 (copied in c.1520), and Tabriz 1874 (copied in 1560) respectively: ...*bi-munāsibat-i iḥtilāt wa irtibāt-i sābiq bā tekur-i Iştambul ṭarḥ-i hawāḥwāhī andāḥtand wa ḡahat-i ṭamaʿ-i istilāʿ-i takawwur bar baʿdī az bilād-i Islāmī fitna-yi dīnī wa duniyāwī barsāḥtand*...(Nuruosmaniye 3209); ...*bi-munāsibat-i iḥtilāt wa irtibāt bā tekur-i Iştambul ṭarḥ-i hawāḥwāhī andāḥtand wa ḡahat-i ṭamaʿ-i istilāʿ-i takawwur bar baʿdī az bilād-i Islāmī fitna-yi dīnī wa duniyāwī barsāḥtand*...(Hazine 1655); ...*bi-munāsibat-i iḥtilāt wa irtibāt-i sābiq bā tekur-i Iştambul ṭarḥ-i hawāḥwāhī andāḥtand wa ḡahat-i ṭamaʿ-i istilāʿ-i takawwur bar baʿdī bilād-i Islāmī fitna-yi dīnī wa duniyāwī barsāḥtand*...(Tabriz 1874).

*and Kingship at the Turn of the Sixteenth Century* (PhD dissertation, The University of Chicago, 2014).  
Melikoff-Sayar, Irène. *Le Destan d'Umur Pacha (Düsturname-i enveri)* (Bibliothèque Byzantine-Documents, 2) (Paris: Presses Universitaires de France, 1954).

## **Tekur/Takawwur: სიტყვებით თამაში Hašt Bihišt-ის მეექვსე წიგნში**

**მუსტაფა დეჰქანი**

დამოუკიდებელი მკვლევარი  
mustafadehqan@yahoo.com

იდრის ბიდლის (1457-1520) მეექვსემეტე საუკუნის ოსმალეთის ისტორიის შექმნაში წვლილის შემტანი ერთ-ერთი მთავარი ავტორი იყო. სავარაუდოდ, ის არ წარმოადგენდა მიმზიდველ ფიგურას. მისი, როგორც ისტორიკოსის, ძალიან ფართო ცოდნა, მისი ადიბი და, სავარაუდოდ, ქურთული წარმომავლობაც მას ოსმალეთის კარზე მყოფ თანამედროვეთა დიდი ნაწილისათვის არაპოპულარულს ხდიდა. მისი ნაშრომების, და განსაკუთრებით კი მისი გამოუქვეყნებელი Hašt Bihišt-ის მეექვსე წიგნის შესახებ საკმარისი ტექსტური მონაცემების არარსებობის გამო ბევრი რამ გაურკვეველი რჩება, მაგრამ მკვლევარს ხანდახან საშუალება ეძლევა იხილოს ბიდლისის ნაშრომისა და სტილის ბრწყინვალეების გაელვება.



# IS THE EMENDATION OF PĀNĠDAHUM TO PĀNZDAHUM NECESSARY IN HAŠT BIHIŠT VI?\*

Mustafa Dehqan

Independent scholar

mustafadehqan@yahoo.com

**Abstract:** A curious feature of studies on the *Hašt Bihišt*, by Idrīs Bidlīsī (1457-1520), over the last years is the barely adequate attention paid by scholars to the *Hašt Bihišt* as a literary text. Ottoman studies has some works on *Hašt Bihišt* to its historical credit, but one seeks in vain for a methodical application of the techniques of criticism to a textual problem of Bidlīsī's *Hašt Bihišt*. In this short note, I propose a certain reading of an obsolete word for those younger scholars who might be interested in a critical edition of the Book VI.

**Keywords:** Idrīs Bidlīsī, *Hašt Bihišt* VI, critical edition, Ottoman, Persian, Murād II

Ordinal numbers that Bidlīsī used to talk about the order of “topics” or to define a topic’s position in a series of discussions in the Book VI sometimes differ in spelling from their original expected forms. These are not uncommon in textual and manuscript studies but they offer a problem that is often annoying to the punctilious student. Which among variant readings of an ordinal number is the correct one? Under what specific detail is emendation of an ordinal number proper and under what shapes is it erroneous?

In our extremely important autograph manuscript of *Hašt Bihišt* VI, dated 1506 (Esad Efendi 2199), the word “fifteenth” is mentioned as *pānġdahum*, so far as I am aware, without precise parallel in any other passage of sixteenth century Ottoman Persian<sup>1</sup>. The sixth book, in which this rare and interesting use of “fifteenth” occurs, is mainly occupied by an introduction which treats the abdication of Sultan Mehmed II and the first short-time period of his sultanate.

As we know, the second important manuscript of Bidlīsī's *Hašt Bihišt* is MS Nuruosmaniye 3209, dated 1513-1514. It is normally known as an “autograph” manuscript, but it is only the conclusion and colophon of Nuruosmaniye 3209 that are written in Bidlīsī's hand<sup>2</sup>. Nevertheless, there is no doubt that this manuscript was written by some disparate scribes under the supervision of Bidlīsī, and this is definitely the reason why Nuruosmaniye 3209 has also preserved the reading *pānġdahum*<sup>3</sup>.

Almost without exception later significant manuscripts emended *pānġdahum* to *pānzdahum*—as in the well-known Hazine 1655<sup>4</sup>—or the diligent and meticulous Tabriz 1874<sup>5</sup>. Even by erudite sixteenth century scribes, those of Hazine and especially Tabriz 1874, this proposed emendation is a bad unacceptable one. What is given in the autograph Esad Efendi 2199 and “pseudo-autograph”

<sup>1</sup>I am thankful to Ahmadreza Qaemmaqami and Claus Valling Pedersen for their suggestions and being supportive during this study.

See Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Esad Efendi 2199, fol.347v.

<sup>2</sup> See Fallahzadeh, Mehrdad. “The Eight Paradises (the Hasht Bihisht) and the Question of the Existence of Its Autographs”, *Der Islam* 91/2 (2014): 374-409.

<sup>3</sup> See Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Nuruosmaniye 3209, fol.309v.

<sup>4</sup> See Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi, Hazine 1655, fol.346r.

<sup>5</sup> See Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Tabriz, Kitābhāna-yi Markazī-yi Tabrīz, Maġmū'a-yi H. Hussein Nakhdjvani, MS 1874, fol.264r.

Nuruosmaniye 3209 are a particularity of Bidlīsī which should be accepted as it is. Not only earlier *Hašt Bihišt* scribes and a wide number of manuscripts which mistakenly propose *pānzdahum*, but any coming editor of Bidlīsī's *Hašt Bihišt* VI should keep *pānğdahum* as it is.

Bidlīsī is credited with an astute knowledge and sophisticated style. The ordinal number *pānğdahum* is an obsolete word, but this does not mean that the spelling *pānzdahum* is preferred to Bidlīsī or more commonly used. Those who have touched the hyperliterate text of Bidlīsī in the past and emended this word either did not know the meaning of *pānğdahum*, as an obsolete word, or simplified it for the readers so that they could understand Bidlīsī's titling better. Neither is acceptable.

For Bidlīsī and some others, *pānğdah* is apparently a combination of *panğ* 'five' and *dah* 'ten' but its structure for them is based on the same *pānzdah*. In other words, since it consists of *panğ* and *dah*, then its structure can be simulated like *pānzdah* (= *pānğdah*)<sup>6</sup>. Whatever the reasons, Iranian classical scholarship, with very few samples of course, has chosen the *Hašt Bihišt* style in not using the word *pānzdahum*. In fact, I would like to stress that it was not rare enough to allow us to make alterations in the text of Bidlīsī<sup>7</sup>.

Finally, it should be added that Bidlīsī is a difficult author whose style is a sophisticated one. The selection of difficult and obsolete words and terms is more compatible with the general style of his works and the characteristics of his prose. Simplifying Bidlīsī's language is against his literary tastes and historiographical method.

## Bibliography

Abharī, 'Abd al-Ġaffār. *Zayn al-Mu'taqid*, Tehran, Kitābhāna-yi Millī, MS 2219/4.

Anonymous. *Uṣṭurlāb*, Tehran, Kitābhāna-yi Markaz-i Dā'iratulma'ārif-i Buzurg-i Islāmī, MS 685/10.

Bidlīsī, Idrīs ibn Ḥusām al-Dīn. *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Esad Efendi 2199.

----- *Hašt Bihišt*, Istanbul, Süleymaniye Kütüphanesi, Nuruosmaniye 3209.

----- *Hašt Bihišt*, Istanbul, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi, Hazine 1655.

----- *Hašt Bihišt*, Tabriz, Kitābhāna-yi Markazī-yi Tabrīz, Mağmū'a-yi H. Hussein Nakhdjvani, MS 1874.

Fallahzadeh, Mehrdad. "The Eight Paradises (the Hasht Bihisht) and the Question of the Existence of Its Autographs", *Der Islam* 91/2 (2014): 374-409.

al-Ḥamawī, Abu l-Futūḥ Habat Allāh ibn Yūsuf ibn Ibrāhīm ibn Muḥammad. *Risāla dar Aḥlāq*, Tehran, Kitābhāna-yi Millī, MS 5-18129.

Ḥaydarī, Fāṭima. "Šivahā-yi Vāžaguzīnī va Vāžasāzī-yi Fārsī dar Āṭār-i Mantūr-i Nāšir-i Ḥusraw", *Pažūhišhā-yi Dastūrī va Balāgī* 19 (2021): 61-89.

<sup>6</sup> For samples of word-making and word selection in Persian literature and the role they played in rhetoric which was very important for scholars like Bidlīsī, see for instance Ḥaydarī, Fāṭima. "Šivahā-yi Vāžaguzīnī va Vāžasāzī-yi Fārsī dar Āṭār-i Mantūr-i Nāšir-i Ḥusraw", *Pažūhišhā-yi Dastūrī va Balāgī* 19 (2021): 61-89.

<sup>7</sup> See Abharī, 'Abd al-Ġaffār. *Zayn al-Mu'taqid*, Tehran, Kitābhāna-yi Millī, MS 2219/4, fol.46v.; al-Ḥamawī, Abu l-Futūḥ Habat Allāh ibn Yūsuf ibn Ibrāhīm ibn Muḥammad. *Risāla dar Aḥlāq*, Tehran, Kitābhāna-yi Millī, MS 5-18129, fol.18v.; Anonymous. *Uṣṭurlāb*, Tehran, Kitābhāna-yi Markaz-i Dā'iratulma'ārif-i Buzurg-i Islāmī, MS 685/10, fol.62r.

## საჭიროა კი *Hašt Bihišt*-ის მეექვსე წიგნში სიტყვა *paṅḡdahum* ჩავასწოროთ სიტყვით *pānzdahum*?

**მუსტაფა დეჰქანი**

დამოუკიდებელი მკვლევარი  
mustafadehqan@yahoo.com

იდრის ბიდლისის (1457-1520) *Hašt Bihišt*-ის უკანასკნელ წლების კვლევების სა\_ინტერესო მახასიათებელი გახლავთ არაადექვატურად მცირე ყურადღების მიქცევა *Hašt Bihišt*-ის, როგორც ლიტერატურული ტექსტისადმი. ოსმალური კვლევების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არსებობს ნაშრომები *Hašt Bihišt*-ის შესახებ, მაგრამ მკვლევარი მათში ტყუილად დაუწყებს ძებნას ბიდლისის *Hašt Bihišt*-ის ტექსტოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად კრიტიციზმის ტექნიკის გამოყენებას. ამ მოკლე შენიშვნაში მე წარმოვადგენ ერთი მოძველებული სიტყვის გარკვეულ წაკითხვას იმ ახალგაზრდა მკვლევრებისათვის, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ *Hašt Bihišt*-ის მეექვსე წიგნის კრიტიკული გამოცემით.

**წიგნების მიმოხილვა**  
**BOOK REVIEWS**



## ახალი მონოგრაფია „ნიცშე და ქრისტიანობა“

**კონსტანტინე ბრეგაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Konstantine.bregadze@tsu.ge

2023 წელს გამოიცა მონოგრაფია სახელწოდებით „ნიცშე და ქრისტიანობა: ტრადიციული ფასეულობების დაძლევის მცდელობა“. ნაშრომის ავტორია კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი დავით თინიკაშვილი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი ქრისტიანობის ისტორიაში, ხოლო მაგისტრისა და ბაკალავრის ხარისხები ქრისტიანულ თეოლოგიაში აქვს მოპოვებული. შესაბამისად, მონოგრაფიაში ფრიდრიხ ნიცშეს მხოლოდ ის მოსაზრებებია განხილული, რაც ქრისტიანობას ეხება.

მონოგრაფიას წინ უძღვის ავტორის მოკლე წინათქმა, რომელშიც საუბარია წიგნის დაწერის მოტივაციაზე და რედაქტორის, ნიცშეს შემოქმედების ყველასთვის კარგად ცნობილი სპეციალისტის, პროფესორ თენგიზ ირემაძის, ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც პროფესორ თინიკაშვილის ნაშრომის ღირსებებს გამოკვეთს.

მონოგრაფია, პირველ რიგში, განიხილავს ფილოსოფოსის ბიოგრაფიას მის პიროვნებაში ანტიქრისტიანული მორალის წარმოქმნის პოტენციური მოტივების დადგენის მიზნით. როგორც ჩანს, ნიცშეს ანტიქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მწვავე რეაქციამ იმ რელიგიური გარემოს მიმართ, რომელშიც იგი აღიზარდა, ისე რელიგიის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მოაზროვნეთა ნააზრევის გაცნობამ (შოპენჰაუერი, ვაგნერი, შტრაუსი, ფოიერბახი და სხვ.). ნაჩვენებია ნიცშეს გამორჩეულად მაღალი მგრძობელობა გარე სამყაროსადმი და მისი პიროვნების ტრაგიკულობა, რაც დიდწილად განპირობებული იყო როგორც მისი ხორციელი სნეულებებით, ისე კარიერული და პირადი ცხოვრების უიღბლობითა და წარუმატებლობებით.

წიგნის ძირითად ნაწილში ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოთქმული ნიცშეს კრიტიკული იდეები უბრალოდ გადმოცემული და აღწერილი კი არ არის, არამედ ისინი განხილული და შეფასებულია ქრისტიანული პერსპექტივიდან. გაანალიზებულია, თუ რამდენად სწორად ესმოდა ნიცშეს ქრისტიანული თეოლოგიისა და ისტორიის ესა თუ ის იდეა, ცნება, საკითხი, კონცეპტი, ფაქტი და, საჭიროების შემთხვევაში, გამოვლენილია მისი მიდგომის ტენდენციურობა და პროვოკაციული ხასიათი. ასევე გამოკვეთილია ნიცშეს შეხედულებებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრიობა, არათანმიმდევრულობა და გარკვეული ზედაპირულობა. გერმანელი ფილოსოფოსის ძალისხმევა ქრისტიანობის არგუმენტირებულ კრიტიკას კი არ უკავშირდებოდა, არამედ უფრო მის დაგმობას, შეტევასა და ტკივილის მიყენებას.


წიგნში წარმოდგენილია ნიცშეს ფილოსოფიის ე.წ. „დადებითი იდეებიც“ (აფირმაცია, ბედისწერის სიყვარული, მარადიული დაბრუნების იდეა და სხვ.) და საუბარია შემდგომ ეპოქაზე მისი შემოქმედების გავლენის შესახებაც. წიგნის ბოლოს შეჯამებულია კვლევის შედეგები.

დაბოლოს, ღირსსაცნობია, რომ ნაშრომში მოცემული მსჯელობების საფუძვლიანობასა და არგუმენტირებულობას დიდწილად განაპირობებს წინამდებარე წიგნის ავტორის თეოლოგიური განათლებაც, რაც მას საშუალებას აძლევს ადეკვატური სიღრმით განიხილოს ქრისტიანობის შესახებ ნიცშეს შეხედულებათა მართებულობა-არამართებულობის საკითხი. მეორე მხრივ, წიგნის რედაქტორისა და რეცენზენტების ფილოსოფიური და ფილოლოგიური განათლება და მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები ამ წიგნის შინაარსობრივი მხარის შესაბამის დამაჯერებლობაზე მეტყველებს. აქვე

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მათ უშუალოდ ნიცშეს შესახებ სპეციალური გამოკვლევები აქვთ შესრულებული და აღნიშნული გერმანელი ფილოსოფოსის შემოქმედებაზე მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვთ.

რედაქტორისა და რეცენზენტების (თენგიზ ირემაძე, გიორგი თავაძე, კონსტანტინე ბრეგაძე, გიორგი მაისურაძე) მოკლე შეფასებები წიგნის უკანა ყდაზეა დატანილი.

მონოგრაფიის სრული ტექსტი ელექტრონულად (პდფ ფორმატში) უფასოდ ხელმისაწვდომია ავტორის ვებ-გვერდზე: <https://davidtinikashvili.wordpress.com>



## NEW MONOGRAPH “NIETZSCHE AND CHRISTIANITY”

**Konstantine Bregadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Konstantine.bregadze@tsu.ge

In 2023, a monograph “Nietzsche and Christianity: An Attempt at Refuting Traditional Values” was published. The author of the work is David Tinikashvili, a Professor of the Caucasus University. He obtained a doctor’s degree in the history of Christianity, MA and BA degrees in Christian theology. Thus, in the monograph, only the Nietzsche’s views related to Christianity are discussed.

The work contains the short preface by the author, in which he talks about the motivation for writing the book, and a long foreword by the editor, Professor Tengiz Iremadze, a well-known specialist of Nietzsche, in which he deals with the value of Professor Tinikashvili’s work.

In the first part of the monograph the biography of the philosopher is examined in order to determine the potential motives for the development of his anti-Christian morality. It seems that an important role in the formation of Nietzsche’s anti-Christian worldview was played by both his hostile reaction to the corrupted religious environment in which he grew up, and his acquaintance with the works of authors critical of religion (Schopenhauer, Wagner, Strauss, Feuerbach etc.). The book also shows Nietzsche’s exceptionally high sensitivity to the outside world and the tragic nature of his personality, which was largely due to his chronic physical ailments as well as to the misfortunes and failures of his career and personal life.

In the main part of the book, Nietzsche's critical ideas against Christianity are not simply presented and described, but also discussed and evaluated from a Christian perspective. The author analyzes the extent to which Nietzsche correctly understood particular ideas, notions, issues, concepts and facts of Christian theology and history, and, if necessary, the bias and the provocative nature of his approach are exposed. The contradictions, inconsistencies, and a certain superficiality characteristic of Nietzsche's views are also highlighted. The intellectual efforts of the German philosopher did not aim at a reasoned criticism of Christianity, but rather at its condemnation, "curse" and extirpation.

Furthermore, the book examines the so-called "positive ideas" in the philosophy of Nietzsche (self-affirmation, amor fati, eternal recurrence etc.), and the influence of his works on the period to follow is also discussed. The results of the research are summarized at the end of the book.

Lastly, it is worth noting that the soundness and the persuasiveness of the arguments given in the work are largely determined by the author's education in Christian theology, which allows him to discuss in adequate depth the issue of the correctness and exactitude of Nietzsche's views on Christianity. On the other hand, the philosophical and philological education of the editor and the reviewers confirms the compelling content of the book. It should be noted that they have pursued special research on Nietzsche as well, and have a great experience in working on the books written by the German philosopher.

The blurbs by the editor and reviewers (Tengiz Iremadze, Giorgi Tavadze, Konstantine Bregadze, Giorgi Maisuradze) are given on the back cover of the book.

The full text of the monograph is available electronically (in PDF format) for free on the author's website: <https://davidtinikashvili.wordpress.com>



## „კავკასიის ისტორია“

### ალექსანდრე დაუშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
adaushvili@yahoo.com

ქართულ საისტორიო მეცნიერებას უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით მომზადდა და გამოქვეყნდა „კავკასიის ისტორია“, ორ ტომად. პროექტის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი ავტორია აკად. როინ მეტრეველი. ნაშრომი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე მოამზადა და გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“.

ავტორთა კოლექტივი აერთიანებს: აკადემიკოს როინ მეტრეველს, ვალერი ვაშაკიძეს, გიორგი ჭეიშვილს, ჯონი კვიციანს, ლელა მიქიაშვილს, ვახტანგ გურულს, ოთარ ჯანელიძეს და ალექსანდრე დაუშვილს.

წიგნის სარედაქციო კოლეგიაში არიან: ვახტანგ გურული, ალექსანდრე დაუშვილი, ჯონი კვიციანი, ბუბა კუდავა და ეთერ ბაიდოშვილი.

საქართველოში, ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-80-იან წლებში იყო მცდელობა შექმნილიყო კავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ კაპიტალური ნაშრომი, მათ შორის, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ისტორიკოსების მონაწილეობითაც, აკადემიური წრეების ჩართულობით, მაგრამ საქმე მოსამზადებელ სამუშაოებს ვერ გასცდა, დასრულებული სახე პროექტმა ვერ მიიღო. შემდეგაც იყო მცდელობა – მაგრამ წარუმატებელი.

2018 წლის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დააყენა საკითხი კავკასიის ხალხთა ისტორიის შესწავლისა და მისი პუბლიკაციის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი შეისწავლა, მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც დასაბუთებული იყო ამ სამეცნიერო პრობლემის შესწავლის აუცილებლობა, განისაზღვრა მეცნიერთა ჯგუფი და შეირჩა პროექტის ხელმძღვანელი – აკად. როინ მეტრეველი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო სპეციალური დაფინანსება და ქართველი ისტორიკოსების რვაკაციანი ჯგუფი შეუდგა კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლას უძველესი დროიდან დღემდე.

ნაშრომის ავტორებს შორის თემები გადანაწილდა პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, რამაც უზრუნველყო ჯგუფში სათანადო შემოქმედებითი აქტივობა და მოსალოდნელი მაღალი შედეგები.

ნაშრომზე მუშაობა გაგრძელდა სრული სამი წელი, შემოქმედებითი ჯგუფი გაეცნო როგორც კავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიულ მიღწევებს, ინტენსიურად იმუშავა არქივებსა და წიგნსაცავებში, ასევე შეძლო ახლებურად გაეშუქებინა ამ ისტორიის მთელი რიგი აქტუალური საკითხი. ისტორიის ობიექტივისტური მეთოდისა და მეცნიერული ლოგიკის კანონების გათვალისწინებით შეიქმნა საკმაოდ მოცულობითი, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებითა და წარსულის ისტორიოგრაფიული გამოცდილების შემოქმედებითი ათვისების საფუძველზე მომზადებული ფუნდამენტური გამოკვლევა.

ნაშრომი იხსნება აკადემიკოს როინ მეტრეველის წინათქმით „კავკასია – ცივილიზაციის უძველესი კერა“. მასში განხილულია კავკასიის როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში უძველესი დროიდან დღემდე, მისი მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესებში, გაანალიზებულია უმთავრესი მიზნის – მშვიდობიანი კავკასიის მიღწევის შესაძლებლობები და ა. შ.

კავკასიის ცივილიზაციის საწყისი საფეხური – ისტორიის უძველესი პერიოდი შეისწა-

ვლა ვალერი ვაშაკიძემ, რომელმაც ახლებურად ჩამოაყალიბა კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიის კონკრეტული ეტაპები, თავისებურებები და მნიშვნელოვანი მიღწევები, რა თქმა უნდა, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების გათვალისწინებით. აქვე ავტორი კავკასიის ხალხთა ეთნოლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მიმოხილვასაც გვთავაზობს. სრულად ახლებურად, მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის მოხმობით გიორგი ჭეიშვილმა წარმოაჩინა კავკასიის ისტორიის ურთულესი პერიოდი – IV-X საუკუნეები, ქრისტიანობის გავრცელება კავკასიის ხალხებში, საგარეო პოლიტიკური ასპექტები, ურთიერთობები ახლო და შორეულ მეზობლებთან და სხვა საკითხები. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“ და კავკასიის ხალხთა მრავალმხრივი ურთიერთქმედების საკითხები შეისწავლა და წარმოაჩინა როინ მეტრეველმა. კავკასია XIII-XVII საუკუნეებში გამოიკვლია ჯონი კვიციანმა, რომელსაც კავკასიის ხალხთა ისტორიებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. კავკასიისათვის ურთულესი პერიოდი – XVIII საუკუნე თავისი დრამატიზმით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი ნგრევით, უცხო სახელმწიფოების თარეში და ქართველებისათვის აშკარა ეთნიკური გენოციდის პერიოდი წარმოაჩინა ლელა მიქიაშვილმა. კავკასიის ხალხთა ისტორიის განვითარებაში რადიკალური ტეხილია XIX საუკუნე – რუსეთის შემოსვლა და დამკვიდრება კავკასიაში, კავკასიის ხალხების ტოტალური დამორჩილება, სუვერენული სახელმწიფოების დაპყრობა, რუსული მმართველობის სისტემის დამკვიდრება, გაუთავებელი კავკასიური ომები და ა. შ. ეს ურთულესი პერიოდი შეისწავლა და სათანადოდ წარმოაჩინა ოთარ ჯანელიძემ, რომელმაც სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებები მჭიდროდ დაუკავშირა საკვლევ პერიოდში კულტურული განვითარების ახალ ეტაპს, რამაც კავკასიის ბევრ ხალხში უზრუნველყო პროგრესი და განვითარება.

უდიდესი ფაქტოლოგიური მასალის გამოყენების საფუძველზე ვახტანგ გურულმა უზრუნველყო კავკასიაში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სრული სურათის წარმოჩინება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მან გამორჩეულად შეისწავლა კავკასიის ხალხების მონაწილეობის საკითხი პირველ მსოფლიო ომში და ჩამოაყალიბა მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. კავკასიის ხალხების ისტორია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის ხანაში გააშუქა ალექსანდრე დაუშვილმა, რომელმაც აჩვენა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება XX საუკუნის განმავლობაში კავკასიის ხალხებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში. მანვე წარმოაჩინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახვა-განვითარების წინააღმდეგობრივი გზა, რაც სამხრეთ კავკასიაში ეროვნული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნით დაგვირგვინდა.

ნაშრომი საკმაოდ მოცულობითია, ის კარგად იკითხება, ნაშრომი აღჭურვილია სხვადასხვა საძიებლით, აქვს რეზიუმე უცხო ენაზე, მდიდრულად არის ილუსტრირებული, რაც, უდავოდ, გამომცემლობა „არტანუჯის“ საგამომცემლო ჯგუფის: რედაქტორების, კორექტორების, ტექნიკური პერსონალის დიდი და ნაყოფიერი შრომის შედეგია, რისთვისაც ისინი მადლობას იმსახურებენ.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნა ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სადაც კავკასიის ხალხთა ისტორია სრულად არის წარმოდგენილი. მონოგრაფიაში კავკასიის ისტორიის პრაქტიკულად არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი განხილვის გარეშე არ არის დარჩენილი. ეს კი ადასტურებს იმას, რომ ქართული საისტორიო მეცნიერება გამდიდრდა კიდევ ერთი ღირსეული და მეტად საჭირო ნაშრომით – ნაშრომის გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია.

ნაშრომის ღირებულებიდან გამომდინარე სასურველია, რომ მისი რუსული (სრულიად შესაძლებელია ინგლისურიც) ვერსია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით და საქართველოს მთავრობის დახმარებით უახლოეს პერიოდში მომზადდეს და გამოქვეყნდეს – სწორედ ეს უზრუნველყოფს ქართველ მეცნიერთა მიერ ლოგიკურად დადასტურებული პოზიციების მასობრივ გავრცელებას და მსოფლიოს საისტორიო

მეცნიერებას გააცნობს ქართველი ისტორიკოსების მიერ ჩატარებული მრავალმხრივი კვლევების შედეგებს.



## “HISTORY OF THE CAUCASUS”

**Aleksandre Daushvili**

Ivane Javakhishvili Institute  
of History and Ethnology  
adaushvili@yahoo.com

Georgian scholarship in field of history has been enriched by extremely interesting and important work. This is the “History of the Caucasus” which was prepared and published under the auspices of the National Academy of Sciences of Georgia, in two volumes. The head of the project and one of the authors is Academician Roin Metreveli. The work was prepared and published by the publishing house “Artanuj” at a high polygraphed level.

The collective of the authors includes: Roin Metreveli, Valeri Vashakidze, Giorgi Cheishvili, John Kvitsiani, Lela Mikiashvili, Vakhtang Gurul, Otar Janelidze and Aleksandre Daushvili.

The editorial board of the book includes: Vakhtang Guruli, Aleksandre Daushvili, John Kvitsiani, Buba Kudava and Eter Baidoshvili.

The work on this book was continued during three years, the authors got acquainted with the available historiographic achievements about the history of the peoples of the Caucasus, and also intensively worked in archives and book depositories. They were able to reconsider topical issues of the history of Caucasus.

# „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“ (3, 2022)

**ალექსანდრე თვარაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
aleksandre.tvvaradze@gmail.com

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ 2021 წლის XXIII ნომერში მკითხველს მივანოდეთ ინფორმაცია თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაარსებული ახალი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის, „ქრონოსის“ (დაარსდა 2019 წელს) შესახებ. მოხარული ვართ, რომ გვაქვს შესაძლებლობა „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მკითხველებს დამატებითი სიახლეები ვაუწყოთ „ქრონოსთან“ დაკავშირებით.

2020-2022 წლებში გამოვიდა „ქრონოსის“ სამი ნომერი. როგორც ჩაფიქრებული გახლდათ, ჟურნალი არის მრავალდარგობრივი. მასში ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები საქართველოს და საქართველოსთან დაკავშირებული სამყაროს შემსწავლელი სხვადასხვა დისციპლინიდან. „ქრონოსთან“ თანამშრომლობენ ავტორები საქართველოსა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებიდან.

„ქრონოსის“ სარედაქციო კოლეგიის მიერ თავიდანვე მიზნად იქნა დასახული ჟურნალის ინდექსირება პერიოდული გამოცემების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში. ჟურნალში მიღებული იქნა გარე, ანონიმური რეცენზირების წესი, რისი განხორციელებაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა დისციპლინის მკვლევრებთან მჭიდრო თანამშრომლობის, მათი ხელშეწყობისა და დახმარების საშუალებით. მომზადდა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პუბლიკაციის წესები, შეიქმნა ჟურნალის ახალი ვებგვერდი.

უნდა აღინიშნოს, რომ განუული წინასწარი სამუშაო დადებითად შეფასდა. „ქრონოსის“ განაცხადმა „ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ევროპულ სამეცნიერო ჟურნალების ინდექსში“ („European Reference Index for the Humanities and Social Sciences“), „ერიჰ პლუსში“ (ERIH PLUS), მიიღო დადებითი შეფასება და 2023 წლის მარტიდან „ქრონოსი“ უკვე არის „ერიჰ პლუსის“ აკადემიური ჟურნალების სამეცნიერო ბაზის წევრი. „ერიჰ პლუსი“ არის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროს სამეცნიერო ჟურნალების ბაზა, რომელსაც ინტენსიურად იყენებს ევროპული სამეცნიერო საზოგადოება. „ერიჰ პლუსი“ შეიცავს განახლებად მონაცემებს ევროპული სამეცნიერო ჟურნალების შესახებ. „ერიჰ პლუსში“ ინდექსირება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჟურნალის სამომავლო განვითარებისათვის.

მოვითანთ მოკლე ინფორმაციას „ქრონოსის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული მასალის შესახებ. სამეცნიერო სტატიები მოიცავს ჟურნალის ყველა ძირითად დისციპლინას. ესენია: ისტორია, ეთნოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, არქეოლოგია და ხელოვნების ისტორია. ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე პუბლიკაციის, გახსენების და წიგნის განხილვის რუბრიკები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ მასალები მოგვანოდეს აგრეთვე ქართველოლოგიის საკითხების შემსწავლელმა მკვლევრებმა, ჩვენმა კოლეგებმა უცხოეთის ქვეყნებიდან: ავსტრიიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან.

ისტორიის დისციპლინაში გამოქვეყნებული ნაშრომები მიეძღვნა შემდეგ საკითხებს: ორბელთა აჯანყება (ჭ. ბელი); მურვან ყრუს ისტორიული სახე და მარვან იბნ მუჰამადის

ლაშქრობა (ე. დოვასი); „საზღვრის“ ცნება კლასიკური და მომდევნო ხანის ბერძნულენოვან ტექსტებში (ვ. ვაშაკიძე); ლალატი და სუვერენიტეტი შუა საუკუნეების კავკასიაში (ჭ. ლეითემ-სფრინქლი); ეროვნული იდენტობისა და ისტორიული ცნობიერების ძიება მეტაისტორიულ მოვლენებში (პ. პიცოლო, ა. კარტნი); თბილისის საამიროს დაარსების საკითხი არანარატიული, ადრეულ-არაბული მონეტების და ლაპიდარული წყაროების მიხედვით (ი. ფაღავა); ნინოს ჯვრის სვინაქსარული საკითხავი და ჯვრის მოგზაურობის ქრონოლოგია (დ. ჩიტუნაშვილი); დავით IV-ის და ნიკიფორე II ფოკას სამხედრო-პოლიტიკური პორტრეტები (მ. წურწუშია).

ეთნოლოგიის დისციპლინაში წარმოდგენილი გახლდათ სტატია თემაზე ტრადიციის ცნება ქართულ კულტურულ კონტექსტში (ლ. ჯანიაშვილი, ნ. ჯალაბაძე).

ფიზიკური ანთროპოლოგიის დისციპლინაში გამოქვეყნებული მასალა ეხება ტრავმების სიხშირეს და ტიპებს განვითარებული თუ გვიანი შუა საუკუნეების ხევსურეთში მოპოვებული განათხარი მასალის მიხედვით (ლ. ბითაძე, ე. ლაჭყეპიანი).

არქეოლოგიის დისციპლინა დაეთმო პუბლიკაციებს, რომლებშიც განხილულია შემდეგი საკითხები: სამეფო რანგის სამარხები მცხეთიდან სამეფო განსასვენებელთა პრობლემატიკის ქრილში (ქ. დიდმელაშვილი); მასალები ხიხანის ციხეზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებიდან (დ. მინდორაშვილი); ნაქალაქარი ძალისა და მასალები საქართველო-ირანის ურთიერთობისთვის ახ. წ. III-IV საუკუნეებში (გ. ნარიმანიშვილი).

ხელოვნების ისტორიის დისციპლინაში წარმოდგენილ სტატიებში დამუშავებულია შემდეგი თემები: დამკვეთთა რეპრეზენტაცია ადრექრისტიანულ ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში (კ. მაჩაბელი); ქართული ეკლესიების გალერეები, მათი გაფორმების, თუ მათ დანიშნულებასთან დაკავშირებული საკითხები (ე. შნეურსონი).

პუბლიკაციის რუბრიკა დაეთმო გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა და მისი სიძველეების შესახებ უცნობ მასალებს პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივიდან (ზ. სხირტლაძე, ჯ. ბენიძე).

გახსენების რუბრიკა მიეძღვნა აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ხსოვნას (ნ. ვაჩნაძე).

წიგნის განხილვის რუბრიკაში დაიბეჭდა რეცენზია, გამოხმაურება გერმანელი მკვლევრის, ფილიპ ამონის, მონოგრაფიაზე „საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და რუსულ ოკუპაციას შორის. ქართულ-რუსული კონფლიქტის ფესვები XVIII საუკუნიდან პირველი ქართული რესპუბლიკის დასასრულამდე (1921)“ (ნ. პაპუაშვილი).

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ქრონოსის“ სამომავლო საქმიანობა მიზნად ისახავს მიღწეული შედეგების განვითარებასა და გაღრმავებას, რაც გულისხმობს: უფრო ინტენსიურ თანამშრომლობას შესაბამის დისციპლინებს შორის და აგრეთვე ქართველოლოგიის საკითხების შემსწავლელ უცხოელ კოლეგებთან; საქართველოში წარმოებული შესაბამისი კვლევების უფრო მეტ ინტეგრირებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში.



**“CHRONOS: JOURNAL OF THE IVANE JAVAKHISHVILI  
INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY”  
(3,2022)**

**Aleksandre Tvaradze**

Ivane javakhishvili Institute History and Ethnology  
aleksandre.tvaradze@gmail.com

In the presented paper we would like to inform the readers of the “Georgian Source-Studies” about the development of the journal “Chronos: Journal of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology” in recent times and about the materials which have been published in the last, third issue of the journal. In 2020-2022 were published three issues of the “Chronos”. As it had been planned originally the journal is interdisciplinary. It publishes scientific works related to Georgia and the surrounding world. The authors from the research centers in Georgia and in foreign countries cooperate with the “Chronos”. Since March 2023 “Chronos” is indexed in the “European Reference Index for the Humanities and Social Sciences”, ERIH PLUS. The inclusion of the “Chronos” in ERIH PLUS is of particular importance for the future development of the journal. The articles published in the third issue of the “Chronos” cover all main disciplines of the journal: history, ethnology, physical anthropology, archaeology and art history. In the journal are also presented the sections of publication, memory, and book review.

# თემო ჯოჯუას წიგნი „კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ (ორი ტომი)

**ლადო მირიანაშვილი**  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
lado\_miriani@yahoo.com

გამოიცა თემო ჯოჯუას ორტომიანი ფუნდამენტური ნაშრომი „კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“. როგორც ცნობილია, ზემონახსენებ ბიბლიოთეკაში XII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული თერთმეტი ქართული ხელნაწერია დაცული.

პირველ ტომში შესულია კრაკოვში დაცული ქართული ხელნაწერების სამეცნიერო შესწავლის ისტორია, ხელნაწერთა ვრცელი, დეტალური აკადემიური აღწერილობა და მათთვის დართული ანდერძ-მინაწერების აკადემიურად გამოცემული ტექსტები. აღვნიშნავ, რომ პოლონეთში დაცული ხელნაწერების ვრცელი, თანამედროვე აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული აღწერილობა და ანდერძ-მინაწერების აკადემიურად მომზადებული სრული ტექსტების გამოცემები დღემდე არ გაგვაჩნდა. აღწერილობები შედგენილია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემუშავებული სტანდარტის დაცვითა და არსებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ავტორი არ შემოიფარგლა მხოლოდ აღწერილობების მომზადებითა და ტექსტების გამოცემით და ნაშრომის მეორე ტომი მთლიანად ქართული ხელნაწერებისა და მათთვის დართული ანდერძ-მინაწერების კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგებს დაუთმო.

მინდა სპეციალურად შევეხო ავტორის მიერ განხორციელებული კვლევის ზოგიერთ მნიშვნელოვან შედეგს.

მეორე ტომი იწყება კრაკოვის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის ყველაზე გამორჩეული იანვარ-თებერვლის თვენისა (Kr. 1919), აგრეთვე, ორი სხვა ხელნაწერის – ოთხთავისა (A-41) და საწელიწდო სამოციქულოს (Jer.Geo76) კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლის შედეგებით. განხილულია ხელნაწერების გადამწერისა და მომგებლის ვინაობა, გადამწერის დრო, გადამწერის ადგილი და ამ ხელნაწერების ისტორია. ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ზემორე ხელნაწერების გადამწერი ან მომგებელი იყო იერუსალიმის აღდგომის ტაძრის დეკანოზი იოვანე, ვარძიელი. ცნობებს იოვანე ვარძიელის შესახებ საწელიწდო სამოციქულოსათვის დართული, გადამწერის ხელით შესრულებული ვრცელი ანდერძი და მოკლე მინაწერი გვანჯდის. ეყრდნობა რა იოვანე ვარძიელის ცნობას, რომ ჯვარის მამა და სამონასტრო ძმობის წევრები მას შვილივით ზრდიდნენ და „ულვანებდნენ“, ავტორი ასკვნის, რომ ვარძიის მონასტრის წინამძღვრობიდან თუ მოძღვრობიდან გადამდგარმა და წმინდა მიწაზე ჩასულმა იოვანემ პირდაპირ იერუსალიმის აღდგომის ტაძრის დეკანოზის ადგილი კი არ დაიკავა, არამედ იგი ჯერ ჯვრის მონასტერში დამკვიდრდა, იქ გარკვეული პერიოდი გაატარა და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა აღდგომის ეკლესიის დეკანოზი.

კრაკოვის იანვარ-თებერვლის თვენში შესულია ბერძნულიდან თარგმნილი ათეულობით ჰიმნოგრაფიული კანონი და, აგრეთვე, ორიგინალური ხასიათის ორი ქართული საგალობელი. ესენია: 1. წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონი (გიორგი მთაწმიდელის ვარიანტი), რომელიც 14 იანვარზეა დადებული, და 2. პროხოვე ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც 12 თებერვალზეა დადებული. ბუნებრივია, რომ ავტორმა მათ ანალიზს

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

პროხოჩე ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონი სრული სახით პირველად თემო ჯოჯუას ნიშნში ქვეყნდება. თავდაპირველად, ავტორი მიმოიხილავს პროხოჩე ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონის კრაკოვის ნუსხის სამეცნიერო შესწავლის ისტორიას და აანალიზებს მის ტექსტს. პროხოჩე ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონის კრაკოვული და ვენური ნუსხების შედარების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ იოვანე ხახულელის მიერ შეთხზულმა ტექსტმა კრაკოვულ ნუსხაში მნიშვნელოვანი რედაქტირება განიცადა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ჰიმნოგრაფიული კანონის კრაკოვული ნუსხის სტრუქტურაში შეტანილ კონკრეტულ ცვლილებებზე და ცალკეულ საგალობელთა ტექსტების შემოკლებაზე. ამასთან ერთად, იგი აღნიშნავს, რომ პროხოჩე ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონი ახალ, დამატებით ცნობებს გვანჯდის ჯვრის მონასტრიდან წასული პროხოჩეს სამოღვაწეო არეალის შესახებ. კერძოდ, გვაუწყებს, რომ პროხოჩე მოღვაწეობდა არა მხოლოდ მის „ცხოვრებაში“ დასახელებულ არნონის უდაბნოში, არამედ მკვდარი ზღვის გარშემო მდებარე სხვა უდაბნოებშიც, მათ შორის, მდინარე იორდანეს სანაპიროებში მდებარე უდაბნოებში.

წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის კვლევის შედეგებს ავტორი შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: თავდაპირველად, იგი მიმოიხილავს წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის შესწავლის ისტორიას და აანალიზებს მის ტექსტს. წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის კრაკოვული და თბილისური ნუსხების შედარების საფუძველზე ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ნუსხებში შეტანილ ძირითად საგალობელთა ტექსტებს შორის უმნიშვნელო განსხვავებებია. სამაგიეროდ, ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება მესამე სტიქარონისა და სტიქარონ „წარდგომაჲს“ ტექსტების ვერსიები. ავტორმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საგალობლის თავდაპირველი ტექსტი ორივე ნუსხაში ტრანსფორმირებული სახით არის წარმოდგენილი. ცვლილებები წმინდა ნინოს ჰიმნოგრაფიული კანონის გიორგი მთაწმიდელის ვარიანტში XI-XV საუკუნეებშია შეტანილი.

ავტორს შესწავლილი აქვს კრაკოვის I ჟამნსა (Kr.1920) და III ჟამნში (Kr.1925) შემონახული „არსების ხატის“ სახელით ცნობილი ტექსტი. „არსების ხატის“ კრაკოვის I და III ჟამნების ნუსხათა ტექსტები აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ამ ორ ნუსხაში, აგრეთვე 1710 წლის ძველნაბეჭდი ჟამნის ნუსხაში შესული ტროპარების ტექსტებს შორის გამოვლენილ მსგავსება-განსხვავებებზე. საინტერესოა, რომ „არსების ხატის“ 1710 წლის ძველნაბეჭდი ჟამნის ნუსხაში შეტანილ ოცდათექვსმეტ ტროპარს შორის ვხვდებით შვიდ საგალობელს, რომლებიც საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებულ წმინდანებსა და სინმინდეებს ეძღვნება. ესენია სვეტიცხოვლის, საუფლო კვართისა და წმინდა მირონის, ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ნინოს, ქეთევან დედოფლის, იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ტროპარები. ამათგან, კრაკოვის III და I ჟამნების ნუსხებში მხოლოდ ორი საგალობელი – სვეტიცხოვლის, საუფლო კვართის, წმინდა მირონისა და ანდრია პირველწოდებულის ტროპარები გვხვდება. ქართული მდგენელის გაძლიერებას ავტორი XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში ნაციონალური იდენტობის საკითხის გააქტიურებას უკავშირებს.

ავტორი ცალკე განიხილავს „არსების ხატის“ კრაკოვის I ჟამნში გამოვლენილ ერთ-ერთ ტროპარს – უნიკალურ საგალობელს, რომელიც ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოს III-ისადმი მიძღვნილი. ნახსენები ტროპარი, უპირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მასში მაკარიოს III „ქართველთა განმანათლებლად“ მოიხსენიება. ავტორი ვარაუდობს, რომ ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოს III-ის ამგვარი ეპითეტით მოხსენიებას გარკვეული ისტორიული საფუძველი გააჩნდა. როგორც ცნობილია, პატრიარქმა ფინანსური დახმარების მიღების მიზნით საქართველოში ორჯერ იმოგზაურა: პირველად – 1664-1666 წლებში, ხოლო მეორედ – 1669 წელს. იგი საქართველოში ყოფნის დროს აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის სასულიერო ცხოვრებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ დროისთვის უკვე საფუძვლიანად მოშლილ-შელახული საეკლესიო წესების აღდგენა-გამართვის საქმეში. იმის გათვალისწინებით, რომ XVII საუკუნის II ნახევრისა და




შემდგომი პერიოდის ქართულ წერილობით წყაროებში პატრიარქ მაკარიოს III-ის მიერ საქართველოსადმი განეული ღვაწლი გაკვირთაც კი არ არის ნახსენები, მონოგრაფიის ავტორს აფიქრებინებს, რომ მაკარიოს III-ეს „ქართველთა განმანათლებლად“ არა ზოგადად XVII საუკუნის II ნახევრისა და შემდგომი პერიოდის ქართული საზოგადოება, არამედ პატრიარქთან უშუალოდ დაკავშირებულ ქართველ მოღვაწეთა ვინრო წრე აღიქვამდა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს კრაკოვის III ჟამნის ერთ, აღდგენილ ნაწილზე და მისი დამწერის სამწიგნობრე საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შეისწავლის. იგი კრაკოვის III ჟამნის აღდგენილ ნაწილს, პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XVI საუკუნეს მიაკუთვნებს და საბოლოოდ, ქრონოლოგიურ ჩარჩოს 1510-1540-იანი წლების შუაღებამდე ავინროებს.

კრაკოვის III ჟამნის აღდგენილ ნაწილს ახლავს მისი დამწერის ხელით შესრულებული ორი მინაწერი, რომელთაგან პირველი მინაწერის ტექსტი ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის, ანჩინური სისტემით არის გადმოცემული. მინაწერებიდან ირკვევა, რომ ჟამნის აღდგენილი ნაწილის დამწერი იყო ვინმე იაკობი. ავტორს კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლილი აქვს იაკობის მიერ გადადანიერილი სხვა ხელნაწერებიც: დიდმარხვის ბიბლიური საკითხავები, სანელინდო სამოციქულო და სანკტ-პეტერბურგის III ჟამნი, აგრეთვე მათი ანდერძ-მინაწერები. იგი ცალკე პარაგრაფს უთმობს იაკობის მიერ ძველქართული საიდუმლო დამწერლობის სისტემების გამოყენებას.

თემო ჯოჯუას ავტორობით გამოცემული ორტომეული „კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ დიდი მნიშვნელობის მქონე, მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომია. მიმოხილული ორტომეული ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის მკვლევართათვის, წყაროთმცოდნეებისა და ზოგადად ისტორიკოსებისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თემო ჯოჯუას ორტომეული გათვლილია არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მკითხველზეც. მის საერთაშორისო მიმოქცევაში ჩართვას ხელს შეუწყობს ის, რომ პირველ ტომში, ქართულ ტექსტებთან ერთად, შესულია ხელნაწერთა აღწერილობებისა და ანდერძ-მინაწერების ტექსტების სრული ინგლისურენოვანი თარგმანები, ხოლო მეორე ტომში გამოქვეყნებულ ავტორისეულ გამოკვლევებს ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეებიერთვის. განხილული ორტომეულის ინგლისურენოვანი თარგმანი ჩემ მიერაა შესრულებული.



## **A TWO-VOLUME WORK BY TEMO JOJUA “THE GEORGIAN MANUSCRIPTS FROM THE PRINCES CZARTORYSKI LIBRARY OF THE NATIONAL MUSEUM OF KRAKOW”**

**Lado Mirianashvili**

Independent researcher  
lado\_miriani@yahoo.com

Temo Jojua’s two-volume basic work “Georgian Manuscripts from the Library of the Princes Czartoryski Library of the National Museum of Krakow” has been published. It is known that eleven Georgian manuscripts dating from the XII-XVIII centuries are preserved in the mentioned library.

Volume 1 contains a history of scientific research on the Georgian manuscripts held in Krakow, a comprehensive and detailed scholarly description of the manuscripts, and a scholarly edition of the marginalia texts found in them. I would like to point out that we did not have a comprehensive description of the manuscripts preserved in Poland prepared according to modern scholarly requirements, nor scholarly editions of the complete marginalia texts. The descriptions were compiled in accordance with the standard developed in the K. Kekelidze National Center of Manuscripts, taking into account the existing international practice.

It is particularly important that the author did not limit himself only to the preparation of descriptions and the publication of texts, and dedicated the second volume of the work to the results of the codicological, historical, and source study research of the Georgian manuscripts and the marginalia found in them.

I would like to specifically touch on some important results of the author’s research.

Volume 2 starts with codicological, historical and source study analysis of the most notable Georgian manuscript from the collection of the Czartoryski Library – Menaion for January and February, also known as the Georgian Menaion I of Kraków (Kr. 1919), which has been studied together with two other manuscripts – Four Gospels (A-41) and the Apostolos (Jer.Geo. 76). The identity of the scribe and the commissioner of the manuscripts, time and place of copying the manuscripts, and history of the codices are discussed in the study. The author arrived to the conclusion that Archpriest Iovane mentioned in marginalia can be considered with equal success both as the commissioner or the scribe of the above mentioned three manuscripts. Information about Iovane Vardzieli is provided in a long testament and a short colophon found in the Apostolos, which are written in the scribe’s hand. Iovane Vardzieli writes that the Father Superior of the Cross Church and the members of the monastic brotherhood raised him like a son and greatly contributed to his education and provided with all kinds of help in his advancement in ministry. Taking the above into consideration, the author suggests that Iovane, who retired from the leadership or teaching at the Vardzia Monastery and came to the Holy Land, did not directly take the position of the Archpriest of the Resurrection Church in Jerusalem, but he first settled in the Cross Monastery, spent some time there, and only after that became the Archpriest of the Resurrection Church.

Apart from several dozens of hymns translated from Greek, the January-February Menaion contains two original Georgian hymns as well: a hymnographic canon honouring St. Nino in Giorgi Mtatsmideli’s redaction, and a hymnographic canon honouring Prokhore the Georgian.

The text of a hymnographic canon honouring Prokhore the Georgian in its complete form is first time published in the volume authored by Temo Jojua. Based on a comparative analysis of the Krakow and Vienna redactions of a hymnographic canon honouring Prokhore the Georgian, the author notes that the text written by Iovane Khakhuleli, included in the Krakow manuscript, underwent a significant modification. Changes introduced into the text are enumerated. The texts of several hymns are shortened. According to the author, the hymnographic canon honouring Prokhore the Georgian provides new information which outlines the geographical area of

Prokhore's activities: Prokhore resided not only in the monastery of Arnon mentioned in his Vita, but also in other convents of the Dead Sea wilderness region, including the area adjacent to the river Jordan.

The author has studied a hymnographic canon honouring St. Nino in Giorgi Mtatsmideli's redaction based on comparative analysis of Krakow and Tbilisi texts. There are little differences between these two texts, though both of them are modified versions of Giorgi Mtatsmindeli's original. The author dates these changes to XI-XV centuries.

Of interest are the results of the study of two unknown redactions of the collection "The Image of His Person" Found in the Horologia Kr. 1920 and Kr. 1925. The title of the collection "The Image of His Person" derives from Hebrews 1:3 in which the linkage between the Father and Son is described: "Who being the brightness of his glory, and the express image of his person." These two texts are first time published. The author involves in the analysis an early printed book from 1710 with the same text and notes increase in the number of Georgian saints and holy objects mentioned in the latter. He links this tendency with intensification of the collective feeling of national identity in the end of the XVII century and beginning of the XVIII century in Georgia.

The author focuses his attention on the unique hymn, troparion of the Patriarch of Antioch Makarios III, which was revealed in the text of "The Image of His Person" found in Horologion I of Kraków. The troparion of Patriarch Makarios III attracts attention with use of a phrase about him – "the illuminator of the Georgians". He assumes that the fact of mentioning Patriarch Makarios III as the "Illuminator of the Georgians" really had some historical basis. It is known that Makarios III visited Georgia twice: in 1664-1666 and 1669. The Patriarch got involved in religious activities in Georgia and contributed to renovation of church rules and correction of the most difficult state of affairs in the religious life of the country. The author has taken into account that the services rendered by Patriarch Makarios III to Georgia are not even mentioned in the Georgian written sources of the second half of the XVII century and of the subsequent period. This makes him to think that Makarios III was perceived as the "Illuminator of the Georgians" not by the Georgian society of the second half of the XVII century or of the subsequent period, but only by a narrow circle of Georgian individuals directly connected with him.

The two-volume work "Georgian Manuscripts from the Library of the Princes Czartoryski Library of the National Museum of Krakow" published by Temo Jojua is a scientific work of great importance performed at a high academic level. It is an important acquisition for the researchers of Georgian manuscript heritage, source study scholars and historians in general. It is equally important that Temo Jojua's two-volume work is focused not only on Georgian but on foreign readers as well. Its inclusion in international circulation will be facilitated by the fact that the first volume, together with the Georgian texts, includes full English translations of manuscript descriptions and the marginalia texts, while the second volume includes extensive English language summaries of the author's results. The English translation of the texts is mine.

## ალექსანდრე უბირიას წიგნი „დემოგრაფიული ციკლები და გლობალური უსაფრთხოება“

**მიხეილ ქართველიშვილი**

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

2023 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ დაბეჭდა ისტორიის მაგისტრ ალექსანდრე უბირიას წიგნი: „დემოგრაფიული ციკლები ისტორიაში“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი მოცულობით არ არის დიდი (სულ 134 ნაბეჭდი გვერდია), ავტორმა შეძლო, არსებითად ამომწურავად გადმოეცა როგორც საკუთარი თვალსაზრისი, ასევე ამ საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო შეხედულებები და შეფასებები.

წიგნი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და 14 ქვეთავისა და დასკვნისაგან. წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი. თითოეული თავი თემატურადაა დალაგებული.

პირველ თავში განხილულია მალთუზიანიზმი და დემოგრაფიული ციკლების კონცეფცია, რაც პარაგრაფების მიხედვით გაშლილია შემდეგ საკითხებად: მალთუზიანიზმი და ნეომალთუზიანიზმი, დემოგრაფიული ციკლების კონცეფცია, დემოგრაფიულ-სტრუქტურული თეორია და დემოგრაფიული აფეთქების ფენომენი.

მეორე თავის პარაგრაფებში მკითხველი გაეცნობა ავტორის თვალსაზრისებს დემოგრაფიული პროცესები და მსოფლიო მიგრაციის საფრთხეების შესახებ, კერძოდ, მსოფლიო მოსახლეობის დინამიკა და პროგნოზები, ქარბი მოსახლეობა, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა, მსოფლიო მიგრაცია და საფრთხეები.

მომდევნო თავში – „გლობალური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევები“ – ავტორი დეტალურად აღწერს ისეთ საკითხებს, როგორებიც არის: რესურსების დეფიციტი, სამოქალაქო კონფლიქტები და „ცივილიზაციათა შეჯახება“ თუ „რესურსებისთვის ომი“?

მეოთხე თავში – „დემოგრაფიული ციკლების დასასრული. შობადობის რეგულირება როგორც ალტერნატივა“ განხილულია „ერთი ბავშვის“ პოლიტიკა ჩინეთში და სამოქალაქო კონცეფცია „ორი შვილი საკმარისია“.

ბოლო თავში – „მწვანე თეორია, როგორც ფუნდამენტი XXI საუკუნუს საერთაშორისო ურთიერთობებში“ – ნაჩვენებია თუ რა როლს ასრულებს ეკოლოგიური უსაფრთხოება, მწვანე თეორია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

ალექსანდრე უბირია საინტერესო ინტერდისციპლინურ კვლევას გვთავაზობს და განხილული აქვს პრობლემები, რომლებიც აქტუალობას და მნიშვნელობას, არათუ თანამედროვე ეტაპზე არ კარგავენ, არამედ პირდაპირ ეხმიანება დღევანდელ მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს.

წინამდებარე გამოცემა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება არა მარტო ისტორიკოსებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერებების სპეციალისტებისათვის, არამედ ის დაინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.



## **A BOOK BY ALEKSANDRE UBIRIA: “DEMOGRAPHIC CYCLES IN HISTORY AND GLOBAL SECURITY”**

**Mikheil Kartvelishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

mikheil.kartvelishvili@tsu.ge

In 2023, Aleksandre Ubiria published his monograph: “Demographic Cycles in History and Global Security”. This book is a revised version of the author’s master dissertation.

Aleksandre Ubiria is Ph.D. student at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Over the years, the author has published a few scientific publications in Georgia and abroad. Aleksandre Ubiria has participated in a number of international and local scientific conferences, after this year he is an invited teacher at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The monograph consists of five chapters, twelve paragraphs, and a conclusion. It has attached a list of used primary and secondary sources.

The book will provide significant help to a wide circle of researchers and readers interested in the issues of contemporary history, international relations and political sciences.

## სტუდენტური საისტორიო ძიებანი II

### **მიხეილ ქართველიშვილი**

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

### **ნიკოლოზ სარაჯიშვილი**

უახლესი ისტორიის ცენტრის  
nikasarajishvili99@gmail.com

### **ზაზა ქარჩავა**

ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
zazakarchava98@gmail.com

მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ჟურნალ „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“ II ნომერი გამოსცა. ჟურნალის მეორე ნომერი პირველის მსგავსად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსის მხარდაჭერით მიღებული დაფინანსებით გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში წახალისებული არ არის სტუდენტური კვლევითი პროექტების წასახალისებით და პირველ ქართულ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური პროექტების პროგრამა ნამდვილად კარგ შესაძლებლობას იძლევა აკადემიური მუშაობის წასახალისებლად.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ მეორე ნომერშიც ურყევად შევინარჩუნეთ ნაშრომთა ფარული რეცენზირების წესი. ეს ჩვენი ჟურნალის შეუცვლელი პრინციპია და ამ მიდგომისადმი ერთგულებას ვაპირებთ მომდევნო ნომერებშიც. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა სამეცნიერო ნაშრომების ხარისხის მხოლოდ გაზრდას შეუწყობს ხელს. სწორედ, ამის გამო გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ რეცენზენტებს, რომლებიც გულდასმით გაეცნენ ნაშრომებს და ძალიან დიდი როლი შეასრულეს თითოეული პუბლიკაციის დახვეწისა და სრულყოფის საქმეში.

რაც მთავარია განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ იმ ავტორებს, რომლებიც თანამშრომლობენ ჩვენთან და მზაობას გამოთქვამენ, მათი პუბლიკაციები იხილონ ჟურნალის ფურცლებზე. სარედაქციო კოლეგიის წევრთათვის ეს დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდი მოტივაციაცაა. სწორედ, ავტორთა დაინტერესებამ გამოიწვია, ის რომ ჟურნალის მეორე ნომერი ქრონოლოგიური, თემატური და შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ჟურნალის მეორე ნომერზე მუშაობის პერიოდში სარეცენზიოდ შემოვიდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტთა რამდენიმე ათეული სტატია და თარგმანი. ფარული რეცენზირების შედეგად შეირჩა სამივე საფეხურის სტუდენტთა 11 სამეცნიერო სტატია და წყაროს ერთი პუბლიკაცია. ნაშრომები ეხება საქართველოსა და მსოფლიოს ანტიკური, შუა საუკუნეებისა და ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს.

ასე მაგალითად, ზაზა ქარჩავა განიხილავს ბერძნულ და ლათინურ წყაროებში დაცულ ცნობებს რომში გატარებული პირველი აგჩაჩუდი კანონმდებლობის შესახებ, რომელიც სახალხო ტრიბუნებს – ლიცინიუსსა და სექსტიუსს მიეწერება. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები წინააღმდეგობაში მოდის ეპოქის კონიუნქტურასთან. მითრას კულტის რომში გავრცელებას ეხება თსუ ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გიორგი ბარნაბიშვილი. ავტორი ცდილობს მკითხველს განუმარტოს ის მიზეზები, რამაც მითრას კულტის ფართო გავრცელება

გამოიწვია რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე. შუა საუკუნეებს ხსნის ანანო ნატროშვილი და საქართველოში ფრანცისკელ მისიონერთა დაფუძნების ახლებურ წაკითხვას გვთავაზობს. მისი თქმით, ქართული ეკლესია სქიზმას ფაქტობრივად არ „იმჩნევდა“, ხოლო ფრანცისკელთა ორდენის წევრების პირველ გამოჩენას საქართველოში ავტორი მისიონერი ბერების პირად ინიციატივასთან აკავშირებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის გიორგი ჩავლეიშვილის ნაშრომი 1356 წლის „ოქროს ბულასა“ და გერმანიის საიმპერიო საარჩევნო სისტემას შეეხება. ავტორი დეტალურად მოუთხრობს მკითხველს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის რთულ იურიდიულ ასპექტებსა და ნიუანსებზე და ამ ფონზე გვიხატავს ურთიერთობების სურათს პაპსა და იმპერატორს, იმპერატორსა და გერმანელ არისტოკრატებს შორის. საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეების ეპოქას და, კერძოდ, კიევიან შაჰის 1440 წლის შემოსევას ეხება ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი ლუკა ნებიერიძე. ავტორი ქართული და უცხოენოვანი ნარატიული წყაროების ახლებური ინტერპრეტაციით ცდილობს გადასინჯოს ჯეჰან შაჰის საქართველოში პირველ ლაშქრობასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო სივრცეში მყარად დამკვიდრებული ზოგიერთი დებულება. საქართველო-ესპანეთის ურთიერთობის საკითხებს ეძღვნება ჯონდი ხუხიას ნაშრომი, სადაც ავტორი გვაცნობს ერთ საინტერესო ეპიზოდს ქართლის მეფე სიმონსა და ესპანეთის მეფე ფელიპე II-ს შორის დიპლომატიური მიმოწერის შესახებ. ავტორი დაასკვნის, რომ განსახილველი ეპოქისათვის ქართლის მეფე სიმონი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ფაქტობრივ ინიციატორად გვევლინება, რასაც ევროპული სახელმწიფოებიც დიდი ინტერესით ეგებებიან, თუმცა ოსმალთაგან სიმონის დატყვევება არსებითად ცვლის საქმის ვითარებას. XVIII საუკუნის 50-80-იან წლებში ქართლ-კახეთსა და ირანს შორის არსებული ურთიერთობის პერიპეტეებს გვამცნობს საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი გიორგი დათუაშვილი. ავტორის კვლევის არეალში ექცევა ირანსა და ქართლ-კახეთს შორის არსებული ურთიერთობის ფორმები. ავტორი მიუთითებს ამ ურთიერთობათა განვითარების არაერთგვაროვნებაზე და აღნიშნავს, რომ მეფე ერეკლე თანახმაა ფაქტობრივი ძალაუფლების სანაცვლოდ მას ირანის შაჰებმა დამეზობელის სახანოების ხანებმა უნოდონ ვალი და არამეფე. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდისა და საკითხს ეხება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის ირაკლი ალიმბარაშვილის სტატია. ავტორი ქრონოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით მიმოიხილავს საფრანგეთის რევოლუციის პერიოდისა და საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში და დინამიკაში გვამცნობს ისტორიოგრაფიული ნარატივების ცვლილების მიზეზებს. თსუ-ს უახლესი ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელს ნიკოლოზ სარაჯიშვილს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ცნობილი ქართველი ანარქისტის კომანდო გოგელიას ახლადმიკვლეული ნარკვევი, რომლის მეშვეობითაც ცდილობს მკითხველს გააცნოს 1905-1907 წლების რევოლუციის პირობებში ქართული ანარქისტული მოძრაობის ისტორია, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო. პირველი ბალკანური ომის პერსპექტივებზე ქართული პრესის მასალების მიხედვით მოგვითხრობს თსუ დოქტორანტი გიორგი ბუცხრიკიძე. იგი მიუთითებს, რომ თანადროული ეპოქის ქართულ პრესაში განსაკუთრებული ინტერესი იყო ბალკანური ომებისადმი. ავტორი ცდილობს ახსნას, თუ რა იწვევდა ასეთ დაინტერესებას და როგორ უყურებდა საკითხის გადაჭრას იმდროინდელი ქართული პუბლიცისტიკა. ცნობილი ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის 1963 წლის საბჭოთა კავშირსა და მათ შორის, საქართველოში ვიზიტს ეხება მაგისტრანტი ნოდარ კირთაძე. ავტორი გამოჰკვეთს ამერიკელი მწერლის ვიზიტის მიზეზებს, მოგზაურობის ძირითად მომენტებს, ხოლო დასკვნის სახით გვამცნობს მოგზაურობის ძირითად შედეგებს. ჟურნალის მეორე ნომერში მკითხველი ასევე იხილავს კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის წერილებს იმპერატორ ნიკოლაი მეორისადმი. წერილები განსაკუთრებული ინტერესით იკითხება, რადგან იგი ოფიციალური თვალთ დაგვანახებს 1905-1907 წლების ქართველობისთვის რევოლუციურ პროცესებს საქართველოში. წერილები რუსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა.



მეორე ნომრის წარდგენა 6 ოქტომბერს შედგა. შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. სიტყვა წარმოთქვეს ჟურნალის რედაქციის წევრებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ავტორებმა. გამოითქვა სამომავლო სურვილები და გეგმები, დაანონსდა მესამე ნომრისთვის სტატიების მიღებაც, რაც 10 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია გამოთქვამს იმედს, რომ მეორე ნომერიც დიდ დაინტერესებას გამოიწვევს ქართულ სამეცნიერო სივრცეში და გამოცემას მკითხველი საქმიანი კრიტიკითა და პროფესიონალური მიდგომით შეხვდება.

დასასრულ, იმედსა და სურვილს გამოვთქვამთ, რომ უკვე მესამე ნომერში ვიხილავთ საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების ამივე საფეხურის სტუდენტების პუბლიკაციებს. გარდა პუბლიკაციებისა, ვფიქრობთ, მნიშვნელობას მოკლებული არ იქნება, თუ ავტორები მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ სამეცნიერო-აკადემიური თარგმანებისა და წყაროს პუბლიკაციების საქმეში.





## “STUDENT HISTORICAL RESEARCHES II”

**Mikheil Kartvelishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

**Nikoloz Sarajishvili**

The Centre For Contemporary History  
nikasarajishvili99@gmail.com

**Zaza Karchava**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
zazakarchava98@gmail.com

This year, the Publishing House of Tbilisi State University published the second issue of the journal “Student Historical Researches”. The second issue, like the first one, was published within the framework of funding received with the support of the student projects grant competition. It should be noted that the Georgian scientific space does not supported by students' research projects, and this program which is provided by the first Georgian university is a really good opportunity to encourage academic work.

In the second issue, the editorial board of the journal also maintained the practice of anonymous reviewing of papers. This is an irreplaceable principle of our journal, and we intend to adhere to this approach in the next issues as well. We firmly believe that such an approach will only contribute to increasing the quality of scientific works. It is for this reason that we would like to give special thanks to the reviewers who carefully read the papers and played an important role in perfecting each publication, sometimes even reviewing the same article several times. Most importantly, we would like to express our

special thanks to those authors who cooperate with us and express their willingness to see their publications on the pages of the journal. For the members of the editorial board, this is a great responsibility as well as a great motivation. It was the interest of the authors that caused the second issue of the journal to be distinguished by its chronological, thematic, and content diversity.

The editorial board of the journal expresses the hope that the second issue will cause great interest in the Georgian scientific space, and readers will meet the publication with relevant criticism and a professional approach. We hope that we will often see papers of the students of all three levels of other accredited higher education institutions of Georgia on the pages of our journal.

**ქრონიკა**  
**CHRONICLE**



## ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIV ნომრის წარდგინება

### **მარიამ ჩხარტიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
mariam.chkhartishvili@tsu.ge

### **ზურაბ თარგამაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
კავკასიის უნივერსიტეტი  
zurab.targamadze@tsu.ge

2023 წლის 4 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა ჟურნალ ქართული წყაროთმცოდნეობის წარდგინება. ღონისძიებას დაესწრო სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ თანამშრომლები, ასევე სტუდენტები და ჟურნალის ავტორები. ღონისძიება ტრადიციულად დატვირთული გამოდგა, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ.



ღონისძიება ტრადიციულად მიჰყავდა ჟურნალის თანაარედაქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელს მარიამ ჩხარტიშვილს:



### მოგესალმებით კოლეგებო!

ნამდვილად ძალიან მიხარია, რომ ამდენს გხედავთ ერთად ჩვენს ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეების მკვეთებელ სამეცნიერო დაწესებულებაში ანუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

განსაკუთრებით მივესალმები მათ, ვინც აქ დღეს პირველადაა: კეთილი ყოფილიყოს თქვენი ფეხი ჩვენთან.

მიზეზი ჩვენი შეკრებისა, მართლაც, რომ ძალიან სასიხარულოა. უნდა წარმოგიდგინოთ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი ანუ XXIV ნომერი.

ვიზუალურადაც აშკარაა, თუ რაოდენი მასალის დამტევია ეს ტომი. 384 გვერდია და თანაც ძალიან მცირე ზომის ფონტით არის დაბეჭდილი. დაახლოებით ამ მოცულებისაა ყოველი ტომი, რომელსაც ჩვენ ყოველწლიურად ვუშვებთ. არაა პატარა ამბავი, დამეთანხმებით. ამ საქმეს რედკოლეგია საზოგადოებრივ საწყისებზე ანუ უსასყიდლოდ ასრულებს. ეს მაშინ, როცა რედკოლეგიის წევრები მრავალი სხვა სამსახურებრივი საქმიანობის არიან ამის პარალელურად დაკავებულნი.

ამ ნომერში ხუთ ათეულზე მეტი სტატიაა წარმოდგენილი. აქედან თითქმის ნახევარი კვლევითია. არის სხვადასხვა რუბრიკა, რომელიც ქართველი მეცნიერების სამეცნიერო აქტივობებზე გვანვიდინს ინფორმაციას საქართველოში თუ საზღვარგარეთ. რატომ გვაქვს ამდენი განყოფილება და რატომ ყოველ ჯერზე კიდევ ახალს ვამატებთ? ეს იმიტომ, რომ სრულად შევძლოთ ყველა იმ ასპექტის მოცვა, რომელიც საქართველოში ისტორიულ მეცნიერებას (ფართო გაგებით ვიყენებ ამ სიტყვას, ცხადია) შეეხება. არა მარტო კვლევითი სტატიები, არამედ ღონისძიებებიც უხვი ფოტო მასალით არის გამდიდრებული, ესეც ისტორიაა. არავის ეგონოს, რომ ეს ფოტომასალა ნაკლებად მნიშვნელოვანია ისტორიისათვის.

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ პირველი კრებული 1965 წელს გამოვიდა. ამის შემდგომ კრებულები აღნიშნული სახელწოდებით გარკვეული პერიოდულობით გამოდიოდა, თუმცა პერიოდები ზოგჯერ რამდენიმე წელსაც კი მოიცავდა. 2010 წლიდან კი „ქართული წყაროთმცოდნეობა“ გამოიცემა ჟურნალად და დღემდე ეს ასეა ამის შემდგომ გარეკანის დიზაინი არ შეცვლილა, რედკოლეგიაც ძირითადად იგივე რჩება, და სტილიც, ყოვლისმომცველობა, არა ერთი განყოფილების ან თუნდაც ინსტიტუტის საქმიანობის ასახვა, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოვლენებისათვის თვალის მიდევნების მცდელობა კვლავ არის „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მთავარი მიმართულება.

ამ პრეზენტაციაზე მოვდიოდი ამალგებული განწყობით, თან ვფიქრობდი, რა მახარებდა. ცხადია, ეს იყო დამთავრებული საქმე, შეხვედრა კოლეგებთან და კიდევ, ყველაზე მეტად ის, რომ მეძლევა მადლობის თქმის საშუალება. ყველას მიმართ ჩემი მადლობა თანაბარია.



უპირველეს ყოფლისა, ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელებისადმი. პირადად ბატონი დირექტორის – გიორგი ჭეიშვილისადმი მინდა გამოვხატო ჩემი მადლიერება. არ იმყოფება აქ ამჟამად. ძალიან მნიშვნელოვანი მივლინებით არის იტალიაში.

ბატონ ვალერი ვაშაკიძეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს და თავად მინდა ვუთხრა გულითადი მადლობა. იგი დიდი გულშემატკივარია ამ ჟურნალის. საკმაოდ ბევრი გარჯა უხდება, რომ გამოცემა ვადებში მოხდეს.

ჩემი განსაკუთრებული მადლობა ბატონ ლავრენტი ჯანიაშვილს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, შესანიშნავ ეთნოლოგს და უბრალოდ ძალიან კარგ ადამიანს. დიდი გულშემატკივარია ისიც, „ქართული წყაროთმცოდნეობის“, ყოველთვის ოპერატიულად გვიგზავნის სათანადო მასალას ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

ჩემი მადლიერება მინდა გამოვხატო რედკოლეგიის წევრების მიმართ. განსაკუთრებით ზურაბ თარგამაძისა და სოფიო ქადაგიშვილის მიმართ. გარკვეულ დახმარებას რედკოლეგიის ყველა წევრი მიწევს, მაგრამ ძირითად სამუშაოს მაინც ჩვენ სამნი ვაკეთებთ. ეს კი ძალიან შრომატევადია. მიხარია, რომ ისინი იყვნენ ჩემი სტუდენტები და ახლა არიან თანამოაზრენი და კოლეგები.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ისტორიის დოქტორ მანუჩარ გუნცაძეს. ამჟამად ის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელია და თავადაც სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორია. მიუხედავად მრავალი მოვალეობისა, ეხმარება ჩვენს ჟურნალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. ნებისმიერი პუბლიკაცია მიდის მისი დიზაინით და ტექნიკურ დავალებასაც ის აძლევს გამომცემლებს. შეგვიქმნა ჟურნალის ძალიან ლამაზი ლოგო და, რაც მთავრია, საიტი. როგორც იცით, ეს ყველაფერი ძალიან ძვირადღირებული სერვისებია.

დაბოლოს, დიდი მადლობა ჩვენს ავტორებს, რომ თანამშრომლობენ ჩვენთან, რომ მიუხედავად ამდენი არჩევანისა ჟურნალების თვალსაზრისით, ჩვენთან სურთ დაბეჭდონ ნაშრომები.

ჟურნალის შინაარსი, რომელიც როგორც ყოველთვის მრავალფეროვანი გახლდათ, იგი რამდენიმე ათეული პუბლიკაციისაგან შედგება, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ჟურნალის თანარედაქტორმა ზურაბ თარგამაძემ და რედკოლეგიის წევრმა სოფიო ქადაგიშვილმა.

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIV ტომიც ტრადიციულად მოცულობითია. მასში დაბეჭდილ სტატიათა ავტორები წარმოადგენენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და წამყვან სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს. პუბლიკაციები, შინაარსების მიხედვით დაჯგუფდა, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევების, ისტორიოგრაფიის, საარქივო მასალების პუბლიკაციის, წყაროთა თარგმანისა და წარდგინების, კომენტარების, წიგნების მიმოხილვის, ქრონიკის, ინფორმაციისა და ხსოვნის რუბრიკებში. ჯამში XXIV ტომში შევიდა ხუთ ათეულამდე სტატია.

ჟურნალთან ერთად რედკოლეგიის წევრებმა წარმოადგინეს ჟურნალის ვებსაიტი ([www.sourcestudies.com](http://www.sourcestudies.com)). აღინიშნა სამომავლო გეგმების შესახებაც, ჟურნალის საერთაშორისო ბაზებში ჩართვასთან დაკავშირებით. რედკოლეგიის წევრებმა ღონისძიების



მონაწილეების მიაწოდეს ინფორმაცია ამ მიმართულებით დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებების თაობაზეც.

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ წლევანდელი წარდგინება იმითაც იყო გამორჩეული, რომ კოვიდ პანდემიის გამო გამოწვეული ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ჟურნალის რედკოლეგიის წევრებს, ავტორებსა და მის გულშემატკივრებს პირველად მიეცათ პირისპირ შეხვედრის, შთაბეჭდილებებისა და საკუთარი მოსაზრებების ერთმანეთისათვის გაცვლის შესაძლებლობა. წარდგინების შემდგომ, ღონისძიების დასწრეებმაც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები. ფორმალური ნაწილის დასრულების შემდეგ, შეხვედრა გაგრძელდა არაფორმალურ ვითარებაში, სადაც კოლეგებმა შეძლეს, ერთმანეთთან პირადად გასაუბრება.

ჟურნალის გახსნის ღონისძიებაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი და ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ თანარედაქტორი მარიამ ჩხარტიშვილი. მან, მის, სიტყვაში გარდა შეხვედრის დღის წესრიგისა, ისაუბრა ქართული საისტორიო მეცნიერების პრობლემებზე, მის მიერ დასმული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროდ ვთლით მკითხველს სრულად გავაცნოთ ის:



## PRESENTATION OF THE 24<sup>TH</sup> VOLUME OF THE SCIENTIFIC JOURNAL “GEORGIAN SOURCE-STUDIES”

**Mariam Chkhartishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
mariam.chkhartishvili@tsu.ge

**Zurab Targamadze**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
Caucasus University  
zurab.targamadze@tsu.ge

On May 4, 2023, at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology held the presentation of the Journal of “Georgian Source Studies“. Representatives of various scientific research institutions, as well as students and the authors of the journal, attended the event. The presentation was as usual busy the deputy director of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Valeri Vashakidze, addressed the audience.

The event was traditionally hosted by the co-editor-in-chief of the Journal, and the head of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Mariam Chkhartishvili. The content of the Journal, which as always was diverse and consists of several dozen publications, was introduced to the audience by the co-editor-in-chief of the Journal Zurab Targamadze and the member of the editorial board Sopia Kadagishvili.

Volume XXIV of the Journal was traditionally voluminous. The authors of the articles issued in this volume are representatives of various universities and leading scientific research institutions of Georgia. Publications were grouped in several rubrics: historical-source science studies, historiography, publication of archival materials, translation and presentation of sources, commentaries, book reviews, chronicles, information and memory rubrics. In total, more than four dozen articles were included in volume XXIV.

Together with the journal, the members of the editorial board presented the journal’s website ([www.sourcestudies.com](http://www.sourcestudies.com)). It was also mentioned about the future plans, in connection with the inclusion of the Journal on an international bases. After that, the participants of the event expressed their opinions about various important issues.

Finally, the event was continued and ended in an informal environmet.



# პროფესორ პაველ ჩობანიანის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: „კავკასიის ისტორიის პრობლემები“

## სოფიო ქადაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილი სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
sopio.kadagishvili@tsu.ge


## ზურაბ თარგამაძე

ივანე ჯავახიშვილი სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
კავკასიის უნივერსიტეტი  
zurab.targamadze@tsu.ge

სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთ კვლევების ინსტიტუტმა, 2023 წლის 15-16 მარტს, უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „კავკასიის ისტორიის პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა სომხეთის გამოჩენილი მეცნიერის პაველ ჩობანიანის დაბადებიდან 75 წლისთავს. მეცნიერი 150-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. მისი სამეცნიერო კვლევები ეხება სომხეთის ისტორიას, ქართულ-სომხურ სომხურ-რუსულ ურთიერთობებს. როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა რ.ღაზარიანმა კონფერენციის გახსნაზე აღნიშნა, პაველ ჩობანიანი იყო ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი კომპლექსურ საკითხებში და აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის სპეციალისტებთან სომხეთიდან, საქართველოდან და სხვა სხვა ქვეყნებიდან.

სომხეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციას ყოველწლიური სახე მიეცა. ამჯერად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ოთხ ათეულამდე მეცნიერმა სომხეთიდან, საქართველოდან (თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), ირანიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან.

კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებმა, აკადემიკოსმა იური სუვარიანმა,





აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა რობერტ ღაზარიანმა, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა ედიკ მინასიანმა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აშოტ მელქონიანმა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ედუარდ ზოჰრაბიანმა. მათ ხაზი გაუსვეს ღონისძიების მნიშვნელობასა და პროფესორ ჩობანიანის მიერ მეცნიერების განვითარებაში შეტანილ წვლილს.

სამეცნიერო ღონისძიება წარიმართა შერეულ ფორმატში: მეცნიერთა ნაწილი ნაწილი სესიებში მონაწილეობას ირებდა ზუმის საშუალებით.

ორივე სამუშაო დღის განმავლობაში სესიებზე წაკითხულ მოხსენებს ახლდა სამეცნიერო დისკუსიაც, სადაც მკვლევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი თვალსაზრისები და შეთანხმდნენ სამომავლოდ ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებაზე, ასევე კონფერენციის ფარგლებში დასმული საკითხების შესახებ კვლევების გაგრძელების აუცილებლობაზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმაც, კერძოდ, შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიამ ჩხარტიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ეპისტოღეთა წიგნში



მოხსენიებლ მთავარ ატრნესეს იდენტიფიკაცია და VI-VII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გააზრება“; ამავე განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა სოფიო ქადაგიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ტერიტორია და საკრალურობა შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით“; ამავე განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა ზურაბ თარგამაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ერთიანი კავკასიის



იდეა: ისტორიული და პოლიტიკური დისკურსები“.

ხსენებულ სამეცნიერო ღონისძიებაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლებმა, მანუჩარ გუნცაძემ, მან მოხსენება წაიკითხა თემაზე: „სოციო-ეკონომიკური საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921); ღონისძიებაში ასევე იღებდა მონაწილეობას ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ელენე გიუნაშვილი, მისი მოხსენებები სათაური გახლავთ: „კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVII საუკუნის გამოუქვეყნებელი ქართულ-სპარსული და სპარსული დოკუმენტები“.

სამეცნიერო ღონისძიება დახურა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა რობერტ ლაზარიანმა. შემაჯამებელი სიტყვით კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმაც. მათ აღნიშნეს, რომ ღონისძიებამ ჩაიარა უაღრესად ნაყოფიერად, წაკითხული მოხსენებები შეეხებოდა კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს. გამოითქვა სურვილი, რომ მომავალში მსგავსი ღონისძიებებისა და სხვა სახის თანამშრომლობის თაობაზე.





## **INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE: PROBLEMS OF THE HISTORY OF THE CAUCASUS, DEDICATED TO THE 75<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF PROF. PAVEL CHOBANYAN**

**Sopio Kadagishvili**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
sopio.kadagishvili@tsu.ge

**Zurab Targamadze**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
Caucasus University  
zurab.targamadze@tsu.ge

On March 15-16, 2023, the Institute of Oriental Studies NAS RA hosted the international conference “Problems of the History of the Caucasus”, dedicated to the 75<sup>th</sup> anniversary of the birth of the outstanding scientist of Armenia Pavel Chobanyan.

About 40 scientists from Armenia, Georgia (TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies), Iran, United States of America, Russia, and China participated in the conference.

# ევროპის სოციალური მეცნიერების ისტორიის კონფერენცია (2023)

## სოფიო ქადაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილი სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
sopio.kadagishvili@tsu.ge

ევროპის სოციალური მეცნიერების ისტორიის კონფერენციები იმართება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, დღესდღეობით სოციალური ისტორიის ინსტიტუტს ჩატარებული აქვს თოთხმეტი კონფერენცია ევროპის სხვადასხვა მონინავე უნივერსიტეტებში. ბოლო კონფერენცია გაიმართა შვედეთში, გოტენბურგის უნივერსიტეტში 2023 წლის 12-15 აპრილს. კონფერენცია აერთიანებდა ასობით მკვლევარს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისტორიული მოვლენების შესწავლით ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით.

კონფერენცია მოიცავდა ათასზე მეტ ნაშრომს და სამას სამოცდათხუთმეტ სესიას. კონფერენციის ქსელები, რაც ჯამში ოცზე მეტ პრობლემას წარმოადგენდა, მცირე სასესიო ჯგუფებში იყო გადანაწილებული. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა თეორიას და ისტორიოგრაფიას, შუა საუკუნეებს, ეთნიკურობას და მიგრაციას, რელიგიას და ა.შ. ამ წელს ჩატარებულ კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისტორიასა და იდენტობაზე. შესაბამისად, მკვლევრებს საშუალება ჰქონდათ წარედგინათ საინტერესო მოხსენებები ეროვნულ იდენტობაზე, კლასობრივ იდენტობაზე, ეთნიკურ იდენტობაზე, გენდერზე და სექსუალურ იდენტობებზე, რეგიონალურ, ადგილობრივ კოლექტივებთან დაკავშირებული სხვა იდენტობებზე.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, საორგანიზაციო კომიტეტს უნევს მოხსენებების შერჩევა. წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, კონფერენციას





ჰყავდა ქართველი მონაწილეებიც თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტიდან. კერძოდ, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიამ ჩხარტიშვილმა მოხსენება წაიკითხა თემაზე: „კულტურული ელიტების როლი ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესში: საქართველოს მაგალითი“; ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის ზურაბ თარგამაძის მოხსენების თემა გახლდათ „ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის პერცეფცია ქართული ისტორიოგრაფიის შუქზე“; „სოფიო ქადაგიშვილიმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „კოლექტიური კულტურული იდენტობის აღმნიშვნელი ტერმინების პერცეფცია შუა საუკუნეების საქართველოში (ნათესავიდან ერამდე); სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენება ასევე წაიკითხა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა მანუჩარ გუნცაძემ. მისი მოხსენების სათაური გახლდათ „საბჭოთა იდეოლოგია, რელიგიური და ერთი სიმღერა“.

საორგანიზაციო კომიტეტს კონფერენციის მონაწილეებისათვის დაწესებული აქვს სპეციალური ფულადი ჯილდო, რომელიც კონფერენციის დასკვნით დღეს, ბანკებზე გადაეცემა ერთ-ერთ მონაწილეს. წელს ეს ჯილდო წილად ხვდა ლონდონის ეკონომიკის სკოლის წარმომადგენელ მაია ადერეთს. მისი ნაშრომი ეხებოდა ისტორიული ორგანიზაციული კონტექსტის მნიშვნელობას, რომელიც აყალიბებდა პროფკავშირების დამოკიდებულებას სახელმწიფოს მიმართ.

ევროპის სოციალური მეცნიერების ისტორიის კონფერენციები გამოირჩევა იმითაც, რომ კონფერენციის დღეებში ევროპის მოწინავე გამომცემლობები უნივერსიტეტში გამოფენენ მათ მიერ გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურას. აღნიშნული გამოფენა მკვლევარს საშუალებას აძლევს გაეცნოს სამეცნიერო ლიტერატურას და ჰქონდეს მუდმივი კავშირი თანამედროვე კვლევებთან.

კონფერენცია ტრადიციულად დასრულდა ვახშმით. მსგავსი სოციალური შეხვედრა ხელს უწყობს მეცნიერების დაახლოებას, იდეების გაცვლას, სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვას.





## EUROPEAN SOCIAL SCIENCE HISTORY CONFERENCE (2023)

**Sopio Kadagishvili**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

sopio.kadagishvili@tsu.ge

The 14<sup>th</sup> European Social Science History Conference 12-15 April 2023 was organized by the IISH in cooperation with the University of Gothenburg, Gothenburg, Sweden.

The ESSHC aims to bring together scholars interested in explaining historical phenomena using the methods of the social sciences. The conference was characterized by a lively exchange in many small groups, rather than by formal plenary sessions. It was organized into 27 thematic networks.

# წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო კონფერენცია: საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია III, ქრისტიანული აღმოსავლეთი და კავკასია

## სოფიო ქადაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილი სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
sopio.kadagishvili@tsu.ge

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრთან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევით ინსტიტუტთან და წმინდა მღვდელმონაქმე გრიგოლ ფერაძის კავშირთან ერთად უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „ქრისტიანული აღმოსავლეთი და კავკასია“. წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის სამეცნიერო კონფერენცია თბილისსა და ვარშავაში მორიგეობით, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, 6 დეკემბერს, წმ. გრიგოლ ფერაძის აღსრულების დღეს – ვარშავის უნივერსიტეტში, ხოლო წმინდანის დაბადების დღეს (13 სექტემბერს), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წმ. გრიგოლ ფერაძის კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მესამედ ჩატარდა. კონფერენცია გადაიქცა მუდმივმოქმედ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმად, რომლის მიზანია ქართველოლოგიური კვლევების პოპულარიზაცია საზღვარგარეთ.



კონფერენცია გახსნა ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, გიორგი ქვიციანიძემ. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ. მან ისაუბრა წმინდანად შერაცხული არქიმანდრიტის, გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ჰუმანისტურ საქმიანობაზე, მის როლზე ქართული ემიგრაციის შეკავშირების საქმეში. ჯაბა სამუშიამ ყურადღება



გამახვილა საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობაზე, მის როლზე საქართველოს ისტორიის და, ზოგადად, ქართველოლოგიის პოპულარიზაციაზე მსოფლიოში.

კონფერენციის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ყოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენცია მნიშვნელოვანია მეცნიერ-მკვლევრებისთვის, რათა ერთმანეთს გაუზიაროთ კავკასიოლოგიის, ქართველოლოგიის მიმართულებით არსებული სიახლეები, კვლევები. განსაკუთრებით ხაზი გასუვა ქართველ მეცნიერთა მოხსენებებიშრომების მნიშვნელობას, ვინაიდან, მათ წვდომა აქვთ ადგილზე დაცულ დოკუმენტებთან. დავით ყოლბაის მიმართვა დასრულდა სამახსოვრო საჩუქრების გადაცემით. პოლონეთში მოღვაწე მეცნიერმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, გიორგი ქეიშვილსა სამახსოვროდ პოლონეთში გამოცემული წმ. გრიგოლ ფერაძის გამოსახულებიანი საფოსტო მარკის ნიმუში გადასცა.

დამსწრე აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა და კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა უსურვა. ბათუმიდან ზუმით ჩაერთო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევით ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე.

კონფერენციის მუშაობაში ქართველ მკვლევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები იორდანიიდან, იტალიიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან. მათი მოხსენებები ძირითადად ეხებოდა კავკასიის ხალხთა ურთიერთობას ქრისტიანულ აღმოსავლეთთან, აგრეთვე, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს.

კონფერენციის სამეცნიერო მუშაობა გაგრძელდა ორი დღე. მომხსენებელთა ნაწილი ღონისძიებას დაესწრო ზუმის საშუალებით. ნაყოფიერი მუშაობა დაგვირგვინდა ვახშმით, რამაც უფრო მეტად დააახლოვა კონფერენციის მონაწილეები და არაერთი საინტერესო ერთობლივი საქმის წამოწყების იდეას ჩაუყარა საფუძველი.

კონფერენცია მესამე დღეს დასრულდა ბოლნისისა და დმანისის მუზეუმების მონახულებით. კონფერენციის ორგანიზატორები სტუმრებს დაემშვიდობნენ იმ იმედით, რომ სამომავლოდ საქართველოში მოხდეს მსგავსი ღონისძიებებიც მსაპნდრობა...



## **SAINT GRIGOL PERADZE INTERNATIONAL CONFERENCE: GEORGIA AND CHRISTIAN CIVILIZATION III, THE CHRISTIAN EAST AND THE CAUCASUS**

**Sopio Kadagishvili**

Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology  
sopio.kadagishvili@tsu.ge

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology together with the Center for Eastern European Studies of the University of Warsaw, Niko Berdzenishvili Research Institute of Batumi Shota Rustaveli State University, and the Holy Martyr Grigol Peradze Union, hosted the international conference “Christian East and the Caucasus”. The scientific conference named after St. Grigol Peradze is held alternately in Tbilisi and Warsaw once every two years, on December 6, St. On the day of Grigol Peradze’s execution – at Warsaw University, and on the saint’s birthday (September 13) – at Tbilisi State University. St. Grigol Peradze’s conference at Tbilisi State University was held for the third time. The conference has turned into a permanent international scientific forum, the goal of which is to popularize Georgian studies abroad.

Except Georgian researchers, scientists from Armenia, Italy, Jordan, Poland took part in the conference. The conference’s scientific part lasted two days. Some of the speakers attended the event via Zoom. The fruitful work was ended with a dinner, which brought the conference participants closer together and laid the foundation for the idea of starting a number of interesting joint activities.

The conference ended on the third day with a visit to Bolnisi and Dmanisi museums.

# მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე

**ცირა ჯანაშია**


ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის  
ისტორიის ინსტიტუტი  
cira.janashia73@gmail.com

2023 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის ქეთევან მანიას მონოგრაფია „პოლონური იდენტობა ქართულ ბეჭდურ მედიაში (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე)“. ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ჩხარტიშვილი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ყოლბაია. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (პროექტი SP-22-327. ხელმძღვანელი ქეთევან მანია, კოორდინატორი – მარიამ ჩხარტიშვილი).

2023 წლის 19 სექტემბერს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მონოგრაფიის წარდგინება. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლები, სტუდენტები, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული საზოგადოება. სხდომას უძღვებოდა პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი.

თავის შესავალ სიტყვაში პროფესორმა მ. ჩხარტიშვილმა თავდაპირველად ისაუბრა თავად ავტორზე. მან აღნიშნა, რომ ამის საშუალებას მას აძლევს ავტორთან მრავალწლიანი ნაცნობობა და თანამშრომლობა. ეს ურთიერთობა იწყება იმ დროიდან, როცა ქ.მანია ჯერ კიდევ მისი სტუდენტი იყო, რომელმაც მ. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით ჯერ დაიცვა სადიპლომო ნაშრომი, შემდგომ კი – სადოქტორო დისერტაცია. მ. ჩხარტიშვილმა ხაზი გაუსვა უკვე იმ წლებიდან

ქ. მანიას დიდ მოტივაციას და მუყაითობას, საქმის დიდ სიყვარულს. შემდგომ მოკლედ ისაუბრა საქართველოში იდენტობრივი კვლევების ისტორიაზე, თეორიული ჩარჩოზე – ეთნოსიმბოლიზმზე, რომლის ფარგლებში ის და მისი მოწაფეები იკვლევენ საქართველოს ისტორიას. მ. ჩხარტიშვილმა წარმოადგინა ქ. მანიას პროფესიული ბიოგრაფია, მისი წვლილი ქართული იდენტობის ისტორიის შესწავლაში. მოკლედ შეეხო მონოგრაფიასაც. მან მიუთითა, რომ ავტორი საანალიზოდ საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ პერიოდს (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე) იღებს და ქართულ-პოლონური პარალელების ეთნოსიმბოლისტური პარადიგმით შესწავლის მცდელობას წარმოგვიდგენს.





ამის შემდგომ პროფესორმა მ. ჩხარტიშვილმა სიტყვა გადასცა თავად ავტორს. ქ. მანიაშვილმა, ნაშრომი გააცნო დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ საკვლევო პერიოდი ერთნაირი განსაცდელის ხანაა ქართველი და პოლონელი ერისათვის, ორივე ერს უწევს ბრძოლა იდენტობის გადარჩენისათვის. ქართულ საზოგადოებაში რუსული მმართველობის შედეგად ეროვნული საკითხებისადმი სრული ინდიფერენტობა იყო გამეფებული. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველთათვის საერთაშორისო მოვლენებისადმი მიძღვნილი ინფორმაციების მიწოდებას. მონოგრაფია შეეხება ამ მხრივ გამორჩეულ მაგალითს – პოლონური იდენტობის ბრძოლას გადარჩენისათვის. საკითხის წყაროა ქართული ბეჭდური მედია-მასალები: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“, „კომუნისტი“, „მხედარი“, „თავისუფალი საქართველო“. პოლონელთა ეროვნული ბრძოლის ამსახველი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის განხილვა წარმოდგენილია საზოგადოებრივ პერსონალებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე, სიმბოლოებზე დაკვირვებით. ავტორმა ხაზგასმით ისაუბრა ერთმანეთისგან განსხვავებული – საქართველოს დამოუკიდებლობამდე, დამოუკიდებლობის და საბჭოური პერიოდის მედია-მასალებზე. მონოგრაფიაში მსჯელობა გაშლილია ორი ძირითადი თემის – ტერიტორიული და კულტურული იდენტობისათვის ბრძოლაზე და ნაჩვენების სხვათა მაგალითის ქართველ მკითხველთათვის მიწოდების მნიშვნელობა.

ნაშრომის შესახებ ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსანდრე დაუშვილმა. მან აღნიშნა, რომ ავტორმა წარმოადგინა მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფია. ყოველი საისტორიო ნაშრომისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნეობით ბაზას, ვისაც საისტორიო მეცნიერებასთან შეხება აქვს, ყველამ იცის რა რთულია პრესის, როგორც საისტორიო წყაროს, დამუშავება, კლასიფიკაცია, შეჯამება, წარმოდგენა, კარგისა და ცუდის გარჩევა და საუკეთესოს მიწოდება მკითხველისათვის. ყოველივე ამას ავტორი ჩინებულად ახერხებს და ეს უნარი მას ეხმარება წარმოადგინოს სანდო მასალა. მისი მიზანია პოლონური იდენტობის ისტორიის ანალიზი ქართული ბეჭდური მედიის საშუალებით.



პოლონეთი კათოლიკური ქვეყანაა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის იდენტობას, კულტურას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. მანიასათვის საინტერესო იყო მისი რელიგიური შეხედულებები, ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრება, ეკონომიკის განვითარების თავისებურება, პოლიტიკა, განმათავისუფლებელი მოძრაობა. ყოველივე ამას ის წარმოადგენს ქრონოლოგიურად და ჩვენ ვხედავთ როგორ იწრთობა პოლონური იდენტობა. ა. დაუშვილმა ნაშრომში ყველაზე საინტერესოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ავტორი ამ ყველაფერს ქართველების თვალთ დანახულს წარმოაჩენს. ეს არის ქართული მასალა, ქართველის მიერ დანახული პოლონეთი. ხაზს უსვამს ქართველთა პატივისცემას, სიყვარულს, სოლიდარობას, აღფრთოვანებას პოლონელების მიმართ, რასაც ჩინებულად აღწერს ავტორი. ა. დაუშვილმა წიგნის 48-ე გვერდიდან მოიხმო ციტატა, სადაც საუბარია ქართველის მიერ შემჩნეულ ფაქტზე თუ როგორ რთულდება რუსეთ-პოლონეთის აუტანელი დამოკიდებულება, ზიზღი, რომელიც ვერც პოლონელებმა და ვერც რუსებმა ვერ დაძლიეს. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, პოლონეთი ვითარდებოდა თავისი ინტერესებით და ის კვლავ ჩანდა და ასეთივე ზიზღი ჰქონდა საბჭოთა კავშირსაც პოლონეთის მიმართ. ამგვარივე დამოკიდებულება იყო მეორე მსოფლიო ომის წინ, რაც სათანადოდ არის წარმოდგენილი ნაშრომში. ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი იყო მიუღებლობა. აქედან გამომდინარე ცალმხრივია კომუნისტური პრესის მასალები. ბოლოს აღნიშნა, რომ დასკვნები ეფუძნება მრავალწლიანი მუშაობის შედეგებს, მსჯელობანი არის ლოგიკურად გამართული და საინტერესო.

შემდგომმა გამომსვლელმა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ჯანელიძემ ხაზი გაუსვა ნაშრომის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ ნაშრომში გაანალიზებული იდენტობის თემა, არის მნიშვნელოვანი თემა და ამ თემის ახალი კუთხით, ახალი ასპექტით განხილვა იყო საინტერესო. გამოკვლევა კი შეაფასა, როგორც სკრუპულოზული, კარგი წყაროთმცოდნეობითი, სტილისტურად გამართული ნაშრომი. მაგრამ ო. ჯანელიძის შენიშვნით, საკითხი ამით არ მთავრდება, კვლევა გრძელდება და მიუთითა მისი თვალთახედვით საკითხის შემდგომი დამუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ ქართული მასალის პარალელურად პოლონური მასალის ანალიზი უფრო გააფართოებს წიგნის ჩარჩოსაც და საინტერესოს გახდის. გამომსვლელმა ისაუბრა ისეთ ფაქტობრივ მონაცემებზე, რომლებიც საკითხს შეეხება, სპეციალურ კვლევებში გვხვდება, მაგრამ მედიაში ვერ აისახება. ასეთი საკითხებისადმი ინტერესი ძალიან მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ამ გამოკვლევას. გამომცემელმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე, საბჭოთა პერიოდის საარქივო და ემიგრანტული მასალაზე, ვინაიდან ემიგრანტულ გაზეთებში მრავლად გვხვდება ცნობები საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ. ო. ჯანელიძის თვალსაზრისით, სამომავლოდ ყოველივე ამის გათვალისწინება მოგვცემს ძალიან საგულისხმო ნაშრომს, მივიღებთ პოლონური იდენტობის ისტორიის მეორე ტომს. თუმცა განსახილველი მონოგრაფია იმ სახითაც, როგორითაც ეს წარედგინა სამეცნიერო საზოგადოებას, ქართულ-პოლონური პარალელების ბეჭდური მედიის მასალებით კვლევის საინტერესომცდელობას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი შენაძენია პოლონური იდენტობის ისტორიის შესწავლის და ინტერესებული სპეციალისტებისათვის თუ მკითხველისათვის.

წარდგინების ფორმალური ნაწილის დასრულების შემდგომ საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე და, კონკრეტულად, ქეთევან მანიას ნაშრომზე საუბარი გაგრძელდა არაფორმალურ ვითარებაში.







## AN IMPORTANT PUBLICATION ON GEORGIAN-POLISH RELATIONS

**Tsira Janashia**

Institute of History of the  
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences  
cira.janashia73@gmail.com

In 2023, publishing house “Meridiani” has printed Ketevan Mania’s new monograph “Polish Identity according to Georgian Print Media (from the 1860s to the 1940s)”. Dr. Ketevan Mania is a Senior-research fellow at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. The scientific editors of the monograph are Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor, Main research fellow at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Mariam Chkhartishvili and Professor of Warsaw University David Kolbaia.

The book was published with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (project SP-22-327. Principal Investigator Ketevan Mania, coordinator – Mariam Chkhartishvili).



# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“

**ქეთევან მანია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
ketevan.mania@gmail.com

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ინიციატივით უკვე რამდენიმე წელია ტარდება საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“. 2023 წლის 21-23 სექტემბერს ჩატარდა მორიგი VIII სამეცნიერო კონფერენცია. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ეროვნული არქივის ინიციატივით ჩატარებული წლევეანდელი კონფერენცია დავით აღმაშენებლის 950 წლის იუბილეს მიეძღვნა, შესაბამისად, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობას ცალკე სექციური მუშაობა დაეთმო. კონფერენცია გამოირჩეოდა როგორც მონაწილეთა (ქართველ და უცხოელ მეცნიერთა) მრავალრიცხოვნობით, ასევე, თემატური მრავალფეროვნებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული არქივის, თსუ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიური ცენტრის, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ეროვნული კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ხელოვნების სასახლის – კულტურის მუზეუმის, მადრიდის უნივერსიტეტის (ესპანეთი), ნეგვის ბენ-გურიონის უნივერსიტეტის





(ისრაელი), ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ზალცბურგის უნივერსიტეტის (ავსტრია), თსუ ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ფინეთის ეროვნული არქივის, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის, დანიის უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზიგენის უნივერსიტეტის (გერმანია), პიაზის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევართა და მეცნიერთა მოხსენებები.

სექციური მუშაობა ეროვნული არქივის სამ დარბაზში ყოველდღიურად 5 სხდომით მიმდინარეობდა და თემატურად მოიცავდა ფილოლოგიის, ისტორიის, კულტუროლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ციფრული არქივებისა და მონაცემთა ბაზების, კონსერვაციარესტავრაციის აქტუალურ საკითხებს.



ფოტოები აღებულია საქართველოს ეროვნული არქივის ვებ.გვერდიდან: [www.archive.gov.ge](http://www.archive.gov.ge)

## **INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE: “ARCHIVAL STUDIES, SOURCE STUDIES – TRENDS AND CHALLENGES”**

**Ketevan Mania**

Ivane Javakhishvili Institute History and Ethnology  
ketevan.mania@gmail.com

On September 21-23, 2023, by the initiative of the National Archives of the Ministry of Justice of Georgia, has been held the 8th International Scientific Conference: “Archival Studies, Source Studies – Trends and Challenges”.

Dozens of representatives of Georgian and foreign research scientific institutions took part in the conference. Scientific sectional works were held in three halls of the National Archives and thematically included current issues of philology, history, cultural studies, art history, digital archives and databases, and conservation-restoration.

# საერთაშორისო კონფერენცია „ისტორიული მოღვაწეების როლი ისტორიასა და კოლექტიური მემსიერებაში“ (სკოპიე, 6-8 ნოემბერი 2023)

## სოფიო ქადაგიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
sopio.kadagishvili@tsu.ge

მაკედონიის ეროვნული ისტორიის ინსტიტუტის ორგანიზებით, 2023 წლის 6-8 ნოემბერს სკოპიეში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ისტორიული მოღვაწეების როლი ისტორიასა და კოლექტიური მემსიერებაში“. ამ კონფერენციის მიზანი იყო მკვლევართა შეკრება სხვადასხვა სფეროდან, რათა დისკუსიის გზით უკეთ გაცნობოდნენ ისტორიულ მოღვაწეთა როლს ყველა ასპექტიდან უძველესი პერიოდიდან თანამედროვეობამდე.

კონფერენცია მიეძღვნა მაკედონიის სამეცნიერო და ლიტერატურული ამხანაგობის პრეზიდენტის დიმიტრი ჩუპოვსკის (1878-1940) დაბადებიდან 145 წლისთავს, დ. ჩუპოვსკი იყო მაკედონიის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ღონისძიება აგრეთვე ეძღვნებოდა ბლაჟე რისტოვსკის (1931-2018) სახელს, რომელიც ცნობილი მაკედონელი მკვლევარი და მაკედონიური აკადემიური კულტურის საწყისების იდეის მატარებელი.

საორგანიზაციო ჯგუფი განიხილავდა თეზისებს, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს:

პიროვნებათა როლი ისტორიულ პროცესებში

ისტორიული ფიგურები კოლექტიურ მემსიერებაში

მეცნიერები ცოდნის გადაცემისა და გაცვლის პროცესში

ემიგრანტები და აკადემიური კულტურები

განმანათლებლები – მოღვაწეობა და გახსენება

ისტორიული პირები და ინსტიტუციების აგების პროცესი

კულტურული და ეროვნული მობილიზაციის მონაწილეები

პროტაგონისტები ლინგვისტური ემანსიპაციისთვის

მოვაჭრეების როლი ცოდნისა და იდეების გაცვლაში

მთარგმნელები და ცოდნის გადაცემა

ინტელექტუალური ელიტები ემიგრაციაში

ისტორიული ფიგურები და ვინაობა

ქალები განათლებასა და მეცნიერებაში

სულიერი ლიდერები და მიმდევრები ისტორიასა და მემსიერებაში

მიგრანტი ქალები – ბიოგრაფიები და მოგონებები

ისტორიული პირების მემსიერების ადგილები

ბიოგრაფიები და ავტობიოგრაფიები

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების შემქმნელები

ინტელიგენცია და ომი - ურთიერთქმედება და მემსიერება

ფოტოგრაფებისა და კინემატოგრაფისტების როლი

ელჩები, მისიონერები და მოგზაურები

კონფერენციის მუშაობა წარიმართა ჰიბრიდული ფორმატით (დასწრებით და ონ-ლაინ კავშირის საშუალებით). მუშაობის პროცესმა ჩაიარა საინტერესოდ, სადაც თავს იყრიდა არაერთი ქვეყნის წარმატებული მკვლევარი. საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარნი.



## INTERNATIONAL CONFERENCE “THE ROLE OF HISTORICAL FIGURE IN HISTORY AND COLLECTIVE MEMORY” (SKOPJE, NOVEMBER 6-8, 2023)

**Sopio Kadagishvili**

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology  
sopio.kadagishvili@tsu.ge

On November 6-8, 2023, the international conference “Role of historical figures in history and collective memory” was held in Skopje, organized by the National History Institute of Macedonia. The purpose of this conference was to bring together scholars from various fields to better understand the role of historical figures from all aspects from ancient times to modern times through discussion.

The conference was dedicated to the 145<sup>th</sup> anniversary of the birth of Dimitri Chupovski (1878-1940), the president of the Macedonian Scientific and Literary Society, D. Chupovski was one of the founders of the Macedonian Academy of Sciences. The event was also dedicated to the name of Blaže Ristovski (1931-2018), a famous Macedonian researcher and bearer of the idea of Macedonian academic culture.

The conference took place in a hybrid form (attendance and through online connection). The working process was productive, where researchers from many countries shared interesting topics. Among dozens of participants there were Georgians from Batumi Shota Rustaveli State University and TSU Institute of History and Ethnology.

**ინფორმაცია**  
**INFORMATION**



## კაბენის მონასტრის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის შესახებ

### ვასილ ქიქაღუა

ააიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვისა და კვლევის ცენტრი  
vtchitchagua@hsoj.ge

### ანზორ მჭედლიშვილი

ააიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვისა და კვლევის ცენტრი  
amtchedlishvili@gmail.com

ჩვენს ქვეყანაში ბევრია საინტერესო ძეგლი, მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი არქიტექტურით და გამორჩეული ფრესკებით. ნებისმიერი მეცნიერი თუ მოგზაური, რომელიც დაინტერესებულია ქართული მართლმადიდებლური არქიტექტურით, მისი განვითარების ეტაპებით, სხვადასხვა სტილის შერწყმის საინტერესო მაგალითებით, მართლმადიდებლური ფერწერის ნიმუშებით, ვერასდროს იტყვის, რომ ყველაფერი და ყოველივე იხილა რისი შემოთავაზებაც საქართველოს შეუძლია.

ქართული მართლმადიდებლური არქიტექტურის ძეგლების ნაწილი შემოგვრჩა ხელუხლებლად, უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია ფრიად დაზიანებული სახით, ზოგი კი იმდენად დაზიანებულია, რომ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ საფუძველი და ერთი ან ორი კედელია დგას. ასევე არის ძეგლები, რომელთა შესახებაც მხოლოდ წერილობითი წყაროებიდან ვიცით და ამჟამად მათი მდებარეობის ან ზუსტი არქიტექტურული ფასეულობის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ თეორიულად ვიმსჯელოთ. ასევე არსებობენ ძეგლები, რომლებმაც მოაღწიეს იმ ეპოქამდე, როდესაც არსებობდა ფოტოგრაფია და გვაქვს მათი ფოტოები, მაგრამ რეალურად ძეგლი უკვე განადგურებულია. ამგვარი ბედის მქონე ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ტაძარი გახლავთ კაბენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. ძეგლი, რომელიც თავის არქიტექტურით შეგვიძლია შევადაროთ ბეთანიას, ფიტარეთს, სამთავისს, რომელმაც მეოცე საუკუნედე მოაღწია და რომელიც ამავე საუკუნის ქართველებში ისე განადგურდა, რომ მისი საფუძველიც კი არ გადარჩენილა.

1904 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა,

კოჭორს ახლოს არის კობენის მონასტერი. ამჟამად იქ ახლო ეკლესიას აშენებენ, მაგრამ სრულიად ყურადღებას არ აქცევენ ძველს პატარა ეკლესიებს. ერთი ძველი ეკლესია კიდევ დაუქცევიათ და მისი თლილი ქვები გამოუყენებიათ ახალის აშენებისათვის. ასეთივე ბედი მოელის მეორე ძველს პატარა ეკლესიას, რომელიც ჯერ ისევ მთელია. ბერ მონაზონნი, რომელნიც აშენებენ ახალ ეკლესიას, იღებენ ძველ ქვებს, ხშირად წარწერიანებს, სთლიან ხელ-ახლად, წარწერას სპობენ და ისე ახმარებენ. ამ გარემოებას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და მიჰმართა ჯეროვანს ღონისძიებას, რომ აღკრძალულ იქნას ასე უყურადღებოდ მოპყრობა ძველ საარქეოლოგიო ნაშთებისა. მთავრობამ ეს ამბავი აუწყა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების ტფილისის განყოფილებასაც.

ამ სტატიაში „ერთ კიდევ დაქცეულ ეკლესიად“ მოხსენიებული ტაძარი სწორედ გახლავთ კაბენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ულამაზესი ტაძარი, რომელიც საბოლოო განადგურება ამ სტატიაში მოხსენიებული მოვლენებით დაიწყო. ხოლო „ბერ მონაზონებად“ მოხსენიებული პირები, რომლებიც სტატიაში მონასტრის შენობების მიზანმიმართულ განადგურებაში არიან დადანაშეულებულნი, არიან 1903 წელს რუსეთის



სინოდის მიერ ახალი ლავრის, ბერთა ახალი საძმოს დასაარსებლად მოვლენილი მოღვაწენი. სინოდს ახალი მონასტრისთვის „კაბენის მიძინების მონასტერი დაურქმევია“ და ამ ჯგუფის წინამძღვრად ვინმე არქიმანდრიტი დავითი დაუნიშნავს.

სრულიად წარმოუდგენელია, რომ ისეთი მნიშვნელობის და ისტორიის ძეგლი როგორც კაბენის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია, ასე უკვალოდ განადგურდა. მონასტერი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ეს ტაძარი ანუ კაბენის მონასტერი საქართველოს მონარქების აგებული და მათი მუდმივი ზრუნვის ობიექტი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ეს მონასტერი „აღაშენა მეფემან თამარ“. აი, რას წერს იგი კაბენის მონასტრის შესახებ:

ერთვის ალგეთს ხევი ასურეთისა, გამოსდის სამადლოს; მოდის ხევი ესე სამხრით. კიკეთს ქუჭეთს ხევსა შინა არს მონასტერი კაბენისა, ყოფილ არს დედათა; გუმბათიანი, შუჭენაერი; ან არს ხუცის სამარე, აღაშენა მეფემან თამარ; მას ზემოთ არს ციხე აზნულისა და ან კოჭორისა თხემსა ზედა კლდისასა. ამ მონასტრის ვრცელს ადგილს უჭირავს თითქმის მრთელი მდინარის ხეობა, სრულებით ეს ადგილმდებარეობა დაფარულია ხშირი ტყით, ასე რომ თვით ის მონასტრიც მართლაც ტყეში არის. ეკკლესიას გარშემო უდგარან ხეხილები, ახლა თუმცა დაბერებულან, მაგრამ მაინც ნაყოფი გამოოაქუსთ ყოველს წელიწადსა. აქ ნახავს მოგზაური ბაღსა, ალუბალსა, ყოველ გვარს ქლიავსა, ქერამსა, ყურძენსა, კაკალის ხეებსა, თხილსა. კაკლის ჩინებული დიდროანი ხეები ახლაცა ასიამოვნებენ მლოცველთა.

1873 წლის იანვრის ნომერში ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში პლატონ იოსელიანი „კაბენისა მონასტერი“, აღწერს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ღირსშესანიშნაობებს, ამბობს, რომ ის ძლიერ დაზიანებულია, გუმბათის ნაწილი ჩამონგრეულია, თუმცა შემორჩენილია მდიდარი ფერწერა ქართული და ბერძნული დამწერლობით. კარგად არის გადარჩენილი მაცხოვრის თორმეტი მოციქულის, ეპისკოპოს სილვესტრის, იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებები. ავტორი ხაზს უსვამს, რომ

ამ ეკკლესიის არხიტექტურა წარმოგვისგენს იმ დროს დიდს ხელოვნებასა. ქუეზბედ გამოქანდაკებულნი არიან დიდ ხელოვნურად ჯვრები, მართლად და, დიდხელოვნებით არის გამოყვანილი ამ მონასტრის ქვის ჩუქურთმები, ყველაზედ მეტი ხელოვნება ნახმარია ორი ქვის ფანჯრებზედ, საიდამაც საკმაოდ დასცემს ნათელი ეკკლესიის შუაგულსა[...].

ავტორი ამ სტატიაში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ტაძრის თამარ მეფის მიერ აშენების შესახებ, არ უნდა იყოს ზუსტი. მისი აზრით, თამარის დროს განახლდა ტაძარი და მას მიემატა ერთ-ერთი მინაშენი რის შესახებაც არის მინაწერი ტაძრის ფასადზე. თუმცა თავად მონასტერი და ტაძარი, მისი აზრით, უფრო ძველი უნდა იყოს.

ორგანიზაცია, რომელსაც ამ სტატიის ავტორები ვხელმძღვანელობთ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი“ 2019 წლიდან არსებობს, თუმცა ამ ჯგუფის თითოეული წევრი 15 წელზე მეტია ცალკე ან სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მონაწილეობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევასა და მათი გადარჩენისადმი მიძღვნილ საქმიანობაში. ჩვენ ამ წლების განმავლობაში ნანახი გვაქვს, ქართველი ერის მიერ შექმნილი მართლმადიდებლური არქიტექტურის ძეგლების უდიდესი ნაწილი და ვიცნობთ მათ საოცარ, ძალზედ საინტერესო ისტორიას. თუმცა რა გამოცდილებაც არ უნდა გქონდეს ადამიანს, ძნელია უდიდესი ემოცია არ მოგგვაროს, ამ სტატიაში განხილული ტაძრის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა.

ჩვენი ჯგუფის წევრების მიერ 2020 წელს და შემდგომ პერიოდში განხორციელდა რამდენიმე საველე ექსპედიცია კაბენის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დაზუსტების და მისი შესაძლო გადარჩენილი ფასადის დეტალების ლოკალიზების მიზნით. როგორც გაირკვა, მონასტერში აღდგა სამონასტრო ცხოვრება. აქ

სტუმრობისას გავიცანით მამა თეოდორე, ახალგაზრდა მოღვაწე, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს მონასტრის აღდგენისთვის. მისგან შევიტყვეთ ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობი, რომ მონასტრის, ამჟამად დანგრეული, დიდი ეკლესიის ქვების რაღაც ნაწილი XX საუკუნის 30-იან წლებში ურმებით გადაუტანიათ მიმდებარე სოფელში (სავარაუდოდ, ერტისი ან მის მიმდებარედ) სამშენებლო მიზნებისთვის გამოსაყენებლად. აიძვას, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ანტირელიგიური კამპანიის პერიოდში, მეზობელ სოფლებში, კაბენის მონასტრიდან ნამდვილად წაიღეს ქვები სამშენებლო მასალად, ცხოველთა სადგომების მოსაზნობად, ამას ჩვენს ხელთ არსებული სხვა წყაროებიც ადასტურებს.

სამწუხაროდ, მონასტრის მიმდებარე სოფლებში განხორციელებულმა კვლევა-ძიებამ ქვების მდებარეობის ლოკალიზების მიზნით არანაირი შედეგი არ მოგვცა. თუმცა გადამოწმებისას დადასტურდა, რომ ინფორმაცია მონასტერსა და სოფელ ერტისს შორის ძველი გზის არსებობის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება. როგორც გაირკვა კაბენის მონასტერს, იქვე რამდენიმე კილომეტრში არსებულ ორმოცი სებასტიელი მონაშის მონასტერსა და სოფელ ერტისს შორის ნამდვილად არის ძველი, ზოგან კლდეში ნაკვეთი საურმე გზა, რომელიც ამჟამად თითქმის გაუვალია, მაგრამ XX საუკუნის 30-იან წლებში, სავარაუდოდ, ურმების გადასადგილებლად გამოსადეგი იქნებოდა.

მცირე, მაგრამ ძალზედ საინტერესო, სიახლე იყო ასევე, ჩვენი კვლევითი ჯგუფის წევრების მიერ თავად მონასტრის ტერიტორიის დათვალიერებისას აღმოჩენილი ტაძრის ფასადის ერთი დეკორირებული და რამდენიმე სადა ფრაგმენტი. დეკორირებული ფრაგმენტი მონასტრის სამხრეთ დაბოლოებასთან, გალავნის გარეთ იქნა ნაპოვნი. ხოლო სადად დამუშავებული ფრაგმენტები მონასტრის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, მიწაზე იყო მიმოფანტული. ეს ფრაგმენტები, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ფასადის დეტალებს წარმოადგენდა. ამ მცირე ფრაგმენტების მიხედვით მოგვეცა შესაძლებლობა გვემსჯელა ტაძრის პერანგის შემადგენელი ქვის ფერის და ტექსტურის შესახებ. ტაძარი საკმაოდ მუქი ფერის ქვით ყოფილა ნაგები და ქვის დამუშავების ხარისხი ძალზედ მაღალი აღმოჩნდა. უშუალოდ მონასტრის გალავანს შიგნით არსებული ნაგებობების გარდა, ხეობაში მასთან ახლოს არის კიდევ რამდენიმე ნაგებობათა ჯგუფი, რომლების აგების პერიოდი ან მათი კავშირი მონასტერთან ასევე საინტერესო კვლევის საგანია მომავლისთვის.

## ON THE TEMPLE OF THE ASSUMPTION OF THE VIRGIN MARY OF KABENY MONASTERY (TETRITSKARO MUNICIPALITY)

**Vasil Tchitchagua**

NGO Center of Georgian Cultural Heritage  
Preservation and Research  
vtchitchagua@hsoj.ge

**Anzor Mtchedlishvili**

NGO Center of Georgian Cultural Heritage  
Preservation and Research  
amtchedlishvili@gmail.com

This article is dedicated to one of the important monuments of Georgian Orthodox architecture, the Dormition of the Virgin Mary Temple of Kabeny.

Part of the monuments of Georgian Orthodox architecture have survived intact, the largest part has reached us in a very damaged form, and some are so damaged that in many cases only the foundation and one or two walls are preserved. There are also monuments we know only from

written sources, and currently we can only speculate about their location or exact architectural value. There are also monuments that have reached the era when there was photography and we have their photographs, but actually, the monument has already been destroyed. Among the monuments with such a fate, one of the most outstanding temples is the Dormition of the Virgin Mary Temple of Kabeny. A monument whose architecture can be compared to Bethania, Fitarety, and Samtavisy, which reached the 20th century and was so destroyed in the same century that even its foundation was not saved.

The organization headed by the authors of this article “Georgian Cultural Heritage preservation and Research Center” has existed since 2019, although each member of this group has been participating in research and preservation of cultural heritage monuments of Georgia for more than 15 years individually or in cooperation with different organizations. During these years, we have seen the largest part of the monuments of Orthodox architecture created by the Georgian nation and we know their amazing, very interesting history. However, whatever one’s experience may be, it is hard not to be deeply shocked by the events surrounding the temple discussed in this article.

Several field expeditions were carried out by our group members in 2020 and beyond in order to clarify the current status of the Cathedral of the Dormition of the Virgin Mary of Kabeny and to locate details of its possible surviving facade. As it turned out, monastic life was restored in the monastery. While visiting here, we got to know Father Theodore, a young man who spares no effort in the activities aimed at the restoration of the monastery. He informed us that, according to the locals, some of the stones of the now-demolished large church of the monastery were carted to a nearby village (Ertis or nearby) in the 1930s to be used for construction purposes. This opinion is also confirmed in other literary sources. In particular, after the sovietization of Georgia, during the anti-religious campaign, stones were taken from the Kabeny monastery as building material for animal stalls in the neighboring villages. The research and search carried out in the villages surrounding the monastery in order to locate the location of the stones did not give us any results. The information about the existence of an old road between the monastery and Ertis village was checked. Indeed, between the monastery of Kabeny, the monastery of the Forty Sebastian Martyrs located a few kilometers away, and the village of Ertis, there is indeed an old road carved into the rock.

**IN MEMORIAM**  
**ԵՆՊՅԵՅ**



## ზაზა ალექსიძე გახსენება

### ნათია ჩანტლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
natia.chantladze@yahoo.com

*„სიბიძნე ცოდნისა და გამოცდილების ერთობლივი შედეგია,  
საჭიხოა ახა მხოლოდ იმის ცოდნა, ხა უნდა გააკეთო, ახამედ  
გჭიხდება სიმამაცე, ხომ ბოლომდე მისდით მიზანს“  
ჯაროდ კინთსი*

ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საფრანგეთის წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემიის უცხოელი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ზაზა ალექსიძე. წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისა თუ რედაქციის წევრი. ზაზა ალექსიძის გამოკვლევები კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. მისი ნაშრომები გამოცემულია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე. ის 190-ზე მეტი ნაშრომის, აქედან 25 მონოგრაფიის ავტორი გახლდათ და ყოველ მათგანში შესანიშნავად ჩანს მკვლევრის ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, თვისებრივად სრულიად განსხვავებული ხედვა და აზროვნება, უდიდესი ერუდიცია, ლოგიკური აზროვნება, ფანტაზია, აზრთა სინატიფე და უბერებლობა, გონებამახვილობა და ენამახვილობა, პოლემიკის საოცარი უნარი, მეცნიერული სიფხიზლე და წინდახედულება, შემოქმედებითი რისკი. შეუძლებელია მისი ნამოღვაწარი



2010 წელი, სამუშაო კაბინეტი კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რომელიმე ერთ დარგში ჩაატო, რადგანაც მისი სააზროვნო სივრცე ძალზე ფართოა და ის სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ დიდ ქართველ მეცნიერთა დასს, რომლებიც ერთნაირად თავისუფლად ფლობდნენ ჰუმანიტარიის სხვადასხვა დარგების მონაცემებსა და კვლევის მეთოდებს. მუშაობის პროცესში ზაზა ალექსიძე ისტორიკოსიც იყო და ფილოლოგიც, წყაროთმცოდნეცა და ტექსტოლოგიც, ენათმეცნიერიცა და თეოლოგიც.

ამჯერად ჩვენს ფოკუსში იქნება ზაზა ალექსიძე, როგორც წყაროთმცოდნე და ამ სფეროში მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის. მის შემოქმედებაში ლომის წილი სწორედ სხვადასხვა ჟანრისა და ფორმატის წყაროთა გამოვლენას, გაშიფვრასა, ქართულად თარგმნასა და შესწავლას ეთმობა. ის ერთნაირი სიღრმით იკვლევდა როგორც საისტორიო, აგიოგრაფიულ, დოგმატურ-პოლემიკურ თხზულებათა, ასევე ეპიგრაფიკულ წარწერათატექსტებს, ამზადებდამათგამოსაცემად დამათი შესწავლის შედეგად აკეთებდა კიდევ თავის საოცარ აღმოჩენებს. ამ რიგის ნაშრომებშია ყველასთვის ცნობილი წიგნები :



წარწერები“ და ატენის სიონის ფრესკული წარწერების კორპუსი, „თავნი ოცდაათნი სომეხთა წვალეზათანი“, „თეოლოგიური პოლემიკა კავკასიაში - VI საუკუნე“, „საქმენი იოვანე ზედა ზადნელისანი“ და „მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა“ (სინური რედაქციები), შესაძლოა, ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი „გადასარის წარწერა“, „ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების დათარიღებისათვის“, „ქართული წარწერა (გრაფიტო) ჯაბალადან“, „ლუვრი - ახტალა“, „ვინ არის 'სრულიად აღმშენებელი' სამშვილდის სიონისა“ სხვა. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ამ წყაროთა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანის მნიშვნელობაზე, მოყოლებული 1968 წლიდან, როდესაც გამოვიდა „ეპისტოლეთა წიგნი“ ვიდრე 2019 წლამდე, როდესაც ზაზა ალექსიძემ გამოსცა და შეისწავლა უძველესი რედაქციები თხზულებათა „საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“ და „მარტვილობა აბიბოს ნეკრესელისა“, სამეცნიერო საზოგადოება თვალს ადევნებდა ქართველი მკვლევრის მიერ გამოქვეყნებულ ყოველ ახალ წყაროს, ამდენად, კარგად იცნობს

მათ და იყენებს კიდეს ახალ კვლევებში. წინამდებარე ნარკვევში გვსურს მკითხველთან ერთდ დავაკვირდეთ ზაზა ალექსიძის წყაროზე მუშაობის პროცესს, რადგან ვფიქრობთ, ის ეტალონური შეიძლება იყოს ნებისმიერი წყაროთმცოდნისათვის.

წყაროებზე მრავლწლიანი ძალზედ ეფექტური მუშაობის შედეგად ზაზა ალექსიძემ შეიმუშავა საკუთარი მეთოდოლოგია წყაროს დამუშავებისა, რაც უშურველად გაანდო და გაუზიარა ფართო საზოგადოებას სრულიად განსაკუთრებულ ნაშრომში – „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები (აგიოგრაფია)“ (1985), რომელიც შეიძლება ჩაითვალოს წყაროთმცოდნეობრივი კვლევის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოდ. ყველა წყაროთმცოდნემ იცის ასეთი ნაშრომის ფასი, რადგან იშვიათად ხდება, რომ წარმატებული მეცნიერი თავისი „ლაბორატორიის“ კარს ასე ფართოდ აღებდეს და მომავალ მკვლევრებს ასწავლიდეს პრობლემების დაძლევის გზებს, რომელთა წინაშეც ის აუცილებლად აღმოჩნდება აგიოგრაფიული ტექსტის, როგორც საისტორიო წყაროს გამოყენების დროს. „ჟანრით გამოწვეული სიძნელეები ისტორიული კრიტიკისას; აგიოგრაფისა და მომგებლის დამოკიდებულება წყაროებისადმი; თხზულების

ორიგინალურობის საკითხი; ავტორთა ვინაობის საკითხი; გვიანდელი რედაქციების კვალი კიმენურ თხზულებებში; მეტაფრაზულ და პერიფრაზულ თხზულებებში შეტანილი ცვლილებების შეფასება; სასწაულების წყაროთმცოდნეობითი შეფასება; ქართული აგიოგრაფიის საერთო წყაროთმცოდნეობითი შეფასება“ – აი, ის პრობლემები, რომელთა წარმატებით გადაჭრაში დაეხმარება ზაზა ალექსიძე ყველას, ვინც ქართული აგიოგრაფიის შესწავლის რთულ საქმეს მოჰკიდებს ხელს.

ყოველი საისტორიო წყარო იმავე დროს არის ისტორიული ფაქტი. ამიტომ იგი ღირებულებას არ კარგავს მაშინაც კი, როდესაც მასში მოცემული ფაქტები მცირე და საეჭვოა. ასეთი წყაროს თავისთავადი მნიშვნელობა ნაკლებია, მაგრამ მის წყაროთმცოდნეობით კვლევას ისეთივე ფასი აქვს, როგორც ფაქტებით უხვი და სანდო წყაროსი. ამ თვალსაზრისით წყაროთმცოდნისათვის (არა ისტორიკოსისთვის) ყველა აგიოგრაფიული ძეგლი თანაბარი ღირებულებისაა და თანაბარ ყურადღებას მოითხოვს.

ასე ამთავრებს ზაზა ალექსიძე ამ მცირე, მაგრამ ყველა წყაროთმცოდნისთვის მეტად ღირებულ, ნაშრომს და, ვფიქრობთ, ამ სიტყვებშია მისი, როგორც წყაროთმცოდნის წარმატების გასაღებიც – მისთვის არ არსებობდა მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკვლევი მასალა, ნებისმიერ წყაროს ის ერთნაირი პასუხისმგებლობით უდგებოდა და მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ახარჯავდა, მის გამოცდილ თვალს არაფერი ეპარებოდა, ის ახერხებდა, რომ სხვათათვის ნაცნობი ფაქტები და მოვლენები სრულიად ახლებურად გაეაზრებინა და წარმოედგინა ფართო კონტექსტში, ისეთი კუთხით, როგორც მხოლოდ ის ხედავდა. ლექციების დროსაც არაერთხელ უთქვამს, რომ არ არსებობს საინტერესო და არასაინტერესო საკვლევი თემები, არსებობენ საინტერესო და არასაინტერესო შეცნირებები!

ვფიქრობთ, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ზაზა ალექსიძეს ეს პატარა სახელმძღვანელო წიგნი რომცარ დაეწერა, ამდარგში ყოველი მისი ნაშრომი გამოდგებოდა ასეთ სახელმძღვანელოდ და გზამკვლევად მათთვის, ვინც წყაროთმცოდნეობას აირჩევს



სინას მთა, 1997 წელი



სამოღვაწეო ასპარეზად. ამის თქმის უფლებას ზაზა ალექსიძის კვლევის და წერის სტილი გვაძლევს. ის ძალიან ცხადად და მკაფიოდ სვამს პრობლემას და შემდეგ ხელჩაკიდებული ატარებს მკითხველს პრობლემის გადაჭრის გზაზე, ნაბიჯ-ნაბიჯ აჩვენებს, როგორ წყვეტს კვლევის დროს გაჩენილ ახალ-ახალ საკითხებს და როგორ მიდის საბოლოო დასკვნამდე ისე, რომ ეჭვიც აღარავის უჩნდება მის ქმედობებში. სანიმუშოდ კი გავიხსენებდით მის ორ სტატიას – „ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო“ (ანალები 2011, №7, გვ.29-59) და „ლუვრი-ახტალა“ (ნელინდეული, 2014, გვ. 143-161).

პირველ შემთხვევაში კვლევა ბალატუნუსის ბილინგვათი იწყება. სირიაში ნაპოვნი ბერძნულ-ქართული ეპიგრაფიკული წყარო ხდება საფუძველი ტბელების საგვარეულოს ფართომასშტაბიანი კვლევისა, რომლის შედეგადაც შეივსო ტბელების გენეალოგიური შტო მეათე საუკუნის მანძილზე, ხოლო საქართველოს ისტორიას კი დაუბრუნდა სპანდალუდ ტბელის სახელი, რომელიც პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა და ლაოდიკიის სტრატეგოსი იყო. მივყვით კვლევას. პირველ ყოვლისა, ზაზა ალექსიძე ასწორებს და აზუსტებს ბილინგვის ბერძნული ტექსტის ნაკითხვას. ამ დაზუსტების შედეგად ის არკვევს, რომ წარწერაში მოხსენიებული პირის სახელია სპანდალუდი, გბედი არის არა მისი გვარი, არამედ მამის სახელი და ეს პიროვნება არის არა დამაარსებელი/დამფინანსებელი, არამედ მაშენებელი კასტრონისა (ამ სწორების პროცესში ხაზგასასმელია, როგორი სკრუპულოზურია ზაზა ალექსიძე ბერძნული ტექსტის ენობრივი თვალსაზრისით შეფასებისას, როგორ ითვალისწინებს ის ბიზანტიური ბერძნული გამოთქმის თავისებურებებს). ბერძნული ნაწილის დამუშავების შემდგომ მკვლევარი ახლა ქართული ნაწილის გაშიფვრას იწყებს. ეს არაა მარტივი, რადგან წარწერა დაზიანებულია. სხვა შემთხვევების მსგავსად, ზაზა ალექსიძე ჯერ წარმოადგენს მას იმ სახით, რა სახითაც მოუღწევია ჩვენამდე, რომ მკითხველს ჰქონდეს საშუალება წყარო დაინახოს მისი პირვანდელი, სრულიად ორიგინალური სახით. ამის შემდეგ კი საფუძვლიანი არგუმენტირებით, ზაზა ალექსიძე ცდილობს აღადგინოს ქართული ტექსტი და ლებულობს მის თითქმის გამართულ სახეს. ამ ტექსტიდან უკვე ისიც ცნობილი ხდება, კერძოდ რა ააშენა სპანდალუდმა – ეს არის 5 ციხე (ზაზა ალექსიძის აზრით, არა ციხე, არამედ ბურჯი). კვლევის ამ ნაწილს ზაზა ალექსიძე ასრულებს იმაზე მსჯელობით, თუ რა მნიშვნელობისაა სპანდალუდის ტიტული და თანამდებობა, რომ წარწერის ქართული ნაწილი სირიაში ქართველთა ყოფნის პირველი დადასტურებაა, მისი შემსრულებელი აქ ანტიოქიიდან უნდა ჩამოეყვანათ და სპანდალუდი ანტიოქიელ ქართველებს კარგად უნდა სცნობოდათ. ამის შემდეგ მკვლევარისთვის უკვე მარტივია წარწერაში ნახსენები ქართველი 1040 წელს კალიპოს მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის კოლოფონში მოხსენიებულ „სპანდალუტ პატრიკთან“ გაიგივება. ამ ორი წყაროდან ზაზა ალექსიძე უკვე იმდენ ინფორმაციას მოიპოვებს, რომ შესაძლებლობა ეძლევა ახლა კლდეისის წარწერების ნაკითხვა დააზუსტოს. ყოველივე ამას ემატება წორბისის წარწერის, სუმბატ დავითის ძის, „მატიანე ქართლისაჲს“, არისტაკეს ლასტივერტელის, მათეოს ურჰაელის, „მატიანე სუანეთისა კრებისაჲს“ მონაცემები და მკვლევარს უკვე შეუძლია წარმოგვიდგინოს მეათე საუკუნეში ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენლებიცა და მათი მანამდე უცნობი თავგადასავალი.

რაც შეეხება მეორე ნაშრომს, რომ არა ზაზა ალექსიძის უნარი მოულოდნელი კავშირების დანახვისა და მისი ფენომენალური მეხსიერება, ამ წარწერის საიდუმლო კიდევ დიდხანს დარჩებოდა გაუხსნელი. შვიდი წელი ერკინებოდა მკვლევარი ლუვრში დაცულ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლს. წარწერა ნახვისთანავე ადვილად კი გაშიფრა, მაგრამ არ აქვეყნებდა, რადგან თავისი შეუმცდარი ალლოთი ხვდებოდა, რომ საკმაოდ ვრცელ წარწერას მნიშვნელოვანი ნაწილი აკლდა, მაგრამ სად უნდა ეძება ნაკლული ინფორმაცია, არ იცოდა და ამიტომაც ბოლოს მაინც გამოაქვეყნა იმ სახით, რისი დადგენაც იმ ეტაპისთვის შესაძლებელი იყო. კიდევ 14 წელი დასჭირდა განგებას, რომ ზაზა ალექსიძეს კოლეგების მიერ ნაჩვენებ ფოტოში ლუვრის წარწერის შემავსებელი ნაწილი ამოეცნო. წარწერებმა ერთმანეთი შეავსეს და ზაზა ალექსიძემ უკვე მისი სრული და დაზუსტებული ნაკითხვაც შეძლო. ცხადია, მისი ინტერესი და კვლევა აქ არ

დასრულებულა - ახლა მას უნდოდა გაერკვია, თუ სად იყო თავის დროზე განთავსებული ამ წარწერის ორივე ნაწილი. კვლევა ნამდვილ დეტექტივად იქცა და ბატონი ზაზა ახტალის წმინდა გიორგის სამწირველოსთან მიიყვანა. პეტრესა და ილარიონის წარწერების გამთლიანებამ ბევრ კითხვას გასცა პასუხი და არანაკლები ახალი საინტერესო საკვლევითემა გახსნა.

ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შეფასებული და დაფასებული, ეს მომავლის საქმეა, ამ მცირე ნარკვევს კი დავასრულებთ რამოდენიმე ამონარიდით ბატონი ზაზას სიტყვიდან, რომლითაც მან 2002 წელს მიმართა ქართველ მეცნიერებს, რადგანაც აქ ძალიან კარგად ჩანს, მისი ცხოვრებისეული და პროფესიული პრინციპები:

... მნიშვნელოვანი სამეცნიერო თეორიები და აღმოჩენები, საერთოდ სისხლსავსე სამეცნიერო ცხოვრება არამარტო შედეგია კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებისა, არამედ თვითონაც უწყობს ხელს ამ ცივილიზაციის შეუფერხებელ განვითარებას. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე და ყოველგვარ პირობებში საქართველო ახერხებდა ყოფილიყო აქტიური მონაწილე ამ პროცესისა. მე ვუსურვებდი ჩემს ქვეყანას მომავალ და შემდგომ წლებში თავისი გაუფრთხილებელი მოქმედებით არ ამოვარდნილიყო ამ ფერხულიდან, არ აღმოჩენილიყო თანამედროვე ცივილიზაციის შემოქმედთა გარეშე.

.... ტყუილად არ ამბობენ, რომ მეცნიერი არის არა ის, ვისაც სურს იყოს მეცნიერი, არამედ ის, ვისაც არ შეუძლია არ იყოს მეცნიერი.

.... ტალანტის გამოვლენა ყოველთვის ლამაზია, იქნება ეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მე ვუსურვებ ჩვენს საზოგადოებას მომავალშიც არ მოჰკლებოდეს ან თავისი დაუფიქრებელი მოქმედებით თვითონ არ მოიკლოს, ასეთი სილამაზით ტკბობის შესაძლებლობა.

ასე სწამდა, ასე იცხოვრა და იშრომა, წავიდა სრულად ვალმოხდილი საკუთარი საქმისა და იდეალების წინაშე, ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, გვახსოვდეს მისი გაკვეთილები, მისი სიბრძნე და დავტკბეთ ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შეუდარებელი სილამაზით.

## REMEMBERING ZAZA ALEKSIDZE

**Natia Chantladze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

natia.chantladze@yahoo.com

On January 24, 2023, an outstanding Georgian scientist, Academician of the Georgian National Academy of Sciences, Zaza Aleksidze, passed away.

Over the years, he was the head of the Department of Armenology of Tbilisi State University, the director of the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, a member of many national and international scientific societies. Zaza Aleksidze's researches are well known not only in our country, his works have been published in French, English, German, Russian, Azerbaijani and Persian languages. He was the author of more than 190 works, including 25 monographs.

Zaza Aleksidze passed away completely devoted to his work and ideals, and we are left to remember his lessons, and his wisdom and enjoy the incomparable beauty of his scientific legacy.

## გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი *წყაჩოთმცოდნეობა* გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების წარ- მოდგენაც. ტერმინი *ისტორიოგრაფია* კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით. შესაბამისად, გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს.

რეგიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომია ჟურნალის ვებ-გვერდზე: [www.sourcestudies.ge](http://www.sourcestudies.ge)

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი სტატია დაიბეჭდება იმავე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შეს-რულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორე-ბებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც წორდ ისე პდფ ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს რედაქციას, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

[source-studies@tsu.ge](mailto:source-studies@tsu.ge)

სტატიასთან ერთად ავტორებმა უნდა გადმოაგზავნონ განაცხადის შევსებული ფორმა, რო-მელშიც შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნეს ის რუბრიკა (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით-თი კვლევები, საერთაშორისო პრეზენტაცია, თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია, წყაროთა თარგმანი და წარდგინება, საარქივო მასალების პუბლიკაცია, კომენტარი, თვალსაზრისი, წიგნების მიმოხილვა, ქრონიკა, ინფორმაცია, ინტერვიუ, ხსოვნა), რომელშიც ავტორს სურს საკუ-თარი ნაშრომის გამოქვეყნება.

### სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

### სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

**სტატიის სათაური.**

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

**ავტორის სახელი და გვარი.**

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

**ავტორის აფილაცია.**

ინფორმაცია ავტორის აფილაციის შესახებ (ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართიც) უნდა მიეთითოს ავტორის სახელის და გვარის ქვემოთ, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 11.

**ძირითადი ტექსტი.**

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

**შენიშვნები (სათაური).**

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

**შენიშვნები (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

**დამოწმებანი (სათაური).**

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

**დამოწმებანი (ტექსტი).**

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე. დამოწმებათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ერთეულს.

**ფონტი.**

სილფაენი (Sylfaen) ყველა ენისათვის.

**აბზაცი.**

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ (tab), რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

**შემოკლებები.**

სტატიაში დაშვებულია მხოლოდ შემდეგ სიტყვათა შემოკლებების გამოყენება: იხილეთ – იხ., შედარებისათვის/შეადარეთ – შდრ., მაგალითად – მაგ., ე. ი., სხვ., ა. შ., ახალი წელთაღრიცხვით – ა. წ., ძველი წელთაღრიცხვით – ძვ. წ. სტატიაში კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული თარიღების, ასევე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მითითებისას, ოღონდ მხოლოდ ფრჩხილებში დასაშვებია შემოკლება შემდეგი ფორმით (სს., ს. წ., წწ.), სხვა შემთხვევაში, ტექსტშიც და შენიშვნებშიც უნდა დაინეროს სრულად.

სტატიაში სახელების მითითებისას აუცილებელია პირველად ხსენების შემთხვევაში დაინეროს სრულად, დანარჩენ შემთხვევაში სახელის ინიციალი, მარტო პირველი ასო-ბგერა. მაგალითად ი. ჯავახიშვილი ნაცვლად ივ. ჯავახიშვილისა. სტატიაში კანონიზებული წმინდანების ცხოვრებების სათაურების მითითების შემთხვევაში აუცილებელია, რომ სათაურის წინ აღინიშნოს მათი წმინდანობის სტატუსი შემდეგი სახის შემოკლებით – წმ.

### **ციტირება.**

ერთიანორისტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეიწიოს აბზაცის დონეზე ორვე მხრიდან, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაინეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამონმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და ბოლო გვერდები.

### **სასვენი ნიშნები.**

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

### **მოცულობა.**

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამონმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

### **რეზიუმე.**

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევო პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა თარგმნილ იყოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ

### **ლიტერატურის მითითების წესი.**

დამონმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამონმებანი დამონმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამონმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

**ლიტერატურის დამონშების კონკრეტული მაგალითები**

**ა) დამონშება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში**

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი 2009: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონშებანი ერთი ავტორის ნაშრომი:

**ჩხარტიშვილი 2009:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში **დამონშებანი**

**ჩხარტიშვილი, მანია 2011:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, ივერია დამის მკითხველი საქართველო*, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი და სხვები 2017: 64)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონშებანი

**ჩხარტიშვილი და სხვები 2017:** M. Chkhartishvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. *Dress and Identity: A Georgian Case Study, Fashion Through History: Costumes, Symbols, Communication, Volume I*, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastle

**ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიანი ნაშრომები:**

**ჩხარტიშვილი 2009ა:** M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*, Tbilisi, Universal.

**ჩხარტიშვილი 2009ბ:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

**გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამონშება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამონშება:**

**ჩხარტიშვილი 2009:** მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკური იდენტურობის მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

**კაშია 2005:** ჯ. კაშია. *ცალკეული პენიშნები პატრიოტიზმის თემაზე, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არტე.

**ჩხარტიშვილი, მანია 2010:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე“ ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერის 10 ნომრის მიხედვით, ქართული წყაჩოთმცოდნეობა*, ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.

**თარგამაძე 2019:** ზ. თარგამაძე. *ქართული თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

დამონშება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმონშებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმონშებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.“, ან „კრ.“.

ამასთან როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმონშებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამონშება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამონშება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

**დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამონების წესი:**

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).  
სექციაში დამონმებანი:

**ჩხარტიშვილი 2014:** M.Chkhartishvili. Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

**ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:**

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამონების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან ლეონტი მროველი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ყაუხჩიშვილი 1955:** ქაჩთღის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამონების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

**ვ) საარქივო მასალის დამონება:**

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ფონდი 416:** საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

**ზ) სამეცნიერო თარგმანის დამონება:**

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამონმებანი:

**ჩხარტიშვილი 2004:** ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

**თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამონება:**

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამონებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმონებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამონების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

**ნოსენკო:** E. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com <http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm> (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამონმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

### ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

### ზ) ნაშრომის დამონება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმონებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამონებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამონებებისათვის.

## GUIDELINES FOR AUTHORS

### Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term source is understood in broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different events of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

### Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

### The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

### Citation Style:

For references and citation authors should use Chicago style: author-date system [http://www.chicagomanualofstyle.org/tools\\_citationguide.html](http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html)

### Number of references and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.





გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტოვსკუაის 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

